

# დავით აღმაშენებელი



6

1975



# მწერთა

საქართველოს  
მწერთა კავშირი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კოლმედიკური შუენაღი

წელიწადი 51-ე

№ 6.

ივნისი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . . .	3
დავით გოგოჭაური — ბატონი ბატონი სათიბეზური. მოთხრობა . . . . .	5
გონდო კიშვილი — ლექსები . . . . .	18
ოთარ შალვაშვილი — ლექსები . . . . .	21
გიორგი ხორგვაშვილი — ძველი პარანოზი. მოთხრობა . . . . .	25
არნო მენდი — ლექსები . . . . .	47
ტაბუ მახარაშვილი — ლექსები . . . . .	49
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. ვაგრაჟი . . . . .	53
ბესიკ ხარაშვილი — რა ფერია სწოთა ქალაქში. პოემა . . . . .	76
რევაზ ჯაფარიძე — მძინე ჯვარი. რომანი. ვაგრაჟი . . . . .	95
საიათნოვა — ლექსები. თარგმანი სომხურიდან ზეზეა შედელაშვილი . . . . .	128

### ნაკრებები ხუთწლიის დღეებზე

მიხეილ შალვაშვილი — ენოქა და ენოქა . . . . .	132
--	-----

### კრიტიკა და კუბლიცისტია

ფილიპე მახარაძე — ქვიციის მთავარი მომადი . . . . .	138
თინა კოლაბაძე, ზურაბ მუხომბიძე — ილია და ქართული მნა . . . . .	145
გიორგი ნატროშვილი — კობეის გზა . . . . .	165
ნოდარ კაკაბაძე — თომას მანი და დონკოტოვი . . . . .	169
რევაზ ჯაფარიძე — სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის . . . . .	175

### ფაქტები, მოვლენები

ნ. ჯაფარიძე — ივანე ჯაფარიძის ბიოგრაფიული მემკვიდრეობა . . . . .	180
--	-----

### წიგნების მიმოხილვა

არჩილ სტეფანიანი — ვიხნი ძველი თხილისი ჯიშები . . . . .	190
---	-----

საქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საზ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. აგაპუაძე (პ/მგ მღვივანი), ხ. ბერულავა, თ. გიგინეიშვილი, ვ. ლუგანიძე, ლ. მკვლავაძე, ზ. შლანგი, ა. სულაკაძე, ა. ქუთათიანი, ს. ზანდიაშვილი, დ. ზანდიაშვილი, ნ. წაღვიძირი, ვ. წაღვიძირი, თ. ვილახე, ზ. ხარბაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიჯელაძე.

ტექნიკური რ. ხავეტაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.

პ/მგ. მღვივანის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/IV-75 წ., ზელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-75 წ., ასაწყობის ზომა  $7\frac{1}{4} \times 12$ , ქაღალდის ფორმატი  $70 \times 108\frac{1}{16}$ . ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.8. სააღ.-სავამომცემლო თაბაში 12.

№ 00042. ტირაჟი 14.750. შეკვ. № 1786  
საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ირაკლი აბაშიძე

## თავის დროზე გამორუქმეყნებელი ლექსები

### როსა მანქანა პირწმინდად შეგცვლის

როცა ყველაფერს გადასცემ რკინას,  
როცა მანქანა პირწმინდად შეგცვლის,  
როცა ფოლადად,  
თუჯად და  
ტინად  
იქცევა შენი ჯიშიც და ფესვიც;

როცა ცივ რიცხვად, კოლხად და შინად  
გაქცევა სუნთქვაც,  
ტრფობაც და  
გესლიც —  
შენს სულში წუთით დამოთმე ბინა,  
შენს ბედზე მტირალ ამ წმინდა ლექსით.

### სიყვარულისთვის...

სიყვარულისთვის, რომელსაც საქმით  
ვიხდიდი ნაღდად

და არა ღალად —

მე ვკრეფდი უფრო ტირსა და სახმილს,  
მე ვკრეფდი უფრო შურსა და ღალატს.

თრთოლვა და ღელვა,

იჭვი და კითხვა,

სინათლის, განსჯის

ბუნა და დევნა...

სიყვარულს უყვარს ლიტონი სიტყვა,

სიყვარულს უყვარს კოცნა და ხვევნა.

მანც სიყვარულს ვრაცხ ნათესაყად,

გინდ უგუნურიც,

გინდ უმეცარიც...

მგოსნის გოლგოთაც იქნებ ესაა,

მაგრამ მგოსნის ხსნაც მხოლოდ ეს არის.



## სცენის კიბესთან...

სცენის კიბესთან მთვრალი ჩარენცი  
სულ სხვა ნაძერწი,  
სულ სხვანაირი;  
ათას უძილო ღამით ჩაღეწილ  
თვალის გუგუბში სევდა ნაირის.

ათას უძილო ღამის თვალეზში  
მშობელ ნაირის ზეცის ზატეზაც...  
სცენის კიბესთან მთვრალი ჩარენცი  
უძქერდა რაღაც გამოცხადებას.

## სამხრეთისაკენ

როცა სამხრეთით კარპატებს გავცდით  
ჩვენც გავცდით კიდევ აბეზარ ზამთარს;  
თეთრი ფლასგები  
თებერგლის საცვლის  
ეყარა მთებში ალთას და ბალთას.

გამოჩნდა შემდეგ ცა აპენინის,  
მზე რომ ძირს უხვად  
იბერტყდა კალთას  
და გეპირდებოდა მიწა ფელინის  
ათას გაზაფხულს და სურათს ათასს.

## კველი ზაფხული

ზაფხულის „არტო“ და ქუჩა „კირკის“,  
ქტლების წყვეტა  
და ცა მტერიანი;  
ვერის დაღმართზე ცისფერი ცირკი,  
ლამპიონების ორომტრიალი.

„ედემის ბალთან“ მცხეთის ურმები,  
მტკვარზე, დუქნის წინ,  
კერძის შიშინი  
და ვერის ხიდთან — ნაბახურები  
გალაკტიონი და ქუჩისფილი.

## ბატონი ანტონი სათიბაბუში

მონოგრაფია

სოფლელებს არც ძალიან გაჰკვირვებიათ, როცა ივლისის ერთ მშვენიერ საღამოს მათს უბანში დასასვენებლად ქალაქელი კაცი დაბინავდა. ბოლო წლებში მოხშირდნენ აქ ასეთი ადამიანები. ცივი, ანკარა წყლები, ტყე და მყუდროება იზიდავდა მათ აქეთკენ. თან ხელზენაზარდი ვარიები და ახალ-მოწველილი რძეც უხვად იშოვებოდა.

როგორც ყველა შორეულ სოფელში, ისე აქაც არ უყვარდათ მოაგარაკენი, რადგანაც ისინი მუქთახორებად ეხატებოდნენ. აი, მთელი დღე ქანც-გაწყვეტამდე მინდორში ნამუშევარ სოფელ დედაკაცს ოჯახში ოფლისა და მიწის სუნი შემოაქვს, დაჯდომას ვერ ასწრებს, რომ ახლა საქათმის, საძროხისა თუ საღორის ბიწადარნი უნდა დაითვალოს და დააბინაოს, ცხვარძროხობა მოწველოს და ქმარ-შვილს ვახშამი მოუშვადოს. ამ დროს კი დამსვენებელი ფაშფაშა მანდილოსანი ან ჰამაკში ნებიერად ქანაობს და ჩამავალი შვის მშვენებით ტკბება, ან კატის კნუტივით გაქნაჭულ ერთადერთ ქალი-შვილს პირს გოგლიმოვლით უგოზავს. აბა, როგორ არ შეეხედათ აღმაცერად ასეთებისათვის სოფელ დედაკაცებს?

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ. ბატონი ანტონი მარტოხელა ტანჯული იყო. მას ბედმა თუ კიდევ სხვა რაღაცამ არ გაუმართლა. ვერც ოჯახი შექმნა და ვერც პირადი ცხოვრება მოაწყო ისე, როგორც საჭირო იყო. ჭკუა და შესახებლაობა არასოდეს ჰქვებია, შრომით ხომ, ნულარ იტყვიოთ, თითოთ საჩვენებელი მოწაფე და სტუდენტი იყო. მოქიშე ამხანაგებმა წიგნის ჭია შეარქვეს და მაინც ანტონს ბედი არა სწყალობდა. მისი ამხანაგები ცხოვრების სხვადასხვა უბანზე მწვერვალებისაკენ მიიწევდნენ, წოდებებსა და თანამდებობებს, ბინებსა და მანქანებს პერანგებზეთ იცვლიდნენ, ჰყავდათ მდიდარი ცოლები და ლამაზი საყვარლები. ამ დროს კი ანტონი წიგანებში იჭექებოდა და ვინ იცის მერამდენე უცხო ენას იზუთხავდა, რომ თავისი დარგის მიღწევებს მსოფლიო მასშტაბით გაცნობოდა. სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებზე მსმენელებს საკითხის ღრმა ცოდნით აოცებდა, მაგრამ კიდევ უფრო გაოცებული თვითონ რჩებოდა, როდესაც ბოლოს, ანგარიშებსა თუ ინფორმაციებში ეს „საკითხის ღრმა ცოდნა“ სრულიად სხვას ჰქონდა მიწერილი და ის კი ნახსენე-

ბიც არ იყო. ასეთ დროს იგი უფრო მეტი გაშმაგებით ბრუნდებოდა თავის საბრძოლო მოედანზე და კვლავ ჭეჭავდა და ჭეჭავდა დიდტანთან ახალ-ახალ გამოკვლევებს, კვლავ წიგნებთან ერთად აღამებდა დღეებს და ათენებდა დამეებს.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ბატონმა ანტონმა დაასრულა და ცალკე წიგნად გამოსცა თავისი ვეებერთელა მონოგრაფია. გამოკვლევას მალაღ შეფასება მისცეს მეცნიერებმა და კულონებში უკვე აღაპარაყდნენ ბატონი ანტონის გამგედ დანიშნვის თაობაზე.

ანტონი უკვე ტკბებოდა თავისი ნაშრომის აღიარებით, რომ მოულოდნელად მოხდა თავზარდამცემი ამბავი: პრესაში გამოქვეყნდა ვეებერთელა წერილი: „უაზრობა თუ მეცნიერება“.

ანტონი შინ ჩაიკეტა და ვინ იცის მერამდენედ კითხულობდა ამ უსამართლო განაჩენს. წერილს მისივე კოლეგა აწერდა ხელს, რომელიც ერთ დროს რაღაც დიდ თანამდებობაზე მუშაობდა და როდესაც იქიდან გამოაგდეს, მერე მეცნიერებას „მოჰკიდა ხელი“. ბატონი ანტონისათვის კიდევ უფრო თავზარდამცემი იყო ის, რომ ორიოდვე კვირის შემდეგ სწორედ ეს რეცენზენტი დაუნიშნეს განყოფილების გამგედ.

ბატონი ანტონისათვის დაიწყო უამური ცხოვრების დღეები. იგი თანდათან დაიღია, დაპატარავდა, რაც დრო გადიოდა, უფრო ხშირად და ხანგრძლივად ბრაზობდა, თანაც ასეთი განწყობის შესანარჩუნებლად პირდაპირ ღვთისაგან ნაკურთხი ოჯახური პირობები გააჩნდა. მარტო ის რად ღიბდა, რომ უცოლშვილობის გამო სრული თავისუფლება ჰქონდა, მთელ საღამოებსა და კვირა-უქმე დღეებში გაბმით ეწია თუთუნის და დროდადრო ბოლთის ცემით ეჭერებიდა გული.

საკუთარი წარუმატებლობითა თუ სხვათა დაუმსახურებელი წარმატებით დაბოღმილი ბატონი ანტონი ერთადერთ გამოსავალს ისევე შრომაში პოულობდა. ვართობასა და დასვენებაზე

ხელი ჰქონდა აღებული. საქმეს გერეშებებოდა და შეებულებასაც კი სამსახურში ატარებდა. და შინაც, მანდღა ბებსა და საყვედურებს თანაბრად რაოდენობით უცხადებდნენ. ცოტას ჰამდა, გულს უჩიოდა, მოტყუა, გაყვითლდა და დაიფუყა, ბოლო დროს კი უძილობაც დასჩემდა. თანამშრომლებს ველარ იტანდა და წარამარა ეკინკლავებოდა, მოქალაქეებთან უხეშობდა. — ნევრასტენია გჭირს, უნდა დაისვენო — უჩიოდა ეჭიმებმა, მაგრამ კურორტების გასხენებაც კი თავისი მოდური, ესტრადებითა, ჯახ-ორკესტრებით და, რაც მთავარია, შიშველ ნებერთა პლაკებით, წინასწარვე უპარგავდა მოსვენებას ბატონ ანტონს.

და აი, ანტონმა ქალაქისაგან გაბონძებული ნერვები გასაწმენდელად მთის პატარა სოფელში ამოიტანა.

მორჩა თუ არა ოთახის გაწყობა-დალაგებას, მაშინვე დაებადა კითხვა: ამის შემდეგ რა უნდა ვაკეთოთ? და ინანა დასასვენებლად რომ წამოვიდა. თბილისში უჩიინებდნენ: წახვალ, გარემოს გამოიცვლი, დაისვენებ და განწყობაც გამოვეცვლებო.

აივანზე სკამი დაიდგა და მოაჯირს გალუული იდაყვებით დაეყრდნო. წვრილმა და დაძარღულმა კისერმა ძლივს დაიკავა მისი ვოგრასავით ყვითელი და ნახევრად მელოტი თავი. ისეთი გამხდარი და გამვალტყავებული მხრები მოუჩანდა, რომ კაცი იფიქრებდა. ეს ძვირფასი პიჯამა ფიჩხის კონისთვის ჩაუტყვევიათო.

მთელ დღეს იჭდა ბატონი ანტონი და განუშორებელი სათვალის ჩარჩოდან სასოწარკვეთილი უჭვრეტდა პატარა სოფლის შიდადოს.

— აი, ესეც „გარემო“, თითქოს და ჯერ არსად მენახოს ტხვრები და ცხენები, იჯექი ასე მთელ თვეს და ისმინე პატარა ვოგო-ბიჭების წივილ-კივილი და ძროხების ზმულილი, — ფიქრობდა ბატონი ანტონი.

როგორც იყო მოსაღამოვდა, ოთახში შევიდა და ისევ მოყვა სანუკვარი

თუთუნის ბოლებასა და ბოლთის ცემას. მერე ჩაწვა და გვიან შუალამემდე ბორბალივით იტრიალა ლოგინში. ბოლოს ის-ის იყო წასთვლიმა, რომ სადღაც ეზოს გადაღმა ქოფაკიც აყვდნა. ძალიან ზანტად და სვენებ-სვენებით ასრულებდა ძალი თაგის მოვალეობას. ერთ-ორს რიხიანად ამოიყვებდა, წუთით შეისვენებდა და შემდეგ იმავეს გაიმეორებდა უნიჭო პოეტის ტაეპებზევით.

ბატონმა ანტონმა ყურზე ბალიში დაიდო, მაგრამ არაფერი ეშველა. ახლა ყრუდ, მაგრამ შემადრწუნებლად ჩაესმოდა ძაღლის ხმა. ეს ხმა არ ჰგავდა არც ავტომობილის სიგნალსა და არც მეზობლის ბინიდან გვიან ღამით გამოთონილ მუსიკის ხმას, რომელსაც იცი დასასრული როდის ექნება. ძალი კი არც ფეხს იცვლიდა და არც ნოტები უთავდებოდა.

ბატონ ანტონს ყველა ნერვი დაეძაბა და აუთრთოლდა. გაითანჯა, გაბრუვდა და ყელში სატირალი მოეზვინა. ძილ-ბურანში მყოფი ბარბაციტ გავიდა აივანზე, მაგრამ ძალი საკმაოდ შორს აღმოჩნდა იმისათვის, რომ მისთან სიტყვიერი კონტაქტი დაემყარებინა. ჭერ იბორიალა, ილანძა და იწყველა, მერე სკამზე დაეშვა და იმათ გინებას მოყვა, ვინც მას აქ წამოსვლა ურჩია.

— არა, ეს რა უწესობაა, ვინ დართო უფლება, რომ ძაღლები მთელი ღამე აყვფონ და პატიოსან მშრომელებს ძილისა და დასვენების საშუალება არ მისცენ. მე ამით ვაჩვენებ! აბა ვნახოთ თუ არის აღრიცხული და დანომრილი ეს გარეწარი. იქნება ცოფიანიცაა, რომ აღარ ჩერდება. პატრონი უნდა დაჯარიმდეს და ძალი ხვალისადაც აქაურობას მოშორდეს, — დაასვენა ბატონმა ანტონმა და ეს გულის მომაოხებელი გადაწყვეტილება მის აფაფრულ ნერვებს საღებუნად დაედო.

აივანზე გრილოდა. სოფელში ჩამიხუმი არ გაიგონებოდა. ყველა სულდგმული ძილსა და მოსვენებას მინებებოდა. კრიალა ცაზე დაკიდებულ მშვი-

დსა და უწყინარ მთვარეს დღეებში შეეხვეტა შავი ჩრდილები. მთის ცივი ნიაფწინწალა უხმოდ დაძრწოდა კარდაკარ, ფეხაკრეფით ძვრებოდა ღია კარფანჯრებში და ამაოდ დაეძებდა დაკარგულ წაწალს.

უდიერი ძალი კი კვლავ ხმამაღლა შესწიოდა ზეცას თავის უბედურებას...

გარეკრახზე ვიღაცის ყვირილმა დააფეთა ბატონი ანტონი. საბნინიდან ყვირთელი თავი გამოჰყო და ფანჯარაში გაიხედა, ყვირილი გრძელდებოდა.

— რა უბედურებაა, ეს ვინ ყაჩაღია, ამ უთუნია! — ამოიფოთა უძილობისაგან გაბრუებულმა და კარი ოდნავ გაიხსნა. დილის ბინდ-ბუნდში ძლივს ირჩეოდა ტახივით ჩადგმული და ჩაჯირკული ახალგაზრდა კაცი, იგი კარდაკარ დადიოდა და საკმაოდ მოუბრძობლად დაჰყვიროდა ჭერ კიდევ მთვლემარე ოჯახებს:

— გიორგი, თამარ, ხეთისავარ... დღეს თივა უნდა ავხვეტოთ, უნდა მოვასწროთ, თორემ რადიომ გადმოიძაბა — მთიან რაიონებში წვიმა მოსალოდნელია! არიქა, ყველა უნდა გავიღეთ, თორემ თუ წვიმა გაიმუღმა, საქონელი შემშლილთ გაგვიწყდება.

ნახევრად ჩაცმული სახლის პატრონი — ჭადარა ხეთისავარი ეზოში გამოვიდა, ნამძინარევი თვალები მოისრისა და მოწმენდილი ცა მოათვალიერა.

— სახვლიოდ გადადება არ გვარგებს, დილითვე შევესიოთ, ვიდრე ნამი არ შემშრალა. წვიმაც რომ არ იყოს, საღამოსათვის ნათიბს მზე გააფიცხებს და მტვრად აქცევს, — გასძაბა ხეთისავარმა ბრივადირს და შინ შემობრუნდა.

ღია კარებში ფერმიხდილი ბატონი ანტონი შენიშნა და თავაზიანად მოიკითხა.

— თბილისიდან ხმაურს გამოვექეცი და აქ უარესს შევეყარე. წუხელის მთელი ღამე ძაღლმა არ დამაძინა, — დაიჩივლა სტუმარმა.

— აი, მაგისი ძალი იქნებოდა, —



თქვა ხვთისავარმა და თითი მყვირალა ბრიგადირისაკენ გაიშვირა, ძაღლები სხვებსაცა ჰყავს, მაგრამ ეგ კარგად აქმევს. ძაღლი კიდევ ცულა კაცსა ჰგავს, ვინც გააძლებს, იმის სასარგებლოდ დაუსრულებლად იყეფებს.

ბატონმა ანტონმა სასწრაფოდ გადაიკვა და შარაზე გავიდა, მაგრამ რაწამს ბრიგადირის ბუღასავით ჩასქელებულ ქედსა და გასიებულ თავს ახლოდან შეხედა, პერვები რაღაცნაირად დაუცხრა და მომზადებული სათქმელიც გაეფანტა. მაინც მიესალმა და საკმაოდ მკაცრად განუცხადა:

— უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ თქვენი ძაღლი წუხელის მთელი ღამე ყეფდა.

თავდიდა ბრიგადირმა გაუპარსავი წვერი მოიქეჭა და ჰრუტა, მჩხვლეტავი თვალები ბატონ ანტონის გამადიდებელ სათვალეს მიაბჯინა. მას ეგონა, რომ ქალაქელს სათქმელი ჯერ არ დაემთავრებინა და ისევ უსმენდა.

— დიახ, თქვენი ძაღლი მთელი ღამე ყეფდა! — წყრომით გაიმეორა ბატონმა ანტონმა და აქანკალებული საჩვენებელი თითით სათვალე შეისწორა.

— უნდა იყეფოს, აბა ძაღლს სხვა რა ხელობა აქვს, — უხეშად მიუგო ბრიგადირმა. მერე თვალები მოჭუტა და ირონიული ღიმილით დაუმატა, — იყეფებს, მაშ რას იზამს, სიმღერა არ ეხერხება და ვინება არ შეუძლიან... როდესაც საფრთხეს დაიგულებს, ანონიმური წერილის წერას კი არ მოყვება, ცხადად გამოვა შარაზე და მთელ სოფელს აფხიზლებს. მესაქონლე სოფელი უძაღლებოდ ვის გაუგონია!

ბრიგადირის აგდებულმა პასუხმა სულ გადარია ბატონი ანტონი, სახე წამოუწითლდა, კისერზე ვენები დაებერა და ყბა აუქანკალდა.

— ამხანაგო, მე მესაქონლე არ ვახლავართ, მე მეცნიერ-მუშაკი ვარ და საშუალება უნდა მქონდეს, ჩემს დაქირავებულ ბინაში ნორმალურად დავისვენო... — ამაგმაგდა ბატონი ანტონი.

„ერთი უყურე ამ სამაირიდან ამოდე-

ბულს, რამხელა გული ჰქონია“ — გაიფიქრა ბრიგადირმა და ხმას აუწია:

— ამხანაგო, შენი დაქინებულობის სოფელში ძაღლებს ვინ — გაწყვეტავს, რაებსა ლაპარაკობ, ვერა ხედავ მაგ მყეფრების იმედით მთელი სოფლის საქონელი ღამე გარეთ გვიბია. თქვენ იქ მარტო ერთობით ძაღლებით, ჩვენ კი აქ სული ამათაგან გვიდგას. მაგ ძაღლების იმედი რომ არა გვქონდეს, ჩვენ რა დავგაძინებდა. ეგენი სოფლისთვის ზოგიერთ კაცზე უფრო სასარგებლონი არიან.

არც ერთმა არ დათმო, ბატონი ანტონისა და ბრიგადირის კამათმა ჩხუბის სახე მიიღო. უშიშრად და გაბედულად უტევედა ანტონი, მაგრამ მხრის დამპერი არავინ ჰყავდა. ნამძინარევი მეზობლები ამთქნარებდნენ, ზანტად ისრესდნენ თვალებს და დამცინავი ღიმილით შესცქეროდნენ გაცხარებულ მეცნიერს.

მოხუცმა ხვთისავარმა უსიამოვნოდ შეკრა შუბლის კოპები:

— ეს კაცი ჩვენი სოფლის სტუმარია, განათლებული კაცია, რიგაინად მოუფსმინოთ და რითაც შეგვიძლიან ხელი შევეუწყოთ, — თქვა სრულიად მშვიდად.

ახალგაზრდა ბრიგადირი მოულოდნელად მოღბა და კილო შეცვალა:

— კარგი, ეგრე იყოს, მე მაგ ძაღლს ამაღამ გომში დავამწყვედე, ხოლო თქვენ კი, თუ ეგეთი განათლებული ბრძანდებით, დღეს ჩვენთან სათიბებში წამომბრძანდით და ერთი პატარა საუბარი ჩავგიტარეთ. თუ ამას გავგიკეთებთ, მაშინ ჩვენც ვიტყვით, რომ მართლა ჩვენი სტუმარი ხართ.

ბატონმა ანტონმა აწყვეტილი სიფიცხე დროზე ველარ შეიკავა და სახე მკაფეხაქამივით დაჰყანა, მერე დაფიქრდა, სათვალე თითით შეისწორა და სახლისაკენ უხმოდ გაბრუნდა.

მაღე პატარა სამთო ტრაქტორი ჩამოდგა და დანჯღრეული ოთხთვალა საბარგული ხალხით გაიქედა. სოფლებს ზედ აქონდათ ფიწლები, ფოცხები, საგზალი და საწყლე კოკურები,

ხოლო ზოგიერთს კი ამინდის ბიუროს ცნობაც ერწმუნა და სახლიდან ნაბაღსაწვიმრებიც დაეთრია. მალე ბატონი ანტონიც მოჩანჩაღდა და თავისი გაქუცული პორთფელით, სოფლელებით სავსე საბარგულს გარშემო უნმოღ შემოუარა, შავრამ ასასვლელი საფეხურები რომ ვერსად უმოვნა, იქვე მდგარ თავდოდა ბრიგადირს მიუშვირა სათვალავანი სიფათი — მოვდივარო.

— აბა, დაეხმარეთ, წინ დასვით სკამზე, — ასძახა ბრიგადირმა და ბატონ ანტონს აფოფხება აღარ აცალა, ერთი ხელი მხარში წაავლო, მეორე დაბლა ამოსდო და ფუთასავით შეაწოდა საზიდარზე.

— ნეტა, ეს რაღად უნდა, რომ მოაქვს, — აღშფოთდა წინ მჯდომი მწითური, ჩამკვრივებული დედაკაცი, თან ბრაზით ანტონის პორთფელს დახედა.

— რატომ მოვდით გული, ქალბატონო, — წამოწითლდა ანტონი, — მე თქვენი უფროსის თხოვნით მოვდივარ და სულაც არ ვაპირებ, თქვენ ფეხზე დაგაყენოთ და მე დაეჯდე.

— ჩვენ ფერმაში არ მივდივართ, — ირონიით უთხრა მწითურმა დედაკაცმა.

— მე თივის აღებაზე მოვდივარ, რა შუაშია ფერმა, — კიდეც უფრო აღელდა ბატონი ანტონი.

— იმ შუაშია, რომ „რევიზიაზე“ ვინც ჩამოდიოდნენ, იქ მიდიოდნენ, სადაც ყველი და კარაქია, სათონებსა და სათიბებში მე ისინი არ დამინახავს.

— რას ერჩი, ნინო, მაგ ქალაქელ კაცს, თვალში ხომ არ მოგივიდა, — ვადმოსძახა ვიღაცამ მწითურ დედაკაცს. სოფლელები ახარხარდნენ.

— არ მიყვარს ეს ქალაქელები, — თავი გაიქნია ნინომ, მერე ლეკეულივით სრული ტანით გვერდით მსხდომი დედაკაციები მიავიწროვა და კუთხეში საკმაო ადგილი გაუთავისუფლა ბატონ ანტონს.

საბარგულმა ჯაყ-ჯაყს თანდათან უმატა. ფართო სასოფლო შარა-გზა მთის ოღრო-ჩოღრო და დაგრეხილმა გზამ შეცვალა. ტრაქტორი ხენწეა-თუხ-

თუხით იკლებდა აღმართებს და სულ ზემოთ და ზემოთ მიიწედა, დაბლა რჩებოდა სუფრასავით გადაშლილი მთის პატარა სოფელი.

ბატონი ანტონი დუმდა და უკვირდა, — ეს რა უცერემონიო აღამაიანები ყოფილანო. ერთი კი გადაწყვიტა, საბარგული გაეჩერებინა და ჩამოსულიყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლია, მოითმინა და ნინოს გვერდით ჩაიუქცა.

— რა დაგიშვათ, ქალბატონო, ქალაქმა და ქალაქელებმა? — ჰკითხა და სათვალე ნერვიულად შეისწორა.

— ქმარი წამართვა, ოჯახი დამინგრია, მეტი რაღა უნდა დაეშავებინა.

— ცოცხალის ქერივია, ქალაქელო, ქმარი სამუდამო შეგებულებაში ჰყავს გაშვებული, — ჩაურთო ვიღაცამ და კვლავ გააცინა სოფლელები.

— ეგ როგორ? — დააჰყვიტა თვალელები ბატონმა ანტონმა.

— ძალიან კარგად, — ნაღვლიანად ოხუნჯობდა ნინო, — სოფელში მუშაობას თანდათან უგანა, თბილისში სიარულს მოუხშირა, ჯერ ოჯახის ნამატსანოვავს ეზიდებოდა გასასყიდად, მერე მეზობლებისაც მიუმატა:

— მერე, მერე? — დაინტერესდა მეცნიერი.

— მერე ბინა თბილისში დაიდო, — ასე უფრო ბევრ ფულს ვიმოვნიო, მერე თქვენც იქ წავიყვანთ და მდიდრულად ვაცხოვრებთო.

— მერედა იშოვნა ბევრი ფული? — შეცბუნდა ბატონი ანტონი.

— როგორ არა, ფულიც იშოვნა, ბინაც და ცოლიც. მაშინ ამბობდნენ: ვასუქდა, ვაკეთდა, ახალთახალ მანქანას დაქროლებსო.

— ესე იგი ცოლ-შვილი მიგატოვათ. ეს ხომ უსინდისობაა, ერთი მსუბუქი მანქანით დაჰქრის, მეორე კი ავერ, საბარგულში იჭყლიტება, ეს ხომ დალატია, მოდი და შექმენი ოჯახი, — კიდეც უფრო აღშფოთდა მეცნიერი.

— მსუბუქი მანქანით კი არა, შავი ქვით დაჰქრის, ის უბედური, შარშან

გაფლანგვისა თუ რაღაც ჭირის გამო დაიპირეს და ვაასამართლეს, ქონება და მანქანაც ჩამოაფტქენეს და ციხეშიც შეგდეს, ახალმა ცოლმა კი შორიდან დაუქნია ხელი — სასამართლოსაც არ დაელოდა, ისე გაჰყვა სხვა კაცს. აი, რა მიყავით ქალაქელებმა.

ბატონ ანტონს ეწყინა, ძალიან ეწყინა ქალაქელების აუგად მოხსენიება, გულით უნდოდა ეთქვა, რომ კარგი და ცუდი ყველგან არისო და ისიც ეთქვა, რომ თქვენი მეუღლე აქვე ცუდი კაცი ყოფილა და ქალაქელებს რას ვრჩითო, რომ ქალაქს უთვალავი სიკეთე მოაქვს სოფლისათვის, კიდევ ბევრი რაღაცა უნდოდა ეთქვა და ბოლოს ენუგეშებინა კიდევ ეს უბედური მანდილოსანი, მაგრამ ამ დროს ტრაქტორი გაჩერდა და სოფლელები საბარგულიდან პანტა-პუნტით ჩამოლაგდნენ ძირს.

ბატონმა ანტონმა მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ნინოს მხარში წაავლო ხელი და სცადა ჩასვლაში დახმარებოდა, რომ ბატონი ანტონი კინალამ თან გადაიყოლა. ნინოს უმალ თან გადაყვა ორი მასავით წითელლოყება და ჩაჯირკული ბიჭუნა. ბავშვებს მოზრდილებივით გაეწყობთ მხრებზე ფიწლები და ვეუკატურად მიაბიჯებდნენ დედის მხარდამხარ. ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა ნინოს სრული და ჯანმრთელი გარეგნობა. ბატონი ანტონი დედაშვილებს ფეხდაფეხ მისდევდა და თან ფიქრობდა — ეს ქალი კი არა, ტანკია, მხოლოდ ამგვარმა ჯანსაღმა სხეულმა შეიძლება შვას და გამომხარდოს ასეთი ყუმბარებვივით ბიჭები, ნეტა რა უნდა ეპოვა მათს მამას ამათზე უკეთესი?

— აქედან დაიწყეთ, — თქვა ბრიგადირმა და ბარაქიანი ფეხი მიწას დაარტყა — ეიდრე ნამიანია, ეს მზვარე მოვასწროთ, თორემ მზე რომ დააჭერს, გაფიცდება და გამტკვრდება.

ხალხი ნათიბში ვაიშალა. ახმაურდა ფოცხები და ფიწლები, აშრიალდა ხსხასა თივა და ჰაერი მტკნარი ყვავი-

ლისა და ნათიბის საამური, დამატრობელი სუნით დამძიმდა.

თივის ზეავი ყოველი მხრიდან წრიულად მოხვეტეს და შუაზე კალოსოღენა ადგილი დაუტოვეს.

— ძია ხეთისავარ, — შექმედარა ბრიგადირი ბატონი ანტონის ბინის პატრონს, ახოვან ქალარა კაცს, — წელსაც ისევ შენ უნდა დაგვიდგა ძირები, კარგი ხელი გაქვს, შენი დადგმული თივა, ზომ იცი, არ ფუჭდება.

— მაგას ხელი კი არა, მონდომება უნდა, — იუარა ხეთისავარმა, — ემანდე ახალგაზრდები არიან, რომა აეტომობილებს ატარებენ... თივას ვანა ისე ვერ დადგამენ, რომ წვიმა არ გაეპაროს და ქარმა არ დაგლიჯოს? მაშ მე რომ მოვკვდები, საქონელიც მშვიერი უნდა დახმოვით.

მოხუცი ძალად თავბატიეს იდებდა, მაგრამ არც ბრიგადირს უჭირდა ტკბილი სიტყვით მისთვის თავის მოქონება.

მალე ძია ხეთისავარმა ვეებერთელა სარი ბურდლუნით მოათრია და ძირი წაუშვეტა, მერე მალლა აღმართა და მთელი ძალღონით დასცა მიწას.

ბატონ ანტონს ხშირად უნახავს გზის პირებსა, თუ სოფლის მიდამოებში დადგმული თივას ზეინები, მაგრამ დადგმისთვის კი არასოდეს უყურებია. ახლა იგი გულისყურით ადევნებდა თვალს სოფლელების საქმიანობას და ძალიან სწუხდა, რომ თვითონ არაფრის გაკეთება შეეძლო. ისევ თავის ბინის პატრონ ხეთისავარს უტრიალებდა გარემო და დღევანდელი ლექციის თემაზე ფიქრობდა. გული უწვრილდებოდა იმის გამო, რომ რა ჩამოლედა ამხელა დღეს უსაქმურად.

ხეთისავარი ჩხირივით ამოაძრობდა ხოლმე მიწიდან იმ ვეებერთელა ნედლ ლატანს, ორივე ხელით ღონივრად შემართავდა მალლა, მერე დაიქნევდა და თან „უჰ“-ო დააყოლებდა. სარი არ მიდიოდა მიწაში. ხეთისავარი უცბად შედგა და შებლიდან მომსკდარი ოფლის ნაკადი მოიწურა.

— ეს დალოცვილი მიწა დაიგვალა

და დაბლა აღარ უშვებს. არიქა, შენს კაცობას, ახლო-მახლოს აღარავინა მყავს და წყალი მომამეველე, ემანდე კოკურა და წყალი კიდე აგერ ღელეში ჩამოდის, — შეეხვეწა მდგმურს ხეთისავარი.

სულ მალე ბატონ ანტონს აესილი კოკურა მოჰქონდა და თვითონაც თავის კოკურასავით იყო სიამოვნებით სავსე. მას ყოველთვის სახადივით სძულდა სხვისი შრომის მუქი ზედამხედველი და უხაროდა, რომ არც ამ მთიანი სოფლის სათიბებში ჰგავდა იმით.

მიწა დააღებეს, ხეთისივარმა ორიოდე „უჰ“ კიდევ ამოიგმინა და სარი საკმაოდ ღრმად წავიდა ძირს.

— ახლა კი ჩვენს ნამუშევარს ცხრათავიანი დევიც ველარ წააქევეს, — თქვა მოხუცმა და დაკოჩილი თათი მდგმურს ხმელ ბეჭებზე მოუთათუნა.

ხეთისავარმა ამის შემდეგ ბარე ათი სარი ჩაარქო, მაგრამ ბატონ ანტონს კოკურა ხელიდან ველარ გააშვებინეს:

— მე ამ საქმეს უკვე დავეუფლე და გთხოვთ, ბატონებო, ხელიდან ნუღარ წამართმევთ, მეც მინდა თქვენი შრომის მონაწილე ვიყო, — იხვეწებოდა ბატონი ანტონი და ვიდრე ხეთისავარი სარს ჩასარქობად გამზადებდა, ბატონი ანტონი სავსე კოკურით თავზე ეღვა.

— თქვენი საქმიანობიდან, ბატონო ხეთისავარ, ერთი რამ ვერ გავიგე. ყველა რომ ერთ საქმეს აკეთებთ, ბოლოს როგორი უნდა იყოს შრომის ანაზღაურება? — იკითხა მეცნიერმა.

— გლეხები მაგას ადვილად ვახერხებთ, ჩემო ანტონ, რამდენნიცა ვართ, თანაბრად გავიყოფთ, მორჩა და გათავდა, — შემოსცინა დაბლიდან ხეთისავარმა.

— როგორ, თქვენ და აგერ ქალბატონ ნინოს ბავშვებს თანაბარი ანაზღაურება გექნებათ? — მინც ვერ გარკვეულიყო ბატონი ანტონი.

— აქ მამა-პაპიდანვე ეგეთი წესი გვაქვს, მამ როგორ ვავხარდით ბალები? რით უნდა წავახალისოთ ისინი? რაც შეგვიძლიან, ყველა ვშრომობთ ჩვენცა და ბავშვებიც. ახლა ეგენი არიან პატარები და ჩვენ ვუღებთ ტოლს, მერე კი ეგენი მოიზრდებიან და ჩვენ აღარ შეგვეძლება მაგათოდენა... დღეს რასაც ჩვენ მაგათთვის ვავაკეთებთ, მერე ეგენი ვააკეთებენ ჩვენი შვილიშვილებისათვის. რა ქნან პატარებმა. ვანა მაგათ კი არ უნდათ, რომ დიდი ჯან-ღონე ჰქონდეთ? აი, სულ სხვაა ზარმაცს რომ დააკლო, მაგრამ აბა აქ რომელია მაგისთანა, — უთხრა ხეთისავარმა და ხელი სერზე ვაშლილი მხვეტავებისაკენ გაიქნია.

მთელი სერი შრიალეგდა, შარიმურობდა და ზუზუნებდა, ბუღსა და თვის მტვერში იფუფქებოდნენ ჩაკუნთული ქაბუკები, პეპელეებით ირეოდნენ ჭრელკაბა ქალიშვილები.

— ეს კარგი წესი გქონიათ, ბატონო ხეთისავარ, აი, ჩვენთან კი, ბავშვები კი არა, დამწყები ახალგაზრდა მეცნიერები დილიდან საღამომდე სხედან ლაბორატორიებში და წლიდან-წლამდე ცდებს ატარებენ, მერე კი პროფესორი, რომელიც მათზე მეტ ხელფასს ღებულობს, ამ ახალგაზრდების ნამუშევარს ქაღალდზე გადაიტანს. გამოკვლევას დაარქმევს და საკუთარ გვარსა და სახელს მოაწერს. — იღვარძლებოდა ბატონი ანტონი და თვალწინ თავისი განყოფილების გამგე ეღვა — — მერე ბოლოს რა გამოდის მანდედან? — თვალები მოქუტა ხეთისავარმა.

— მერე ის გამოდის, ჩემო ბატონო, რომ ყველა ახალგაზრდა ცდილობს მალე გაძერეს პროფესორობისაკენ. გადატრიალება მოუწყოს თავის „გამზრდელ მამას“, რომ მერე ისიც ასევე მოექცეს თავის „გასაზრდელებს“.

— არა, — ქალარა თავი გაიქნია ხეთისავარმა, — არც ეგეთი დიდაცობა მინდა და არც უმაღლრი სიბერე.

ახალგაზრდობას ვინც ურქენს, იმას მწარე სიბერე არ ასცდება.

ხეთისავარი თივის დადგმის დიდი ოსტატი აღმოჩნდა. სარის გარშემო შემოჯარული რამდენიმე კაცი ზედიზედ აწოდებდა გრძელტარა ფიწლებითა და ორთითებით თივას, ის კი ზვინს ხელით ასწორებდა და ფეხით ტენიდა, ბოლოს ეკლესიის გუმბათივით „მოწვერვას“ იწყებდა და მუშაობაც ძნელდებოდა. ამ დროს ჰალარა ხეთისავარი საათის ქანქარასავით აქეთ-იქით ქანაობას იწყებდა და ბატონ ანტონს ცოტა უკლდა, ვიდრე — უშველეთო — იყვირებდა. მაგრამ ხეთისავარი რაღაც უცნაურ ილეთს შეასრულებდა, პირქვე გადმობრუნებული მთელი ტანით ჩამოგრძელდებოდა, მერე ზვინის წვერს ხელს გაუშვებდა და ვეებერთელა სიმაღლიდან მოსხლეტით დაეშვებოდა ძირს.

ბატონმა ანტონმა პირველად რომ ეს სურათი დაინახა, ირწმუნა, ნამდვილად ფათერაკი მოხდაო, მაგრამ ხეთისავარმა მიწასთან მთახლოებისას ერთი უცნაურად ჩაბუქნა და არც კი წაქცეულა, ისე გაიმართა.

აი ნამდვილი ვაჟკაცი, მე რომ იქიდან დამაგორონ, მიწამდე სული აღარ დამყვება, — ფიქრობდა ბატონი ანტონი და ეამაყებოდა, რომ მისი ბინის პატრონი ასეთი ყოჩალი იყო.

მზემ საშუაღღეს მიღწვია და დაღმართზე დაეშვა. საკმაოდ ჩამოცხა. ღვთისავარმა მოჭუტული თვალებით ცისკენ აიხედა:

— ეს დალოცვილი საავდროდ იკბინება, უნდა დავეშუროთ, თორემ საღამოს ნაღდად მოვა წვიმა, — თქვა და ახლა ჩრდილოეთიდან წამოყუდებულ მთას გაუსწორა ჩაოფლილი თვალები — საორბეზე რომ ღრუბლები შეიკვრება, ავი დარის ნიშანია.

ბატონმა ანტონმა უნდობლად შეხედა მოხუცს, უკიდვანოდ გადაშლილ ცის კრიალა ჰორიზონტზე ღრუბლის ნასახი არსად დაინახებოდა, მხოლოდ იქ, ოცეული კილომეტრის გადაღმა,

კავკასიონის მთავრებილიდან ერთადერთ მწვერვალს წამოეყო ღრუბლიანი თავი, რომელზეც თეთრი ქაფ-ქაფა ღრუბელი მოძრაობდა, ფურდა და თანდათან ფართოვდებოდა.

სოფლელები უფრო გაშმაგდნენ, ერთი წამითაც კი ვერავის ნახავდით უმოძრაოდ. ხმელი თივის გაბმულ შრიალი და ფიწალ-საფოცხვლების ფხაჟა-ფხუქილა ისმოდა. ოფლით გახვითქული ბებერი ხეთისავარი ჭველებიჭურად ტრიალებდა სარის გარშემო და უკანასკნელი ზვინი შეუსვენებლად მაღლა-მაღლა მიჰყავდა.

ნინოს ბიჭები საკმაოდ გაოფლილყვნენ და უფრო მეტად ჩასწითლებოდათ ჩამკვრივებული ბუქუჭუტა ლოყები. დაღლას მაინც არ იმჩნევდნენ, გაცხარებულები ხვეტავდნენ გრძელ ნამხრევეებს და დედას პატარა ბულულებად უგროვებდნენ. ნინო კი ამ ბულულებს ფიწლის ერთი დარტყმით აიტაცებდა და ზვინთან მიარბენინებდა.

ანტონმა კიდევ გაიხედა ჩრდილოეთისაკენ. საორბე და მისი მეზობელი მთები უკვე გადაეყლაბა არეულ ღრუბელს. იგი ყოველი მხრიდან მიიწვედა, ფართოვდებოდა და თანდათან მუჭიდებოდა. ცოტა ხანიც და უთუოდ მათთანაც მოაღწევდა.

ანტონი უცბად მოტრიალდა, თავისუფალ ფიწალს დასტაცა ხელი, მთელი ძალით ჩაურტო ნინოს მეტ მოტანილ თივის ვროვას და ზვინზე შეისროლა.

— ქალაქლო, მტვერი ჩაგვიკისერში, მტვერი, — დაუშალეს სოფელმა ქალებმა, მაგრამ ამ დამცინავი გაფრთხილებისათვის ყური არ დაუგდია. იგი შეუსვენებლად ურბენდა ზვინს გარშემო და თივის თალასებს ზედიზედ ისროდა ხეთისავარის ფეხებთან. გაფიცებული თივის მტვერი, მართლაც, უდიერად ეყრებოდა ნახევრად მელოტ თავზე, უცვივდებოდა თვალებსა და პირში, მაგრამ ანტონი უკან დახევას არ აპირებდა, იგი იმასაც მალე მიხვდა, რომ კისერში ჩაცვივნ-

ლი ხმელი მტვერი მხოლოდ ერთხანს უჩხვლტდა და შეაწუხებდა, მერე კი დაღებოდა და მშვიდობიანად მიგეწებებოდა გაოფლილ კანზე.

მაღე დაიღალა. მკლავები დაუდუნდა და გული ყელში მოეზჩინა, მაგრამ მინც შეუსვენებლად მუშაობდა.

სათიბებს ჩრდილი დაეცა და მზე-მაც უმალ დაკარგა ძალი. ჩუმად, ზანტად მაგრამ დაყინებით მოიწვედა ღრუბელ სამხრეთისაკენ. მრისხანედ იზმორებოდა და ვრცელ მიდამოს თავისი შავი კალთის ქვეშ იქცევდა. იგი თანდათან შედგედა, შეიკრა და ჩაშავდა. გაირინდა როგორც მტაცებელი ნახტომის წინ. მერე საღდაც უცბად გაიღევა და შორეულ ქუხილს ცივი ქარ-ბორბალა მოჰყვა. გაოფლილ ხალხს ძვლებამდე გაატანა და მტერისა და თივის კორიანტელი ცისკენ აღმართა. ახლა სხვა მხარეს დაიჭეხა და ცამ ცეცხლის შოლტებით გაროზგა ურჩი მწვერვალები.

— სეტყვა! — თქვა ხვთისავარმა და დამფრთხალი მიაშტერდა მეზობლებს — ამ ოხერმა თუ ბარამდე უწია, გაატიალებს იქაურობას, ახლა იქ ზერები მტევენებით დახუნძულია.

— თქვენცა გაქეთ ვენახები? — იკითხა გაკვირვებულმა ბატონმა ანტონმა.

— ჩვენ არა, იმათა აქეთ, მაგრამ მთა და ბარი ვინ გაჰყო. — თქვა ხვთისავარმა და ცერად შეხედა თავის მდგმურს.

თხილსოდენა სეტყვის მარცვლებმა ჯერ კანტიკუნტად იწყეს ცვენა, მერე თანდათან მოუწშიარეს და წუთის შემდეგ ეღვა-ქუხილი სწორედ სათიბების თავზე გადაიკლავნა. მიდამო ყრუ მშუილმა მოიცვა და ნაგვალავ მიწაზე აცეკვდნენ ყინულის უთვალავი ბურთულები.

გოგო-ბიჭები თივაში წაძვრნენ, დანარჩენებმა კი ბინისკენ მოკურცხლეს და ნაბდებსა და საწვიმრებს ეცნენ. დიდთავა ბრიგადირმა საკუთარი ნაბადი ნინოს მიუგდო:

— აჰა, ბავშვებიც და ქალაქელიც შეიფარე, დიდი ნაბადია, ყველას გაგაწვინებთ, — მიაძახა და თვალის-სხვასსა შეუძვრა საწვიმარში.

ბატონმა ანტონმა ფრიალ დაიმორცხვა „ცოცხალი ქვრივის“ საფარში შეხიზვნა და პირველად იმით დაკმაყოფილდა, რომ ნაბდის ერთი კალთის ქვეშ მხოლოდ ჭორტლიანი, მელოტი თავი და დალეული ბიჭები შეაფარა, მალე გამყინავი ქარიშხალი გაშმაგებული ეძგერა იქაურობას და ჯოჯოხეთურად ჩამოზნელებული ზეცა ღრიალით დაენარცხა დედამიწას. ქარიშხლის გუგუნს სეტყვის თქრიალი დაერთო და ისეთი წარღვნა წამოვიდა, თითქოს ზეციდან ათასი ჩანჩქერი გადმოშვებულყოფოს.

— ნაბდის კალთები ვიწროდ შემოიხვიე და მაგრად გეჭიროს, თორემ თუ აგვაგლიჯა, ბალებს დამიღუპავს, ეს ოხერი. შიგნით მოიწიე! — ჩასძახა ნინომ, მერე მოურიდებლად ჩასტიდა ხელი საყელოში და ბატონი ანტონი ნაბადში მთელი ტანით შემოიტანა.

ორი კუნძივით მკვრივი, ჩაჭირკული ბიჭუნა დედისა და ბატონ ანტონს ფეხებზე ეკვროდნენ და თან მთელი ძალით ქაჩავდნენ ნაბდის ბოლოებს, რომ ქარიშხალს ვერ შეეღწია. ბატონმა ანტონმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ბავშვები აქეთ- იქიდან მოიყენა და ნაბდის კალთები მჭიდროდ შემოახვია.

ამინდი კი თანდათან ცოფდებოდა, შავი გულამღვრეული ცა ქვეყანას გადარეგვას უპირებდა.

ბატონმა ანტონმა მალე ზურგს უკან ნინოს თბილი და მკვრივი სხეული შეივრძნო, რომელსაც რაღაც უცნაური, რძისა თუ ბალახის მაგვარი, ჭანმრთელი და გამაბრუებელი სუნი უდიოდა. ეს სუნი არ ჰგავდა ნელსაცხებლების სუნს, ყველგან და ყოველთვის ზიზლით რომ უყნოსია ბატონ ანტონს. არც ნინოსთანა სხეულის სიახლოვე უგრძნია მას არასოდეს. იგი რაღაც უჩვეულოს განიცდიდა... უცბად წარმოუდგა, რომ ამ ნაბდის ქვეშ თავშე-

ფარებული მისი ოჯახი იყო, თვითონ ანტონი და მისი ცოლ-შვილი, რომ ეს ორი კერკეტა ბიჭუნა მისი შვილები იყვნენ, რომ მერე ისინი თანდათან დაიზარდნენ და დაეკაცდნენ. ბოლოს კი წარმოდგევაზე ელვის სისწრაფით შეცვალეს ერთიმეორე: მისი შვილები ხან სამშობლს დამკველთა რიგებში ჩადგნენ და მთელი ქვეყანა მათს სინამაყესა და ვაჟკაცობაზე აღაპარაკდა, ხან კი სცენიდან მოხვეტეს დარბაზის მქუხარე ტაში და სიყვარული. ერთ წამში ისინი რა და რა აღარ გახდნენ ეჭიმები და სპორტსმენები, მეზღვაურები და მხატვრები, არქიტექტორები და მწერლები, გამომგონებლები და ჩარხების ამწყობნი. ანტონი კი ყოველთვის მათთან არის, მათი წარმატებისა და წინსვლის შემოქმედი, მათი მამა, ეს სახელოვანი ვაჟკაცები კი მისი შვილები არიან.

როგორ დაპატარავებულან და დაკრუწახულან ანტონის მტრები, ისინი სადღაც დაბლიდან ვაგლახად შემოპანავიან გამარჯვებულ მამას. ხალხი კი სულ ანტონის შვილების სიკეთესა და წარმატებაზე ლაპარაკობს...

უცებ ისეთი ძალით იჭექა, თითქოს მთელი დედამიწა შუაზე გაფხრეწილიყოს. ბავშვებს შიშის კივილი აღმოხდათ დამფრთხალი ნუკრებივით მიეკრნენ უცხო კაცის ფეხებს.

— ნუ გეშინიათ, შვილებო, — წამოიყვირა ბატონმა ანტონმა და ორივე შვილი იმედიანად მიიხუტა.

ჰაერის ნამებრის მძაფრი სუნით გაიღინთა — ჩანდა, მეხი სადღაც მახლობლად დგეცა.

ბატონ ანტონს ჯერ კიდევ ყურებში ედგა ქუხილის ჯოჯოხეთური ხმა, მაგრამ ქუხილზე უფრო მეტად იგი საკუთარმა ხმამ შეაყართო. მისი პირიდან დღეს პირველად ამოვიდა სიტყვა — შვილო. ოცნებისა და შიშისაგან იგი მალე გამოიერკვა, მწარე სინამდვილეს დაუბრუნდა და გაიხსენა, რომ ეს ბავშვები მისი შვილები სრულიადაც არ იყვნენ და არც თვითონ იყო იმათი მამა. გა-

უქრნენ მთელ სიცოცხლეში მართო ერთხელ მოსული ტკბილი ოცნებები.

ქუხილმა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა და თან გულამღვრეული შავი ღრუბლებიც აიდეცა. სეტყვა ისევე უცბად შეწყდა, როგორც დაიწყო. ასე სჩვევია მთას. დარჩენილი ღრუბელი ჯერ შეთხელდა და გაიციცა, მერე ნაფლეთებდად იქცა და დაწალიკებულ ნისლებად შეესია შორეულ ხეობებს. ცა გადაიწმინდა და მთებს შიახლოებულმა კაშკაშა მზემ აღმაცერად გადმოხედა ღრუბლების ნააკაკაარს.

მხვეტავებმა ნაბად-საწვიმრები მოიხსნეს, გოგო-ბიჭები წიოკობითა და სიცილ-ხარხარით გამოძვრნენ თივებიდან. დიდთავა ბრიგადირი, რომელსაც მხოლოდ თავი და მხრები დარჩენოდა დაუსველებელი, გახარებული იყო:

— ხედავთ, ხალხნო, როგორ ვივაჟკაცეთ, დროით მოვასწარით ყველაფერი! — გასძახოდა სოფლელებს. მერე ბატონი ანტონი მონახა და ბოღიში მოუხადა — დატანჯეთ, თქვენი ლექციის მოსმენა გვიანდოდა და არ გვეგონა, თუ ასეთი უბედური ავდარი დაგვატყდებოდაო.

ბატონმა ანტონმა გამხდარი ხელები მოისრისა, სათვალე შეისწორა და ბრიგადირს შეემუღარა:

— მე დღეს სიამოვნებით გიყურებდით, მართლაცდა ბეჯითად ირჯებოდით... მე კი ჩემი მოვალეობა არ მომიხდია. თუ შეიძლება, ბატონო, რამდენიმე წუთიანი საუბარი, ვიდრე წავიდოდეთ, ახლა ჩამატარებინეთ.

ბრიგადირმა ხალხს გადახედა — მაინც ვიცდით ტრანსპორტის ამოსვლამდეო — თქვა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჩვენ ვისაუბრებთ თემამე „აღამიანი და შრომა“ — თქვა ბატონმა ანტონმა და ცოტახანს შეისვენა. თავის მსმენელებს თვალი გადაავლო და დარწმუნდა, რომ მას ასეთი აუდიტორია არასოდეს ჰყოლოდა. არც დარბაზი, არც მაგიდა, არც სკამები, ვინ საწვიმარსა თუ ნაბაღზე ჩაცუცქულოყო,

ვინც ფეხზე იდგა და ისე უსმენდა. მიწასა და ადამიანებს ერთნაირად ას-  
ლიოდით ნაღვართქაფევის ობზივარი.  
თვითონ ბატონი ანტონის წაღებში ჯერ  
კიდევ გაჰქონდა ჭყაბა-ჭყუბი ყინული-  
ვით ცივ წყალს და მინც ასეთი მონ-  
ღომებითა და კმაყოფილებით არასო-  
დეს ჩაუტარებია ლექცია. ეს გაღუული  
კაცი საუბრის დროს თანდათან გას-  
წორდა და ბეჭებში გაიმართა. ამო-  
რავდა და ამბობდა, ხმას რიხი შეემატა  
და გულს ენერგია. ახლა ის სრულია-  
დაც აღარ ჰგავდა დილანდელ ჩია ქა-  
ლაქელს. მითილები ხატის ქადაგავით  
უსმენდნენ მის დამაჯერებელ საუბარს  
და ძალიან უკვირდით, რომ ეს კაცი  
სწორედ მათს სატყვივარს ლაპარაკობ-  
და. თითქოს მათს გულში მჯდარიყოს,  
ან მათგან დარიგებული ყოფილიყოს,  
ისე დოსტოლორე ჯავრობდა სოფელე-  
ბის საწუხარზე. აღმერთებდა შრომის  
მადლს და ძირიანად, თხრიდა მუქთა-  
ხორებსა და სხვისი ნაშრომის მიმთვი-  
სებლებს. იმოწმებდა ბრძენთა გამო-  
თქვამებს, ყოველდღიური ცხოვრებიდან  
მოჰქონდა ცხელ-ცხელი მაგალითები.  
ბოლოს ლექტორი სოფლის მუქთამჭა-  
მელებსაც გადასწავდა და სინანული  
გამოთქვა იმის გამო, რომ თურმე ამ  
სოფელშიც გამოჩეულან უღირსნი და  
უპატიოსნონი, რომელთაც ოჯახი და  
ხალხი მიუტოვებით და სხვისი შრო-  
მით გამდიდრება გაუხდით ზელობად.

ლექტორმა იქითვე გაიხედა, საი-  
თაც ნინო და მისი ბავშვები ეგულე-  
ბოდნენ. უნდოდა ბავშვებს არ ვე-  
გოთ, ვისზე იყო ლაპარაკი, მაგრამ პა-  
ტარების ოთხი, მაშხალასავით ანთე-  
ბული თვალი გაშმაგებით მისჩერებო-  
და მას, იმის მოლოდინში, თუ კიდევ  
რას იტყოდა მათი მამის შესახებ. ბა-  
ტონი ანტონი კიდევ უფრო შეკრთა,  
როდესაც ნინოს სევდიანსა და დაღ-  
რემილ სახეს მოჰკრა თვალი. ახლა ის  
მთელი ყურადღებით უსმენდა ქალა-  
ქელ კაცს და მის სახეზე სულაც აღარ  
იხატებოდა ის უსიამოვნო უნდობლო-

ბა, რითაც იგი ამ დილით შეხვდა ბა-  
ტონ ანტონს.

სტუმარ-მასპინძლების სადატყვი-  
სო კითხვა-პასუხები, ალბათ, შუალა-  
მემდეგ გავრძელდებოდა, რომ ტრაქ-  
ტორი არ მოთუხთუხებულყო.

თმახუტუტა და გრძელცხვირა ტრა-  
ქტორისტმა ზრდილობიანად შესთა-  
ვაზა ნავთითა და ზეთით გაზინთული  
სკამი და ბატონი ანტონიც დაეშვა  
ახმახი ტრაქტორისტის გვერდით.

— როგორ მოვეწონათ ჩვენს მთა-  
ბარი, სეტყვამ ხომ არ შეგაშინათ? —  
ჰკითხა ტრაქტორისტმა და ძრავა ჩარ-  
თო.

— ოო, ჩინებული რამ ვნახე, ჩემო  
ბატონო, ჩინებული, ეს დღე ჩემთვის  
დაუვიწყარი საოცრებაა. მე პირვე-  
ლად მოვეყვი ასეთ საშინელ ელქვექსა  
და სეტყვაში, რაღაც ნახევარ საათში  
ჩემს თავზე მთელმა სატანამ და ჯოჯო-  
ხეთმა გადაიარა, მაგრამ, რომ იცოდეთ,  
მინც დიდად კმაყოფილი ვარ. როგო-  
რი კარგი, მშვენიერი ადამიანები ვნა-  
ხე...

— აქაური ხალხი გამრჯეა და მეც  
აქ დავსახლდი, — დაუმოწმა ახმახმა  
ტრაქტორისტმა და მერე დაწვრილე-  
ბით მოუყვა, თუ სატრაქტორო კურ-  
სების დამთავრების შემდეგ ბარის სო-  
ფლიდან როგორ მოვიდა, როგორ შე-  
უყვარდა და როგორ შეირთოთ აქაური  
ქალი.

— ჩვენ რომ წესიერი თავმჯდომარე  
გვეყოლოდა, ერთი სოფელიც კი ვერ  
დაგვედრებოდა ვერაფერში, მაგრამ  
ისეთი წამნდარი კაცი იყო, რომ ხალხს  
მთლად დაუკარგა შრომის ზალისი.  
ივრე ცხოვრობდა როგორც ხემწიფე.  
სოფელშიო კაზარმების ხელა სახლი  
ვარო, რაიონში სახლი ვარო. თბილის-  
ში შვილები ჰყავდა და იქაც ბინა ვა-  
რო, მანქანა შეიღსო, მანქანა სიძესო.  
მერე ფერმების გამგებად სულ თავი-  
სიანები გაიყვანა და ყველ-ერბოს  
სინსილა გააქრეს.

— მერედა რატომ არ ამხილეთ და



არ გააძევეთ ის გარეწარი, — აღშფოთდა ბატონი ანტონი.

— იი, შე კარგო ადამიანო, ვამხილეთ რომელია, განცხადებებით, სანიერებით, რა აღარ გვაკეთეთ. რევიზიაც კი გამოვითხოვეთ, მაგრამ საქმეში ხარი ჩვენი ჭიშია თავმჯდომარე ისე იყო რაიკომის მდივანთან შეკრული, რომ რა გამოგვივიდოდა. ვიდავებდით, ვიყვირებდით, მაგრამ ვერა და ვერა, ვერ მოვიშორეთ. მერე დაგვერეოდა ნოთავეებსა და სულ კუპრის აღში გაგვატარებდა, რაც ფარაში კარგი და ნთავარ-მთავარი ყოჩები და ცხვრები ერია, სულ ჭიშია თავმჯდომარისა იყო, მღორეები ჭიშისა კერატებს ცალკე აკმევენენ. აბა ბიჭი იყავი და შენი მწყემსობის დროს ჭიშისა მოზვერი, თუ დეკეული მკელს მოეკლა, იმავე დღეს თავისი უნდა მიგეცა. ფერმის გამგეები შეკრული ჰყავდა, მწყემსებს აშინებდა და აბა პირუტყვი კიდევ, ვინც გინდა რევიზორმა დაკითხოს, სიმაართეს ზომ ვერ ეტყვის.

— ბოლოს როგორ მოიშორეთ, ის საძაგელი? — ვედარ მოითმინა ბატონმა ანტონმა.

— ბოლოს? ბოლოს ვითხრა, რაიკომის მდივანი გამოცვალეს და ერთი კვირის შემდეგ ახალი მდივანი ჩვენს კანტორაში მოვიდა. ავდექი და ჩემთვის ვთქვი: რაც მომივა მომივა-მეთქი და პირდაპირ მივედი. ბულალტერმა დამიბღვირა, ჭიშია თავმჯდომარემ თვალთ მანიშნა: — აქედან მოუსვიო, მაგრამ მე ისინი აინუნშიც არ ჩავადდე და რაიკომის მდივანს ვუთხარი: — უფროსო, ჩვენი თავმჯდომარე ღორია-მეთქი. — რატომაო, — მკითხა. იმიტომ-მეთქი, რომ ღორმა იცის ეგრე, რომ გაძღება და ჭიმა აღარ შეუძლიან, წინ დაყრილ სიმიდს წაჰკრამს დინგსა და იქით გადაყრის, წამოჰკრამს და აქეთ გადმოჰყრის, ჩვენი თავმჯდომარეც ასეთია, თვითონ გაძღა და ახლა ჩვენს შრომას აქეთ-იქით ფანტავს-მეთქი. რაიკომის მდივანს ცოტას გაეცინა. ჩვენი ჭიშიაც გაიღრიჭა, აქაოდა ვითომ

მეც მეცინებოთ და რაიკომის მდივანს უთხრა ჩემზე: საწყალი, ცოტა ჰკვანაკლებიაო, რაიკომის მდივანმა ცერად შეხედა და — არაფერზე ეტყობა ჰკვანაკლებობაო, — უთხრა, მერე კი ამოიღო ჩვენმა ხალხმაც ხმა და რა ამოილო, ჭიშია თავმჯდომარე სულ გაასაგლავეს. ეგ იყო და ევა, ერთი კვირის შემდეგ ჭიშისა თავისი ასარ-ბასარებით კულზე ცოცხი მოვებით და ჰაიდა, გავგზავნეთ იქვე, საიდანაც ოცი წლის წინათ მოვიდა.

— ასე უნდა მუქთახორებს, — მოიოხა გული ბატონმა ანტონმა, — ახალი თავმჯდომარე როგორია?

— აქაურია ჩენი ტოლი ... გამრჯე, ყოჩალი ბიჭია ...

ტრაქტორმა თუხთუხით, რახრახითა და ჯაყჯაყით როგორც იყო ჩააღწია სოფლამდე. ფართო შარახე გაიმართა და მტერის კორიანტელი დააყენა.

— ხედავ, უფროსო, როგორია აქაურობა, იქ სათიბი სერები სეტყვამა და ნიაღვარმა გარეგვა, აქ კი ერთი პატარა ყუყუნა წვიმაც ვერ გაიმეტა, რომ ეზოები ცოტა-ჭინც დაეღბო. ქალაქელები რასაც ვააკეთებთ, ნაღდია, ჩვენ კი ეშრომობთ, ვშრომობთ და ცალი თვალი ცისკენ გვიჭირამს, სეტყვაო, გვალვაო, მოყინვაო და ათასი დოხანა ყველაფერი ჩვენ გვიჭირებს საქმეს.

სოფლელები საბარგულიდან თანდათან ჩამობარგდნენ და ხუჭუჭა ტრაქტორისტს ბოლო გაჩერებამდე მხოლოდ დიდთავა ბრიგადირი და ხეთისავარიღა შემორჩნენ. ტრაქტორი პირდაპირ ხეთისავარის ეზოს მიადგა. მოხუცი ჩამოხტა თუ არა საბარგულიდან, ეზოში თავისავით ჭადარა მეუღლეს მოჰკრა თვალი და გასძახა:

— პა, მოვიდეთ თუ დაეიშალოთ? იცოდე დღეს იმდენი საქმე გვაკეთეთ, რომ კარგი ხინკლის ღირსები ვართ.

— ასეთი კაცია ჩვენი ძია ხეთისავარი ... ხათრს ნუ გავუტეხავთ, — თქვა ბრიგადირმა და დიდი ხნის შე-

თვისებული შეგობარვით მოხვია ხელი ბატონ ანტონს.

ერთნახადმა ეპიტაურმა სუფრა გაახალისა, სულ მალე ორთქლით დანისლული ხინკლიანი ტაბაკი შემოუძღვა ჭადრა დიასახლისს. ზეთისავარმა ჭერი და ფუქე დალოცა, სტუმრები ადღეგრძელა და ბოლოს სინანულიც გამოუტრია:

— რა ვქნათ, ვოგოები დავათხოვე, ბიჭები ქალაქში დასახლდნენ, ვსხედვართ მე და ჩემი დედაბერი და ერთმანეთს შევეყურებთ. მაგრამ მინამ ცოცხალი ვარ, მამა-პაპურ კერას ვერ გავაციებ, რაც შემოძლიან, მტერსაც აქ დავხვდები და მოყვარესაც.

ბატონ ანტონს გაუჭირდა ეპიტაურის დაღევა, რადაც უსიამოვნო გემო და აუტანელი სუნი ჰქონდა, მაინც არ აგრძობინა მასპინძელს, თვალეზი დახუჭა და ჭიქა ერთყლუბად გამოსცალა.

— ყოჩად ქალაქელო, ბარელები ვერ იტანენ აჭაურ სასმელს, — მოუწონა ბრიგადირმა.

— მე არაყს საერთოდ არ ვსვამ, მაგრამ დღეს მიწადა ყველაფერში აჭაურებს ვგავდე, ოღონდაც ბევრს ნუ დამალევიანებთ...

სუფრა თავისი გზით წარიმართა, ვალდა და ახმაურდა, სტუმარ-მასპინძლები უფრო მეტად შეეტკბნენ და მოესიყვარულნენ ერთმანეთს. ეპიტაურმა თანდათან გახსნა სულის ცხრაკლიტული, და რა აღარ თქვეს და ვინ აღარ მოიგონეს! ბატონი ანტონი ასეთი სუფრის მონაწილე, ალბათ, არა ყოფილა. ბევრი რამ საინტერესო გაიგო სოფლელებისაგან და ვალში არც თვითონ დარჩენილა. მას არა მარტო ეკითხებოდნენ, არამედ ყურადღებით უსმენდნენ...

დიდი ხანია, რაც ბატონ ანტონს ყალბმა და პირმოთენე სადღეგრძელოებმა სატიკიარვით შეაძულა სუფრა და მოსუფრენიც. ყოველ ბანკეტსა თუ წვეულებაზე იგი იყო ავბედითი მოწმე იმისა, თუ როგორ იდგამდნენ წელზე ფებს „რიგითნი“ იმისათვის, რომ სხვებზე უკეთესი საამო სიყალბე შეეტენათ ყურში „უფროსისათვის“.

აქ კი, დახეთ, როგორი პატივისცემით უგდებდნენ ყურს მის პირუთვნელსა და გულწრფელ საუბარს. ყველაფერზე მეტად კი ბატონი ანტონი იმან აღადრთოვანა, რომ თურმე შეიძლება მწყემსებსა და მეცნიერებს ერთნაირი შეხედულება ჰქონდეთ აღამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრებასა და შრომაზე. ეს უკვე აღმოჩენა იყო მისთვის.

კარგად შეღამდა. ბატონმა ანტონმა დაღლილობა იგრძნო და თანაც დაძინება მოუნდა. მასპინძელს თავაზიანი მადლობა გადაუხადა და წასვლის ნება ითხოვა.

ბრიგადირმა კიბეებამდე მიაცილა და დილანდელი პირობა გაახსენა:

— ძალღი უკვე დამწყვედეულია, ველარ შეგაწუხებთ, ძილი ნებია.

ბატონი ანტონი შეცბუნდა, ძილმოდალეებული თვალეზი ფართოდ გაახილა:

— არა, ვეთაყვა, საჭირო არ არის, გაუშვი იყეფოს, მე დღეს ნერვები ისე დაწყნარებული მაქვს და ისე მინდა ძილი, რომ ძაღლის ყეფა კი არა, ყურის ძირში რომ ზარბაზანი დამიცალოთ, ვერ გამალვიძებ. ეგ არა, ხოლო, ზვალ თუ კიდევ გამიყოლებდით სამუშაოზე, დიდი მადლობელი ვიქნებოდი, — თქვა და პირდაპირ საწოლს მიაშურა.



საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

გონდო კახელავა

## პასუხი გეგობარს

შენ შემომჩივი: — სიხარული გამინაპირდა,  
სასოწარკვეთას ვებრძვი, ვაჭრობ, მაინც ჩემშია,  
თანდათანობით ვგრძნობ მიმართევს უფსკრულის პირთან,  
აი, ამ დღისთვის ლეკვიც კი არ დამიგეშია, —

გამომაფხიზლოს, შემომყეფოს, დამიწყოს დავა...  
და ვსვამ აქ წერტილს... შეგაწუხებს ბარათი ვრცელი.  
არ ვიცი, აწი დღენი ჩემი თუ როგორ წავა,  
ცუდად ვარ, ძმაო, მომეშველე, შენს პასუხს ველი.

— ჭაბუკობიდან შეგზარდე ბრძოლას, შეტევას,  
ასე ერთბაშად შენში ეს ვინ, როგორ აღკვეთა,  
მაოცებს ურვა მაგ გულმკერდში როგორ ეტევა,  
უფსკრულისაკენ ვით გიბიძგა სასოწარკვეთამ.

შენ კარგად გესმის ამა სოფლის ავან-ჩავანი,  
უეკალნაროდ ეს დიდი გზა არ გაგივლია.  
გარდაგზდა ღელვა, ჭირი, ჭორი მრავალთ-მრავალი  
და თუ გიტევდნენ, არც შენ იყავ ჩიტი ნიბლია.

წაბარბაცება, მარცხი, ელდა არ გიგლოვია,  
მწარედ არასდროს დაგლარვია ცრემლით ღაწვები,  
არ შეურუჯავს ფრთები შენთვის დღეებს გოლვიანს,  
არც გამადლიდნენ დღეგრძელობას ჯიხვის ყანწებით.

აბა რა მოხდა, სამედურავი რა გაქვს არ მესმის.  
იქნებ ხანდაზმულს ისე უცებ დაგაკლდა ჯანი,  
რომ არც ელოდი... უძღურობამ აგროვა გესლი  
და მსუსხავ ფიქრთან ჭიდილის ქამს აღივსე ჯავრით.

დაცხრი, დაწყნარდი, წუთისოფელს მკვირცხლად გახედე,  
მცირე რამ საწყენს გაუუზდი, ნუ გააშიშვლებ...  
ნუთუ შენ თვითონ არ შეგრცხვება ისე გახელდე,  
ალერსი შენი მოანატრო შენს შვილიშვილებს.



ზღვის პირს ბინა დავიდე, ზღვა არ ლელავს, წყნარია,  
 უღრუბლო ცა დამნათის, აღარც ნიაფ-ქარია.  
 არ ვუმატებ, არც ვუკლებ — კარგზე კარგი დარია,  
 თვალში გამოვიხედე, აქ ვარ და მიხარია...

ზღვის პირს ბინა დავიდე და დღითი დღე ვმშვიდდები,  
 თუნდა აღელდეს შავი ზღვა, მას არ შევეუშინდები,  
 ბაღში ვარ და ფიქრებით სად არ გადაფურინდები,  
 მზით დამტკბარნი სკდებიან კამელიის კვირტები.

საყვარელო გაზაფხულო, შრომის გაზაფხულო,  
 ჯერჯერობით, იავ ჩემო, თოვლში ჩამარხულო,  
 თქვენი ხილვა მომენატრა, თქვენთან საუბარი,  
 როდის, როდის დამშვენდება თქვენით მთა და ბარი.

სულწასული კაცი არ ვარ, იქნებ ცოტა ჩქარი,  
 ამიტაცებს რომ შემომკრავს მარტის ნიაფქარი.  
 მჯერა აპრილს მოვესწრები, ეს უთუოდ მჯერა,  
 შეხარება გაზაფხულის არ ჩამქრალა ჯერაც.

## პოეზია

ჯერ კიდევ ზღვისკენ გული არ იწევს,  
 ჯერ კიდევ ზღვასთან ვუცდი შეხვედრას.  
 ყრმამ აქ დღეები, რომ დავამიწე,  
 ვისურვე მათთან ფიქრით შეხება...

თქვენ არ გეგონოთ სახეტიალოდ  
 მოცლილი ვიყო, დროს არ ვზოგავდე,  
 და არ მერჩიოს ჩემს სატრფიალო,  
 ლექსს ხან ეჩარხავდე, ხან კი ვროზგავდე.

ვროზგავდე, რადგან ისე არ მოდის,  
 გუშინ, გუშინ წინ, როგორც მინდოდა.  
 მომრავლდა ლექსი სხვა და სხვა მოდის,  
 ვერ ვვუბნებ ლექსის უამინდობას...



მე არ გაკადრებთ ნათქვამი სხვისი  
გაგიზიაროთ გესლით ან შურით...  
ვამჟღავნებ, რაც ყურს მოხვდა ვით რისხვა,  
რაც მოვისმინე საკუთარ ყურით...

არ გაქვთ უფლება წუთით დაეჭოდეთ,  
ფაქტს რედაქტორი როცა თვით გვესვრის.  
— ამხანაგებო! შარშან დაგებუდე,  
ოთხმოცდაერთი ავტორის ლექსი.

უბედურებას მსმენელთა შორის,  
ის სინანულით თუ არ აცხადებს,  
რით ვუპასუხოთ მარცხს რედაქტორის,  
რად გაიკვირებთ მე რომ გავცხარდე...

სჯობს, სჯობს ვუფროთხილდეთ უსაქმურ ლექსებს,  
მკითხველს ნუ ერჩით ლექსთა სიმრავლით...  
ლექსი ხალხს თუ არ მიუაღწერსებს,  
არ ახლავს მცირე რამ ძალა რვალის...

იქ არ იგრძნობა ყოველი სიტყვის  
გულდაგულ წრთობა, მოვლა, ფერება  
არად ჩაადგეთ თუ ვინ რას იტყვის,  
სთქვით, თუ ღმერთი გწამთ რა გემღერებათ?..

თუ თქვენს ლექსებზე ერთმა მეორეს —  
— რა კარგიაო, წრფელი ხმით უთხრა.  
ეს ხმა თუ სხვებმაც გაიმეორეს,  
თქვენზე ცუდის მოქმელს სულს დაუთუთქავს...

სულ არც ის კმარა, ვინ-ვის რა უთხრა,  
იქნებ გზოგავენ, ჭება ძმურია...  
მკითხველს თვალები თუ მოექუფრა  
გწამდეთ ის ლექსი უსაქმურია...



## ახალი ლექსები

### უნდა ვუშველოთ...

სიკეთე მხოლოდ ამ გულს აჩნია  
და გულის გარეთ ამაოდ ვეძებთ,  
მას ერთადერთი გზა გააჩნია,  
როგორც საჩქაროდ გაცემულ რეცეპტს.

მას ერთადერთი გზა გააჩნია  
და ეს გზა სწორედ ხალხთან მიგიყვანს...  
სიკეთე ზოგჯერ ბრწყინავს თვალშიაც,  
ეს — გააჩნია,  
რა და ვინ გიყვარს.

როგორც ნახანძრალ ტყეებს უშველოს,  
ადამიანებს სჭირდებათ შველა;  
უნდა ვუშველოთ,

უნდა ვუშველოთ,  
უნდა ვუშველოთ  
ერთმანეთს ყველამ.

შველას არ უყვარს ყოყმანი დიდხანს, —  
დარაზო კარი,  
თუ არ დარაზო...  
ეს ღამეული მითრთოლვარე სიტყვა  
არ მიატოვო გზაზე არასდროს!

თორემ თუ ბედი დარჩა ბედითად,  
ათასი ღმერთიც ვერ შეცვლის მერე  
სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინთან  
მისაშველებლად გამოწევილ ხელებს!..

## ი ბ ე რ ი

რა ღირს იმედი თეთრ სამეფოში,  
იმედის ფერი როცა თოვლია?  
პოეტისაგან ნუ გინდა გროში, —  
სანაცვლოდ წამიც არ მითრთოლია.  
რა უხვად ბარდნის, ხედავ, სიწმინდე,  
ჯერ კიდევ მიწას შეუხებელი?!  
ნეტა, საითაც ხელს გაიწვდიდე,  
იქ მყავდეს სული, შენი მზლებელი.  
გადაირია სივრცე სითეთროთ,  
მთლად დაივიწყა ღამემ სიშავე...

ამაოდ თურმე შენს გზას მივდეგდი,  
რა დაგიშავე, რა დაგიშავე?  
დღესაც ამაოდ ვარ მოიმედე,  
ჩემი თეთრონი შორს გამიჭარდი;  
ბრმა ბედისწერას რატომ მივეწდე,  
რისთვის მიყვარდა, რისთვის მიყვარდი!..  
რა ღირს იმედი თეთრ სამეფოში,  
როცა იმედიც თეთრი ფერია?!  
მე კი სიყვარულს ლექსად შემოვრჩი,  
ხოლო იმ ლექსსაც სხვები მღერიან!..

სულ გაქრი ბარემ, თუ გამიქრები,  
არ გასიზმრდება, რაიც ცხადია.  
შენს სახელს წერენ ცაში ფიფქები,  
მაგრამ მიწაში ცრემლად ჩაიდან?...  
არა! არ ნიშნავს ფიქრი გოდებას,  
ფორნის ფრთასავით რომ გაფოფრილა;

რა ღირს იმედი ფიფქის ოდენა,  
როცა ამდენი ფიფქი მოფრინავს?!  
სულ შენს ხოტბაში გაცვდნენ მანგები  
და აღარ ვიცი, რა, რა დაგარქვა,  
შენ, ვინც არასდროს არ ეკარგები  
მას, ვინც ყოველი უკვე დაგარგა!..

## საქართველოს და ხვალისდედი

დაპყრია ცვარი მთებს აღმასვლად,  
ირემი ირემს ვტრფის ბლავილით;  
ვინ იცის, როგორ შელამაზება  
არაგვისპირის თეთრი ყვავილი?!

დე, მუბატიოს ეს გახელება,  
რაკი სიმშვიდე არის განთქმული;  
ვინ იცის, როგორ შესახელება  
ფესვებგადგმული გვარი ქართული!..

რა საოცნებო ფერი მედება,  
საიდან მოდის ვე სიხარული?  
ვინ იცის, როგორ შეიმედება  
ჰერაც უთქმელი ლექსი ფარული?!

გული სხვა განცდას კერც ინატრებდა,  
ისეა ტრფობით ნატორტმანები...  
ვინ იცის, როგორ შესინათლება  
მზიანი ჩრდილი სატრფოს თვალეზის!..

ჩემი ხვედრია ეს გახარება  
და სხვა განძისაც მე ვარ მიმთვლელი;  
ვინ იცის, როგორ შესაყვარლება  
საქართველოს დღე ხვალისდედი?!

აქ ბატკანივით მზეც რომ დაება,  
გულს რა მოუვა მკერდით მოთხლემილს?  
ვინ იცის, როგორ მეცოტავება  
ერთი სიცოცხლე ამ სამოთხემი!..

## ნ ა ბ უ ლ ი

ძალდი რაც უფრო დგება ნაბულზე,  
მით უფრო ხშირად ესები ჩახმახს.  
თუ დღენი შენი მშვიდად დაფურცლე,  
მშფოთვარე როგორ გიწამოს ხალხმა?!

თუ პოეტი ხარ, დეღვით გვაუწყე,  
რაც მიიტანე საკუთარ გულთან,  
დე, ყველა სიტყვა იდგეს ნაბულზე,  
რომ ყველაფრისთვის მზად იყო მუდამ.

## გასიჩნება ქალაქბაიო

ვინ დამიძახა ამ ტრიალ ველზე? —  
გარშემო მხოლოდ ბალახი მღერის.  
მე ხომ მართლ ვარ ამ ტრიალ ველზე?  
თითქოს სახელი მომესმა ჩემი!..

არავინაა ამ ტრიალ ველზე,  
გარშემო მხოლოდ ბალახი მღერის.

ვინ დამიძახა ამ ტრიალ, ველზე,  
ვის გაახსენდა სახელი ჩემი?!

გამოყვდი ქალაქს. ამ ტრიალ ველზე  
სახეტიალოდ მოვედი ვითომ;  
საიდან გაჩნდი ამ ტრიალ ველზე  
შენ — შთაგონების მეუფე დიდო?!

## ღამიანული ოქრო



ნე ოცნების ნიავეებით  
 ალბათ სული ამომძვრება,  
 ვეტრფი, ველოლიაგები  
 დღე და ღამე ამ ოცნებას:  
 სიკვდილამდე ორი თვალი  
 ავიშენო იქნებ ოდა...

რა ვიცოდი, თუკი ოქროც  
 დასამარხი იქნებოდა?!  
 რა ჭორების სიჭრელეა,  
 ეს რაგვარი ხმები მესმის?!  
 ათას ოქროს მირჩევნია  
 სიყვარულზე ერთი ლექსი.

## მოდო, იგვარს გავგარჯოს სიყვარულს

რა ფასი აქვს,  
 თუ იმგვარად გიყვარს,  
 რომ ვერ არჩევ კეთილსა და ბოროტს;  
 საიდუმლოს გამოგტყუებს ვიღაც  
 და ღვთის გლახად მოგნათლავენ ბოლოს.

მესმის კაცი —  
 ქუდი არ მოიხაროს,  
 რაც გინდ ღვარძლი მიუფრქვიონ მიზანს;  
 მოდი, იმგვარს გაუმარჯოს სიყვარულს,  
 სიძულვილს რომ გაგახსენებს მტრისას.

## სახელდახელო პასუხი პოეზიის მოყვარულთ

„წაგვიკითხეთ თქვენი საუკეთესო ლექსი“  
 მონაწერი დარბაზიდან

ო, ამას რა სჯობს!  
 თქვენ ლექსს ითხოვთ საუკეთესოს,  
 სწორედ ისეთ ლექსს,  
 კაცს რომ რწმენა გაუკლდევდეს!

ღრმეთმა ქნას,  
 ყველას ჩინებული საქმე გვეთესოს,  
 ო, ამას რა სჯობს,  
 მაგრამ მე რომ მოგმართოთ ახლა,  
 უბრალოდ გთხოვთ,  
 რომ თქვენს შორის საუკეთესო

წამოდგეს — მეთქი,  
 რა გგონიათ?  
 აი, რას ვნახავთ:

არც ერთი წამით,  
 მწამს, არაფინ დააგვიანებთ  
 და ყველა ერთხმად წამოიშლებით ფეხზე!..  
 მაშ, გაუმარჯოს  
 საუკეთესო ადამიანებს,  
 და,  
 რა თქმა უნდა —  
 საუკეთესო ლექსებს!..



## შელამების ტაბსთან შეხვედრი



ვდგავარ ტბის პირას  
მყუდროებით შენაშფოთები,  
სეების ზემოთ  
ცას ვერც ეხედავ, ისეა სუფთა.  
ტბაზე  
უძრავად მოტივტივე  
ბრტყელი ფოთლების  
ისმის მდუმარე საუბარი  
არგლილ შუქთან...

უხმოდ დავცქერი  
შელამების უცნაურ ციმციმს  
და ვგრძნობ,  
საცაა ყოველივეს შთანთქავს წარსული;  
მე ამ ფოთლებზე  
ერთადერთი ზღაპარი ვიცი,  
ოღონდ არა აქვს  
არც სათავე,  
არც დასასრული!..

## ღვას კელესია მთაზე უხატო

ღვას გელესია მთაზე უხატო  
სავსე სიჩუმით და სინოტივით.  
სიძველეს რითი გადაეუხადო,  
დაძველებულა ყველა მოტივი.

მხოლოდ გუმბათზე ხავსი ხასხასებს —  
უკვდავი მაცნე გატიალების,  
და ნაწვიმარი კედლებს ხაზ-ხაზად  
აჩნია, როგორც ნამტირალევი.

## ქარები მთაზე

ახურავს დამე მძინარე კარებს  
და ძილში ღვიძავთ ნაირფერ სიზმრებს.  
და უსასრულოდ გამლილი სივრცე  
უსასრულობის ნაღველს იქარებს...

არცთუ სასარფო ვარიანტო —  
მშვიერი დახვედე მთების პირქარებს.

კარვებზე ძეწნის ფერი იქარებს,  
სადღაც მგლის წყვილი თვალი ანთია...

ტყვიდან კივილი ისმის ტურების  
და აჭრიალებს ტყეს უსიამოდ.  
კარვებში ისევ ძილი მზიანობს,  
შორს კი ქალაქის ჩანს კონტურები!..



## კველი ყარაჩოხელი

მოთხრობა

ღრმად პატივცემული ტიტოკო მხიარული კაცია. ისიც ხალისით შეპფიცებია ამ დალოცვილ შვეს. ერთთავად ელიდინება, შუბლზე ნათელი გადასდის. თუ არა და, რამ უნდა მოყამოს. ცხოვრების სიავეს ჯერ ხომ არ უკბენია გულზე. შინაც საღიმილედ მოპქტევივია საქმე და ვარეთაც. ხელობაც ხელს უწყობს. უფრო სწორად, თავისი სამსახურისათვის მიუსადაგებია გუნება-განწყობილება. ნიადაგ რომ არა ემხიარულობდე, პანდურით გამომაგდებენო, — გულახდილად პასუხობს ხოლმე არამკითხვე ცნობისმოყვარეებს.

„მოდი-მნახეს“ დახლიდარია.

„მოდი-მნახე“ ერთი პატარა რესტორანია დიდი გზატკეცილის მახლობლად, მომცრო მდინარის პირას მდგარი მწვანიაში ვალაღებულნი, თავის მიმზიდველ სუნს რომ ურევს მშვენიერი მიდამოს სურნელებში. „პურის-ქამელ ბიჭებს“ გაგებული აქვთ მისი გემო და აქვთ ისწრაფვიან გულის სანავარდოდ. მისი სახელი დიდ ქალაქამდეც ჩაღწეულა და ხშირად მოადგებიან ხოლმე ბლღვრიალა მანქანებით საზარხომოდ.

აბა, სანადვლოდ ვინ შეუღებს კარსა!

გამამხიარულებელნი არ აკლდებიან და ტიტოკოც არ იღვეს სახეზე ღიმილს.

— მოვედით, ტიტოკო! — შორიდანვე შემოსძახებენ დარდიმანდები.

— დიდება თქვენს მომრძანებას! — და თავისუფალი მაგიდისაკენ მიუძღვის.

— სუკი გააქვთ? — კითხულობენ ახლადმოსულნი, კბილებში რომ გასჯდომოდათ აქ აშიშინებულნი მწვადის გემო.

— რომელს ინებებთ, ნაღდასა თუ თაფლა-სუქსა?

— კვი კაცი ზარ!

— ცოცხალი თუ გაქვთ, ტიტოკოჯანი — კარის შემოღებისთანავე კითხულობენ სხვა ბიჭები.

— თქვენთვის ყველაფერს გავაჩენ!

— აბა, ჰე, ჩქარა ქენი! — და შეთავაზებულ ადგილს იკავებენ.

ისე აეწყობა საქმე, როგორც ტიტოკოს გულს გაეზარდებდა. მოდიან და მოდიან ახალ-ახალი ჯგუფები, დიდი თუ მცირერიცხოვანი, მოდიან და მოპყვებათ დარდიმანდული ხალისი. სიზარულით ივსება ეს პატარა რესტორა-

ნიც და ტიტოკოს გადიდებული გულცი.

მხიარულება ტრიალებს დიდ დარბაზშიც, პატარა კუბეებშიც, აივანზეც, ეზოშიც. მხიარულება შეიჭრება სამზარეულოშიც, საკუჭნაოშიც, საწყობ-მაცივარშიც, დირექტორის კაბინეტშიც. ეს უჩვეულო სიხალისე გადაედება კიდევ მრავალს და მრავალს, გადაედება ხვალ, ზეგ, მაზეგ, კვირის ბოლოს, თვის შერე, მოარულივით იელის აღმა-დაღმა. ამ სიამით გულაც-მუკვებული ტიტოკო და მისი ერთგული თანამზრახველნი მხიარულად და ცოცხლად ტრიალებენ.

— ტიტოკო, აქეთ!

— ტიტოკო, ჩქარა!

— ტიტოკო, ცოცხლად!

— ტიტოკო!

— ტიტოკო! — ისმის აქეთ-იქიდან თამაში, ხალისიანი, შიგადაშიგ მწყრალი და მედიდური შეძახილები.

ტიტოკო ცდილობს ყველას ასიამოვნოს. დროზე აუსრულოს უნიანი წადილი, მარიფათიანად მიმორბის, მხრებზექნეული მიტუსტუსებს, შენაკვეთს მიაძვებულებს, გემრიელ მისართმევს სურნელოვან სიტყვას მოაფრქვევს, ღიმილად და ოფლად იღვრება.

— ტიტოკო, დაგვლოცე! — სავსე ჭიქას გაუწოდებენ ქეიფის ეშხში შესულნი.

— სულ დალოცვილები ბრძანდებოდეთ! — თან სწრაფად წასწვდება მოთავაზებულს. იცის, რომ არ მოეშვებიან და იმიტომ უფრო არ ეუარება, თორემ სადა აქვს საამისო დრო, რომ ყველას ხასიათი გაუსწოროს. ჩქარ-ჩქარა დალოცავს, იმ უთვალავჯერ ნათქვამ სალოცს ახალივით ფერსურნელოვნად იტყვის და ისევ ციმკიმ დადგამს სავსე ჭიქას.

— დალოცე, ტიტოკო! — მიაჩერდებიან თვალარეულნი.

— ო, არა, წვეთი არ დამელევა, ძლივს გადავურჩი ინფარქტსა... —

ცრუობს ამდენი დაძალებით გაბურბებული და მობოდიშებით სტოვებს იქაურობას.

ახლა მეორე მაგიდასთან უნდა მიიზრინოს, მესამესთანაც, მეოთხესთანაც. თვლასაც ვერ აუღის.

მსუქან ლოყებზე ოფლის ჭენჭი ჩამოსდის და შესამშრალებლადაც ვერ იცლის.

არაქათი გამოეცლება უღმერთო მუშაობით, მაგრამ ამ დაღლას იმდენი სიამე მოუყვება, დღედაღამ რომ ბედაურივით იოფლებოდეს, დასვენებას არ ინატრებს. და თუ ჩამუხლება მოსწყურდება, მხოლოდ იმიტომ, რომ გახარებული მწიფიდანავით მიითვალოს მტევნები...

აჰა, საშაბაზე ჯამიც მოაწვეს.

თითქმის მოშუალამევედება. შურმა-რილითა და ერთურთის ქებით მოყირკვებული მოქეიფენი დასტა-დასტად აიშლებიან. ერთმანეთს ლოშნა-კოცნითა თუ ტრაბანქადილით, ზანზაცი-თა თუ აყალმაყალით სტოვებენ იქაურობას, დასტებიც კლებულობს და ხმაურიც. ის დაგვიანებული ჯგუფიც იკმარებს ქეიფს. „მოდი-მნახე“ მთლად დაიცლება და დაწყნარდება.

ტიტოკოც დასვენებს მუხლებსაც და ენასაც. პატარა მაგიდასთან ჩამოჯდება, ღონიერად ამოიხენეშებს, დაქენჭებულ სახეს იშრალებს და ფშვე-ნით იტყვის:

— უჰ, როგორ დავიღალე!

ამ თქმაში ჩივილის ნატამალიც არ არის. პირიქით, მადლიერება და კმაყოფილება გამოიხატება.

შეიარაქათებს და დღევანდელი ნამართვალის დაგვირგვინებას შეუდგება. სათვალეს მოირგებს იმ ჩაძვრენილ თვალებზე, მომცრო საანგარიშოს მოიმარჯვებს და პაწია ბლოკნოტში შეყუჟულ ციფრებს დაუწყებს ხელაობას, ციფრები კალმახებივით უსზღტებიან გონებადადლილს, მაგრამ სად წაუვლენ! კვლავ ხალისით წაეპოტინება თვითეულ ოქროსთევზას და ხელბედნიერი მებადურივით გუ-

ლგახარებულა, მოსალოდნელზე მეტს რომ მიითვლის, სულ დაავიწყდება და-  
 ლილ-დაქანტულობა. ისეთი ძალღონე და სულიერი აღმაფრენა ენიჭება, რომ ასე ჰგონია, საცაა აფრინდება და ზე-  
 ცაში გაუჩინარდება. მაგრამ მიწაზე ყოფნას ამჯობინებს, კმაყოფილების გრძნობა კვლავ ერთმანეთით დაუ-  
 ვლის მსუქან სხეულში, უჩვეულო გან-  
 ცლით შეთრთოლდება. ერთხელ კიდევ დახედავს საამო ციფრებს და სალილი-  
 ნელ აულიტონდება გული. ჯამს ყოფს ზეპირად, მისხალშიც არ მოტყუვდება, სათავისო ციფრს გამოაცალკევებს უმაღ, სხვა ციფრები უქრებიან, თავი-  
 სი კუთვნილი კი თვალის წამწამზე და-  
 უჭდება, სასიამოდ აელანდება. ეს ლა-  
 ნდი ექცევა მუზად; იმიტომ შესხშია ფრთები, იმიტომ ემღერება. ციფრების მუზას ისე აუტაცნია და გაუბრუნებია, რომ რას ღლინებს, რა სიტყვებსა და მოტივზე უმღერის გული, თვითონაც არ იცის.

როცა ასეთ განცდა-ტკბობაშია, სი-  
 კვდილივით სძავს, თუ ვინმე შეეხმაუ-  
 რება და გამოსთიშავს თავის სამყაროს. მისმა ამფსონებმა, ალბათ, კარგად იციან ეს და იმიტომ ერიდებიან მყუ-  
 დროების მოშლას.

მაგრამ დიდხანს არ დააცდიან.—შა-  
 თაც ზომ ერთი სული აქვთ, როდის გაიგებენ შენაჯამს. ისინიც ზომ უნდა დატკბენენ მონაგების ბილვით.

ღიახ, სული ესწრაფვით, ველარ ითმენენ, უფროსის კაბინეტში შეჩოჩ-  
 ჭოლდებიან, სათითაოდ გამოეჩქარები-  
 ან ტიტეკოსაკენ და შორიდანვე მიე-  
 ღიმილებიან.

— როგორი მოსავალია, ტიტეკო!  
 — მშვენიერი! — აღტაცებით პა-  
 სუხობს.

შემომწერივლებიან ტიტეკოს მაგი-  
 დის გარშემო, ანგარიშობენ, უმატე-  
 ბენ, აკლებენ, ამრავლებენ, იყოფენ. მისხალ-მისხალ ინაწილებენ. საუფრო-  
 სოსაც ვარაუდობენ და საუმცროსო-  
 საც. აქ ღალატს ვერავენი ვაბედავს. თუ ვისმეს წასძლევს წუწვი სული, უმაღ-

ვე მოიკვეთავენ. ღიახ, ჩუმჩუმად თუ ცხადლივ ანგარიშობენ, ყველა თავის კუთვნილ ციფრს გაიცალკევენ. მოე-  
 ფერებიან და მოესიყვარულებიან, თქ-  
 როს თეზეზბივით აცურავენ გონება-  
 ში და უდიდეს სიხარულსა და ტკბო-  
 ბას მიეცემიან.

— მოლით, ბიჭებო, ჩვენც შევჭა-  
 მოთ რამე! — გვიან გაახსენდებათ გა-  
 მნიარულებულებს.

„ბიჭები“ საეახშმოდ გამოეწყობი-  
 ან.

— ღღევანდელი ღღე დავლოცოთ, მეგობრებო!

— დავლოცოთ!

— გაუმარჯოს!

— სულ ასეთ ხეირზე გვევლოს!

— ზალისით ამბობენ და გალიცილიც-  
 ბულ ჰიჭებს უჯახუნებენ.

ემღერებათ და მღერიან კიდევ. ვი-  
 სზე რა ნაკლები ვართო და ხელიხელ გადახვეულნი წამოიწყებენ გაბეჭითე-  
 ბულ სიმღერას: „წუთისოფლის სტუმ-  
 რები ვართო“. მერე ერთმანეთს აღ-  
 ლეგრძელებენ. ძმობასა და მეგობრო-  
 ბას ეფიცებიან.

ნამდელი მეგობარი და ღვიძლი ძმა კი გახსენებითაც აღარ ახსენდე-  
 ბათ. საღლა სცალიათ საამისოდ. აქ კი ჰირსა სქამენ ერთურთს.

ჰირსა სქამენ, მაგრამ თუ...

არა, ახლა მართლა ეძმობიან ერთ-  
 ურთსა...

რისი სიყვარულით, ეს სხვა საქმეა. ეძმობიან და ერთმანეთს ჰებითა და კოცნა-ლოწნით წამოდგებიან.

აჰ, შუაღამე წამოფაფრებიან.

ახლა კი შინისკენ მიუსწრაფით გუ-  
 ლი.

გარეთ სიწყინარე გამეფებულა. სახ-  
 ლებსაც მიულუღლიათ თვალები და გა-  
 ყუჩებულან. ქუჩის ნათურები თულა ახამხამებენ წამწამებს. ყველგან მიმ-  
 წყდარა ხმაური და ჩვენი ღღევანდე-  
 ლი გმირებიც უხმოდ მიაბიჯებენ, ისე ფეხაკრფით მიიპარებიან, თითქოს ეშინიათ ერთურთს არ გაუუგებურონ უტკბილესი და უმაღლესი განცდა-

გრძნობანი, არ დაუფრთხონ გონებაში აცურებული ოქოს თევზი, ახდენილ ოცნებად რომ მიიყოლებენ შინისაკენ.

\* \* \*

მაგრამ ამ ტიალ წუთისყოფელს უსასრულო-უწყვეტელი სიხარული ვისთვის გაუმეტებია, რომ დახლიდარი ტიტკო და მისი ამფსონები ენებიერებინოს ნიადაგ. მათაც ხშირად მოუბრუნდებათ უხეირო ამინდი. მომლხენთა რიცხვი უღმერთოდ ჩამოდის დაბლა-დაბლა და ამის შესატყვისად ტიტკოს სახეზე ოფლიც კლებულობს და ღიმილიც. მადავაზრდილს გულზე ლოდვიით დააწევა ხოლმე ცრიტი ამინდი.

„ამ დილით კაი ფეხზე ვერ ავდექი!“ — დაიწუწუნებს დახლიდარი ტიტკო და გაჩენის დღეს უგინებს მეზობელ მაკრინეს, რომელიც დილაუთენია გადაუჭრის ხოლმე გზას შავი კატასავით, დამოკლებულ ფეხს არ დაინდობს, გაჩქარდება, გამეტებით ჩაბუქნავს. აქა-იქა შემორჩენილი კბილების ჩენით მიუახლოვდება და ხრინწიანი ხმით მიედლიამშვიდობდება.

„როგორა ხარ, ჩემო ტიტკო!“ — ხელსაც გაუწოდებს უშვილიძიოდ გადაგებული მაკრინე.

„რა მიშავს!“ — შეავე ხმით გაებასუხება და გამოეჩქარება, რომ ლაპაკი არ გაუბას მოსლილმა დედაკაცმა.

„ცოლ-შვილი როგორა გყავს, ბიჭო!“ — დაადევნებს.

„კარგად!“ — უმადურად მიუგებს.

„ღმერთმა კარგად გამყოფოს, შვილო!“ — ამასაც დააწევს და ბუქნაბუქნით თავის გზას განაგრძობს.

ხოგჯერ დაემთხვევა, მაკრინეს შემოყრის დილა გაუცრუვდება და ისეთი რწმენა გაუჭდება, თითქოს ის კოჭლი დედაკაცი სთარსავდეს.

„საღლა გადამყვრება ხოლმე ეგ დაფეხვილი, მაგისი დაბადების დღე დაიქცეს!“ — იფურთხება გულზე ლოდდაწოლილი ტიტკო.

იმდღესაც კოჭლ მაკრინეს უთვლიდა ვინებას.

აჰა, მზე მოიღალა და დილაუთენი ხაშის მერე ტიტკოს „მოდი-მნახე“ ვერ არ ახმინებულა. თითო-ორილაც კაცი თუ შემოდივიდებდა, წვნიანს თუ სხვა გამზადებულ კერძს მოიკითხავენ, ღიმონათსა თუ მინერალურ წყალს დააყოლებენ, ეგრე სახელდახელოდ ისაუბმებენ, თუ ისადილებენ, დაავდებენ პაწია მანეთიანს და მდლობასაც კი არ გაიმეტებენ.

ღიამ, დღეს ერთმა ხეირიანმა ჯგუფმა არ შემოაკარა ფეხი, რომ თეთონაც დაიღალონ ქეიფით და ტიტკოს მოქანცონ.

სტუმრების გზას ისე ნერვიულად ვასცქერის, თითქოს საგულდაგულოდ მომზადებულა, გულითვე დაუბატოყია და მეტისმეტად აგვიანებენო. უიმედოდ ჩაიქნეეს ხელსა და:

— მოდი აქა, მიხაკო, მოდი!

— რა გნებაეს?! — გვიან აღირსებს სიტყვას რაჟველი მიხაკო. იმას ჰგონია კლიენტები მოაწყდენო და გუნება გამოუდარებს.

— „მოდი, დაისვენე, დომინო გამოიყოლე თანა!“

პატარა მაგიდას მოუსხდებიან და დომინოს თამაშით იქცევენ თავს.

მოგების ანგარიშს თავ-თავიანთის იწერენ. უფრო იმიტომ, რომ ერთმანეთს არ უშარონ.

— ემაგას მეტრბახებოდი?! — ახელებს გამარჯვებული მიხაკო.

— მოიცა, ხმოსავით ნუ ხტიხარ! — იმედს არ ჰკარგავს ტიტკო.

— ჩემპიონი რომელია! — თავს წამოადგებათ დაბალი, გაბურთული კაცი, „მოდი-მნახეს“ დირექტორი.

მოთამაშეებს გულს გაჰკარავთ უფროსის სიმწყრალე და დომინოს მიატოვებენ.

— რა ვქნათ, დომენტი კირილოვიჩ, ამას მაინც ვადავყოლოთ გული!

— რა უნდა ვქნათ და თქვენ თქვენს საქმეს უნდა მიხედოთ! — დომენტის

უფრო იმიტომ ამდგრევი გუნება, რომ ასეთი მშრალი დღე უდგას.

— ხაშის მერე გულხელდაკრეფილი ვართ! — ჩივის მიხაკო.

— ორშაბათი რომ თარსი დღეა, დაგავიწყდათ? — შუბლს იკრავს ტიტკო.

— თარსები თქვენა ხართ, სხედხართ და თამაშობთ!

— რა ექნათ, ბატონო დომენტი, არ მოდიან და ქუჩა-ქუჩა ხომ არ დავუწყებთ დენა-მობატრებას.

— თუ „არ დამივიწყოში“ მიდიან? „არ დამივიწყო“ სახელდახელო სასაუზმისათვის შეურქმევიათ, „მოდი-მნახეს“ მახლობლად რომ გაუხსნიათ ამ ორიოდ თვის წინათ.

— ბატონო დომენტი, ბევრ კლიენტს გვართმევს ეგ ჩმაგი. იმ ბებრისა არ იყოს, შემთხარეთ როგორმეო და მერე სახლიდან გაგდება დაუპირა პატრონსა. ისე მოსდის მაგასაც. სახინკლე ჩამადგმევინეთო და ხინკალი კი არა, მგონი, შველის მწვადებსაც აშიშხინებს და პურისმჭამელმა ბიჭებმა იქით იბრუნეს პირი! — გულისტკივილით შესჩივის ტიტკო.

— ვიცი, ვიცი...

— ან სულ უნდა დაიკეტოს ის „არ დამივიწყო“, და ან ფილიალად შემოუერთონ ჩვენს „მოდი-მნახესა“, თორემა...

— მე მოვეუვლი, თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ!

— მივხედავთ, მაშ რა იქნება!

— ლაპარაკი! — ხმას აუწევს დომენტი, — თუ დღევანდელი გეგმა ჩანივდეთ, ხვალ არც ერთი არ დამენახთო! — იმეორებს მრავალჯერ ნათქვამსა და ხან ერთს მიაბრიალებს ბოლვერა თვალებსა და ხან მეორეს. — გასაგებია?

— გასაგებია, ბატონო დომენტი!

— გასაგებია! — ხმაჩაქრომით პასუხობენ „დამნაშავენი“.

და უცებ გაიჭრიალებს რესტორნის კარი ეს ჭრიალი საამო მუსიკასავით

ჩაესმით. თვალები მომსვლელისაკენ გაიქცევათ.

— მიხედეთ კლიენტს! — ბრძანებს დირექტორი.

მიხაკო კი ჩაცმულობას გაილაზთიანებს და ჩვეული ღიმილით მიეგებება სტუმარს.

— გამარჯობათ! — უღონოდ იტყვის გამხდარი, ფერმკრთალი კაცი, ამჯერადაც რომ პეწენიკად გამოწყობილა — თალხი კოსტუმი აცვია, ქათქათა პერანგი, დაწინწკლული ყელსახვევი გაუკეთებია... ხელში მოდრეკითა და დაჩერებული ქუდის მოშვლებით უკრავს გალობრილ თავს დამხვდურებს.

— ილდგრძელე, ჩემო ბატონო! — ზრდილობიანადვე პასუხობენ.

— თავისუფალი კუთხე გაქვთ? — სერიოზულად კითხულობს სტუმარი.

ტიტკო მიუხვედრელის სიფათით მიაჩრდება, დაბნეულობით არატრატებს თავსა, ვერ მიხვდარა რა აზრით მოინდომა ამ უცნაურმა კლიენტმა ცალკე კუბეში მიბრძანება და ნაძალადევი სიმზიარულით მიუგებს:

— გვაქვს, როგორ არ გვაქვს, რომელს ინებებთ?

— ჩემთვის სულ ერთია! — თავმდაბალის კილოთი პასუხობს.

„ხომ არ მაშაყირებს, ვილაც ოხერია?!“ — ეკითხება თავის თავს ტიტკო და გრძელი ნაბიჯებით მიუძღვება ერთ-ერთი კუბის კარს გამოალებს და:

— ა, ბატონო, დაბრძანდით!

გამხდარი კაცი თხელ პიჯაკს გაიძრობს და იმ ჩამუქებულ თვალებს აცეცებს, ხელსაბანს ეძებს, რაკი მასპინძელი ვერ მიუხვდება, სტუმარი ხელეზის მოსრესით ანიშნებს:

— აქეთ მიბრძანდით! — გაუძღვება ტიტკო, უცებ შებრუნდება და სტუმრის მალულად თვალს ჩაუკრავს მოსამსახურე ქალს.

ქალი მიხედება და უხმარებელ საპონსა და თახახიან პირსახოცს მოუძღუდუგებს.

„მარტოკა მოსადილე რომ იყოს, — ფიქრობს ტიტკო, — ცალკე კუბეს არ

მოიკითხავდა, დარბაზში ჩამოჯდებოდა საღმე, ალბათ, ამფსონებსაც ელოდებოდა. იქნებ, ძველი მოქეიფეა და მთელი დასტა მოჰყავს! — გულში გაივლებს, იმედიანად გაიღიმებს, თვალწინ დაუდგება მოსასვლელი მოქეიფენი. გონებაში ტკიცინა ათმანეთიანები თუ ოცდახუთმანეთიანებიც გაუფრიალებს და ხმაგახვერდებით შესთავაზებს:

— რით გემსახუროთ, ბატონო ჩემო?!

წარმოიდგენს, რომ კლიენტი კითხვითვე მიუგებს: „რა გაქვთ?“ საამისო პასუხიც მზადა აქვს. სტუმარს კი პირველზედაც არ გაუღია ხმა. გრძელ, გამხდარ თითებს მაგიდაზე ისე ათამაშებს, თითქოს პიანინოს კლავიშებს უწყაპუნებსო და გვიან ამოაღდენს ბაგეს:

— ყავა არა გაქვთ?!

ტიტიკო ყურებს არ უჯერებს, კისერმოდრეცით დაიღუნება სტუმრისაკენ და:

— რა ბრძანეთ, ბატონო?!

— ყავა გექნებათ! — კვლავ სუსტად ამოთქვამს.

ტიტიკოს გულზე ნაგაზის კბილებით ჩაესობა შემკვეთის სიტყვები და მკვანედ მიახლის:

— ყავა არა, რძიანი ჩაი! ...

— არა უშავს, რძიანი ჩაი იყოსო!

— ყავა-ყუვა და ჩაი-ჩუი ჩვენთან არ არის, ბიძაჩემო!

სტუმარი უკმაყოფილოდ აათამაშებს თითებს მაგიდაზე.

— დიეტური საჭმელი რა გაქვთ?

„ვაახ, ამას ვის გადავეყარე!“ — სიბრაზეს გულში დაიტრიალებს და ნაძალადევი თავშეკავებით მიუგებს:

— ეს რესტორანია, ბიძაჩემო, სანატორიუმში ხომ არ გგონია!

— მაგდენი კი ვიცი!

— თუ იცი ... — დაღუმებას არჩევს.

— რას გაიკვირე, ამ სამიოდე თვის წინ გახლდით აქა და არაჩვეულებრივი ყავა დავლეე.

— მაშინ ჩაის კვირეული იქნებოდა, ბიძაჩემო!

— კარგი, ეგრე იყოს, დიეტური ნუთუ არაფერი გაქვთ?

— ჩიხირთმას ხომ არ მოსამყვანებდით!

— იყოს, რას ვიზამთ!

„ვაახ, ჩემი ნერვების ასაშლელად მოგზავნეს!“ — ამასაც გულში ჩაითუთქავს და დამცინავი სახით გასძახებს მზარეულს:

— ერთი კაი ჩიხირთმა მოაწოდე!

— ვინ არის? — ცნობისმოყვარედ კითხულობს მიხაკო.

— რა ვიცი, ვილაც ოხერფა, ისე მილეულა, ყურებში შეუქი გასდის, რომ შეუბერო, წაიქცევა, ერთი გაქერცლილი პორტფელი მოიყოლა და გვერდიდან აღარ იცილებს.

— ცოტა ფრთხილად იყავი, იქნებ ისეთი ვინმეა, წერა რომ უყვართ!

ტიტიკოც შეფიქრიაანდება. მალე ციმციმ მიართმევს გალიცლიცებულ მათლაფას და:

— ლიმონათს ხომ არ დააყოლებთ?

— მოიტა, თუ ახალია!

ტიტიკო თვალეწიროდ ახედ-დახედავს „უცნაურ კლიენტს“ და კუპის კარს მიუხურავს, მაგიდასთან, ჩამოჯდება, სათვალეებს მოიმარჯვებს და ახლადმიღებულ გაზეთს ააშარიშურებს.

\* \* \*

ხმაური შემოესმა, ისეთი ხმაური, დასტად მომწყდარ ბიჭებს რომ მოუყოლებიათ.

ტიტიკომ თვალებიც დააციცა და ყურებიც.

„მოდინ-მნახეს“ ეზო-კარს მოსდგომოდა განაბული მანქანა, მალე მეორეც მოჰყვა, ისიც ახალი „ვოლგა“, ისიც სატაქსე უჯრედებით მზარშიებული.

ცოცხლად გამოვიდნენ ტაქსებიდან. ექვსი კაცი დაითვლებოდა, ექვსივე ერთი ჯიშისანი და სიფათისანი ჩანდნენ. თამამად შემოვიდნენ რესტორანში და უმაღვე ააზმიანეს იქაურობა.

ტიტიკოც თავისებური ხალისითა და დათაფლული ენით მიეგება ნაცნობ მოფრებს.

— თვალი რომ გითამაშებდათ, ხომ მოვედით კიდევ, ტიტკო ბატონო! — წამოადგა მკერდმოლედილი, თმაბურ-ქნული, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა, დედას რომ ნოღარი დაურქმევია გულის მურაზითა, შოფერ ბიჭებს კი „ნაღველად“ მოუნათლავთ.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!  
— ერთი კვირაა, არ მინახიხარ და, აჰა, გეახელით! — თან თვალი ჩაუკრა ტანსრულმა, წვერგაუპარსავმა შოფერმა, ვანოს მავიერ რომ „ღღემამის ბოლმას“ უხმობენ კოლეგები.

— ნეტავი, ყოველდღე აქ იარებოდეთ, თქვენზე უკეთესი ბიჭები ვინ მესტუმრებიან! — პირს ღიმილი გადასდის ტიტკოს.

— შენს ენა-პირს ვენაცვალე! — თან ხელს აიქნევს და ცერსა და შუათითს გააწკლაუნებს ტიტკო ბიჭი — ბაბღია.

— რას გვიბრძანებთ, ანგელოზებო! — ხალისით სთავაზობს მასპინძელი. ბიჭები ხმის ვალებას ერიდებიან. ძია გრიგოლს მიაჩერდებიან, სამასპინძლოდ რომ წამოუხმდღვარებიან.

— ჰა, უპასუხე!  
— რას ჭოქმანობ!  
— ცოტა ცოცხლად.  
ძია გრიგოლი ხომ დიდი ხანია კნაბედ არის ცნობილი.

— თქვენ უთხარით. ენას ჭალი წამოგედებათ, თუ?! — ალაღ ღიმილს არ იშორებს კნაბე.

— ჭვეშიდან კი არ გამოხვიდე, კნაბე!

— კნაბე მოგიკვდეთ, თუ ეგეტები ეკადროს! ვანა ქვახარშიას ბიჭი ვარ, რომ მე დავპატიყო და ანგარიში სხვას გავასწორებინო! — სიტყვას ითამამებს კნაბე.

— ჰო, კარგი, ლაბარავად ნუ იქეცით, დროზე უთხარი, გვშია!

— მიიტა, რა, თითო ბოთლი ჩაგვაცეცხლე! — ხელებს ისრესავს კნაბე, — რა გაქვს? — მისჩერებია დახლიდარს. ტიტკო ლექსივით ჩამოარაკრაკებს მენიუს.

ბიჭები ერთმანეთს არ აცდიან, კერძებს ასახელებენ.

— ბატონი კნაბე რას მირჩევს! — შესცივინებს ტიტკო.

— მე რაღა დამრჩა სათქმელი, მოიტა, რაც ვითხრეს, ბარაქიანად დაყარე, ეგება, თვალიც გაუძღეთ და მუცელიც! ტიტკო ვერ იმასსოვრებს ერთბაშად ნათქვამს, სათითაოდ გაამეორებინებს, პაწია ბლოკნოტში ჩაინიშნავს და ხალისით გაეშურება მოსატანად.

\* \* \*

რაც კნაბემ ახალი ტაქსი მიიღო, სავყვედური არ გამოუღიეს პურმარილის მოყვარულმა ბიჭებმა, რატომ არ დავგალოცინებო.

კნაბე უმღარიჩოდ არ გადარჩენილა. ხუთიოდე შოფერი, ვისთანაც გული ეტოლებოდა, მეორე დღესვე მიაცენა თავის სახლს. ერთი კვირის მერე იმაზე მეტი ასტუმრა მარიამ-ქალსა. სული და გული გაუშალა, გემრიელი ჭურ-მარილი აგემა, ისეთი, კაი კაცებს რომ ეკადრებათ. ისინი მადლიერნი იყვნენ, მაგრამ სხვა ენაულაგემო ბიჭები კი მალ-მალე წამოაყვედრიდნენ:

— ჰაა, ძველო, ახალ „ვოლგაზე“ რომ გამოიწვიე, არაფერსა ფიქრობ?! — თუ არ დაასველე, ხომ იცი, რომ ბარაქა გავიწყდება ჯიბეში!

— როდის უნდა გვადღეგრძელებინო შენი „მერცხალა?!“

„მერცხალა“ ახალ ტაქსს დაარქვა კნაბამ.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ჩემი „მერცხალა“ ნადღეგრძელებელიც არც და დასველებულიც

— კში ვის დაასველებინე?

კნაბე ჩამოთვლიდა.

— მერე ჩვენ რა?

კნაბე უხერხულად შეაცმა ცუნებდა ვიწრო ბაგეს.  
— არა, კნაბე, ის არ გეთვლება! იი, ჩვენნაირ ვაყაყებს რომ დაგელოცნეთ, სხვა ამბავია. — არ მოეშვებოდნენ.



არა და არ უღეედნენ საყვედურს, სადაც მოიხელთებდნენ, სულ ეგრე წაუხრილობდნენ.

— კარგი, პა თქვენც ჩაგაყლურებთ! რა იყო!

— მართლა ამბობ, კნაპე?

— სალამს გეფიცებით!

სიტყვა არ წააჭცია.

და აი, თავიანთ საყვარელ „მოდი-მნახეში“ ახდევინებენ მაღარჩს.

• • •

თამადალ მაღალი ნიკალა ამჯობინეს. მთელ დღეს ნაწოწილებმა, დამშეულმა შოფრებმა მოურიდებლად გაუტიეს პურ-მარჩს. გემრიელად მიირთმევდნენ, ისედაც არ ერცხვინებოდათ სალაპარაკოდ და ორიოდე ჭიჭის მერე უფრო გახალისდნენ და გათამამდნენ, ენად გაიკრიფნენ.

თამადას უჭირდა წესრიგის დამყარება. რაკი დაბლა თქმით ვერას გააწყობდა, ზეზე წამოიშარებოდა და რიხიანად დაიწყებდა სათქმელსა.

— „მერცხალას“ გაუმარჯოს, ბიჭებო, „მერცხალას!“ — პირველი ჭიჭის აწვეისთანავე დაიძახა მაღალმა ნიკალამ, — მშვიდობაში მოხმარდეს თავის პატრონსა!

— „მერცხალას“ დაბადებისა იყოს!

— მზით გეცვიტოს კნაპესა!

კნაპე ღიმილს არ იშორებდა სახიდან.

— მოდი, ტიტციო, „მერცხალა“ უღეგრძელე კნაპესა!

ტიტციო ხალისით წასწვდა სისმისს.

— მშვიდობაში მოგხმარდეს, კნაპე!

— დიდი მაღლობა!

— „მერცხალას“ \*გაუმარჯოს! — წამოიშალნენ მეზობელი მოქეიფენიც, სულ ახლახან რომ მოსულიყვნენ.

— ჩვენც ვსვამთ „მერცხალას“ საღღეგრძელოს! — თავი გამოყვეს მზარეულებმა.

მთელს „მოდი-მნახეში“ ისმოდა „მერცხალას“ საღღეგრძელო, მის სა-

პატივსაცემოდ შაურჩიან სიმღერებიც ამღერეს ავტომატ-მომღერალსა.

კნაპეც უსახლოოდ ჩნარბდა მისი მოგულთბილენიც.

• • •

მოქეიფე შოფრების შეძახილები იმ კუბემდეც აღწევდა, ხამად მოსული კლიენტი რომ ჩაეკტილიყო.

სადილობა მოემთავრებინა, დიდი მათლაფით მითავაზებულ ჩიხირთმას ვერ მორეოდა, ნახევარი მიეტოვებინა, ლიმონათიც ერთ ჭიჭაზე მეტი არ მიეღო გუაგებას. გულდადებით შეიმშრალა უუღლავო ტუჩები და დახლიდარი გამოიძახა ელექტროზარით, რათა ანგარიში გაესწორებინა და თავის გზას გასდგომოდა.

ტიტციო კი უმაღვე არა ხლებია.

ჩიხირთმით გულმოაჯრებული მოთმინებით იცდიდა. რაკი დახლიდარი არა და არ მიუვიდა, ხელსახვევი შეისწორა, მელოტ თავზე ფრთხილად მოირგო დაჩერტილი ქუდი, პორტფელი ამოიხარა ილლიაში და კუბის კარი გამოიხურა. გზად დარბაზი უნდა გაევილო, რომ დახლამდე მიეღწია.

დარბაზში თვალი შეაფეთა ნაცნობ შოფრებს, უცებ შეჩერდა. მაგრამ გაბრუნება უაზრობად ჩათვალა და ფრთხილი ნაბიჯებით განაგრძო სავალი. თვალი არ აერიდებოდა და ისლა დარჩენოდა, სალამი დაესწრო, ქუდისმოხდითა და თავის დაკვრით მიმართა:

— გამარჯობათ, ყმაწვილებო!

— ოჰ, ძია პლატონს გაუმარჯოს, — შეუღაღელეს შეზარბოშებულმა შოფრებმა.

პლატონს ყურის ბიბილოები გაუცხელდა უხერხულობისაგან და გაუბედავი ხმით დააყოლა:

— პრიატნი აპეტიტ!

დამხედურები დაემადლობნენ,

— დაგვეწვიეთ! ძია პლატონ! — კვლავ ემზიარულებოდნენ შოფრები.

— დიდი მაღლობა, ყმაწვილებო, ეს წუთია გვახელით!

დაგვლოცეთო, ერთი ჭიქა მაინც დაგვილიეთო, თუ ჩვენი ხათრი გაქვსო, თუ ოდნავი სიყვარული გავაჩნია, თუ კაცი ხარო, ეხვეწებოდნენ შოფრები.

ყველას დიდ პატივსაც გცემთ, მაგრამ ერთ წვეთსაც ვერ დაველეო, მეჩქარებაო, არ შემძლიაო.

— ზრდილობის საკითხია ბოლოს და ბოლოს! — აქილევსის ქუსლში უჩხელიტეს.

პლატონი უხერხულად შეიშმუნა.

— ჩვენგან რა გესწავლებათ, ბატონო პლატონ, ნაცნობ კაცს ერთ ჭიქაზე მაინც არ უნდა უთხრათ უფარი.

არ მოეშენენ, დაანამუსეს, დაიყოლიეს.

— აჰა, ერთი „მერცხალა“ დაულოცე ჩვენს ძმა კნაპეს! — საესე ჭიქა მიაწოდეს.

— მერცხალა?! — პლატონი ვერ მიხვდა ვის აღღეგრძელებდნენ, — ახალი სიხარული ზომ არ გეწვიათ, ბატონო გრიგოლ! — და ვუნებაში გაივლო, შეილიშვილი შეეძინაო, ალბათ!

— მაშა, ბატონო პლატონ, ისეთი ბიჭის მამა ვახდა, რომა! — კნაპეს დაასწრეს პასუხი.

— მართლა?! — გაოცებით მიაჩერდა.

— ჰო, იმისი მალარიჩი ვაკისრებინეთ!

— კაი, ერთი და! — ღიმილმა გადაუთამაშა მკრთალი სახეზე.

— სინდისს ვეფიცებით! დააჭერეს.

კნაპე უხერხულად იშმუნებოდა, მაგრამ ბიჭები ვასაქანს არ აძლევდნენ, თვითონ დაიგდეს განი, კნაპეს ვაჟკაცობას აქებდნენ, დიდ პატიოტად და ნამდვილ ქართველად ხატავდნენ, რომ სიბერის დროს ერთი ვაჟი კიდევ შემატა ამ ქვეყანას.

— ძალიან სასიამოვნო ამბავია! — უხაროდა პლატონს, — დიდი კაცი გაიზარდოს ის თქვენი ახალი შემატებული, ბატონო კნაპე! თქვენი ჭიშის ადამიანები კიდევაც უნდა გამჩაღლდნენ ბიჭები იცინოდნენ.

პლატონი ვერ მიმხვდარა იყო სიტყვის მიზეზს, ისიც აპყოლოდა და გულთ ლოცვას განაგრძობდა.

სათქმელი უთხრა და საესე ჭიქა დადგმა დაუბირა.

— ჰა, როგორ გეკადრებათ, ბატონო პლატონ!

პლატონმა ხელები გაასავსავა, დიეტაზე ვარ და ვერ დაველეო.

— კნაპეს ეწყინება!

— თოთო ბავშვის სადღეგრძელოა!

— მომავალი თაობა არ გიყვართ?!

— არ მოეშენენ.

„ჩანდაბას ჩემი თავი, ერთი ჭიქა რას მიზამსო“, გაიფიქრა და სვენებს სვენებით გამოცალა.

— გაამოს, ძია პლატონ! — და საესე თეფში მიუმარჯვეს.

პლატონმა ერთი პაწია ნაქერი შეარჩია, ისიც შუაზე გაჰყო, ნაზად გაკიენა, დიდი მადლობა შესწირა და თავი დაუქრა გამოსამშვიდობებლად.

მაგრამ შოფრები გადაედობნენ, შეეხვეწ-შემოხვეწნენ, ცოტახანს დაბრძანდით, თავი გაგვიყადრე, ორიოდ სიტყვა შეგვაწიეო, როგორც ვენებოთ, ისე მიირთვითო. იმდენი ჭნეს, დაიყოლიეს. ნოდარის გვერდით მოუცალეს ადგილი და სკამი მიუმარჯვეს.

მოქვიფე შოფრებს საპატიო სტუმრად მიუჩნევიათ მუსიკის მასწავლებელი, საქმელ-სასმელს სთავაზობენ, ელოლიავებიან, ეგულთბილებიან, ესიყვარულებიან. პლატონი ნაზობს, თავის ზრდილობა-მოკრძალებას აქაც აუხვებს. ცდილობს ხასიათი გაუსწოროს ყველას, აჰყვეს სიმხიარულეში, მაგრამ ისევ ის უტრიალებს თავში: ამ ხნის კაცს, შეილიშვილის პატრონს ნუთუ კიდევ შეეძინა შეილი? ამ კითხვას მრავალჯერ იმეორებს გულში და რომ თავი დაირწმუნოს, მორიდებით უბედავს კნაპეს:

— ამ სიბერის დროს კიდევ გარისკეთ, ბატონო გრიგოლ, ჰა?!

— გეხუმრებიან, პატივცემულო პლატონ! — ახლავა გამოუტყულება კნაპე.

— კიდევ არა, გამოიკვირდა! — ხმა-

ჩაქრობით ამბობს გაწბილებული პლატონი.

— შეილზე ნაკლები სიხარული როდი მიანიჭა „მერცხალამ“, — და აცნობენ საქმის ვითარებას.

პლატონი ხელის ჩამორთმევით ულოცავს ახალ ტაქსს.

ბიჭები კიდევ გულმოდგინებით ცდილობენ ტკბილი სიტყვით ასიამოვნონ პლატონს. უფრო ნოდარი ეგულთბილება, ენას ითავლავს, დიდ თავაზპატივისცემაშია.

პლატონი ემადლიერება და კბილს არას აკარებს.

— მე მაშინ ძან გაწყენინე, ძია პლატონ, თბილისში რომ ვერ წამოგყევი პიანინოს მოსატანად! — შორძალებით მიმართავს ნოდარი და თავის გასამართლებელ საბუთებს უსახელებს, ათას რამეს იგონებს. — ნამუსს გეფიცებით, ეხლაც მქენჯნის სინდისი, რომ ასე მოეწყო საქმე, ჩემი გული რომ გაიხსნებოდეს და შიგ ჩაგახედათ, დარწმუნდებოდით, რომ მე არ ვტყუოდი, თქვენს წინაშე უტოდეელი და უხინჯო ვარ, მაგრამ მდგომარეობამ გამომიყვანა ეგეთი. ზომ გაგიგონიათ პატარძლის ჩივილი: „ავმა სახლმა, ავმა კარმა ავად გამადედაკაცო.“ მეც მაგ დღეში ვიყავი.

პლატონს აღარ სჯეროდა ნოდარის ნათქვამ-ნაფიცი, მაგრამ მაინც უარაფრებს მომხდარ ამბავს და გულში აქამდე შემორჩენილ წყენას არ აგრძნობინებს. იმაზეც მადლობელია, რომ „ცოდვებს ინანიებს“.

სხვებიც ცდილობენ ტკბილ-ტკბილი სიტყვებით აამონ სასურველ სტუმარს, თვითნებურად ეოხუნჯებიან და ეთითლიბაზებიან.

პლატონიც ყველას თავის საკადრის სიტყვას უსადაგებს, სასიამოვნოს და სამადლიეროს.

მაღალი ნიკალა წამოდგება, ძლივს ჩააცხრობს მოქეიფე შოფრების ყაყანს, ხმასაც აიმაღლებს და რიხით იტყვის:

— ამ პატარა სასმისით და დიდ

გრძნობით ჩვენს ძვირფას სტუმარს გაუმარჯოს, ბიჭებო!

პლატონი უხერხულად გრძნობს თავს, ნამდვილად არ სიამოვნებს, უფრო იმიტომ, რომ წასვლა უნდა და სადღეგრძელო შეაფერხებს, თამადას სთხოვს, ნუ მადღეგრძელებთო, მე რა წითელი კოჭი ვარო, მაგრამ მაღალი ნიკალა ყურს არ უგდებს სტუმრის „უსაფუძვლო“ ედრებას და კვლავ რიხიანად განაგრძობს თავისას.

— ამინ! — შეუბრუნებენ შოფრები.

თამადაც და მოსუფრენიც სიტყვას გააუხვებენ, ცდილობენ მეტი საქებარი თქვან, ცამდე აპყავთ. მისი კაცური კაცობით არიან აღტაცებულნი, კი ქართველს შეარქმევენ, გულწმინდა ვაყკაცად აქცევენ, საქმიანობას გაუზვიადებენ, დიდ მოღვაწედ დასახავენ, აქ კი შებორძიკდებიან, იციან, რომ მუსიკალური კულტურის ერთი მოამაგეთაგანია, მაგრამ საქმის არსში ჩაწვდომა უჭირთ, ერთმანეთში ერევათ: „მუსიკის მასწავლებელი“, „არტიტი“, „მსახიობი“ „კომპოზიტორი“, „რეჟისორი“, „დირიჟორი“. დიახ, ვერ განუხვავებიათ ერთმანეთისაგან თვითულის ცნება და ყველაფერს ერთად უწოდებენ პლატონს.

პლატონს გულში გლიძება, ადვილად მიმხვდარა, რასაც გულისხმობენ ამ გამოთქმაში და დიდ მადლობას სწირავს.

მუსიკის მასწავლებლის ქება-დიდება არა ცხრება.

სხვა სტუმრებთან მოფაციფუცე ტიტყოს მიიხმობენ:

— ერთი ეს პატივსაცემი კაცი და გვილოცე! — და სავსე ჭიქას გაუწვდის მაღალი ნიკალა.

ტიტიკო დამადლობებით გამოართმევს და შუბლზე კითხვის ნიშანს იხატავს, მაინც ვერ მიმხვდარა, ვინ არის ეს სტუმარი, ასე რომ ელოლიაგებია და ეფერებიან.

ნოდარი მიუხვდება და:

— ეს იცი, ვინ არის?! — საამაყო და სასიქადულო კილოთი იტყვის.

ბოა, დედალი კიბო, მთელი მსოფლიო რომ ეჭიდება და ვერ წაუქცევია...

— ვინ არის ეგეთი ამირანი, რითი სპობს ასეთ ვაჟაკებს...

— კალმოსანი კაცია!

— კალმოსანი?! — ფერიფური გადაჰკრავს.

— უჰ, სიტყვის ჭლექია!

ტიტიკოს გააფრტოლა.

— „ნინანგს“ ხომ კითხულობ?

— როგორ არა, გამოწერილი მაქვს!

— მათრახივით რომ ატყლაშუნებს სიტყვებსა, მაგარ-მაგარ ფელეტონებს რომ წერს, ეგ კაცი ვახლავს. განა თავის გვარს ამელავნებს. ხან „უჩინ-მაჩინის“ ფსევდონიმითა წერს ხოლმე, ხან „დარიშხანს“ აწერს, სხვაჯე ბევრი აქვს მოკონილი გვარი. სადაც სახათაბლო საქმეა, მგას აგზავნიან.

დახლიდარს ნაღვლის წვეთებივით ეცემოდა გულზე ნოდარის სიტყვები.

— ჩემი მტერი ამოილო მიზანში, თუ უკუღმა მოუსვა კალამი, გათავდა!..

ტიტიკომ ნაძალადევად გაიღიმა და:

— რა ვიცი. ისე ყანყალით შემოვიდა, მეგონა, საცაა წაიქცევა-მეთქი. თუ მაგდენი შესძლებია, რას მოვიფიქრებდი!

— იმდენი ღონე ხომ ექნება, რომ კალამი ასწიოს?! — შუბლი აიჭიმა.

— კალამს კი...

— ჩვენში დარჩენს და ეგრე მოიარბებს ხოლმე თავს, და მერე რომ მიზანში ამოღებულს წამოაგებს ჩანგალზე, თვითონ იცის...

ტიტიკოს მიწის ფერი დაედო.

— შენ ხომ ისეთი არაფერი... — დანარჩენს აგებინებს მხრებში მიმოხვრითა და ხელების ბრუნვით.

— არა... რა ვიცი... ერთი ჩიხართმა მიირთვა და, ხომ დაინახეთ, ჯერაც არ გადამიხდევინებია.

— ჰო, ცოტა ფრთხილად იყავი! ისე, თუ რამე შეატყო, ნუ გეშინიან, მე აქა ვარ...

— შენი რა არის, ბატონო ნოდარ?

— მე და ეგ ესე ვართ! — და სალოკ თითებს ერთმანეთს ატყუებებს

და ახახუნებს, — ჩემი ახლობელია, მერე გეტყვი!

— გასაგებია!

— აბა, შენ იცი! — ტიტკოს გამოშორდა და თავის ამფსონებს შეუერთდა.

ჭეფი გრძელდება.

მხიარულება მატულობს.

— პლატონისადმი მოწიწება და ფერაობა არ ცხრება.

მუსიკის მასწავლებელი გახარებულია და თანაც გაკვირვებული, რად ეპყრობიან ესოდენ დიდი პატივისცემით. მიზეზ-მიზანი ვერ აუხსნია.

„ამათვისაც საჭირო კაცი ვარ?“

— უსვამს კითხვას თავის თავს.

„ალბათ!“ — პასუხობს თვითონვე.

„ან იქნებ ამაღლდა ჩვენი შოფრების შეგნების ღონე!“

„მგონი ეგრეა. ახლა ისეთი ღრთა, ყველას სულში შეიჭრა ცივილიზაცია და კულტურა. იციან, ვინ არის დასაფასებელი კაცი!“

ღიახ, გახარებულია ბატონი პლატონი და ცდილობს ხასიათი გაუსწოროს მოქიფე შოფრებს, უფრო და უფრო იტყუებს საამო სასმელი და ნახევრობამდე დაღვევასაც ბედაქს.

აბა, თვალებიც აერია, კარუსელივით დაუტრიალდა მოქიფე დასტები თავიანთი მაგიდებიან-სუფრიანად, ცივმა ოფლმა დაასხა.

— პიჯაკი გაიძრეთ, ბატონო პლატონ! — შესთავაზებს ნოდარი.

პლატონს ჭკუაში დაუჭდება.

ნოდარი თვალით ანიშნებს ტიტკოს.

დახლიდარი მიუხვდება, ფიცხლად ჩამოართმევს სამოსს და დაბნეულად აცეცებს თვალებს.

— სად ჩამოგვიდო? — ეკითხება ნოდარს.

— დირექტორის კაბინეტში, სხვაგან სად ეკადრება.

ტიტიკო ციმციმ შეარბენინებს და სათუთად ჩამოჰკიდებს.

პლატონი თავის სკამზე დაჯდება, მაგრამ გუნება ვერ გამოჰკეთებია,

უფრო არევია თვალეში, გულზე უსი-  
ამობა ეხვევა.

— ბოდიშს ვიხდი, მეგობრებო,  
ერთ წუთს გავალ, თუ შეიძლება  
მოსწავლესავით თითსაც იწევს პლა-  
ტონი.

— არა, გახვალ და გავგებარები!  
— სინდისს გეფიცებით, ისევ მო-  
ვალ! — თან ამოასლოკინებს. სირც-  
ხვილით დნება.

ეს ყველაზე დიდი საფიცარია  
პლატონისა და უჯერებენ შოფრები.

ნოდარი ტიტოკოს მიხმობს თვა-  
ლის ჩაკერთა და თავის გარჩევით  
ანიშნებს, გაყვეო.

ტიტოკო სიხარულით გაეტუსტუ-  
სება.

— ბიჭებო, — ჩურჩულებს ნოდა-  
რი, — ტიტოკოსთან არ წამოგცდეთ,  
რომ პლატონი მუსიკის მასწავლებე-  
ლია. ნიანგის“ თანამშრომლად გავა-  
სალე და მგონი, დაიჭერა კიდეც.

— მერე, მერე? — იცინიან ბიჭე-  
ბი.

— მერე თქვენ თვითონ ნახავთ  
სეირს! — სიცილითვე პასუხობს.

შოფრები ხედებიან ნოდარის ჩა-  
ნაფიქრს და თანხმობის ნიშნად თავს  
ურჩევენ.

— კაით, ბიჭებო, ხათბალა არ  
მოხდეს! — წუნს კნაპე.

— მოიცა, კნაპე, ეგ ჩემზე იყოს,  
ნუ გეშინიან!

ორიოდე წუთის შემდეგ პლატონს  
ხელკავით მოაცილებს ტიტოკო. საპა-  
ტიო სტუმარს კმაყოფილების დიმი-  
ლი გადასდის სახეზე. ტიტოკოც მად-  
ლიერია, რომ ესოდენ დიდად საპატი-  
ვსაცემო კაცის მომსახურება ხელა  
წილად. ეს, მისი ანგარიშით, კარგის  
მომასწავლებელია. მით უმეტეს, პლა-  
ტონი სიყვარულითა და მოკრძალებით  
ესაუბრებოდა.

— ვინც მოვიდეს, გაუმარჯოს!

— დაბრძანდით, ბატონო პლა-  
ტონ!

— რას ინებებთ უძვირფასესო კა-

ცო! — კიდეც მოესიყვარულენიან  
მესუფრენი.

— დიდი მადლობა ესოდენი დიდი  
ყურადღებისათვის, მეგობრებო!

პლატონს ყმაწვილივით ახარებს  
ასეთი დაფასება-პატივისცემა და მი-  
სი მოსიყვარულე გული უფრო გა-  
მეტებით ფართხალებს. მზად არის  
ყველაფერში გაჰყვეს ბიჭებს. ნეტავი,  
მათსავით ღვინის მსმელი და ამტანი  
იყოს და, ვინ მამაძალი, ერთი წვე-  
თი დატოვოს ჭიქაში. ჰაი, იმ ჭავარზე  
იყოს, ჭვილობდას რომ „რკინასა  
ჰკენეტავდა“, მაშინ გენახათ ყანწე-  
ბის მოთხოვნა და ალავერდების გა-  
დასვლა, მაგრამ ახლა, როცა აღარ  
შეუძლიან, ფეხი უკან უდგას და სი-  
ტყვაც ღარიბი აქვს. მაგრამ რაც შე-  
უძლია, იმაზეც არ ღალატობს, დიდი  
ხვეწნა აღარ სჭირდება, ზოგ-ზოგი  
ჭიქის გამოცლასაც ბედავს. ძარღვებ-  
ში სისხლი უჩუჩუხებს, გონება გამ-  
ზიანდება, სიყვარული მოსძალე-  
ბია, იქ მყოფთა აღურსი მოსწყურე-  
ბია, ღამის სათითაოდ ჩამოურთიგოს  
თბილი კოცნა. უფრო კნაპეს უტო-  
ლებს სიყვარულით სავსე გულს, მალ-  
მალე მიხედავს გვერდზე, ალაღღ  
გაუღიმებს, მიამტერდება შეეუძუნი-  
ბული თვალებით, ჭიქის მიუმარჯვებს  
მისაკაყუნებლად, თავის სასმისს არა-  
ვითარ შემთხვევაში მალა არ დააყე-  
ნებს კნაპესაზე, ვახტანგურად დაღე-  
ვასაც მოიწადინებს, გაუყრის კიდეც  
თავის გაროქნილ მკლავს და ეგრე  
ხელ-ჩახლართულნი მიიყუდებენ ჭი-  
ქებს. კნაპე უმალ გადაყლურწავს,  
პლატონს უჭირს, მაგრამ იხტობარს  
არ იტებს. ისიც გამოსცლის დიდი გა-  
ჭირვებით. ახლა კოცნის სურვილი  
მოეძალდება და ნაკებჩ ყბაზე აბრეშუ-  
მის ჭიასავით ნაზად მოუთათუნებს  
თხელ. ბავეს.

— მოხიბლული ვარ თქვენი კა-  
ცური კაცობით, ბატონო გრიგოლ! —  
საიდუმლოსავით ფრთხილად ეჩურ-  
ჩულება.

— დიდი მადლობა, ჩემო პლატონ!

— გენიალური ადამიანი ბრძანდებით, ბატონო გრიგოლ, გენიალური!

ქნავე ვერ მიმხედარა, რას გული-სხმობს „გენიალობაში“ პლატონი, და უაზროდ უქნევს თავს.

— არასოდეს დამავიწყდება თქვენი სიკეთე! — კვლავ მადლიერებით ეჩურჩულებდა.

— თქვენ ისეთი ადამიანი ბრძანდებით, ყველასაგან დიდი პატივისცემის ღირსი ხართ! ჩვენი მომავალი თაობის ბედი თქვენს ხელშია! — ქნაპეც თითლიბაზობს.

პლატონს კვლავ ეძალუბა სიყვარული, ყველას მოფერება სწადია, მზნდ არის თვითველ მათგანს ჩამოუაროს და გულიანად გადაჰკოცნოს, მაგრამ თავს იკავებს, არ გადავამეტო.

ნოდარი მიუხედება და:

— შეიძლება გაკოცოთ, ძია პლატონ?

— სიამოვნებით.

ნოდარი ყვრიმალში აკოცებს გაჰონილი ტუჩებით.

პლატონი პირს მოიწმენდს და კოცინითვე პასუხობს.

ნოდარი კისერს მოიღრვებს და ტიტკოს ჩაუკრავს თვალსა, რითაც ანიშნებს: შეხედე, როგორ ახლოს ვართ ერთმანეთთანო.

ტიტკო ღიმილით არხევს თავს.

მხიარულება გრძელდება. ქეიფს უფრო და უფრო ემატება ეშხი. კვლავ აუხეებენ ერთერთის სამკობ სიტყვებს.

— ჩვენი ქეიფი კარგია! — თავმოშრონედ დაიძახებს. თამადა.

— კარგია! — მხარს აუბამენ თანაშესუფრენი.

კარგა დროც გასულა, ჩვენი დარღიმანდი შოფრების მოსვლის მერე სხვაც ბევრი მობრძანებულა გულის სანაეარდოდ, ის კუპებიც ახმანებულა. დიდი დარბაზიც გავსებულა. ტიტკოს გულიც აღვსილა სიხარუ-

ლით, შოფრებს ემადლიერება, კარგი ფეხი მოიტანეთო. ყველას ჩვეული ხალისით ემსახურება, მაგრამ ყველაზე წინ მადალი ნიკალას დასტას აყენებს. გულისყური აქეთ აქვს, ადარ იცის, რითი ასიამოვნოს გალადებულ შოფრებსა და მათ დიდად საპატივსაცემო სტუმარს.

ცოტ-ცოტაობით კარგა მაგრად შემთვრალა ბატონი პლატონი. უფერული სახე გაჰფერიანებია, სიცოცხლის ეინჯელი ასციმციმებია, მისუსტებულ ძარღვებში დვეის სისხლი ასრუხუხუხებია და ისე ვალონიერებულა, ასე ჰკონია, კლდესაც მოგლეჯს და დაფშენის, ის ჩვილი გულიც ვალომებია, კჰუაგონებაც გაჰვიცხებია, ვაეაყაცებულა, ვაზვიადებულა, იმ თამამ ბიჭებს ეზომება ღვინის სმაში და რიხიანად იძახის:

— დაახსით, დავლით, მაგის დედაც ვატრე! — მუშტსაც ღონივრად არტყამს მაგიდას.

— აუჰ, შენ გენაცვალე! — წამოხტება ნოდარი და მოტვლებილი თავის საქორჩეზე აკოცებს.

— ყოჩაღ, ბატონო პლატონ!

— ეს რა ვაქციო ყოფილა! — მოქეიფებს უკვირთ და უხარიათ კიდევ.

— როგორ უყურებთ, ძველი ყარაჩოხელია! — მიუსაფანლებს ნოდარი.

პლატონი შეიფერებს და:

— ეჰ, დავბერი. თორემ, მეც რომ თქვენსავით ახალგაზრდა ვიყავი...

— კაი ქარი გიჭროდა, არა, ძია პლატონ!

— კი ვსვამდი ორ ბოთლამდე! — ბევრს არ აჭარბებს ლოყებშეფაკული პლატონი.

შოფრები ერთმანეთს მიხედავენ, თვალს ჩაუკრავენ და ირიბად იღიმებიან.

— თუ მოინდომებთ, ახლაც დალევთ ორ ბოთლს!

— ერთი, ერთი სიჭველე მოიგონე, ბატონო პლატონ! — აქეხებენ.

— ყანწით დალევა მიყვარდა ხოლ-

მე! — თან მხრებს შეათამაშებს პლატონი.

— ყანწი, ტიტო! — დაიძახა თამადა.

დახლიდარმა ხალისით მოაძუნძულა მოვერცხლილ-მოსევადებული ყანწები.

უმალვე გაავსეს, ერთი პლატონს მიაწოდეს, მეორე — მაღალ ნიკალს. ორივე ფეხზე წამოდგნენ.

— ბრძანეთ, ბატონო პლატონ!

— ამ ჭიქით, შეგობრებო, სიყვარულს გაუმარჯოს. ჩვენი, თქვენი, ხალხის, დღის, პატარის, ქვეყნიერების, სიციცხლის სიყვარულს! — და ფილოსოფოსის სიბრძნით აღრმავებს თავის ნათქვამს, რომ სიყვარულია ცხოვრების დედაზრი, მთავარი მამოძრავებელი და უძლეველი ძალა!

— ამინ! — მხარს აძლევენ ბიჭები, აქებენ და კვლავ აქეზებენ ძვირფას სტუმარს.

პლატონი ვაჟკაცურად ასწევს, მაგრამ იმ ჭიქანახვერიანი ყანწის დაღვეა უჭირს, მესამედსაც ძლივდღევობით მოსვამს, შეისვენებს, ნოდარი ჩამოართმევს და გამოუტლის, ძმა ძმისთვისა და შევ დღისთვისაო, დააყოლებს. თავის კუთვნილსაც ბოლომდე სცლის.

სიმღერა. მოეძალდება შეზარბოშებულებს, ხელი-ხელს გადახვევენ ზეზე წამომდგარნი, პლატონის წერილ კისერსაც მოიქცევენ გარუჯულ ხელებში და დაბლად წამოიწყებენ: „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო“, თანდათან აღწევენ და მერე ისე ხმამაღლა გაკვივიან, ამ ახალ რესტორანს ლამის ჭერი ახადონ.

პლატონის ყურს ეჩოთიერება დაუზოგავი ხმა, მაგრამ შეძლებისდაგვარად უბანებს.

— თქვენი გამარჯვებისა იყოს, ძია პლატონ! — მისძახებენ სიმღერის მერე.

პლატონს უხარია, რომ ესეც მის საპატივსაცემოდ შესრულდა, წელში იმართება, მკერდს გამოსჭიმავს, ამაყად გადახედავს იქაურობას და ოფიციალტს მოიკითხავს.

— ტიტო! — გასძახებენ. დახლიდარი უმალ გაჩნდება მათთან.

— რას გვიბრძანებთ!

— პატივცემულ პლატონს უსმინე! — ეერიოთაც ანიშნებს თამადა.

ტიტო აიწურება და თვალბში შესცივინებს.

— ამ მაგიდაზე რამდენი კაციცა ზის, იმდენი ბოთლი ღვინო მოატანე! — ბრძანებს პლატონი.

— ბატონი ბრძანდებით! — დახლიდარი მკვირცხლად შებრუნდა.

— მოითმინეთ! — მოაბრუნა პლატონმა, — რითი გავვიახლებ სუფრას?

— რა ვიცი... — შეყოვნდა ტიტო, — კიდე შეეწვამ ვარიებსა!

— ეგეც კარგი იქნება, მაგრამ ისეთი არაფერი გაქვთ... — თან თითები მოისრისა პლატონმა.

ტიტო დაფიქრდა.

— ცოცხალი ხომ არ გეშოვებათ!

— ცოცხალი?! — სავონებელში ჩავარდა დახლიდარი.

— ღმერთი არ გაგიწყრეს და არ დამალო! — წასწურაწულა ნოდარმა.

— კი, ბატონო, რაღა არ გეშოვება, გაუჩინარს ვაგაჩენ თქვენთვის! კალმახი მაქვს, სულ ახლახან დაჭერილი, თუ ისურვებთ, თავისივე ქონში შევაწვევინებ...

— აბა, შენ იცი!

— სწრაფად!

— ბლომად დაყარე! — დააწიეს შოფრებმა.

— მაგრამ, იცოდეთ, ყმაწვილებო, რომ ეს ყველაფერი ჩემს ანგარიშზე იქნება!

— ოჰ, როგორ გეყადრებათ! — წაშველა კნაემ.

— არავითარ შემთხვევაში! — გაიძახის პლატონიც.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ტიტო მოარბენინებს შემწვარ კალმახს და თან სიხარულს მოაყოლებს.

— ინებეთ, შაქრად შეგერგოთ!

ტიტოს დამამდიღიერებინა, მოუ-

რადებლად დასწვდებიან კალმახის ნაჭრებს, ტუჩებს აწყლაბუნებენ.

— იფ, იფ, იფ!

— თქვენც მიირთვით, ბატონო პლატონ!

— საბძელი გეწოდეს, ხელები მოითბეთ! — ხუმრობენ.

პლატონიც წაატანს გამბდარ-გაყვირთლებულ თითებს, იმასაც ეგემრიელდება, ერთ პაწია ნაჭერს იკმარებს და:

— მართლაც გემრიელი ყოფილა!

— ჰო!

— მაშა! — და კიდევ არჩევენ ბარაქიან ნაჭრებს.

— უკაცრავად, ბატონო ტიტო, მაინტერესებს, სადაური კალმახია? — ევითება პლატონი.

ტიტოს არ სიამოვნებს ასეთი კითხვა, უპასუხობაც არ შეიძლება და ნაძალადევი მომხიარულებით მიუგებს:

— არაგვის, ჩემო ბატონო!

— ძალიან სასიამოვნო საჭმელია!

ტიტო თავს დაუქნევს, თევზის ლამბაქს დასწვდება და ფიცხლად მიართმევს, რომ კითხვები აღარ გაუგრძელოს.

პლატონი კვლავ პატარა ნაჭერს ეძებს და განავრძობს:

— სხვა რესტორნებში იშვიათად წააწყდება კაცი ცოცხალს, მით უმეტეს კალმახს, და თქვენ როგორ შოულობთ, ბატონო ტიტო?

ტიტოს ფერ-ფერი გადაჰკრავს, პასუხი ვერ მოუხერხებია და ენარბევით პასუხობს:

— ვშოულობთ, რა!

პლატონი მომდევნო კითხვების მიცემას ერიდება და თავის დარბევით ანიშნებს, საემარისაო.

ტიტო გაშორდება მოქეიფებს და საფიქრელი აეკვიატება.

— კაი კაცი ჩანს ბატონი ტიტო, პა, რას იტყვით, ყმაწვილებო!

— ოქროა!

— ჭივარია!

— ესეთი ბიჭია! — ავიშულ ცერებს აიშვებენ შოფრები.

— რა გვარისა ბრძანდება? — ღიინტერესდა პლატონი.

— ტიტო! — გასძახებენ.

— ბატონო! — ფიცხლად მოუარდება.

— შენ გვარს კითხულობს ჩვენი ძვირფასი სტუმარი.

— ჩემს გვარს! — ხმა ჩაუქრა დაბლიდარს.

— გურგენიძე ვახლავართ, ბატონო! პლატონი სათვალეებს იმარჯვებს, უბის წიგნაკში წვრილი ასობით იწერს დახლიდარის გვარსა და სახელს.

— გმადლობთ! — თავსაც დაუკრავს.

ტიტო შეფიქრიანებული გაბრუნდება უკან.

— ეს ჩემთვის მიწდა, რომ სიკაიკაცზე გაეიხსენო ხოლმე! — თითქმის ჩურჩულით ამბობს პლატონი და უბის წიგნაკს ინახავს.

ტიტო საგონებელში ჩავარდნილა, ვერ გამოუცენია, რატომ ჩაიწერა მისი გვარ-სახელი უცნაურმა სტუმარმა. უფრო ცუდისკენ სძალავდა ფიქრი და ნაღველი უძძიმდებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის მიხედავდა ნოდარი, რომ ენიშნებინა როგორმე და თავისთან გაეხმო.

ნოდარმა, როგორც იყო, აღირსა და მისკენ მიიხედა.

ტიტომ რითის მოკაუჭებით მიიხმო.

ნაღველამ მოიბოდიშა და მაგიდა დატოვა.

— რაო, რისთვის ჩაიწერა ჩემი გვარ-სახელი? — უმაღვე ჰკითხა.

ნოდარმა ტუჩები ამობრია და სექვოდ შეაჭანა მხრები.

— მაინც?!

— ფაქტურა გაქვს კალმახზე? — შებზარული კილოთი ჰკითხა.

— ფაქტურა?! — ენა დაუდუნდა, — საიდან მექნება, როცა თევზის ჰერა აკრძალულია ახლა.

— ნწუ, ნწუ, ნწუ! — მძიმედ გაარბია თავი.



— ეითომ გამიმეტებს?! — უარესად დაიღრუბლა დახლიდარი.

— რა ვიცი... არა მგონია, მაგრამ კალმოსნებს არ დაეფიცებთ!

— მეც არა მგონია, ავი ვანზრახვა რომ უტრიალებდეს გუნებაში, უთუოდ აქტს შეადგენდა. აგრე იციან.

— აქტების წერა არ უყვარს მაგას. ისედაც უყვარებენ.

— რას ამბობ?! — უარესად დაიღრია ტიტყო.

— მერე რაღაცა ჩახატა.

— რა, რა ჩახატა?! — ჩაეძია.

— რა ვიცი, კარგად ვერ დავინახე. კაცს დაამსგავსა, სინით რომ თევზი მიაქვს. აი, ეგეთი, შენსავით მელოტი, მოგვძო ცხვირით, დაბაზდაშვებული, ყურებგადმოკეცილი.

— დაუხატოვარ და ეგ არის.

— კი, ნამდვილად!

— არ გამაგიჟო!

— რა ვქნა, სიმართლეს ხომ ვერ დაგიმალავ, ძმაკაცად მიცნებარ.

— ამის ღელა ვატარე, რა ფეხზე ავდექი ღელსა! — ნალელიანად გაარჩია თავი და კვლავ გაუარა თვალწინ კოჭლმა დედაკაცმა, დილას რომ შემოეყარა უთენია.

შავი ფიჭვები მოენისლა ტიტყოს. სხვისი მაგალითებიც ხომ უამრავი ულაგია გონებაში და საკუთარ ტყავზეც გამოუცდია კალმისწვერის ჩხვლეთა, ჭაფურის ნემსივით რომ შერტობია ღრმულა და შხამად მოსდებია მთელ სხეულს. ეს ხუთი წელიწადია „მოღიზნახეში“ მარიფათობს, წელიწადი არ გავა, რომ ზიშტივით არ დაუმიზნონ კალამი მსხვილფეხებმა და წვრილფეხებმა, დაუმიზნებიათ და წამოგებითაც დაუშვებიათ. ტიტყოს თავი დაუღწევია, მაგრამ ძვირად დასკდომია, ის ჯიქნებით დატენილი ჯიბეები უმოწყალოდ მოუთელიათ და გამოუწველიათ, სისხლისაგან დაცლასავით განუცდია და გული გადაჰფარებია. სხვისგანაც გაუგონია: „ნიანგის“ ნაკბენი არა რჩებაო; ახლაც წინასწარ ეჭინჭრებოდა ტანი, და

უსასოო ავადმოფივით მავედრებულთ თვალებით შესცქეროდა ნოდარს.

— ნუ გეშინია! — „მკურნალმაც“<sup>11</sup> დროზე მოუნამა გული.

— ორიოდ სიტყვას შემაწიე, ალბათ!

— ორიოდეს კი არა, ათიოდეს ვეტყვი, როგორ, შენს თავს გავაფუქებინებ?

— ახირებული ხასიათისა ხომ არ არის?

— ახირებამდე არ მივიყვან საქმეს.

— ბატონო ნოდარ, შენი ჭირიმი, ოლონდაც ახლა მიხსენი და მერე მე ვიცი და ჩემმა ვაქცაობამ... მეც კაცს მეძახიან და...

— კარგი, კაცო! არ ვინდა ლაბარაკი. ძმა ძმისთვის და შავი ღლისთვისო!

— მხარზე ხელი წამოარტყა იმედინად, — ოლონდა... უცებ შეყოვნდა, გამომცდელად მიხედა დახლიდარს და:

— ხომ იცი, ჩემო ტიტყო... — სათქმელის დასრულება გაიძნელა.

— დახლიდარი ვერ მიუხედა.

— მე, რა თქმა უნდა, ჩემსას ვეტყვები და იმედაც მაქვს, კარგად მოგეხსენება, ჩემო ტიტყო, ცარიელი სიტყვა, ვისი ნათქვამიც უნდა იყოს, მაინც უღონოა!..

ტიტყო დაიღრუბლა.

— მწლე სიტყვით ძალიან გავვიჭირდებ... ერთიც ვნახოთ და ცივი უარი მტკიცა, მერე რასა შერები ეს თხასავით გამოჭერილი კაცი?!

— რას ამბობ, ხომ დავიღუბე!

შოფერმა სათანავრძნობოდ მოიღრუბლა სახე.

— რა ეშველება, ბატონო ნოდარ?

— კაცი ბერდები და არ იცი, რა ეშველება?!

— მივაშოთ რამე, ბატონო ნოდარ!

— აბა, ისე როგორ გაიჩარბება საქმე.

— ხომ აიღებს?

— რისთვის ჩამოგიცადა პიჯაკი, ვერ უნდა მიხედე?

— უპ, როგორ გამოგტყინდი, კაცო! — იტყვიცა შუბლზე.

— არა უშავს, ახლა ხომ მოეგე გონს?

— რამდენი ჩაეუღო?

— ეგეც მე გასწავლო, კაცო? ზოგი რამ შენ თვითონ მოიფიქრე.

— არა, მაინც.

— ხომ იცი, რო გავიმეტოს, სამუდამოდ უნდა დაიღუბო.

— ხუთი ეყოფა? — უღონოდ ამოთქვა.

— ვამყოფინებ... ჩემი ხათრით, თორემ ხუთ მაგდენზეც ვერ გადაჩებოდლი.

— დიდი მადლობა, შენი ჭირიმე!

— მადლობა მერე. დროზე დატრიალდი! — და მესუფრეებისაყენ გასწია.

— ტიტოკომ თანამოძმეებს მოუხმობ, მათაც შეიკრეს შუბლი და საგონებელში ჩაეარდნენ.

დახლიდარმა მასაც უმალ ამცნო საქმის ვითარება.

მანაც „ხარკის“ გაღება ამჯობინა საქმის გაშვებას „ეგ არაფერი, მაგაზე საშინო „თავდამსხმელისთვის“ ჩამიგდებიანებია ენა მუცელში“ და „განუყოფელი ფონდიდან“ ამოაცოცა ტიციანა ხუთთუშნიანები. ამოაცოცა და ტიტოკოს გაუწოდა: აჰა, შენს გაუფუჭებულ საქმეს შენ მოუარეო.

დახლიდარმა ქალაქში გაუხვია „ნობათი“ და ხელის კანკალით ჩადო პლატონის პოჯაყის ჯიბეში.

ვითომც არაფერი მომხდარა, ტიტოკომ ისევ მარიფათიანად განაგრძო თავისი საქმე. განაგრძო მაგრამ შვე ფიქრს ვერ იცილებდა, სადარდოდ აღარ აცალეს.

— ტიტოკო, ჩვენთან!

— ტიტოკო, მოდი!

— ტიტოკო, ანგარიში! — ეძახდნენ მოქიფენი.

ამ სუფრახეც დადგა გადახდის დრო. ყველამ ჯიბეს გაიკრა ხელი.

— დამაცადეთ, ბიჭებო, დამაცადეთ! — ამბობს კნაპე და საფულეს ქეჭავს. ვარაუდობს, რომ ფული არ ეყოფა, მაგრამ იმედი აქვს, ტიტოკო დააციდის. ენდობა.

მაგრამ ახირებულ კნაპეს ნოღარი გადაეღობა წინ, ბატონი პლატონიც გაბედულად მიიწევს წინ, დახლიდარს უპირისპირდება და თამამად ეკითხება:

— სულ რამდენია დანახარჯი?

— არა, მაგას არ გამოართვა! — ყვირის უკან მოქცეული კნაპე და ცდილობს წინ წარდგეს.

ბიჭები გასაქანს არ აძლევენ, კნაპე კი გამეტებით ფაფხურობს.

— მოიცა, კნაპე! — ჩურჩულით უწყრება ნოღარი.

— როგორ მოიცა, ჩემი დაპატიებელი ხართ და სხვამ გადაიხადოს! — ხმას აიწევს კნაპე.

— კნაპე, ჩაიდე ჯიბეში!

— ნუ გეშინიან, არ შეგარჩენთ, სხვა დროს დაგახარჯინებთ! — კვლავ აჩუმებენ შოფრები.

— არა, არა! — იტყუება კნაპე.

— ბატონო ტიტოკო, ყურს ნურავის უგდებ, მე მომხედე! — სახე უციინის პლატონს.

დახლიდარი დაბნეულად შესცქერის.

— გვიანგარიშე-მეთქი! — ხმას იმაღლებს მუსიკის მასწავლებელი.

— გადახდილია, ბატონო პლატონ! — თან ღიმილად დნება ტიტოკო.

— როგორ? გადახდილია?! — თვლებს დააცეცებს პლატონი.

შოფრები მხრებს იჩეჩენ და ეშმაკურად იღიმებიან.

— პო, გადახდილია, აი, აქედან აიღე! — ყვირის კნაპე.

კნაპეს კვლავ წინ ელობებიან ბიჭები და ისევ პლატონს აძლევენ გასაქანს.

— ვინ გადაიხადა? — თავმომწონედ კითხულობს ძველი ყარაჩოხელი.

— ხვალე გეტყვით, ბატონო პლატონ, ხაშზე რომ მობრძანდებით!

— არა, ახლა მითხარით, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინა გვცა პატივი!

— ეგ დიდი საიდუმლოებაა! — ღიმილს იმრავლებს.

პლატონი იჯერებს, რომ ვილაყამ გადაიხადა „არალეგალურად“. მისმა

თანამესუფრეთაგანმა კი არა, სხვამ, „ნეტა ვის ევალებოდა გული?“ კითხულობს და გან-განზე იხედება. რომელიმე მოსწავლის მშობელს ვარაუდობს, კმაყოფილების ნერწყვს გადაყლაპავს, აღფრთოვანებულია. დახლიდარს მიუბრუნდება, გულზე ხელისდადებითა და ქუდის მოხდით მასაც სწირავს დიდ მაღლობას.

— არაფერს, ბატონო პლატონ! როგორ, ჩვენ მაგის გაგება არა გვაქვს, ვისა ვცეთ პატივი და ვის არა!

პლატონი ვერ მიმხვდარა და ხელის-ჩამორთმევით ეშვებოდა.

— კარგად დარჩი, ოქროკაცი!  
— მაღლობთ, ჭიგარო!  
— სასიკეთოდ გადაგვხადოს! — ქუდს უხდიან შოფრები, ხმაურ-ხმაურით გადიან, მანქანაში ჩაისვამენ „ძველ ყარაჩოხელსა“ და ეციხებინან:

— საით ინებებთ, ძია პლატონ?  
— საითაც თქვენს — ბარბაცებს პლატონი.

— ამას თბილისში წასვლის თავი აღარა აქვს! — იტყვის მაღალი ნიკალა.

პლატონი თბილისის მცხოვრებია და იქიდან მიმოდის სამსახურში ყოველდღიურად.

— არა, ამის მარტოკა გაშვება სახათაბლოა! — კვერს უკრავს კნაპე. — სასტუმროში მიიყვანენ და დააბინავენ.

პიეტაკს ნოდარი გახდის. კარადაში ჩამოუკიდებს და შიგნითა ჭიბეში ხელობს.

— რასა ჩითავ, შე ჭიბვირო! — შეუმჩნეველი არა რჩება კნაპეს.

— ეგ მე ვიცი, მერე გეტყვი! — თვალსაც ჩაუკრავს.

გამოსცილდებიან და სიცილით იჭიჭებიან.

— ეს რა გააკეთეთ, თქვე უნამუსოებო! — სამდურავს არ ულევს კნაპე და თვითონაც ეციხება.

— ნუ დარდობ, ვალში არ დაგვრჩებიან, ჩვენგან იმდენი აქვთ აღებული, უთელ წელიწადს რომ მობმით გვაქეიფონ, მაინც ვერ გადაგვიხდიან.

— სხვას რომ ფეკენის ხოლმე ტვლებია ვირაშვილი, ის კარგია?!

— სადაც თავისი დაიკვეხოს, ჩვენნიც იქა თქვას! — პასუხობენ ბიჭები.

— არა, არა, დიდი უსინდისობა ჩავიდინეთ! — ნანობს კნაპე.

— ჰო, კარგი, პეიტრობას ნუ დაიწყებ ხოლმე.

— არა, ნამუსი არ მიჭრის, დღეს თუ ხვალ მაინც მივალ და გავუსწორდები, — აუფინებია კნაპეს.

— მოგვეცი, ჩვენ გადავცემთ!..

— ძალღი გენდოს, ნამდვილო ნალველავ!

— უღვაშის ღერს გამოვიძირობ და გირაოდ მოგცემ! — იცინის ნოდარი.

— უღვაშის ღერი კი არა, მაგხელა ქოჩორიცი რომ სულ გაიგლიჯო, სანდობი არა ხარ! ის რალამ მოგაფიქრებინა, რომ... —

— კაი, კნაპე, გეყოფა მასხრობა! — შეაწყვეტინებს ნოდარი.

• • •

მეორე დღით ბატონმა პლატონმა მართლა მოაკითხა „მოდი-მნახეს“.

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილებო! — თავის დაკერით მიესალმა ყველას, ღვინისაგან გამოთაყვანებული და სახე-შეშუპებული იყო.

— იცოცხლეთ!

— ღმერთმა გადღეგრძელოთ, ბატონო პლატონ! — მოწიწებით მიეგებნენ დამხვდურები.

ისე დაიძაბნენ და გაისუსნენ, თითქოს ქვეყნის გამგებელი სტუმრებოდეთ. ყველა იმის ფიქრს მისცემოდა, რომ საკადრისად გამასპინძლებოდნენ, თვალ-წარბებში შესიკვროდნენ, რას ინებებდა და რითი ესამოვნებინათ.

„ხომ არ იცოტაეა ამ მკვდარძალმა! — გულზე გააკრა ტიტკოს.

პლატონმა ჩვეული გულთბილობით მოიკითხა დამხვდურები.

„მოდი მნახეს“ მოასპარეზებებს გულზე მოეშუათ.

— სად ინებებთ დაბრძანებას?!

— რას მიირთმევთ ბატონო პლატონი?

— არაფერს. ბორჯომი გექნებათ! — მორიდებით იკითხა.

— ბორჯომიც გვაქვს, ბატონო პლატონ, კაი ხაშიც, ჩლიქიანი. ჩიხირთმაც გვეშოვება, ხბოს ხორცსაც შეგიწვავთ, კალმასს მოგართმევთ, კიტრი, პამიდორი, „გრემს“ გაგიხსნით, გუნებას მოგიწყობთ!

— აჰ, აჰ, აჰ, აჰ! — ხელებს ასაესავებს პლატონი, ლუქმის გამლეჭი და წვეთის ჩამშვები არა ვარ! — და ბროლის ტიქაში აშუშუნებულ ბორჯომს ეწაფება.

— რატომ, ბატონო პლატონი?

— გუშინ ძალიან გადავაქარბე!

— სრულებითაც არა, ძალიან ვაკაცურად გექირათ თავი, შოფრებიც კი დაათურეთ. ზოგჯერ საჭიროა ღვინის სმა. კაცი უნდა გადახალისდეს ხოლმე, გული და სული გაახაროს.

— გადახალისდეს კი არა, წუხელის ისეთ დღეში ჩავევარდი, აღარც მეგონა, თუ კიდე გამითენდებოდა დილა.

— რა დაგემართა ისეთი?! — შებული შეიკრეს.

— მთელ ღამეს მეხევეოდა გულზე, მუხლებზე დაშაყენა და, ბოდინში მომიტხოვია, დედის ხსენიც აღარ შემარჩინა!

— ნწუ, ნწუ, ნწუ!

კიდე ეხვეწენ, დაბრძანება არ ინება.

— გუშინ აქ პორტფელი დამჩა!

— ხმაჩაქრობით თქვა დამნაშავესავეთ.

— აი აგერ, ბატონო პლატონ! — მართავეს საგულდაგულოდ შენახული. არ გაუხსნათ, ემანდ არ მიგვიხედდეს, ალღოიანი კაცია, და გუნება არ აფუძღვრიოთო.

— გუშინ ძალიან დიდი პატივი გვეცით! — დამედლიერა პლატონი.

— რას ბრძანებთ, პირიქით, უკეთესის ღირსი ბრძანდებით, მაგრამ ჭერჭერობით მეტი ვერ შევძელით. უზომოდ მოხარულნი ვართ, რომ ჩვენს პა-

ტარა რესტორანში იკადრეთ მამარძანება და ამით დიდად დაგვაფასეთ!

— თქვენი შეილება რაა უხსნიან არიან? — მოულოდნელად იკითხა პლატონმა.

— ჩემი? — გაიოცა ტიტკომ.

— დიხ!

— შეილება ღმერთმა არ მომცა, ბატონო პლატონ! — დამნაშავესავეთ მოიკატუნა თავი დახლიდარმა.

— სამწუხაროა!

— გმადლობთ თანაგრძნობისათვის!

— მახლობლები მაინც გეყოლებათ ბავშვები, თუ მუსიკალურ სკოლაში მიყვანა დააპირეთ, პირველ რიგში მე მომაკითხეთ.

ტიტიკო ვერ მიხვდა, რა აზრით უთხრა, და თავის დარხევით მიუგო:

— კი, ბატონო, აუცილებლად!

— თქვენც ასე, ბატონებო! — დანარჩენებსაც მიხედა.

— დიდი მადლობა!

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! — ქუდი მოუხადა პლატონმა, წელში მორკალა და სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— გაგაცილებთ, ბატონო პლატონი — ნუ სწუხდებით!

გზამდე მოჰყენენ. თავისუფალ ტაქსში ჩასვებს, შოფერს წინასწარ ჩაუდებს ფული და გააფრთხილეს, სადაც ისურვებს, იქ მიაბრძანეთო.

ხელების საკსავითა და თავის ქნევით გააცილეს.

პლატონსაც ფანჯარაში გადმოეყო ხელიც, თავიც, და ვიდრე გაუჩინარდებოდა, ორივეს გამეტებით იქნევდა.

— მძიმე იყოს შენი ფეხი! — ჩაიბურტყუნეს „მოდი მნახეს“ მსახურებმა და უხალისოდ მობრუნდნენ.

— კაი კაცი ჩანს, მაგრამ შეილები რაზე მკითხა? მახოლზე ფეხი დამადგა!

— ვერ გამოეცნო ტიტკოს.

— ვერ მიხვდი?! — გაკვირვებით მიხედა ერთმა მოსაუბრემ.

— ნწუ!

— ეგ ზომ მუსიკალურ სკოლაში მსახურობს...

— მუსიკალურ სკოლაში?! — გაოცა ტიტკომ.

— პო, დირექტორის მოადგილეც არის და პედაგოგიც.

— რას ამბობ, კაცო!.. თან „ნიანგი“ მეშაობს?! —

— რა „ნიანგი“, რის „ნიანგი“, ძველისძველი მუსიკოსია. თბილისიდან დაიარება. ერთი უთვფსტომო და უშვილძირო კაცია, მთელი თავისი სიცოცხლე პიანინოს დაკერაში აქვს გამოლაშქებული.

— მართლა, კაცო?!

— სატყუილე რა მაქვს?

ტიტკო ჩაიფერფლა, ღონეც მივლა და გონებაც მიუსუსტა, წუხანდელი სურათი დაეხატა, თახახიანი ხუთთუფნიანები აუფრიალდა თვალწინ, უცებ მოთვალა ის დასტები, რომლებიც ზუსტი ანგარიშით გაისტუმრა, ხელდახელ შეკრება მოულოდნელი ზარალი, წამწამებზე დაუსხდა ის ჯადოსნური ციფრები, რომლებიც გუშინდელი ნამართათალის შეჭამებით უნდა წარმოშობილიყვნენ, მაგრამ პირიქით მოხდა, შვილის სიკვდილივით განიცდიდა მათს დაკარგვას და სულისშემხუთავი ბოღმა აწვებოდა ამოსიებულ ყელში.

— ხედავთ, რა გაგვიკეთეს?! — თითქმის ტირილით ამოთქვა დამწუხრებულმა.

თანამშრომლებსაც არანაკლები სიმძიმელი დასწოლოვდათ გულზე.

— რა მოგივიდათ? — თავს წამოადგათ დირექტორი.

ქირისუფლები სდუმდნენ.

— რა იყო, რა ყურები ჩამოგიყრიათ! — კვლავ იკითხა შეფიქრიანებულმა.

— მწარედ მოგვატყუეს, დომენტი კირილოვიჩი! — გაუბუღდა მიხაკომ.

— რაზე? — თვალები დააბრიალა დომენტიმ.

— აი, გუშინ რომ... — ცრემლები მოეძალა ტიტკოს.

— თფუ, თქვე დოყლაბებო, თქვენა! — და უხეში გინებაც მიაცოლა.

ქირისუფლებმა თავები ჩაქინდრეს.

— ხელიდან არც ერთი არ დაშენია ხოთ სამსახურში! — მუშტიც დაარტყა მაგიდას.

ტიტკომ და მიხაკომ ღრმად ამოიხორხეს.

სულ იმ ნაღველას ბრალი იყო! — ჩაიბუტბუტა ტიტკომ.

— ის მუსიკის მასწავლებელიც კაი აფერისტი ყოფილა! — აბუზღუნდა მიხაკო.

— ენაპეს რაღა ღმერთი გაუწყრა, თითქოს ნამუსიანი კაცია და... — დაუმატა მრეცხავმა ქალმა.

— ენაპეს კი არა, თქვენ გაგწყრომიათ ღმერთი! — ისევ დაიღრიალა დომენტიმ.

ეგრე დაძმარებულნი ისხდნენ, დანა პირს არ უხსნიდა არც ერთს.

ვის უჩივლონ, ან რაზე უჩივლონ, როგორ შეეღიონ ამხელა ზარალს!

რამდენიმე წუთის მერე ენაპემ შემოაღო კარი.

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო! — შემოეარდა და სიმხიარულე შემოიყოლა.

„მოდი-მნახეს“ მსახურებს, დიდიანპატარიანად, ყველას გული მოენამა. ფეხზე წამოუდგნენ და შუბლგახსნილები შეეგებნენ.

— რამდენი იყო გუშინდელი წანახედი? — სიცილით იკითხა ენაპემ.

— უპ, ვინ მოსთვლის!

— არა, ჩემი „მერცხალას“ მაღარიჩი რა დაჯდა?

ტიტკომ ხელახლა იანგარიშა.

ენაპემ უღარდელად გაიკრა ჯიბეზე ხელი.

— ეს რა გამიკეთა იმ ნამდვილმა ნაღველამ.

ენაპეც თავს არხევდა.

— სულ ერთია არ შევარჩენ. დედას ვუტირებ, მარტოკას ჩავიგდებ ხელში საღმე და წილებს გადმოვყარე ვინებ.

— კაით, თქვე ღმერთგამწყრალებო, პატარა რამე რომ გაწყენინოთ, მაშინვე სიკვდილით ემუქრებით.

— რაღა პატარაა.

— მესმის, მაგრამ...

— იმას ხომ არაფერი უთქვამს შენთვის? — ხმა დაიდბლა ტიტკომ

— ვის?

— პლატონია, თუ...

კნაბემ საუაროდ გაიქნია თავი.

— ნწუ! — ირიბი ღიმილი გადაივლო კნაბემ.

— სირცხვილით სადა ვთქვა, მაგის დედა ავატირე!

— რაა? გაიოცა კნაბემ.

დახლიდარმა მოკლედ უთხრა.

— ნწუ, ნწუ, ნწუ! — თავს არხევედა კნაბე.

— სულ ხელიკისფერები ჩამადუბინეს იმ კლექიანის ჯიბეში.

— ის ხელიკისფერებიც მოვიტანე!

— ახლა კი გაიციან კნაბემ და მეორე ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— შენი კაცობის ჭირიმე! — აღტაცებით წამოიძახა და „გრემს“ წასწვდა გასახსნელად.

— ეგ საქირო არ არის! — ხელი გადაუღობა კნაბემ, — ბოჯომი ვახსენი!

— ბოჯომს კი არა, გულსაც გავიხსნი, კაცურო კაცო! კნაბე იცინოდა.

• • •

დახლიდარმა ტიტკომ მალე გადაიყარა გულიდან დარდი, ანგალმა შოფრებმა რომ გაუჩინეს. მომდევნო დღეებში ხეირიანი ამინდი მოუბრუნდა, ისევე ეწვია ციფრების მუზა და ისევე შეამალდა.

მაგრამ ამ სოფელმა არც ტიტკო გაახარა ხანგრძლივ. სოფელმა კი არა, უფრო მართლად, თავისმა უფროსმა აღარ გაახარა. ის დოყლაპიობა არ აპატია, იმ დათარსულ ორშაბათს რომ გამოიჩინა. მერეც ბევრჯერ ჩაგვერის ასეთ დღეში და სულაც დაატოვებინა განთქმული „მოდი-მნახე“, საკუთარი ოჯა-

ხივით რომ შეთვისებოდა და შეეხვარებინა.

დატრიალდა ტიტკო, ვინ აღარ ჩარია საქმეში, მაგრამ ვერა და ვერ დაბრუნა თავი „მოდი-მნახეში“.

რაკი სიამ-ტკბილობით, გაძრომ-გამოძრომით, დარეკვინებითა და თხოვნით ვერას გახდა, თავი მოიფთხა, მანაც ყველაზე ბასრ იარაღს — კალამს წაავლო ხელი და გაუთავებელი საჩივრებით შესძრა ქვეყანა. რაც კი ცოდვა და ნაარშალი ახსოვდა, ყველას გამოშეურება სცადა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ საქმისა თუ ბედის გამკითხავნი „მოდი-მნახეში, მოდიოდნენ დამუქრებითა და ქადილით, ბრუნდებოდნენ გატერენილნი, კმაყოფილნი და ღიმილიანი. უძრავად იჯდა თავის თბილ საქმეზე ღომენტი კირილოვიჩი. მაგრამ გამჭიქებელთა დარწმუნება და გასტუმრება ძვირი უჯდებოდა. გამწარებული უფროსი შემორჩენილ ხელქვეითებზე იყრიდა ჯავრს. ეჭვი აცოფებდა. ეგონა, მათაც ტიტკოსთან შეკრეს პირი და ჩუმ-ჩუმად აქეზებდნენ და ეხმარებოდნენ. ისინიც ვერ ერთმანეთს გადაჰკიდა, მერე სათითაოდ გააძევა და სანდო ბიჭების ძებნა დაიწყო.

ასე რომ, ერთ დროს შემთავადებული და თბიქოს შეოჯახებული თანამშრომლები თხა-მგლებივით დაერივნენ ერთ-ერთს, მათი მეგობრობა და ძმობა შეურისძიებდალ და მტრობაჲდ იქცა.

ორიოდენ თვის მერე ახალმა ქარმა დაჰქროლა და ერთმანეთს გააყოლა „მოდი-მნახესა“ და „არ დამივიწყოს“ მეპატრონენი...

რამდენიმე ხნის მერე ერთგანაც და მეორეგანაც თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული პატარა განცხადებები: „გვესაჭიროება მეზუფეტეები, მზარეულები და სხვა მოსამსახურე პერსონალი“.

ძველი დირექტორის ქაჭანება ხომ აღარ იყო და ახალსაც ცალი თვალი გაქცევაზე ეჭირა.

## ახალი ლექსები

### სოფელი ვიხმობს ისევ და ისევ

დიდი ხანია რაც წამოვედი,  
დავტოვე სოფლის ეზო-კერია,  
თუმც მისი დილა-სალამოები  
სულში რაეოს დღესაც მღერიან.

უწვერულგაშო ასე ვისმენდი  
ერთი პაწია ყანის ღაღადისს:  
— მაშ, მიბრძანდებით?

— დიას.  
— ნახვამდის! —

და იისფერი ჩაქრნენ ნისლეები.

მომაცილებდნენ ხმაშეწყობილად  
წყარო-ჩანჩქერნი მალალმთისანი...  
მოვედ ქალაქად, მაგრამ ძმობილად  
უცბათ ვერც მან და...

ვერც მე ვიცანი.

გავყევი ქურებს. მეუცნაურა  
უცხო სამყაროს სანახაობა, —  
ალარ მესმოდა ჯეჯვრის ხმაური,  
არც ველ-მინდორი სადმე ძყვად.

მელანდებოდა დედის მანდილი  
და ნაღვლიანი ღიმილი მამის,  
ნამგალა მთვარე, შოდა, ან დილის  
ნიავის ნანა, მდღეო და ნამი.

დიდი ქალაქის გაეხდი ხიზანი...  
მთიულმა ქედი როდი მოეხარე,  
ისე დაუნებდი. მაგრამ მოყვარედ

უცბათ ვერც მან და...

ვერც მე ვიცანი.

დრომ სიტაბუეის შუქი გაფანტა —  
ძველი უარეყყავ, ახალს ვაქებდი,  
და ასე ნელა,  
ასე თანდათან  
მეც, რა თქმა უნდა, გაგქალაქელდი.

გაგქალაქელდი. მაგრამ მერე რა...  
გულს ვერ მოსცილდა მაინც სოფელი,  
აბა, რა მექნა, ვით არ შემღერა,  
— არ შეთქვა მისი საგალობელი?

ნეტავ იქ, ნაგუთს, მეხნა-მეთესა,  
და წვრილშვილიანს მეც გამეხარა,  
იქ უფრო ლაღად და უკეთესად  
არ ვუმღერებდი მშეს და ქვეყანას?

როცა მეტების ხიდიტ გაელილი  
აბოს ვაქებდი ღამენათევი.  
გულზე მეხატა შოვის ყვავილი  
და მამისონის განთიადები...

სულს გაორებულს ასე მიმკობდა  
ტკბილმოსაუბრე ნისლეების ენით  
დედაბუნება — სულ რომ იყო და  
მუდამ იქნება მშვენება ჩვენი!

დიდი ხანია რაც წამოვედი,  
დავტოვე სოფლის ეზო-კერია,  
მაგრამ ის დილა-სალამოები  
ახლაც მიხმობენ და მიმღერიან.

## ბაკაძისობა



საქართველოს  
წერის კავშირი

მუდამ გულგრილი და ნაბორგალი...  
არ უწყის რაა კრძალვა და რიდი,  
სულ ასე ბრუნავს მისი ბორბალი —  
დღეს ღამე მოსდევს,  
შარავანდს — ბინდი.

სამართალი აქვს უღვთო ძალიან,  
ტელი მსახვრალი... ვინ აქვებს ამას!

ო, მისი სუნთქვა ხან გრივალისა  
განწირულების ცრემლია ხანაც.

არ თანაგვიგრძობს ერთი წამითაც,  
არც ღიმილი სწამს, არც გაცინება...

ასე მიჰყვება მის მკაცრ დინებას  
აღამიანიც, მზეც, დედამიწაც!

## ბაკაძისის სკეტი

ყომრალ ღრუბლების შეწყდა მარულა.

ელვის შუბებით შუბლგაბზარულმა  
ცამ ნაირფერად ჩვენს დედამიწას  
დახედა ცივი მუჭარის თვალით,  
და არ გასულა ერთი წამიცა —

ვით ჯადოსნური ქარცეცხლის ხმალი  
მუხას დაეცა მესი და... უმაღ  
გმინვა აღმოსდა სულ ყრუდ და ჩუმად,  
და სულს გაუჩნდა იარა მწველი.

წვიმდა. ბერმუხას ცვიოდა ცრემლი.


## ბყის ზღაპარი

მისი დუმილი ღამით, დილითაც  
იჭნებ ზმანება ჰგონია ვისმე,  
მე კი ნიადაგ ამ დუმილიდან  
რაღაც იღუმალ გალობას ვისმენ.

ვისმენ და... სული ჩემი სავსეა  
შეუცნობელი მუნჯი ბგერებით,

და სხვანაირი გრძნობიერებით  
მამცნობს ბუნება თავის ხასიათს.

მზე ამოვა და, ცისფერ იებით  
მორთულ სივრცეს რომ მიეფერება,  
ქიმნს უმღერებენ ტყის ფერიები  
სილამაზეს და მშვენიერებას.





ბავშვ მკვლევარი

## თეთრი ტყვეები

ციკლიდან „გარსია ლორკას მონოლოგები“.

ივსება ბინა  
აყვავებულ თეთრი ტყვეებით.  
მათ სიზმრებს ჰქვიათ:  
ველ-მინდვრები,  
მთები,  
ტყეები.  
ხოლო ჩემს სიზმრებს —  
უბანეთი გაღიმებული  
და ორღესული —

მტრების გულზე დაღირებული.  
მათ სიზმრებს ჰქვიათ  
გაზაფხულის წვიმა ქუქუნა,  
ჩემსას — ამცილდა,  
ტყვიამ ყურთან გაიჭუჭუნა.  
ერთმანეთს მხოლოდ  
(გაფთქვი მათი გულის ნადებიც)  
თავისუფლების ნატვრით ვგაგართ  
მე და ვარდები.

## თითოჯერ ყველა

იმავე ციკლიდან.

— შემდეგი!  
ტირში ჰკიდია ჩემი  
გული სამიზნე და გიხსობთ მსურველ  
მტრებს,  
მაგრამ არცერთს არ გიწვევთ ჯერი,  
თითოჯერ ყველამ მესროლეთ თურმე,  
ნუ მოარიდებთ ხარბსა და ელამ  
თვალებს ჭრილობებს —  
ღრმასა და მრუმეს.  
არცერთი ტყვია პირისპირ!  
ყველამ,  
ყველამ ზურგიდან მესროლეთ თურმე.

## ი მ ე რ ე თ ი



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

იმერეთი!  
ირგვლივ ჰყვავის  
ურმული და ნადური.  
იმერეთი —  
ჩემი ნახვის,  
შენი ნახვის ნატრული.  
სინანულის ღვინოს მასმევს  
სიყვარულის სასმურით,  
გაკრეფილი ვენახივით  
მოწყენილი წარსული.  
უკან დარჩა კორის წყალი,  
სულწასული ვისწრაფი  
ჭმაჯ ფოთოლჩამოცვენილ

ოცნებამდი, სიზმრამდი,  
მოვიჩქარი.  
სამურად  
ჩამომჩნავეს ყვავებმა...  
დედავ, შენი საყვედური  
მიჯობს სხვის დაყვავებას.  
ჯერ კარგად ხარ,  
ბავშვად მაქცევს  
შენი თვალის შევლებმა,  
მაგრამ მერე,  
მერე რა ვქნა,  
მერე რა მემველებმა...

## თ უ რ ე ბ ა

რა ტყუილად მეგონა, —  
ყველაფერი წინაა.  
თურმე ახალგაზრდობა  
გადავლილი წვიმაა.  
გადავლილი წვიმაა  
და ლექსები ინახავს  
სინანულის გუბებს და  
სიხარულის ნიაღვარს.  
ბედთან ეს შედავება,  
ბედთან ეს პაექრობა,  
იმ აფთრული ბრძოლების  
ცოცხალმკვდარი ექოა.

რა ტყუილად მეგონა  
ყველაფერი წინაა —  
ვეებაა შორიდან,  
ახლოს ბაწაწინაა.  
როგორც ფოთლებს,  
(ოდესლაც მზისგან ნალოლიავენს)  
გაყვითლებულ სურვილებს  
ქარი მოაფრიალებს.  
თურმე ახალგაზრდობა  
გადავლილი წვიმაა,  
მე ვიცდიდი, მეგონა  
ყველაფერი წინაა.

## გ მ რ ი

მოდის  
საშველი დააყენე  
ცდასა და ლოდინს.  
მოდის ახალ მზედ,  
ახალ მიწად,  
ახალ ცად მოდის.  
ანდა თვალებში  
იმნაირად გამომხედე,

რომ ვთქვა:  
პირველად ახლა ვუცქერ  
ამ მთებს,  
ამ ქედებს.  
მოდის. ფილტვები დაუბერე  
დამჭკნარ იალქნებს,  
გაზაფხულივით  
მაბორგე და მაფორიაქე.

ზოდი!  
 თვით შხამიც  
 მომარტყენე ბადაგის წვეთად...  
 ვთქვა:  
 ასე ლამაზ საქართველოს

პირველად ვხედავ.  
 რასაც აქამდე ვერ მივმხედარვარ,  
 ის მიმახვედრე...  
 გამომახედე,  
 ზოდი, თვალში გამომახედე!



### ახლა რა გინდა...

ვის ედავები,  
 ვის ამტყუნებ,  
 ვის ემართლები...  
 თვითონ დაკარგე  
 მისამართი, მისამართები.  
 თვითონ ეცადე,  
 (შესაბრალო მართლა არა ხარ),  
 რომ დაგიწყებას  
 ებიბინა  
 გზებზე ბალახად.  
 ახლა რა გინდა  
 ყოვლად სუსტო,  
 ყოვლად ძლიერო —  
 სულო,  
 გადამწვარ  
 ტრამალივით უკაცრიელო.

ვიღას სჭირდება  
 ხმაჩამწყდარი  
 შენი ნალარა —  
 გადაქცეული  
 სიყვარულის ნამოსახლარად.  
 ვინდა გიწამებს,  
 (შეგაქცია ზურგი იღბალმა)  
 ვინ დასახლდება  
 იქ,  
 სადაც სხვამ ვერ გაიხარა.  
 გაუმადლარო,  
 ხარბო, სულო,  
 შენ იმდენს ითხოვ,  
 ქალს კი არა და,  
 მზეს არა აქვს  
 მაგხელა სითბო.



ეს ციციანთელები,  
 ის ციციანთელები  
 ციციანთელებით დაფრენენ,  
 წვეთი ლამის თუნებით.  
 იპოვნიან ერთმანეთს,  
 მერე ისევ ჰკარგავენ

და სინათლის ძაფებით  
 ორღობეებს ჰკარგავენ.  
 „ჩემო ციციანთელა“ —  
 მგზავრმა ჩაიღიღინა  
 ერთ დროს მეც ეს სიმღერა  
 მთელ სიცოცხლედ მიღირდა.

### მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა

ჰგავს უზარმაზარ ქალაქს  
 ჩემი მუხსიერება,  
 სადაც, ოდესღაც, ყამირებზე,

თითო-ოროლა  
 მოძმე,  
 მოკეთე,

ახლობელი სახლობდა ჩემი.  
 მერე და მერე  
 მოაწყდა და მოაწყდა ხალხი...  
 ბევრ მათგანს თვითონ მივუჩინე ადგილი,  
 ბევრიც  
 ძალით დასახლდა  
 და... დიდ ქალაქს ჩვევია როგორც,  
 ზოგი ღარიბულ ქოხში ცხოვრობს,  
 ზოგი ვეება  
 სასახლეშია არხეინად გამოჭიმული.

მდიდარი მდიდარს ემოყვრება,  
 ღარიბი — ღარიბს.  
 ზოგს ერთმანეთი უყვარს,  
 ზოგსაც სძულს ერთმანეთი,  
 მტრობენ ერთმანეთს  
 და აბრმავებთ ღვარძლი და შური.

ყოველ წელიწადს,  
 ვინც შესცოდა ჩემთან და სხვასთან,  
 გამაქვს და გამაქვს  
 დავიწყების სასაფლაოზე.



## შავი და ცისფერი მღინარა

რომანო

III

ბაკურს არც ეგონა, თუ იმაზე მეტად შეიძლებოდა გუნება მოშხამოდა, არ ეგონა, თუ კიდევ გააჩნდა რაიმე დასაკარგავი და გულდასაწყვეტი, მაგრამ სერიც ესაა ალბათ, როცა არაფრის-მქონე ჰკარგავს და გულამოგლეჯილს სულ მთლად ჩაგწყდება გული.

რესპუბლიკურ, მთავარ გამანაწილებელ ბუნქტში ყველა თანასოფელი შემოეცალა. ერთადერთი ბესო შემორჩა, როცა ძმებს გათიშეს. ეს ჯანიანი გლეხი, ცალი ხელით რომ ხარს კისერს მოუგრებდა, კინალამ გადაიირია და ბაკურს უდებო ბავშვივით ჩააფრინდა: ერთი ღერი რუსული არ ვიცი, ამასაც რომ დამაშოროთ, სად მაგზავნით, გაქნებული მატარებლიდან გადავხტებო! — იღრიალა, ზანზარი დააწყებია კედლებს.

ოფიცრებმა შემოხედეს ბესოიას ერთმანეთზე გადაბმულ, ვადაჩაზულ, ცერის სიმსხო შევკავარა წარბქვეშ აგუზგუზებულ თვალებს, ნესტოებდაბერილ კაუჭა ცხვირს და ცხვირის სიმალღეზე, დაძაგრული მუშტივით წინ

წამოვარდნილ ნიკაპს, ერთმანეთს რაღაცა ანიშნეს და ორივე ისევ იმ, ბოლო ვაგონში დააბრუნეს, რომელიც კაცმა არ უწყის, ხელახლა რა კუთხის და ეროვნების ბიჭებით გაავსეს, ან საით გაამწყსეს.

ჯერ კიდევ შუადღისას დალაქმა ბაკურს მოღვლილ, გაოფლილ კისერზე პაიპარად გაფერთხილი, ერთ ღროს თეთრი წინსაფარი გაუსკვნა და ორ წუთში მისი მალალი, სამგან ჩატეხილი ქოჩორი იატაკზე ეყარა, დალაქი კი ზედ ფეხით იდგა.

— მეტს რაღას მიზამ... — ნიშნისგებით ჩაილაპარაკა, როცა სადალაქოდან თუ სადალაქოდ გადაქცეულ ოთახიდან გამოვიდა, რომლის კარებთან ატუზული ბესოია ელოდა.

— მამიდაშენს არ ნახავ, ვატუტის, მამუკას? — კბილი კბილიდან არ აუღია, ისევ გხმოცრა ბესომ.

— არა, არსად არ წავალ...

სალამოს, როცა თბილისის თაკარა, გავარვარებული მზე შეენაბადას მოფთვარა, კოჯრის ნიავმა მოუბერა, მაგრამ დახურულ ვაგონში დამწყვედეული შუადღე თახთახებდა. ბესო, ვაგონის კუთხეში, კედელთან ბაკურისათვის განკუთვნილ მტკაველ-ნახევარ ცარიელ

ადგილს და სახლიდან გამოტანებულ ნარმის ჩანთაში ორიოდ კეცის მჭადს, ხაჭაპურს და უკვე სუნადენილ ქათამს მისწოლოდა. ბაკური ისევ ხარხიხაზე ეკიდა და გამანაწილებელი პუნქტის, მაღალი ქვიტკიარის ღობის იქით, უკვე ჩანავლებული ქალაქის თავზე გატრუსულ, სიბერით დაფეხვილი ვეფხვებით შემოწოლილ მთებს გასცქეროდა. დახუთულ ვაგონში ვიღაც, ქალაქურ მოტივზე სევდიანი აშუღის კილოზე კენესოდა.

ჩამობნელდა და ეშელონს სამანევრო ორთქლმავალი დაეჯახა.

„შშვიდობით, თბილისო!“

ორთქლმავალმა მუხბრუქებში ჰაერი გაუშვა.

— ეე, ძმა-კაც, მიიწი--მოიწი, ჩვენც გადაგვაცლავ ბაკური! — ვიღაც გვერდიდან მიაწეა და ბაკური კარების ძვილეს მოსწყვიტა, — ჩვენც დარდის შვილები ვართ!..

„ვიღაც ორთაქალღვლია, ან ავლაბრელი...“ — გაიფიქრა ბაკურმა.

— დარდისა და ცოდვისა, შაქროჯანი! — დაუბეჭდა გვერდში ამომდგარს მოხობრილმა თავმა, ხარხიხაზე ღობის გადაღმა მიბმულ კვახივით რომ გადაეკიდა.

— არ დაივიწყო, ძმა-კაც, ერთი გული გვაქვს და მტერსა და დარდს არ უნდა შაჰმევიწიო.

ბაკური ვერ მიხვდა, ეს მას უთხრა შაქრომ, იქვე გადაკიდებულ „კვახს“, თუ თავისთავს.

— შენ არ შეაჰმევიწიებ, თუ თავად არ შეგიტამა, — ისე თქვა კვახმა, აქაოდა, შაქრო, ეგ რა ვთქვი, ჩემგან ასეთი რამ ვაგონილაო?!

— შეგიტამს და შენც აქა ხარ... — ვიღაც ზურგიდან მოადგათ და ორივე ხელი აქეთ-იქით ხარხიხაზე მიყუდებულებს ისე გაშლილად გადახვია, ბაკურისაც გადაწედა.

— დარდი ჭიაა, ძმობილო! — წამოიძახა იმან, ბაიათს რომ მოთქვამდა, — არ გაიკაროთ, თუ არა, ჯივარს გამოვიხბარავს... — ისე ისროლა, წყალში ჩა-

ბირული სხეების გადარჩენას რომ მოინდომებს.

— არ დაანებებ, თუ იმ სანტალღემ დაგანება... — ლეჰვა-ლეჰვით სმარღერდა ღობის გადაღმა გადაკიდებულმა კვახმა.

— დაანებებ და შეაჰმევე, შეაჰმევე და შეგკამს... — ისევ ბრძნულად შენიშნა ხელებგაშლილმა, აქეთ ბაკურს და ალბათ მეორე მხარეზეც, ვისზეც მკლავი მიუწედა, მხარზე ხელი დაუთათუნა.

— დედიმისისამ, ვაშლის ხე ვარი? ზოგიც დამიტიანოს და ზოგიც ლოყაწითელი დამარჩეს! — დარდიანად, მაგრამ მთელი სულშეხუთული ვაგონის გასაგონად თქვა შაქრომ.

— ეგრე თქვი და... — ისევ დაუთათუნეს მხარზე ბაკურს.

— ვაჰმევე რა, ვანა პირს ძალად ვულებ და ვატენი? მომდგომია და მღეჰავს... — აღმოხდა, თავისი თავით ვაოცებულ, მეზობლის ეზოში გადაკიდებულ კვახს.

— ეე, კაცი არა ყოფილხარ! — მოწყვეტით დაკრეს ბაკურის ზურგზე, — ეგრე ზომ დედა ავტირებია და მტერი გაგიციენებია.

— აი, იმ მტრის დედა ვატირე, ჩემისაც და თქვენისაც, მაგრამა აგრე კია და... — გამოტყდა კვახი, რაკი შაქრომ უიმედობა არ იტყვოვია, აღრე თითქოს ყოველი სიტყვის თქმაზე რომ ეტყობოდა.

— არ გაუშვათ! — მოისმა ბნელში ვიღაცის მზრძანებლური ხმა.

— გაჩერდი, თორემ, გესერიო! — დააწია ბანი ვიღაცამ უფრო ხმადაბლა და იმდენად არადამაჯერებლად, გამოქცეულს ქვეყნის დასასრულამდე რომ ერბინა, არაფრის დიდებით მსროლელი არ იყო.

— გაჩერდი, შე ოჯახდაქცეულო, ნუ დაგვბოცე! — მისდევდა ვიღაც მესამე და ეხეწებოდა.

გამოქცეული მძიმედ მოშლივინობდა ვაგონების გასწვრივ, მაგრამ იმდენად უნდილად, რომ ეშელონის ბოლოში მაინც დაეწიენ და შემოეხვივნენ.

— გა-გა-მიშვით! — ღრიალებდა შიშისგან თუ ბრახისგან ენადამბული დაჭერილი.

— სად გაგიშვა შე ოჯახდამხობილო!

— გაუშვი! — გადასძახა აქედან შაქრომ, უფრო იმიტომ, რომ გულში შეპარული ჭია შოეცილებინა.

— დაილუპება ეს შობელქადლი, ცოდვა! — შაქროს ნათქვამი არც გაუგონია, თავის გვერდით მყოფთ უთხრა ვილაცამ, დაჭერილს მკლავებში რომ ჩაფრენოდა.

— მაშინ არ გაუშვა! — ახლა ხელგეშლილმა მიაძახა ვაგონიდან და შაქროსა და კვახს შორის გვერდულად შეძერა.

— გაუშვას კაცო! — მივარდა ვილაც და ბაკურის და შაქროს შორის შეკვეხება მონღომა, ბაკური სულ გვერდზე მისწია.

— დამანახეთ, რა ამბავია, რა ხდება! — კიდევ მოაწყდა ვილაცა ხარხას.

— წამოდი, რომ გელაპარაკებინა!

— ვე-ერ...

„ეს ლეონზე უარესი ბლუ ყოფილა... ნეტავ სად ვარბის ეს უბედური...“ მძასავით შეებრაღა ბაკურს, კარებზე მოსეულებს გაეცალა, ბესოს გვერდით ადგილი მოძებნა და ჩაწეა.

— რა უბედურებაა?! — ჩაიღმუფლა ბესოიამ.

— რა ვიცი, ვილაცა ვარბის, რას ვაიგებ... — ბაკურის სუნთქვა გაუჭირდა შეხუთული ჰაერისაგან, თუ თავისი ენადამბული, კეთილი და უთქმელი უფროსი ძმის გახსენებით.

„აღბათ ლეონსაც ვაიწვევენ, მამუკასაც... ერთიც და მეორეც საცოდავია, მე მაგათთან შედარებით...“

„ლეონს მართლა ასე ხელაღებით ვინ წაიყვანს, სტუდენტი კი აღარაა, ბალი ათი შაურიოო, არავინ ჰკითხოს“.

— რატომ ვარბის, რატომ? — იკითხა ისევ იმ ხმამ, გესვრითო, რომ ემუქრებოდა და არაფრით მსროლელს არ ჰგავდა.

— ცოლი ჰყოლია ამ ოჯახამოწყვე-

ტილს... — მონღომა ახსნა, „დაილუპებაო“, რომ იცოდებდა იმან, მაგრამ ეტყობოდა ხელიდან დაუსტოვებულ დაჭერილი, უკან რომ მიჰყავდათ და ისევ გამოუდგნენ. ვაგონის კუთხესთან ალბათ ისევ დაიჭირეს, რაკი ჭაქანი, ძიძგილი და ჭშენა ახლა იქიდან მოისმოდა.

— ცოლი თუ ჰყავს, გაუშვით! — გადაიხარხარეს აქედან.

— ვა, იქნებ ცოლთან ურჩევნია ამ კაცს და ძალაა?!

— ცოლს რა სჯობია, ძმობილო!

— გააჩნია, როგორი ნაჭერია.

— მიდი!

— მიაწეე!

ისევ მოათრიეს ვაგონის კარებამდე.

— ტრობუნალს უნდა გადაეცეთ ეს სახლკარდაქცეული!..

— გა-ადამეციო! — ამოიღმუფლა ბოღმისაგან მთლად ენაწართმეულმა.

ბესო წამოიწია, წამოჯდა.

— ვინაა? — იკითხა ისევ.

— რა ვიცი... — ვერაფერი გაიგო ბაკურმა.

— დეზერტირ! — გადასძახეს ისევ აქედან, უკვე დარდის გასაქარვებლად რალაც რომ იზოვნეს და იმისი თავი არავის ჰქონდა, გაეაზრებინა, ეს მართლა ის იყო, რაც ახლა მათ გაახალისებდათ?..

— მიდი, შენ ცოლთან დაწეე და ჩვენ ლემენცს ჩავეხუტებით!..

— აქ ნახევარზე მეტს ჰყავს ცოლი და შვილი! — ახლა იმან დაუწყო ახსნა, თავიდან „არ გაუშვათო“ რომ იბღავლა.

— უკანასკნელ დღეში ყოფილა ის ოჯახკეთიანი! — აუხსნა მან, ოჯახის „დაქცივისა“ და „ამოწყვეტის“ გარეშე სიტყვას რომ არ მოაბრუნებდა.

ბესოს ჩანთის ყურზე თავმიდებულ ბაკური კედლისკენ გადაბრუნდა.

— ვა, გაუშვიო! იქნებ ავადმყოფ ცოლს უნდა უწამლოს! — „აუხსნეს“ აქედან.

— კაცო, ეს შეიძლება? ქმარი ცოლთან არ მიუშვიათ...

— იქნებ ჯვარნაწერი არაა... — და გველა ვაგონის სიღრმეში მეზაიათე.

ბესომ ჩანთის აქეთა ყურზე მიდვა თავი და თავის აყროლებულ, მძორივით დარდს დაუწყო მაგარი კბილებით ლექვა.

— გაუშვი, თავის თავს დააბრალოს! — ეტყობოდა რომელიღაც სხვაზე ადრე დაიღალა ამდენი ძიძვილობით.

— არა კაცო, კაცია ესეც...

— კაცი რომაა, ხომ უნდა გაიგოს! ისმოდა ქვევიდან.

— დედაჩემი წუთებს ითვისებდა, რომ წამოვედი... — იატაკიდან წამოვარდა ვიღაცა, ვაგონის კარებს მისეულეები მიყარ-მოყარა, — მაგი ცოლს დარდობს? — ვადაბლავლა ზევიდან.

— შეი-ილს! — ამოსძახა გაბაწრულმა რატომღაც ამ ვაგონიდან ვადაძახილს, იქ, თავის გვერდით მყოფთ რომ პასუხის ღირსად არ თვლიდა.

„შვილიც ჰყოლია უბედურს“ — ყურზე ხელები აიფარა ბაკურმა.

— შეილიც ელუბება?... — დაიხია უკან მან, წელან მომაკვდავი დედის დარდით კინაღამ რომ დაანგრია აქაურობა.

— აგერ უფროსო! — დაიძახა, „გესერიო“ ყასიდათ რომ იმუქრებოდა, — ამ ვაგონში ავიყვანოთ, თორემ ამას ეშელონის თავში რა მიათრევს!

— რას დავეძებ, ეს ამოწყვეტილი, როგორმე გამაგზავნი... — ჯიკავ-ჯიკავით ახლა კარებთან მოათრიეს.

— მოგვეშველეთ ბიჭებო! — შეიხვეწენ ქვევიდან.

— აა, შაქროვანი! — იკითხა კვამბა.

— ეგეც კაცია და ქუდი ხურავს!.. — თქვა მეზაიათემ, ახლაც ბაიათის მოტივზე.

— ჰიას სულ გამოუხრავს... ვინ იცის ჩვენ სად გამოვგზავს... — დაბეჭდა შაქრომ და კარებთან ჯიკავ-ჯიკავი და ჩოჩქოლი ატყდა. ვაგონი დაირყა.

ვაძალიანებული ამოათრევს და კუთხისაკენ მოისროლეს. მაშინვე უკან გატრიალდა, მაგრამ კარებზე მისეულეებმა გზა აღარ მისცეს.

— ბიჭებო, ეს ოჯახდაქცეული არ გაუშვათ, დაილუპება! — შეიხვეწეს თუ ბრძანეს ვარედან.

— მალე წავალთ, უფროსოვანი! — ჰკითხეს აქედან, ეგ ჩვენზე იყოს, შენ წასვლისა გვითხარი რამეო.

— ახლავე, ახლავე! — მიამძახეს და გაიქცნენ.

ვაგონში მომწყვდეული დაიბნა. აქეთ-იქით მიიწყდა, რაღაცას თუ ვიღაცას წამოედო, იატაკს დაასვდა. ადგი, ისევ დაბარბაცდა, ისევ გასასვლელს მიაშურა, მაგრამ უიმედოდ. იქიდან ვაგონის აქეთა კუნძულისაკენ წამოლასდა, ისევ წაფორხილდა, ბესოსა და ბაკურის ზემოთ, ვარდი-ვარდმო დაენარცხა, ბაკურის გვერდით თავი კედელს დაჭკრა და დარეტიანებული იქვე დარჩა.

— რა ჯანდაბაა!.. — წამოდგომა და თავიდან მოშორება დააპირა ბესომ, თავის მიმე დარდზე დამატებულ კედევ უფრო უსაშველო დარდს ვეღარ გაუძლო.

— აცალე ბესო, იყოს... — ბაკურმა ხელი მოუსვა წაქცეულს, ბნელში გახეთქილი შუბლი უშოვა და ცხვირსახოცი მოიძებნა. კედლისკენ მიბრუნებულს ის წაქცეული კაცი წელზე აწეა და ჯიბეში ხელის ჩაყოფა ვერ მოახერხა, მერე ძლივს ბესოსკენ გადაბრუნდა, ვანატენ ცხვირზე ნადები, სისხლმემხმარი ცხვირსახოცი ამოჭვალა, და ბნელში ხელის ფათურით გონიმიხდილს ოფლითა თუ სისხლით გახვიტულ შუბლზე დააფარა.

— ასე სანამდე გავძლო... — იკითხა ბესომ და კბილები გააღაწუნა.

— აბა, რა ვუყოთ? გონს რომ მოვიყვანოთ...

— მთვრალია?

— ალბათ... — ეს კი თქვა ბაკურმა. მაგრამ მისდა გასაოცრად, სულშეგუბებულმა უცნობმა რომ ერთბაშად ამოიხენეშა, ისევ წამოდგომა დააპირა და ბაკურმა კისერზე ხელი მოხვია, არ წამოვარდესო, არავითარი ღვინის სუნს არ უგრძენია, იგრძნო მწვავე ოფლის,



სისხლის სუნი, ნაცნობი სუნი, მაგრამ ღვინის, ან რაიმე სასმელისა — არა.

„ეს რაღა უბედურებაა, რამდენი ვინმე გვერდში მოგიწეება, დაეცემა, ან შენს ახლოს დაიღუპება, ყველა ძმა უნდა გეგონოს? რატომ ჰგვანან ადამიანები ასე ერთმანეთს?.. — ბაკურიმ და მძიმებული თავი ისე მოწვევით გაიქნია, კისერი კინალამ იღრძო და ვულაღმა გადაწვა. ჩანთის ყურს აცდა და კვინიხი იატაკზე დაახეთქა. მაგრამ ახლა ამან ღიმილი მოჰგვარა და ნატყენი თავი დაამშვიდა, — „კომედია ახლა იწყება... აქ, ღმერთმანი, კარგად შეიძლება გაერთოს კაცი“...

ეშელონი დაიძრა.

წინა ვაგონიდან სიმღერა მოისმა. კარებს მისეულ ხელი-ხელ გადახვეულ ბიჭებსაც ახლა მოაგონდათ — იმათ რომ არ წამოეწყათ, ესენი დაიწყებდნენ; მოგუდული, ბოლმით გაყდენთილი რაღაც აღმოხდათ, ჯერ ხმადაბლა, მატარებლის სვლასავით უხმო და დუნე, მერე ისე უმატეს, როგორც სიჩქარემ იმატა.

სიმღერა ბევრნაირია, ვერც კი ჩამოთვლი იმდენნაირი, და რატომღაც ერთბაშად, ერთი სიტყვით, ყველას მონაც სიმღერას ვეძახით.

#### IV

ეშელონი, ორლიანდაგიანი რკინიგზის ოიარვე მხარეზე გაშლილ სტეპებში ერთადერთი შენობის, თეთრი სოკოსავით დასკუპული სადგურის წინ გაჩერდა, რომელსაც სათადარიგო ღიანდაგიც კი არ ჰქონდა და ვაგონებიდან ბიჭები ერთი აურ-ზაურით და ფაცხაფუცხით გადმოფერთხეს.

მამუკამ მაშინვე იშვირა ფეხი და შენობას მიამურა. ლურჯ ყუთს, თავზე რომ თითის სისქე ტალახისფერი მტვერი ედო, პირი გაუღო და კონვერტების დასტა ჩაატენა, მალე მის ზურგს უკან რიგი გაჩნდა.

საერთოდ დაფანტულს და თავმოუ-

ბმელს, გაწვევის დღიდან დასწრდა უაზრო ბორილი. სადგურიდან სადგურამდე მოუთმენლობა და წერილგზის წერა. შეჩერებისთანავე ვაგონიდან ჩამოვარდებოდა და თვალბდაცეცებული დაეძებდა ლურჯ ყუთს. ამ ექვსი დღის მანძილზე ეშელონი ზოგჯერ ისეო ადგილზეც დაეყუდებოდა, სადაც არც სადგური ჩანდა და არც სოფელი, მაგრამ ბიჭი მაინც მხარნაცვალავით გარბოდა, გარბოდა, რომ მატარებლის თავში ან ბოლოში გასულიყო, ქვევით ბორბლებში გამძვრალიყო და მეორე მხარეზე გაეხედა...

ამ ექვს დღეში ალბათ ოცდაათი წერილი მაინც დასწერა და გაგზავნა, თითქმის ერთნაირი შინაარსის, რაკი ყველაფერი აქამდე ერთნაირი იყო.

უკან სირბილით დაბრუნებულს ნოშრევანი იქვე დახვდა, საჩივით დასობილი. ორივე ბიჭებზე ზურგჩანთებმოგდებული, ვილაცის დაჟინებულ რუსულ ბრძანებაზე: „მოეწყვეთ, ოთხ-ოთხად მოეწყვეთო!“, დაბორკილებით იღგა და თვალბდაყვლეპილი დაეძებდა მამუკას:

— რა გქნათ?

მამუკამ რაც იცოდა, გააკეთა, და ახლა მასაც ვერ გაეგო, სად მოწყობილიყო, ვისთან, ვის გვერდით დამდგარიყო, ვის წინ და ვის უკან.

— ჩვენი ბიჭები სად არიან? — ესლა ჰკითხა.

ნოშრევანს ახლა მოაგონდა ბიჭები და სადგურის გადაღმა, ტრამალის დასაწყისში თავშეყრილებს გახედა:

— აი, ეგერ ბელს გვიქნევენ!

— ჰოდა, მათთან წავიდეთ!

მაშინვე ისე გაიქცნენ, არ მოგონებიათ, რომ ერთი ორ ჩანთას მიათრევედა მეორე ცარიელ-ტარელი მისდევდამანამ, სანამ ნოშრევანს, სადგურის ახლოს, მიწაყრილთან, მინდორში ჩარბენისას ჩანთის ღვედები ჯერ მარცხენა ბეჭიდან არ ჩამოუცურდა და იმას რომ წაეტანა, მეორე — მხრიდან სულ ჩამოუვარდა.

მამუკა მიეშველა, მაგრამ ახლა მანაც ორივეს გამორთმევა მოინდომა.

რალაც ვრძელ, მიბრუნდულ-მობრუნდულ ოთხეულებად თავშეყრილ ჯგუფებს, მეთაურები რომ ორივე ხელით აწევბოდნენ და ასწორებდნენ, აეთანდლილ ბოკერია გამოეყო, ჩანთები ჯერ ორივეს წაართვა, მერე თითო-თითო დაუბრუნა. ჩადგა შუაში, ხელები აქეთ-იქით იღლებში დასტაცა და მწყრივებში შეყარა, თვითონ კიდეში დადგა, მერე ორივეს გაწვდილი მკლავები გულზე ააფარა, უკან დაახვეინა, იქეთა მხარეზე მდგარ ლადო ცინცაძეს გაუსწორა.

ივლისის მზე ჩადიოდა, მაგრამ თვალუწვდენელ ტრამალზე აღმური, ცეცხლის ენებივით, თვალნათლივ მალა მიიწვედა. ზეზეულად გაფიცებულ პურის ყანებში კალიების ქრიალიც კი არ ისმოდა.

— რა საწრიალე ავიტყდა, კაცო, შენ! — ისე იკითხა ბოკერიამ, მწყემს ბიჭს ორ ბატკანს რომ ჩააბარებენ და ჯერ ის ეწყინება, რომ ორზე მეტი არ ანდეს, და მერე ის, რომ ამათაც თავი ვერ მოუყარა.

— წერილები ვაგზავნა, ის ხომ არა... აუხსნა ნოშრევანმა მამუკას მავიერ, ვითომ აეთანდლის ეს არ სცოდნოდეს.

— წერილები! წერილები! დღეში ასჯერ წერილის ვაგზავნა... — ყურებზე ჩამოვარდნილი ქული მოიშვლიბა გახვითქულმა და გამწყარალმა ბოკერიამ, — წერილებს ჩვენ არ ვაგზავნით, თუ?! ჩვენ არ გეყავს პატრონი, თუ ციდან ჩამოვფრინდით. ექვსი დღეა მოვდივართ, ავიღე, სამი წერილი ვაგზავნე. მივალთ ადგილზე, დავბინავდებით, მისამართს მოგვცემენ, ავიღებ და კრდე ვაგზავნი, ფოსტა იქნება და ტელეგრაფი. ასე ხომ არაა საქმე... აგერ ცინცაძემ ერთი წერილი ძლივს ვაგზავნა...

— სწორდით! — დაჭექა ვილაცამ, ბოკერიას სიტყვა გაუწყდა.

მამუკამ ხელები ჩამოყარა, წინ წაიწია და თვალუწიერ, თორნესავით თავ-

ზე დამხობილ ცას მიაშტერდა. ნოშრევანს ისევე ჩამოუცურდა მხრიდან ვატენილი ზურგჩანთა და მკლავზე დაეკეცა.

— უკან დაიწი შენ, საცხა ჯანდაბაში რომ იხედები! — გულზე ისევე გაშლილი ხელი დააფარა მამუკას მკლავ-გამოწვდილმა აეთანდლიმა.

ნოშრევანმა მხარზე მოსაგდებად აქნეული მძიმე ჩანთა ჯერ წინ მდგომს ამოყრა უკანალში და მერე ბოკერიას მოახვედრა.

წინ მდგომს არ მოუხედავს, უკან ისე მოისვა ხელი და ღილინივით თქვა:

— ნუ, ნუ!..

— რა გაქვს, ბიჭო, შენ მაგ ჩანთაში, რომ შენც მოგკლა და ჩვენც დაგვხოცა, ვერ ხედავ რომ ორი დეედი აქვს? გაუყარე შე საცოდავო, ორივე ხელი!

ნოშრევანმა გადატრუსულ, მოკევილ ბალახიან წითელ მტვერში ჩანთა ჩააგდო, დაიხარა, ორივე ხელი ქამრებში გაუყარა, მკლავებზე წამოიკცა, გაიმართა, და ჩანთა გულზე ჩამოიკცა.

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — ვადაირია ბოკერია.

— ნაბიჯით იარ! — გაისმა კვლავ ბრძანება, სქელ შუშას რომ თავით ვაამსხვრევე, ისეთი მქაბ-ხმით.

კოლონა დაიძრა.

გულზე მძიმე ჩანთააკიდებულმა ნოშრევანმა მარჯვენა ფეხის ნახევარი ტერფი, წინ მდგომ „ნუ, ნუ-ს“ მოქცეულ ფეხსაცმლიდან რომ ქუსლი ამოუყარდა, ქუსლსა და ფეხსაცმელს შორის შედგა და ზედ დააწეა. წინ მდგომმა ნაბიჯი ველარ გადადგა და უკან მოაწყდა. ნოშრევანს თავის მხრივ ზურგზე მოასკდა ვილაცა, აქეთ ვითომ მამუკა მიეშველა, იქით ბოკერია ეცა, ლადი ცინცაძემ ძლივს მოასწრო გვერდზე გადაგომა და ეს ძალის ძალათი შეკოწიწებული ოცეული ზედახორად იქცა...

პურის ყანებში ლარივით სწორ ვაგზაზე უხმოდ გაიბაწრნენ გაწვეულები ორლობეში შერეკილი ნახირივით, ორთვალეებით, ოთხთვალეებით, ურმებით

და მანქანებით დასეროლ მოუქირაწყლავ გზაზე, ფუმფულა ლაფივით მტვერში კოჭებამდე რომ ეფლობოდნენ, ბუღის კორიანტელი ავარდა. შორიდან მხოლოდ წინ მიმავალ ოცეულს თუ გააჩნევდა კაცი, თორემ კოლონა სად თავდებოდა, ამის დანახვა შეუძლებელი იყო. ფეხის ხმა ისე მიწყდა, თითქოს ნაბლით დაჭედვით ჩათვლემილი მტრის სანგრებს ეპარებოდა. ყანების ორივე მხარეზე უკვე ჭრიჭინი, კრუალი და კალიების ფრთების შრიალიც კი მოისმოდა.

წანაცრული ნაკვერჩხლებივით უფერული, თავარა მზე რომ ჩაესვენა და ცის კიდზე მეწამული გვირგვინის ნახევარწრე მიიწავლა, ცხელმა ნიავმა თინიდან ამოვარდნილი აღმურივით მოტებრა და გრძელ გზაზე გაბაწრულებს სქელი ბუღის ფარდა გადახადა. ამ ოფლად გაწურულ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ჭრულ-ჭრულა რაზმებს ახლა ტალახისფერი დასდებოდათ და აქ მტრის საპაერო თავდასხმა რომ ყოფილიყო მოსალოდნელი, აგრე იოლად, მით უმეტეს ზევიდან, პურის ყანებიდან და გზიდან მათ ვერაინ ვაარჩევდა.

მამუკას შარჯნივ, ზოგჯერ დინჯ და პირზე ბოქლომდადებულ, ხოლო ზოგჯერ, საღერღელი რომ აეშლებოდა, ენადგაკრეფილ თელაველ ცინცაძეს შავი უღვაშები, წარბები და წამწამებიც ნოსრევანის წინ მიმავალი იმ რუსი ბიჭივით ქერა ვახდომოდა, ზედახორიდან რომ გამოძვრა და ისევ „ნუ, ნუ“-ო ესლა დაიძახა.

— რა არის კაცო ეს! — გადააფურთხა და გადააფურთხა ბოკერია, — სასაში ამომეწება და არ მშორდება... — თავი ისე იმართლა, ხითქოს შეღებულ იატაკზე დაეფურთხებინოს.

— ეგ არაფერი! — დაამშვიდა უკვე ქერა, ჭირკვივით ჩადგმულმა ცინცაძემ, ზედახორის შემდეგ რომ ხმა არ გაუღია და ახლა მტვერწყალაბი უკეთეს გუნებაზე იყო, ვინემ მამინ, სანამ გზას დაადგებოდნენ.

— რაღა არაფერია, ფილტვებში ბათმანი ტალახი მექნება, რავარც მივალთ, აბანოში უნდა ვდურთოთ თავი! — დურთე! — ნება დართო ცინცაძემ.

— შენ რა, მაგ „რიცა“ უღვაშებით აპირებ დაძინებას? — ეწყინა ფიქს ავთანდილს, მე შენი ხელქვეითი კი არა ვარ, რომ ნებას მაძლევო, — თქვენ ბიჭებო? — ნოსრევანს და მამუკას დააჩერდა, აქო და, თქვენც ისე მოიქეცით, როგორც მე, მაგ ცინცაძეს კი, ეტყობა, დაბანა ისე აწყენს, როგორც ჩვენ დაუბანლობაო.

— რა ვიცი, — თქვა ნოსრევანმა, მტერაინი წითელი ტუჩები გაილოკა და სანამ ბოკერია მთავი არ მიაბრუნა, ვერ გადააფურთხა.

მამუკას ხმა არ გაუღია. სანამ ჩამობნელდებოდა, საღლაც შორს, ტყის შავი ზოლი და თეთრი, მორჩილა ათიოდე ხატა გამოილანდა. უთუოდ ტყის მიღმა უფრო მეტი იქნებოდა.

— ეუპ, რა მიაწევს იქამდე! — შეწყუხდა ბოკერია, რატომღაც სოფლის ახლო-მახლო დაუბანაკდებითო, რომ ეგონა, რაც ბურის ყანებს ვაცდნენ და უკაცრიელ სტებებში ეს ერთადერთი რამ შენიშნა, საღაც ადამიანები ეგულებოდა.

— იმასაც გაცილდები... — დაამშვიდა ისევ დინჯად ცინცაძემ.

— რას გავცილდები, კაცო, შენ ხომ არ გადაირიე! მომღეჭა ფეხი ამ დასაწევამა, — ბოკერია ასკინკილა შეხტა და ფეხსაცმლის წვერზე ხელი იტაცა, მაგრამ მაშინვე წაიფორხილა, ალბათ უკნიდან ფეხი წაკრეს, — რას გავცილდები, იქამდე მიმალწევია, თორემ...

ნოსრევანმა ჩანთის ღვედებსა და მხრებს შორის ხელები შეაკვება და ფეხებშუა კვლავ ნამალავად ჩააფურთხა.

— თქვენ რა ენა ჩაგვიარდათ! — ნოსრევანს და მამუკას მოხდა, — მაგ ჩანთების თრევა კიდევ შეგიძლიათ?

— არა... — იუარა ნოსრევანმა და

ლაიყანა: მე ამდენხანსაც არ შემეძლო.

— მაგი რავე სულ დამუნჯებულია, რა ჭირს მაგ ბოქს? — მზრუნველობით იკითხა ავთანდილმა, მაგაზეც თუ მე არ ვითავცემე, ცინცაძეს არ მოავგონდებო.

— ერთი კვირაა ხმა არ ამოუღია და ახლა უკვირს? — მტვერდადებული სქელი მხრები შეატოკა ცინცაძემ.

— მერე და ხომ უნდა ვიკითხოთ, კაცო? — აღარ შედაგებია ბოკერია, — ახლა ერთმანეთის პატრონები ჩვენა ვართ, აბა საწყალი დედაჩემი ვადამისვამს ქოჩორზე ხელს თუ? — და ბოკერია იყურამდე ჩამოფხატული ქუდი მოიშვლიდა, თავზე ხელი მოისვა, — სადღაა ქოჩორი, ეს უპატრონო... თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს... ულვაში მაინც მომეშვა... — შეშურდა ავთანდილს ცინცაძის მტვერწყაროლი მსხვილი ულვაშები, — ახლა ჩემს ბარობაზე ერთი ღერი ბალახი აღარაა!

— მოუშვი! — დართო ნება ლადომ.

— მოუშობ, რატომ გგონია არ მოვეუშობ! — ისევ ეწყინა ავთანდილს: შენ როდის გკითხე მომეშვა, თუ არაო. — მოიცა კაცო! — ერთბაშად შეიცხადა, ცინცაძის ხელმარჯვნივ სოფლისკენ მიმავალ გზას რომ გაცდნენ, — ამ გზას აქეთ სად დაადექით? — და ფეხი მიასო, უკნიდან მოასკდნენ, უბიძგეს და ისევ რიგში ჩააყენეს, — მოიცა კაცო, რომელი ხარ, წინ რომ მაგდებ? — აქეთ არაფერი არ ჩანს, ღამდება, სოფელი და ქვეყანა იქეთ რჩება!..

— „დავია“, „დავია“! — მოაძახა ვილაყამ ზურგს უკან, რომელმაც, მტყობოდა, ორი ღერი რუსული იცოდა. აზერბაიჯანელი უნდა ყოფილიყო.

— რა „დავია“, — მოიღრიცა კისერი ბოკერია, — იცი, საით მიდიხარ იოლდაშ?

— „დავია“, „დავია“! — გამოეპასუხა „იოლდაში“.

— ე, გაიხედე წინ და დაინახე! — ბოკერია ნოსრევეანისკენ მიიწია, — ამ ქვეყანას არც კიდევ უჩანს, არც განუ.

რო „დავია“, სანამდე „დავია“, მარკლა ამ უპატრონომ! — ისევ ასკინკილა შეხტა ბოკერია, — ლურსმანი! შიგ ამოჩრილი, ფიცარს რომ დააქედო, გახეთქავს.

— ამოაძვრე და შეინახე, გამოგადგება! — დაარია ცინცაძემ.

— შევინახო?... რა შევინახო? — ვერ გაიგო ავთანდილმა.

— ლურსმანი,

— რათ მინდა ლურსმანი.

— სახლის ასაშენებლად.

— მე სახლებს მაშენებინებენ აქ?

— აქ დაგანგრევენებენ...

— ან რატომ დავანგრევე!

— გინდა არ გინდა, დანგრევე.

— მაინც რად მინდა ლურსმანი?

— რომ დაბრუნდები... შენ სენაკელი ხარ, თუ ზუგდიდელი?

— მარტვილიდან ვარ...

— ჰო, მარტვილში რომ დაბრუნდები და სახლს აიშენებ, გამოგადგება.

— სახლს რომ ავაშენებ მარტვილში? შენ მე ვინ გგონივარ, ცინცაძე, შენსავით ფუქედანგრეული ვინმე ხომ არა, ამ ცინცაძეს, რომ თავი თელავში ამოვიყვია. მე სახლიც მაქვს და კარიც.

ცინცაძეს მტერიან ულვაშებში, როგორც იყო, ბოლოსდაბოლოს გაეღიმა, ნოსრევეანმაც დაალო პირი და ერთი მუჭი მტვერი გადაყლაბა.

მამუკას არაფერი გაუგონია.

## V

ლუსკუმ ბნელში, საღდაც ქენჭყობების და ბურის ყანებს შუა, ნაურმალ აღვილზე შეჩერდნენ, აქეთ-იქიდან რომ მინდვრის ზოლი გასდევდა, ყანისკენ უფრო სწორხაზად და მეორე მხარეზე მეტ-ნაკლებად, იმის კვალობაზე — თავიარა ზაფხულს, რამდენზე დაეხევიანება ქაობისათვის და ლელიანში სტეპის ბალახი მოემრავლებინა.

ოცწუთიანი შესვენება გამოაცხადეს.

ბოკერია მქვა ისროლა და თავი შეუშვირა.

— მე კი გავთავადი და ახლა გინდა დამასვენეთ და გინდა დამმარბთ, მაინც ვერაფერს გავიგებ...

ცინცაძემ ვითომ რალაციის თქმა დააპირა, მაგრამ იმასაც მოეცეტა საღერღელო; ავთანდილი ამდენმა დუმილმა უფრო დაღაღა, მიხვდა, რომ მის გასაჭირს არც ღმერთი და არც კაცი, ყურად არ იღებდა.

მარჯვედ მოსმული ბასრი ცელი, მალე ბალახს ერთ მოქნევაზე რომ მარჯვენად მარცხნივ დააფენს, ასე თავიდან ბოლომდე მოიცილა და გაეგო მიწას ეს ორიათასი კაცი, შრავალქირანცადი მეთაურიდან — ფეხში ლურსმანშერტობილ ბოკერიამდე, წყელან რომ ამბობდა, მორს რომ დააქედო — გააბობსო.

იქაურობა ურმით იმდენი ნაჩირხალები არ იყო, რომ ბალახი ამოეძირკვა. რკინისსალტიანი თელეებით დაღარულ მანდორზე ვისთვის საღ მიესწრო შესვენების ბრძანებას, იქვე დაშვებულ იყო.

მამუკა თავდაღმა ჩაემხო. მტერით და ოფლით გაზინთული სახე ბალახებზე უნდოდა შეეხოცა და ღამის ნამწაგრულ მიწის ნოტიო ეყნოსა.

ცხვირი მიწამდე წაჰყო, მაგრამ წინ წასულებს ბალახი ოფლიანი ფეხსაცმლით ჩაესრისათ, თუმცა პირწამხმარი მწვანე ზედაპირი ვერ აემტვერებინათ.

მამუკა ლადო ცინცაძის იქით გახიზდა, ყანის კიდეზე, ფეხგაუდგმელ ბალახებში გადავიდა კურდღლის კვალს აღევნებულო, ნიჩქაყაფილი, ძალაგამოცლილი მეძებარეით და ოთხი ნაბიჯის იქით ჩაეარდა.

მის უკვე დაჩლუნგებულ გონებას ახლა აღარც ის აწამებდა, თეკლა, ვინ იცის, დარღზე ხომ არ შეიშალაო, არც ის, ვერაფრით რომ ვერ გავგო, მისგან ვის რა უნდოდა, რატომ აღმართა ხელი ვიღაც მისმა ტოლმა გერმანელმა ბიჭმა და მიატოვა გერმანელი თეკლა, რუსუდანი და ფარხა, მძებნი, ბებია და ბიძა... ახლა მას ნოშრევანი აოცებდა, რომელიც ისე შეცვლილიყო, თითქოს სულ

აღარაფერი არ აწუხებდა. მიდიოდა, მამუკასთან შედარებით ორჯერ დიდ ჩანთას მიათრევდა, და თუმცა იმის ნახევარიც არ შეეძლო, რაც მამუკას, მაინც მიდიოდა. ბოკერია დაეარდა, და იქნაცა ჯანიანი ცინცაძე, წინ — ქერა რუსი, უკან — აზერბაიჯანელი „იოლდაში“ და ამ ბიჭს რისი სული ედგა, თავდაღმა დამხოზილ მამუკას თეკლას დარღზე ნაკლებ არ აწუხებდა. ბიჭს ახლა მარგარიტა გაახსენდა.

არასოდეს არ უყვარდათ თეკლას და მამუკას მარგარიტა, ვითომ არც ცუდი მომღერალი იყო, არც ცუდი მეგობრის დედა და მასპინძელი; სახლში ვაგლახად ფეხს არავის დაადგებენებდა, და ნოშრევანის ქარსაყოლილ მეგობრებს კი თავისი ბინა სალონად და სათარეშოდ გადაუქცია. თითქოს ეს დაუჭერებელი იყო ამ გულჩათხრობილი, ამპარტავანი და იქნებ ხარბი ქალისაგან, რომელსაც სახელისა და დიდების, ქონებისა და პატივმოყვარეობის გარდა, ეგონათ, არაფერი აწუხებდა. მაგრამ მოხდა დაუჭერებელი რამ: იმ ღამით, როცა თურმე ნოშრევანის გაწყვევის უწყება მიიღო, ქალი ერთბაშად მოკვდა და ორი საათის შემდეგ მან საოცარი ძალით დაიტირა თავისი თავი; მანამდე ოთახიდან ფეხი ვერაიგი გამოადგმევინა. მეორე დღეს, გამოცილებისას, იგი იდგა სადგურზე, როგორც დაფულუროებული ხე და ერთადერთი, რაც ამ ზეზეულად გამხმარმა ხემ შეძლო — შვილი ამაღლობელს ჩააბარა, როცა, მამუკა თეკლას რომ არ გამოპარეოდა და, თეკლას გამო, ყველა თავისიანებსაც, თვითონ ის, მის პატრონს, ვინმე წინდახედული და პრაქტიკული ქუის კაცისთვის უნდა მიენდო.

რა მოხდა, რა საოცარმა წინათგარძნობამ გამოაშრო ეს ქალი?

არაფრით არ ეგონა მამუკას, რომ ნოშრევანი, სადგურიდან ერთი-ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, არ დაეცემოდა და ზურგით სათრევი არ გაუხდებოდა. ჯერ ჩანთის გამოართმევა დაუპირა, მერე გაცვლა, მას მისი ნახევარი

ტვირთი არ ჰქონდა (სულ ის იყო, რაც მამილამ გამოატანა, თეკლასთან მივიტან და იქიდან ხვალ სადგურზე გავალ, თქვენც იქ გადმოდითო და ვინ იცოდა, რომ მამუკამ მაშინვე სადგურზე გასწია). ნოსრევანმა არც ვაცვლა ინდომა, არც მიშველებდა. ეს იყო, ჯერ ვაგონში და მერე გზადაგზა ხელში ხელს სტაცებდა, მოუჭერდა, ტუჩს ყურთან მიუტანდა და სათქმელს გადაიფიქრებდა. არც მამუკას ჰქონდა თავი ეკითხა რა აწუხებდა, რისი თქმა უნდოდა, დარწმუნებულს: ჩემზე მეტი სადარდებელი ნოსრევანს არ ექნებო, უჭირს, არაა მიჩვეული ვაჭირვებას და უჭირს, ეს რას ნიშნავს იმასთან, რაც მე და თეკლას თავს დაგვატყდაო.

და მაინც, ამ ბალახებში ჩაბოხილ ბიჭს ჰგონია, რომ ადგება ზურგჩანთა-მოკიდებული ნოსრევანი, გამოფორთხდება, მიუწევება გვერდით და რაღაცას ისეთს ეტყვის, ახლა რომ მამუკას ააყვირებს და ადგილიდან რეზინის ბურთივით წამოაგდებს.

ისევ მონდომებულად გაისმა გზაზე დადგომის ბრძანება, მაგრამ მას წელანდელი, სქელი მინების ლაწა-ლუწის სიმკვამე აღარ ჰქონდა.

ნოსრევანი უკვე ფეხზე იყო, როცა მამუკა რიგში ჩადგა, თუმცა რიგი სადღა იყო, თავის ადგილს რომ დაუბრუნდა, ისევ სახელოში წვედა, ისევ მიუტანა ტუჩი ყურთან.

— რა იყო? — ახლად გონსმოგებულვით ჰკითხა მამუკამ, როგორც იქნა, ამ მეშვიდე ღამეს, თეკლაზე ფიქრის ძაფი წუთით რომ გაუწყდა.

— ნაბიჯით იარ!

— რატომ ნაბიჯით, სირბილით ვიაროთ, ძალა არ გვერჩის თუ?! — ამოიკვნესა ბოკერიაშვილი.

— შენ შეგიძლია დაწინაურდე! — დართო ნება ცინცაძემ.

— კი, და სანამ თქვენ მოხვიდოდეთ, დაბანასაც მოვასწრებ და ქოჩრის დავარცხნასაც, — ახლა თვითონაც დასცინა თავის თავს სასომიხდილმა და ლურსმანგანაყარი ტერფი აითრია,

— ერთი, პარადზე რომ მაგარი ნაბიჯით იციან ჯარებმა, ისე მინდა გავლა, რაღაცა ჩემი ფეხის ხმა...  
განუხილეთ...

— შენ მაგ ლურსმანი არ დაგეკარგოს! — გააფრთხილა ცინცაძემ.

— წელან ვეძიე, ნაურმალში რომ ვეგდე, ფეხს ვილა დაეძებს, ხელის თითიც ზედ მივხებო. რა მექნა, რით დამენაყა და აგერ მაქვს ახლა მხარზე გადებული.

— სად იყავი ამდენ ხანს?

— ტყვილი ისე მკლავდა, მაგის თავი მქონდა?

— გადარჩენილხარ...

— რა ვიცი, ახლა თუ სიცილმა არ მომკლა... ეს მიწა და ბალახი ისე მიხიციანებს, ვილაღა რაღაცას დამარტყამს თავში, თორემ ერთი ვაციანება რამედ მიდირს...

— ჰო, მაგას ახლა არ გირჩევ! — თავი შეიკავა ცინცაძემ.

## VI

გამთენიის სიგრილემ დაჰკრა და ტანზე მიწებებული, ოფლით გაწურული პერანგები გახამებულვით ხეშეში ვახდა.

ახლა აღარავინ იცოდა, სად მიდიოდნენ, რა მანძილი ჯამოიარეს გზაზე, ნავზურზე, მინდორზე თუ ყანაზე.

დაიღალნენ, გადაიღალნენ, დაიქანცნენ, გადაიქანცნენ, დაეზეგვათ ფეხები, ჩაუდგათ მუხლში წყალი, ასტივდათ წელი, მხარი, თავი და, მერე, ყველაფერი ერთად. გზას დასასრული მაინც არ უჩანდა და რაკი ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს დასასრული და საზღვარი, თვით დაღლა-ტყვილი დაყრუედა და დაბლაგვდა. ყველაფერს გამოთიშულნი თითქოს თონთხო მასად იქცნენ, ტალახად, რითაც თავდაპირველად გამოქრწეს; დამოუკიდებლად აღარავინ ფეხის გადადგმა რომ არ შეეძლო, ისინი რაზმებს მიჰქონდა, როგორც ერთმანეთზე ღვედებით გადაბმული ცხენების ყვეარი დავარდნილ,

ოჩან ჯაგლავს წაიღებს, როგორც ცხელი შორევი დამბალ, გაელენთილ კუნძს ჩაითრევს და მიაქვს რა სინჯართაც მიედინება — თავდადმართზე ჩქარა, ვაკეზე მდორედ, მიდის და მიაქვს, სანამ არ დაიოკებს, ან ტბას არ შეერთვის, ან ზღვად დაგუბდება.

მამუქას ერთი მტკივანი წერტილი მაინც შერჩა: ვერც ამ დაღლა-გადაღლა, ტკივილმა და წყურვილმა, ტვინი და სხეული, რომ გოგლიმოვლივით გაუთქვიფა, ვერ გაუქრო ის ფხიზელი წერტილი, სადაც თეკლა ენთო.

მეშვიდე დღეა, იგი დაშორდა თეკლას. არა, არც ერთი წუთი არ დაშორებია, მაგრამ მეშვიდე დღეა არ ენახა, თუმცა მუდამ თვალწინ ედგა და განუწყვეტლივ ესაუბრებოდა, უხსნიდა, აჯერებდა, რომ ეს ყველაფერი დროებითია. ეს იყო განშორება ერთი თვით, მხოლოდ ერთი თვით, ეს მხოლოდ იცოდათი დღეა და ღამე. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია, უსაშველოდ გრძელი და უსასრულო. მაგრამ რატომღაც ასე მოხდა. რატომ, რისთვის? კაცმა არ იცოდა, მაგრამ ასე კი იყო...

აღბათ მათ ბევრი, ძალიან ბევრი რამ არ იციან და რაილა ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი, ამიტომ ერთად, სულ ერთად უნდა იყვნენ; ამისათვის კიდევაც რაღაც, რატომღაც საჭირო, და ეს დაშორებობა იმიტომ კი არ მომხდარა, ვინმეს ამითი გათიშვა და დაობლება უნდა. პირიქით, აღბათ იმიტომ მოხდა, რომ კიდევ უფრო ახლოს იყვნენ, რომ თეკლამ, როცა ამ ერთი თვის მერე ერთად იქნებიან, არასოდეს მოიწყინოს, არ იეჭვიანოს, არ ინერვიულოს, სხვაზე აღარაფერზე და არაეისზე არ იფიქროს... თუ რაღაცისათვის, თუ რატომღაც...

იგი ამ უთავებლო, რაღაც აუცილებელს, დაუსაბუთებელს ასაბუთებდა და წერდა, წერდა ყოველთვის, ჯიბეებში და უბე ქაღალდით ჰქონდა გამოტენილი და წერდა დღისით და ღამით, როცა ეშელონი იდგა, ან თავუდმოვლევით

ლი გარბოდა. წერდა, როცა გაქანებულ, მოდანდგარე ვაგონი იატაკზე გართხმულ ბიჭებს ისე ანჯღრევდა და აწყვეტებდა კედლებს, თითქოს ჯანაინი, კაპასი დიასახლისი მსხვილ ნაფქვავს მერდინში — წმინდა საცერში ცრიდა. იგი უკუნ ბნელში, იატაკზე დადებულ რვეულზე დამხობილი, ვაგონის მიხეთქებიდან მიხეთქებამდე, ყრუ წამებს დარაჯობდა და წერდა, ყოველი უსწორ-მასწორო პეკარის შემდეგ გოჯა ადვილს ტოვებდა და ისევ წერდა. იცოდა რამდენი პეკარი დაწერა და იმდენი გოჯის შემდეგ ისევ იწყებდა: მთელ გვერდზე შვიდი ხაზი ეტეოდა, შეიდგერ სამი სიტყვა, კავშირების გარდა.

და კაცმა არ იცოდა, ამას გაარჩევდა ვინმე თუ არა, მაგრამ ის, ვისაც უნდა წაეკითხა, წაიკითხა, თუნდაც მამუქას ფანქრის წვერი დაელო ფურცელზე და მოქანავე მატარებელს დაეხატა ის გზა, რასაც ასე ვახელუბთ მისდევდა; საბოლოოდაც ესლა ჩჩებოდა: რაღაც აბდაუბდა, ვაგონის რყევაში დანახანილი ლურსმული, სადაც ბიჭის ფიქრები, რკინიგზის ლინდაგები და მოჯაყყაყე მატარებლის გზა ეწერა, როგორც ავადმყოფის სიცხის ფურცელზე აღმადღმა გაქცეული ტენილი ხაზები.

დღეს, ამ მეშვიდე დღეს, ესეც არ შოხებხდა. რამდენჯერ არ ამოაძვრინა რვეული და ბნელში სიარულის დროს სცადა რაიმე დაეწერა, არაფერი გამოუვიდა. ადრე, დაღამებამდე არ უცდიდა, ეგონა სადმე, შუალამამდე მაინც მიაღწევდნენ და მაშინვე, სადაც არ უნდა მისულიყვნენ და რა პირობებშიაც არ უნდა ყოფილიყვნენ (სინათლე სულ აღარ დასჭირდებოდა), დგომა და ჯდომა თუ აღარ შეეძლებოდა, ჩაემხოზოდა და დაწერდა, რომ კარგად არის, რა თქმა უნდა, კარგად არის, ამაზე ერთი წამითაც არ იფიქროს თეკლამ, ძალიან კარგად არის, იმიტომ, რომ უკვე მეშვიდე დღეა და ახლოვდება ის დრო, როცა ისინი ისევ ერთად იქნებიან. ყოველსაათს და ყოველ წუთს ბედნიერება

მოაქვს მათთვის... მამუცა ივლის მატარებლით, მანქანით, ფეხით; ირბენს, იხოხებს; მტვერში, ტალახში გათხროს, ვასცურავს, კარგი ცურვა არ იცის, იცის იმდენი, რაც მათი მდინარის გადასაცურავად დასჭირვებია, მაგრამ ახლა ვატოპავს რუსეთის ძალიან განიერ მდინარეებს, ჭაობებს, ტბებს, ზღვებს, და რაც გინდა იმას გააკეთებს, რასაც ეტყვიან და რაც საჭირო იქნება, იმას გააკეთებს, რაკი ყველა გზა, ყოველნაირი შარა და ბილიკი, თეკლასთან მიდის, თეკლასთან აახლოებს.

ყველაფერი, ყველაფერი თეკლასთვის უნდა გაეკეთდეს, თეკლას კი შეუძლია გულშეშვიდად იყოს, არაფერზე არ იღარდოს, ერთი წუთითაც, ერთი წამითაც... მან მხოლოდ დღეები ითვალის... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... ცალ-ცალკე, დღეებში კი საათები, საათებში წუთები, წამები, წამები კი ჩქარა გარბიან, წუთში სამოციას დათვლასაც ვერ მოასწრებ...

დღდაც კარგად იქნება. დღდასთან აბასთუმანში, მამუცა რომ ჩამოვა, მაშინვე წავლენ ორივენი. მარტო წასვლა არ შეიძლება, თეკლა! მარტო სად უნდა იხეტილო! ახლა ომია და აღარც ტრანსპორტია ჩვეულებრივ და აღარც არაფერი. ბებიას ესაუბრე, ელაპარაკე ხშირად, სულ ერთია რაზე, საუბარში დრო ჩქარა მიდის, მეზობელთანაც ვადადი, ვინ იცის ვინმემ იხუმროს, ვინმემ რამე თქვას, ან რამე მოხდეს, ახლა ისე ხალისიანად აღარ იქნება ხალხი, მაგრამ აღამიანი მაინც აღამიანია, სულ თვალატირებული ვერ გაძლებს...

მერე...

მერე, აგერ კიდევ მეორე კვირა იწყება...

... მაგრამ არაფრით სიარულში წერა არ ხერხდება. არა და, ასე რა გაძლებს, დარჩენილი სამი კვირა... კი, კი, სამი კვირაა დარჩენილი, ერთმა უკვე გაიარა, აი საცაა გათენდება და ესეც შენი ერთი კვირა, შვიდი დღე წავიდა...

არა, რაღაც უნდა იღონოს. თუ ასე

ატარა ამ მორევმა და ვერაფერი დაწერა რა გამოვიდა...

აი, ჩანთა რომ შეაბრუნოს? ზურგზე კი არ ეკიდოს, არამედ ისე, თეთრ სოკოსავით წამოსკუპულ სადგურთან გზას რომ დაადგენ და დაბნეულმა ნოშირევანმა წინ გულზე დაიკიდა, ისე რომ მოიქცეს, მერე რვეული ჩანთაზე დაიღოს და წეროს? ან სხვა რაღაცა ამგვარი... ან ქამარი ჩამოიბას კისერზე და ზედ წიგნი დადოს, წიგნზე რვეული და...

რაც იქნება, სულ ერთია, რაღაც კი უნდა იღონოს, თორემ ასე მუნჯად სანამდე გაძლებს... რომ არაფერი უთხრას, ხომ გადაირია გოგო და, თეკლამ რომ არც იღარდოს, არა, არ უნდა იღარდოს, თვითონ მამუცამ როგორ გადაიტანოს ასე მძიმე მოგზაურობა, სიარული, ხოხვა და ფორთხვა, ცურვა და წყურვილი, სიცოცხლე და სუნთქვა...

როგორ? ..

მორევმა თითქოს გადაუხვია, ნაურმალეებით, თუ მანქანების საბურავებით გახეჩილ გზაზე გადავიდა... ვითომ, სადღაც მდინარის ნაპირზე, რაკი ოდნავ შეცრეცილი მღვრიე ზეცა მშვევითაც გაჩნდა, დაბლა ჩამოვიდა, გაორდა...

მაღე ისევ სოფელში წავალთ, დღედაჩემთან და მამაჩემთან. მდინარეზე, რა თქმა უნდა, ბადეს თან წავიღებთ, თორემ... რა ვიცი, გვიანდა ბადე? არა, არა, პირდაპირ ჩვენს კუნძულზე ვავსწევთ. მე იქ დავწვები გულაღმა, ლურჯ სილაზე... სადაც შენ იწყეი... და დავიძინებ... შენი ჭირიმე, თეკლა, მარტო რაც არ უნდა მოგეწყინოს, არ გამოაღვიძო, ნეტავ რად უნდა მოგეწყინოს? მე ხომ იქვე ვიქნები. დავიძინებ რა... შენ თუ რაიმეს თქმა მოგიინდეს, ილაპარაკე. მე ყველაფერს გავიგონებ. შენ აქედან გესმის ჩემი და მე რა ღმერთი გამოიწყრება შენს გვერდით ვიყო და მეძინოს კი არა... როგორ მოხდება, რომ შენი არ შესმოდეს...

„თუ შეუღამისას ძალიან, ძალიან



დაცხეს, ჩემო თეკლა, ტირიფის ტოტები დაამტვრიე, რალაც მარაოსავით, ან ქოლგასავით გააკეთე და სანე მომიჩრდილე... მაკალე თეკლა, ერთხანს ვიძინებ... ვიძინებ... აქ არა აქ თვალს არ მოვხუჭავ, იმიტომ რომ შენსკენ მოვდივარ, მაგრამ როცა ამ გზას გავივლი, ამოდენა გზას გავივლი და შენთან მოვალ, მერე ხომ უნდა ვიძინო ჩვენი კენძულის გრილსილაზე, ჩვენს ტირიფებში, ჩვენი მდინარის ნაპირზე. უფრო ცისფერი მდინარისაკენ ვიზამ პირს და იმ მზეს, შენ მაშინ თვალებში რომ ჩაგისახლდა, თვალთა შევაჩრდები და ისევე დავიძინებ, რომ ყველაფერს ვუყურო. შენ გიქვირო, ვისმინო და ვიძინო...

მორევმა შეივავა, დამღორდა, თუ რალაცას მააწყდა და შეტბორდა.

არავის ხმა არ გაუღია, თითქოს პირი შლამით ჰქონდეს სახე. დუმდნენ მარჯვნივ ცინცაძე, მარცხნივ — ნოშრევანი და ავთანდილი, წინ ქერა რუსი ბიჭი და მის გვერდით შავი, ხმელ-ხმელი ჩეჩენი, უკან — ჩოფურა აზერბაიჯანელი, უსაშველოდ წითური რუსი, უკრაინელი, თუჯისფერი სქელი თურქმენი...

მორევმა გადაღობილი გზა გაარღვია და შარდში გათქვეფილი ნაკლის მძაფრ და კედელივით მკვრივ სუნს შეეჯახა, შეეჯახა და მარილიანი ოფლის, მტერისა და დილის, ჩიტის ბრჭყალებივით ბწყენია გრილ ნიაში აითქვიფა.

## VII

კოლონა გამთენიისას მდინარის პირა, ჯიშაიანი ცხენების ყოფილ მეურნეობის ეზოში დაბანაკდა.

ორი უშველებელი, მკვიდრად ნაგები ყაზარმასავით გაკვიმული შენობა — საჯინბო, ყურთამდე კარებმოფეული ქერისა და შერაის საწყობები, ფიცრული ფარდულები და მოშორებით უფრო კოპიად ნაგები, თეთრად შეფეთქილი, მომკრო შენობა, სადაც ალბათ მეურნეობის უფროსი და მისი

ატარ-ბატარები ისხდნენ, ახლა ტყვიოსა და ქარ-ცეცხლს შესაბამელად გასაწყვრთნელმა ახალწვეულმა კაცი კირეს.

მათ აქ წიგნის, დაზვის და თოხის მაგიერ ხელთ მოკლტარიანი ნიჩაბი უნდა აეღოთ და მხოლოდ სანგრებისა და თხრილების ვათხრა კი არა, ბრძოლაც უნდა ესწავლათ: ბრძოლა იმავე ბართა და ნიჩბით, აქამდე პურის, ღვინის, ხილის მოსაყვანად და კაცის გულგასახარად რომ ეგონათ მოგონილი. კალომისა, ქლობისა და ნაჯახის ნაცვლად თოფს უნდა ჩაფრენოდნენ, უნდა გამომშვიდობებოდნენ ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელს. მორგებული შარვალ-ხალათის მაგიერ, ზედ ბუზს რომ არ ისვამდნენ, ჩაეცვათ გათხრილი ორმოს ფერი ხაცის ბლუზა-გალიფე, ერთმანეთს და მსგავსებოდნენ და ერთნაირ მაზარებში გახვეულიყვნენ. მაზარას, დღეიდან სანლის მაგიერობაც უნდა გაეწია, დედის სითბოც და სატრფოს ალერსიც შიგ უნდა ჩატეულიყო. სიცივისგანაც დაეფარა და სიციხისგანაც... ცრემლიც შეეშრო და სისხლიც... მოედნებზე, ქუჩებსა და ორღობებში თავმომწონე, გაკვიმული სიარულის მაგიერ, რაც არ იყო და ორი იმდენი უნდოდა გამოჩენილიყო, ახლა მიწა უნდა გაეთხარა, მოკუნცებულიყო, მუქისტოლად ქცევა სცოდნოდა. მზისა, ცისა, ქალისა და მეგობრის თვალებში ლაციცის მაგიერ შუბლში დამიზნებულ თოფის ლულაში შეეხედა. ფეხდადგმულ გვირილაზე და ბაიაზე რომ გული სტკენია, ახლა გვაგებზე უნდა გადაებიჯებინა, ძილშიაც თვალი სიკვდილისათვის გაესწორებინა და ცრემლი არ უნდა მორერდა — ცრემლი თვალში გამოხედვას გიშლის და ნასროლ ტყვიას დააცილებ...

ვინდა, არ გინდა, ასეთია სინამდვილე. გაახელ თვალს — ესაა, დახუჭავ... თვალდახუჭული დარჩები აწ და მარადის...

მეურნეობის ვრცელი ეზო მდინარის პირზე მოემწყვდიათ, ზევით, სადაც ეზო ფერდობს ეკვრის, ტყის ყურიც შიგ მო-

ექციათ, რომ ჭიშინი ცხენები პაპანაქე-  
ბას არ დაელახა. მაგარ ბოძებზე გაკრუ-  
ლი საზვინე სარკით გრძელი არყის და  
ნაძვის ხეებით იყო შემორაგული. ღო-  
ბის გაყოლებაზე მალალი მწარე ბალახი  
გასდევდა, საქონელი რომ პირს არ და-  
ეკარებებს და ზაფხულის თაქარაში აშმო-  
რებულ, მყარლ ნოტიოს ინახავს, ათას-  
გვარ ქვეწარმავლის და ჯოჯოს თავშესა-  
ფრად. შემორაგულში ჭიშინი ცხენების  
მრგვალი ფლოქვის ღრმა ნაკვალევი და  
გაუტანელი ნაკელის გორები დაეტოვე-  
ბინათ.

სოფელი მდორედ, ბრძნულად მო-  
დულუნე მდინარის გაღმა დარჩენილიყო  
თავისი თეთრი, ორმოცდაათამდე ხატა-  
თი, მწვანე ხავსმოკიდებული ლელის  
სქელი სახურავებითა და ლურჯი კვამ-  
ლის ცაში დაკიდებული უშველებელი  
ქანილის ნიშანივით, ალუბლებისა და  
ძირშეთვრებულ ვაშლის ბალებით.  
მდინარის ორივე მხარეზე კი თვალუწი-  
ერი სტეპები გაშლილიყო.

ეზოში ახლად დახერხილი ნედლი  
მასალის შემოზიდვა მოესწროთ, ჭარის-  
კაცებისათვის ნარების გამართვა, მით  
უმეტეს თავლის სამხედრო ყაზარმად  
გადაკეთება — ვერა.

პოლკის მეთაური მაიორი ბოვენ-  
კო ყოფილი მეურნეობის დირექტო-  
რის კაბინეტში შევიდა და ჩამსხვრე-  
ულ ფანჯარასთან მიდგმულ ერთადერთ  
საწერ მაგიდაზე ისე შემოჯდა, მეჯი-  
ნობე რომ ნება-ნება მოსეირნე თვინი-  
ერ, უბელო, ცხენზე გვერდულად ამ-  
ხედრდება და ფეხებს ერთ მხარეზე  
გადმოკიდებს.

— არა მშაო, რას ამბობ შენ, ეს  
შეტქმებელია! — უყვირა ვილაცას,  
რომელიც არც კედლის იქითა ოთა-  
ხებში და არც ამ უზარმაზარ ეზოში არ  
ეგულბოდა, — წინ რომ ვიდევს, ხომ  
უნდა დახედო ამ დაწყევლილ რუკას!  
— მხარილღოვ გადაკიდებული, ჩეჭმის  
ლანჩასავით სქელი ტყავის ჩანთა თავ-  
ზე გადაიგლიჯა, რასაც ქუდიც მიაყო-  
ლა და მაგიდაზე დაახეთქა. ოფლისა-

გან მთლად წყალგადმწურულავით  
სველი ქუდი იატაკზე გაგორდა, ნაკე-  
ლიან მტვერში გულღმამ დაგორდა. —  
რომ დაადებ თითს და... მოძახნებ! —  
აქედან აქამდეო!.. ორჯერ ორი ხომ ოთ-  
ხია?! აქ კი რას მახვედრებ! — მაგი-  
დაზე ჯდომელა შეხტა და მიტრიალ-  
მოტრიალდა, თავმიკრულ ცხენს რომ  
მათრახი გადაუჭირო, ადგილზე დატ-  
რიალდეს და ტლინკები აპყაროს, —  
აქ ეს რაა?! თველაა და მორჩა... ახლა  
აღარც თველაა... თეთრ კედელზე მი-  
ლურსმული ტელეფონის შვი აპარატი  
შენიშნა. ჩამოხტა და მაშინვე უძგერა,  
ყურმილი აიტაცა, სახელური ისე გამა-  
ლებით დაატრიალა, კიდეც კარგი, რომ  
ზარი არ გადიოდა, თორემ მეელსმე-  
ნეს ყურებს დაუესვებდა. — აი, ესეც  
შენი კავშირი, მშაო! — ისევ ხმამაღლა  
გადაულაპარაკა იმ ვილაცას, თვალსა-  
წიერზე რომ არ ეგულბოდა, თან  
„მშაო“ ისე მოგუდული ბოდმით გამო-  
ცრა, იმის შიში რომ არ ჰქონოდა, ჩემი  
ყვირილი კედლის იქითაც ესმითო, მე-  
ჩხერ კბილებიდან უფრო ღაზათიან და  
ამ გულისწყრომის კარგად გამომხა-  
ტველ გინებას გადმოანთხევდა.

კარი გამოაღო, შემოსვლისას კე-  
დელს რომ „მიახეთქა“ და უკუბიძგიო  
მჭიდროდ მიხურულიყო.

— კომბატი! — დაიძახა იმავე ხმით,  
თითქოს ბატალიონის მეთაურიც ისევ  
ამ ყოფილი მეურნეობის იქით ეგულე-  
ბათ და შემოტრიალდა. ხელახლა ისევ  
მაგიდაზე ჩამოჯდა და ფეხები ჩაკიდა.

კარებში ოცულის მეთაური, უმც-  
როსი ლეიტენანტი, თვალბდაყვლე-  
პილი, პირტიტველა ვინოკუროვი გა-  
მოჩნდა, ძალიან რომ უნდოდა მეთაუ-  
რისათვის თავი მხნედ მოეჩვენებინა  
და არაფერი არ გამოუვიდა.

— ამხანაგო...

— სად არის?! — გააწყვეტინა მე-  
თაურმა, თანაც აგრძნობინა, ახლა ამ  
სამხედრო ცერემონიალს მოეშვიო.

— პანტელეი პროკოფიჩი მდინა-  
ეზეა! — მახსენა და თვალზე ჩამო-

ფხატული ბილოტურა შუბლთან მიტანილი ხელით გაისწორა.

— მდინარის სიღრმეს ზომავს, თუ სიგანეს?

— სანამ ყველას სძინავს, წყალში ფეხს იზეღს, მერე უზერხულია.

— შენ რატომ არ გძინავს?

— მეძინა... — დამოორცხვა ვინოკუროვმა და თავიც იმართლა, ამიტომ იყო, როგორც საჭიროა, ისე ვერ გამოგეცხადეთო.

— წადი ძმაო, წადი! — თავი დაუქნია და ახლა ნათქვამი „ძმაო“ წელანდელს სულ არ ჰგავდა.

— არის! — უკვე მხნედ თქვა უმცროსმა ლეიტენანტმა და იმის მაგიერ, რომ უკან გაბრუნებულიყო, ოთახში თავწახრილი შემოვიდა, იატაკზე დაგდებული ქუდი აიღო და გაფერთხა, მაგრამ გაფერთხა ისე, როგორც მშრალ ნივთს გაფერთხავენ. ოფლში გავლებულ, ნეხვსა და მტვერში გავორებულ ქუდს კი ისევ დასჭირდა ფერთხვა-წმენდა, მაგრამ ამოდ, მთლად დაითხვარა და გაიზუნზლა.

— მოეშვი, დააგდე! — თქვა ბოყენკომ და ჩანთა გახსნა, გაშალა, მერე ქაღალდების დასტა ამოგლიჯა, მიფანტ-მოფანტა, მაგიდის ყურში ჩამოდებულ ქუდს ხელი წამოჰკრა და ისევ იატაკზე გადაუძახა.

— წერე და იკითხე, წერე და იკითხე! — თავის თავს ნიშნისმოგებით ჩაულაბარავა მაიორმა, — აი საქმე!

კარებთან მისული ვინოკუროვი მოტრიალდა, ქუდი ისევ აიტაცა. ის ველარ უთხრა მეთაურს, ამას მდინარეზე გავრცეხავო და ესლა ჰკითხა:

— კირილ სტეპანიჩ, ბატალიონის მეთაურს დაეუძახო?

— მოეშვი ძმაო, თავისი გაჭირვება ეყოფა. მოვა, იქ ხომ არ დაჯდება! ვინოკუროვს ქუდი ხელში შერჩა, არც გასარეცხად გაატანეს, არც მაგიდაზე დარჩა ადგილი, რაკი ზედ ჩამომჯდარმა ბოყენკომ გაშლილი რუკიანი ჩანთითა და ქაღალდებით მოფინა იჭაურობა, ერთხანს უაზროდ ხელში ატ-

რიალა, მერე კედლები ათვლიერ-ჩათვლიერა და ვერსად რომ ლურსმანი ვერ შენიშნა, შავ ტელეფონის სახელურზე ფრთხილად ჩამოჰკიდა, ოთახიდან, რაც მის დაოსებულ ფეხებს შეეძლო, უჩუმრად გავიდა.

— კი მაგრამ, სიქა რომ გამაცალე, მე რა, სადაც გინდა და როგორც გინდა ისე გადამისროლე, ფეხზე დაედგები, მაგრამ ამით რას უპირებ? — წამოიწყო ისევ მაიორმა, თავიდან რომ სადღაც, ამ შემოგარენის მიღმა გასძახოდა, თითქოს ის ახლა გვერდით ჰყოლოდეს და ჩაღეწილ ფანჯრიდან მასთან ერთად გადაეხედოს ეზოში გამოფენილთა თვალის შესავლებად. ბოყენკოს ერთხანს მაინც ენა ჩაუწყდა. ბრძანებას „თავისუფლად“ სადაც მოესწრო, ახალწვეულებს ვაზით მოწამლულებივით იქვე ჩასძინებოდათ.

— ესერი რომ დამაწყვეტინე, რაო ძმაო, ცხელი შინ გიცივდებოდა? — „ძმაო“ ახლაც მეჩხერ კბილებში გამოცრა, ისევ სხვა სიტყვის მაგიერ, — ამით რომ უყურებ, ესენია, ძმაო. ამ ქვეყნის ვადაჩენა, ამთ სისხლზე გადაივლის ომი და მე და შენ... მოიცა! — თითქოს ყბედი მოსაუბრე გააჩუმაო, მაიორს მთელ, გამტვერილ მინაში მღვიძარე ბიჭი მოეჩვენა და უფრო იმის შიშით, იმაზე უარესი არაფერი სჭირდეს, ვინემ ასეთი გადაქანცვა და უძილობააო, თავი შეშინაჩტეხილ ჩარჩოში გაჰყო.

ჰო, ერთი შევეგრემანი, პირტიტველა ბიჭი, ღობესთან მიხობებულიყო. პინჯარი, შალგი, ბირკა და ქათანაცარა გაეთელა, ბოძზე მიკრულ, ქვედა ჰოკს, მიწიდან ორ ციდაზე რომ იყო აცილებული, ცალი იდლიით გადაიკედებოდა, ზედ სქელუდიანი წიგნი ედო და წიგნზე — რვეულის ფურცელი.

— წერილს სწერ, ძმაო? — ჩაუჩურჩულა ბოყენკომ ახლა ბიჭს, — აი სიყვარული... — თავი მოწონებით დაქნია, სახეზე თითქოს ნასესხები, მაგრამ ერთი წამით მაინც დიმილი გაუჩნდა, — კი, მე არ გიშლი, ძმაო, მხოლოდ

ჩანდ არ შეიძლება. მაგ შამში და მყარალ ბალახებში არაფერ უბედურებას გადაეკიდო!

კარებისაკენ მიიხედა.

— ვინ არის!.. — პირზე ხელი იტაცა და თითქოს ისევ გვერდით მდგომს გადაუჩურჩულა. — სძინავს... შენ კი აიღებ და ბრძანებ, მაგრამ ხომ უნდა იცოდე, როდის და რა უნდა ბრძანო, — თვითონ ჩაირბინა ოთხსაფეხურიან კიბეზე. ლობისაკენ გაუხვია და ზედ წაადგა ჭოკზე მხარილღვე გადაკიდებულ ბიჭს, რომელსაც ლოყა წიგნზე გაშლილ ქალაღზე ედო და ეძინა.

მაიორმა მიიხედ-მოიხედა და დარწმუნებულმა, არავინ მიყურებსო, ბიჭს ზურგს ზემოთ და ფეხების ქვევით მკლავები ამოსდო, სახლის ფანჯრის წინ მიიყვანა და ლაფაროში ცხენის გადანაჭამ, ძლივს წამოზრდილ ორი თითის სიმაღლეზე ბალახებში ჩააწვინა. წიგნი იქვე, მაღალ ქალტამში ჩაეარდა და ფურცელი, მინცდამაინც მაშინ წამოებრილმა სუსტმა ნიავმა გადაღმა გადააფრიალა.

ბოეენკომ ისევ მიიხედ-მოიხედა, უკან გაბრუნდა, წიგნი აიღო და ვითომ მაღალ ლობეზე გადახტომა მოინდომა, მაგრამ თვითონაც ქანცაწყვეტილ პოლკის მეთაურს შემორაგულზე ციყვივით ხტომა შეეფერებოდა თუ არ შეეფერებოდა, ძალი აღარ შესწევდა და კიშკრიდან მოვლა ამჯობინა; კიშკარი ისევ ისე მოფელილი იყო, როგორც გამთენიისას დახვდათ. სანამ მოუარა და იმ ადგილზე მივიდა, სადაც ქალაღი ეგულებოდა, სიფრთხანა ფურცელი ქარს კიდევ წაეღო გზის გადაღმა, მინდერის პირზე, გვირილების ძირზე მიეფინა და ოდნავ აქანავებდა.

მაიორმა აიღო და დახედა, ვერაფერი ვაუგო მრგვალი, თეთრი გვირილების ყვავილებივით ანბანს, თითქოს ვინმე უზომოდ შეყვარებულს აეღოს მთელი თიკული და თითო-თითოდ დაეცალოს ფურცლები ჩურჩულით: „ვუყვარვარ — არ ვუყვარვარ“, ზოგიც ნერვიულ ხელს შუაზე გაწყვეტო-

დეს და თეთრ ქალაღზე ერთმანეთის გვერდით დაეღაგებინა... ბოეენკომ მხოლოდ რომაული რიცხვნი და წელი გააჩნია.

ეზოში რომ შემობრუნდა, იქაურობა ისევ ქურღულად მოათვალიერა, წიგნი გაშალა, რომელიც ასევე გვირილების თეთრ მომრგვალებული ყვავილებით იყო მოხატული, შიგ რვეულის ფურცელი ჩადო და ბიჭს მიუტანა.

— იძინე, ძმაო, იძინე, შენ ძალიან ბევრი უძილო დღე და ღამე გელოდებოდა...

## VIII

ძრავების ზრიაღმა და მეთაურების ყვირილმა ბოეენკო გამოაღვიძა და დაბრუნებული მკლავები ისე გაჭიმა, სახსრებიდან ტკაცუნი მოესმა, თითქოს მის გვერდით დაეარდნილი ჯავლაგი ცდილიყოს წამოდგომას. გახურებულ მოხოტრილ თავზე ხელი მოისვა და მტერიანი, გახრუკული, მოფშენილი ბალახი ჩამოიფერთხა, თავქვეშ ნადები გაზუზუნული ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა, ჩანთა იქვე მიწოლილი ნოშრევანის გვერდით მიატოვა. გულადმა, ხელებგადაყრით მძინარე ცინცაქეს დახედა და იქაურობას თვალი ზმორებით მიაელო. ჭერებივით ეყარა ხალხი, დედა შვილს ვერ იცნობდა და ვიღაცა მინც გულს დააკლდა, მაგრამ გულს თუ მაკლია, ახლა მაკლიაო, ხელი ჩაიქნია და მდინარისაკენ კოჭლობით წაბანდალდა.

ძელებისაგან შეკრულ, მოღებულ კიშკარს დატვირთული მანქანები მოდგომოდნენ და მეთაურები ეზოში მოფენილ მძინარე ბიჭებს აღვიძებდნენ, ან ხელდახელ ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ, გზას ანთავისუფლებდნენ.

ბოეენკომ თავი გააქნია.

„ვითომ კარგი იყო ბარემ მეთაურობა-მეთქი, მაგრამ არც მაქ ყრია არაფერი სასიკეთო, წუხელი მაგენიც ჩემსავით მოძუნძულებდნენ, მერე აქ რომ მომიყვანეს, კაცს არ უკითხავს, ბალი ათი შაურიაო, ვეგდე ჩემთვის

და ვიყავი, იქნებ ათისთაობა მინც გამეხერხებია, მაგრამ არა, არ ღირს...“

ავთანდილი თავლის ღია კარებამდე ჩალასლასდა და შეიხედა.

— რამსიგრძეა, კაცო, ეს?! — ჩაილაპარაკა, როცა ამ ღია, ვიწრო ფიცრით ირიბად შექედილი, განიერი კარებიდან, ბოლოში ასევე დაფელოლ კარებს მზერა გაადევნა. ვამჭოლ ქარს გამოყოლილმა თავლის სუნმა თვალები აუწვა და მაშინვე უკან დაიწია. პირი ისევ მდინარისაკენ იბრუნა, რომ ეზოში შემოსულმა მანქანების ზრიალმა მიახედა.

ერთ სამტონიან საბარგოს მყუდრი მოსწყვეტოდა, თუ რა ღვთის წყრომა სჭირდა, ისე ხროტილობდა, ბარე ორი მძინარეც კი დაფეთებული წამოაგდო. მანქანამ თავლას ჩაუქროლა, იქით, ეზოს ბოლოსაკენ, ტყის ყური რომ ჰქონდა ჩამოკავებული, საწყობის შენობას მიაშურა.

საბარგო რომ ვასცდა, ბრეზენტით გადახურულმა ძარამ ბოკერისათვის თვალშიც წარიტაცა.

— დასწყევლა ეშმაკმა... — ავთანდილმა, რომ ეგონა თვალები ისედაც წვრილი ეკლებით მაქვს სავსეო და სალოკ თითს ქუთუთოებზე ნაზად ისვამდა, ახლა ხელის გულებით ძალუმად მოისრისა, — რაეა მთლად ქალიშვილებივით ჯარისკაცებია!... უყურე შენ!

ძარა, ამ გოგო-ჯარისკაცების იქით, თეთრეულით თუ თეთრეულში გამოკონილი ბოღჩებით და ხვეულებით იყო ბრეზენტამდე ამოვსებული.

მანქანა რომ გაჩერდა და მალღიდან პანტაუნტით ჩამოცვივდნენ ხაკისფერკამებიანი და ბლუზის გულჯიბებეწინწამოცენილი, წელში მაგრად ქამარგაჭერილი გოგოები, ყურის ბიბილოსთან შეჭრილი ქერა თმებით და მინც სხვა ლაზათით თავზე მორგებული ვარსკვლავიანი პილოტურებით, ავთანდილს თითქოს იის წყალი ჩაასხესო, თვალები ისე დაუამდა.

— ესენი ქალებია, არ უნდა ამა ლაპარაკი! — ჩაიქლურტულა, თავლას

მოეფარა და თავის ჩაცმულობას ისე მუშტრის თვლით შეხედა, ვითომ ეს ქალიშვილები იმიტომ ვამრეგზავენთ, ერთი კარგად ვასინჯეთ, ბოკერია როგორ გამოიყურებოთ.

საჩინბოსთან ატუხულს, ამ ყოფაში არ მომისწრონო, ავთანდილს ფეხის ტკვილიც კი დააფიწყდა, მდინარისაკენ ისე მოკურცხლა.

— სანიტარული ნაწილია ალბათ... არ უნდა ლაპარაკი! — მიპუტუნობდა გზადაგზა და ცხელი ნაკელის გროვში კინლამ წაპყო ისედაც ჭლანად ქცეული, ლურსმანამორჩილი ფეხსაცმელი, — ეუ, სადაა ჩემი აზიურები! — ინატრა და მდინარის პირს გადაადგა.

არც თუ ისე უკიდევანო მდინარეს, აქედან იმდენად მალალი კალაპოტი ჰქონდა, ბოკერია იფიქრა, რომ ჩაგბტე, უკან ამოსვლა, ისიც ასე უმოწყალოდ ნათრევს, გამიჭირდებაო და მოხერხებულ ჩასასვლელს დაუწყო ძებნა.

ქვევით, წყლამდე, ნაპირს მწვანეზალბიანი მდელიო და მდელის იქით ხუთოდე ნაბიჯის სიფართე ყვითელი სილის და ფერადი რიყის ზოლი ვასადევდა.

იმის მაგიერ, რომ წყლამდე ბილივი ეპოვა, ავთანდილს მზერა გაღმა გაექცა და კინლამ გადაირია: იქითა ნაპირს ასამდე ქალი და ბავშვი მიდგომოდა და აქეთ იცქირებოდნენ. სიმართლე თუ ვინდათ, ბავშვები არ შეუნიშნავს ბოკერის.

— ახლა სადაა წავიდე, კაცო — შეიცხადა გზაბნეულმა და ნაპირზე ჩამოქდა, ფეხები ბეჭობზე ჩაკიდა, — კიდევ კარგი რომ მივიხედ-მოვიხედე და სხვა არაფერი დავაპირე... რა ამბავია კაცო, ამდენი ქალები! — თვითონაც არ იცოდა უნდა სწყენოდა, თუ გახარებოდა ეს ამბავი.

— არა, პირს დავიბან, შე კაი დედამამის შვილო, რა ვუყოთ, რომ ქალებია... პირის დაბანა და ამდაგვარი... რა მოხდა, ოჯახის შვილებია, ციდან ხომ არავინაა ჩამოფრენილი, — შეაგუ-

ლიანა თავისი თავი და წელან რომ მოხერხებულ ჩასასვლელს ეძებდა, ახლაც ეს ეუხერხულა, — ღმერთო კი მომკალი, რა გაჭირდა ამ კბოღეზე ამოსვლა, აქ კი არა, იალბუხზე ავა კაცი!..

იშვირა ფეხი და ქვევით რწყილივით დახტა.

— ასე იცის ბოკერიაში! — მოუწონა თავის თავს, რაკი დარწმუნებული იყო, იქითა ნაპირზე მყოფნიც აღტაცებული დარჩნენ.

— ამას მაინც დაეჩერქვავე, ქალები კი არა, ფრთებიანი ანგელოზები რომ თავზე დამადგნენ! — რიყეს მიაშურა აეთანდლიმა, ტერფივით ბრტყელი ქვა მოძებნა, ფეხსაცმელი მიწას ქუსლით დაჰკრა და წაიძრო. ქვა შიგ ძალისძალათი ჩატენა, უსწორა ლურსმნის წვერს, გადააბრუნა და იქვე, რაც ხელში მოჰყვა, ზედ გამალებით დაუშინა.

— არ გამათავა, კაცო, კაცი?!

• • •

— რა ამბავია კაცო აქ?! — გადაიხრია ამდენ მტვერში და ნეხეში ამოგანგლულებს შორის, თავმოძრონდ გაჯგომული აეთანდლილი. — კიდევ გძინავთ? გაკეთდა ქვეყანა! — ახლა მოაგონდა წელან რომ გულს აკლდა და ისევ მოიძებნა.

მოკუნტულ ნოშრევანს, ცალი ლოცა რომ მიწაზე ედო, სახეზე ჭიანჭველები მისეოდნენ და ღია პირში, როცა პაერს ჩაისუნთქავდა, შეძრომას უბირებდნენ, ამოისუნთქავდა და გადაიფიქრებდნენ.

— მომკვდარა, ეს გაჭირებული! — ეცა ბოკერია და გამოაბრუნა, — ეე, არადაქ!

შეშინებულმა ნოშრევანმა თვალეზი უაზროდ დააცეცა და სახეზე მკლავები აიფარა, თუ მიისვ-მოისვ.

— რა ამბავია, გერმანელებია?! — წამოჭდა ელდანაცემი, როცა ის მყუჩროგვლი საბარგო ისევ აბროტინდა, ჩამოსაცლელად რომ ზურგიით საწყობს მიაყენეს.

— გერმანელები კი არა, გოგოები მოიყვანეს! ნამყენი მარწყვივითაა...

ნოშრევანს ამ ფრაზიდან მარტო „ნამყენი მარწყვი“ მოესმა და გამხმარი ტუჩები გაილოცა, რომ სასულეაშეზე შერჩენილი ჭიანჭველა ენაზე ეცა, საწყალი ბიჭი, ბურთივით წამოვარდა და გადმოგდებული ენა ფრჩხილებით გამოიხოცა.

— უყურე შენ, ქალი რომ ვახსენე, რავე მწვეარივით წამოხტა! — თვალებს არ დაუჭერა ბოკერიაში, ეს საცოდავი არადაქ ყველას, ერთხელ შეხვედრილსაც, რომ თითქოს მფარველობას თხოვდა და ქალისათვის ქარს კაბა რომ აეფრიალებინა, სირცხვილით დაიწვებოდა, ეს რა მოხდაო.

— ააა! — პირდაღებულმა ნოშრევანმა ბოკერიას მიაშურა: რაა, რომ ენა მომჭამო.

— აა! — გაიმეორა გონს მოსულმა აეთანდლიმა, — არაფერია, ჭბბუკო! — მხარზე ხელი დაჰკრა, მტვერი ჩამოუფერთხა, მაგრამ მაშინვე უკან დაიწია, არ დავისვარო, ძლივს კაცს დავემსგავსეო, — ჭიანჭველებია...

— ჭიანჭველები?! — არ დაიჭერა არადაქმ, და პირი უფრო დააღო, რაღაც გეშლება, თორემ ასე მგელივით ჭიანჭველა სად გაგონილაო?

— უი, ჭიანჭველაა... ისე მოზრდილებია, ამოდენები ჩვენში არც მე მინახავს. რა გასაკვირია, გაიხედ-გამოიხედე, რამოდენა ქვეყანა! — აუხსნა თავდაჯერებულმა ბოკერიაში და ისევ მოძებნა ვიღაცა. — ის რა იქნა, აქ რომ იყო?..

— მამუკა! — წამოიძახა ნოშრევანმა და ახლა ნაკბენი დაავიწყდა.

— სად გაქრა, ჩვენს შუა არ იწეა?

— კი, კი...

— ცინცაქმ არაფერი იცის? — ზევიდან დააჩერდა ვულაღმა გამხლართულს აეთანდლილი.

დაფეთებული ნოშრევანი, მამუკა დაჯარგო, ცინცაქმს დააცხრა.

— ლაღო, ლაღო!

მძინარემ, სანამ თვალს გაახელდა, სქელ უღვაშებზე გადაისვა ხელი და ბოკერიაში, მთელ თავპირზე რომ ერთი

ლერი ბალანი არ გააჩნდა, მზერა სანიტარული ნაწილის გოგოებისაკენ გააბრა: დამღუპავს მაგისი უღვაშები, ვისაც თვალს დაადგამს, დაემშვიდობებო.

— მამუკა, ლადო, მამუკა! — აცრემლებულმა ნოსრევეანმა ახალგაღვიძებულს თვალბში ხელის ამოსმა არ იცალა.

ცინცაძე დინჯად წამოდგა და ნაეღარულ მოჯეგილ ბალახებში, სქელი ბეჭების ანაბეჭდი დატოვა.

— რა იცის ბიჭო, მაგან, მაგას ისიც არ გაუგია, ქალებით რომ ვაივსო აქაურობა! — ზევიდან დახედა ბოკერიამ: ქალები ჩემს განკარგულებაშია, არაფერი შეგეშალოსო და ისევ მამუკას დაუწყო ძებნა, მართლა და ამადლოზელის ამბავი მე უნდა ვიცოდე, თუ ცინცაძემო.

დაოთხილი ნოსრევეანი ფორთხვაფორთხვით დაბორილობდა მძინარე ბიჭებში, სულ ამტუტა იქაურობა.

— ეუჰ, სად წასულა! — დაიძახა ბოკერიამ, — რამ მიიყვანა კაცო იქამდე? — მორჩილა კოპწია შენობის ლაფაროსთან ძლივს წამომწვანებულ ბალახებში გულაღმა გამოტრიალ მამუკას შიამურა და თავზე დაადგა, უკან კი ნოსრევეანი გამოუდგა, რომელსაც მტერის კორიანტელი მოსდევდა.

— მამუკა!

— დიწი კაცო, უკან, არ გამოთხვარო! — გააფრთხილა ავთანდილმა არდაძე და უკან დაახევინა.

— მამუკა, მამუკა! — იმეორებდა ვახარებელი არდაძე და ნამიჯის გადადგმას ველარ ახერხებდა.

— უბეში წიგნიც რომ უღვეს! — გაუკვირდა ავთანდილს, — ამას თუ წუხელის მერე კიდევ კითხვის თავი ჰქონდა, ჩვენ არაფერს შუაში არა ვართ, მარტო მაგი აიღებს გერმანიას.

უკვე შეკობტავებულმა ბოკერიამ იმ მტვერში და ნეხვში დაბრუნება არ ინდობა, სადაც ჩანთები და ცინცაძე დატოვა და მამუკას გვერდით წამოქოჩრილ მწვანეზე წკიპად ჩამოჯდა.

ლადო მძიმე-მძიმედ წამოიმაჩოდა, ბეჭებზე ერთი-ორჯერ ხელი მოწყვეტით დაირტყა, მერე იფიქრა, ეს ჩემს გაჭირვებას მაინც არ უშეულისო და ზღაზვნით წამოვიდა.

— რაო ავთანდილ, რა თქვი?

— რა ვთქვი? — გაიკვირვა ბოკერიამ, თუმცა კარგად იცოდა, რასაც ეკითხებოდნენ და ეშმაკური ღიმილით ახედა, — ბევრი რამ ვთქვი...

— ისო... ქალებიო?

— ვთქვი, მერე, რა რომ ვთქვი?

— არა, სადა გყავს, რომელ თავლაში?

— თავლაში ახლა შენ დაგამწყვდევე და ქალები ეგერ, ოქროსავით მეყოლება, საწყობში...

— სულმა არ წაგძლიოს, გამოზოგებით იხარჯე... — დაარიგა ცინცაძემ და საწყობის კარებთან მიყენებული საბარგოს ძარის იქით გოგოების შიშველ კანკებს თვალი ჰკიდა, — მოიცა, მართალს არ ამბობდეს... — დანახული მაინც არ დიჯერა ლადომ.

ავთანდილი მილიონის პატრონით მხარ-თეძოზე უღარდელად გადაწვა, პაპიროსი ამოიღო, გააბოლა, სხვათა შორის თქვა:

— მაგი რაა, ერთი ათი მაგდენი კიდევ მყავს...

— რა თქვი?! ახლა ყურებს არ დაუჯერა ცინცაძემ.

— არაფერი... — გააბოლა და გააბოლა მილიონის პატრონმა.

— კიდევ ათი მაგდენიო?! — სახტად დარჩა ლადო იმ ქურდივით, ქისა ოქროს მოსაპარავად რომ თვალს დაადგამს და ბრილიანტებით დატენილ ზანდუკებს წააწყდება. მაგრამ მაშინვე იაზრა, ავთანდილი ამ განძის ადგილ-სამყოფელს ცოცხალი თავით არ გასცემსო და ეზო-ყურე ძირის კიდემდე მოათვალეირა.

გრძელი თავლის მიღმა, მდინარის იქითა ნაპირი არ ჩანდა, ის ნაპირი არ ჩანდა, სადაც გაღმიდან ჯგროდ მოსუელი ხალხი ეგულებოდა და გულ-დაარხინებულმა, განძი საიმე-

დო ადგილას გადავმალეო, ისევ გააბოლა და ხელმოცარულ „ავაზაკს“ მთელი კოლოფი პაპიროსი მიაწოდა.

ლადომ რომ პაპიროსი პირში გამოიჩარა, ბოკერია ამანთი გაპკრა და მოუკიდა ისეთი თავმოწონებით, თითქოს ამბობდა, მე სანამდე უნდა გათრიო და გარჩინოო.

— აჰ, არაფერს არ იტყვი? — უიმედოდ იკითხა ლადომ.

— რას ვიტყვი, კაცო, რავე ვიტყვი?

— არ იტყვი და... — ცინცაძემ უღვაშებზე მუქარით დაისვა პაპიროსის გაღვქილი ბოლო.

— არაფერი არ გამოგივა, სათოფრე ვერ მიეკარები! არ გაიტეხა ბოკერია იხტიბარი, მაგრამ იმ სქელმა, ღუნღულა უღვაშებმა, თუ ვერ გააღატაკა, ნახევარი მილიონი მაინც ხელიდან გაგდებინა.

— ეს რა ყოფილა კაცო! — მუხლებზე ხელბუმემოჭოდობილ მამუკას და ნაპირზე ამოგდებულ მედუნასავით მიწაზე გართხმულ ნოშრევანს გაკვირვებით დააჩერდა ცინცაძე, ვერც ერთს რომ ვერ გაეგო ვის ქონებას იყოფდნენ მათი მფარველი მეგობრები.

— კაბიკად არ ვღირვარ, თუ ახლო-მახლო ქალი არ მეგულება... — გატყდა ბოკერია და ასე უადგილოდ, ნიადაგ-მოღუშადებლად თავის სისუსტეზე ლაპარაკი თვითონვე ისე ეუბერხულა, გროშის მათხოვრებში რომ ოქროს გამოაჩენ. ახლად ფერფლდაფერთხილ პაპიროსს სული წაუბერა და რაკი ოქრო გამოაჩინა, — რომ მივაფუჩჩიო, ვინმეს ნაპარაკი არ ეგონოსო, — განაგრძო — ყურგახვრეტილ გროშად არ ვვარგვარ.

— მაგი რომ არ გეთქვა, ისეც ვიცოდი... — დაეთანხმა ცინცაძე, რაც ბოკერიას ეწყინა.

— რა იცოდი?

— მანამდე ვაგონში კიდევ არაფერი და გუშინ გზაში შეგატყვე.

— შენ ხუმრობ იქნება და მაგი

მართალია... — წაუბერა და წაუბერა ბოკერიამ პაპიროსს, ხუმრობს თუ მართლა რაიმეს მიხვდაო, მაშინ მემართება ყველაფერი უბედურება...

— ვიცი... — დინჯად შენიშნა ცინცაძემ და ჩაიმუხლა.

— საიდან იცი?! — იტყია ავთანდილმა.

— ვერ ვხედავ?

— რას ხედავ?

— ვხედავ, მუხლში ძალა გელევა, ფეხში ლურსმანი გესობა... საერთოდ სახსრებში მოიშლები და მოფანტალები.

— მართალია, იცოდე შენ! — წამოიძახა ავთანდილმა, ცინცაძეს რომ ეგონა, ქუდს მოიგლეჯს, ქვას ისერის და მოხობრებულ თავს შეუშვერსო.

— კაცი არ დაიჭერებს და ასე მჭირს. გამონდება ქალი და გათავდა: მაშინ დამიმძიმდება ფეხები, მეცემა წელკავი, მიტყდება ხეულა და ცხინკვება, მომეჩაჩება შარვალი, მომეჯლანება ფეხსაცმელი... ყველაფერი უბედურება მაშინ მემართება, სიტყვა-პასუხიც რომ უნდა, ისეთი არა მაქვს...

— ლურსმანი რა უყავი, კაცო? — დაჯავრიანდა ცინცაძე.

— გავუჩიქვე თავი! — ამაყად აუხსნა და ლადოს წინ გაწვართული ფეხის წვერი აათამაშა.

ნოშრევანს გაეცინა. მამუკამ წიგნი ამოიღო, გაშალა და ფურცელს გულმოდგინედ დაუწყო სამკუთხედად დაკეცვა.

მტვერში ამოგანგლული, ახლად-გამოღვიძებული ქერა რუსი გამოხობდა, უფრო აქეთ, ბალახებისაკენ ამჯობინა და ფერთხვა-წმენდას შეუდგა. იმას მალე მეორე, მთლად ანთებული კვარივით მწითური შეუერთდა. ბოკერიამ ლაფართსაკენ მიიჩოჩა, კედელი ჯერ ხელით მოსინჯა, ხომ არაფერი მომედებაო და მერე ზურგით მიანწვა.

— ამას წინათ, ერთ ჩვენებურ, მეზობელ სოფელ გოგოზე ვიყავი შე-



ყვარებული... — დაიწყო ავთანდილმა და თავი სინანულით გადააქნია.

— გილალატა? — თანუგრძნო ცინცაძემ.

— რაო? იკითხა მამუკამ და შეაჯრეოლა.

— არა! — დაამშვიდა ნოშრევანმა, თითქოს ამის თაობაზე ავთანდილს მისთვის ცალკე, სხვების ნამალავად ეამბოს.

— მთლად ასე არ იყო საქმე... — განმარტა ბოკერიამ, მაგრამ სინანულით თავის კანტური მიინც ვერ მოიშალა.

— ხომ ვითხარი! — ბეჭით ბეჭზე ჰიწწვა ნოშრევანი მამუკას, მაგრამ მამუკა ამ გარკებულმა განმარტებამ ვერ დაამშვიდა და ცალი კუთხემოკეცილი ფურცელი ხელში უძრავად შერჩა.

— მიყვარს ბიჭებო ჭყუას ვეარგავ! — გაშინაურდა ავთანდილი, ფეხები შეიკეცა და ხელები გაშალა, — კაცი მქვია, გოგოა ისეთი, ღრუბლიანში ვარსკვლავებს წყვეტს ზეციდან.

— ავაშენა ღმერთმა! — წააქეზა ცინცაძემ.

მამუკას და ნოშრევანს პირზე ღიმი გაუჩნდათ.

ამ თეორი, კოპწია, მომცრო შენობის ლაფაროში, სხვა უნაზე გაჩენილმა ღიმილმა აზერბაიჯანელი ჩოფურაც მიიწვია, მთლად ასე პირში რომ არ ჩაუფარდო, მოშორებით, შეკეცილ ფეხებზე დაჭდა, ჩანთა გვერდით მოიღო და ბოკერიას შესცინა.

— დავბი, დავაი!

— „დავაი“ — თავი დაუქნია ავთანდილმა, გიცანი, შენ ისა ხარ, წუხელ მთელი დამე ჭუსლებს რომ მამტრევილი და განაგრძო — აზიური ჩემები მაქვს, კარტოფლის ფქვილით ვიცვამ, ჭუნაში გამოვალ, ჭრაპუნობს, ძაღლები ღობის სარებს ღეჭვენ, ქოჩორი მადგას, შაშვებს ვერ ვიშორებ...

— შაშვებს რატომ?! — დაიბნა ნამბობს სმენადანდობილი ნოშრევანი.

— პო, ეს შაშვებო... — ვერც მამუკა მიხვდა, ნოშრევანი კი ქალაქელია, მაგრამ მე მის მეტი რა შინაბე...

— აცალეთ თქვენ ამას! — დაარიგა ბიჭები ლადომ.

„დავაი“ აქეთ ისე მოაჩერდა, მსმენელები რომ დაიბნენ, თითქოს თვითონაც გაეგონოს და ვერ მიმხვდარიყოს ეს შაშვი საიდან და რისთვის დასჭირდა ამ ბიჭსაო.

— შაშვებს კაცო, თავისი საქმე აქეთ, ბუღის გასაკეთებელ, საიმედო დასამაღს ადგილს ეძებენ. — ქედმაღლურად გამოხედა ავთანდილმა ცინცაძეს.

ბიჭებს ისევ ღიმილმა გადაუარათ, გაიღიმა უკვე საქმეში გარკვეულმა „დავაი, დავაიმა“.

— მაგრამ რად გინდა რა, დავიტანჯეთ მე და ის ჩემი გულის რჩეული.

— რა დაემართა? — იკითხა მამუკამ.

— არაფერი. — ისევ დაამშვიდა ნოშრევანმა, თითქოს ესეც რა ხანია სცოდნოდეს.

— რაღა რა დაგვემართა. ახლოს ვერ ვეკარები და ვერ მეკარება.

— რა გჭირთ, კაცო, ამისთანა? — დაიბნა ცინცაძე.

— რა არ გვჭირს, ჩემი აზიურების პატრონი დღეა თუ ღამეა...

— ვიცი, ვიცი! — იტკვიოდა ხელი შუბლში ლადომ, ჭრაპუნის ქვეყანას ესმის, და სად ადგამ ფეხს — ყველამ იცის, თან ეს შაშვების გუნდი დაგდევს...

ნოშრევანს სლოკინიანი ხითხითი აუტყდა, რაზეც „დავაი, დავაი“ ახითხითდა და შეიხვეწა:

— დავაი, დავაი!

— ცალკე გოგო იწვება, ცალკე მე ვიფერფლები.

სად იყო თითო ღერი ფინის ლურსმანი იმ ჩემების ძირებში დაგეჭვდება? — იბოვა გამოსავალი ცინცაძემ.

— შაშვეები... — წამოიძახა აქყლო-  
პინებულმა ნოშრევანმა.

— შაშვეებს სამართებელი! — იმ  
წამსვე უწამლა შაშვეებსაც ლადომ,  
— როგორც ახლა აქვს თავი, ისე  
უნდა ექნა.

სიცილზე ვიღაც-ვიღაცეები კიდეც  
გამოთხოხდნენ მტერიდან, ახლომახლო  
მოიკალათეს.

— არა და კაცი ხარ! — შეახსენა  
ცინცაძემ.

— კაცი ვარ, კაცო! — განაგრძო  
როლში შესულმა ბოკერიამ და რაკი  
ისეთი მსმენელებიც გაუჩნდა, ჩემი  
ქართული არ ეყურებათო, ხელები  
და ფეხები მოიშველია, — კაცი ვარ  
და ქუდი მხურავს... — შეჩერდა, სა-  
დღაც სხვაგან შეტოპა, ქუდი მოიგ-  
ლიჯა და მიწას დაახეთქა, — ქუდს  
მაშინ არ ვიხურავდი, რა ეშმაკად მი-  
ნდოდა ქუდი, თმა მქონდა ზვინივით,  
ულელ ხარს მთელ ზამთარს ვაიტან-  
და.

მამუკამ გულალალად წარმოიდგი-  
ნა თავიანთი წაბლისფერი ცალი ხა-  
რი, ასორმოცდაათი კონა ჩილა რომ  
არ ჰყოფნიდა, მერე მეორე, ისეთივე,  
მერე სამასკონიანი თივის ზვინი ბო-  
კერიას თავზე და სიცილი ისე წას-  
კდა, ბავშვს რომ მიცვალებულთან  
გაეცინება.

— დაგლუბავს შენ მაგ ჩექმები  
და ქოჩორი! — დადარდიანდა ცინცა-  
ძე.

— შენ ხუმრობ და ასეც მოხდა.

— არ ვითხარი? — მოისპო და  
მოირეცხა ლადო.

— აბა რა მოვივა, ახლოს ვერ ვე-  
კარები, ახლოს ვერ მეკარება, სოფე-  
ლია, ქვეყანა. ასე სახალხოდ ხომ ვერ  
გამოჰქნდება გოგო და რავარი გოგო!

— არა და, არც ეშვეები!..

— რას მოვეშობი, კაცო!..

— ვერ მოეშობი, უიმისოდ კაცი  
არა ხარ, ფეხში და თავში მაშინვე  
ლურსმანი გააგყვრება, წელში — წე-  
ლკავი.

ისევ ასლოკინდა ნოშრევანი.

ეშხში შესულ ბოკერიამ „თავში  
ლურსმანი“ არც გაუგია, ისე განაგ-  
რძო:

— რას ამბობ კაცო! გოგო! მზეს  
ელეთ-მელეთი მოსდის, იმას რომ და-  
ინახავს, რა ექნა ახლა, რა წყალში  
გადავვარდე. დღე ერთია და სამჯერ  
მაინც ავივლი და ჩავივლი იმ სოფე-  
ლში.

— დავაი, დავაი! — ისევ წამოი-  
ძახა ჩოფურამ, თითქოს სხვებსაც  
ეძახდა, მანდ რას ჰყრიხართ, აქეთ  
მოყდით, ეს რა მესმისო.

— დაცოფდნენ ძაღლები. სარებს  
სუკის მწვადებივით ჰვამენ... — ნავა-  
ზივით დაიღრინა ბოკერიამ, ლობისა-  
კენ ხელი ვაიშვირა, სხვებსაც რომ  
გაეგოთ, რას ჰვამდნენ ეს ძაღლები  
ასე პირის ერთი მოსმით.

— შაშვეები?.. — ისევ ამოისლო-  
კინა ნოშრევანმა.

— შაშვეები იმ წელიწადს უბუ-  
ლოდ დარჩნენ, გადაყვნენ ჩემი ქოჩო-  
რის დევნას.

• — კიდეც კარგი ეს ომი რომ დაი-  
წყო, თორემ, შენს ახლო-მახლო ტყე-  
ებში შაშვი გადაშენდებოდა, —  
გულს მოეშვა ცინცაძეს.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, —  
სევდიანად ჩაილაპარაკა მამუკამ.

— ე ბიჭო, რას შერება ის გოგო?  
— ისევ წუხს ლადო.

— რას იზამს, სანთელივით ჩამო-  
დნა, არ ჰვამს, არ სვამს...

— ვაიმე! — გული დაეთუთქა  
მამუკას.

— რალა ექნა, სიცოცხლე ტები-  
ლია ბიჭებო... — ცრემლები მოერიო  
ავთანდილს.

— არა, ვერ გაამტყუნებ, რა ექ-  
ნა... — ვერც ცინცაძემ იპოვა გამო-  
სავალი.

— ადგა და გათხოვდა...

— გათხოვდა?! — იყვირა მამუ-  
კამ.

— არა, არა! — გაუსწორა ავთან-  
დილს ნოშრევანმა, თითქოს მისთვის  
სხვანაირად მოეთბორს.

— თქვენ რა მოგივიდათ? — ბოკერიას თავისი დარდი დაავიწყდა ამ ატრემლებული ბიჭების წამოძახილზე.

— ოხ, ქოფოი-ოღლი! — ამოიხენწა „დავიაი-დავაიმ“ და დარცხვენილმა მიმოიხედა, ეს რომ მცოდნოდა, როგორ მოგიწვევდითო.

ყველა, გარს შემოხვეული ამდენი ეროვნების, სახეზე ღიმგაჩენილი ბიჭები ჭერ სახტად დარჩნენ და მერე ყველამ მამუკასავით ჩამოყარა ყურები.

ღვთის წინაშე, ცინცაძემაც წარბები შეიკრა, მუდამ რომ ეტყობოდა აგრე რიგად დარდს თავს არავის დაჩაგვრინებდა.

— რა გვარი ხარ, ბიჭო შენ? — მოისმა დამსხვრეულ შინაში თავგამოყოფილი მაიორის, შინის მსხვრეველავით ხმა.

— მე?! — დაიბნა ავთანდილი, ზომ არაფერი დაეშავეო.

— შენ, შენ!

— ბოკერია, ამხანაგო მაიორო! — ხელის აღებაც კი სცადა, მაგრამ მოაგონდა ქუდი წელან მიწაზე რომ დაახეტქა, წვდა, თავზე ჩამოიფხატა და ისე გამოეჭიმა.

— მაინც ყოჩაღ, ბოკერია! — მოიწონა მეთაურმა და ფანჯარაში გაუჩინარდა.

□ ზაზაძემღმა იმნება □

ბენიკ ხარანაული

## ჩა ნაჩიკ სუჟთა ქაღალეჟა

### I

ადამიანი თავის სახლშიც კი იკითხავს ხოლმე ხანდახან,  
— საიდან ვარ და აქ რად ვარო?  
ნუთუ ასე შორი მგზავრია!

ბავშვობის შემდეგ, წლების შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ  
ზე კვლავ აქ ვწევარ, ჩემს ძველ ბინაში  
და კვლავ ვუყურებ ცას, რომლისთვისაც  
წლებს ვერაფერი ვერ დაუკლიათ.  
მაგრამ ცხოვრება ის აღარ არის.  
არც ძველი სახლის ფიცრებია კვლავინდებური,  
თუმცა ლამაზად დაძველებულან,  
რადგანაც წმინდად მოუხდიათ თავისი ვალი  
ბუნების მიმართ.

ისინი მშვიდად და უდრტივინველად  
იფენდნენ გულზე თოვლს, მზეს და წვიმას,  
ამიტომ მათი სახეც და ფერიც  
ბუნებრივია და მშვენიერი.  
და შენც რომ თავი შეადარო,  
შენც რომ მოგინდეს  
ახსენო ქარი, წვიმა, თოვლი, რომლებსთვისაც  
თითო ფურცელი სიყმაწვილის შეგიწირია,  
აბა დაფიქრდი, განა შენც ასე  
წმინდა იყავი იმ სამის მიმართ?  
ბოუთმენლობით, გაუძლებლობით  
აღბეჭდილია შენი ცხოვრება.

დავებრებულვარ, აღარაფერს ხატავს ფიქრი იმ ცის ნაჭერზე.  
ჩემი ოცნებაც ძველ დობებს ელამუნება,  
რადგანაც იცის, რომ ისინი არ გაკაწრავენ,



იმდენჯერ ისხდნენ მათ წვერებზე  
თოვლი, მზე, წვიმა.

და ნუ დაუწევბ შენს კვალს ძებნას ამ ადგილებში,  
კაცი რომ წავა, მისი სუნიც აიკრიფება,  
ძველ ადგილებს კი შეუძლიათ გამოგწურონ ის ბოლო ცრემლი,  
შენი თავისთვის რომ ინახავდი.

ასეთია კაცის ცხოვრება.  
თოვლს, მზეს და წვიმას გრძნობს ხელისგული  
ამ ძველ ფიქრებში და უხარია.  
თოვლს, მზეს და წვიმას თავისი თავი  
დაუხატიათ აქ და წასულან.  
არ შეუცვლიათ მათთვის ფანქარი,  
არ წაუშლიათ არც ერთი ბწკარი.

ფიქრი წარსულზე შეღავათიან გახსენებებში.

რატომ ვსწორდებით, ძველ ადგილებს როცა ჩავუვლით,  
წელში ვიშლებით, ვიშართებით,  
და სადაც გინდა შეგვარცხვინონ, ოღონდ იქ არა;  
რად უყვარს საწყალ ადამიანს იმის მტკიცება,  
რომ ტყუილად არ უცხოვრია,  
რას მისცემს ძველი ღობეების აღფრთოვანება?  
ო, ძველო დედაც, შენ მოქსოვე ჩვენთვის ეს ბადე,  
ძველო ობობაც, შეგვისრუტე და გაათავე!

თითქოს ერთხელ დაწერილს წერდე,  
თითქოს შენი ნიჭი ის იყოს,  
რომ გაცოცხლო ის სიტყვები,  
თდესლაც რომ გაიბრწყინეს ლურსმნის თავებად.

რა წერია სუფთა ქალაქზე?  
შენ თუ მეტყვი, რა წერია სუფთა ქალაქზე?  
თოვლი, მზე, წვიმა, თოვლი, მზე, წვიმა,  
მივარაკუნებ ღობეებზე ჯოხს და მივდივარ  
უპასუხოდ დატოვებული.  
ნე კი არ მინდა, რომ ასე ვიყო,  
რადგანაც ის ადგილები, ბავშვობა რომ გამილევია,  
ნობათს რაიმეს კი არ მთხოვენ,  
არამედ პასუხს.  
რა ვუპასუხო?  
შეხედე ერთი რა ლამაზი მთა და ბარია,  
მე აქ აღვიხვენ მზის სხივები ჩემს ბავშვობაში,  
თორემ შერე სად შემხვედრია!  
რა ვუპასუხო?  
შენ არ უთხარი არაფერი  
ჩემზე უფრო პატიოსნად დაყრილთ მუხლებზე  
ჩემზე უფრო დიდი ქვეყნის და ხალხის შეილებს



არსად, არც ერთ საუკუნეში  
და იქნებ მე, უბირსა და ჩვეულებრივს, —  
როგორც გლახაკს აჯილდოვებენ  
მდიდრების ჯიბრით — გამცე პასუხი:  
საიდან ვართ და სად მივდივართ!

II

მართლაც ღირსი ვარ, რომ თქვან ჩემზე —  
აი, სულელი,  
კარგად იცის, რომ ჩვენს პასუხს ვერ ეღიროსება,  
მაგრამ მაინც იმავე კითხვით კარს მოგვადგათ.  
განა ყოველი დაქინება ნაყოფს მოიტანს!  
რამდენჯერ უნდა მოხვდეს დინგში  
და უკუქცეულს  
რამდენჯერ უნდა მივაყოლოთ სახრე ფეხებში.  
მგლის ქვეშა დევს იგი პასუხი!  
ჩემი გვაში კი სავსე არის შეკითხვებით  
და აქ იმ მიზეზს მოვყავარ სწორედ,  
რა მიზეზითაც სულელი ვარ.  
ნითხარით, აბა,  
რომელი ვიფი დაკარგავს გზას მამის სახლისკენ,  
რაკი ერთხელ გეში აიღო  
თუნდაც მამამისს გაგონებაც არ სურდეს მისი,  
ის მაინც მოვა,  
რადგან იცის, რომ ყოველი, რაც მას აკლია,  
იმ ქერქვეშ არის.  
და თუნდ ძაღლებს დააგლეჯინონ,  
ასჯერ, ათასჯერ, ის მაინც მოვა,  
ნისი ბილიკი ბალახით არ დაიფარება.

ერთი შემხედე,  
განა ასეთი გინდოდი შენ,  
როცა ჩემი შექმნისათვის ჯაგარს იშლიდი!

ისეთია ჩემი ფიქრები,  
რომ ვგრძნობ, ვერსად ვერ წამიყვანენ,  
არაფერს ახალს არ მაჩვენებენ,  
ისევ ძველი გზით კვლავ ჩემს თავში შემოდევებიან.  
ძველ გახსენებებს ფრთებივით თუ ავაფართხალებ,  
იქვე ქებასავით დავეცემი.  
ბავშვობას თუ გადავუდექი?  
— ჩემო ბავშვობაჲ, კვლავ შემოავლე  
შენი ნეკნები ჩემს სულს, რომელიც  
ძველ ჭურჭელშია გაწყალებული.  
რაა ბავშვობა? ათიოდე გახსენებას ქვეყა ბავშვობა?  
ასე მკვლელიც გამოიწვევს თავის მსხვერპლის სულს!  
თუ სურნელია, რომელიც ვარდს არ უბრუნდება?



ჩვენ შევატოვეთ ჩვენი ბავშვობა  
 დროს, რომ აქამდე გამოვეშვიოთ  
 და ახლა აქ ვართ, აქეთ ნაპირზე,  
 ის კი, ლამაზი და საწყალი იმ მხარეს დარჩა —  
 ეს სიკვდილზე უარესია.  
 და, საერთოდ, რა ნება გვაქვს, რომ გავიხსენოთ  
 და ჩვენი ვთქვათ იმაზე; ვინც სხვაგან წავიდა?  
 იგი მკვდარია. იმისათვის, რომ ჩვენ გვეცოცხლა;  
 თავი დაგმო და გაუჩინარდა.  
 რაღაც ნაჭრევი ლოყაზე და ხალი ბეჭებზე —  
 — აი ბავშვობა?

მან მოილია თავისი გზა, მოიხადა თავისი ვალი,  
 ხომ ქრებიან ყვავილები ნაყოფისათვის,  
 რომ ახლა ამათ იბზრიალონ დიდებულ მზეზე,  
 მაგრამ ხის ქვეშ რომ მაკე ღორი დაიარება?  
 როგორ ვიყოთ დამშვიდებულნი?  
 ჩვენ შევთქვლიყვით ჩვენი ბავშვობა,  
 სულ ფრქვარობდით, სული გვისწრებდა  
 და ვისაც იგი გაუგრძელდა, იმას დაეცინეთ.

### III

აი, ჩემი გოლიათი, რომელიც არ გაწბილებულა.

დილაა. ცაცხვი, ათასობით რომ აუსხამს უმტვერო ნამი,  
 ზინდბუნდიდან ნაბიჯს გადმოდგამს  
 და წამოვა ჩემი ფანჯრისკენ.  
 წყლის ღმერთივით ნამს დაიბერტყავს  
 და მერე, მერე მისი ტოტები  
 მზეს ვეფხვივით დაატრელებენ.  
 ცაცხვის თავზე ცაც, თითქოს უფრო შეზნექილია,  
 როგორც ჩვენშია ორმოები ქალისკერდისთვის.  
 ის ღმერთი არის თავის ეზოში  
 და სხვა ხეები მის ილღიებს ეტმასნებიან.  
 სიმშვიდეა მის გამო ირგვლივ.  
 მაგრამ იმ ღამით?

ახლანდელ ცაცხვში მე კვლავ აბა როგორ ვიხილავ  
 იმ ბავშვის თვალებს, გაოცებით რომ უცქეროდა  
 ქარიშხალით დარბეულ ტიტანს;  
 ჩვეულ ღირსებით თავს უკვე რომ ვეღარ იჭერდა  
 და ცოფდებოდა და ქარიშხალს ემატებოდა  
 ის გახელებაც.

ეწერა ქარი.

ერეკებოდა იგი ღრუბლებს და აწვიმებდა,  
 და დიდებოდა მთის მდინარე და გამოიბოდა.  
 ნეტავი თქვენ, ფერდობებზე მდგარო სახლებო,



ვაი, ჭალაში დაბმულ თიკანს,  
დიდის ამბით რომ აბია ყელზე ბაწარი!  
ვაი, წყლის პირის მამულეობ!  
ვაი, ქვრივის ნამუშავეობ!

ეწერა წყალი. კიდითკიდე ეწერა წყალი.  
და იკბინა თითზე იმან, ვისაც წამოსცდა  
— „მდინარეები დაკნინდნენ“.

თვალს ტყუილადლა აყოლებდნენ ძირიანად ამოთხრილ ხეებს,  
წყალს მოჰქონდა მკვდარიცა და ჭირისუფლებიც.

მაგრამ წავიდა. მოსწყინდა და გაგვეცალა  
და მდინარეც დაუბრუნდა თავის კალაპოტს.  
ხოლო როდესაც ყოველივე დაშოშმინდა და გაფერმკრთალდა,  
ზეცაც ისე გადაიწმინდა,  
რომ, თუ სადმე კიდევ იყო ღრუბლის ნაფლეთი,  
ბავშვის სუნთქვა გადარეკავდა,  
და მდინარის ნაპირებზე დედაბრები ნარიყს ქვევდნენ,  
ფარული შიშით, რომ სადმე გვამს არ გადაყროდნენ,  
ცაზე გამოჩნდა ვეებურთელა კითხვის ნიშანი  
და ყველასთვის გახდა ნათელი:  
მდინარეები ზღვებისკენ, ხოლო კაცნი — სიკვდილისაკენ!

#### IV

რამდენიც ძილი, იმდენი ღვიძილი  
და რაა იგი, რაიც გვაღვიძებს?  
რა ძახილი ან რა სვეტი აღმოცენდება  
ჩვენს დაბინდულ გონებისათვის,  
ნათელი და მიმხმობელი თავის საფენთან,  
თავის წინარე შუქის საცხებლად.  
რა არის იგი, რაიც გვაღვიძებს,  
წამოგვეყრის და მიგვერეკება მერმისისათვის,  
სანამ უკანასკნელ სულს ნაფლეთს არ გამოვბოლქვავთ,  
ბოლო კითხვას არ ამოვისვრით  
და დავიძინებთ ბოლო ძილით,  
დავითუთქებით  
სულ ყველაზე მხურვალე და ხანგრძლივი კოცნით,  
ისე, რომ ჩვენ კი არ ვიქნებით  
იმ კოცნისკენ მიმსწრაფველნი  
და იმ ტურთა შემწებებულნი, —  
ის იქნება ბავშვებით ჩემი მძებნელი,  
ბოლოსდაბოლოს, მომსურვები ჩემი ხორცისა,  
რადგანაც მე, მართალია კუზიანი ვარ,  
სიყვარული მეც მიხარია  
და გაზაფხულის სითბოზე მეც ისე ვიშლები,  
როგორც დიდი, დიდი, დიდი ვარდის კოკორი.  
მეც ვირთვები და მეც ვთამაშობ,  
როგორც ყველა ამ ქვეყანაზე,





მაგრამ არავის გამოუბრძის ჩემსკენ თვალები,  
 ბაგეები არვის გამოსძღვეს  
 და გაგიჟებულ ძუძუებსაც არაინ აბამს —  
 — ეს საწყალი ამ ძაღლებმა არ დაგლიჯონო.  
 არაა ტკბილი მიწაში ყოფნა,  
 არც საავადმყოფოს წყალსა აქვს გემო,  
 სადაც მკვდრები ცოცხლების ენით ლაპარაკობენ  
 და მწარედ გრძობენ,  
 თუ რა ცოტა დარჩათ სათქმელი.  
 მე თითქოს ბევრი რაზე ვნახე,  
 მაგრამ პირი მაინც ღია მაქვს,  
 თვალებიც ძალით დამიხუჭეს —  
 რომელ თაფლისთვის? რომელი ცისთვის?  
 არ მოვრჩები მე ჩემს კითხვებს  
 და შენ, შენ, თავზე რომ დამშხობიხარ  
 და ყველაფერი შენს გამო რომ არის ნამდვილი,  
 შენ, რომელიც გამონასკავავ ხეებზე კვირტებს  
 და გოგობსაც შენ მოუყრი მკერდზე ძუძუებს,  
 შენ მიპასუხე —  
 როგორ უყურებ შენსავე შეჭმნილს  
 უბედურსა და დაკინებულს როდესაც ხედავ.  
 სოფლის გზას როგორ გაქყურებს კუტი  
 თავისი ჭიშკრის ღობეებიდან!  
 რატომ დაუდე იქ საზღვარი?  
 რა ბალახი გადაარჩინე იმის ფეხთაგან,  
 რა ბილიკები შეინახე მტკვრშეურხევი?  
 როგორ უყურებ ამ უბედურს და როგორ აძლევ  
 ძალას იმ დედის ნათქვეფ მუხლებს,  
 შეილის კუბოს უკან რომ მოხდევს!

როგორ ვკვდებით, ღმერთო ჩემო, როგორა ვკვდებით...  
 რა უბრალოდ და გულის ამრევადა.  
 გზის პირზე, რუსი უფრო კარგად ბოლოვდება  
 გახრწნილი ზღარბი,  
 ჩვენ კი არც ხე ვართ, არც ქვა ვართ და არც საგანი რამ  
 და რომ ვიცოდეთ, უფრო მეტად შევიზიზღებდით  
 ჩვენს კვალს, ყველაფრის კიდევზე რომ ვტოვებთ ხოლმე...  
 სად არიან ჩვენი თმები, ჩვენი კბილები,  
 სად არის ჩვენი გაზაფხული, ჩვენი ზამთარი.  
 ოი, ჩვენზე უფრო გამძლე საგნებო! თვისებებო,  
 რატომ თავიდანვე არ ვიშორებთ იმას,  
 რაც შემდეგ უნდა ტკივილით ვკარგოთ?  
 ვინ მისცათ ნება, თითო თითო ფურცელი გვაძრონ  
 და ყველაზე უფრო მკაცრი დროის, ზამთრის წინაშე  
 შიშველი დაგვდგან.  
 ღოვიშორით ყველაფერი, რაც ბუნებისგან გვაქვს ნაბოძები.  
 რადგანაც ისიც კი არ ვიცით, გულით გვარუქვს,  
 თუ დაცინვით გამოიმეტეს.



დედის მუცელი იყო ჩვენი სალხინებელი,  
ჩვენ იქ ვტკბებოდით, როგორც ცისფერ ოკეანეში,  
წყალმცენარეთა ბადეებში გამოხვეულნი.

ბავშვს რომ მენახა ჩემი თავი, თავს გავიჭნევდი  
და უკანვე გაბრუნდებოდი.  
განა ასეთზე ვოცნებობდი?  
სად არის ხმალი, რომ მოგვეცი! ზოგს კი ჰგონია,  
რომ წარსდგება ის ღვთის წინაშე.  
სასამართლოს ვინ გადირსებთ!  
დედის კარი რომ იღებოდეს, აქ ვის ვნახავდით!

ჩვენ კი მარტოდენ პირებილა დაგვიფრენია  
მაგრამ წვიმა როდი ჩავა ამ თრმოებში,  
არც ვარსკვლავი არ ჩაეტევა  
და რამდენჯერაც კითხვით მივალთ,  
დარუნჩში გვირტყამენ!  
რა დავაშავეთ!

უყურე, როგორ იღვრებს ყელს ეს მომღერალი  
და როგორ იწვის იმ სანთლის დარად,  
ჩვენ რომ შეგქმენით ჩვენივე მსგავსად.  
როგორ დაწერა მან მკაფიოდ სწორედ ის სიტყვა,  
რომელიც მერე გულმოდგინედ უნდა წაშალოს.  
კორომს არა ჰკავს ეს ორკესტრი შეფენილობით?  
როგორ ახერხებს, არ გადაჰყვეს ერთ ალტკინებას,  
ან შეხედე, როგორ გადადის  
ერთი პანგიდან სხვა, განსხვავებულ სიმღერაზე  
მომღერალთ გუნდი,  
როგორ წარმოშობს თავის თავში ახალ სიყვარულს?  
და მთელი ჩვენი ჭალაჭები  
ჩვენი გზნება და ჩვენი ყოფნა —  
ვედრება არის და შეგტირი,  
გეტოტები წმინდა სამოსზე —  
ნუ დააობლებ და შეიღს ნუ წაჰკვრი  
და თუკი მოგვეკლავ, მაშინ ფრთები მაინც მოგვეცი,  
რათა გავფრინდეთ.

სელენა, ნუთუ კაცის ყოფნა ის არის მხოლოდ,  
რომ შენს ამოსვლებს დაესწროს ხოლმე.

კაცის სიკვდილთან ერთად კვდება მთელი ქვეყანა  
იხუჭება არემარე, მთები, გორები.  
ვინაა იგი, ვის სიცოცხლის თანამგზავრად  
სიკვდილი უნდა  
და ერთი ხელით რომ აშენებს, მეორით ანგრევს?  
ო. ცაო, ცაო, ჩემთან ერთად რომ იმარხები  
და სამყაროვ, ჩემთან ერთად რომ კვდები,  
ჩემი თვალების წყალობითა ხართ,  
თქვენა ხართ ჩემი თვალების ხელა.



ბალი... მეჯლისი... ვაგზალები...  
 ნუთუ ამდენი ბრწყინვალეა სიკვდილისაა,  
 მის მიერაა ერთი წამით გამომგებული?  
 რამდენ რამეზე გაცვთა მზერა,  
 ჩვენი გულები რამდენ რამეს გაუღევია.  
 როგორ მღერიან, ერთი შეხედვ,  
 როგორ აღწევენ ლაქვარდებამდე  
 და ზურგს უკან კი ზიფათი ელით;  
 ო, ღმერთო, ღმერთო, ათავისუფლე  
 ყველა ესენი სიკვდილისაგან,  
 თორემ იმდენი მიდის ჩვენგან,  
 რომ ვერცკი ვასწრებთ  
 გულში მაინც ვთქვათ — „განუსვენეთ“.  
 შენშია ერთად საღიზმი და გონიერება.

ყველაფერი გვერდს რატომ გვიელის  
 როგორც მდინარე,  
 რომელიც თითქოს ისე ახლოა,  
 რომ შეიძლება ჩვენიც გვეგონოს,  
 მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნატვრა  
 დიდხანს დაგვჭონდა.  
 მაშ, გავიწოდოთ ხელი ჩვენი სურვილებისკენ?  
 ახლა რაც გვინდა, რას მოგვიტანს ჩვენ სასიკეთოს?  
 იქნებ მერმინდელ სურვილისთვის გვერჩია დაცდა?  
 ვიცადოთ და ასე განვლიოთ  
 ზღვის მეწამული კიბეები?

არ არსებობს არც ერთი წყვილი  
 ბუნებისგან ერთად ჩათქმული.

საწყალი კაცი, სულ იმას ცდილობს,  
 რომ ღრმა ნახნავში ჩააგდოს თესლი!  
 ადამიანო, შენზე გული მე ჯერ კიდევ არ გამტყვია,  
 ჯერ კიდევ ველი, რომ რაღაცას მოიმოქმედებ.  
 სანთელი შენი ენთოს შენს შუბლზე,  
 შენთა თვალთა გადასასეღელზე.  
 მიჰყევ ამ სანთელს, იმუშავე თვალედახრილმა,  
 თავს რომ ასწევ, რას დაინახავ?

ვინ არ იფიქრა ქალის მკერდზე თავმიდებულმა  
 თავის ცოდვაზე.  
 მაშ რატომღა ვუბრუნდებით კვლავ ძველ ნაკვალევს?  
 ვინ, ვინ გვეძახის?  
 რა თავშესაფარს ვიორმოვებთ,  
 ან რად გვინდა, რომ დავიშალოთ?  
 რატომ ვცხრებით,



ან ჩვენი ვნების ნანგრევებთან  
 რატომ ვსხდებით მოკუნტულები?  
 რა ახალ ჭიპს ვეძებთ, ნეტავ,  
 რა ახალ კავშირს?  
 ვერ შევეჩვიეთ სიმარტოვეს?  
 ჰეი, საწყალო, დედამიწაც სწორედ ვგრება,  
 თავის დედას მოშორებული.  
 და ის ცოლ-ქმარიც,  
 სადღაც მთაში რომ ცხოვრობენ განმარტოებით,  
 ჭიპს არ ეძებენ,  
 როცა ერთურთში ჩაჰყვინთვენ ხოლმე.  
 დღეს თუ არა, ხვალ მიაგნებენ!  
 ვინ, ვინ არ მჯდარა თავის ვნების ნანგრევებთან  
 შერცხვნილი და მოკუნტული!  
 ნეტავ რა არის ჩვენს ვნებებში ისეთი ცოდვა,  
 რომ ამდენ ხანს ვერ შევეჩვიეთ?  
 იმით არ ვიშვით?  
 რა დავაშავეთ, იმაზე მეტად  
 თვალები რომ არ გვეხილება, რომ ჩვენს არსს ჩაეწვდეთ?  
 ანდა მოხუცის დამცხრალი გული  
 ახალგაზრდობის ვნებით სავესე მოგონებებს  
 ვით ეგუება?  
 ღალატს როგორ ეგუება, როცა იხსენებს.

## V

— რა, ამდენმა ადამიანურმა, შენ არ დაგღალა?  
 მოდი, მოვიხსნათ ბარგი, ჩამოვსხდეთ.  
 წმინდა არის შენი ჭალარა, დეიდაჩემო,  
 როგორც ტაძრის თეთრი გუმბათი,  
 რომლის შეხედვაც ვნებას გვიჭრობს და შორს გვახედებს.  
 — ეს, ჩემი ქმარი რომ გცნობოდა  
 განა ასე დამიყვავებდი,  
 მე და ჩემმა გოგომ გავწირეთ,  
 რადგან გვიშლიდა,  
 ხელს გვიშლიდა და მოვიშორეთ.  
 იმ შესამემ ცული დაჰკრა კეფაში და ბეჭებს უწვდინა.  
 გარეთ ციოდა,  
 დედა-შეილი ბუბრის პირას ვიჯექით და თავ-ფეხს ვხარშავდით.  
 ის კი, თითქოს ყველაფერი ერთიუცხად დაინახაო,  
 ისევ ჩვენსკენ მოდიოდა,  
 გაღიმებული და რალაცის მახვეწარი.  
 რა უნდოდა იმ უბედურს, ნეტა რას მოხოვდა.

სამმა დაემარხეთ ეზოში და  
 ქვეყნის თვალის ასახვევად  
 სამარეზე თივის ძნა დავდგით.  
 მთვარიანი ღამე იყო —  
 ჩვენ ის მთვარის ძირში დავმარხეთ.

ხოლო ჩვენ კი ცოდვამ უფრო დაგვაკავშირა.

ხვალ არ იქნება დღე,  
ხვალ მზის სხივებს ნურავინ ელის,  
რადგან ამ დამით მოხდა ყველაზე საშინელი რამ,  
რაც კი მომხდარა.



და თითქოს ჯიბრით,  
მეორე დღეს მზე ამოვიდა  
გამაძლარი და შენივთული,  
თითქოს მსხვერპლი დაგვეკლას მისთვის  
და ის სისხლი მიმატებოდეს.  
ამობრწყინდა სიცოცხლის ბეჭდად  
და უმანკოდ აბრჭყვიალდა თივის ბულულზე.

ადამიანურმა არ დაგლალა,  
ამოდენამ, ამ უსასრულომ.  
უბედურები არა ვართ, განა,  
რომ, რასაც მიწა გვთავაზობს ხოლმე,  
იმაზე ზეცა თავს გადაიქნევს.  
ჩვენივე თავის ჯერებზე რომ ვართ გაკრულები,  
განა ვერ ამჩნევ?  
ჩვენსავე სიკვდილს სტუმრად ვესწრებით.  
რამდენჯერ უნდა იწყოს თავიდან,  
რამდენჯერ უნდა დაპკრას კაცმა  
მიწამყარს ფეხი,  
რომ გაიხსნას და ეჩვენოს რამე,  
იმედი რამე, პასუხი რამე.  
ან წუთები უბედურების  
მთელ ჩვენს ცხოვრებას ნათელს რად ჰფენენ,  
ან რად მივყავართ სიხარულს იქ,  
საიდანაც ვართ წამოსული —

ტკივილისაკენ?  
რამდენჯერ უნდა ჩაიქნოს ხელის მტევანმა  
თავისით, თითქოს ჩვენს უნებურად  
თითქოს რაღაცა აზრს ასრულებდეს,  
ღწორედ იმ ხელის იმ მტევანმა,  
ჩვენ რომ გვარჩენდა,  
ქალის თავიქვეშ რომ ბევრჯერ დებულა  
და უბეშიც ჩაცურებულა.  
რად ეჭაერება ცხოვრებას ნეტა,  
როცა მას კაცი ებღაუჭება  
და მითუმეტეს ერთადერთ კბილით.  
ან რატომ უნდა ახსენებდე შენივე ფეხებს,  
მტკიცედ იღვქით, თქვენს მიწაზე  
როცა დგახართო!  
ო, დედამიწავ, შენ ხარ სურვილი,  
რომელიც მე შესრულებით არ წამიბილწავს,

შენ ხარ შუბი, რომელიც ჩემს მკერდში გაიარს!  
მაგრამ ყველაფერს წამით ხომ მაინც უნდა შევეგუო,  
ყველაფრის წინ ხომ უნდა შედგე,  
რომ შეიყვარო.

ან რამდენი რამ უნდა იხმო და შეიზიზლო,  
რომ შენი თავის ამარა დარჩე.

ჩვენ?

ისე ვცხოვრობთ, თითქოს ჩვენ არ ვართ,  
მოგვიცვლია ჩვენი თავისთვის?

დაგვეკვირვებივართ ჩვენი კანის თუნდაც ერთ უჯრედს,  
კოცონივით რომ ანთია ჩაუჭრობელად,  
მაგრამ ჩვენს მზერას რომ ვერ ეღირსა,  
რადგანაც ჩვენ, ჩვენი თავისგან ვართ განდევნილნი,  
დროით განსაზღვრულნი, უმეტარნი,  
ყბადალებულნი,

„პაპა“-ს მკითხველნი ქვევრის პირივით.

ჩვენ ერთმანეთის კბილებიდან წაგლეჯილი ჩვენი თავი ვართ  
და სიცოცხლეს ჩვენი ისე ადრე თავდება,  
როგორც პირზე მიყუდებული ნაკლული ბოთლი,  
როცა ასეთი ფენერგია გაქვს კაცს ყლაპვისა  
და წყალს კი არა, ჰაერს ისრუტავ.

ნაყარზე დგას ჩვენი აზრი და არა კლდეზე!

ვინ, ვინ დაწვება თავის ლოგინში  
დღის მტვრის გარეშე?

ვინ არ შემკრთალა,

სხვისი სიკვდილით წამიერი ალტკინება რომ განუცდია?

ვის დააბრალოს საცოდავმა?

თავის უღონო არსებობას,

თუ ვინც დაჰბადა,

იმას უნდა ჩაუმტვრიოს ფანჯრის მინები!

განა ჩვენ ის ვართ, რასაც ვხედავთ,

ან რასაც სხვები მისჩერებიან?

მხოლოდ სიკვდილია ის კამარა,

რომლითაც ჩვენ ჩვენს თავს შევიბყრობთ.

შიშია ჩვენი გულის მადანი.

## VI

დავჯექ წყლის პირას

და დაფიწყე ჩუმად ტირილი.

და ჩაგაყოლე თვალი ჩემს მუხლებს

და გაფხედე ზურგსუკან ჩემს კვალს

და ვთქვი — განმშორდი!

ჩემი ცრემლები იგულისხმე როგორც მდინარე,

სადაც შენი კვალი გაქრება.

წინგამხედავმა თრთოლვით ვიგრძენი,

თუ როგორ ნაზად ჩამომავყვეს მხრებზე ხელები  
და რა სიფრთხილით დაალაგეს ძუძუები ჩემს  
დადლილ ზურგზე.



და მომეჩვენა, თითქოს ღმერთს ვსურდი,  
რადგან ის მგზავრი, ჩემნაირად რომ უცხოვრია,  
ასე უეცრად ასეთ სიტკბოს ღირსი არ არის.

— დაბრმავდი-თქო — ვუბრძანე ჩემს თავს,  
რადგან არ მწამდა ჩემი თვალების  
და აღარც იმის დაჯერება მინდოდა უკვე,  
რომ კვლავ მოგტყუედი.

წამოვდექი თვალდახუჭული  
და ხმის კანკალით ვუთხარ სტუმარს:

— გამიყვანე მდინარე-მეთქი.  
მან მომწმინდა თვალზე ცრემლი,  
მოსწყვიტა იგი მდინარის ბოლოს  
და ჩუმად მითხრა:

გაახილე, შეილო, თვალი, დედა ვარ შენი!

ხა... ხა... ხახახა — გარეთ კი არა, სამყაროში, —  
ვარსკვლავების შესაწუხებლად,  
უსიამოვნოდ რომ შეეკრას ზეცას წარბები,  
ჩემს გვამში, ჩემს სულში  
ჩემს საკუთარ კოსმოსში ჩავიხარხარე.

— ო, თქვე დაწულე ვარსკვლავებო,  
ჩემი ტყუპის ცალი სად არის?

— ის წაიყვანა შავგვრემანმა,  
შავ მიწაში ჩაუძღვა კიბით.

ჩემი სული შეურაცხყოფის,  
გულის მოთხების

და მკვდარი თავების გადმოყრის არე.

მინდორი, სადაც ყველას შეუძლია ბარვა და ჩიჩქნა  
და მკვდრის დამარხვა.

და მე ვიხილე ჩემი სული,  
როგორც ველი ნახირგაცლილი,  
ორ ზეგანს შორის რომ დარჩება შუალამისას  
და ქარი გაქვეის უკანასკნელ იმის სურვილებს.

„ჩემი პატრონი ქალაქს წავიდა  
და იქიდან დაჩუნდება გამდიდრებული  
და შემომავლებს ღობეს ოთხკუთხივ,  
დასახლდება, მიწას ფეხს დაჰკრავს  
და გაჰხედავს მომიჯნავეებს“.

და იტყვის ღმერთი:

ვიღაცა ხომ უნდა ტიროდეს,

რათა ცრემლებით დარაჯობდეს ქვეყნის სიხარულს.

აზიონრია და უბრძანა სვილისფერ კაბუკს:  
შენი თვალები  
სახედველნი კი არ არის, საცრემლენია!  
კოვვლი ტირის შენი თვალებით,  
სადინარია ყველა ბალღამის,  
შენი ცხვირი წყალგამყოფია,  
შენი ღაწვები იმ ცრემლების ბილიკებია,  
შენი სუნთქვა არხევს მათ ტალღებს,  
შენი ველი იმ ნაკადთა ჩაკონებაა,  
შენი მკვრდი იმ ცრემლების ჩასაკარგავი.

ვის სძინავს პირში ცივწყალდაგუბებულს,  
ვინ დარაჯობს დედამიწას ჯობდაყუდებით?  
— ცრემლი ჩვენი, პატიოსანი!

რამდენი რამეა ადამიანი!  
აი, თუნდ ეს ხე, მარტო რომ დგას,  
აი ეს ძაღლი, ქუჩაზე რომ ცდილობს გადასვლას,  
თავმოქცეული, დაკვირვებული.  
შე კი ვეფერები ამ ხეს,  
ხელს ვუსვამ  
და იმ ძაღლსაც სიყვარულით თვალს გაფაყოლებ.  
მაგრამ ადამიანს ვინ ეფერება!  
ჩვენ ხომ ბევრი რამ გვაქვს ისეთი,  
რათა ჩვენზე ხელი აიღონ.  
ჩვენ ჯერ გვეუბნებოდნენ — აბა, იცინეთო,  
— და ჩვენც ვიცინოდით — უხახახახა...  
მერე გვითხრეს — ახლა იტირეთო  
და ჩვენც ვჭეითინებდით უჰოჰოჰო...  
მერე კი გვითხრეს — აი ნახეთ რასა ჰგავხართო!  
მძულს ყველა, ვისთვისაც სულერთია ადამიანი,  
ის მგზავრია და სულ იმას ცდილობს,  
რომ გაიხსენოს, საიდან მოდის.  
ისიც არ გიკვირთ, რომ ამხელა გზა გაიარა  
და კარგიც შექმნა.  
მან მზე იხილა ამოთხვრაში  
და გადაიღო ყველაფერი, რაც კი იხილა.  
ნუ მოსთხოვთ მას, რაც არ შეუძლია  
და თავის თავსაც ნუ მიაჯაჭვებთ,  
გინახავთ თქვენ ის  
დაბალ სკამზე ჩამომჯდარი, თავის ბუსრის წინ,  
ღველფებში რომ ჩაიყურება.  
რას ფიქრობს იგი?  
თავის თავზე არა ფიქრობს  
და არც თავის მოკლე გზაზე არა სწუხს იგი!  
განა ციმციმზე და კრთომამაზე თვალი მაგრდება?  
ერთი წამით რომ შეეაჩეროთ, ხომ დავინახავთ,  
მანამდე კი ჩვენ ბავშვები ვართ,



ჩიტისჭურად აღტკინებულნი.  
 ჩვენს დაფიქრებას განათება მოჰყვება განა?  
 ბარი კი ჩავა მიწაში და  
 ქალის მუცელიც ჩაიზნიქება  
 და კალამიც მელანში ჩასაჯვლეფს,  
 ნაგრამ აზრი კი ვერ შეაღწევს  
 იმ ბლანტ სივრცეში...  
 ჩვენ წინ, ის — უკან,  
 იმ პირობით, რომ არ არსებობს  
 არც წინ, არც უკან.

და ჭკუაზე რომ არ გადავიდეთ  
 და რომ სულ არ გადავიჩნხოთ,  
 ჩვენ გვაქვს ცხოვრება და ჩვენი თავი,  
 გვაქვს სიციფე, რათა გავთბეთ და გავიხაროთ,  
 გვაქვს შიშხილი, რათა გავძღვით და მადლობა ვთქვათ,  
 გვაქვს ვარსკვლავები, რათა დაგტკბეთ იმათი ცქერით,  
 გვყავს ქალი, რათა იმან წარმოშვას კაცი,  
 საბერველივით დაუბეროს და გააღვიფოს  
 და რომ კაცმა წარმოშვას ქალი.

გაიხსენეთ პატარა ბავშვი  
 მიამიტად რომ ჰგონია, ტვირთს ვეწვეით,  
 რაკი ხელი მოავლებინეს  
 და წყაროს წყლიდან სახლისაკენ წამოიყოლეს.  
 ისე ჩვენც ხომ არ გვეჩვენება,  
 რომ ვიტვირთეთ ჭეშმარიტება,  
 რაკი ოდნავ მხარით შევებეთ.

## VII

განა იმიტომ არ დავიწყე ლექსების წერა,  
 რომ ქვეყანა გადამერჩინა?!  
 ახლა კი თვითონ ჩემი თავი გამჭირვებია.  
 მოიწი, ქალო,  
 და უყურე ჩემს სიმღერაში  
 დიდი წვეთი პატარებს რომ თან გაიყოლებს.  
 მე კი ჩემს ყველა ნიღაბს გაჩვენებ.  
 მოიწიე და დანდობით გვერდს დამიჯექი,  
 შენთვის ვარიგებ ახლა ამ სიტყვებს,  
 როგორც ორი მოსისხლის ხელებს.  
 თუ მოგაბეზრო, გამაჩერე ხელის აქნევით,  
 როგორც ძველი მვეთოლინე.  
 ღიმილი ესე, სახეზე რომ მკიდია მე,  
 უკანასკნელი ნიშანია რომ ცოცხალი ვარ.  
 აღარ შემიძლია ჩაკონება,  
 აღარ შემიძლია გადარევა,  
 ეუცდიდი, მაგრამ არ მომეცა  
 ნიჭი მოყვასის ხიყვარულისა!  
 ერთადერთი ღიმილია, რომ მაშრიალებს,

ჩემი თეთრი დროშაა იგი,  
რომლითაც მე მტრებს ვუზავლები,  
მეგობრებს ვზვლები...  
ვიდრე ისიც არ ჩამომგლიჯეს.  
ნოიწი, ქალო, ჩემო მუდმივო თანამგზავრო,  
მაგრამ განსოვდეს,  
რამდენიც გინდა ჩემმა პირმა აუგი გითხრას,  
გული მუდამ გებოდიშება.



ზოდი, ჩამოგსხდეთ წყლის პირას და  
ცრემლი დავართოთ.

## VIII

ქალის ცხოვრება მის ბალიშქვეშაა.  
ნივთნი პატროსანნი, რომელთა ხილვას  
თვით მთვარეც კი ვერ შესწრებია,  
იქ იმაღვიან.  
ცრემლის რუებიც თავს იქ იყრიან, იქ ინასკვიან.  
სასიყვარულო ბარათიც რამ — მოუცლელობით  
თუ ვერ მოხერხდა მისი დახვევა, იქ იმალება.  
მაგრამ ჩვენ ხელს იმ ბალიშქვეშ ვერ შევაცურებთ,  
ეს თქვენ თხელ წყალში თევზისჭერა კი არ გგონოთ,  
ქვისქვეშიდან თევზს რომ დაითრევეთ,  
მუჭაში რომ აიფართხალებთ  
და ნაპირს რომ გამოხედავთ გამარჯვებულნი.  
იქ კი მე ვდგავარ!  
— ეს მე, ძვირფასო, ეს სულ მე, არა?...  
არა, აქ ხომ უხერხულია,  
იქით ბიჭები ბანაობენ და სულ ჩვენსკენ იყურებიან.  
მაშინ... არა... მაშინ... მე თვითონ.

„განვიბანო“, ო, ვინ იტყვის კიდევ ამ სიტყვას  
ისე მართლადა და გულწრფელად, როგორც შენ, ქალი.  
გარს რად უგლი შენ ჩემს ტუჩებს ვით ცეცხლის კოცონს  
ბოლოს გინდა რომ გადაეშვა?

ჩემი ზოდიაქო ქალის ყველაზე წმინდა ადგილზეა  
და ღმერთო, ღმერთო, ნუ მომაკლებ მე  
ამ დღეთა ტკბილთა ჩემს ზედა დენას,  
როგორც ღბილ ტალღათ და ლამწყალთა არონინებ და  
აქვემევე

თევზთა, მცურავთა, ბაყაყთა ზედა.  
ქალის თალებში მიედინება ჩემი ცხოვრება,  
მე თვითონ კი ჭუჭყიანი ვარ.

ქალი, რომელიც ჩემი სურვილით იღვენთებოდა  
ვით საყდრის ჭური, ჩემს წინ დგას ახლა.

„მე თვითონ“ — თქვა მან, თითქოს თანხმობა  
მართლ ღმერთმა კი არ ურჩია,  
მისმა ერთგულმა მეგობრებმაც გამოაცილეს,  
რათა ასე არ დარჩენილიყო ეს ლამაზი და ჭკვიანი ქალი.  
ერთმა მათგანმა, ოჯახის ქალმა —  
თითქოს ხელიც კი უბიძგა და მოაგდო ჩემამდე ტუქსით  
ხოლო მეორემ, ორმოცი წლის გაუთხოვარმა,  
თავი დახარა, რაც თანხმობას ნიშნავდა უკვე.

ერთ გათხოვილ ქალს სულიწმინდისგან მიდგომაღა  
ენატრებოდი:

ვევდრებოდი სულ ბოლო ნოტზე,  
რომლის შემდეგაც ჭვითინი იწყება.  
ტირილის პირას დავდიოდი, მის მწვანე მოლზე.  
გაკვირვებისგან სული სახეზე გამოეფინა.  
უბ, ქალს რომ ლოდი აწევს გულზე  
იმას დამტყრუვა კი არ უნდა, დადნობა უნდა,  
როგორც ქვამარილს ხარლალის ლოკვით.

თავს რომ გვერდით გადაიგდებს, თმებს რომ გადიყრის  
და ყელ-ყურს რომ გამოაჩენს...  
კაბა რომ მუხლებს ააცოცდება და იქ შედგება —  
რა შეედრება!

და ნეტავი თქვენა, მკედრებო,  
რომ აღარაფერი აღარ მოგინდებათ!

თავის თავით ქალიც შეკრთება,  
მაგრამ საიდან ჩაეჭრებათ სიყვარული  
ამ პატარა გოგონებს ნეტავ!  
ვცემე, გავლანძღე და ის პირველად დაწვა თავისთვის,  
მისი პროტესტი იყო უხმო, ტოგორც თოჯინის,  
სიტყვები უხვად მომდიოდა,  
რადგანაც მე თავსაც ვიცავდი.  
დედის მუცელში შევაბრუნე,  
აღარაფერი ამართლებდა იმის სიცოცხლეს.  
და როცა გვიან, სიბნელეში გავიგონე მისი ტირილი,  
პირველად ვიგრძენ, რომ ის სუსტი გოგონაა,  
მე კი — ვინა ვარ?

რალაც წმინდამ გვერდს ჩამიარა.

ბუნებებს შორის სწორედ რომ გველის საგდებია, მისი ნაწოლი!  
მოგესალმებით, აივნებო, მთელი თქვენი ქალიშვილებით!  
ო, ღირს ამათი გაკვირვება,  
ფანჯრის რაფებზე დაყრდნობილების,

აივანზე გადმომდგრებისა.

ჩაითრიე, აიყოლიე!

მაგრამ როგორღა აღვფრთოვანდე, როდესაც ვიცი,

თუ როგორ ტანჯვით შეკოწიწდა ეს სილამაზე.

რა ნაჭრებით, რა ნაკერებით!



გავტეხე თქვენი სიცილის ფანჯარა!

გახსოვს, მთვრალი და ოხერტიალი

ფურთხით რომ მიიკმევედი გზას?

ვინ იყო შენთან ქარისა და ფოთლების გარდა!

შენ ხალხს ხედავდი მხოლოდ წელსქვევით,

თითქოს დანარჩენი ჩრჩილს შეეჭამა.

შენ ქალებს ხედავდი მხოლოდ წელსქვევით

თითქოს გინდოდა გამოგეცნო წინმიმავალ ქვედატანთაგან

რომელი იყო წმინდანისა.

ადიოდნენ და ჩადიოდნენ, თითქოს ამბობდნენ,

შენც... იმასაც...

ატრუვებული ძაღლი ძუქნას რომ გაჰყვება უცხო უბანში

რას დამართებენ იქაური ნაგაზები,

ვინ ვერ მიხვდება!

ჯოჯოხეთში რომ მოხვდებით,

ნეც მინახულეთ!

## IX

გინახავს მარტში როგორ დგანან ხეები და როგორ ელიან,  
რომ ერთ ძახილზე იფეთქონ და გამოჰფინონ მწვანე კვირტები.  
მანამდე კი ჩიტები გადიფრენს გამხმარ რტლებზე.

მომიცადე, გაზაფხულო, ჯერ ნუ გაშლი შენს მწვანე კარებს,

მე ჯერ ისევ იმ ზამთარში ვარ,

გაბურდული მის თეთრ გორგალში.

მომიცადე და სულში ნუ შემომიძვრები,

მომიცადე და თვალებში ნუ ჩამეჭრები,

თორემ შენი ელდა მეტია,

ვიდრე ათასი ჩიტის ერთად აფრთხიალება,

ვიდრე ათასი ფოთლის ერთად აღმოცენება,

და ნუ მაკვირვებ, დღეო, რომ აქ ვარ!

მე აქ ვარ, ჩემი მეგობარი კი

ცასა ჰკიდია ცოლის ნაწნავით.

ჰეი, ვინა ხარ, მანდ ვინ იმაღვი,

განა შენ კი უყვარდი შენს ცოლს!

განა მას შენთვის ქანდარიდან ყვავილები გადმოუყრია?



განა მას შენ თავიდანვე თან გამოჰყვები?  
 განა თქვენ ერთად ჩაგიფიქრეს?  
 სად იყავი, როდესაც ის  
 ველის ყვავილებს აგროვებდა თავის ოცნების ქაბუკისათვის?  
 იქ, იქ უნდა მდგარიყავი, შე უბედურო,  
 მისი არსობის სათავეში,  
 იქაური წმინდა წყლები უნდა გეტოპა!

ჩემი შეყვარებული სხვა მხარეშია,  
 სხვა ქვეყნის ქარი უფრიალებს თმებს,  
 სხვა ქუჩაში დაიარება,  
 სხვის ლოგინში წევს!


ვინ მელოდება მე გზაჯვარედინზე!

ვინ შეიკრავს სუნთქვას, ანდა  
 პირში ლუკმას ვინ დაიყოვნებს,  
 — მოიცადე, ხომ არ მოდისო!  
 ან ვინ იტყვის სველ ბალიშში სახეჩარგული  
 — მიყვარს, მიყვარსო!

ვერ შევუნახეთ ერთმანეთს თავი,  
 გაგცალეს გზისპირს მდგარი ხესავით,  
 ჩემი ნაყოფით შენი კალთა არ დაზნექილა,  
 შენი ნაყოფით ჩემი ტუჩი არ დასუსხულა,  
 ვერ შევუნახეთ ერთმანეთს თავი!...  
 ახლა რად გვინდა გვაშების ვნება,  
 ჩვრების ერთურთზე ყვლების ჭდობა,  
 ჩვენი ზაფხული დამთავრებულია,  
 ვერ შევუნახეთ ერთმანეთს თავი!  
 წყეული იყოს, ვინც პირველმა შეგვახო ხელი,  
 ვინც პირველმა გაიფიქრა — რა კარგიაო,  
 ვერ შევუნახეთ ერთმანეთს თავი!  
 ჩვენ ხომ ერთ ჭერქვეშ არ გვიცხოვრია,  
 ჩვენთვის ლოგინი არ გაუმლიათ,  
 ალგამოვლილი პეპლებივით ჩვენს ფრთებზე ვტირით.  
 მაშ მივილურსმით ერთმანეთზე,  
 ერთმანეთის ჯვარზე გავეკრათ!  
 შური ვიძიოთ წარსულზედაც და მომავალზეც,  
 და იმაზეც ვინაც ერთად არ ჩაგვიფიქრა,  
 ასე გაგვწირა!

პოი, დამმალე,  
 გვედრები, დამმალე სადმე,  
 თუნდაც დროის რომელიმე გამოქვაბულში,  
 თუნდაც მიწაში, სადაც კბცს უკვე აღარავინ სდევს,

და თუნდაც, თუნდაც შენს სხეულში,  
 რადგანაც ჩემთვის უკვე სხვა კარი არ გაიხსნება.  
 მხედავ, ხომ მხედავ როგორ გაწყვედები,  
 როგორა გბურჩქნი ძუძუებში,  
 ვეტოტები და გეშხეფები,  
 პოი, გაიღე, გაიხსენი და ჩამიყოლე,  
 და ჩამიტოლე და მერე, მერე...  
 დაიკეტე, დაიხურე და დაიბეჭდე  
 და დამიფარე უპასუხოდ დატოვებულნი.



## მიმე ჯვარი

რომანი

### თავი ოცდამესამე

მახარობელა გუნცაძე ძმაკაცს ბევრი ეხვეწა, შინ მიმეყვი, ვნახოთ, რა ამბავია და, თუ მშვიდობა დამხვდა, ეს დღე, რაც იქნება, იქნება, ჩემსა გაატარეო, მაგრამ ათისთავმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ასკიას თვითონვე უკვირდა: თუ ერმონიას დანახვა და მისი ხმის გაგონება ასე შენატრებოდა, უმისოდ ან აქამდე რამ გამაძლებინაო. მახარობელას თხოვნის აზრს მხოლოდ მაშინ ჩასწვდა, სოფლის თავს რომ ააღწია და შორს, კორტოხზე, გოდოგნის პირველი სინათლეები დაინახა. უკვე გვიანი იყო, გუნცაძის სახლს უკითხვად ვეღარც მიაგნებდა.

მახარობელას შინ მოხუცებული დედ-მამა, გაუთხოვრად დაბერებული მამიდა, ცოლი, სამი უწლოვანი შვილი და ას წელს გადაცილებული დიდედა — დედის დედა ჰყავდა. სანამ მშვიდობა იყო, არაფერი, მაგრამ მახარობელას გაჭირვება მაშინ უნდა გენახა, შიშიაზობა რომ ჩამოვარდებოდა და ხალხი სახიზრებისაკენ იზამდა პირს. ყველა გასაჭირს ისიც ზედ ერთვოდა, რომ ცოლს, მუხურელი დარიბი აზნაურის

ქალს, თვალი ერთთავად საყოლზე ეკი-რა. დახვევდა ხელს თავის სამ შვილს და, თუ მახარობელა თავად არ მიაკითხავდა, სიმამრს ძღვენით არ ეახლებოდა, შინ მობრუნებას ვეღარ მოიგონებდა. მოხუცებულები ღვთის ანაბარა ეყარნენ. მათი ერთადერთი მიმხედველი და შემბრალე თვით მახარობელა იყო. ოჯახის რძალი იქნებ არც ახლა ბრძანდებოდა შინ და სტუმარი ვისი იმედით მიეყვანა? ან მოხუცებულები კი დახედებოდნენ ცოცხალი, ღმერთი ისე შეეწეოდა?

ასკიამ ძმაკაცის შეფიქრანებით ისარგებლა და, როგორც კი თავი მართო დაიგულა, გზა ძუნძულით განაგრძო. ნაჭიხურევეც ცას მტრედისფერი შეჰპარვოდა. სოფელში მამლები ყიოდნენ, აქა-იქ ძაღლებსაც მოედოთ პირი და ვილაც უსულოს და უზორცოს უყევდნენ. გზას ზემოთ, ძეძვის ღობის გაღალმა, ჩალა აჩეხილი და აკონილი იყო. სანამდღეც კი თვალს მიაწვდენდი, ყანაში კონის ხუთეულები იდგა. ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოთ, მეზობლებო! ვაქცაცების შინ არყოფნა აქაურობას სწორედ რომ არ ემჩნეოდა. ვინ ქნა, ვინ იტვირთა ნეტა ამდენი და ასე

ჩნელი საქმე! კარის ვენახებიც გაკრეფილი და მოვლილი ჩანდა. ჩაეხვია და ენახა თავისი ახალშენიც? არა, არა, ჯერ ერმონია, წყალსა და მეწყერს წაუღია ვენახიც და...

„გაგებმა ენა — შეუწყრა თავს. — რა არის აქ შენი მოტანილი, წყალსა და მეწყერს რომ ატანს“

კაკლის, ვაშლის თუ საკალოე მსხლის ტოტებში გამომზიარალ აიენებზე აქა-იქ კვახიწელა, ტკბილისკვერი, ფელაშუშში ამოვლებული სიმინდის ტაროები, ლასტებზე გაფენილი მანქვალა-სოკო, ქალაკოდა, ჩირი, ასკილი და ცოცხებულ შეკონილი ქინძი, ცერეცო და ზაფრანის აცმები გამოეკიდათ. ორღობეში ვაშლა-ბიხისა და სახრავი ატმის მსუყე სუნი ტრიალებდა. ეს გამაბრუებელი სუნი მთებიდან მონაბერ სიოს შორს მიჰქონდა და მთელ ცისქვეშეთს აესებდა.

„სოფელი ღონიერი! — ვილაც გულდრძოხსა და ავის მოსურნეს ასკია თითქოს ნიშნს უგებდა და წელანდელ სულსწრაფობას ინანიებდა. — რამდენიც არ უნდა გაუჭირდეს, გამჩენმა ღმერთმა ნურაფერი გაუჭირვოს, სოფელი მაინც გაუძლებს, არ წაიქცევა სოფელი!“

ორღობე მალე გათავდა და ასკია ბროწეულის ბუჩქებით დაფარულ ფერდობზე გავიდა. აქედან ბილიცი ღელეში ეშვებოდა. ასკიას ახალშენი და მისი მოსაზღვრე ხელისდადება სავენახე მიწა სწორედ ამ ღელის მოპირდაპირე ფერდობზე იყო, ცოტა ქვემოთ, სახლი კი გაღმა, სერზე იდგა. არც სახლი და არც მაღალ კორტებზე შეყენებული ნალია აქედან არ ჩანდა, გზის გასწვრივ გაყოლებული კარტნები და კოპიტები ეფარებოდა.

ასკიას ოცნებად ჰქონდა გულში ამოჭრილი, ღელის წყალი, თავდაღმა უქმად რომ მიდიოდა და საღდაც კვახქირის ბოლოზე ყვირილას ერთვოდა, არხით თავის ვენახამდე მიეყვანა. საქმე საძნელო იყო. მარტოკაცი ამას ვერ იზამდა. ასკია მოსაზღვრე გლეხებს გა-

უტყდა. სიცილად არ ეყოთ. შე მამაცხონებულო, ჩვენს მამას, მამას და პეპერას უხსოვარ დროედან ასე უტუხოვრია, ღეთის მოცემულით დაკმაყოფილებულა და ახლა, თავი ნუ მოგიკვდება, შენ გინდა; ყველაზე ჰკვიანი და გაგებული კაცი გამოდგომ?

ეს იყო პირველი და თანაც აგდებულ იური, რომელიც ამ სერზე ყველაზე გვიან დასახლებულმა გლეხმა, ბატონის ნებით საიდანაც მოსულმა ასკია აბესაძემ, მეზობლებისაგან მიიღო, მაგრამ ერთხელ ამოჭრილი განზრახვა გულიდან მაინც არ ამოუგდია. ტყიდან ან წისქვილიდან მომავალი აქ, ღელეში, ვინ იცის, რამდენჯერ გაჩერებულა და სხვებისაგან მალულად რამდენჯერ უვარაუდია, საიდან უნდა გამოეწყოს არხის სათავე, რომ წყალს მის ვენახამდე მიეღწია. ასკიამ გულში მტკიცედ გადაწყვიტა, არხი უსიკვდილოდ გაეთხარა და მეზობლების გულის გასახეთქად მაცოცხლებელი წყალი, აქაურ ფიცხ მიწას ასე რომ სწყუროდა, თავის ვენახზე მიეშვა. მაშინ, იცოცხლე, სხვებიც მიდგებ-მოდგებოდნენ, ყურებიდან ბაშბას გამოიღებდნენ, ხმამაღლა, ერთმანეთის გასაგონად იტყოდნენ, უყურე შენ, ეს გულთ მოყვანილი ასკია აბესაძე რა ჰკვიანი და მარჯვე ბიჭი ყოფილა, ჩვენ კი ძალდაც არ ჩაეაგდეთო და არხის პატრონს აქეთ შემოედაეებოდნენ, სოფლის კუთვნილი წყალი ხანდახან მათთვისაც დაეთმო...

ასკიას ღიმილი მოერია. წარმოუდგა, რომ არხმა უკვე გაიარა ღელის გაღმა ფერდი და წყალიც გულის გამახარებელი ჩუხჩუხით დაიკლავნა კარის ვენახში. ახლა ასკიას ნებაა, შეიამხანაგებს თუ არა მეზობლებს, არხი ხომ საკუთარი მარჯვენით, სხვათა დაუხმარებლად, გამოიყვანა და, მამასაღამე, წყალიც მისია, მარტო მისი!

— უიჟე, მიშველეთ... ასკია! — ომიდან მობრუნებული ვაჟკაცი ამ ნებიერ ფიქრში იყო, ქალის კვილიმა რომ იქაურობა შესძრა და მოსულაც წამს გონს მოიყვანა. ასკიამ თვალები



დააჭიკა და სახტად დარჩა. ის თავისი ხელით კახტად შეკრული ჭიშკრის წინ იდგა, ჭიშკრის გადაღმა კი, ნორჩი ხეხილით დაჩრდილულ პაწაწინა მწვანე ეზოში, თავით ფეხებამდე ძაძებში გახვეული ყმაწვილი ქალი წივილ-კივილით აქეთ მორბოდა.

ასკიას ცრემლი მოეძალა, გული ამოუჯდა. პირველად ცოლი ვერც კი იცნო. ეუცხოვა მის ტანზე ეს უსინჯარო თაღბი, ხოლო როცა დააკვირდა და ჯერსა და ვაებში გაღეულ, ოდესღაც თურაშაული ვაშლივით დაეღავა, ახლა კი შესაბრალოსად გაფერმკრათლებულ ერმონიას, ასე სათნოსა და ახლობელს, თვალი შეავლო, ცრემლებმა უბეები ვადმოხეთქეს და დაპაღუპით დაეშენენ დაწვებზე. ქალი ალაგეს ვადმოველო, ქმარს მოეახლა, წელზე შემოეჭლო, მერე უცებ ჩაიკეცა, ასკიას მუხლებს ჩაჰყვა, ახლა ფეხები ჩაიკრა გულში და მიწაზე მლოცველივით დამხოზილი მოთქმით ატირდა. ასკია მთლად დაიბნა. ენა ველარ მოეტრიანებინა. ყელში გორგალი აწვებოდა და ორივე თვალთაგან ცრემლები დაპაღუპით ჩამოსკიდოდა. უნდოდა, დაღუნულიყო, ერმონია წამოეყენებინა, მოფერებოდა, მოალერსებოდა, დაეცვაებინა, ადე, შე უბედურო, გეყოფა ამდენი ვაება და გვიმა, ხომ ხედავ, ცოცხალი და უვნებელი მოგიველიო, მაგრამ ეს არ შეეძლო, დაუძღვეელი ძალა ენას უბოჯკავდა და აღამიანურად დალაპარაკების საშუალებას არ აძლევდა.

აბესაძეების ეზოში ამ დილაუთენია ატეხილმა კვილიმა მთელი ებანი ფეხზე დააყენა. გულგახეთქილი მეზობლები, ვინც ხმა გაიგონა, ლობეებს მოადგნენ. დიდი და პატარა შუკაში გამოეფინა. საიდან არ მორბოდნენ, საიდან არ ისმოდა ყვირილი, ტყრციალი და შეტახადება:

- ასკია მოსულა, ხალხო!..
- ასკია ცოცხალია!..
- უი, ბეჩა, ვის ვხედავ ამას, მართლა შენ ხარ, კაცო, ასკია?

— დიდება შენდა, ღმერთო, იესო მაცხოვარო, წმინდა გიორგო!..

— გეიხარე ახლა, საცოდნო ქრმონია, ხომ მოგივიდა შენი კაცო!..

ასკიამ დაირცხინა. გახარებულმა მეზობლებმა მეტად უდროო დროს მოუსწრეს. ეს გულის ამოჯდომა და დედაკაციური ტირილი მაინც რა მისი უბედურება იყო! რამდენი არ ეცადა, ვერც სლოკინი დაიოჯა და ვერც თვალთაგან დეარად მომდინარე ცრემლებს მოუხერხა რამე, ერმონია ადგა, თავჩაღუნულმა უკან დაიბია და პირსა და თვალებზე შავი თაყსაფარი მიიფარა, მხოლოდ გაწითლებული, საოცრად მგრძნობიარე თეთრი ცხვირი უჩანდა.

ასკიას ულოცავდნენ, ანჯღრევდნენ, ყურში გამამხნეველ, ქალბის ვასაგონ ორაზროვან სიტყვებს ჩასძახოდნენ, ასკიაც კეთილად იღიმებოდა, ცდილობდა, მეზობლებისათვის ხასიათი გაესწორებინა, მაგრამ ოხერი ცრემლები მაინც არ ეშვებოდნენ, მისდა დაუკითხავად მთელ პირისახეს უსველებდნენ და ყელზე მომდგარი დიაცური სლოკინიც საქვეყნოდ თავს სჭრიდა.

ტანსრულმა შუახნის ქალმა, კალმანემ, ბოლოსდაბოლოს, მოისაზრა, მეზობლებს დაუტატანა, არა გრცხვენიათ, ხალხო, თქვე შეჩვენებულებო, ყმაწვილ ცოლ-ქმარს ამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ, ერთმანეთის ნატვრით დნებიან და თქვენა აქ ჯირგალის თავი აქეთო? უტიეთ ახლა, მოეშვით, ეს ასკია აბესაძე, რაღაი მამაღმერთმა, ძე-ღმერთმა და სულიწმიდამ მშვიდობით მოიყვანა, ხომ არსად დაგეკარგებათო და სხვებს აღარ დაელოდა, ჭიშკარს პირველი მოსცილდა. ერთი-ორმა ნახევრად ჩაემულმა, პირდაუბანელმა გლეხმა, ქალმა და კაცმა, კალმანეს მაგალითს მიჰბაძა, სხვები ისევე იდგნენ.

ერმონიამ, ოჯახის ბურჯმა, მოუთმენლობა არაეინ შემამჩნიოს და სოფლის სასაცილო არ გავხდყო, ეს რომ დაინახა, თავი გამოიღო, ჭიშკარი ყურთამდე გააღო და კეთილი მეზობ-

ლები შინ შეიპატია, თან საფიციარ ას-  
კიას თვალეში შესციცინებდა, ხომ არა  
გწყინს, ასე რომ ვიქცევით.

ასკია გრძობდა, მეზობლების წა-  
სვლა თუ დარჩენა ოჯახის უფროსის  
სიტყვას უნდა გადაეწყვიტა, მეზობ-  
ლებიც ამ სიტყვას ელოდნენ და, თუმ-  
ცა გულით ეს არ უნდოდა, ამანაც გა-  
ბედა, ერმონიას მხარი აუბა. მეზობლე-  
ბი ერთხანს კიდევ იტყებნებოდნენ ჭიშ-  
კარგარე, ვითომ შევიდეთ თუ არაო,  
მაგრამ როგორც კი ორმა თუ სამმა  
ყველაზე ახლობელმა, შეთამამებულმა  
მეზობელმა ნავის გატება და კაპრიად  
მოვიღო ეზოში შეაბიჯა, დანარჩენე-  
ბიც უყოყმანოდ მიჰყვნენ.

საქათმიდან წუთის წინ გამოშვებუ-  
ლი წვრილფეხობა დაუპურებელი და-  
რჩა. ბოსელში ხბოიანი ძროხა ბლაო-  
და. რძით გატენილმა ჭიჭანმა თუ შეა-  
წუხა და პატრონს ეძახდა. მკვდრებით  
აღმდგარი ქმრის შემყურე ერმონიას  
ყველაფერი დაეჩვენებოდა. ოჯახში ასე  
უცაბედად შემოსული სტუმრების სი-  
მრავლემ, ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგ-  
რამ თავი მალე გაიმხნევა. ბარაქიანი  
შემოდგომა იყო. ღვთის მოცემული  
ყველაფერი ჰქონდა. რაც მთავარია,  
წათხით სანახევროდ მოყრილ ღერგში  
ხუთი წველა ჰყინტი ყველი ეგულეზო-  
და. ყველი თავისთვის ვერ გაემეტები-  
ნა, ინახავდა. ვითომ დღეისწორს ში-  
ნაურების თავის მოყრას და მომხდლე-  
რი მტრის ხელით უღვთოდ დაღუპული  
ასკიას სულის მოსახსენიებლად წირვის  
გადაზღას აპირებდა. მღვდელი და დია-  
კვანი უკვე შეპირებული ჰყავდა. ჭი-  
რის სუფრაზე მისატანად გადანახული  
ყველი ახლა სალხინოდ გამოადგა და  
ერმონიაზე ბედნიერი დღეს კაციშვილი  
აღარ იყო.

ჭოხში შესვლისთანავე ასკიამ აკ-  
ვანს მიაკითხა და მძინარე ბიჭუნას  
ფრთხილად პირი გადაჰხადა. ბავშვი  
ხარბად ფშვინავდა. ეტყობოდა, ახალი  
ჩაძინებული იყო. ქოხზე მოდგმულ  
ფიცრულ სამზადში კოდებთან და ვარ-  
ცლთან მოფუსფუსე ერმონიას თვალი

და ყური ერთთავად აქეთ ჰქონდა მო-  
პყრობილი. ქმრისა და შევილს გვერ-  
დით ყოფნას, მათ ცქერას, მათ სიხ-  
ლოვეს თუნდ სულის ამოსვლასაც ხედა  
აბა რა ერჩინა, მაგრამ ეს დალოცვი-  
ლი საქმე არ უშვებდა და ისიც ცი-  
ბრუტებით ტრიალებდა.

კერიაზე თვალის დახამხამებაში გა-  
ჩაღდა ცეცხლი. ერმონიას ქალები წაე-  
ხმარნენ. ქათმის გასაპურად ცეცხლზე  
თუჯის კარდლით წყალი შემოიდგეს. ას-  
კიამაც წამოიწია, კაცები გაიყოლა და  
თავი ღვინის ამოსაღებად და ჭანჭიკის  
გასასინჯად მარანში გავიდა. სახელდა-  
ხელო სუფრა აქვე, მარანში, ჭვევრის  
პირას გაიშალა. ბიჭის ნათლობისათვის  
გადანახული ყელწვრილი ჭვევრიდან  
ღვინოს ლეკი მეჭვების ნახელავი სპი-  
ლენძის ორშიმითი იღებდნენ და ორ-  
შიმითივე აწურწურებდნენ ჯამებსა,  
კულებსა და ჭინჭილებში.

ასკიას ღვინო მალე მოეკიდა. ეს  
მერამდენედ ჰყვებოდა, როგორ დაეც-  
ნენ ჭიხურს მეგრელები და მარგველმა  
მზირებმა მომხედურთ რა ფიცხელი  
ომი გაუმართეს. ცდილობდა, საქმე ისე  
დაეხატა, თითქოს ბრძოლის ბედი  
მტრის სიჭარბემ გადაწყვიტა და არა  
ღვინის უსაზნოო სმამ და სიფხიზლის  
მოუღუნებად.

მეზობლები ცალყბად უსმენდნენ  
და კეთილმოსურნედ იღიმებოდნენ.  
გადაკვრიოთაც არ უგრძობინებიათ, შე-  
ნი მონაყოლისა ნახევარიც არა გვყე-  
რაო. დიდსა და პატარას ბატონის ამბის  
შეტყობა სწყუროდა.

ქუთაისელი მეწვრილმანე ებრაე-  
ლები, წლის ყოველ დროს და ყოველ-  
გვარ ამინდში, სოფელ-სოფელ რომ  
დაეხეტებოდნენ და დღეს რომ აქ იყე-  
ნენ, საქონლის გასასაღებლად ხეა-  
ცხრა მთას გადაივიდნენ, ათასნაირ  
ურთიერთსაწინააღმდეგო ხმებს ავრცე-  
ლებდნენ.

თუ ზოგს დაუჭერებდი, ომში გა-  
მარჯვებულმა მეფე სოლომონმა ტყვის-  
მსყიდველი ლევან აბაშიძე უკვე შეი-  
პყრო და, რჭულის მაღლმა, დღეს თუ

ხელ გელათის მონასტრის გალავანში, ერის თვალწინ, ქვეყნის დასაწინად, აქამდე გაუგონარ მსჯავრს დასდებდა. რა იყო ეს „აქამდე გაუგონარი მსჯავრი“? რას უმზადებდა ამრეზილი ხალხის გული არგვეთის სულთამხუთავ ბატონს? მეორენი დამაჯერებლად ვაიძახოდნენ, თითქოს აბაშიძეს თავი მტრისაგან მიუღლომელი რაქისათვის შეეფარებინოს, თუმცა მისი მზახველი კაცი-სულღირი არავენ იყო. მეწვრილ-მანებნისავე თქმით, როსტომ რაქის ერისთავი ახალ ჯარს ელოდა თავისი მძახლის, ერისთავიშვილ იავორის სიმამრ ყაბარდოს ბატონისაგან. ამ ჯარით ლევანსა და როსტომს ნაქერალა უნდა გადმოეგლოთ და მეფესა და მის თანამდგომებს, აფხაზ-ოდიშართ, შეებოდნენ. მესამენი ფიცი არწმუნებდნენ ყველას, რომ ლევან აბაშიძემ სოლომონ მეფის მიერ ქვეყნის ოთხივე კუთხიე გავზავნილ მღვდარს გაასწრო და გურიის გზით ყულევს მიაშურა. ყულევიდან ის ტყვეებით დატვირთულ გემს სოფაში გაჰყვა, საიდანაც სტამბოლს გაემგზავრება სულთნისათვის ჯარის გამოსათხოვნად.

ყველა ეს მონაჯორი თუ სიმართლესთან ახლო მდგომთა ნაუბარი ნამდვილს ძალიან ჰგავდა. ამიტომ ძნელი იყო, რომელიმესათვის უპირატესობა მიგენიჭებინა და სხვებზე უფრო საწმუნოდ მიგენჩნა.

სოფელი ორად გაიყო. დროული კაცები, ის, ვინც მწარე გამოცდილებით იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა პირდაპირქენილ ლომთან ხელდახელ შეჭიდებას, ლევან აბაშიძის საქციელს ღრმად მოფიქრებულ ბრძნულ საქციელად თვლიდა და იმასვე ამტკიცებდა, რასაც ვარციხის სასახლის ივანეზე გადმომღვარი დიდი დედოფალი თამარი ამტკიცებდა ხელებზე ბორკილების დადების წინ. ავარიანთან ომი ჩვენ არ გვარგაო, ამბობდნენ ისინი, ვამჩნენ ღმერთს ასე დაუდგენია, ის ბატონია და ჩვენ ყმა, ღმერთის დადგენილს კაცი აბა როგორ შესცვლისო.

მეფის მხარეს მხოლოდ პირზე რძეშეუ-მშრალი ვულფიცი ახალგაზრდები იქერდნენ. მათი აზრით, გადმომღვარ სიკოცხლეს ერთხელ სიკვდილი ასწილ ჯობდა და ახალგაზრდებიც მზად იყვნენ, ეს სიკვდილი უღრტინველად და უსაყვედუროდ მიეღოთ, უკეთუ ლეთის განგებით მტერს ვერ სძლეოდნენ და ბრძოლის ველზე ყველას ერთობით სიკვდილი ეწერა.

ასიას ენა დაება, თითქოს ვინმეს ბანგი დაეღვეინებინოს, შექანდა და კინაღამ ჯორჯოდან გადმოფარდა. შიმშილი, უძილობა, მთელ დღესა და ღამეს უგზოუყვლოდ წაწალი და უზმოზე დაღუული ღვინო უკვე თავისას შერებოდა.

— სახლიკაცებო... ბოდიში... მამითხოვია! — ძლივს გასაგონად ლულულულებდა ის და თავჩაქინდრული ჰაერში რაღაც საყრდენს ეძებდა. — დამცადა ამ კურთხეულმა... რაღა დაგიმლოთ... მესამე დღეა, ჩემ პირში ხემსი არ ჩასულა...

ქალებმა შეიცხადეს, ხაქაურის ცხობაში ვართულ ახალგაზრდა დიასახლისის მოუხმეს და კაცებს დაუცაცხანეს:

— უი, რატომ არ მოგკვდებით! აყენეთ, ბოშო, შოთღვეით ილიებში, წამოვაწვინოთ, მოვასვენოთ, მაღლია...

— აჰ, არა, რაღა გეკადრებათ, ავერ ვიქნები, — ასკია უარობდა და ხელებს იქნევდა, თუ ხათრი ვაქვთ, არავენ მომეკაროს, მარნიდან ფეხს არ მოვიცვლიო. — საწინახელს მივეყულები. თქვით თქვენ, ილაპარაკეთო..

ერმონია გულგახეტქილი მოვარდა და ქმარი რომ ამ დღეში დაინახა, ლოყაში ხელი შემოირტყა, მეზობლებს მუდართ შეხედა, არიქა, მომეშველეთო და ისინიც უმალ გაჰქინწყულებულ მასპინძელს მისცივდნენ, ფრთხილად წამოაყენეს, ილიებში შეუდგნენ და სახლისაყენ ცამცივ წაიყვანეს.

ასიას ის დღე და მთელი ღამე გაუძნრეველად ეძინა. ერმონია ფეხაკრეფით დადიოდა ოთახში და ხან ქმარს

დახედავდა, ხან შეიღს. ბიჭს ღამეში სამჭერ ელვებოდა და ძუძუს მოწოვების შემდეგ დიდხანს უნდა გერწია, რომ ისევ ჩასძინებოდა. საცოდავი ქალი გაწამებული იყო. დიღას ძიღნაეღული და რეტდასხმული დგებოდა. მაგრამ საოჯახო საქმეზე ხელის წამშველებელი არავინ ჰყავდა და გამოძინებისათვის როდისღა მოიცილიდა.

ასკია ბავშვის ტირილმა გააღვიძა. პირველად ვერ მოიძხრო, საღ იყო, მერე, როგორც იქნა, ყველაფერი მოიგონა, გული სიხარულმა შეუფრთხილა, თან შიშობდა, ეს ოხერი ვაითუ სიზმარიაო და ხელი იქით გადაჰყო, სადაც ერმონია ეგულებოდა. ქალი აქვანთან იყო მიძვდარი, გაჰირვეულუბულ ბავშვს ძუძუს აწოვებდა, თვლებამორეული რაღაცას ექლურტულუბოდა და თავისი დედამწიღური საზრუნავით შეპყრობილს ქმრის გამოღვიძება არც კი ვაუგია.

— ერმონია! — დაბობებული ხმით დაუძახა ასკიამ.

— უიძე, გამოიღვიძე? — ქალი შეკრთა, ხელი უნებლიეთ საკინძეზე იტაცა და მთელი ტანით შემოტრიალდა. მხოლოდ ისე, რომ მკერდზე მიკრული ბავშვისათვის ძუძუ არ გაუშვებინებია.

— დიდხანს მეძინა?

— მეორე დღეა გძინავს, შე კაცო, გაგიგონია მაგდენი ძიღი? ფუ-ფუ-ფუ, ჩემი თვალი ქვას, ჩემი თვალი ქვას!.. კი არ გამაღლი, იძინე, რამდენიც გენებოს, ცოტა ტანჯვა-წვაღება შეგებდა? კაცი მოუსაველეთიდან ხარ მოსული.

— მოდი, დაწეკი ჩემთან.

— მოიცა, ხომ ზედავ, ბოვშს ვაწოვებ.

— გული არ მოგდის?

— რაზე, შე კაცო?

— რომ დაეთვერი და დევეგღე გუღასავით.

— ნამეტანი დაღალული იყავი, რა ფუყოთ მერე, კაცი იმის კაცია, ხან დათვრება, ხან ფხიზელი იქნება. მაგის დამაღლება გაგიგონია? რაღაი კი

მშვიღობით მოხვედი და ცოცხალი დავინახე...

— კი ქალი ხარ, ერმონია? — გულწრფელად აღმოხდა ასკიას.

— იპ, — ცოლს ესაიამონა, ვინაზა. — ეგ შენ გეჩვენება.

ასკიამ ნიღაყზე წამოიწია და ერმონიას საეცე მხრებსა და მოღღელი მკერდს ხარბად დაადგა თვალი.

— შე მეჩვენება? ამას მთელი სოფელი ამბობს...

ერმონიამ შუბლზე ჩამოშლილი წაღოსფერი თმა უკან გადაიყარა, ეშმაკურად მოიხედა, თავი გვერდზე გადახარა და გაუტრიაზავა:

— ვინ მთელი სოფელი მაინც?

ასკიას მახარობელა გუნცაძე გაახსენდა, გაახსენდა ავბორცული ჩაფინებით ორჯერ „ქორთვა ცოლი“ რომ უხსენა და სახეზე აღმური მოედო, საფეთქლები დაებერა. „რატომ სისხლი არ ვანთხევიენ? შე კაცი მქვია ამის მერე?“

— რას გაჩუღდი? — ჰკითხა ცოლმა. — კიდევ გეძინება?

ასკიამ გაიღიმა, შეეცადა, უსაიამონო ფიქრები გულიდან გადაეყარა.

— ველარ გაძღა? ეს რა ღორმუცელი გამხდარა!

— რა გქნა, მამიღო, მშვივა და... — ბავშვის მაგიერ უპასუხა ქალმა. — შენც ხომ იყავი პაწია, შენც ხომ წოვდი!..

— უპ, აღარც კი მახსოვს ეგ დრო!

— ეგ დრო ვის ახსოვს, ასკია! — ერმონიამ გულიანად გაიცინა და მონატრებულ ქმარს მთელი თავისი მომხიბვლელობით წამოღუღა. — მე, პაიდა პა, ბუნდაღ მახსოვს. დედაჩემმა გვიან გამაშვებინა. მერეც გწოვდი, როცა დეღას რძე აღარ ქონდა. ძლიღს ვაღამაჩვიღს. დეღამ პიღპიღი წეისევა... — ქალმა ნეტარებით ვაღაიკისეისა, რძით გატეინიღი ძუძუ დამაღა და პატარას ენა მოუჩლიქა. — აღარ ვინდა მეტი, დეღა გენაცვაღოს? გაღარეული მამაშენი მაინც არ გვაცღის. დეიძინე ახლა!.. არ დეიძინებ, თუ? ოო, ნანა, ნა-

ნინა... ჯერ წვეოდა, დაგვეყარა, გულ-  
ლები დაგვიხეთქა... — მას უყებ სიტყ-  
ვა გაუწყდა და ცრემლები დაპლუბით  
წამოუვიდა. აკვანში ბავშვი შეიმშუშნა.  
დედის ცხელი ჯურცხალი, ეტყობა, სა-  
ხეზე დაეცა.

ასკია წამოჯდა.  
— ერმონია! გოგო! არ გეყურება  
შენე?  
ქალმა ცოტა ხანს იყუნა, სული მო-  
ითქვა და მხოლოდ ამის შემდეგ უბა-  
სუხა:

- ხო, მეყურება.
- რა გატირებს?!
- მე არ ვტირი, როდის ვტირი!
- აბა, ეს რა არის?
- ეს ისე, ცოტა...
- დაწეკი, ახლა მე მოუტრწებ.

ცოცხა ხარ, შენც ხომ გინდა ბატარა  
დასვენება. როდისღა გძინავს, შე სა-  
ცოდავო!

— მე რა მიჭირს, შეჩვეული ვარ.  
თუ გძინებდა, შენ დეიძინე, გამოიშუშ-  
დი. ჯერ მაინც აღრეა, მამლებს არ  
უყვივლიათ. ბოცში ჩათულებს და მეც  
მოგებაარები.

- შევები რა უყავი, გადაყარე?
- გუშინ საღამოსავე. დაწვას ცეც-  
ხლმა! ღმერთმა და მამაზეციერმა ნურც  
ნურასოდეს დამაჭირვოს!

- მერე რალას ჩეიცვამ ახლა?
- ძველები გამოვძებნე, მივბლანდ-  
მოვბლანდე. ერთი კობლებიანი საკაბე  
შენი შოტანილი მქონდა, ვინახავდი...

— გათხოვება ხომ არ ჩაგივარდა  
გუნებაში?

— ვაგიხმა ენა! არა ვრცხვენია, ბი-  
ჭო? ჰკუას როდის უნდა მოუხბო? თუ  
შენს მერე გათხოვებას მოვიწოდებდი,  
შენამდი ცოტა მყავდა მთხოვნელი? აუ-  
ღებბოდი და მაშინათვე იმათ გავყე-  
ბოდი.

— მაპატიე, ერმონია, ასე რომ გა-  
გაწვალე...

— შენ ჩემზე მეტად გაწვალდი. მე  
ქერქვეშ მაინც ვარ, თავზე არ მაწვიმს  
და არ მათოვს. მეზობლებიც იგერ  
არიან. ერთმანეთს გვერდში ვუდგა-

ვართ. ჰირიც ერთია და ლხინიც,  
ოღონდ სიკვდილით ნურაფერი გავი-  
ქირდება და სხვაფრივ... მძინე-  
რატომ არაფერს ამბობ? *მეცხე-  
მეცხე*

- რა ვთქვა? გუშინ ხომ მოვეყვი!
- მე არ გამიგონია, შენ არ მომი-  
ცვდე. ხაჭაპურებს ვაცხობდი.
- თუ მეფეს ღმერთმა ხელი მოუ-  
მართა, აწი თათარში ვედარავინ გა-  
გვეყიდის.

- ღმერთო, კეთილი ქენი!
- ვინც აწი ტყვეს გაყიდის, თავა-  
დი იქნება თუ აზნაური, გლები თუ  
აზატი, ქრისტიანი თუ აგარიანი, მეფე  
სიკვდილით ემუქრება.

- უიმე, ასკია, ბეჩა, თუ ეც მარ-  
თალი გამოდგა...
- მართალია, როცა გეუბნები!
- მერე ფაშა?
- ფაშა? ვინ კითხავს ფაშას, მეფის  
სიტყვა კანონია!

— კანონი კია, ასკია, მარა... — ერ-  
მონიამ აკვანი გადაარწო. — ჩუხად, რა  
გაყვირებს, ძლივს თვალი დახუჭა! ნა-  
ნა, დედა, ნანინა... — მერე ისევე ქმარს  
მიუბრუნდა. — საღ ბრძანდება ბატონი  
მეფე? ღმერთმა და მამაზეციერმა სულ  
საკეთილო ვზახე ატაროს, ია და ვარ-  
დი ეფინოს!..

ასკია ფქრში იყო წასული. გულ-  
აღმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო  
და შუაცეცხლის კვალით შემქვარტ-  
ლულ ჰერის ძელებს მიშტერებოდა.

— ზემოთისკენ გამოუძღვა ჯარს.  
სეერის ციხეს ადგია. ციხის მოურავი  
ხოსია კლდიაშვილი თავს იკლავს თურ-  
მე, თავად მეფე მოვიდეს, ჩვენს მო-  
სისხლე წერეთელს, სულ რომ ვაე-  
წყდე, ციხის გასაღებს არ მივეცემა.

— ლამაზია მარიამ დედოფალი?

— რა თქვი? მარიამ დედოფალი ახ-  
ლა რამ გაგახსენა? მე რა ვიცი, რომე-  
ლი მისი კარისკაცი მნახე! ერთხელ მო-  
ვლანდე თვალი და ისიც ვერ გვიგებ  
ხეირიანად, მართლა მარიამი იყო თუ  
არა.

— ლამაზს და ჰკვიანს ამბობენ.

— ჭკვიანი და ლამაზი საცოდავი თინათიც იყო, მარა...

— მართალია, მოიტაცესო?

— ერიპა, შენ აქ ყველაფერი გცოდნია. ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო! იქნება ისიც ქე იცი, ბატონი ლევანი სად იმალება? მახარობელას შევატყობინებ, გადვირქვა კაცი სიხარულით!

— ვინ მახარობელას?

ასკია მოიღუშა, არ ესაიამოვნა, ერმონიას ბაგე-პირმა რომ უწმინდური და დაუნდობელი გუნცადის სახელი წარმოთქვა.

— არის ერთი, არ იცნობ შენ. ჩამაცოვდა, გინდა თუ არა, ლევან აბაშიძე დამაპერინე, მეფეს მივგვრი, ხუთას ყურუშს ევიღებ და გავკეთებდი კაკალი კაციო.

— ღმერთო, შენ... — ერმონიამ პირჯვარი გადაისახა. — ხომ არ გაბრიყვდი, ბიჭო?

ასკიას საქციელი წაუხდა, გაეცინა, ცოლის გულმართალ სახეს თვალი მოარიდა.

— შენ რა დავიმალო, კილამე მეც ქე შეშვექნა გული.

— უი, ღმერთო კი მამკალი! — შეიცხადა ერმონიამ. — ბატონის ღალატი და ღმერთის ღალატი რომ ერთია, არ იცი შენე?

— ლევანი მოღალატეა. ერმონია, — ასკიამ წისქვილში გაგონილი სიტყვები გაიმეორა და ცოლს თვალი თვალში გაუყარა. — ვინც იმას შეიცოდებს, მეფე არ შეიცოდებს, იცოდე!

— ნუ გეუბნები სხვის ცოდვაში, შენ გენაცვალე, ასკია, იმ შენი ბატიონის დედ-მამის სულს და ამ ჩვენს პატარა ანგელოზს გაფიცებ. ნუ იზამ მავას, სხვის მაცოფრ სიტყვას ნუ აყვები, რა იცი, მერე შეიძლება სანანებელი გაგინდეს! შენ ეს მითხარი, მეფე პირადად ნახე? რაგარია?

— ვერ მოვატყუებ, ერმონია, ასე პირდაპირ არ მინახავს, ახლო კი ვიყავი ძალიან, მარა აღვიღიდან დაძვრის ნება არ გვექონდა, აგიაშვილის და წუ-

ლუკიძის კაცები გვდარაჯობდნენ. აფსუსს, რა დრო დადგა დიდი ლევან აბაშიძის კაცს აგიაშვილის, და წუღილუკიძის უნდა გეშინოდეს, ბატონიშვილობაში, სოლომონი ბეგრჯერ მინახავს, მარეკადაც ვხლებივარ ნალირობის დროს. ახლა ძალიან გამოცვლილია. იერიც სხვა მისცემია. ვეღარ იცნობ. ტახტზე ასელა და თავზე მეფის გვირგვინის დადგმა კაცს ცვლის...

— ვენაცვალე მე იმას, გაპირებულის შემბრალებს და ქრისტეს ჯვრის ერთგულს ამბობენ. მიტომაც ემტერებიან თათრები და კარებამდი არ ენდობიან. თავათ სჯის თურმე ყველა დამნაშავეს. ნურც მოულოთ ღმერთმა! რალა ეშველებათ ახლა, ვინც აქამდი ტყვეების ყიდვა-გაყიდვით ირჩენდა თავს, მეფის რისხვისაგან თავს რითი დეინსნიან?

— ვერაფრით! — უხალისოდ მიუგო ასკიამ და თითქოს ვინმეს დანაშაულში დაეჭიროს, სახეწამოჭარბლებული ისევ ჰერის გამჭვარტლულ ძელებს მიაშტერდა. ის პაწია გოგონა, ესმა, მახარობელა გუნცადის ავაზაკური განაზრახი და თავისი ცოტუნება გაახსენდა, გაახსენდა და სინდისის ქენჯინას აღარ იცოდა სად დამალვოდა. გარემოებას რომ ხელი შეუწყო, ახლა ხომ ორივეს, მახარობელასაც და ასკიასაც, ცოდვაში ექნებოდათ ფეხი ჩადგმული. რას ეტყოდა ნეტავ ერმონია, ქმარს რომ ეს ღვთის განმარისხებელი ამბავი გაემხილა?

„ღმერთო დიდებულო, — მხოლოდ ტუჩებით წაიბუტბუტა ასკიამ და ერმონიასაგან ნამალევედ საბანქვეშ პირჯვარი გადაიწერა. — ნუ დამსჯი უკეთური განზრახვისათვის. მეც კაცი ვარ, ცოლვილი. გადავცდი, სიხარბემ გონება ამირია. შემინდვე, თუ რამე შეგცოდე და ამ ჩემი წვრილი ცოლშვილის განაზრებამ, ათწილ გიზღავ. ხვალავე აუალ ეკლესიაში, დღეის სწორს გელათის ღვთისმშობელს ევახლები, იმისი მადლი შეგვეწიოს, სანთლებს ავანთებ,

შენ კი, ბრავალზლის წმინდაო გიორგი, გიორგობას ჰედღილას დაგიკლავს..“

ერმონიას ცნობისწავილი აღეძრა, სულ მეტის და მეტის შეტყობა მოინდომა. ერთი-ორჯერ წამოსცდა, რატომ მეც იქ არ ვიყავიო და ამით ასკია გააკოცა: ერმონია კი არა, „იქ“ ნეტა თვითონაც არ ყოფილიყო!

— აქეთ რა ხდება, სოფელში რა ამბავია? — იკითხა მან, როცა ცოლის ცნობისმოყვარეობა შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილა.

— გუშინწინ დილის წირვანზე ეკლესიის გაღავანში შეგვეყარეს. იასაულმა ჩამოგვიარა, ვარციხიდან დიდი ბატონები მობრძანდებიან და არიქა, არავინ დააკლდესო. გავახვიე ბოვში და წვევდი. ღვდელმა პარაკლისი გადღიხადა. მერე მეფის და დედოფლის ერთგულეზაზე დეფიფიკეთ დიდმა და პატარამ. ვინ არ დეფიფიკებდა! ღვდელმა გერცხლის ჯვარზე გვათხვევინა და გერცხლის კოვზით ზედაშეს გვასმევდა... უიმე, რა უქნა, ასკია, გამეიღვიდა ამან. ხომ არ ამოვიყვანო? არა, დედა, არა, შენი ჰირიმე, შენ თვალებს შემოგვევლე, რავე დაგიჰყვეტია, ბიჭო, რძემ ხომ არ გაწყინა, რა შხამი ეჭამე ამისთანა!..

ერმონიამ არტახები მარჯვედ შესხსნა, გაწაფული ღონიერი ხელებით ჩერები გადააწყ-გადმოაწყო, ატირებულ ტიტლიყანა ბავშვი აქენიდან ამოიყვანა, მამას დაახარბა, შეხედე, რა შეანტალა ბიჭი გვეზრდებოო, მერე პატარა ჰინწის საბანში გაახვია, საბანი ფეხებთან სათუთად შემოუტყეცა, გულზე მიიხუტა და პირში ისევ ძიძუ ჩაუღო. ბავშვი ხარბად დაეწაფა დედის ძუძუს, უშალ გაიტრუნა, დროდადრო თულემასთან შერწყმული მისი ნებიერი ქსუტუნი ისმოდა.

აშკარად უკმაყოფილო ასკიამ კარგა ხანს უყურა ერთ არსებად ქცეულ დედასა და შვილს, გვერდი იცვალა და კედლისაქენ გადაბრუნდა. თვალი რომ გამოახილა, უკვე გათენებული იყო. ეგონა, ერმონია მომწოლია გვერდში

და მადეიძებსო. ერმონია მართლა დევიძებდა, მაგრამ მას უკვე ჩაეცვა, თმა წინწკლებიანი თავსაფრით ჰქონდა გაქრული, ხელში ისევ ბავშვი ემშობოდა.

— რა იყო? — წყრომანარევი ხმით ჰკითხა ცოლს ასკიამ.

— ჰიშკარზე იძახიან, ასკალონ, გახედე, თუ ღმერთი გწამს!

— აღარ დაგაცილიან სულის ამოსვლას! — ასკია ბუზღუნით წამოჭდა, სატინის შავ ახალუხსა და გაურკვეველი ფერის წითელხვანჯრიან შარვალს, წინაღამეს სასთუმალთან, ჯორჯოზე რომ დაყარა, ზღაზენით მისწვდა. ამ დროს ჰიშკართან კიდევ დაიძახეს. მეზობელ ეზოებში ძაღლებმა ატეხეს ყეფა. „რატომ მე არა მყავს ძაღლი? — გაიფიქრა ასკიამ და ტანში უკებ უსიამო ვრუანტელმა დაუარა. ვინ უძახდა ჰიშკართან? ნუთუ ხარჯის ამკრეფებმა მოაკითხეს? — ღმერთმა ნუ ქნას! — კინამ ზამაღლა წამოსცდა მას. — გავფეტქვნიან სულით ხორცამდე, კბილით გასაკენეტს აღარაფერს დაგვიტოვებენ! რა პასუხი მიეცე? რა ვიღონო?“

ერმონია უტყუარი აღლოთი მიხვდა, ჩვენს თავს რალაც უბედურება ტრიალებსო და ქმარს, როგორც ერთადერთ მხსნელსა და ყოვლის შემძლებელს, ისე მიაჩერდა.

ასკიამ ჩლატებში ფეხი წაჰყო, გარედ გავიდა. ჯერ კიდევ არ იცოდა, ჰიშკარზე მომდგარ მოძალადეთ რა პასუხს გასცემდა.

ერმონია ისე შეიპყრო აუხსნელმა შიშმა, საკემლთან მისვლა და ეზოში გახედვაც ვეღარ გახედა. დრო უსაშველოდ გაიწვლა, ასკიას ქოხში შემობრუნება აგვიანდებოდა. „ღმერთო, — დაიკენესა ერმონიამ. — ღმერთო და იესო მაცხოვარო, შენი მუხლების ჰირიმე, ნუ გაგვიშკარებ წუთისოფელს, გავკმარე, რაც ვიტანჯეთ და ვითავიშეთ!..“

თითქოს ზენარმა უმწეო დედაკაცის წრფელი ლოცვა-ვედრება შეისმინაო, დერეფანში სანატრული ფეხისხმა გაისმა. ერმონიამ ბავშვი აშლილ ლო-

გინზე მიაგდო და ასკიას დერეთანში გამოეგება.

— დამძახეს... — ყრულ თქვა ასკიამ, ავი წინათგრძნობით შეპყრობილ ცოლს გვერდი აუქცია და ქოხში შევიდა.

— სად, კაცო? — ერმონია კვალდაკვალ მიჰყვა.

— არ იცი, სად? ჯარში...

ერმონიას მიწის ფერმა გადაჰკრა სახეზე, მამაკაცის ალერსს მონატრებული მსხვილი ტუჩები უმწეოდ აუკანკალდა.

— ჯერ არ მოსულხარ და... — ამის თქმადა მოახერხა. — დევილუპეთ, ომი იწყება?

ლოგინზე უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი ტირიდა, ხელები ამოეშვა და ბაწაწინა პირს შესაბრალისად აფრენდა. მისი ხმა ახლა არც ერთს აღარ ესმოდა.

— მავას მე ვინ მეტყვის, ბეჩა, — თქვა ასკიამ და კედლებს თვალი მოავლო, ქმარ-ხანჯალი სად დაგვიდგო, დანახა და ჩამოსაღებად იქით გაემართა. — აწი სულ ასე იქნება, ერმონია. გეინძერი ახლა, მეტი დრო, ხომ ხედავ, აღარ არის, კიმკართან მიცდიანი...

— ახლავე, ამ წუთში მიდიხარ?

— აბა, როდის, ქალო!

— მარტვა შენ, ასკალონ?

— ყველა, ვინც ფრენს, ყველა ერთი და იარაღის მოხმარება შეგევიძლია! შეფეს უბრძანებია. ვაჩუმი ახლა, დედის სულს გაფიცებ, ეგ ცრემლი აღარ დამანახო! აქ თუ ვინმე მოვიდეს და რამე მოითხოვოს, ცოცხალი თავით არაფერი გაატანო. გეიგონე, რა გოთხარი?

ერმონიამ თავსაფრის ყურით დედარად წამოსული ცრემლი მოიწმინდა და ქმარს აბრიანი, ნათელი თვალები მიაბყრო.

— ეინ უნდა მოვიდეს, კაცო?

— ნუზლის ამკრეფები, ვინ! ამდენ ჯარს ქმევა არ უნდა? მე რა გამაჩნია, სხვას რა უნდა მივცე!

— თუ სოფელმა გეილო, ჩვენ ხომ ვერ გამოვსხლტებით, ასკალონ!

— არ გამოსხლტები და...

გუნებაგაფუჭებული ასკია გრძობდა, რომ უღონო იყო, ასე და ასე მოიქეცო, ცოლს სულ ტუფილად უბარებდა, კარგად იყოფა, ნუზლის მიცემას უარის თქმა ტახტის ღალატს უდრია, მაგრამ მაინც ამბობდა ამას, რადგან არ შეეძლო არ ეთქვა, რაღაც მეტად საჭირო და ძალზე მნიშვნელოვანი ოჯახში არ დაეზარებინა.

## თავი ოცდამოთხე

შაბათ დღეს, 15 ნოემბერს 1753 წლისა, სვერის ციხის ჩრდილო-დასავლეთ გოდოლზე მარგველმა მეციხოვნეებმა მორჩილების მათუწყებელი თეთრი ბაირალი გამოჰკიდეს. ჩანდა, მათ აქამდე სარწმუნოდ ვერ მიეღოთ უძლეველი ლევან აბაშიძის სამარცხვინო დამხობის ამბავი და ბატონის მიერ წინასწარ დამინებულნი უაზრო წინააღმდეგობას ეწეოდნენ.

მეფე თავისი ამალითა და ღრამებითურთ წყალგადმა, ნიგოზეთის ბო-

ლოზე იდგა და მოალყეთა მოქმედებას თვალს იქიდან ადევნებდა. ახალი ნაწიმიარი იყო. მოდიღებული საძალიბევი, სალი კლდეებით შემოსალტულ ორმა ხეობაში რომ მოედინებოდა, თავაწყვეტილი ზათქითა და ღრიალით იქაურობას იკლებდა. საბაქოს ზემოთ, გორაძირთან, სახელდახელოდ გადებული ხის ხიდიც კი მოეგლიჯა, გზადაგზა პატარ-პატარა წისქვილებიც დაენგრია და ეს კლდეები რომ არა, უთუოდ კალაპოტიდან ამოვარდებოდა



და ყველაფერს ყვირილაში ჩაიტანდა. ციხის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კარში სულ პირველი ზემო მხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის შოლაშქრეები შევიდნენ, რომელთაც წინ ასისთავი როსაფ მაჭავარიანი მიუძღვოდათ, და იმ ადგილას, სადაც მტერმა თეთრი ბაირალი გამოჰკიდა, იმერეთის მეფის ძლევაშოსილი ალაში აღმართეს. ამით სხვებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ და მალე ციხე ჭარით აივსო.

იმ დღის შემდეგ; რაც ქართლოსიანმა სურთომოდვრებმა და ქვეთხუროებმა ეს დიდებული, სქელი კედლებით შემოზღუდული ციხე შეველი კლდის თბეშზე ააშენეს და ყოველი მხრივ მიუდგომელი გახადეს, მისი დაცემა და მტრის მიერ იარაღის ძალით დაკავება დღემდე არავის გაეგონა. ერთი მტკა მეციხოვნეებით გამაგრებული სვერის ციხე მძვინვარე მურვან-ყრუს ურდოსაც კი გაუმკლავდა არაბების შემოსევის დროს და სისხლომწყურებული მტრის წინაშე ქედი არასდიდებით არ მოიდრიკა. აგერ ათასი წელიწადი იყო გასული მას მერე და მიუდგომლობით სახელგანთქმული სვერის ციხე, არგვეთის ბატონ აბაშიძეების საგვარეულო საკუთრება, კვლავ ნირშეუცვლელი იღვა იმავე ადგილზე და ყოველ მომხდურს შიშის ზარს სცემდა. დღეის დღეს მარგველებმა პირველად დასტოვეს გოდოლები და ქონგურები, სადაც თავს ყოველთვის უშიშრად გრძნობდნენ ხოლმე და ღრმა ხევეებით გარდოგარდმო დაღარულ შემოგარენს ზემოდან არხეინად დაჰყურებდნენ. სანამ ისინი აქ ისხდნენ, თუნდაც ათი-თორმეტი კაცი, ციხის კედელზე ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა. ახლა ორთავე კარში, რომელთაც მუდამ დიდი სიფრთხილით ალუბდნენ, მეფის ურიცხვი ლაშქარი შემოგვრიალდა და ამიერიდან, ალბათ, ველარც ველარავინ განდექნოდა.

როსაფ მაჭავარიანმა და მისი ასეულის შუბოსნებმა, დაუძინებელ მტერზე საბოლოო გამარჯვებით ფრთებ-

შესხმული ქაიხოსრო წერეთლის ბრძენებისამებრ, მეფის ბანაკში ციხის მურავი ხოსია კლდიაშვილი დაეკარგო. რილი ოცდაათი მეციხოვნე შევიდნენ. ტყვედ ჩაეარდნენ მარგველებს უპატიურად არავინ მოჰყრობია. ციხის მოურავ კლდიაშვილს ლეგან აბაშიძის ნაბოძები ძვირფასქარქაშოანი სატყეარიც კი დაუტოვეს და მეფეს ასე ღირსეულად აახლეს.

სოლომონი თათბირად იჭდა და ტყვეებთან გამოსვლა არ იწება. საქმე, გტყობოდა, უადრესად საიდუმლო იყო, რადგან სხვა კარგებისაგან გამორჩეული მეფის კარვის ირგვლივ, დამბაჩის გასროლის მანძილზე, პირქვეშე მეთოფეები იღვწენ და ახლომახლო კაციშვილს არ აქაჰანებდნენ. დილას აღრე მეფის ბანაკში ორი ცხენოსანი მოიჭრა და სოლომონთან დაუბრკოლებლივ შეშვება ითხოვა. მოსულთაგან ერთი ისე თამამად იქცეოდა, უთუოდ ვინმე დიდებული უნდა ყოფილიყო. ბანაკს ზემოშრის სარდლის კაცები იცავდნენ და, გარდა თავისი ბატონებისა, მათ უმეტესობას სამეფო კარის დიდკაცობა თვალითაც არ ენახა. მოსულები ბანაკიდან კარგა მოშორებით შეაჩერეს, ცხენები ჩამოართვეს, იარაღიც აჰყარეს და ძმები ნაფიჩაძეების მოსაყვანად კაცი აფრინეს. მეფის ერთგულმა ძიძიშვილებმა, რომლებიც თავიანთ ძებძეს მოზიარეს ამ ლაშქრობაშიაც თან ახლდნენ, მხედრები დანახვისთანავე იცნეს, მაშინვე უკან გაბრუნდნენ და მეფე-ბატონს ჩხერის ციხეში რუსხელ-მწიფის ელჩის შესახვედრად და შესაყოლიებლად გაგზავნილი თამაზა მესხის მშვიდობით დაბრუნება აუწყეს.

ათასი დამამკირებელი გაწამაწიის მომსწრე, გულში ჭაერჩახვეულ, ნაადრევად თამაშკირბლულ თამაზას და მის განუყრელ მზღებელს, ნატრია საჭურისს, რომელიც, კითხვა არ უნდა, თავიდანვე საიდუმლო მსტოვრად და თვალყურის მადევნებლად გამოატანეს, ბევრი ლოდინი არ დასკირვებიათ. ნიკოლოზა მალე მობრუნდა, სამეფო

დარბაზის წევრ ახნაურს, თამაზა მესხს, მისი გეარისშვილობისა და თვით მეფისაგან დაკისრებული მოვალეობის შესაფერი პატივით ეახლა, რაც თამაზას უფროდ მეფის გუნება-განწყობილების გამოძახებულად უნდა მიეღო, წინ გაუძღვა და ბატონის კარავში შეიწვია.

ფარჩის გრძელ კაბაში გამოწყობილი, თამაზაშვილი და რაღაც მიმომე საფიქრალით შეპყრობილი სოლომონი მოფარდაგებული კარვის უკანა კალთის ქვეშ ძვირფასი თვლებით მოქედილ მამისეულ ტახტზე იჯდა და ძვალ-რბილის გამჭოლავი მშვიდი მზერა კარისაკენ მოგებდა. თამაზა მესხის დანახვაზე, რომლის მოსვლასაც, რაღაც თქმა უნდა, მოუთმენლად ელოდა, წახეზე ერთი ნაკვითი არ შერბევია, არც განძრეულა, მხოლოდ თავი დახარა ოდნავ და მშინვე სმენად გადაიქცა.

თამაზამ შეატყო, მეფე კვლავ ურისდებოდა, გაიფიქრა კიდევაც-ღმერთო, დიდებულო, ამ დალოცვილის გული რით ვერ მოვიგეო, მაგრამ ამის შემჩნევა, იცოდა, არ ეგებოდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერსაც ვერ მიხვდა, კარშივე დაიჩქა და რუსებისაგან გადმოღებულ წეს-ჩვეულების მიხედვით შუბლით სამაგზის მიწას შეეხო.

სოლომონი წარბშემართული იჯდა, ტახტის განმტკიცებისა და კეთილდღეობისათვის აგრერიგად საჭირო გაიძვერა მოხელეს ზემოდან უღრტკინველად დაპყურებდა და უცდიდა, როდის მორჩებოდა ის თავის ქვეშევრდომულ თავყვანისცემას.

კარავში სოლომონი მარტო არ იყო. თამაზამ შემოსვლის უმაღლეს დანახა მეფის ძმები: ჩხერის ციხიდან ადრიანად წამოსული გენათელი მიტროპოლიტი იოსები, რომელსაც ნიკაპქვეშ ყრულ შესკვნილი იოსფერი ხვევრდის სალაშქრო ანაფორა ეცვა, ზოლო გულზე მსხვილქვეყიანი ოქროს ჯვარი ეკიდა, და ამ ერთ წელიწადში ტანაყრილი და ნაადრევად დავაქცავებული ბატონ-

ნიშვილი არჩილი. აქვე ბრძანებულებად ქვემოშობის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, სოლომონის მამაკვანა ხელი, არგვეთის ბატონისა და რაჭის ურისთავის ძველი მოქიშე პაპუნა წერეთელი, მისი ძმა ქაიხოსრო, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე — საგარეო საქმეების გარეგებაში თამაზას ერთადერთი მეტოქე მეფის კარზე და თვით მეფის აღმზრდელი, სოლომონის უპირველესი მრჩეველი და მესაიდუმლე გიორგი წულუკიძე.

თამაზა მოთმინებით აღიჭურვა, დიდებულებსა და ბატონიშვილებს სათითაოდ მიაგო შესაფერისი პატივი და, ამასაც რომ შორჩა, მეფის წინაშე გულხელი დაიჭო, მოხსენების ნებართვა ითხოვა.

სოლომონი თვლებში შემოკვეთებდა. გორდში უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ, რომლის გახსენებასაც სიკვდილი ერჩივნა, თამაზას ზარაფდა ამ გამჭოლავი, შიგ სულის სიღრმეში მოფოთილ თვლების გახსენება და მზად იყო ეყვირა, სახე ხელებით დაეფარა, ან ბატონს ფეხებში ჩაეარდნოდა, ოღონდ ამ უნდობი, გამილავი, შუბივით გულზე მობჯენილი მზერისაგან როგორმე თავი დაეღწია.

კარავში სამარისებური სიჩმე გამეფებულიყო. თამაზა მესხი ბატონის უნებართვოდ ვერ ბედავდა მის დარღვევას, სოლომონი კი კვლავ მდუმარედ იჯდა და თავის ელჩს, თითქოს დღეს პირველად დაინახაო, თავიდან ფეხებამდე თვლებით ზომავდა. ბოლოს მან მოისურვილა და მყუდროება თვით დაარღვია:

— ვისმენთ, ბატონო თამაზ! მოგვახსენე, როგორ აღასრულე დარბაზის ერის და ჩვენი დავალება, რასა იქმნ რუსთხელმწიფის ელჩი, ბატონი კაპიტანი ლეოვი, მალე გაგვაბედნიერებს სტუმრობით თუ...

თამაზამ გულზე ხელი მიიღო და თავი დახარა.

— ამალამ თუ არა; ხელ დილას

უსიკვდილოდ გეახლება, თქვენო სიმალღვეს..

- გზაში ხომ არაფერია საშიში?
- არა მგონია, თქვენო სიმალღვე, თქვენი წყალობით რაში დიდი და კარვად შეიარაღებული ახლავს.
- შენ რომელი გზით მოხვედი?
- სკინდორზე გეახელი, ბატონო.
- რატომ ცხრტყვეთზე არა? ასე ხომ უფრო ახლოა?

— მდინარე ხვარაფუნაზე ხიდი წყალს წაუღია. მე და ნატრია საჭურისის სკინდორზე მოვლა დაგვეჭირდა.

„ძალიწვილი! — გაიფიქრა მეფემ და ტაბტის მალალ საზურგეს მიეყრდნო. — კიდევაც მსაყვედურობს, მსტოვარი რად გამაყოლოო. არა, შენმა სიცოცხლემ, შენს ჰკუთაზე გააარაშემა იქნება ჰგონია, რომ საჭურისმა ყველაფერი არ დაფიქვა და ჩვენ ამ ვაჭბატონის დედაჩემთან და ბაბუაჩემთან შეხვედრის ამბავი არ ვიცით. ნეტა როდემდე უნდა, ასე პირშავად იაროს და აქეთ ჩვენ გვაყაროს თვალეშში ნაცარა, იქით კი ჩვენს მტრებს? ღვინის ქურდი თბლზე დაიჭირესო, ასე მოუვა ამ უბედურს. იყოს ჭერ, გაახაროს თავისი ჰია, ფრთები მოკვეცილი აქვს, შორს ვერსად გაგვიფრინდება, პირველივე გასროლით მიწას გაეაყრავ!“

სიზარტლე რომ ითქვას, თამაზა მესხის ნახვაზე მეტად სოლომონს მისი მხლებლის, მეფისა და სარწმუნოების უსაზღვროდ ერთგული ნატრია საჭურისის ნახვა უფრო ეჩქარებოდა. დიდი სჯა-ბაასისა და საქმის გამოჩრევიტ განხილვის შემდეგ გადაწყდა, ვინმე მოხერხებულად გამძრომ-გამომძრომი და სანდო პირი გაეგზავნათ ფაშა ჰაჰი-აჰმადის კარზე და ყველაფერი, რაც ვილაიეთში ხდებოდა, ფარულად შეეტყობთ. არჩევანი ნატრია საჭურისზე შეჩერდა. საქმეს ის აძნელებდა და ართულებდა, რომ რაბათის სასახლიდან ამ რამდენიმე თვის წინათ უგზოუკვლოდ გამჭრალი საჭურისის ხელახალი გამოჩენა აგარიანთა შორის ეჭვს აღძრავდა. ბეგლარბეგის გამოქეჰილ

მანდატურებს, თუკი მოიწადინებდნენ, აღვილად შეეტლოთ იმის შეტყობა, თუ ნატრია საიდან მოვიდა, შეეძლოდა დგინათ, რომ საჭურისი ურჯულო მეფის მსტოვარი იყო, იქვე ხელი ეტაცათ და, თუ თავის სასარგებლოს ვერაფერს ათქმევინებდნენ, ტანჯვით სული ამოეძროთ.

იკისრებდა კი ჭერაც უწლოვანი, თუმცა გონებაგახსნილი და მრავალი ჭირის მნახველი ნატრია ნებაყოფლობით საძულველ თათარში დაბრუნებას და თავის მომაკვდინებელ საფრთხეში ჩაგდებას? შესძლებდა კი გუშინდელი ბატონების თვალის ახვევას, მამა აბრამის ბატონად თავის მოჩვენებას და მათთვის უყოყმანო ერთგულების დამტკიცებას?

ეს ყველაფერი ამ უბედური ბიჭის სულის მხნეობასა, სამშობლოსათვის თავდადებასა და გონების გამჭრიახობაზე ეკიდა.

ფაშა ჰაჰი-აჰმადის კარზე მსტოვრის მიჩენის ატეილებლობა უწინარეს ყოვლისა იმან დაჰბადა, რომ იმერეთის ციხეებში მდგომი აგარიანი მეციხოვნენი, ოსმალთა დასაყრდენი ძალა ამ ქვეყანაში, მეტად დამაფიქრებელ უმოქმედობას და თითქმის ლომობერებასაც კი იჩენდნენ იმათ მიმართ, ვის წინააღმდეგაც მახვილის აღმართვა ევალეზობდათ. ჭუთასის ციხისთავმა მამედალი კიკიანმა იმერთა მეფის ელჩს გიორგი წულუყიძეს, რომელიც ფაშას თავისივე თხოვნით ეწვია და „ბედნიერი სულთანის ფერხთა მტვერ“ სოლომონის მორჩილების წიგნი მიართვა, იმგვარი დიდებული დარბაზობა გაუმართა და იმდენი რამ დაჰპირდა, თითქოს ციტადელში მოხარკე მეფის ელჩების მაგიერ ვინმე დიდად მოსარიდებელი მეზობელი ხელმწიფის ელჩები სწვეოდნენ.

ამ თავბრუდამხვევი დახვედრით საკმაოდ შეცბუნებულ გიორგი წულუყიძეს კიკიანი-ფაშა ტყბილქართულად ესაუბრა, მიუხედავად იმისა, მუსულმანი იყო და შარიათი უკრძალავდა,

დარბაისელი სტუმრის სპატივეცემოდ ღვინოც კი შესვა და ორგული ქვეშევრდომებისაგან ქვეყნის გამომხსნელ სოლომონთან თავადს ძმური მოკითხვა და მალე ნახვის ნატვრა დააბარა.

თითქმის წინდაწინვე მოლაპარაკებულან და პირი შეუტარავთო, ასევე მოიქცნენ ხრესლის, შორაპნის, ცუცხვათისა და ბაღდაღის ციხისთავებიც. თხმელისციხის მოურავმა ფაშა უსენიშა, მას შემდეგ, რაც ზურაბ მიქელაძე და მისი ვაჟიშვილები მეფური საბოძერით აავსო, ასე გასინჯეთ, არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძის მიერ დატუსაღებული და ბაღდაღს გასაყიდად გარეკილი სასახლის მოახლეებიც კი გაათავისუფლა და შინ მშვიდობით დაბრუნების მოწყალე ნება დართო.

ექვი არ იყო, აგარიანი მეციხოვნეები დაეფრთხო სოლომონის ცუცხლითა და მახვილით მოსვლას თავის საბრძანებელში. შემოდგომის წვიმები და მოახლოებული ზამთარი ხელს უშლიდა ახალციხიდან მასველი ჯარის შემოყვანას. ღმერთი რომ გამოწყარლიყო და მტრის იოლი დამარცხებით გათამამებულ სოლომონს ოსმალთა გარნიზონების ამოღულტა ეფიქრა, თავისი ჭარბი ძალებით ის კიდევაც შესძლებდა ამას და შემოდგომაზე მოჭრილი თავი ჭლაკვი ხომ არ იყო, გაზაფხულზე, როდესაც იმერეთში ახალი მარბიელი ლაშქარი შემოვიდოდა, ხელახლა ამოეყარა! ამიტომაც ციხისთავები უკიდურეს სიფრთხილეს იჩენდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, აიცი ბაშთა ახალგაზრდა ბატონი არაფრით ვაეჯავრებინათ და გაზაფხულამდე როგორმე დრო მოეგათ.

იქნებ თვით ოსმალებს უჭირდა, ევროპის ძლიერი ხელმწიფეები სულთნის ტახტს აზანხარებდნენ და მტრის ბრჭყალებიდან თავის გამოსახსნელად სოლომონი ძვირფას დროს ჰკარგავდა? ავი ევროპაში დიდი სისხლისღვრისათვის ემზადებიან, ბალკანეთში არეულობა და ჯერ კიდევ არაფერ იცის, ვინ ვის წინააღმდეგ იომებსო? თუ მართლა ასე

იყო, წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. სოლომონს ქედზე კაცი უნდა გამოეყვანა, ყველა ერთგუდ დაუპირში თანამდგომი საღმრთო მოციქულთაგან თავად მოეხმო და ოსმალთა უმთავრეს დასაყრდენ კერებს — ციხეებს კვეთებოდა. გადაწყვეტილი იყო, უკლებლივ ყველა ციხე ძირფესვიანად დაეწვრიათ და მიწასთან გაესწორებინათ. რათა შემდგომ, თუკი ოსმალო კვლავ შესძლებდა იმერთა შევიწროებას, ისევ ციხეებში არ გამაგრებულიყო და იქ სამუდამოდ ფეხი არ მოეკიდებინა. მაგრამ ვიდრე მტერს შეებოდა, სისხლრომ ტყუილად არ დათხულებულიყო და ქვეყნისათვის თავზე ახალი უბედურება არ დაეტეხა, მეფეს ჯერ დანამდვილებით და სარწმუნოდ უნდა შეეტყო, როგორი ამინდი იდგა ბოსფორის სრუტის გაღმა-გამოღმა და მხოლოდ ამის კვალობაზე ემოქმედა. ფაშა მაჯი-ამაღთან მიჩენილ მსტოვარს დღეს დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლო. მეფემ გულში ჩაითქვა, ნატრია საქურისი თავის კარავში მოეყვანებინა, რაიც საცოდავი უსახლკარო ბიჭისათვის კუბოს ფიცრამდე დასამახსოვრებელი უზუნაესი წყალობა იქნებოდა, და ეგზომ სახიფათო დაეაღება მისთვის პირადად მიეცა.

თამაზა მესხი მიხვდა: სანამუსო სიტყვა-პასუხი დასრულდა, და კარავში თავმეყრილი დიდებულები და სარდლები, თვით მეფე-ბატონთან ერთად, ახლა მის მიერ ჩხერის ციხიდან მოტანილი ახალი ამბების შეტყობას მოელოდნენ.

რუსეთის დიდებული ხელმწიფის რა უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი კაპიტანი ლვოვი? რა სასურველი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მასთან მოლაპარაკებას? ძალუძდა თუ არა კაპიტან ლვოვს, უკეთეს მოლაპარაკების დროს ორმხრივ თანხმობას მიღწევდნენ, თავისი ხელმწიფე-იმპერატორის სახელით დაუყოვნებლივ გამოეწყვდინა დამხმარე ხელი და განსაცდელში

მყოფ იმერეთს ჯარით თუ არა, ფუ-  
ლით მაინც დახმარებოდა?

ერთი და უმთავრესი რამ ყველასა-  
თვის დღესავით ნათელი იყო: ისევ,  
როგორც ქართლისა და კახეთის საქე-  
ფოებს, ყოველის მხრივ მოსისხლე  
მტრებით გარსემორტყმულ იმერეთს  
ერთმორწმუნე რუსეთს იქით ვა არა  
ჰქონდა. რუსეთს, მხოლოდ და მარტო-  
ოდენ რუსეთს შეეძლო მისი ხსნა,  
ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა-  
წყლისა და ტახტის გადარჩენა.

მაგრამ რა აზრზე იდგა თვით რუსე-  
თი? იმ არეულ ვითარებაში, რომელიც  
ღვთისმშობლით ბალკანეთის ნახევარ-  
კუნძულზე და მთელს ევროპაში სუ-  
ფევდა, შესძლებდა ან მოინდომებდა კი  
ურჩულო ავარიანთა კირთებისაგან  
ერთმორწმუნე საქართველოს და, კერ-  
ძოდ, იმერეთის დაცვა და მფარვე-  
ლობას? თუ ეს სურდა, შეეძლო და ძა-  
ლა შესწევდა ქადილისა, იმერეთი,  
იციცხლე, ხელეხს გაიხსნიდა, ოდიშსა  
და გურიას გვერდში ამოიყენებდა,  
ღმერთს ახსენებდა და წინაპართა ოფ-  
ლითა და სისხლით მორწყულ თავის  
მიწას ყოველგვარი უწმინდურობისა-  
გან გასწმენდა. ვაითუ მეზობელი დი-  
დი ქვეყნების ათასგვარ წინააღმდეგო-  
ვნებში ვახლართულ რუსეთს გულშე-  
სულ სხვა განზრახვა ედო? მაშინ ყვე-  
ლა მომავალი ომი შემოსეულ და შიგ  
საკუთარ სახლში საშვილიშვილოდ და-  
მკვიდრებულ მტერთან სოლომონს წი-  
ნასწარვე წაგებულად უნდა ჩაეთვალა  
და, სურდა თუ არა, უღმობელი ბედის  
ვანაჩენს დამორჩილებოდა.

მეფის სალაშქრო ბანაკში დაბარე-  
ბულმა თამაზა მესხმა რუსთებლმწიფის  
საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლეოვს  
ხარაგაულშივე გამოასწრო და განზრახ  
დაწინაურდა. მალემსარბოლების პი-  
რით, რომლებიც სოლომონმა არგვეთს  
მოსვლისთანავე აფრინა, მეფე ჩხერის  
ციხეში მყოფ თამაზას ატყობინებდა,  
საქმე ისე მოაწყე, მცველი რაზმის მანდ  
მოსვლისთანავე უცხო კაცი გრძელი  
გზით გამოეშვი, თავად კი მოკლებე

გვეახელი და, ვიდრე ჩრდილოელ სტუ-  
მარს პირისპირ შევეყრებოდეთ, წინას-  
წარ შეგვატყობინე, დიდი თეთრი ხელ-  
მწიფის, ერთმორწმუნე ბელადანდრე  
პეტრეს ასულის ელჩი აქ რა განზრახ-  
სით და რა პირობის ჩამოსართმევად  
მოსულაო.

სოლომონის ამ სურვილისა და  
ბრძანების შესრულება თამაზას არ  
ჰასტიკვებია. ცოტაოდენი ყოყმანის შე-  
მდეგ ლეოვს პირდაპირ ჰკადრა: თუ სა-  
წყენად არ დაგრჩებათ, მე დაწინაურ-  
დება, მის სიმაღლე იმერთა მეფეს  
თქვენს აღმატებულებასთან შესახვედ-  
რად შეგაზადებო და, როგორც კი ელ-  
ჩის უყოყმანო თანხმობა მიიღო, ერ-  
თადერთი ნატრია საქურისი გამოიყო-  
ლა და უმაღლე აქეთ გამოქუსლა. ლეო-  
ვი და მისი თანმხლებნი საქარავნო  
ვზას შორაპნისაკენ გაჰყვებოდნენ, საი-  
დანაც დიდი საქარავნო გზითვე აქეთ,  
სვერის ციხისაკენ გამოემართებოდ-  
ნენ.

გარდა ორმოციოდე ქართლელი მხე-  
დრისა, რუსთებლმწიფის ელჩს ქართ-  
ლის მეფე თეიმურაზმა ლიხს აქეთაც  
რომ აახლა, ლეოვს თქვესმეტი დასა-  
პალნებელი ცხენი და ამდენივე ჩარ-  
დახიანი ურმი მოსდევდა. ეს უთუოდ  
ელჩის ზაზინა და რუსეთის დიდი ხელ-  
მწიფე-იმპერატორის ძღვენი იყო, რო-  
მელსაც იგი, ოღითგანვე დადგენილი  
აღათისამებრ, იმერთა ბატონს უგზავ-  
ნიდა.

თამაზას სიტყვით, კაპიტანი ლეოვი  
გამედული, უშიშარი, მიუხედავად ახა-  
ლგაზრდობისა, მრავალი ლაშქრობის  
მონაწილე, ფრიად განსწავლული და  
დარბაისელი კაცი ჩანდა. საქართვე-  
ლოს, აქაურ ბუნებასა და ხალხის ზნე-  
ჩვეულებებს ასე თუ ისე გასცნობოდა,  
ცოტათი ქართულსაც ამტკრედა და,  
მართალია, დიდი ვაჭირებით, მაგრამ  
თავისი აზრის გაგებინება შეეძლო.

კარავში მყოფმა დიდებულებმა ერ-  
თმანეთს გადახედეს, მერე ყველამ ერ-  
თად მეფეს შეხედა. ეს კარგი ნიშანი  
იყო. ის ამბავი, რომ საქართველოში

მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად ჩამოსული რუსი დიპლომატი ქართულს სწავლობდა და ქართველ მეფე-მთავრებთან მათსავე მშობლიურ ენაზე საუბარს ესწრაფვოდა, ამჟამად ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთის მუსულმანურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის უუკუღმართ ზნეჩვეულებებს. ქართველების ენას, იმ ქართველებისა, სულ რამდენიმე საუკუნის წინ ნიკოპოლიდან დარუბანდამდე გადაჭიმული უძლიერესი სახელმწიფო რომ ჰქონდათ და საქრისტიანოს ყველა მტერს თავზარსა სცემდნენ, ენად არ თვლიდნენ და ყველა მოლაპარაკებას თავთავიანთ ენაზე, ან თარჯიმნის პირით წარმატავდნენ.

„ეს ლეოვი ან ღვთის მოვლენილი ანგელოზია, ან ვაიძვერა და ავაზაკი! — ფიქრობდა სოლომონი და თამაზა მესხის ყოველი სიტყვის აზრს ჩაიკრიშნა მალეველი აკვირდებოდა. — ჩვენი გულის მოგება განუზრახავს. ჩანს, მართლაც გონიერი კაცია და უკვე მიმხვდარა, რანიც ვართ: ცოტაზე ავიღბილდებით, უფრო ცოტა კი მოსისხლე მტერსაც მოყვარედ მიგვადებინებს! მაშ, რატომ უნდა გვიკვირდეს და რისთვის უნდა გვიხაროდეს, თუ გადათივლმა კაცმა ორიოდე ღერი ქართული ისწავლა, განა ჩვენ კი არა გვყავს უცხოთა ენებზე მოლაპარაკენი?“

თამაზა ბევრს ცდილიყო, ბევრი ეტრიალა თვით კაპიტან ლეოვისა და მისი თანმხლები პირების გარშემო, მაგრამ იმაზე მეტი ვერაფერი შეეცყო, რის გამხელაც თვით ელჩს არა სწადდა. სოლომონ მეფის გამოგზავნილ კაცს, თამაზა მესხს, ელჩმა უბოდიშოდ აგრძნობინა, ჩემი დიდებული ზელმწიფისა და საგარეო საქმეთა კოლეგიის დანაბარებს მხოლოდ იმერთა ბატონს გადავცემ, ვინაიდან საქმე, რისთვისაც საქართველოში ჩამოვედი, ფრიად საიდუმლოა და დრომდე მისი ვახშაურება არამც და არამც არ ეგებათ.

თამაზა მესხზე მეტ წარმატებას ჩხერის ციხეში თვით ბატონიშვილმა,

გენათელმა მიტროპოლიტმა მოსებმაც ვერ მიაღწია. ყოვლად სამღვდელთა მხოლოდ ის შესძლო, რომ რუსეთის ელჩი იმერთა ბატონისადმი კეთილად განაწყობა და მისდამი სრული ნდობა ჩაუხერგა. მცირე და იოლად მისაღწევი საქმე არც ეს იყო. რუსეთის მეფეთა წარმოგზავნილი იმერთა მეფეთა ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ და მათ რატომღაც სულთნის მოსყიდულებად თვლიდნენ, რაც ისე იყო შორს სიმართლისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. თუ კაპიტანი ლეოვი სოლომონს ამთავითვე ნდობით მოეკიდებოდა და ეჭვის შავი აჩრდილი მოლაპარაკებას ხელს არ შეუშლიდა, ეს საქმეს დიდად გააადვილებდა.

თამაზამ გაბედა და თავისი ვარაუდი მეფესა და დიდებულებს მორიდებულად გაანდო. ამ ვარაუდის მიხედვით ისე გამოდიოდა, რომ ქრისტეს ჯვრის აღმსარებელი დიდი რუსეთი, რომელიც თავს სეღუჯეთაგან დამხობილი ღვთაებრივი ბიზანტიის შემეკიდრედ და საქმეების გამგრძელებლად თვლიდა, ურჯულო ოსმალებთან ომის ვასამართავად ემზადებოდა და ლეოვიც უთუოდ ქართველი — მეფე-მთავრების მიდრეკილების ვასაგებად და აქაური ნიადაგის მოსასინჯავად ჩამოვიდა. გამოთქმული ვარაუდის დამადასტურებლად, თამაზასავე შეტყობით, თუნდ ის გარემოება კმაროდა, რომ რუსეთის იმპერატორის კაცი ოსმალების ხელდებულ იმერეთში ამჟამად მოდიოდა და სრულებითაც არ ნაღვლობდა, თუ რას იფიქრებდნენ ყოველივე ამის გამო კონსტანტინოპოლში, სადაც რუსის ელჩი კვლავ იჯდა და, როგორც ელჩის წესია, ბედნიერ სულთანს დიდი თეთრი ზელმწიფის კეთილმეზობლურ ზრახვებში არწმუნებდა.

მეფემ დიდებულთა კრებულს გადახედა და მზერა მხარმარცხნივ, ბატონიშვილ არჩილის გვერდით მჯდომებისკომის მაქსიმე აბაშიძეზე შეაჩერა. რის თქმა შეიძლებოდა? რას ამბობდნენ ამ შარახვეტია თამაზა მესხის

მეორე მოტანილი კულმოკვეცილი ცნობები და ვარაუდები?

სხვებთან ერთად, მის მეუფება ეპისკოპოს მაქსიმესაც ჩინებულად მოეხსენებოდა, რომ კაპიტანი ლეოვი, გამოცდილი რუსი დიპლომატი და ციხეთა გამაგრების ჩინებული მცოდნე, საქართველოში ახალი ჩამოსული არ იყო. ის და სოლომონი რომ ახალციხეს წავიდნენ, ფაშასთან, ლეოვი ყოზლარადან სწორედ იმხანად ჩამოვიდა, ჯერ თეიმურაზ მეფესთან დაჰყო ისნის სასახლეში, შემდეგ კახ-ბატონმა ერეკლემ თელავს გაიყოლა, ბოლოს, იქაურობა რომ სულ მოიარა და საგანგებო ფელდეგერის ხელით თავისი ხელმწიფის კარზე რამდენიმე უმოჩინოესი რელიცია გაგზავნა, პირი იმერეთისაკენ ჰქნა.

დანამდვილებით რისამე მტკიცება, რა განზრახვით მოიწვედა რუსეთი ლიხს აქეთ, დღესდღეობით შეუძლებელი იყო, ვიდრე ბატონი მეფე ელჩს თვით არ შეხვდებოდა და ადრე თუ გვიან გასაგებს თვით მისგან არ გაიგებდა. მაქსიმე აბაშიძე, რომელიც არასოდეს არ ჩქარობდა ხოლმე საბოლოო მსჯავრის გამოტანას, აქაც წინდახედულად მოიქცა. ცოტად თუ ბევრად, თამაზა მესხის წყენინებასაც მოერიდა, რაც უნდა იყოს, თამაზა ცოტას როდი ეცადა, ბატონისათვის ერთგულება დაემტკიცებინაო, და ეს თავისი მოსაზრება სწორედ ამგვარად ჩამოაყალიბა. ბოლოს, მოკლე სიტყვის დასასრულ, მაინც დასძინა: ჩვენ, მართალია, დიდი გაჭირვება გვადგია, ყოველ წუთს პირისისლიანი მტრის შემოსევას ველოდებით, მაგრამ ვინმელო არც სხვათა გაჭირვება და ხრიკები დაევიწყოთ, ბრძნული რუსული ანდაზა გვეუბნება, საკუთარი პერანგი ტანთან უფრო ახლოაო.

ვინ არ მიხვდებოდა, რომ ამ უკანასკნელი სიტყვებით ეპისკოპოსი ახალგაზრდა მეფეს აფრთხილებდა, კაპიტან ლეოვისადმი უნდობლობას ნართულად გამოთქვამდა.

— მადლობა მოგვიხსენებია, თქვე-

ნო მეუფებაც. — გულითად რომელიც გახვეული თავშეკავებული წყრომით მიმართა სოლომონმა მაქსიმე აბაშიძეს: აცალა, ვიდრე ის დაჯდებოდა და სამართოდ იკითხა: — კიდევ ხომ არავინ ინებებს?

პასუხი არავინ გასცა. დიდებულთაგან შეუმჩნეველი არავის დარჩენია: მეფე მაქსიმე აბაშიძის შეუფერადებელ ნათქვამს აემღვრია და ამ დროს მასთან შესიტყვებას პირდაპირი ლომის ხახაში ჩავარდნა ჯობდა.

სოლომონმა ცოტა ხანს კიდევ მოიკადა, ამას უფრო ზრდილობის გულისათვის სჩადიოდა, ფეხზე წამოდგა და კუშტად დაიწყო:

— დიდებულნო, ნება მიბოძეთ, ბატონ თამაზ მესხს მადლობა ვუთხრა ტახტის ერთგული სამსახურისათვის! — შემდეგ შუა ბოძთან მიმჯდარ კარის მდივანს მიუბრუნდა. — ებოძოს თამაზს აბაშიძის ჩამონართმევი სამი ყმა-გლეხი სოფელი კვაჭიარში, ცოლ-შვილით, სახლ-კარით, მამულით, მთით და ბარით, საძებრით და უძებრით, გზით, წყაროთი და ეკლესია-სასაფლაოთი. თუ შენ, თამაზა, ჩვენი ერთგული და ჩვენი სიტყვისა და ბრძანების ყმა იყო, ეს ჩვენი ნაბოძები წყალობის წიგნი აროდეს მოგეშალოს!..

თამაზა მუხლებზე დაეცა. ჯილდო იმდენად მოულოდნელი იყო და მეფის წყალობამ ისერიგად გაახარა, რომ მას პირში ნერწყვი გაუშრა და მადლობის მაგიერ რაღაც გაურკვეველი სიტყვები წაიღულღულა.

სოლომონმა, თითქოს ისევ კარის მდივანს კარნახობსო, იმავე გაქვევებულ სიხით, კუშტად განაგრძო:

— ჩვენ და ჩვენს დარბაზის ერს, რამდენადაც მე ვიცი, რუსეთის დიდი ხელმწიფე-იმპერატორის, ელისაბედ პეტრეს ასულის, ელჩთან მოლაპარაკება მესხისათვის არ დაგვიცისრებია. მეტს ნუ მოვთხოვთ. ეს არ გახლდათ მისი მოვალეობა. გვონებ ასეა, ბატონო თამაზ?

ბედნიერებისაგან ფრთებშესხმულ-

მა თამაზა მესხმა, მწყალობელი მეფე აქეთ მხმარებათ, ძლივს ენა ამოიდგა, სოლომონის წინაშე რუსის კაპრალივით გამოიგვიბა.

— დიან, მაგრე გახლავთ, ბატონო, თქვენო სიმაღლევს..

— ახლა მისმინეთ! — სოლომონი ოდნავ შებრუნდა, თამაზას აქ ყოფნა თითქოს კიდევაც დაეიწყა. — ერთ-მორწმუნე რუსეთი, ყველამ იცოდეს. ჩვენი კეთილისმდომელი მეგობარი და თანამდგომია. იმ შავი დღის შემდგარაც ბიზანტიონი მოიშალა და წმიდა კონსტანტინეს ქალაქს ურჯულო აგარაინი დაეპატრონა, ქართველობას სხვა აღარავინ დაგვრჩა, ვისაც შეგვიძლია საკუთარი ბედი და მომავალი მივანდოთ. მამა-პაპის ანდერძიც ეს არის და ამიერიდან ყველას მოეხსენებოდეს: ჩვენც ამ აზრზე ვდგავართ! ამ აზრს. ღმერთმა ჩავვაგონა თუ კაცმა, სანამ ცოცხალი ვართ და პირჯვარს წაღმა ვიწერთ, ვერავინ შეგვაცვლევინებს! — თქვა ეს სოლომონმა და სულ ერთი წამით მაქსიმე აბაშიძეს შეხედა. ეტყობოდა, ვერ ეპატიებინა მცირედი წიბურტიცი კი, რომლის უფლებაც ებისკოპოსმა წელან თავის თავს მისცა. — ვინც ამ საქმეში ნებით ან უნებლიეთ წინ აღვიდგება, ვფიცავ წმიდა სამებას, — მეფემ ხელა აღმართა და მისი ყოველი სიტყვა ბასრი და უღმობელი გახდა. — ისე მოვექცევი, როგორც ტყვისმსყიდველს და ქვეყნისა და ტახტის მოლატესს! — სოლომონი შეჩერდა, საძალიხვეის შორეულ ღმუღის, თითქოს ქვესკნელიდან რომ ამოდიოდა, ყური მიუგდო და უცებ დაასრულა:

ლა: — დღეის ამას იქითა შეწყდეს ამაზე დავა და ლაპარაკი..

მეფის მოკლე და მკვეთრმა სიტყვებმა ყველა დამსწრეზე წარუშლელმა მთაბეჭდილება მოახდინა. დიდებულები ერთხანს ხმაგაცმენდილი იდგნენ და სოლომონს მისჩერებოდნენ, ბოლოს კი, როცა შეატყო, ჩემს ვარდა არაეინ არაფერს ამბობსო, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე შესამოსელის შარიშვრით წინ წამოიდა, გულზე დაკიდებული ჭვარი შეისწორა და ბატონს კრძალვით ჰკადრა:

— მაგრამ, თქვენო უმაღლესობავ, ჩვენი ღირსება ვგონებ არ უნდა დავკარგოთ განა არ გვეყო, რაც... — მას სუნთქვა აუჩქარდა და სიტყვა უადვილო აღვილას გაუწყდა. — ხელმწიფეთა საზავო მოლაპარაკება, ჩემგან არ გესწავლებათ, ვაჭრობას მიავაგეს. ნუ გამირისხდებით, თუ ეს უბადრუკი შედარება გავისხენე, ერთი ყიღის, მეორე — ყიდულობს. როდი გვაწყენს, მეფევ, თუ ვასასყიდს ძვირად გავყიდიოთ და საყიდელს იათად შევიძენთ...

ეს უკვე შერიგებას მოასწავებდა. ეპისკოპოსმა რამდენიმე წუთის წინ გამოთქმული თავისი მოსაზრება განმარტა, დააზუსტა და აწით ყოველივე ისევე თავის ადგილზე დადგა. სოლომონს ძლივს შესამჩნევმა სიწითლემ გადაუარა შუბლსა და ღაწვებზე. მიხედა, ზედმეტი მოუვიდა. აშკარა უკანდახევა ახლა შეუფერებლად ჩათვალა და უხერხულობა რომ რითიმე დაეფარა, ბჭობა დამთავრებულად გამოაცხადა, კარის მღვიან-მწიგნობრის პირით ნიკოლოზა ნაფიჩვაძე მოიხმო და, ყველა რომ გაიკრიფა, კარავში ნატრია საჭურისი შემოაყვანინა.

### თავი ოცდამეხუთე

რაკი რუსთხელმწიფის ელჩთან შეხვედრის დრო და ადგილი უკვე დათქმული იყო, პირადად სოლომონის განკარგულებით, ხოტევის ციხის პატრონ-

მა გიორგი წულუკიძემ მალე მსრბოლი გაგზავნა ვარციხეს, სადაც იმერ-აფხაზ-ოდიშართა გაერთიანებული ლაშქრის რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი



რამილა იღვა და შეხვედრაზე დასასწრებად დედოფალთ-დედოფალი მარია, მისი ძმა დადიანის ძე კაცია და აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე მოიწვია.

ელთან პირველ მოლაპარაკებაში ვინმე გარეშე პირის, თვით ტახტის ერთგული დედებულების, მით უფრო ახალ დანათესავებულ კაციისა და ხუტუნისა მოწაწილეობა სასურველი არ იქნებოდა. ამიტომაც მალე მსრბოლი იმ ანგარიშით გაისტუმრეს, რომ კაცია დადიანის ძესა და აფხაზეთის მთავრის შვილ ხუტუნია შერვაშიძეს სვერის ციხეში მოსვლა ერთი დღით მაინც შეგვიანებოდათ: ავად იქნებოდა თუ კარგად, მეფე ამასობაში კაპიტან ლვოვთან განმარტობას დაუბრკოლებლოვ შესძლებდა და წინასწარ შეთანხმებასაც მოასწრებდა.

სოლომონს, უწინარეს ყოვლისა, სურდა, ელჩისათვის, ხოლო ელჩის მეშვეობით რუსეთის სამეფო კარისათვის ჩავგონებინა, რომ ოდიშიც და გურიაც, რომლებსაც ეს ერთი ხანია, მთავრები — დადიანი და გურიელი ფლობდნენ, იმერთა მეფის საბატონოს განუყოფელი ნაწილი იყო და რომ მოლაპარაკებისა და რაიმე გადაწყვეტილების მიღების ეამს ეს გარემოება უსიკვდილოდ უნდა გაეთვალისწინებინათ.

ადრე იქნებოდა თუ გვიან, როდესაც დიდი და ძლიერი ერთმორწმუნე თანამდგომის — რუსეთის დახმარებითა და ხელის შეწყობით მეფე მუხლს მოიმაგრებდა, რა თქმა უნდა, ქვეყნის გაერთიანებისათვის იზრუნებდა და თავის განმდგარ ქვეშევრდომთ — დადიანსა და გურიელს — ნებით თუ არა, ძალით მაინც დაიყვამბოდა. ქვეყნის გაერთიანებლად ხელისუფლების განმტკიცებასა და ურჯულო აგარიანთა ალაგმევაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. არა ერთჯერ ნაცადი იარაღის — შინაგანი უთანხმოების ჩამოგდების საშუალებით, მტერი ყოველთვის მოახერხებდა დაშორიშორებულ მოძმეთა ცალ-ცალკე დამარცხებას, ეს კი თვით რუსეთის-  
8. „მთაბი“, № 6.

თვისაც არ გამოდგებოდა ხელსაყრელი: თავის სამხრეთ საზღვარზე მკაცრსავე ვიწველია, ურჯულო მტრისაგან მორჩეული სუსტი ქვეყნის მაგიერ, ძლიერი ერთმორწმუნე მეზობლის ყოლა ერთხია.

იმერეთის სამეფოს გაერთიანება და ყველა მისი სამთავროს ტახტისადმი დაქვემდებარება, კაცმა რომ თქვას, უკვე დაწყებული იყო. ლევან აბაშიძის ძველთაძველი საბატონოს მოშლით, სკანდის, მაჭუტაურის, ნავარძეთის და სვერის ციხეებში, აგრეთვე ჰალატყის კომუკებში მარგველთა მეციხოვნე ჯარის ნაცვლად მეფის მოლაშქრეთა ჩაყენებით და მთელი არგვეთის სახასოდ გამოცხადებით, საძირკველი ეყრებოდა იმერთა ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, რომლის სათავეში თვით მეფე, დარბაზის ერი და ქვეყნის წიაღში ღრმად განტოტვილი საოხელეო უწყება დადგებოდა.

სოლომონი არ ჩქარობდა, აღარც ჩვეულ გულახდილობას იჩენდა, თვით სათაყვანებელი ძმების, იასესა და არჩილის, მიმართაც კი თავშეკავებული და ანგარიშიანი ვახდა. ყოველ სიტყვას წონიდა, ყოველ სათქმელს ათასჯერ ჩითავდა გულში. მან კარგად იცოდა, რომ ზედმეტი აჩქარებითა და თავისი ზრახვების უძროო გამჟღავნებით შეეძლო ერთგულნი ორგულებად ექცია და გუშინდელი თანამებრძოლნი თავისივე დაუკვირებელი მოქმედებით ღალატის გზაზე დაეყენებინა.

არგვეთის ბატონ აბაშიძეთა სახლის დამდაბლებით მეფემ საშუალოდ მოიგო წერეთლების გული, მაგრამ სოლომონი გრძნობდა, რომ ორივე ძმა, პაპუნაცა და ქაინოსროც, თავიანთ ერთგულ სამსახურს ძვირად უსვამდნენ და მისგან, მეფისაგან, უფრო მეტ წყალობას მოელოდნენ. ეს წყალობა, რასაკვირველია, რაჭის ერისთავსა და წერეთლებს შორის ატეხილი დავის ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყვეტა იყო.

მემკვიდრეობის ჩახლართულ ამბებში აქ კაცი ადვილად ვერ გაერკვეოდი.

აცო დრო, როცა იმ კუთხის დიდი ნაწილი, რომელსაც ამჟამად წერეთლები ფლობდნენ, რაჭის საერისთავოში შედიოდა. ავი ბაღვაშთა შთამომავალმა ერისთავმა კახაბერმა მღვიმეში, ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, თავისი სულის საოხად დედათა მონასტერი ააშენა, მაგრამ მას აქეთ ქვეყანა ბევრჯერ გადაბრუნდა, რაჭის საერისთავოც ორჯერ გაუქმდა, მერე ისევ აღდგა და ძველი ყმა-მამულიც ახალი კანონიერ მფლობელის ხელში გადავიდა.

როსტომ რაჭის ერისთავი და მისი მგელაკა ვაჟიშვილები, როგორც გუშინ, ისევე დღესაც, რაღა თქმა უნდა, სოლომონის წინააღმდეგ კბილებს იღესავენ და გულით უგზოუკვლოდ გადაკარგულ ლევან აბაშიძესა და სხვა შეთქმულთ თანაუგრძობდნენ. მათი საქციელის განსჯისას მეფეს შიშაც მეტი დაკვირვება და წინდახედულება მართებდა.

საქმე რომ საქმეზე მიმდგარიყო და ურჩი ქვეშევრდომებისათვის სოლომონს პასუხი მოეთხოვა, როსტომი საკუთარ ქალარასაც არ მოერიდებოდა და ურცხვად თავს გაიძარტლებდა: როდის მომხდარა, ღმერთო კი მომკალი, ან მე ან ჩემს შვილებს მეფის წინააღმდეგ იარაღი აღგვემართოსო.

მართლაც! დღენიადავ ტახტის ორგულთა ბანაკში მყოფი როსტომი ბოლო წუთს, როცა გამარჯვების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, მუდამ ფეხს ითარეუდა, ათას რასმე იმიზნებდა, უკან დგებოდა და ქარტაშიდან ხმალს იშვიათად თუ ამოიღებდა. ერისთავი ამჯერადაც ასე მოიქცა და, თუმცა თავისი ნუთი ათასიანი ლაშქრით ნაქერალაზე იდგა და თავისუფლად შეეძლო, რიონზე გადმოივალ იმერ-აფხაზ-ოდიშართა ლაშქრისათვის ზურგში ვერაგულად მახვილი ჩაეცა, ადგილიდან ფეხიც არ მოუკვლია. თუ არგვეთის ბატონი ივაკაცებდა და მომხდურ მტერს მდგარად დაუხვდებოდა, ერისთავიც იღარ დააყოვნებდა ომში ჩარევას, ახლა კი მან ომს ნაქერალაზე უმოქმედოდ დგო-

მა ამჯობინა და, ნებით თუ უნებლეთ, სოლომონს ლევანისა და გიორგი ბატონიშვილის შემუსვრის საშუალება მისცა.

ყოველივე ეს სოლომონმა კარგად იცოდა. იცოდა ისიც, რომ როსტომი ამჟამად შინ, ბარაკონზე იჯდა და გაფაციცებული ცხებებს ამჯერებდა. ალი ენგიჩარს დიდი სამუშაო გამოუჩნდა: კარის გამოშველნი და ქვეთხუროები ერთი ციხიდან მეორეში გადააქაჯდა. იქვე ზურზუტებდა ერისთავის მძახალი მამუკა ბატონიშვილიც, თუ, რასაკვირველია, ბოლო დროს ადგილსამყოფელი არ შეიცვალა და თავის შესაბრალებლად და მეფესთან შესარიგებლად ცოლისძმა ოტია დავიანს არ მიაშურა. ამისთანა დროს ყოველის მხრიდან მიუდგომელ რაჭაში შეჭრა და ერისთავის დასჯის მიზნით იქაურობის აყლუბა არცთუ ადვილი საქმე იყო. გულფიცხ და შურისმაძიებელ ქაიხოსრო წერეთელს სულ ტყუილად ეგონა, რომ მიუვალ კლდეკარებში მარბიელი ჯართურთ სულ ადვილად შეაღწევდა და შფოთისთავ როსტომ ერისთავს მეფეს მხარგავრულს მოპვერიდა.

სოლომონი დღეს თვალთმაქცობის გზას ადგა. წერეთლებისა და სხვა სარდლების გასაოცრად, არც რაჭაზე დაუყოვნებლივი გალაშქრების ნებას იძლეოდა და არც ერთველ ყმებს, პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლებს უწურავდა ერისთავის სათანადოდ დასჯის იმედს. პირიქით, არწმუნებდა, ხელს მოეწყობთუ არა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ჯარს დავძრავ და ჯრუჭულის ხეობაში როსტომისაგან წართმეულ ცხებებსა და ყმა-მამულს დავბრუნებთო. მაგრამ როდის? სოლომონი მშვიდობიან გამოსავალს ეძებდა. მას ისე უნდოდა მოეწყო საქმე, რომ ერთი ქამანდით ორი კურღლევი დაეჭირა — არც წერეთლები გაენაწყენებინა და, თუკი ოდესმე შემოირიგებდა და ლალატს შეუნდობდა, არც როსტომ რაჭის ერისთავისათვის მიეცა უკმაყოფილების საბაბი.

მიახენს ერთადერთ გამოსავალს,

რომელიც ძმამ, გენათელმა მიტროპოლიტმა იოსებმა უკარნახა შეფეს. სოლომონიც ღრმად უფიქრდებოდა იასეს მიერ მოწოდებულ გონივრულ რჩევას.

“იოსების გეგმა ასეთი იყო: საგანგებო ბრძანებულებით შეფეს ჯერ მომხელური მტრისაგან იავარკმნილი, ხოლო შემდეგ მეზობელი თავადებისაგან შევიწროებული ჯარების მონასტერი უნდა აღედგინა, ძველებურად შეემკო, შიშინაობის დროს აქედან გახილული ყველა წიგნი, სიგელ-გუჯარი და ძვირფასეულობა უკლებლივ დაებრუნებინა და ამასთან ერთად ყველა სახნავ-სათესი, საბაღე და სავენახე მიწა, სათიბები-თა და ტყითურთ, მისთვისვე გადაეცა. გლეხობა სიხარულით მიამშურებდა მონასტრის წიალს, ოღონდ კი, მოქიშპე ბატონების ყმობისაგან როგორმე თავი გამოეხსნა ამით ორ საქმეს ერთდროულად ეშველებოდა: მონასტერიც ფეხზე დადგებოდა, ღვთისა და ერის სარგოს სამსახურს განაახლებდა და ერისთავი და წერეთლებიც პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდნენ: ვერც ერთი მხარე ვერ გაბედავდა მეფის გადაწყვეტილების შესრულებას წინ აღდგომოდა და მონასტრის კუთვნილი ყმა-მამული აღრინდებულად დაეჩემებინა.

„სხვა გზა ნამდვილად არა ჩანს, ჩემი ძმა მართლაც ბრძნულ რჩევას მამლევს და არა ღირს მისი გაწვილება, მოხდეს ისე, როგორც მიჩნია, — ფიქრობდა სოლომონი, — ოღონდ აჩქარება არც აქ გამოგვადგება. ერისთავმა და წერეთლებმა არ უნდა იფიქრონ, რომ ეს მარჯვე ფანდია, რომ მე ჭკუაში ვაჭობე და გონება მახვილური ხრიკი მოვიკონე! ჯერ სამღვდელთა უნდა შევეკრიბოთ, ავაზაკთა საბუდრად ქვეული გვლესია ფეხზე წამოვაყენოთ და, როცა სხვა მონასტრებს შევეწვევით, მაშინ ჯარებისადმი ჩვენი უფრადლებაც ჩვეულებრივ ამაღლ გამოჩნდება“.

რუსთველშიფის ელჩის მოსათავსებლად კარავი შიგ ციხეში დადგეს და კაცის ღვეანისეული სასახლიდან მოტანილი ძვირფასი სპარსული ხალიჩე-

ბით მოაფინეს. სამზადისს თვით ციხის მოურავი ხოსია კლდიაშვილი მოთავსებულა. გუშინ ის ციხის ჩრდილო-დასავლეთ კოშკში იჯდა, რომლის საფიქრები აბოძებულ საძალიხევეს გადაყურებდნენ და საგონებელში ჩავარდნილი იმას ფიქრობდა, ამ ერთი მუტა მეციხოვნეებით ყოველის მხრიდან შემომდგარი წერეთლების მოალყე ჯარი როგორ მოვიგერიოთ, დღეს კი ბედი ისე შემობრუნდა, რომ სოლომონმა მოწყალეობა მოიღო, ხოსიას არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძის მხარეზე ომი დიდსულოვნად აპატია, ციხის მოურავის სახელო შეუნარჩუნა და უღირსად პატივსაცემი სტუმრების საკადრისი ნაღიმის გამართვაც მას მიანდო. ხოსია ცას ეწია, მიწაზე დაეშხო და შეფეს, მის შვილსა და გასაგისს უკუნიით უკუნისამდე ერთგულება შეჰპიცა. ასევე შეუნდეს ურჩობა შიმშილისა და წყურვილისაგან გასაჯავებულ მეციხოვნეებსაც. ყველა მეფის ერთგულებაზე დააფიცეს და, თითქოს კიდევაც ამასხარავებნო, თავისი ბატონისადმი ერთგულების გამოჩენისათვის ვინ ჯავლაგი ცხენით, ვინ ჯორით, ვინ უნაგირითა და ვინ კიდევ გამოხატავალი ჩობახალუხითა და წულა-მესტეებით დაასაჩუქრეს.

მოწყალე მეფის გულკეთილობისა და სხვათა გაქირვებაში შესვლის ამბავი შორს გაეარდა და სოფლიდან სოფელს მოედო. უნდობლობის სიცივე გალხვა, ხალხმა თავი წამოჰყო. ორმოც წელს ახლანად გადაცილებულმა, პირხმელმა, შრომასა და ომში გამოჩვეულმა ღარიბმა ახნაურმა ხოსია კლდიაშვილმა, თუმცა თავადაც სხვა მეციხოვნეებზე ნაკლებ ნატანჯი, ნაშიშმილარი და ღონემიხილი არ იყო, მგლის მუხლი შეიბა და შეუძლებელის შეძლება მოინდომა. ამას ვინ ჭკუათმყოფელი იფიქრებდა, თუ მტერს ცოცხალი თავით უანებდებოდა და მეფეც; ქვეშეზღომათა ღალატით გამძვინვარებული და შურისძიების წყურვილით აღვისილი, ხელ-ფეხსა და თვალის სინათლეს შე-

რჩენდა! დილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ხოსია თავს აღარ იზოგავდა და აღარც სხვებს ზოგავდა. ახლომახლო სოფლების: ნიგოზეთის, მანდაეთის, ტყემლოვანას, გეზროულის, თვალუეთის, ცხრუევეთის, პერევისისა და გუნდაეთის მამასახლისები მოაგროვებდა, თითოეული კომლის გამოსაღები ხარჯი შე-

აწერდა, ყველას ყელი გამოუწია, დროზე მიღებდა-მოღვევით ახლა, იწამებდნენ ღმერთსა, არ დამადალატოთო, მათ დასახმარებლად გზირები და იასაულები დაგზავნა, მერე მთელი ზედა და ქვედა სვერი გამოიყვანა და ციხის ფერდობზე სახელდახელო გზის გაყვანა დაიწყო.

## თავი ოცდამეხუთე

ნაშუადღევს სოლომონი ციხეში გადავიდა და მისთვის განკუთვნილი სადგომი დაიკავა. სამხრობისას მალე-მსრბოლები მოიჭრნენ სკინდორის მხრიდან. ციხის კართან მათ მეფის ძიძვილები, ციხის მოურავი ხოსია კლდიაშვილი და ასისთავი როსაფ მაქავარიანი მიეგებნენ.

რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლოვს და მის ამაღას გზაში, ჯოჯოფთთან, უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსი ბესარიონი, კათალიკოსის მხლებელი უმაღლესი საეკლესიო პირების კრებულს, დედოფალი მარიამი, მისი ძმა დადიანის ძე კაცია, მეგრელი დიდებულები და აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე დასწევდნენ და ახლა ყველა ერთად ციხეს უახლოვდებოდა.

მამ, არგვეთის ოღროზოღრო გზებზე ელჩმა ისე ნელა იარა, რომ არამკითხე შეამბენი დაეწინენ?

ეს რომ შეიტყო, სოლომონმა შუბლი შეიკრა, ამირიზა. უწინარეს ყოვლისა, ის არ ესიამოვნა, რომ თავის საბატონო ქვეყანაში სულ რამდენიმე დღის წინათ თვითნებურად მობრძანებული მარიამი დედოფლის შესაფერისებრანეს ვერ იჩენდა და გვირგვინოსან თანამეცხედარს უცხო სახელმწიფოს ელჩთან განმარტოების საშუალებას არ აძლევდა.

ამჯერად სოლომონი მართალი არ

იყო, მარიამ დედოფალს სულ ტყუილად ამტყუნებდა. გზაში ელჩთან შეხვედრა სრულიად შემთხვევით მოხდა და ამ საქმეში დანაშაული არავის, მათ შორის არც დედოფალს, არ მიუძღოდა.

მარიამმა აღრევე შენიშნა სათაკილო მოუსვენრობა თავის ძმას, კაციას. დღე ერთი იყო და ოდიშის ბატონის ძე დასოთხე-ხუთეტი მიაციტხავდა, შენი ქმრისა ხომ არაფერი გაგიგიაო. მარიამს თანდათან აღიზიანებდა საფიცარი ძმის მოუსვენრობაც და გულნამცეცობაც. აქაც და გორდშიაც, როგორც კი მარჯვე დროს ხელში ჩაიგდებდა, ის ყოველთვის ცდილობდა, ღმერთსაგან მირონცხებული გვირგვინოსანი სიძე მეუღლის წინაშე დაემკირებინა, თავის ტოლად და სწორად, შესაძლოა, კიდევ უფრო დამდაბლებულადაც წარმოესახა. მარიამი დიდსულოვნად ითმენდა. ქალს კარგად ესმოდა, რომ მის ერთ დაუკვირვებელ სიტყვას სიძე-ცოლის ძმას შორის სამუდამო შუღლისა და მტრობის ჩამოგდება ძალუძდა. მარიამს უანგაროდ და უანგარიზოდ უყვარდა თავისი ახალგაზრდა, ვაჟაკი, გულჩათხრობილი, ცხოვრებაში ბევრი ჭირის მნახველი ქმარი, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე ოდიშის მთავრის სიძე ვახდებოდა, უყვარდა და კიდევაც ებრალეობდა, მაგრამ არანაკლები სიფიცხით უყვარდა ძმაც, თავ-

ვისი ერთადერთი ქომაგი და დამტკიცებელი მამის შემდეგ, უყვარდა მთელი გულითა და იმ თავგამოდებით, როგორც მხოლოდ დებს შეუძლიათ თუნდაც ხელით სათრევი ძმის სიყვარული.

ლეთის განგებასა და საღ გონებას მინდობილი მარიამი დღედაღამ მხურვალედ ლოცულობდა და მაღალ ღმერთს თავისი ორი კერპის — ძმისა და მეფის სიციცხლეს, მათს თანხმობასა და ურთიერთსიყვარულს შესთხოვდა. მგრძობიარე და გამჭირავი ქალის გულს სწორედ ის სურდა, რაც დღითიდღე ხელიდან ეცლებოდა და ხვალ შეიძლება უღიდესი და საბედისწერო არჩევანის წინაშე აღმოჩენილიყო. ძმა თუ ქმარი? რომლისათვის მივეკრძა, რომლის მხარე დაეჭირა?

„მე მხოლოდ იმას ამოვუდგები გვერდში, ვის მხარეზედაც ღმერთი და სიმატლე იქნება!“ — ეს მერამდენედ არწმუნებდა თავს დედოფალი და ვერც კი ამჩნევდა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც სოლომონს მთლიანად დაეპყრო მთელი მისი ქალური არსება, რომ უკვე არ შეეძლო, მეფის საწინააღმდეგო ფიქრი გულში გაეტარებინა, რომ ყველა ტყუოდა, ვინც სოლომონს კრიტიკაში ედგა, ტყუოდა, რასაკვირველია, თვით კაციაც, რომელსაც სიძის წინააღმდეგ მხოლოდ შური და ვაკეკისათვის აგრერივად სამარცხვინო გულნამცეცობა ამოძრავებდა.

კაციას უაღრესად დიდი შეცდომა მოუვიდა. მან მხოლოდ იმერეთში მოსვლის შემდეგ შეიტყო, რომ ღვიძლ დას თურმე აქამდე არ იცნობდა. მარიამი სავსებით სხვა ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე კაციას აქამდე ეგონა და ამ აღმოჩენამ თავზარი დასცა. ჯერ იყო და, მასთან საქმიანი საუბარი არ მოისურვა, საკმარ უქმეხად შოუტრა, ჩემი მეუფისაგან მე ამისი უფლებამოსილება არ მიმიღიაო. შემდეგ, როცა კაციამ გაკვირება გამოთქვა და შეეცადა, დისათვის ვადავკრით შინც ეგრძობიინებინა, მე, შენმა მოყვარულმა ძმამ, და ჩვენთვის თავდადებულმა ბატონმა მა-

მამ შენთვის ყველაფერი მოვიმოქმედეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო, ახლა კი შენი ჯერიაო, მარიამი ადგა, თავის ტუთკილი მოიმიზნა და ბალში გაავრდოდა და ცეცხლზე გულეხებს კვლები გაეფხვიერებინათ და მიწას გორდიდან წამოღებულ უცხო ყვავილების თესლის დასათესავად ამზადებდნენ. კაცია მთლად გადაირია. როდი ეგონა, თუ მის ხელში გაზრდილი ეს ცხვირობოცხელი გოგო, მამისა და ძმის მეცადინეობით ახლა რომ იმერთა დედოფალთ-დედოფლად იწოდებოდა, ამდენს გაუბედავდა.

უსიამოვნო შელაპარაკების შემდეგ მარიამი გატრბოდა ძმასთან შეხვედრას, სეფე-ქალებს არ იცილებდა, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ კაციასთან მარტო არ დარჩენილიყო. კაციამ შინც იძალა, თავისი უკმაყოფილება რომ რითიმე დაედასტურებინა, დედოფალს კარის შწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი მიუგზავნა და, როგორც სრულიად უცხო ვინმემ, მიღება სთხოვა. მარიამს ახლა უკვე აღარ შეეძლო კაციასთან შეხვედრისათვის თავი აერიდებინა. მაგრამ მას თითქოს სულ სხვა კაცი ეწვია. მარიამმა ველარ იცნო თავისი ალერსიანი ძმა. სალიპარტიანოს ძლევაშოსილი ბატონი მამალი ინდაურივით გაფხორილი, ზედმეტად თავაზიანი და ცივი ეჩვენა.

— შეგრივდეთ, — უთხრა მარიამმა ძმას და ბეჭდიანი ხელი გაუწოდა. — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ ჩვენი კეთილისმყოფელი და სტუმარი ხარ. როგორ შეიძლება, სტუმარს რაიმე ვაწყენინოთ!

მარიამი შორს იტყრდა, ძმას, როგორც ვინმე უცხოს, თავისა და ქმრის სახელით ელაპარაკებოდა. კაციამ გამოწვილი ხელზე აკოცა, შემდეგ დედოფლის ხელი ხელიდან აღარ გაუშვია, მეგრულად უპასუხა:

— ნუთუ მე რაიმე მეწყინა? მარიამმა ხელი გამოართვა, ოდნავ, სულ ოდნავ გაიღია, ფარშევანგისა და და კიდევ რომელიდაც უცხო ფრინვე-

ლის ფრთებისაგან ნატიფად შეკერილი მარაო გაშალა და ძმას ქვემოდან გაპხენდა. ასე იცოდა ხოლმე ბალობაში, როცა უფროს ძმას ხელში რასმე უმაღლა და უსიტყვოდ ეხვეწებოდა, აბა, თუ გამოიცილობ, რა მაქვსო.

— თუ არაფერი გწყენია, მით უკეთესი! რასა იქ, ჩემო ძამიკო, ხომ არ მოიწყინე?

ბოლოზე მოსულმა გორიზმა კაცია მჭვედა ტურს კბილები დააბჯინა და ახლაც მგვრულად მიუგო:

— მასპინძლის სახლში ქალების ანაბარა დავრჩი!

სიძეს ისევ უკბინა, კვლავ რაღაც უნდოდა დაემატებინა, მაგრამ მარიამმა დაასწრო:

— ხანდახან, მოკალეობის ემას, ურიგო არც ვგ არის. გატყობ, გულში კიდევაც ვიხარია. სვერდლან კარგი ამბავი მომივიდა. მაპატოე, რომ აქამდე არ შეგატყობინე: სოლომონს ციხე დაუკავევბია და სულ მალე, ალბათ, თუ ღმერთმა ხელი მოუშართა, უკანაც მობრუნდება.

კაციას სახე დამციანებმა ღიმილმა გადაუსურა.

— ან აქამდე რას უტოღს? იქნება შენ გგონია, იქ მართლა ციხის დასაკავევბლად წავილა? იქნებ არცა გგონია, მაგრამ მე მაჩვენებ, თითქოს გგონია? არ გამოგვადგება აგრე, დაო მარიამ, შენ თუ ახლაცე მაგნაირი... მაგნაირი კუქუმალობიას თამაში დამიწყე. ახლაცე იცოდე — ვერ მოვრიგდებით!

დედოფალი მიხედა, ძმამ ჩიხში მოაქცია და უკან დახვევას ახლა ვერანაირად ველარ შესძლებდა. მისმა ფერმკრთალობა, გამხდარმა სახემ სულ ერთი წამის წინ ღმობიერებას და დედამიშვილისადმი თაყვანისცემას რომ გამოხატავდა, უკებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

კაციამ მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავენ გვიგდებსო და როდესაც დარწმუნდა, მარტო იყენენ, ხმამაღალი ჩურჩულით განაგრძო:

— სოლომონი შენ გატყუებს, ყვე-

ლას გვატყუებს. წარმოიდგინე, მეც მადლობის მაგიერია. პატარა საქმე გავუკეთეთ? ასე ხომ მეც ავიღოდი ტახტზე! რამდენი კაცი დაგველუპა ამ რაში? რა ზარალი ვნახეთ და რამდენი ოჯახი დაეაობლეთ? რომელი მოყვარე დასდებს თავს შენთვის, როგორც ჩვენ დავლეთ? მე ბატონ მამას აღრევე ვუთხარი: არ ღირდა ამ დავიღარაბაში გარევა. კისერი მოეტეხათ და კინჩხიც თან შეეტანებინათ! მტრის მეტს რას შევიძინებთ მეთქი. დამიჭერა? აუტყვივარი თავი ავიტყვიეთ...

მარიამი წელში გაიმართა, ბეჭებზე წამოხურული მოკლე შალის ორივე ბოლოს ტანზე თანდათან იჭიმავდა და ბრაზით, შურით თუ სინანულით სახეწამონთებულ ძმას წარბებქვემოდა აკვირებოდა.

— კაცია, — არაჩეულებრივად მშვიდი, ყინულგარეული ხმით თქვა მან უკებ და დაღინის ძეს სიტყვა შეაწყვეტინა. — მოკლედ მითხარი, ჩემგან რას მოითხოვ?

— მოვითხოვ, რომ თვალი გამოახილო და მდგომარეობა ფხიზლად შეაფასო. მე და ბატონმა მამამ, კარგად იცი, შენთვის ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო, ახლა...

— მაგას მეორედ მეუბნები: მოკლედ მითხარი, რას მოელი ჩემგან?

— მე? მე რას უნდა მოველოდე? — კაციამ ღის პირისპირ მოჩერებულ მზერას ვერ გაუძლო და თვალები დახარა. — ბატონ მამას ამავს წყალში ნუ გადაუყრი და მე, თუ გინდა, ნურც ვყოფილვარ. შენთვის, რაც სოლომონი დაინახე, სხვები მაინც აღარ ვარსებობთ!

— მე ის გავაკეთე, კაცია, რაც მამამ მიბრძანა. მამის სურვილი შევასრულე. მე გგონია, შენი სურვილიც ეს იყო. ჩემთვის ხომ არ გიკითხავთ, რა მსურდა და რა არა? სასაყვედურო რა გაქვთ? განა ცუდად შევასრულე თქვენი სურვილი? რაც შეეხება იმას, რომ შენ და მამამ ჩემთვის ყველაფერი გავაკეთეთ, რაც თქვენს ხელთ იყო... მე არ მინდო-

და ამზე მელაპარაკა. შენ მაიძულე. მე-  
კონა, თავად ყველაფერს ზედებოდი  
და იმის მიხედვარს უნარიც შეგწე-  
დათ, რომ მეც შემიძლია რაღაცას მივ-  
ხედეს..

დადიანის ძეს თვალები გაუფარ-  
თოდღა.

— მარიაში — უნებლიეთ წამოიძახა  
და დას პირზე ხელი მიადარა: — გა-  
ჩუმდი! რას ამბობ, სრულ ჰკუთხე ხარ?  
ვინდა, ვინმე გააგონო, მეც დამლუპო  
და თავიც დაიღუბო?

— აღარ შეშინებულხარ, ჩემო  
მშაო, ჭრ დასაღუბი არაფერი გი-  
ჭირს, — ქალმა უკან დაიხია და ჩვეუ-  
ლი სიმტყილით განავრძო. — შენ ხომ  
ვინდობდა, ჩემი მადლობა მიგელო? აი,  
ახლა გეუბნები და ყური კარგად და-  
მიგდე! სანამ მე მამაჩემის სახლში ვი-  
ყავი და სამეგრელოს ბატონიშვილი  
მერქვა, შენც ხომ იცი, მამისა და უფ-  
როსი ძმის წინაშე ბიჭი არ წამიდგამს.  
დღეს მე, მამისა და ძმის წყალობით,  
იმერეთის მეფის სჯულით თანამეცხე-  
დრე, იმერეთის დედოფალი ვარ და მა-  
ღალი ღმერთი მომიწოდებს, სულთა  
და ხორციით ჩემს ოჯახსა და ჩემს საბა-  
ტონს ჰეყვანას ვეკუთვნილდე. ამ და-  
მოყვრებით მამამ ხაზი გადაუსვა ოდი-  
შის ბატონებისა და იმერეთის მეფეების  
ოდითგანვე მომდინარე შტრამას და  
იმერეთის მეფე სახლში სიძელ შემოი-  
ყვანა. ამით იმერეთმაც მოიგო და  
ოდისმაც. მე რა ნება მჭონდა, მამის  
სურვილს წინ აღვდგამოდი. როცა ჩე-  
ნი უბედური ქვეყნის მომავალი ჩემს  
არჩევანზეც ეყიდა? რა გააკეთეთ თქვენ,  
შენ და ბატონმა მამამ, ჩემთვის? რას  
მამადლით? იქნებ დრო დადგეს და  
ისიც კი მითხრათ, რომ უბედური ინა-  
ლიშვილის ქალი, ვისი ვულისთვისაც  
ჩემი ქმარი გუშინ სულს ლევდა და  
ვინ დამარწმუნებს, რომ დღესაც არ  
ლევს, მეფეს ჩემი ვულისათვის, ჩემი  
ქინის ასასრულებლად გაამგებინეთ?  
კოდვის მაინც აღარ გეშინიათ? ღმერ-  
თი ყველაფერს ხედავს, საზღაურს ვე-  
რავენ გაქცევა. მძულხართ ყველა!

თვალით დასანახად მეჭაყრებით! შენ,  
კაცია, ეგვეც ვეცოტავა და ჩამჩინებ,  
მეფე უმადურია, ყველას ვეატყუებ. შორს  
უმიხნებ: ვინდა, ჩემი ქალური  
სულმოკლეობით ისარგებლო და ღვთი-  
სა და კაცისაგან მოძულეებულ ადამიან-  
ზე, ვისაც ფაფისი ერის კეთილდღეო-  
ბისათვის თავი გადაუღია, არაფერი არ  
ეზოგება, გული ამიყარო. რას მერჩი?  
გრცხვენოდეს, კაცია მე შენი ღვიძლი  
და ვარ, ერთ საშოში ჩახსახულვართ,  
ერთი დღის ძუძუ გვიწოვია და სიმი-  
სო რა ბაღალი მიმიძღვის, რომ სახლ-  
კარს თავზე მაქცევ და მადლობასაც  
აქედან მოელი? მაშ, ჭერი ჩემზეა? —  
მარიაში მწარედ გაიციინა და სიფრთვა-  
ნა ტუჩების კუთხეებში მშვილდივით  
მოღვერილი ორი წერტილი ნაოჭი გაუჩნ-  
და. — ნეტავი თავად რა ჰკუთხე და-  
დებოდი, შენი საყვარელი ცოლი, შე-  
ნი სარეცლის მოზიარე, შენი შეილებს  
დედა მოყვარეს რომ მსტოვრად მოე-  
გზავნა! ეგ კიდევაც რომ გაიფიქრო, თუ  
ეაჯაკეი ხარ, არ უნდა მკადრო. ბო-  
ლოსდაბოლოს, და ვარ შენი და დედო-  
ფალი ახლა მე უნდა დაგტოვო, კაცია,  
არ ივარგებს ასე ხანგრძლივად განმარ-  
ტოება, მე ხომ ვერ ვეტყვი სოლომონს,  
რაზე ვსაუბრობდით ასე დიდხანს?

ნამუსზე შეგდებულ იოდიანის ძე  
თავჩაღუნული იჭდა, დუმდა და შუბლ-  
ზე სიმწერის ოფლი მოწურწურებდა. მა-  
რიაში რომ წამოდგა და კალთები აი-  
კრიფა, პირქუშად იკითხა:

— მაგრამ თავდები ვინ იქნება?  
— რის გამო?

— შენი ქმარი რომ თავზე ხელს  
მოიხეამს, აქეთ არგვეთოს ციხეებს დაი-  
კავენს, იქით ჩვენი ნათესავი როსტომ  
ერისთავის საბატონოს, ვაკე იმერეთი,  
საწერეთლო და ოკრიბა ხომ ისედაც მა-  
გისია, გვონა, გაჩერდება და ხმალს  
ჩააგებს? მაშინათვე ოდიში მოგვიხ-  
ტება და მორჩილებას მოგვთხოვს. ვინ  
არის თავდები, რომ ეს ასე არ მოხდე-  
ბა? ვერ ხედავ, გურიელი მოყვრობი-  
თაც არ დაინდო და აგერ დილეგში  
აყურყუტებს?

— გურიელი იქ მარტო არ ვახლავს, კაცია. შენ ჩემზე უკეთ იცი, ვინ რისი ვულისათვის ყურყუტებს დილეგში და მე რატომღა მაღაპარაკებ?

დადიანის ძე ისევ დადუმდა, დას მძულვარებით აღსაყვებ შეურა დაადგა და კარგა ხანს ყოყმანობდა, კვლავ ეთქვა რამე თუ არა. ოდიშის ბატონთა სახლისათვის მარიამი დაკარგული იყო. ცოლ-ქმრობის ჯადოს ქალი უკვე მოენუსხა და სამუდამოდ სოლომონის მხარეზე გადაებირებინა. რას იზამდა ამ ვულახდილი საუბრის შემდეგ? როგორ მოიქცეოდა? თუ ცოლისამის ვუნებავანწყობილებას მეფე თანამეცხედრის პირით გაიგებდა, სოლომონსა და კაციას შორის ხიდი სამარადემოდ ჩატყდებოდა. ეგებ ფიცით ეთხოვა მარიამისათვის, სიტყვა შეენახა და ის, რაც ერთმანეთს საიდუმლოდ გაანდეს, საიდუმლოდვე დარჩენილიყო? არა, ეს კიდევ უფრო ვააუარესებდა საქმეს. კაციას ისღა რჩებოდა იმედად, დისათვის თვალი ფხიზლად ედევნებინა და მის კეთილგონიერებას მინდობოდა. აქი მარიამმა თავადვე თქვა, მე ხომ სოლომონს ვერ ვეტყვი, ასე დიდხანს რაზე ვსაუბრობდითო?

საღამოს, ვახშმად, კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად უკვე სხვათა თანდასწარებით. მარიამი თითქოს დამშვიდებული იყო, დილანდელი ნაწყენობისა ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა. ძმას ალერსიანად ახედ-დახედა, ორჯერ თუ სამჯერ რაღაც სალალობო ჰკითხა, პასუხს აღარ დაუცადა, სასმისი თავისი ხელით შეუვსო და აქეთ კაციას, ხოლო იქით აფხაზეთის მთავრის შვილ ხუტუნია შერვაშიძეს ჰქა მითქაბუნა. კაციამ აყოლა სცადა. ეს ძალდაუტანებელიც გამოუვიდა. სუფრის გარეშემო მსხდომთაგან ექვიც კი არავის აღძვრია, თუ და-ძმას შორის შავმა კატამ გაიბრინა და მთელი საღამოს განმავლობაში ისინი საიმედო სახუნდარებში ჩასაფრებული მზირებივით ზვერავენდნენ ერთმანეთს.

ღამით სასახლეში ფრიალ მნიშვნე-

ლოვანი ამბავი მოხდა, რამაც ცხოველი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დატუსაღებული დიდი დედოფალი თამარი, ბატონიშვილი გიორგი, თანამეცხედრობით, დადიანის ასული დარეჯანი და მათი კარისკაცები, აგრეთვე გურიელი მამია, სასახლის სარდაფში მოთავსებულ საპრობილოდან გამოიყვანეს და გელათის გზას გაუყენეს. ამბობდნენ, მსაჯურის დედება იქ მოხდებოდა. პატიმრებს ხუთასი მხედრისაგან შედგარი ბადრაგი ახლდა. გზაში გაქცევისა და სადმე თავის შეფარების იმედი მაინცდამაინც არავის უნდა ჰქონოდა. ნაბრძანები იყო, კაციშვილი არ დაენდოთ და დამნაშავეთა მიმალვის ყოველი ცდა იარაღით აღგვეთათ. ლომკაც ჭაფარიძესა და ქიხოსრო აგიაშვილს, ვინც ამ საქმეს მოთავეობდა, პირზე ბოჭლომი დედოთ და კაცს-სულიერს არ უშხელდნენ, ვისი განჯარგულების თანახმად მოქმედებდნენ, თუმცა ამის მიხედვრას რა დიდი გამოძიება სჭიროდა! სვერში მყოფი სოლომონი ყოველდღე მალე-მსრბოლებს აგზავნიდა ვარციხეში და სასახლის ცხოვრებას შორიდან გაფაციცებით თვალს ადევნებდა.

იმავე ღამეს, პატიმრები რომ წაიყვანეს, კიდევ მოვიდნენ მეფის მალე-მსრბოლები: დედოფალს და თავის თანამდგომებს — დადიანის ძეს კაციას და აფხაზეთის მთავრის შვილ ხუტუნია შერვაშიძეს, მის უწმიდესობა კათალიკოს ბესარიონთან ერთად, ბატონი სვერის ციხეში იწვევდა რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლეოვთან შესახვედრად და სათათბიროდ.

მიუხედავად უსიამოვნო ფიქრებისა, გულზე რომ მოაწვა, სოლომონმა თავს ძალა დაატანა, გარეგნული სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა, ბრძანა ცხენი მომგვარეთო, ბეჭებზე მოწისფერი მოკლე მოსასხამი წამოისხა და ჩრდილო-დასავლეთის კარით ციხის ფერდოზე გამოვიდა.

ძირს, მოსახვევში, საიდანაც ახლახან გაფართოებული გზა საძალიხევის მკვიდრბურჯებიან ქვის ხიდისაკენ ეშ-



გებოდა და შემდეგ მდინარის მარჯვენა ნაპირს მოსდევდა, მეფეს უკვე ელოდნენ ცხენებზე ამხედრებული დიდებულენი და კარისკაცები.

მხედართა ერთად შეგვეფუთულ გუნდს სოლომონმა უხმოდა ჩაუარა, ცხენს სადავე მიუშვა და დაღმართში ხიდისაკენ გააქენა.

დაწინაურებულ ბატონს სხვებიც კვლავდაკვალ მიჰყვნენ.

ღღის განმავლობაში წყალს საგრძობლად დაეკლო, თითქმის დაეარდნილიყო, მაგრამ ვეება ლოდებითა და ძირიანად მოთხრილი ხეებით ახოხოლავებულ კალაპოტში ჯერ ისევ მღვრიე მოედინებოდა და მის გამაყრუებულ ღრიალს ორთავე მხრიდან გადმომდგარი ფრიალო კლდეები ბანს აძლევდნენ.

ღრმა ხეობაში მხედრებმა თითქმის ორიოდუ საათის სავალი გზა გაიარეს და შალე აღმართში მომავალ ცხენოსანთა და ქვეითთა გრძლად გაწელილ ასაბიას დაადგეს თვალი. სოლომონმა სადავე მოხიდა და ცხენი ნაბიჯით წაიქენა. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, აღღეს გულში უნდა ჩაეკლა თავისი წყენა და მოსკულ თავისიანთ ისე შეხვედროდა, როგორც ომში გამარჯვებულ მეფესა და ძლევამოსილ სარდალს შეჰფერის.

სოლომონს ექვის ჭია უღრღინდა გულს: ოტია დაღიანის პატივმოყვარე ვაჟიშვილი კაცია, ამ სამკვედრო-სასიკოცხლო ომში გვირგვინოსან სიძეს მართლაც და დაუფასებელი დეაწლი რომ დასდო, შეიძლება ითქვას, შეთქმულთაგან მიტაცებული გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, ღვიძლ დას, დედოფალ მარიამს, ახლა, რაღა თქმა უნდა, იმავე მეფის დასამორჩილებლად, მისთვის ოქროს ლავმის ამოსადებად და თავის ჭკუაზე საჭირითოდ იყენებდა.

ეს უცხო და გასაკვირი როდი იყო ასეული და მეტი წლების განმავლობაში ასე ხდებოდა და რაღა სოლომონი და მისი ცოლოური გამოდგებოდნენ ბედნიერი გამოჩაყლისი!

შეიცვრებოდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონი დიდებულები, დიარაზმებოდნენ იმის წინააღმდეგ, ვინც ნათესაობით, ნათელმობრონობით ან რომელიმე სხვა დამაკავშირებელი ძაფით მეფესთან სხვებზე ახლო იდგა, მიიბიძგებდნენ თვით მეფესაც, რომელსაც, თუ წინააღმდეგობის გაწევას ვაზებდავდა, ტახტიდან გადმოგდება ელოდა, და გვირგვინოსანი მოყვრის მოიმედუ თანამომესს ჭერს თავზე ჩამოაქცევდნენ. მეფე ხან ერთ გაძლიერებულ ქვეშევრდომს მიეკედლებოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. ვანხეთქილების ვაშლადაც სწორედ ეს გარემოება იქცეოდა ხოლმე. გარე და შინაურ მტრებთან ომით დასუსტებულ, ღარიბსა და ნიადგ სხვისი ხელის შემყურე მეფეს ძალა არ შესწევდა ყველა ქვეშევრდომი ერთად დაემორჩილებინა და თავისი საბატონო ქვეყანა საკუთარი ნებისა და სურვილის მიხედვით განეგო.

ქართველ მეფეთაგან ეს მხოლოდ დღმა დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრეებმა შესძლეს, მაგრამ სულგანათლებული თამარის შემდეგ ვანკერძობისაკენ სწრაფვამ ისევ ღრმად გაიდგა ფესვი და წინაპართა ვარჯითა და რულუნებით ერთ მუშტად შეკრულმა სამეფომ კვლავ პატარ-პატარა საერისთავო-სათავადობებად იწყო რღვევა. ჯერ სისხლისმღვრელ ჯალალედინს და შემდეგ მონღოლ ნოინებს ოდესღაც ძლიერი და მტრის თავზარდამცემი საქართველო უკვე დანაწევრებულ-დაქსაქსული შეხვდა, მას საგრძობი წინააღმდეგობის გაწევის უნარი უკვე აღარ გააჩნდა და კიდევაც წამოიქცა, როგორც ედელი, რომელსაც წყალმა ბალავერი გამოაცალა...

„მაგრამ გიორგი ბრწყინვალე? — ჩასძახებდა ზენა ხმა სოლომონს და უიმედობის წყვილადში ნათლის სვეტი ჩამოდგებოდა. — მან ხომ შესძლო დარღვეული ქვეყნის ფეხზე წამოყენება, ყველა ურჩი დიდებულის აღაგმვა და სამეფოს გაერთიანება! ვიდრე სასწუჯარ მიზანს მიადწევდა, გიორგის

ჩემზე უფრო უჭირდა. მან დავეითისა და თამარის საქართველო აღადგინა ზღვიდან ზღვამდე, მე კი მხოლოდ ლიხთიმერეთს ვფლობ და იმისთვისაც ვერ მომივლია!

ყოველივე ეს სოლომონის ფიქრი, ეჭვი და ვარაუდი იყო. კაცია დადიანის ძეს მეფის სამტრო რამ იქნებ ჯერ გუნებამაიკ არ გაეტარებინა, მაგრამ სოლომონს ისე ღრმად სჯეროდა თავისი ვარაუდის სისწორე, მწარე გამოცდილება, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ გაყვითლებული ფურცლები ღალადებდნენ, რომ ცოლისძმასთან შესაძლო შეტაკების საშუალის ვარციხის სასახლის დაკავებისა და შეთქმულთა ხელში ჩაგდებისთანავე შეუდგა ერთფულ ქვეშევრდომთ: ავიაშვილს, ლორთქიფანიძეს, ჩიჯავაძეს, წულუყიძეებს, წერეთლებსა და მიქელაძეებს სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძის პირით საიდუმლოდ შეატყობინა, დაუყოვნებლივ ახალი მხედრობა შეეყარათ, თუნდაც ჭულზე კაცი გამოეყვანათ, როგორც უკიდურესი ვასაჭირის ქამს სჩადიოდნენ ხოლმე, იარაღითა და ნუზლით მოემარაგებინათ და აფხაზ-ოდიშართა სარდლებისაგან ნამალევად წინასწარ მიჩენილ ადგილას ბანაკი დაეცათ.

სოლომონი გრძნობდა, რომ ეს ამბავი, მოყვრის ზურგსუკან სამგლე ორმოს ამოთხრა, სუფთა წყლის გამცემლობას უღრიდა, მაგრამ სხვაგვარი მოქცევა გვირგვინს ხელახალი დაკარგვით ემუქრებოდა და აუცილებელი სიფრთხილის გამოჩენას დანაშაულად უკვე აღარ თვლიდა.

მეფე და მისი მხლებელი იმერი დიდებულები ქვემოდან მომავლებმა უმაღლვე იცნეს და მათს შემოსაგებებლად თავაზიანად ჩამოქვეითდნენ. სოლომონმა დღეი ჰკრა ცხენს და ააჩქარა.

— გაუმარჯოს მეფეს!.. — დაიძაბა ვიღაცამ ხეობაში და ეს ხმა კლდეებმა მოიტაცეს, ზედიზედ რამდენჯერმე გადასცადამოსცეს და მიანარც-მოანარცხეს ერთიმეორეს.

— გაუმარჯოს მეფე სოლომონს!..

— დღეგრძელობა მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს!..

ხალხი, თითქოს ესეც ადიდებული მდინარეაო, ორივე მხარეს აგრიალდა. უდაბური ხეობა მზიარული შეძახილებითა და ყიეზით აივსო. აქა-იქ თოფმაც დაიჭუხა და ირგვლივ ტრუსის სუნნი დააყენა. ისროდნენ მეფის ამაღალიც და კაცია დადიანის ძის მეთოფენიც, ისროდნენ კოჭმაღალ საომარ ცხენებზე ამხედრებული, ბარძაყებზე შემოწყვილი თეთრ პანტალონებსა და ბრჭყვიანადილებიან მწვანე მუნდირებში გამოწყვეთული რუსი ულანებიც, რომლებიც თავიანთი ხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლგოვისათვის ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეიდან გამოეყოლებინათ, და თავიანთ ენაზე მთელი ხმით რაღაცას გაჰყვიროდნენ. ცხენები დაფრთხნენ და ჭიხვინი ატეხეს. მეფეს ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიჩაძე მიეახლა და უზანგი და აღვირი დაუყავა. სოლომონი აუჩქარებლივ ჩამოვიდა, სადავე ნიკოლოზას შეატოვა და მაშინვე ლურჯ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილ და ლურჯივე ბილაბანდით თავდახურულ თანამეცხედრეს მიაშურა. დედოფალი მარიამი ფაქიზად მოვილილ თეთრ ყაბარდოულ ულაყზე იჯდა და მისი უდიდებულესობის მოახლოებას ფარული გულისკანკალით ელოდა.

— არა, მე არ ჩამოვალ, — თქვა მან, როცა მეფემ სხვათა დასანახად კრძალვით თავი დაუტკრა, როგორც უბრალო ყმა, უზანგი დაუჭირა და ფეხის წვერებზე აიწია, რათა ძირს ჩამოსაყვანად მეორე ხელი წელზე მოეხვია. — კიდევ შორია?

— არც ისე, — უპასუხა სოლომონმა და ცივად უკუდგა. — თუ ჩქარა ვივლით, საათნახევარში იქ ვიქნებით.

— მაშ, გაჩერება ვგონებ აღარ ღირს, ვიაროთ.

— ნება თქვენია. აქამდე ხომ მშვიდობით იმგზავრეთ? ხიდი ხომ არსად დაგზვედრიათ წაღებულნი?

— ღმერთმა ხელი მოგვიძიარათ. გზას

ვერ დავემდურებით. აქეთ ძალიან უწყვი-  
მია, გუბნეები დგას.

— უდროო დროს გაავდრდა. ნიაღვ-  
რებმა წალეკა აქაურობა. მადლობა  
უფალს, წვიმამ დროზე გადაიკარა. ისე  
გავვიჭირა, კილამ ალყა მოვხსენით  
ციხეს. ბატონი მამა, იმედია, კარგად  
ბრძანდვება? — სიმამრი მოიკითხა სო-  
ლომონმა.

მარიამს დიდრონი, ნაღვლიანი თვა-  
ლები გაუბრწყინდა. ამაზე უფრო სასი-  
ამოვნოს, ვიდრე საკუთთ თავში ჩაეცე-  
ლი მეფისაგან ლოგინად ჩავარდნილი  
ოტიას მოკითხვა იყო, ალბათ, ვერც ვე-  
რაფერს გაავაგონებდი.

— ღმერთი არ დაგივიწყებს, ბატო-  
ნო, შამჩემის კეთილად მოგონებისათ-  
ვის. მოხუცდა, სენი ძალიან მოერიო.  
ღამე ძილი არა აქვს და დღისით მოსეე-  
ნება. გულითად მოკითხვას ვითვლის,  
სოლომონ, წიგნიც გაახლა.

„კიდევ რასა მთხოვს? — გაუელეა  
მეფეს. — უთუოდ დისა და სიძის, და-  
რეჯანისა და მამუკა ბატონიშვილის,  
შესაერლომებლად გაისარჯა, რადგან  
დედაჩემის ოდიშს ვაგზავენის საქმე უ-  
ვე გადაწყვეტილად შიპჩინა!“

ეს სწორედ გულთმისანივით გამოი-  
ცნო. ლოგინად ჩავარდნილი მოხუცე-  
ბული მთავარი მის უდიდებულესობას,  
იმერთა მეფეს, ერთადერთი დედამაი-  
შვილის, ამჟამად მეფის მანდატურებში  
ხელში მყოფი დარეჯანისა და ცხოვრე-  
ბაში ხელმოცარული სიძის, ბატონი-  
შვილ მამუკას, შეწყალებას ეაჯებოდა.  
ძვირფას სიძეს, თვალის სინათლეს,  
ოტია იქვე გაკვრით ატყობინებდა, როს-  
ტომ ერისთავს კარის ეკლესია მოუთა-  
ვებია წესში, კურთხევაზე დიდძალ სა-  
ზოგადოებას ებატიყება, შესაძლოა,  
ქართლ-კახეთიდანაც კი მობრძანდნენ  
საპატიო სტუმრები, მთელი ქვეყანა იქ  
იქნება და აღარ ვიცი, ჩვენ როგორ  
მოვიქცეთო.

მთავარი მართლაც შემფოთებელი  
ჩანდა. თუ გვირგვინოსანი სიძე საწყე-  
ნად არ მიიღებდა, ოტია სახლეულს  
მანაც ვაგზავენდა წესში და ამ ბედ-

ნიერ დღეს თავისი სისხლით ნათესავი  
როსტომ რაჭის ერისთავის სიზარულს  
გაიზიარებდა.

„ნეტავი მე აღარაფრად მაგდებენ?  
— გაიფიქრა სოლომონმა, როცა მეორე  
დღეს სიმამრის მოყვრული წიგნი წაი-  
კითხა და პასუხის შესადგენად კარის  
მდივანი მოაყვანინა. — ისე ირჯებთან  
მამაცხოვნებულები, თითქოს მე არც კი  
ვარსებობდე! იქნება მე სულ სხვა რა-  
მე განმიზრახავს, ძალღების კერძ ერის-  
თავს ეკლესიის საკურთხებლად და  
სტუმრების დასაპატიყებლად სცალია?“

ღმერთო დიდებულო, რამდენი რამ  
ეწერა ამ ხელისდადება ფარაჩინა ქა-  
ლალღზე, რამდენი რამ იგულისხმებო-  
და! წიგნი სავსე იყო რჩევითა და შეგო-  
ნებით, ასე გასინჯეთ, მუქარითაც კი.  
უკეთუ მეფე ამ გონიერულ რჩევასა და  
შეგონებას არ შეისმენდა, ყურად არ  
იღებდა და ისე არ მოიქცეოდა, რო-  
გორც კეთილისმყოფელ სიმამრს სურ-  
და!

უპირველეს ყოვლისა, სოლომონს  
ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეშვა  
თავში, რომ ოდიშის მთავრები და რა-  
ჭის ერისთავები სისხლით ნათესავეები  
იყვნენ, ნათესაობდნენ და ჭირსა თუ  
დალხინებაში მუდამ მხარში უდგნენ  
ერთმანეთს. ოდიშის ბატონის მოყვა-  
რეს როსტომ რაჭის ერისთავისთვისაც  
მოყვრობა უნდა გაეწია, ისე რომ სო-  
ლომონს, თუკი სიმამრის კეთილი გან-  
წყობილების შენარჩუნება სწადდა,  
ერისთავის მტრობაზე ხელი უნდა აე-  
ლო და ახლავე შერიგების გზები ეძებ-  
ნა. კარის ეკლესიის კურთხევაში მონა-  
წილეობის მიღება საუკეთესო შესაძ-  
ლებლობა იყო მეფისა და ერისთავის  
შესარიგებლად, ყმისა და ბატონის შე-  
რიგება და თანხმობა თვით ღმერთს  
სურდა და ქვეყნად ყველა სიკეთე მისი  
ნებით ხდებოდა.

ეს უკანასკნელი მოსაზრება დალი-  
ნის წიგნში, რასაკვირველია, არ ეწერა,  
იგი პწკარსა და პწკარს შორის უნდა  
ამოგვეკითხა.

„იქნებ ოტიასი ჯობდეს? — ფიქ-

რობდა სოლომონი და მდინის საკარნახებელ შესაფერის სიტყვებს ეძებდა. — იქნებ მართლა აჯობოს ერისთავის შემორიგებამ და ამ ზამთარს მაინც, სანამ აგარიანი არ შემოგვესევია, მშვიდობიანობის ჩამოგდებამ? ჩანს, თვით როსტომიც შერიგების მოწადინეა. ასე რომ არ იყოს, ეკლესიის კურთხევის ამბავს ოტია გაბედულად ვერ მოიწერებოდა. თვით კურთხევაც განზრახ მოგონილია. არა მგონია, ბარაკონის დიდებული ტაძარი ერისთავის ზოზინა ქვითხუროებს ისე მალე მოეთავებინოთ. უთუოდ დღესა და ღამეს ასწორებენ, რომ დროზე მოასწრონ და კურთხევას ბუნებრივი იერი მისცენ“

მეფე ამჯერადაც სწორად სჯიდა. შერიგების აზრი როსტომ რაჟის ერისთავისაგან მომდინარეობდა და მან თავისი გამოხატულება დადიანის სამოყვრო წიგნში ჰპოვა. ოტია ამ აზრს სიხარულით ჩაუჭიდა და უმალ საკუთარ აზრად აქცია, ვინაიდან ბოლო დროს თავადაც შეფიქრიანებული უყურებდა სოლომონის თანდათანობით მომძლავრებას და წელში გამართვას: თუ მეფე რაჟის საერისთაოსაც იარაღის მოშველიებით დაიპყრობდა, როგორც ლევან აბაშიძის ნაბატონარი, არგვეთი დაიპყრო, ამით კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და თვით ოდიშსაც კი საფრთხეს შეუქმნიდა. სოლომონის ძარღვებში ბავრატონების სისხლი ჩქეფდა. შეუძლებელი იყო, ამ სისხლს ოდესმე არ ეყივლა და ყოველივე თავდაყირა არ დაეყენებინა. ამიტომ საჭირო იყო თავდარიგი, ყველა გზის წინასწარი ჩახერვა და უვნებელყოფა. მეფისა და ერისთავის წაყიდებას და ომში მეფისაგან ერისთავის დამარცხებას ოტიას, ცხადია, მათივე მშვიდობიანი მორიგება ერჩივნა. მორიგების გზით რაჟის ძლიერი საერისთავო თავს შეინარჩუნებდა და დღენიდანგ დამოკლეს მახვილივით იქნებოდა აღმართული იმერეთის მეფის თავზე.

ვიდრე დედოფალს ესაუბრებოდა და ბატონ სიმამრს მოწინებით მოიკი-

თხავდა, მეფეს სხვა სტუმრებმაც მოაშურეს. აქამდე ისინი განზე იდგნენ და დარბაისლურად უცდიდნენ, რადის მოაწევდა მეფესთან. მაგალოდ ბრვი-სოლომონი ცოლისძმას მხურვალედ გადაეხვია, რამაც აქეთ მოჩერებულ დედოფალ მარიამს პირზე ნალვლიანი ღიმი მოჰკვარა, მოლოცვა მიიღო, ძმურად ჩაიკრა გულში აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე, მეგრელ და აფხაზ თავად-ახნაურთ ხელზე მოწყალედ ამთხვევინა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდა სამგზავროდ მორთულ-მოკაზმულ კათალიკოს ბესარიონს. კათალიკოსმა მეფეს ოქროს ვარაყში გავლებული, უწმიდეს და უნეტარეს სვიმონ ჩხეტიძისეული ჭვარი მოაგება და როცა ის ჭვარს ტუჩებით შეეხო, მამაშვილურად მხარზე ეამბორა. დანარჩენმა სამღვდელთ პირებმა დაიჩოქეს და ისე სცეს თავიანი ქვეყნის დაუშრეტელ იმედსა და ეკლესიის უპირველეს მფარველ ბატონს.

სულ უკანასკნელი სოლომონს კაპიტანი ლვოვი ეახლა. მეფეს იგი ცოლისძმა კაცია დადიანის ძემ წარუდგინა.

ეს იყო მაღალ-მაღალი, ოდნავ სახენყავილევი ბრგე ვაჟაკი, ასე ოცდაოთხი-ოცდახუთი წლისა. ღიმილი უცოდველი ბავშვისა ჰქონდა, მიხრამოხრა კი ტლანჭი, მაგრამ როგორღაც თავდაჭერებული და ღირსეული. ტანთამასაც ულანის თვალისმოშორებულად თეთრი პანტალონები და მხარბეკსა და თეძოვებზე კონტად მორგებული წითელი მუნდირი ემოსა, ოქრომკედის გვირისტით გარს შემოვლებული, ხოლო თავზე უსაშველოდ მაღალი, ბრჭყვიალა ფრთებით გაწყობილი კივერი ეხურა.

— დიდი ხელმწიფე-იმპერატორის, ქრისტეს მხვეალ ელისაბედ პეტრეს ასულის, საქმეთა რწმუნებული, მისი აღმატებულება კაპიტანი ლვოვი, მწყალობელი მეფე. — მიმართა სოლომონს დადიანის ძემ. — შენთან თავისი მბრძანებლის უაგუსტოესი ნებით, სამეგობროდ მომბრძანებულა, საბოძვარი მოურთმევეა და შემწეობასა და თანად-

გომას გვბირდება, — მერე ელჩს მიუბრუნდა და ამას კი ოსმალურად უთხრა: — თქვენო აღმატებულებავ, ბატონო ელჩო, ლიხთიმერეთის მეფე სოლომონ პირველი ბაგრატიონი.

ლევომა მუხლი მოიდრიკა, თითქოს საომარი აღმის წინაშე მხედრულ ფიცსა სდებო, მიწას ოდნავ შეეხო, მეფეს ხელზე ემთხვია, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თეთრ ხელთათმანებში გამოსკვნილი ორივე ხელი ხმლის მოქროულ ვადაზე დაიდო.

ყველა სმენად გადაიქცა. კაპიტანმა ლევომა მოკლე სიტყვა წარმოთქვა. ის რუსულად ლაპარაკობდა და რუსეთის დიდი ხელმწიფის, ელისაბედ პეტრეს ასულის სახელით გამარჯვებას, დღეგრძელ სიცოცხლეს და ურჯულო მტრის ძლევას უსურვებდა იმერთა მამაც მეფეს, სოლომონ ალექსანდრეს ძეს. ელჩი სრულ რწმენას გამოთქვამდა, რომ ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან მეგობრობა იმერთა მეფეს და საერთოდ ქართველ მეფე-მთავრებს მოყვარეს გაუმრავლებდა, ხოლო მტერს ვულში ლახვარს ჩასცემდა.

სად იყო და სად არა, მეფის მხარმარჯვნივ თამაზა მესხმა გამოჰყო თავი. წინ მდგომნი, ვინმეს აშკარა გულისწყრომა რომ არ გამოეწვია, თამაზამ ფრთხილად მისწი-მოსწია და რუსთ-ხელმწიფის საქმეთა რწმუნებულს დაენახვა — თუ საჭიროა, აგერ ვახლავართ და თარჯიმნობას ვიკისრებო.

ლევომა თავი დაუკრა, რაც ერთსა და იმავე დროს მისალმებასაც ნიშნავდა და თანხმობასაც, და გაჩუმდა, მოიცადა, ვიდრე მის ნათქვამს მესხი მეფესა და დამსწრეთ უთრგმნიდა. თამაზამ ოდნავ გაწევილად და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით თარგმნა. მეფე ყოველ სიტყვაზე თავს დაბლა ზრიდა. უაღრესად კმაყოფილი იყო, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ხელმწიფის კარზედაც სწორედ ისე აზროვნებდნენ, როგორც აქ, საქართველოში.

კაპიტან ლევოს პასუხი მეფეს ძმამ, ელჩის ძველმა ნაცნობმა, გენათელმა

მიტროპოლიტმა იოსებმა, გასცა. თამაზა მესხმა ახლა ქართულიდან რუსულად თარგმნა დაიწყო და, თუმცა აქამდე დეც ბევრს მოეხსენებოდა, — რომ მის რამდენიმე ენას, მათ შორის რუსულსაც, შესაშურად ფლობდა, ყველა განაცვიფრა.

ლევოვი გულხელდაქდობილი და თვალებმოწყურული უსმენდა ყოველად სამღვდლო მიტროპოლიტს, — შემდეგ მზერა ყურადღების შუაგულში მოქცეულ თამაზა მესხზე გადააქონდა.

შეძლების კვალობაზე ელჩს თავი მშვიდად ეჭირა, მაგრამ დაკვირვებულნი თვალი დაძაბულობას მანიც შეამჩნევდა. ქართველ დიდკაცთა შორის და თვით მეფესთან დღეს პირველად როდი ბრძანდებოდა. ასეთუ ისე უკვე შეგუებოდა აქაურ ზნე-ჩვეულებებს. სხვათა და სხვათა სამეფო კარის ჩვეულებებისაგან ეს ჩვეულებები მხოლოდ იმით გამოირჩეოდნენ, რომ გარეგნული ბრწყინვალეობა და ზარ-ზეიმი აკლდათ. სეარაუდებელი იყო, რომ იგი აქაური ცხოვრების წესის, ქვეყნის ნივთიერი ავლადიდების და თვით ქართველთა ხასიათის სისადავის ანარეკლს წარმოადგენდა. სულ სხვა გარემოში და სხვა ტრადიციებზე აღზრდილ კაცს, ლევოს, პირველად ეჩოთირა ეს უშუალობა და სისადავე, რითაც მალალი და მდაბალი, ბატონი და ყმა, მეფე და მისი თუნდ უკანასკნელი ფარეში ასე ჰგვანდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს თითქოს ხალხის ხასიათში ღრმად ჩამარხული კანონზომიერება დაიჭირა და ამას როგორღაც შეეჩვია. მოგვიანებით, ქართულში რომ ასეთუ ისე გაიწაფა, ლევოვი მიხვდა, რომ ქართველი კაცის ხასიათის სისადავე არამც და არამც არ შეიძლებოდა ფამილარობასთან გაგეთანაბრებინა. ეტიკეტის გარეგნულ, სუფთა ფორმალურ მხარეს აქ ადამიანის გულთბილობა, ევროპელისათვის არცთუ ადვილად მისაწვდომი გულითაღობა სცვლიდა და იგი შენს თვალწინ მოყვასთა ურთიერთდახლოებისა, და ურთიერთდობის სასწაულებს ახდენ-

და ქართული სიტყვების იმ მცირე მარაგშიც კი, რომელიც დღესდღეობით ლოვს ვააჩნდა, იგი საგნებისადმი დამოკიდებულების რაღაც ახალ, აქამდე შეუცნობელ ნაირსახეობას ხედავდა. ბუნებით დაკვირვებულ და ალღოიან ეაცს, თავისი განათლებული დროის შვილს, მიუხედავად ახალგაზრდობისა, არ უჭირდა, სიტყვასა და სიტყვის შორის წაგულისხმევი აზრი დაეჭირა და დედა-რუსეთის საკეთილდღეოდ თავისი ახალი მეგობრების თუ პარტნიორების სულიერი წყობის თავისებურება ამოეცნო.

საგარეო საქმეთა კოლეგიის წვრილი მოხელის შვილი იაკობ ევგენის ძე ლოვი ბავშვობიდანვე ემზადებოდა დიპლომატიური სამსახურისათვის და ხარბად ნთქავდა რუსეთის მომიჯნავე უძველესი ხალხების, მათ შორის ქართველთა, სომეხთა, ჩრდილო კავკასიის მთიელთა ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, დამწერლობის და სხვა ხალხებთან ურთიერთობის შემცველ წიგნებს, აგრეთვე ძველ ბერძნულ და რომაულ საისტორიო თხზულებებს, რომელთა შორის, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი მოძღვრებები და სხვადასხვა ენაზე შედგენილი მდიდარი ეპისტოლარული შემკვიდრებაც იგულისხმებოდა.

ლოვი ბევრს კითხულობდა. მამამისს უშვილძიროდ გადაგებული ბიძის — სტატსკი სოვეტნიკის დანატოვარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ამ ბიბლიოთეკაში კაცი, ვინ იცის, რა ძვირად ღირებულ და მხოლოდ აქ შემორჩენილ იშვიათ გამოცემას, საბუთს თუ მოგზაურის ჩანაწერს არ აღმოაჩენდი! ლოვიმა ჯერ კიდევ პაყთა კორპუსში სწავლის დროს გადაიკითხა მტერიან თაროებზე წყობისად დალაგებული ძველი ფოლიანტები და იმდენი იმარჯვა, გარდა კლასიკური და რამდენიმე ევროპული ენისა, ადრეულ ასაკში სპარსული, თურქული და არაბული ენებიც შეითვისა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ყმაწვილი ეაცის სამსახურში სწრაფ დაწინაურე-

ბას. ვაგლენიანი ნათესავეების დახმარებითა და ენების ცოდნის წყალობით ლოვიმა ჯერ ასტრახანის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში მდიურადგილი, კავკასიის ხალხთა ურთიერთობის განყოფილებას განაგებდა, ხოლო შემდეგ, ორი წლის თავზე, როცა მისმა კვიანურმა, საქმის კეშმარიტი ცოდნით შედგენილმა რედაქციებმა ამა ქვეყნის ძლიერთა მოწყალე ყურადღება მიიქცია, მათივე უზენაესი სურვილისამებრ, კვლავ დედაქალაქში დაბრუნდა და საგარეო საქმეთა კოლეგიაში დაიწყო სამსახური იმავე განხრით.

გართულებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ ლოვი, უკვე გამოცდილი სამხედრო პირი და დიპლომატი, ხელახლა ასტრახანში გადმოაგდო. ახლო აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ზედმიწევნით მცოდნე მოხელე ახლა ბევრად უფრო საჭირო იყო აქ, ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე, ვინემ თვით სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, სადაც საქმის ავანჩავანი და მღვრიე წყალში თევზის დამჭერნი ისედაც ბლომად ჰყავდათ.

ლოვის ჩამოსვლის დღიდან თვეც არ შესრულებულიყო, რომ ასტრახანის გუბერნატორ გენერალ ელინის მისი უდიდებულესობის, იმპერატორცა ელისაბედ პეტრეს ასულის, რესკრიპტი მოუვიდა, რომლის ერთ-ერთი მუხლის თანახმადაც კაპიტანი იაკობ ევგენის ძე ლოვი რუსეთის საქმეთა რწმუნებულად ინიშნებოდა ქართველი მეფეების: თეიმურაზის, ერეკლეს და სოლომონის კარზე.

ცაზე საწვიმარი ღრუბლები იყრიდნენ თავს. ჯერ კაციშვილმა არ ეცოდა, როდის და სად იტყებოდა მეხი, როდის და სად დაეშვებოდა წარღვნის-მაგვარი კოკისპირული წვიმა. თხმალეთის ადგილი მომავალ დიდ ომში კვლავაც არ იყო ზერიანად განსაზღვრული. ზურგიდან მოულოდნელი დარტყმის თავიდან ასაცილებლად რუსეთს თვალი ფხიზლად უნდა სჭეროდა, ოღონდ ეს ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ადრევე

დადებული საზავო პირობა არაფრით დაერღვია და „ბრწყინვალე პორტას“ უკმაყოფილების საჯაროდ გამოთქმის საბაზი არ მისცემოდა.

სანამ სიტყვა სპარსეთის ხელდებულ, ამჟამად კი, მძვინვარე ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, მომძლავრებულ და პორტისაგან დამოუკიდებელ ქართლისა და კახეთის სამეფოებს შეეხებოდა, საჭოჭმანო თითქოს არაფერი იყო, მაგრამ, როგორც კი რუსეთის წარმომადგენელი ლიხის მთას გადაივლიდა და ფეხს ოსმალეთის ყმად მიჩნეულ აჩიკ ბაშთა ქვეყანაში შესდგამდა, კონსტანტინოპოლი უმალ თავს წამოპყოფდა და სანკტ-პეტერბურგს საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შეახსენებდა. ბევრი რამ თვით ელჩის პირად თვისებებზე, მის მოხერხებასა და მოქნილობაზეც ეკიდა. ელჩს საქმე ისე უნდა წარემართა, რომ იმერეთში თავი კერძო პირად გაესაღებინა და ხელისუფალ აგარიანთათვის, გულისწყრომის გამომქლავნების საბაზი არ მიეცა.

სამუდამო სადგომად რუსთხელში ფის საქმეთა რწმუნებულს საქართველოს დედაქალაქი ტფილისი მიეჩინა, ოღონდ, თუკი საქიროება მოითხოვდა, ელჩი ვალდებული იყო, მუდმივი რეზიდენცია დაეტოვებინა და რომელიმე მეფესთან ან სამივესთან ერთად შესახვედრად დათქმულ ადგილზე გამგზავრებულიყო.

ულანეზმა თოფები გააჩხაკუნეს და პაერში ზედიზედ სამჯერ დასცალეს.

„იქნება მალაღმა ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, იქნება მართლა დგება ჩვენი ხსნის დღე!“ — გაიფიქრა სოლომონმა და თავაზიანად ელჩს ცხენზე აჩვენა.

— შებრძანდით, თქვენო აღმატებულებავ, უკვე გვიანია, მოგშვივდებოდათ...

მალალი სალაშქრო იაბო უკვე მოერთმიათ ლგოვისათვის და დენშიიკები თავს ძლივს უმაგრებდნენ. ცხენი ლაგამს ზრავდა, კოხტა ფეხებს მოუსვენრად ინაცვლებდა და ნალს ნაპერწკლებს აყრევივინებდა.

## საიათნოვა

### რად მინდა ექიმი

რად მინდა ექიმი, რად მინდა ჯარა,  
შენი მოცემული — სხვა წამალია!  
მალამო უფრო მწვეავს, მტეხავს იარა, —  
შენი მოცემული — სხვა წამალია!

მითხრა: დაიკარგე, მომწყვდი თავიდან,  
შენ სხვაგან სხვა გითქვამს დანამალია!  
მაგას არ შეგარჩენ, როგორ ავიტან, —  
შენ სხვაგან სხვა გითქვამს დანამალია,  
დანამალია, აა ამან, დანამალია!

ვეთხარ: შენი ეშხით გული დამიწდა,  
ზელი დამიდუნდა, საქმე მაშიცდა,  
ჯიგარი დამეწვა, ჯანი გამიცვდა,  
შენი მოცემული — სხვა წამალია!

მითხრა: მე საშენო არ მაქვს წამალი,  
წადი, თავს მიხედე, ნახე სამალი,  
თორემ აქ იქნება შენი სამარი, —  
შენ სხვაგან სხვა გითქვამს დანამალია!

ბულბულსა ვარდები დამრჩა ხარშია,  
გულზე გამიმრავლე წყლულის არშია,

არც კარაბადინში, არც დაუთარშია, —  
შენი მოცემული სხვა წამალია!

მითხრა: სარგებელი გექცა ზარალად,  
შიში და სირცხვილი გიჩანს არარად,  
თავს რალაზე იკლავ ცრულ და ვალალად, —  
შენ სხვაგან სხვა გითქვამს დანამალია!

ვეთხარ: რად გიბზინავს სირმისებრ თმები,  
გკონია, არ ვიცი ან ვერა ვხვდები?  
შენი სიყვარულით ვთავდები, ვკვდები,  
შენი მოცემული სხვა წამალია!

ვარ მეფის გვირგვინის-საკადრი თვალი,  
შირინი — ფარქადის ფიქრით დამდნარი,  
საიათნოვასი ვარ იმთავით ღარი,  
შენ სხვაგან სხვა გითქვამს დანამალია!

ხმა გამე, ნაწყენმა ნუკი გამწირე,  
ტალღა მკარ და როგორც ნავი ჩამძირე,  
კვდება საიათნოვა, მაღლი გასწიე, —  
შენი მოცემული — სხვა წამალია,  
წამალია, აა ამან, სხვა წამალია!

### ტურფავ, გზიკი პიკას ბაჰნებს

ტურფავ, მტერი ვერას გაგნებს, შარს ამბობენ, მართალია,  
ბალასინის სურნელი გდის, — ნაზს ამბობენ, მართალია,  
შენსა სიტყვას სვინაქსარის დარს ამბობენ, მართალია,  
ცისკარი ხარ, ნათელსა ჰყენ ცას, ამბობენ, მართალია.





წარბ-წამწამი შენი — ჰგავს თუ შეილდში ისრის ფხაა,  
 ტურფავ;  
 ვინ შეჰბედავს, — შენი ემზი მდინარისა რღენაა, ტურფავ;  
 ოცდაათსა ხიდს რომ გასცდეს, იქით კიდევე ღრმაა, ტურფავ, —  
 შემსველელისთვის სასიკვდილო კარს ამბობენ, მართალია.

შენი სახე — თაიგული, წელი — წერილი წნელივითა!  
 ოცდაათ ფერს შეიფერებ, ვერცერთს — ტულის ფერივითა!  
 მუშპარისას თვალთა აღმასს ათამაშებ გველივითა, —  
 ბნელს უცეცხლოდ გაანათებ, — აღს ამბობენ, მართალია.

სალამს სალმად არ ჩამიგდებ სულთან-ხანის სალამივით,  
 ეტრატვიით ხელები გაქვს, ენა — ოქროს კალამივით,  
 ზარუსარბაბის დროშა ზარ, დაირხვევი ალამივით, —  
 ხალხი იტყვის: შაჰი მოდის, ჯარს ამბობენ, მართალია.

ტურფავ, შენი დაშორებით მე ვიქნები განწირული,  
 ენატკბილო, სიტყვატკბილო, კბილი გშვენის ჩამძივული,  
 საიათნოვას სამოცდაათ შავი ხალით დასწვი გული,  
 ჩემს სიტყვასაც სამოცდაათ გვარს ამბობენ, მართალია.

## ყურს რომ ვიძღვებ

ყურს რომ გიგდებ, რა წმინდა ხარ, რა სუფთა და წყნარი, ძმაო!  
 შენ თასი ხარ, შიგ ასხია უკვდავების წყალი, ძმაო!  
 სმით ვერ გაუძებ, რძისა წყაროს შენ ხარ შესადარი, ძმაო!  
 შენ — ნავი და ქვეყანა — ზღვა, — გარს უელი ვით ქარი, ძმაო!  
 მემშინიან, მეც არ დამწვა, ცეცხლი ხარ, ხანძარი, ძმაო!  
 ემზის ცეცხლმა გული ფლითა,  
 სიტყვას გეტყვი არაკითა:  
 ჩემო სირმა-ჟერცხლის ძმაო,  
 დახვალ ოქროს ვარაყითა!

მაცოდნა, რას მიპირებს შენი ფიქრი, შენი ზრახვა!  
 განა მოხვალ ერთხელ მაინც, განა მეტყვი: „როგორა ხარ?“  
 დამწვი შენი ჯეირნობით, გულმა ბევრჯერ ივაგლახა,  
 ჩემი შენგან დაშორება ვინა თქვა და ვინა ნახა!  
 შემეყვარე, შემეძულე, გინდ მიყავ ამბობრი, ძმაო!  
 გეამბორო ა მ ბ რ ი თ ა,  
 ჯვარ-ხატისა დასტურითა!  
 ეინც შენ ცერად შემოგხედოს,  
 დააბრმავოს ცამ შურითა!

ბაასში ტოლს ვინ დაგიდებს, სიტყვას გიქვებ ასნაირსა,  
 მარგალიტის სიტყვას იტყვი, წმინდა წიგნის დარად ღირსა!  
 მთელ ქვეყანას სურნელს მოჰფენ, სუნსა ბალასინის ხისა,

შენაირად ეშხით დამწვევლს სხვას იტყვიან ნეტავ ვისა?!  
 ვაი, რა ბევრს გული დასწვი, რად ხარ ენამწარი, ძმაო!  
 მწარე ტკბილად გაიგონე:  
 შენი ეშხი არი თონე!  
 მწვავ და ამბობ, გაუძელო,  
 როგორ გავძლო, დამიმონე!



ჭკვა და გონი დამიბნიე, გულს მეყრები შანთივითა,  
 გულ-მუცელი დამიხრუკე, მათამაშებ ნარდივითა,  
 დამდაგე და ახლა ვითომ გულს გაწვები დარდივითა!  
 სიყვარულით დაგიხვდები, თუ მოხვალ ჯომარდივითა, —  
 გაიხარე, გამახარე, რაკი ხარ სტუმარი, ძმაო!

სტუმარი ხარ საყვარელი,  
 პატივი გცე საკვირველი:  
 საქმელები რაგინდარა,  
 წმინდა ღვინო ლალისფერი!

სატრფოს გზაზე დამდგარი ვარ, ვლოცულობ და ვამბობ: მოვა!  
 ეინ — ქვეყანა გადაჭამა, მე — შიმშილი შამრჩა, გლოვა!  
 გამთელე და გამამწარე, ვაჰმე, ბედმაც მიმატოვა!  
 განა მოხვალ, განა მკითხავ: „რათა სტირი საიათნოვა?“  
 შენი გული, წინათ სუფთა, ამღვრეული არი, ძმაო!

დაიწმინდე მღვრიე გული  
 და გაფრინდი ვით ბულბული,  
 მადლობა ღმერთს, ჭალაქში ხარ, —  
 ხანს გაანდე გული კრული!

## სიტყვას გეზყვი

სიტყვას გეტყვი, გულო, ყური დამიგდე:  
 კრძალვა-რიდი საქებარი — გიყვარდეს!  
 ქვეყანაც რომ შენი იყოს, რას აქნევ,  
 ღმერთი, სული, მეგობარი გიყვარდეს!

ღვთისმოსოში იყავ პირველთავათა,  
 ცხოვრებანი შეისწავლე მამათა,  
 სამმა რამემ სულით ხორცი ანათა:  
 წერა, კითხვა და დავთარი გიყვარდეს!

წრფელი იყავ, სუფთა, დაუფარავი,  
 არ ინდომო ლუკმაპური არამი,  
 საქმე ქენი — არ დაგცინოს არავინ,  
 დარიგება, თმენა წყნარი გიყვარდეს!

ნუ იქნები უშნო ამპარტავანი,  
 არ თქვა: ჩემზე მცირე არი მადანი!



ერთი გვიდგას ყველას სული მთავარი, —  
 ღარიბი და მგზავრ-სტუმარი გიყვარდეს!

საიათნოვავ, ნეტარ შენ თუ გასძელი  
 და სულისთვის ხორცს მიაგე სარჯელი!  
 თუ გინდა რომ აიცდინო სასჯელი,  
 უდაბნო და ღვთის ტაძარი გიყვარდეს!

### შენ იმთავით

შენ იმთავით სიბრძნე მოგდევს, შენ ვინა და ბრწყინ ვინა!  
 სიზმრად ნახულს ნეტა ცხადში რად მამრალეუბ არხეინად,  
 იმთავითვე დამწვარი ვარ, სულ წვა-დაგვა ვინ ითმინა!  
 თუ მოგბეზრდი, ის მითხარი, სხვას ნუ ჩარევ ორთა შინა.

მბრძანებლად ვინ შეგედრება, შენ ხარ როსტომ-ზალი, მეფე!  
 გვართა შორის ვინ იპოვოს შენი გვარის ცალი, მეფე!  
 თავი მომჭერ, თუ მე შენთან მჭონდეს რამე ბრალი, მეფე!  
 ღმერთს შეხედე, უმიზეზოდ, აბა, ვინ ვის აწყენინა?

კაცს ექიმი მისთვის უნდა, წამალს დასდებს, ტკივილს არა,  
 თუნდა ადამ ბევრიც საჯოს, ყმა დაიწყებს ჩივილს არა,  
 წრფელი იყავ, არამც ენდო ავ უნათა სივილს, არა!  
 კარს უკნიდან რაზე მაძლევ პასუხს ღვთის და კაცის წინა!

ყველას კი არ დაეღევა, სხვა წყლისაა ჩემი წყალი,  
 ვერცა ყველა ჩემ ლეკსს მიხედეს, — სხვაა მისიც ფხა და ძალი,  
 ფუძედ განა ქვიშა მიდევს, — ქვიტკირია და კლდე სალი, —  
 ვგრე უცებ რაზე მანგრევე, თითქოს ღვარმა გადურბინა.

ზღვას ქვიშა არ დააკლდება, რაც არ უნდა წყალმა რიყოს,  
 მჯელისს საზი სულ იქნება, თუნდა ვიყო, თუნდ არ ვიყო;  
 მოკვდე, — შენ თუ დაგაკლდები, ქვეყანა ბეწვს არ დაიტყობს, —  
 პინდ-არაბეთს ნუ სთხრი საფლავს ბეჩავ საიათნოვასთვის!

სომხურიდან თარგმნა.  
 ჯაფარ მადულაზიშვილი.



მედიკა საზღვარგარეთი

## ინგურსა და პრისწყალზე

პარტი კაცის შესანდობარი

საბალწლო სულრასთან მშენებლები ისხდნენ. ახალი წლის მილოცვა რიგაანად ჯერ არც დაემთავრებინათ, მშენებლობის საკითხებზე ჩამოაგდეს სიტყვა. სულრა საწარმოო თათბირად ნუ გადაიქციებოდა, ჯავრობს მასპინძელი, მაგრამ თვითონ უკვლავზე მჭურვალედ მონაწილეობდა იმ „თათბირში“. ხან მანქანების, ტრაქტორებისა თუ ექსკავატორების ნაწილების ნაკლოვანებებზე წუბდნენ, ხან საწვავის უზარისზომობაზე, ხან, ოცდობრმოდომეტრიანი არმატურის დავიანების გამო, ოცდობრმოდომეტრიანზე გადაანგარიშებასა და გადაზარჯვაზე.

— ეგ რამდენი გადაუწყვეტელი საკითხები გქონიათო, — იცინოდნენ ცოლები, — რაღაზე ამ სულრაზე არ მოიყრადით თავს, რა ვეშეველი ბოდაო, სად უნდა გეთათბირათო?

მოულოდნელად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ის სიჩუმე მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. შავიდახან უკვლავი თავდაზარებები ისხდნენ, მაგრამ თითოეულის ზელი მანც ერთდროულად მისწვდა ქეპას.

— ნოდარ ჭარბალაშვილის ბზონას გაუმარჯოს, — თათქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ერთმა, — აი, ვის დროს არ არსებობდა გადაუჭრელი საკითხები!

დანარჩენებმა ქეპებს თავი ისე წაუქციეს, მაღლა არ აუხედავთ. კაცები იყვნენ და ერთმანეთს ცრემლით დებიდულ მხერგას არიდებდნენ. რწმენით კი უკვლავს ურყევად სწამდა ნოდარის დროს გადაუჭრელი საკითხების არარსებობა.

მარტო იმათ კი არა, იმ ღამეს მთელ მშენებლობაზე მწელად მოინახებოდა ოჯახი, მემარმატურისა თუ უზნის უფროსისა, გვირბაგამუყანისა თუ ბულალტრისა, ნოდარი არ ესენებინა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ნათელი ხდებოდა ნოდარის ადამიანური ღირსებები.

იმათთან ტრიალებდა, თითქოს იმანთარი და იმათი მსგავსი იყო, რაც ხანი გადიოდა, მით საგრძნობი ხდებოდა საქმისადმი ის დიდი ბიუჯარული და ხალისიანობა, რაც ნოდარს სხვათაგან გამოსარჩევსა ხდიდა. მთელი მშენებლობის მთავარი ინჟინერი იყო, მაგრამ წვრილმანი, უმნიშვნელო და საზგალოოდ გადსახადები მისთვის არაფერი არსებობდა; რაც არ უნდა ეკითხებინა, ნოდარ ჭარბალაშვილი უკვლავდერს თანაბარი სერიოზულობით ეკიდებოდა. სხვანაირად ის ვერც დიდი ჰიდროტექნიკოსი და ვერც ჰიდროტექნიკოსთა დიდი სიყვარულის ღირსი ვახდებოდა, რადგან უკვლავზე გულმოდგინე კონტროლიორთან და შემმოწმებელთან — წუხლთან ჭქონდა საქმე. რაც სხვა საქმეში წვრილმანად ჩაითვლება, წუხლის კირკიტისა და მცდელობის გამო ჰიდროტექნიკაში კატახტროფად გადაიქცევა.

ვინ არ იცოდა, სამთო ფაქულტეტის უპინახეული კურსის სტუდენტი პოლიტექნიკურზე გოგოს სიყვარულის გამო რომ გადავდა, მაგრამ ამის გამო ღიმილი რომ ღიმილია, ისიც არავის შეუბედავს. იმ ქალიშვილს ჰიდროტექნიკაზე საუბარი აკვანზე ჩამოკიდებულ ჩხრიალის ბზობრთან ერთად ჩაესმა. მამამისი გოგორ-

გი ხიზანიშვილი ჰიდროტექნიკოსებში ცოცხალ-  
 ენციკლოპედიადად იხსენიებოდა. ქალაქში-  
 ლევიც ჰიდროტექნიკური სპეციალობის სახელ-  
 მწიფო სტიპენდიანტები იყვნენ, ბიკმაც იმ  
 ინსტიტუტს მიაშურა.

ნოდარ ქარხალაშვილის ქეშმარიტად იწინ-  
 არულმა ბუნებამ (თუ შეიძლება ასეთი გამო-  
 თქმა ვიხმაროთ) ბევრი შესაძლებლობებიდან  
 თავისთვის ჰიდროტექნიკოსობა აირჩია და ძნე-  
 ლია იმ ღვაწლისა და წილის დადგენა, რაც იმ  
 ქალაქივს, შემდგომი მისი ორა შვილის დე-  
 დას, მის წამდელი მემკობარსა და თანამოაზროვ-  
 ნეს ეკუთვნის.

მშენებლებს შორის მისი ავტორიტეტისა და  
 მისდამი სიყვარულის გაზრდის პირადმა, ადა-  
 მანურმა ღირსებებმა და თვისებებმა შეუწყო  
 ზელი.

სანდრო მენაბდე ჰიდროტექნიკოსთა წინა  
 თაობას ეკუთვნოდა, მაგრამ როცა თავისი ტუ-  
 პისცილის, აგრეთვე ჰიდროტექნიკოსის გაბო  
 მენაბდის ანალიზების პასუხების მიხაღებად მი-  
 დოროდა (ამ საუკუნის უღმობელი სენა, სიმსიფ-  
 ნე ექვევბოდათ), ნოდარ ქარხალაშვილი დაი-  
 მგზავრა, ამა ამაზე გულიანდა და მოსიყვარუ-  
 ლეს სხვას ვის ვიპოვიდომ!

მისა მისიერ სპეციალობა — სამთო ინჟინ-  
 რობა — ჰიდროტექნიკოსობას იდეალურად ერ-  
 წყმებოდა და ნოდარ ქარხალაშვილს ჰიდრო-  
 ტექნიკური ნაგებობათა საუკეთესო მშენებლად  
 აუღიებოდა.

სამი წელი გავიდა, მაგრამ, როგორც კი  
 მშენებლებს საქმე შეუფერხდებოდა: უპ, ის რომ  
 იყო, ამბობენ! თუ კი რაში უხარიათ: ნეტავ  
 ისიც ჰყენათ იყო, ნატარბენ.

ყველა დროის ხალხსა და ყველა ერსა სპირ-  
 დება ლეგენდა და ზღაპარი.

ჰიდროტექნიკოსებმა თავიანთი თანამედ-  
 როვე (გუშინ რომ კაშხალს ერთად აბეტონებ-  
 ღნენ, გვირახის პირველ სანჯარეს ერთად რომ  
 აფეთქებდნენ), გააღებდნენ, გაიადუღეს და  
 მისაბა, მაგრამ, მიუწვდომელ მავალითად გა-  
 დააკიცეს.

ენგურბეისის მშენებლის ოჯახში ბიკი რომ  
 იხატება, ნოდარს იმის იმედით არქმევენ, ეგბ-  
 ბა ცოტათი მაინც დაემსგავსოს. შვილს რომ  
 არიგებენ: ნოდარის მესამედი რომ გამოხვიდე,  
 კაცი დაგვრქმევო, ეუბნებიან.

სამი წელი გავიდა, მაგრამ წარსულ დროში  
 ჭრ არავის უხსენებია; სადაც არ უნდა იყ-  
 წენ — ვივარაშვი, ქვიშის კარიერზე, თუ ფეხ-  
 ბურთის ახლადგაქოებულ მოედანზე, ყველას  
 გვარდით ეგულება; ყველგან ცოცხალივით იხ-  
 სენიება.

მისმა სახელმა სხვა, ახალი და დიდი მნიშ-  
 ნელობა შეიძინა. ჰიდროტექნიკოსთა ოჯახში  
 ის საქმის დიდი სიყვარულის, საოცარი ენ-  
 თუზაზმის, დაუღვევი ენერჯიის, სიახლოვი-

საკენ სწრაფვისა და ადამიანისადმი უსაზღვრო  
 მზრუნველობის სიმბოლოად იქცა. კიდევ კი-  
 დევ ვაეკაობის სამბოლოად.

ადამიანებს ლეგენდები სულიერა ამაღლე-  
 ბისა და უკეთესი მავალითისაკენ სწრაფვისათ-  
 ვისა სტიმულია.

ნოდარ ქარხალაშვილი ენგურბესელთა მრ-  
 ვალათისათა ოჯახის პირველი ლეგენდა.

მისი სსოფნის სადღეგრძელო იყო, 1975  
 წლის მილოცვის შემდეგ პირველად ეს სიტ-  
 ვები ითქვა ენგურბესელების სუფრასზე.  
 ამინ!

**მისათვის ფილიგრანოზით**

ამდენი დიდ-მატარა გორაკი, ამ შუა ზამ-  
 თარში ასეთი მოყვანისფრო-მოწითალო ფერე-  
 ბი, გადას ხელეზივით აღერხისანი მზე, შტრე-  
 დისფერი, მოშავოდ იისფერი ზეცა, და თვალი  
 მაინც ვადაშავებული ფერდობისაკენ გარბის.

იმ ფერდობზე სამიოდე ბულდოზერი გულ-  
 მოდგინე ქიანჭველებივით მუყაითად დაღიან  
 ზევიით-ქვევით. მისი წვერისაკენ სამივე დაღ-  
 ლელ კაცივით ხელცარიელი მობაჭბაჭებს, ქვე-  
 ვით მოშავალი ზევიით აგორებული მიწის  
 ტვირთს ჩანიანად ეკიდება და მოუთმენლად  
 ათუბოუხებულ მანქანის ძარაში პირქვევებს.  
 ძარადამიმძლეული ბელაზები ერთი გაქავერბით  
 დაიფრუტუნებენ, შავ კვამლს ნიბუზმწველე-  
 ბივით გააბოლებენ და ბეტონის ვეება ფილე-  
 ბით მოფენილ გზაზე დააძვრებიან; ეს გზა —  
 ფსკერია მოშავალი არხისა, რომელსაც ახლა  
 რბი ნომერი ორი ჰქვია და რომელი ჰიარა  
 სიგარე საზოლოდ ოცდასამი მეტრი უნდა  
 იყოს, ზოლო ქანობი — ერთი — ორთან. არც  
 ფსკერისა და არც გვერდების მოპირკეთება არ  
 არის გათვალისწინებული, რადგან წყალი იმდ-  
 ნად მდორედ წარებართება, მათ წარცხვა არ  
 ეშუქებათ.

ბულდოზერები წინა კვირასაც ასე დიწად  
 დადიოდნენ ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზე-  
 ვით. ამ კვირის წინათაც. ზევით თუ ხელმო-  
 ცარულბით და ამიტომ დაარცხვნილბით ადიო-  
 ღნენ, ქვევით — სახლისტოლა მიწის გორას  
 ჩიქურად და ბეჭითად ეკიდებოდნენ.

ირველივე ყველაფერს შემოდგომის ფერები  
 შემოგნება. მიწაც მოწითალო-მოყვანისფრო იყო,  
 გადამშარი ხალხიც, ხეს შერჩენილი ფოთო-  
 ლიცა და თვით დაშისმელებული რტოები და  
 ტოტებიც. ამ წითელ და მხიარულ ფერებს  
 თითქოს ხალხით უნდა აეგოს გული. მზეც  
 აღურსიანად ელამუნებოდა სახეს, მაგრამ შემ-  
 ფოთებული თვალი მაინც ვადაშავებული ფერ-  
 დობისაკენ გარბოდა.

იმ ბულდოზერებს პროექტიით გათვალისწი-  
 ნებული ახი ათასი კუბური მეტრი მიწა რა  
 ხნის წინ ჩაეცალათ ბელაზების გაუშაძარ

სტომაქში და მანც ვერ მიყვანათ საქმე დამ-  
ში, ასაღები მიწა ვერა და ვერ გამოვიდით,  
არხის გვერდი ვერ გამოვსახათ, საზოგადო კმა-  
ნობი ვერ ჩამოყალიბებინათ. ზღაპარივით სა-  
კვარი იყო ამ ფერდობის საქმე: რაც შეტ  
მიწას აჭრდნენ, მით შეტად შევადგებოდა და  
მოჰავალი არხის კალაპოტს პირთამდე ავსებდა  
იხვე.

პარველი ნაპრალისათვის უფრადლება თათქ-  
მის არავის მიუტყვევია. იფიქრეს, ხარჭთადრიც-  
ხვამი შეტანალი მიწის რაოდენობა ცოცა ვა-  
დიდდება, ეს არის და ეკავო. ეს არ უყოფილა  
თურმე! როცა ექსკავატორმა ის ნაპრალი მო-  
კრა და მანქანაში ჩაცალა, თითქმის მთამ შე-  
რა იმისო, უფრო ზევით გაიკეთა ბზარი. ის  
ბზარი გაგანში ვავადა თანდათან, გაიზარდა,  
ძაბრივით ვავანიერდა და იმხელა თხარიადა იქ-  
ვი, შივ მანქანა ჩაუჩრდილებოდა. შერე იბარტ-  
ყეს ბზარებში, ზევით და ზევით იმარავლეს და  
თითქმის მთის წერს მიაღწეს.

შენებლები კონსტრუქციულ გადაწყვეტას  
თხოულობდნენ, პროექტანტები ვარიანტებს  
სთავაზობდნენ.

ეს არხი იმ კომპლექსის გავრძელება იყო,  
რომელსაც დროებითი ნაგებობანი ერქვა, რად-  
გან საქვეყნოდ სახელგანთქმული ინგურის კაშ-  
ხლის აშენებამდე უნდა ეცოცხლა და ბოვი-  
ნა. ამ კაშხლის დამთავრებამდე მას მდინარე  
ერისწყალით გადაადგებოდა ენგური უკვე ამე-  
ნებულ ოთხ გენსადგურამდე უნდა მიეყვანა, ეს  
სადგურები აგეშეშავებინა, რომ კაშხლის ცდა-  
ში უშოქმედოდ და უსარგებლოდ არა მდგარი-  
ყუნენ.

ბუნდოვანებმა დადგენილზე ორჯერ მეტი  
მოსკრეს. მიწა კი შევადგებოდა და შევადგებო-  
და. ღამის მთელი მთა ხდებოდა მოსაქრელი.  
მთის ფერდობზე ღრმად ჩაწოლილი მიკოპის  
თიხის პლასტები (გეოლოგიაში ასე ჰქვიან) მი-  
წას იცურებდნენ და არხის კალაპოტში სცილი-  
დნენ. დალით მიზულ მუშებს იმდენსავე და იმა-  
ვე საქმეს ახვედრებდნენ, ვითომც წინა დღეს  
ოფლი ეღვარათ კი არა, მხართოქოზე სძინებო-  
დათ.

გადაშავებულ ფერდობს შესეული მშენებ-  
ლები, გეოლოგები, პროექტანტები დასტაქრე-  
ბავით ავირდებოდნენ წამლობაკანძღებულ  
კრალიობებს, მთის თითოეული ახალი ბზარი  
აუპიანებეს შუბლზე ნაკეტებს უმრავლებდა.  
თიხიანი მიწა ფიცადებულვივით ებღაუქებოდა,  
ფებს იწებებდა, ზევით არ უშვებდა. ძალოვანი  
კვანძის უფროს უშანგი გოჯიშვილს ფეხიდან  
ჩექმა გააძრო. წელგაყვებული, გუშინ ლოგი-  
ნიდან ამ მიწყერის დარღმა წამოგადო. ისედაც  
კოქლობით დადიოდა, ახლა ფეხშიშველი,  
მტკარაქცეულ მიწაზე იდგა, ჩექმას ეჭაჭუ-  
რებოდა და ვერა და ვერ ერეოდა გაჩიუტე-  
ბულ თიხას. დანარჩენები ზევით მთის წერსი-

საკენ მიიწვდნენ. თვითონ მთა კი ქვევით ჩა-  
მოსახლებას ეშურებოდა. ცოტაც და ელიქტ-  
რონი დაფერდებული ანები სახლისტოლა სა-  
ჭირკვლებით, ტოტბდაგვერდებულნი, ხები,  
სიმწვანეშურჩინილი ბუნქებო, ჰქან-ქ ამოჩრი-  
ლი ვეგეტოთელა ლოვები საბეტონაწვეტოლა-  
ბავით ერთმანეთში ზათქითა და ღრიალით  
აარუოდნენ, ქვევით, უკვე გაჭრილი არხისაკენ  
დაეშვებოდნენ და ტოტების ლაწა-ლუწის, ქვე-  
ბის ზათქინისა თუ რკინის ქაბა-ტუბის ქოჭოხ-  
თური ხმაური აქუარობას შეორედ მოხვლასა-  
ვით გააუჩრდებდა.

პროექტანტების მშენებლებისა თუ გეო-  
ლოგების ქგუფი ახლა არხის მეორე ნაპარზე  
შეგროვილყო და უკვე მრავალქერ ნაფიქრსა  
და ნარჩევი ვარიანტების ადგილზე მორგებასა  
ცდილობდა. ცუდად დაუარული შეშფოთება  
თვალდებოდაც იკითხებოდა, ხმაშიაც იპარებოდა.

ბეტონის საურდენი კედლები არ ივარგებდა,  
ძვირიც დაჭდებოდა და ბეერი დროც დასჭირ-  
დებოდა. არც დახურული გაღვრებიც გამოდგე-  
ბოდა. ორი სექცია წყლის საანგარიშო ხარჭს  
ვერ ატარებდა, სამი და ოთხი საშუალისადაც  
ადიდებდა, ხარჭსაც, თანაც გაღვრების დაშა-  
დებაც არ ხერხდებოდა; სანამ ქარხანას შეუ-  
კვეთავდნენ, სანამ ჩამოწიდავდნენ და ადგილზე  
დაამონტაჟებდნენ, ვაჯუხულის წყალდიდობა  
ჩაივლიდა და გათავდებოდა.

ეს წყეული მიწყერო იხე მოულოდნელად  
გარნდნენ, ისეთ დაბურკობდად გადაიქცნენ, არც  
შეშოვლა ხერხდებოდა, არც რამე ეწაშლებოდა.

ვანა არხის ვაქრა რა უყოფილა, დღეს ასე  
რამ გააქნელა, როცა ჩვენს წელთადრიცხვამდე  
4000-2000 წლებში აშენებულა მიდროტექნი-  
კურ ნაგებობათა ნაკაფფი დღესაც არნა ეტ-  
ვიანისა და საბეტონების, რომისა და ჩინეთის,  
ასურეთ-ბაბილონისა და შუა აზიის მიწებს. ან  
ამ სმშორევე რათა ვწვდებით, როცა თამარის  
დროანდელი არხების ქსელს ჩვენი ქვეყნის მი-  
წისპირი თვალსაზივებლად იწახავს. შავრამ ეს  
არხი დროისა და თანის მოვების გულისათვის  
იჭრებოდა, ზევით ჩამოთვლილ ვარიანტებს კი  
იმდენი ღრო, ორგანიზაცია და ფული სჭირდუ-  
ბოდა, არხის და საერთოდ დროებითი კომპ-  
ლექსის აშენებას აზრი ეკარგებოდა. თუ და-  
უყვნდებოდა. თუ გაქვირდებოდა, ბარც თაღო-  
ვანი კაშხალი ემეწებინათ.

მშენებლები ჯავრობდნენ და ჩქარობდნენ.  
პროექტანტები საგონებელში ვარდებოდნენ.

გამოცდილება ყველა საქმის დედაბოძია, და  
მიდროტექნიკაშიც ის წარმატების პირველი  
საწინდარია. ხელოვნებისა თუ მათემატიკის ის-  
ტორია ბევრ უწვერულვავშოს იცნობს, ადრი-  
დანვე რომ მოხიხებებს დიდი ოსტატისა და  
მეტნიერის სახელი. მიდროტექნიკოსთა მრავ-  
ალრაცხოვან არშიაში კი თითებზე ჩამოთუ-  
ლება იმათი გვარები, ვინც კარგ ინჟინრობას

საფეოდალურების გაქვადრავებამდე მიადრწია. თუ არის, აქ არის წინა კაცი უყანის ზიდი, აშენებული ჰიდროტექნიკური ნაგებობა — ასაშენებლის ნიშნით და მაგალითით.

ვალდის მარჯვენა ნაპირი, ისევე როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ყველა მდინარისა (დუდამიწის თავის ღერძის ირგვლივ მოძრაობის გამო), მარცხენაზე ბევრად უფლებად. ეს ნაპირი რომ უზამველოდ შეწყერინა, ყველა კარგი ჰიდროტექნიკოსისთვისაც ცნობილი, მაგრამ როცა ენგურამდის პროექტის მთავარი ინჟინერს სანდრო მენაბდეის ჩიბაქსარქის არხის სურათები აჩვენეს, ეგონა ეხუმრებოდნენ და თავისი წყალხაგდები არხის (ნომერი ორის) დაშენებულ ნაპირებს აჩვენებდნენ, ისე ტყუილისცალებითაა ჰგავდნენ ვალდისპირეთის ძაბრისებური ნაპირების მზით ნალოლაკები ფერდობის ნაპირებს.

საინჟინრო აზრის ვენილურობა ზნირად მის სიმარტივეშია. ჩიბაქსარქებს ცოცხა სამწარტროლი ადგმა იმ დამწერლია და ვინ იცის რამდენისაგან დაწვეულია მიწა. წამლად კი საცურად მარტივი ნაგებობა იქცა. არხის შექმნილი გვირგვინი ქვის ბანკეტი აავსე და დასაცურებლად გამზადებულ მიწის ზედაპირს ოდნავ ააცილეს.

არაი მარტივია, მაგრამ ამ პროექტის განსახორციელებლად მესაათის ფილიგრანობა საკითრო ჭრე ერთი, მიწის სამუშაოები ქვაურითლის სამუშაოებს არ უნდა ასწრებდეს, მოჭრა და დაკრა თითქმის ერთდროულად უნდა ხდებოდეს. მერე, ქვებს შორის მიწის ნატამალი არ უნდა რჩებოდეს, თორემ ერთგანაც რომ აცურდეს ქვა ქვაზე, მთელი ბანკეტი დაიარღვევა.

საქმე საშური იყო და გადადებას არ ითმენდა. მენაბდეა და მთელი მისი განყოფილებისათვის თქმა ქმნად იქცა. სადღისოდ პროექტი მზადაა და მშენებლების ვეკაცურ ბელებს ელოდება, ხელმის, რომლებმაც ამკერად მათთვის უჩვეულო მესაათის სიზუსტე და სიუსუთავეც უნდა შეითვისონ.

აგრემც ხელი მოგმართოდეთ მავ საპირო და სასარგებლო საქმეში, მშენებლებში!

### თქვესმეტი მოგებული ომი

თითქმის სამსმეტრიანი კამხლის მიერ დაგუბებულ წყალი თხუთმეტკილომეტრიან გვირახს ოთხ ვენსადგურამდე მიმუხვს და ხუთი სადგურის (ერთი თვით კამხლთან შენდება) ამუშავებით მთელ ჩვენს ქვეყანას მილიონქვსასი კვ ენერგია ემატება.

გვირახის სიგანეც ათი მეტრია, სიმაღლეც იგი უმოთავრებად კლდოვან მახვიში გადის. არა თუ ჩვენს ქვეყანაში, ჰიდროტექნიკის ისტორია საერთოდ არ იცნობს ამ ზომის გვირახს. აქ

გამავალი წყალი გვირახის კედლის ქვევლ კვადრატულ სანტიმეტრს თექვსმეტი ატმოსფეროს ძალით დააწვევა. ერთი გვირახის დაპროექტება აღბათ ინტერული აზრის უჩვეულო სითამამედ უნდა ჩათვალოს (ანთიმა უჩვეულოდ თამამა აზრებმა და მათი შესრულებისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილიდან მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ გადაქცია). ადვილი წარმოსადგენია როგორი პასუხისმგებლობა სჭირდება მის აშენებას. გვირახის კედლები „200“ მარკის ბეტონით ბეტონირდება. ასეთ ბეტონს ორჯერ მაღალი მარკის ცემენტი ესაჭიროება.

მაგრამ რანაირი მარკისაც არ უნდა იყოს ცემენტი, თუ ბეტონის მეორე კომპონენტი — ქვიშა თიხის მხოლოდ ორ პროცენტს შეიცავს, ბეტონის მარკა კატასტროფულად ეცემა. ბეტონის ქარხნის მუშაკებს ასე თავიანთი და ასე უუროს გამომა სჭირდებათ.

კაცი ცოდვას ვერ დაიდებს და იმათ სიფხიზღეში ეტვს ვერ შეიტანს. მაგრამ ჰიდროტექნიკის კვლევითმა ინსტრუტმა ერისწყალში მიიწე „გადასახლა“ ერთი თავისი განყოფილება. ტექნიკის მეტწიერების კანდიდატის ვოკი ჭუშბურაძის ხელმძღვანელობით. ამ ჩუფუს, სხვა მრავალ საქმესთან ერთად, უკვე დაბეტონებული კედლების შემწმენდაც ევალება. ისინი „სინჯის“ ახლებად უკვე გამზადებულ კედელსა ხვრეტავენ, ბეტონის მარკისაც ამოწმებენ და კედლის გადაღმა დარჩენილ სიციარილებსაც, რადგან როცა აქურტობა წყლით გაივსება, ამ სიციარილებთა სიმრავლე და სიდიდე გვირახისათვის საბედისწეროდ გადაიქცევა. ხალხი მეტრიან სიციარილებს იკვლევს და ავსებს, ბუნება კი, გვირახის გარდ-გარდში, წარამარა ათ და ოცდაათმეტრის მღვიმეებს ახვედრებს. ვინ იცის, რამდენი საუყუნის წინ გაიკვალა ყმირის წყლებმა გზა, კლდე გაბურღეს და ვეებერთელა ნაჩალად აქციეს. თუ მღვიმე გვირახის კვეთში ზვდება, კიდევ არაფერი, მშენებლებმა მზარებს უურადლებით სინჯავენ, ასუფთავებენ, აფაროებენ და გვირახიდან ცხრა მეტრის სიქვეზე აბეტონებენ. ხალხი თვით გვირახს კარგა მანძილზე ბეტონისას კი არა, რკინაბეტონის კედლებს უშენებენ.

მაგრამ როცა მღვიმე გვირახს გვერდით უფლის, აი, მამინ უჩნდება თავსატემა მშენებლებს. იმ აცდენილი მღვიმეების ძებნაში ხანდახან ისევ წყალი მიკრიკობს, კედელში იწყებს ეონვას და მღვიმის მძებნელებს მიმართულებას აძლევს. სწორ გზაზე აყენებს. მეგვირახები უკვე დაბეტონებულ მეტრიან კედლებს გადაღმა კლდეს აფოტებენ და ხელის ცეცებით ეძებენ ხან მომცრო და ხან ვეებერთელა მღვიმეებს.

ყველა საქმის წარმატების საწინდარი დაოსტატება და პირადი ინტუიციაა. აღამაინს

ორივე ამ თვისებას გვირახბისა და მღვიმის დამუშავებაში გადაწყვეტი მიიღწეულა ენიკე-ბა, ჭერ ერთი, დაბეტონებული კედლების გადამა კლდე ისე უნდა აღუქმდეს, გვირახბს ნი-რს არ შეუცვალავს, მერე თვითონ კლდე არ და-ბზაროს, უპირის წყლებს გზა და სათარუსო არსად დაუტოვოს. მღვიმის დამუშავებისას კლდის პაწაწინა ნატივიც არსად უნდა ჩამო-ვარდეს, კაცი არ დაშავოს. დიდი მღვიმეები დამუშავებისას დიდ გასაქირსა ჰქმნიან. გზა-გაკვეთელი ყამირის წყლები თბულში და ოცი მეტრის სიმაღლიდან მოდგაუფრობენ და მოშხუიან, ერთმანეთზე გადაშლილი ხის კი-ბეებით მაღლა აცოცებულებს ისე უფიბენ ტანსაქველს, ნემსს არ უტოვებენ მშრალს, თვალბში ეშხეფებია, ისედაც ძლივს მძუ-ტავ ოცდათქვამეტ ვოლტიან ნათურებს (გვი-რახბში უშიშროების მიზნით დაბალი ძაბვის დენა გადის) თან ჩამოტანილ თბაში ჩამარხვით ეშუქებიან და დედამიწის ზედაპირიდან 400 მეტრის სიღრმეზე ჩამჭრალ ჭრუტ ადამია-ნებს ხელებს უბორკავენ, საქმეს უძნელებენ და უჭიანოვებენ.

მღვიმიდან გამოშვარებული შით ვალაუ-ბულ ქვეყანას ზედასლა დაბადებულებივით შე-ხარიან ყოველდღე.

ვინ არ ეძება იმ წყლების სათავე და საფა-ლი, ბერს ეცადენ დაეღვინათ: მღვიმეებში ვამავლ ყამირის წყლებს ჰქონდათ თუ არა კავშირი მთიდან აქა-აქ გამოშვალ წყაროებ-თან. რა არ იღონეს, მაგრამ ვერაუერს გახდ-ნენ.

— გეოლოგებმა ათი ტონა მარილი მიმატა-ნიებს და ზეითა წყლებში ჩამაურევიეს, — ისე სერიოზულად მყვება ძალგვანი კვანძის მთავარი ინჟინერი ივარი მისიურაძე, ბავს დი-მილის ნახაბი არ ეკარება, — მთხრეს თბილი-სიდან ლაბორანტი თავისი ლაბორატორიით უნ-და ჩამოყვანოთო. რომელ წყაროსთან ვაი-ვლიადი, ის ლაბორანტი პაწაწინა ტიქით არ შეგ-ხვედროდა. იქნა და წუალს ნება-ნება შეეცე-ოდა, ბუთი კუმბეტრი წყალი დღლია და თავი-სი ლაბორატორიით უკან ისე დაბრუნდა, ყამირის წყლების წყაროებთან კავშირი დაუ-დგენელი დარჩა.

— ჩემი მტერი ჩავარდა შენს პირში! — ოცინიან გეოლოგები.

შოქმელს კი ღიმიც არ ეკარება.  
— სანამ ეგენი კავშირს ადგენდენ, ჩვენ გვირახბს ვაშენებდით. თქვენსმეტი ვეებეროულა მღვიმე დავებეტონეთ, ერთიღა დაგვრჩა. ისაც დამუშავებულია, სავა დაბეტონებას დავი-წუბეთ.

ეგ არის, ადამიანისათვის ღმერთს ვაჯლილი ვაქირების დავიწყების უნარი მოუნიჭებია, თორემ თქვენსმეტი დაბეტონებული მღვიმე, თქვენსმეტი მოგებული ომი, ბუნებასთან უთა-

ნასწროს ბრძოლის შედეგია. უთანასწორო, რადგან შენს მხარეზე საკუთარი მოტრებების და მოსაზრებულობის გარდა. სხვა არაფერია რაც უფრო ღრმად შედიხარ მღვიმეში, მით უფ-რო პირველყოფილი ადამიანით უწიერი და უსუსური ხდები, რადგან ჩაქუჩისა და საკუთ-არი ხელების გარდა ვერაუერს იყენებ, თანაც შენსავე მოწინააღმდეგე კლდეს უფროთბლდე-ბი, არ უნდა დაბზარო, არ დააჩიანო, საიმი-დო საფარველობა არსად დაარღვიო, გვირახბის წყლით ვაცხების მერე თქვენსმეტმა ატმოსფე-რამ არსად არ უნდა ვახეთქას კედელი.

თუ მღვიმე გვირახბს ქვევიდან იქცავა, წა-რამარა წყალსაქაჩის ჩართვა გვირდება, რადგან ჩაქუჩის ორჭერ მოქნევაში წყალი კოჭებამდე ტბორდება.

აქ მომუშავეთა ბრიგადებს ვინემ რომ უთხარს — ბრძოლაგადაბიდებუნი და ვამარ-ვებულები ხართო, ხუმრობაში ჩამოგართმევენ, არათუ საკუთარი გმირობა დაიჭროს!

ამ სამუშაოზე, ისევე როგორც ბრძოლის ველზე, ლაჩარი და სულმოკლე ვერ გაჭაბანდე-ბა, ვერ იბოვინებს. გვირახბის კედლების ჩხა-ბეტონებელი ყალბები, წყალსაქაჩები, საინჟე-ციო მოწრობილობები. ტექნიკის ბოლოსიტყვაა, საერთოდ სამუშაო თითქმის მეტანიზირებულია, მაგრამ ამ თვალბდაბორილ და ნესტიან გვი-რახბში მუშაობა მაინც საქმის დიდი სიყვარუ-ლითა ვამირობებული.

ენგურმწენისათვის მუშახელი კარვა ხნის განმავლობაში პრობლემა ნომერ პირველად ითვლებოდა. დღეს ეს პრობლემა, ასე თუ ისე, გადაჭრალია. ახალგაზრდა მუშეები ხელობასაც სწავლობენ და ორ-სამ წელიწადში დაგროვი-ბული ხელფასით სახლებში დაბრუნებულები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ.

სახლებში დაბრუნებულები, რადგან მირ-თადად რუსეთისა და სხვა მოქმე რესპუბლიკე-ბის შორსულ რაიონებთან ჩამოსული უმაწ-ვალ-კაცებიდანა შემდგარი ახალგაზრდა მუშე-ბის ეს არიან.

**თავისნათქვამი კაცი**

სულ ცოტა ხნის წინათ ამ მხარეში ერთად-ერთი ქვის სახლ დადიანების სასახლე ყოფი-ლა. მერე აქა-იქ გამოჩენილა ავტორისა თუ ქვის სახლები, მაგრამ კახეთში დაბადებული და გაზრდილი, მერე დონაბასის შახტებში ქალაგა-მოვლილი და დავაუკაცებული გოჭა-შვილი ამ ათოთვე წლის წინაც გაუოცებია ხის სახლე-ბის ესოღენ სიმრავლეს.

— ჩვენი სახლი ასევე მეტი წლის წინ იყო აშენებული, მაგრამ ხისა მარტო აივანი ჰქონდა. ხის სვეტებიც ვაწვიეთ ჩაბლართული ჩუქურ-თმებით ავტრებლებინა ხელმადლიან ოსტატს, ამ სვეტების ზედა ძელიან შეუღლების ადვი-



ლები თითო უორქნის მარცვლისტოლა ნახერტ-  
ტეზიანი ჩუქურთმებით დაემშვენებინა.

გოჭიაშვილს, სიჯიუტის გამო, ცოლი ზურგ-  
უკან ქვის ნატებს ეძახის.

სანტექნიკოსი მუკავლა ამბობდა — მუშად  
გადაუყანა ვიზოვე, გამომშენებება დიდია და  
სახლის ასაშენებელა ფული გვიანდოდა დაგვი-  
გრძობინაო.

— მერე, რა ვუყოთ ძაღოვანი კვანძის და-  
სახლებს? რა ვუყოთ ამდენ სამსართულიან  
სახლებს, სკოლას, საბავშვო ბაღს, ადრე აშე-  
ნებულ ან ახალ სასტუმროებს. ეთილომომსახუ-  
რების კომბინატს! უველგან კანალიზაციაა შე-  
ქენილი, ახანანებია, საცაა ახალი საავადმუ-  
ყოც დაშავრდება; რომ ვიძახით — ეთილ-  
მონუმილი ბინები გვაქვს, მომსახურება არც-  
ერთს ქობაქტისას არ ჩამოუვარდებაო. ყოველივე  
ამას ხომ კარგი სანტექნიკოსი სჭირდება? —  
ისე რბილად შიშობრა უარი, ვაფიქრე მეორე  
თხოვნაზე დამთანხმდებოდა. მეორე კი არა, მე-  
სამე განცხადებზეც იგივე წამიწერა. ქმარმა  
მორჩა: თავი დაანებე, ფულის გულიანთვის  
ნავიკოვაც ნუ გააჭავრებო. ისეთი თავის-  
ნათქვამია, რაკი ამითვე აღარ გადათქვამს.  
სხვა არა იყოსრა, უფრბულია. ახალ და კეთილ-  
მონუმილ სახლში თითქმის უსასყიდლოდა  
ვესოვრობთ და საყუთარი სახლის აშენების  
გულისხთვის საქმეს ვუღალატოთ?! ჭერ ახალ  
ვაზრდები ვართ, აშენებას მუდამ მოვეწარები-  
თო.

ტელეფონზე დაპარაკი მორიგემ მოულოდ-  
ნელად შეაწვეტინა ყველას. ხაზზე გოჭიაშვი-  
ლია, ხაზწრაფოდ ისარებს უბნის უფროსებს,  
განყოფილების გამგეებს, კომიტეტის მდივ-  
ნებს. ის რომ საქმეს საწრაფოს დაარქმევს,  
ისეთ სამკაცრეს იჩენს, იმის დახანება და ამ-  
ყოვნება აღარ შეიძლებაო.

„ქვის ნატები“, „თავისნათქვამა“ და „მკაც-  
რი კაცი“ შეიღებში ჩამჭდარა და მეორენებე ქა-  
ბუკეთით თვალუბდანილული, სიყვარულით  
იგონებს როგორ მიადგებოდა ხოლმე დილის  
მზე ასი წლის წინ გამოზარბულ რაეულებთან  
იივანს, თითა უორქნის მარცვლისტოლა ნახერ-  
ტებში როგორ აფეიტებოდა და ქარვისფერ  
იატაქზე როგორ იდუნდა ვაზეგიით ჩახლართულ  
ჩუქურთმების ქაღალხურ ჩრდილებს. იგი უნე-  
ბურად ადარებს იმ ასზე მეტი წლის წინათ  
აშენებულ ქვისა თუ აგურის სახლს გზის პირას  
სამწერავებული ვილებითი თავმომწონე აქაურ  
სახლებს.

აქაურებს არც ჩუქურთმა აქვთ, არც ხის აი-  
ვანი. ბეტონის მძიმე კიბე მეორე სართულზე  
ბეტონითვე ამოშენებულ აივანზე ადის. მოა-  
ქარბივ უმთავრესად თოვლისფერი აქვს,  
კარფანჯარაც, ცისფრად, მწვანედ ან ვარდის-  
ფრად შედებილ სახლებს ეს თეთრი არშია

ისე ძლიერ უხდება, ღამის თვალი ზედ დარჩის  
მნახველს.

ქერაც არ დაბერებულა ის თაობა, სამერ-  
ზაყანოში ცხენით რომ დადიოდა და სხაბუღ-  
მასილას კამეჩებით ევალებოდა, რადგან მჭერ-  
რობას, უგზოობის გამო, სხვა არა უღებოდა-  
რა.

დროებითი კომპლექსის სათავე ნაგებობიდან  
უკან მობრუნებულ სანდროს მენახდეს მუშა-  
ნახაზების ზედგეგმის ჩატვის უფროსი შოთა  
მეფარიშვილი ედავებოდა — სატრანსპორტო  
გზა მდ. ერისწყლის ნაპირისათვის უნდა გაგვი-  
ყოლებინა, ვაცილებით მოკლევ გამოვადოდა  
და იათუც დაქვებოდაო.

შენახდე გაციდა.  
— მერე სოფლები?

მოდა, სოფლები? ამ სოფლებს გამო ენ-  
გურბებისათვის აშენებული გზა კიდევ გა-  
გრძელდა და კიდევ დაიკლავა. სამაგიეროდ,  
თითქმის ყოველი სოფელი გზისპირას აღმოჩნ-  
და. ის კომწა სახლები დაბეტონებული გზის  
წყალბობა, რომელიც ენგურბებლებმა გაი-  
ყვანეს და რომლის საერთო სიგრძე 840 კილო-  
მეტრს აღემატება. აქაური ქაობების დაშრობაც  
ენგურბების დაშობურებაა.

ყველა დიდი, სარკებლიანი და მამულიშვი-  
ლური საქმე მსხვერპლსა ხოთოლობს. ამ საქი-  
როს და გიგანტური ზესის მშენებლობას შიშის  
ორწობებში გამომწვედეული, კალაპატის სი-  
ვიწროვის გამო ამხედრებული და ამოზარტე-  
ბული ენგური ემსხვერპლა. სიღამაზის ქვეშა-  
რიტი ძალა აღბათ მის შრავალგვარობაშია. ენ-  
გური თავისი სიძლიერით, ამბოხ და დაუშორ-  
ილიბელი სულით, საოცარი ენერგიათ, თა-  
ვისუფლებიასკენ სწრაფით. ბორგვისა და  
დღეილის ძალით ბევრისმნახველ თვალსაც ატ-  
ყვევებს, და იმისასაც, თავისი ენოს ზღუდეს  
რომ არ გასცილებაო.

აი, ამ ენგურს გამოუტანეს განაგენი პრო-  
ექტის ატკორებმა. მათ ენგურის ჭვარწენთან  
დამწყვედევა და მერე სადაც, მიწის სიღრმე-  
ში თხოთმეტკილომეტრთან გვირბაში ვიდრე  
მეუ ზღვამდე ჩაეიტვა გადაუწყვეტეს. მისი სი-  
ღამაზის თაყვანისცემლები ვეღარც მის ხმას  
გაუგებენ და ვეღარც უაღუყრე შემდგარ ტალ-  
ღებს დაინახავენ.

თითქოს სანაცვლოდ გალის წუაღასაცაი შე-  
მოგვთავაზეს. დიდ-მატარა გორაკებში მოულო-  
დენელად და ნებვირად წაწლილი ზღვისოდენა  
წყალსაცაი მზეზე სარკესავით ღალაპებს.  
ჩვენს ქვეყანაში იგი ერთ-ერთი საუკეთესო  
ჯამთრას ბაზა აღმოჩნდა წყლის სპორტისათ-  
ვის, რადგან მისი ზედაპირის რხევა თითქმის  
შეუმჩნეველია.

ფილიპე მახარაძე

## ქვეყნის მთავარი მოედანი

როგორც ყოველივე ცოცხალი მიისწრაფის მზისაკენ, ისე ყოველი ადამიანი წითელი მოედნისაკენ იღტვის. იგი მაგნიტური ძალით იწოდვას უკვლავს.

რომელი საბჭოთა ადამიანი იქნება, რომ მოსკოვის მიწაზე ფეხი შედგას და აქეთ არ გამოეშუროს?

რომელი ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობარი აუტლის ვერდს ამ წმინდათაწმიდა ადგილს და არ მოვა კრემლის უკვდავ კედელთან?

წითელი მოედანი ზომ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის გულია.

ამიტომ ეს ორი დიდებული სიტყვა უკვე პროგრესული ადამიანისათვის მახლობელია, ძვირფასია დედამიწის უკვე კუთხეში.

\* \* \*

უნიკალურ კადრებში დაცულია წითელი მოედნის ხედი, როცა აქ გამოდიოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

წითელ მოედანზე, სადაც მაშინ ტრამვაის ხაზი გადიოდა, დაძველებული საბარგო მანქანიდან ფრონტზე მიშავალ რევოლუციის ჭარისკაცებს მიესალმებოდა ილია.

ეს იყო 1919 წლის 25 მაისს, საყოველთაო სახედრო სწავლების პირველ წლისთავზე; 1918 წელს, პირველი საპირველმაისო პარადის მიღებისას. ლენინს ახარებდა ერთადერთი თვითმფრინავი, რომელმაც მაშინ იმპროვიზებულ ხის ტრიბუნას გადაუფრინა.

ისტორია არ დაივიწყებს 1941 წლის 7 ნოემბრის პარადს. აქ, ამ მოედანზე ფრონტზე მი-

მავალმა სამხედრო კოლონებმა ჩიარეს მავსო-ლეთშის წინ და გაემართნენ იქითკენ, სადაც მოსკოვის ბედი წუდებოდა. მათ სწამდათ, სჯეროდათ, რომ შიღოდნენ გამარჯვებისაკენ, უკვდავებისაკენ.

მთელი ქვეყანა ისმენდა ი. ბ. სტალინის სიტყვას. 20 წუთს გაგრძელდა ეს ლეგენდარული პარადი წითელ მოედანზე.

ისტორია არ დაივიწყებს 1945 წლის 24 ივნისის პარადს — გამარჯვების პარადს.

აქ, ამ მოედანზე, ლენინის წმინდაწმიდა საფლავის წინ, მოკრძალებულ დუმილში დაეწყვნენ ათი ფრონტის ნაქრები პოლკები. აქ იყვნენ უველაზე სახელმოსხვეჭილი მეომრები ჭერისკაცებიდან გენერალისიმუსამდე, რომლებმაც მთელი თავიანთი საბრძოლო გუნა სახელმწიფოდ განვლეს. ნაქრები ორკესტრი 1.400 კაცის შემადგენლობით უკრავდა მარშს. მებრძოლები, რომლებსაც ხელი ორასი ნადავლი, ძირსღაშვერული ფაშისტური დროშა ეჭირათ, მკვეთრად შებრუნდნენ მავსოლეთშისაკენ და დაყარეს ისანი, ორ საათს გაგრძელდა ეს ლეგენდარული პარადი.

გავიდა ხანი და წითელ მოედანზე გაიმართა პიტლერულ ვერმინაზე გამარჯვების 20 წლისთავის ზეიმი. ძვირფასი ისტორიული რელიკვია — გამარჯვების დროშა მოქმნდა რაიხსტაგის იერიშის-მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს, პოლკოვნიკ კ. ი. სამსონოვს. დროშასთან ასისტენტებად იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირები — თადარიგის სერჟანტი მ. ა. ეგოროვი და თადარიგის უმცროსი სერჟანტი მ. ვ. ქანთარია, რომლებმაც ეს დროშა 1945 წლის 1 მაისს

ღამით აღმართეს ფაშისტური არისტოკრატის შენობაზე.

დღემწინავე გაიზარდა ადამიანთა ახალი თაობა, მაგრამ დღეცა თვის ვაკანდებენ ომის შემორკნული ჭრილობები, დანაკარგებით გამოწვეული ტრაგიკულობა. არაბოლებს არ გაუღებურდებია სახალხო ბილიები მშათა საფლავისაკენ. ჩვენი სახლი არ დაივიწყებს შვილებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. ვმირები მარად იცოცხლებენ ხალხის საქმეებში, სიმღერებსა და დღეგანებებში!

აქ, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმთან ყოველი გაფრენის წინ მოდიან ჩვენი სახელოვანი კოსმონავტები.

აქ, წითელ მოედანზე მოდიან დემონსტრანტთა საზეიმო კოლონები ყოველ ნოემბერს, ყოველ მაისს, ისინი საზეიმოდ პატაკს აძლევენ პარტიას, მთავრობას, რომ დღეი ლენინის საქმეში ცოცხლობს ჩვენი დღევანდელი ვმირულ პერსონაჟი, ლენინის ანდერძი მოქმედებს და წარმართავს ქვეყანას.

წითელ მოედანს ბევრი რამ უნახავს თავისი არსებობის მანძილზე. მას რომ მეტყველება შეეძლოს, ბევრ ამაღლებულ ამბავს გადმოგვცემდა. სახელწოდება „კრანია“ (წითელი) სლავურად ნიშნავს „კრანია“-ს (ღამაზს), რაც ამ მოედანზე XVII საუკუნეში მიიღო.

1812 წელს წითელ მოედანზე გავლით შევიდნენ კრემლი პოლონელი ინტერვენტებისაგან მოსკოვის განმთავისუფლებელი რუსი მეთაურები, სახალხო ვმირები — კულშა მინინსა და დემეტრი პოვარსკის მეთაურობით, 1818 წელს აქ გახსნეს ამ ვმირთა ძეგლი წარწერით: „მოქალაქე მინინის და თავად პოვარსკის — შადღერის რუსეთი, 1818“. წითელი მოედნიდან დაიპრინენ საბრძოლველად დემეტრი დონელოს რაზმები, კრემლის, წითელი მოედნის გავლით მიდიანდებ პეტრე პირველის მემორიალები, რათა პოლტავის გამარჯვების ვმირგვინი დავუგათ თავიანთი სამშობლოსათვის, აქვე ვაიარეს აღქსანდრე სუფოროვიცა და მიხეილ კუტუპოვის სახელოვანმა ჭარისკაცებმა.

1871 წელი. წითელ მოედანზე საწამებელი ადგილიდან ფორანზე მიტრული მოიყვანეს გლეხთა აქანებების ვმირი ბელადი სტეფანე რაზინი. ის ბორკილებში მყოფიც შეიშის ზარსა სცემდა მჩაგვრელებს, რაზინი დასაქვს — ხელფები და თავი მოკვეთეს, მისი სხეული აკუნებს, სარტზე წამოაგებს და შესაძლავად მოედანზე დაწოვს. ელენიამ ის დაწვეულა, მაგრამ ხალხმა მისი ნათელი ხსოვნა შეინახა და განდიდა თავის სიმღერებსა და თქმულებებში.

წითელ მოედანს ახსოვს იმერლიანე პუგაჩოვიც. 1774 წელს მტაცებელი ცხოველივით ვალიაში გამოწყვედილი მოსკოვში ჩამოიყვანეს, რვა თვეზე მეტ ხანს ვაგვრებლად „ძიება“, პუგაჩოვი წითელი მოედნის კუთხეში მდებარე ზარახანის

შენობაში პუგაჩოვი გამოწყვედილი, ერთი წლის შემდეგ იგი ხალხის წინაშე გამოიყვანეს და პოლოტინის მოედანზე დასაქვს, პუგაჩოვის მშველად, ღირსეულად ეცხრა თავი. მან დასჯის წინ ოთხივე მხარეს დაუტრა თავი ეშაფტის ირგვლივ შეკრებულ ხალხს და სწამაღლა თქვა: „მომიტვე, მართლმადიდებელი ხალხო, შემინდე, რაშიც შენ შეგცოდე“. ეს იყო მისი უყანასკნელი სიტყვები.

წითელ მოედანს ახსოვს, როგორ დატოვა ნაპოლენმა მოსკოვი, 1812 წლის 6 ოქტომბერს ფრანგები იძულებული გახდნენ წაუშლიყვნენ მოსკოვიდან. მარშალ მორტიეს, რომელიც უყანასკნელი ტოვებდა ქალაქს, იმპერატორმა უბრძანა აეფთქებინა კრემლის კედლები და კოშკები. ცეცხლი წაეცილებინა ყველაფრისათვის, რაც სექტემბრის ხანძარს ვადარჩა. ეს საშხედრო აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ნაპოლენის ამოქმედებდა მხოლოდ სიძულვილი რუსი ხალხისადმი, რომლებმაც მას ასეთი მედვარი წინააღმდეგობა ვაუწია. საშხედრო დისციპლინისადმი დაუდევარმა ფრანგმა ჭარისკაცებმა, საბედნიეროდ, სიხუსტით არ შეასრულეს სარდლობის ვანკარგულება, ხოლო უფრად წამოსულმა თქემმა ხელი შეუშალა ცეცხლის გამჩაღებებს. ქალაქში დარჩენილმა რუსმა პატრიოტებმა თავგანწირვა ვამოიჩინეს და ამფთქებელი ჭურვების პატრუქები ბევრ ადგილას ჩააქრეს. მიუხედავად ამისა, ნგრევა მაინც დიდი იყო, აფთქებებისაგან დაწიანდა კრემლის რამდენიმე კოშკიც.

1917 წლის ოქტომბერი. დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქა. იმ დაუფწყარ დღეებშიც ბრძოლის ვადამწვევტ ადვალს წითელი მოედანი წარმოადგენდა, რევოლუციონრმა რაზმებმა აიღეს კრემლი, 10 (23) ნოემბერს მოსკოვი უყანასკნელ ვზაზე აცხადებდა 250 მებრძოლს, ისტორიამ ვერ შემოინახა ყველა მათგანის სახელი. ასე შეიქმნა რევოლუციური პანთეონი, ამერიკელმა მწერალმა ჭონ რიდმა და ურნალიისტმა ქალმა ბიტი ბისმა ცნობილ წიგნებში „10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ და „რუსეთის წითელი ვული“ ამაღლებულად აღწერეს მათი დავრძალვა წითელ მოედანზე.

1918 წლის 7 ნოემბერს კრემლის კედლიდან დაღუპულითა უყვადვხყოფად ვაიხსნა მემორიალური დღე. სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, შემდეგ ვამართა პირველი საოქტომბრო დემონსტრაცია, უფრო ადრე კი — მაისში წარმოიშვა საპირველმართო დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია.

ჭერ კიდევ ვანთიადის ბინდ-ბუნდში იმართება კრემლის კედლებთან წარმოუდგენლად გრძელი რიგი. ასეა ყოველდღიურად დაუთქვარი 1924 წლიდან...

მილიონებმა ნელი ნაბიჯი ვანდლეს ეს გულის მოწოდებით ნაკარნახევი, მუდამ ჩაფიქრე-

ბუღი და უჩვეულოდ მოკრძალებული რიგი. რიგი — ლენინთან.

მოდან ისინი, ვისაც კი წილად ხვდა მონაწილეობა მთელი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ენება ცოცხალი ლენინი და მოგზივნა მისთვის.

მოდან ისინი, ვინც ძველად ნგრევას, შიმშილს, სიღატაკს, რაც ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა დაგვტოვა, ვინც საძირკველს უარბოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას, მის ახლანდელ ძლიერებას.

მოდან ისინი, ვისაც წილად ხვდა სახტკიო ბრძოლა ფაშისტურ ურდოებთან, რომლებიც ცდილობდნენ ამოეწვივითა და დაემონებინათ საბჭოთა ხალხი, წაერთმიათ მისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მოდან ისინი, ვინც თავდადებოდაც ზღაპრულად მოკლე ვადაში იქნა აღდგენილი ნაპარტუტად ქვეყნის სოფლები და ქალაქები, მოდიან საეხმეო ახალგაზრდები, ვინც მამათა საქმე უნდა განაგრძოს.

თითოეული მოდის თავისი იდუმალი ფქვრით ლენინზე, მაგრამ თვითუფლის გულში ერთი და იგივე სახეა იმისა, ვინც თავისი აზრის გიგანტური მოშობით ხულოდრად გაამდიდრა ადამიანთა მოდგმა.

სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობა იღებს ისტორიულ გადაწყვეტილებებს: სსრ კავშირის II სრულიად საკავშირო ყრილობა ადამტურებს საბჭოების XV სრულიად რუსეთის ყრილობის ქვემოთყვანილ 1924 წლის 22 იანვრის დადგენილებას.

„მოსხმინა რა ამხანაგ კალინინის ცნობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შესახებ, საბჭოების XI სრულიად რუსეთის ყრილობა ადგენს:

21 იანვარი გამოცხადებულ იქნას გლოვის დღედ“.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე დადგენილება „ვ. ი. ლენინის საფლავის შესახებ“.

ყრილობა ამტკიცებს სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის 1924 წლის 25 იანვრის შემდეგ დადგენილებას:

„იოვალისწინებს რა სურვილს, გამოთქმულს მრავალი დღეგაცვის მიერ სსრ კავშირის ცაკში გამოგზავნილ მინიარეგებში, და იმ მიზნით, რომ უყველა მსურველს, რომლებიც ვერ მოასწრებენ ჩამოსვლას მოსკოვში დაკრძალვის დღისათვის, მიეცეს შესაძლებლობა გამოეთხოვოს საუვარედ ბელადს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. კუბო ვლადიმერ ილიას ძის ცხედრით დაცულ იქნეს აკლამაში, ეს უკანასკნელი კი გაეთდეს ისე, რომ მნახველებს შეეძლოს შესვლა.

2. აკლამა აიგოს კრემლის კედელთან, წი-

თელ მოედანზე, ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლთა ძმათა საფლავებს შორის“.

ხელს აწერენ: სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის თავმჯდომარე — მ. კალინინი, სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის მდივანი — ა. ენსქიძე.

ეს საბრძოლო დროშები არასოდეს არავის წინაშე არ დახრილან და ყოველთვის ფრთხილდნენ მოაერინე კლასის წინ. და აი, მრავალ გამარჯვებოთა დიდებით შემოსილი ეს დროშები სათუთად გადაეფარნენ პროლეტარიატის უდიდეს ხარდალს.

პირველი მავზოლეუმი ოდნავ ჰგავდა ახლანდელს. მიწის ზედაპირს სცილდებოდა მუქრუხი კუბო, რომელიც მთავრდებოდა მცირე სამსაფეხურიანი პირამიდით. მისი სიმაღლე დაახლოებით სამი მეტრი იყო. კრემლის კედლების გასწვრივ და მავზოლეუმის არგვლანთვლზე, მის საფეხურებიან საბურავზე იწყო ასობით გვირაგინი, რომლებსაც ჰქონდათ წარწერები ევროპისა და ამერიკის, აფრიკისა და აზიის ხალხთა ორმოცდაათობმეტ ენაზე. თვე-ნახევარში ბუნადი ინახულა 100 ათასზე მეტმა ადამიანმა.

თებერვალში არქიტექტორმა შტუსცივმა მიიღო ახალი დავალება: გადაეკეთებინა მავზოლეუმი ისე, რომ მისთვის მოწოდებულყო, არქიტექტურულ-მხატვრული ფორმა მიეცა. 21 თებერვალს მთავრობის კომისიამ დაამტკიცა მის მიერ წარდგენილი პროექტი.

1924 წლის გაზაფხულზე დაიწყო ახალი ხის მავზოლეუმის შენება. 1 მაისისათვის აღმართა მუქი უავისფერი აკლამა. იგი ძლიერ ჰგავდა ახლანდელს, გრანიტისას. 1924 წლის 1 აგვისტოს მავზოლეუმი გაიხსნა შშრომელთათვის.

1929 წელს საბჭოთა მთავრობამ დაადგინა აგებულოგი მუდმივი, ქვის მავზოლეუმი.

სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმმა განაზღვრა პირველი კონკურსის პირობები, დააწესა 10 პრემია და დაავალა კომისიას ა. ვ. ლუნაჩარსკის მეთაურობით განეხილა პროექტები.

მაგრამ გამოცხადებულ მსოფლიო კონკურსს არ მოჰყოლია დამაპყროფილებელი შედეგები. ამ დროისათვის კი შტუსცივისეული საფეხურიანი მავზოლეუმი ცნობილი გახდა ჩვენი პლანეტის უყველა კუთხეში. ამიტომ მთავრობამ დაავალა მის ზუსტად განეხაზვიერებინა ქვაში ლენინის აკლამა.

1929 წლის ივლისში წითელ მოედანზე მოსულმა მშენებლებმა პირველად ააგეს არა მავზოლეუმი, არამედ მისი ზუსტი ასლი. ხის მაკეტს მისცეს მომავალი გრანიტის აკლამის გარეგნული სახე. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ გამოჩენილიყო, თუ როგორი იქნებოდა იგი. მაკეტი დაათვალიერეს მთავრობის წევრებმა, მათ დაამტკიცეს იგი. გადაწყდა, რომ მავზოლე-

უმე უნდა ავტოკრატიული მშობლივად სამართლიან მართლმადიდებლობას.

განსაკუთრებული პატივი ზედა წილად გოლოვინს. ბუნებრივ უხვად დაუჭილდობია მისი წილი. აქ, თოტონის ახლოს, არის შვეიციის ლაბრატორი დიდილოვნი (ღია ლურჯი) მარჯვნივ, არის აგრეთვე წითელი და შავი გრანიტი. ეს გოლოვინის კარიერაა, რომელსაც უკანანის გრანიტის დედაქალაქს უწოდებენ. კარიერის სავანურში სამთო სამჭროა. აქ ამოღების სამუშაოებს აწარმოებენ: აცლიან მიწის ფენას — ამოწმებენ ქვას, მოწილითებს აცალკეებენ მიწისაგან, ჰყოფენ „უბიკებად“, რომლებიც ხუთ-ათ ტონას იწონის, და შემდეგ დასამუშავებლად სხვა საამქროებში გადაქვთ.

ახლა ამ კარიერის მუშებს აქვთ ტექნიკური ინსტრუმენტებიც და ავტომალოტო რატოული პერფორატორები, რომლებიც საკუთარი სიმძიმით იჭრებენ გრანიტში. ოდესღაც კი აქ ერთადერთი ინსტრუმენტი იყო ქარი.

ეს კარიერა გახსნეს ასი წლის წინათ, ამ მხარის მთელი მიწები მისი მემკვიდრის საკუთრებას შეადგენდა. ერთდღე მისმა ცაცებმა დაიჭირეს სოფელი მწვემში. მოკლაქეს გუდა, და მასში აღმოჩნდა რამდენიმე გამარჯვებული შვეიციელი ბაი მარჯვნივ; შემამუღეს ეს რომ გაიგო, ბრძანა გლეხის მოყვანა:

- სად იბოვე?
- ტყის იქით, გოლოვინთან...
- სტუი, იქ მარტო რუბი ქვა მინახავს.
- თუ მას დიდხანს გახეზავთ, ეღვარებას დაწვებს.

მემამულე ჩაფიქრდა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ თვით პეტერბურგიდან მოიწვია სპეციალისტები. დიდხანს აკვირდებოდნენ ისინი, თხრადნენ, იკვლევდნენ, შემდეგ კი შეპატრონეს განუცხადეს, რომ მის საფლობელოში ერთი მტკრი ფენის ქვეშ გაბიწულია ლაბრატორიის უკიდევანო ქვიდი, ასობით მუშა ქარიხი იღებდა მშვენიერ ქვას მეფისა და გუბერნატორების სასახლეებისათვის და ქვის ეს კატორა ვრძელდებოდა 1917 წლამდე.

რევოლუციის ქარიშხლის შემდეგ, როცა პოლო მოეღო ომებს და შიმშილს, კარიერი კვლავ გამოკოცხლდა. ტუმბოებით ამოქაჩეს წყალი და დაიწყო ქვის ამოღება სახალხო საჭიროებისათვის.

1924 წლის იანვარში, მთელ ქვეყანასთან ერთად, ქვისმჭრელი მუშებიც გლოვობდნენ ლენინს; მათ მაშინ არ იცოდნენ, თუ რა პასუხსაკები დავალების შესრულება მოუხდებოდათ რამდენიმე წლის შემდეგ.

მოსკოვიდან გოლოვინში ჩამოიტანეს მავზოლეუმის მინიატურული ფირფიცარიის მკეტი. ის მოპირკეთეს სამშობლოებთანაა ფილემით და გავაზენეს დასამტკიცებლად.

ერთ საღამოს კარიერის დირექტორმა იხუო საუკეთესო მუშები, ამოიღო ქალაქი და თქვა: მოსკოვიდან არის. მთავრობა გვაჯალბებს ქასუსსაგებ და დიდ საქმეს...

გადაწვდა ხუტორ გოლოვინსკაია-პოლომდკასთან მოქრათ შვეიციის ლაბრატორიის სამოცათასტონიანი მონოლითი, რომელზეც უნდა გაკეთებულიყო წარწერა — ლენინი; მთელი ქვეყანა ცდილობდა მიეღო მონაწილეობა ბელადის ძეგლადგამის მშენებლობაში. კარგულიდან, მოსოფლიოში ერთადერთი საბადოდა, ჩამოიტანეს წითელი კვარციტი, რომლითაც უნდა გაკეთებულიყო ძვირფასი წარწერა — ლენინი. ამ ქვისგანვე გაკეთეს სამგლოვიარო დარბაზის სადა პილიასტრები და მავზოლეუმის სულ ზედა ფილი. ეს უკანასკნელი დაადგეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან (რუსის, ამერკავსიის ფედერაცია, ბულგარეთი, უკრაინა, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი) ჩამოტანილა სხვადასხვა ჯიშის გრანიტისაგან დაშლადებულ 86 სვეტს.

წითელ მოედანზე დილიდან საღამომდე ისმოდა ჩაქურებისა და ქვისმთლელობა იარაღების მხარით, გუგუნებდნენ ავტომატური ჩარბები, რომლებზეც გრანიტის და მარმარილოს ამრიალებდნენ, დანიშნული დროისათვის აცლიდნენ მზად იყო.

ზარი იმის შესახებ, რომ დაეცვათ ვ. ი. ლენინის სხეული, დაიბადა 1924 წლის სამგლოვიარო დღეებში. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და დამკრძალვი კომისია ათასობით დეპეშასა და წერაღს იღებდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან დაბეჭიბებითი თხოვნით იმის თაობაზე, რომ ლენინის სხეული დაცულიყო ყოფილიყო სამუდამოდ, რათა ყველას მისცემოდა საშუალება ენახათ მთოეთის ესოდენ ძვირფასი სახე.

და აი, უცებ დარეკავს მაცხოვრის კოშკი — მთელი წითელი მოედანი გაჩინდებოდა.

— წენარად, ცვლა მოდის!..

ქვეყნის ნომერ პირველ სხვეშავოზე დგას საბატო ყარაული. ყველაზე საბატო ყარაულია...

ერთი საათის შემდეგ სპასკის კოშკის კარიბჭიდან მოვა ახალი ცვლა, კიდევ ახალი, და კიდევ ახალი...

ამ ცვლას არ აქვს დასასრული.

ასე იყო გუშინ. ასე არის დღეს, ასე იქნება ზეად.

ასე იქნება ყოველთვის, ასე იქნება ერთი წლის შემდეგ, ასე იქნება 100 წლის შემდეგ...

ლენინის მავზოლეუმისაგან მშრომელთა ნაკადს არ აქვს და არც ექნება დასასრული.

პირველი საგუშავოს პირველი მუშაკები იყვნენ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სახელობის სკოლის საუკეთესო კურსანტები — გრავირი

კომლოვი (ამჟამად გენერალ-მაიორი) და არსენტი კაშკინი.

ეს იყო 1924 წლის 27 იანვარს — 10 საათზე, ლენინის დაკრძალვის დღეს.

კუბო ნელა შეიტანეს მავზოლეუმში.

გვერდით მიყვებიან კურსანტები.

მივიდნენ წმიდათაწმიდა კარებამდე, ორი კურსანტი შეჩერდება, შემობრუნდებიან და ჯგებიან ერთი შერობს პარდაპირს...

ასე დაიბადა ეს რიტუალი.

აქ საპატიო უარაულონი იდგნენ — საბჭოთა კავშირის სამკვიფრის გმირი, სტალინგრადის დამცველი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. როდემკინი, გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი ე. გ. კობერიძე და სხვა ცნობილი ადამიანები.

ბევრი არა ერთხელ ყოფილა ამ საპატიო უარაულონი, მაგრამ განსაკუთრებული იყო აგრეთვე 1974 წლის 1-2 ნოემბრის ღამე, როდესაც 176 დღის შესვენების შემდეგ, გამოწვეული რესტავრაციული სამუშაოებით, წითელ შრიდანზე, მავზოლეუმის წინ კვლავ განახლდა ჩვენი ქვეყნის პირველი საგუმბაო.

1974 წლის 2 ნოემბერს დღის 11 საათზე გაიხსნა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის მახველთაოცისი. პირველი იყვნენ მშენებლები და რესტავრატორები, რომლებმაც განახლეს კრემლისა და წითელი შრიდნის 80 ობიექტი, ისინი, რომელთა ოქროს ხელეშმა შეასრულეს ბუროთმოდგრების უნაკლური ძეგლის — მავზოლეუმის რეკონსტრუქცია და რესტავრაცია. ახლად იქნა შეეთებული 12 ათასზე მეტი გრანიტის ბლოკი. გამოყენებული იქნა ძვირფასი მასალები. რომლებიც ადრე ჩვენთან არ გამოიყენებოდა.

ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული წუთები, განსაკუთრებული საათები და დღეები, თვითუფლის ცხოვრებაში უცირვებულად ხდება ხოლმე ისე, რომ სურს ამაღლდეს ყოველდღიურობის ჩოქოლზე, გრავა საქმეებზე, უოველდღიურ მოვლინათა ჩვეულებრივ განრიგზე წვივით; ამაღლდეს, რათა შიველი გულთი წაისუნთქოს ახალი, უჩვეულო, მაღალი მიზსი პერი, ამაღლდეს, რათა შორს ვასწიოს ახლო, მეტისმეტად ახლო მყოფი შორიზონტა და შერა მიაპყროს ახალ შორეთს, ახალ სივრცეებს, ამაღლდეს, რათა წუთიერი შთაგონებით დაინახოს განვლილი წლებიც და ისინიც, რომლებიც ჭერ კიდევ წინა აქვს ცხოვრებაში. ასეთ დღეებში, ასეთ საათებში იგი მიდის ლენინთან.

მიდის მასთან, რადგან შეგნებულ ცხოვრების პირველი დღეებიდანვე იცის, რა ვაჟეთა მან მისთვის, ჩვენთვის.

მიდის მასთან... კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არ იყო ჩვენს პლანეტაზე ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთივე თავგან-

წირვით, ასეთე უმჯაროდ, ასეთივე მატყონებით ემსახურებოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კაცობრიობის განთავისუფლებას საქმეს.

ლენინის მამართ სიტყვა: „უკვადებმა“ ჰქარავას მეტაფორულობას. ლენინი მართლაც, ნამდვილად განაგრძობს სიცოცხლეს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ეროვნის, მრავალმლიონიანი მშრომელი ხალხის გულსა და გონებაში.

წლის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად მოდიან აქ ადამიანები და ნელა, მღუშარებით უფლიან ვარს საკოფავს. მავზოლეუმდენ რომ ამოვლენ, ისინი კრემლის კედლის ვასწვრივ მივიდნებიან და კიბულობენ შავ მარმარილოზე ოქროთი ამოკვეთილ სახელებს, რომლებსაც ყოველთვის მადღაერების ვრძობით მოხსენიებენ თაობები. აქ დაცულია ურნები ნეშტით, ხოლო მათ პირდაპირ დაკრძალულია რიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები — ი. შ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, მ. ვ. ფრუნზე, მ. ი. კალინინი, ა. ა. უფანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. შ. ბუდონი. საულაკებზე დადგულია ბიუსტები (მოქანდაკე მ. შერკოროვი). უოველი მათგანის ცხოვრება ჩვენი პარტიის ისტორიის დიდებული, განუმეორებელი ისტორიის ფურცლებია.

ცოტა მოშორებით არის საფლავი, რომელსაც აწერია „ი. ბ. სტალინი — 1879-1953“. ლეგენდარული ადამიანის საფლავი სხვა წარწერას არც მოითხოვს. რაცა იქ ედრითი, პატარა გოგონამ დაწყო უყვადლები. ვავახუნდა: უქრაინის პატარა ქალაქის კროლოვეცის მცხოვრებ ანა შულიაკს მძიმედ დაუავადდა სამი წლის გოგონა. სტეკილისტა ექიმი კი ქალაქში არ იყო, დედამ გადაწვივდა დამმარება ეთხოვა სტალინისათვის. „ძვირფასო ამაწავო სტალინ, — აცნობა მან დეპეშით კრემლში, — ბავშვს, რომელიც სიკვდილის პირას არის, სჭირდება უურის დაავადებათა დარგის სტეკილისტი... დამეშარეთ ბავშვის გადარჩენაში“. სამი საათის შემდეგ მოსკოვდან მიიღო დეპეშა: „სტეკილინამ გამოწავინილა სტეკილისტი. გვაცნობეთ ბავშვის განმართლობის მდგომარეობა“. რამდენიმე საათის შემდეგ დედამ მიიღო შეროე დეპეშა, ამაწკად კეთედანი: „სტალინის განკარგულებით თქვენთან თვითმფრინვით წამოვიდა ექიმი“. ჩამოსულმა ექიმმა გოგონას გაუკეთა ოპერაცია და გადაარჩინა.

კრემლას უკვადვი კრემლი ინახავს გამოჩენილ რეკოლეციონერთა სხოვნას: იქ ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი ნადეუდა კონსტანტინეს ასულ კრუშკიანას სახელი. მნახველები დიდხანს ჩერდებიან მარამ ილიას ასულ ულიანოვას საფლავთან. იგი 12 წლის მანძილზე „პრავდას“ რედაქციის მდივნის პოსტზე იმ-

ყოფებოდა. იქვეა მომხარაგების სახალხო კომისიის ა. დ. ციურუპას ნეშტი. ამ ადამიანმა, რომლის განკარგულებაში ჭვეუნის სურსათ-სანოვაციის მთელი მარაგი იყო, სასკომსაბჭოს სდომავზე ერთხელ ვრძნობა დაკარგა. ექიმებმა დაკვეცი: „გულს წახლევი შეშინილიყავან“. აქვეა მტკიცე რევოლუციონერი ა. ი. სვიდერსკი, როცა რევოლუციონერ ვ. პ. ნოგინს ეყოხებოდნენ, რამდენ საპრობილეში იქეკითო, იგი მოკრძალებით უპასუხებდა: „მგონი ორმოცდაათში“, „ჩვენი ბედნიერება ბრძოლაა“ — ასე წერდა მ. ს. ოლმინსკი — გამორჩეული პუბლიცისტი და ისტორიკოსი. აქვე განისვენებს ბრწყინვალე ორატორი და პუბლიცისტი ა. ვ. დუნაჩარსკი.

1920 წლის 11 ოქტომბერი, წითელ მოედანზე ასაფლავებდნენ ინესა არმანდა. უჩვეულოა მისი ცხოვრების გზა. დაიბადა პარიზში. ახალგაზრდა ქალიშვილი ცოლად ვაჟყვა გარუსებულ ფრანგს, რომელსაც მოსკოვის ახლოს შალის საქსოვი და სამღებრო-გამომეყვანი ფაბრიკა მქონდა, მაგრამ ფაბრიკანტის ცოლი მალე თავს ანებებს უზრუნველ ცხოვრებას და რევოლუციურ მუშაობაში ებმება. მას არ აშინებს არც საპრობილე, არც გადასახლება... მისი დევიზია: „კომუნისტის წოდება ბევრ მოვალეობას გვაკისრებს, მაგრამ მხოლოდ ერთ პრივილეგიას ვაძლევს — პირველდება ვობრძოლოთ რევოლუციასათვის“. იგი უცანასკნელად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა მუშაობის განყოფილებაში ვაჟე იყო.

ადამიანები დიდახან ჩერდებიან წარწერებთან: მ. შ. კირსოვი, გ. ე. ორჭონიკიძე, ვ. ვ. კუბინსკი, გ. შ. კრეზნოვსკი, ე. შ. იარსლავსკი, ვ. რ. მენენსკი, კრემლის კედელზეა აგრეთვე ცნობილი გვარები: ბ. შ. შაპოშნიკოვი, თ. ი. ტრალუზინი, ს. ს. ბირაუშოვი, დ. ა. გოვოროვი, მ. ი. ნედელინი, ა. ვ. ბრუდევი, ა. ი. ანტონოვი, რ. ი. შალინოვსკი, ე. ე. როკოსოვი, ა. ვ. ვახილევსკი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ს. შჩერბაკოვი, რომელიც ომის დროს სათავეში ედგა წითელი არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს.

საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა დიპლომატებმა, წითელი მოედანი ინახავს მათს ნათელ ხსოვნას: დ. ბ. კრასინი ელჩი იყო საფრანგეთში, ინგლისში, ვ. პ. პოტომკინი — ელჩი საბერძნეთში, იტალიასა და საფრანგეთში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პ. დ. ვოიკოვი — ელჩი პოლონეთში.

კრემლის კედელში დასაფლავებული არიან ინდუსტრიის გამორჩეული ორგანიზატორები. მ. ს. მიხაილოვ-ივანოვი, ვ. ვ. ვახრუშჩიკი, ა. ი. ეფრემოვი, ა. პ. ზავენიანინი, ი. თ. თე-

ვისიანი, ვ. ა. მალიშევი, ი. ა. ლიხაროვი და სხვები.

გვარების — ფედოსენკოს, ვასენკოს, უსინკინის განწვივ სწერია ერთი თარიღი: „30.I. 1934 წ.“ ესენი სტრატოსტატ „ოსოავია-ქიმ-1“ სტრატონავტიები არიან, რომლებიც კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ.

1937 წელი, ვოიკებელი ამერიკა ვალერი ჩალოვის სახელოვან ექიპაჟს შეხვდა. ჩალოვი მალე დაიღუპა ახალი ავიაგამანადგურებლის გამოცდისას. მისი სახელი ამოკეთილია კრემლის კედელზე. აქვეა წარწერა: მარინა მიხეილის ასული რასკოვა და პოლინა დენისის ასული ოსიპენკო. ეს იყო 1938 წელს. მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალურს თვისმფრინავ „როდინას“ ლეგენდარულ გადაფრენას. მასში სამი ქალი იმყოფებოდა, სამივეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 1939 წლის მაისში ოსიპენკო ტრაგულად დაიღუპა, მაიორი რასკოვა კი გმირულად დაეცა დიდ სამამულო ომში.

მნახველები დიდახან ჩერდებიან მაქსიმ გორკის ნეშტთან. აქვე დაკრძალულია სამწვანის სოციალისტური შრომის გმირი ი. ვ. კურჩატოვი, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური. აკადემიკოსმა ს. პ. კორსოლოვმა მთელი სიცოცხლე შეწირა კოსმოსის დამკვობის საქმეს. აი კიდევ ცნობილი გვარები: რ. ს. ზემლიჩაქა, ნ. ა. შვერნიკი, ნ. ა. დიგაი, ვ. ა. კუჩერენკო, ა. პ. რუდეკოვი, ფ. რ. კოშლოვი, ს. ფ. კურაშოვი, კ. დ. პანფილოვი, ნ. ვ. იგნატოვი, ვ. ვ. კომაროვი, ე. დ. სტასოვა, პ. ა. იუდიჩი, ნ. ე. ვორპოვოვი, ი. ა. გაგარინი, ვ. ს. სერგინი და სხვები.

კრემლის კედელზე ამოკეთილია კომუნისტური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელების უკუდავი სახელები, ესენი არიან: ამერიკელი მწერალი ჯონ რიდი, ამერიკის შერთებულუ შტატების კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩარლზ ემილ რუტენბერგი, აშერაკელი რევოლუციონერი ვილამ ჰეივუდი. ამ უკანასკნელის ნეშტი, თანახმად მისი ანდერძისა, ორ ნაწილად ვაჟეეს. ერთი ნაწილი დაკრძალულია კრემლის კედელში, მეორე — სახალხოვე ლეგავოში. არტურ შავმანუსი — აქტურად მონაწილეობდა ინგლისის კომუნისტური პარტიის შექმნაში, ენე ლანდერი — უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

კლარა ცეტკინი — მისი ცხოვრება ხომ კომუნისტური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელი ეპოქაა, ფრიც ჰეგერტი, რომელიც გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი იყო. იამონის კომუნისტური პარტიის დამარტებელი სენ კატა-

იამა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კუხისინენი.

წლის უკველ დროს, თუნდაც ქარბუქი ტრიალებდნენ ან პაპანკება იღვეს, კრემლის კედლებთან განათიადიდანე დგას გრძელი რივი. ასეა უკველ წელიწადს, 55 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უკვე მრავალმა მილიონმა გააარა აქ მოკრძალებული, მწყობრი ნაბიჯით.

აქ მოდიან ისინიც, ვისაც ბედმა არგუნა უოფილიყო საბჭოთა წუობილებობათვის პირველი წლების ბრძოლების მონაწილე და ვისაც უნახავს ილიჩი, მოუსმენია მისთვის.

მოდიან ისინიც, ვინც დაჰლია ნგრევა, შიმშილი, საღატაე, რაც დაგვატოვა ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა, მოდიან ისინი, ვინც სამიჯველი ჩიუყარა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულიზაციას, მის ახლანდელ ძლიერებას: ისინიც, ვისაც წილად ზედა ფაზისტთა ფრდოებითან ბრძოლის მძიმე პერიოდში საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. აქ გვხვდებიან ისინიც, ვისი თავდადებული შრომითაც ზღაპრულად მცირე ვადაში ფერფლადან აღდგენილ იქნა სოფლები და ქალაქები — ჭაბუკნი, ახალგაზრდები, რომელთაც წილად ზედათ თავიანთი მამების ღირსეული საქმის განგრძობა.

უკველი ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული წუთები, საათები და დღეები, თითოეულას ცხოვრებაში ხდება ისე, რომ ჩნდება სურვილი ამაღლდეს უკველდროს მოვლენებზე, რვეულ განაწესზე, ვაიბედოს უფრო შორს, მომავლიანაკენ და მთელი მკერდით ჩაისუნთქოს რაღაც სხვა, უჩვეულო პერიტი, განზე გასწიოს თავისი მორჩონების ხაზი, თვალი მიაპყროს ახალ შორეს, უჩვეულო სივრცეებს და იმოქმედოს მათი შთავონებით, დიადი მონით, მომავლის რწმენით. ასეთ დღეებსა და საათებში შთამავონებელია უოფნა ლენინის მავზოლეუმთან.

მავზოლეუმთან მოდიან იმიტომ, რომ იგი ადამიანს მატებს კოლოსალურ ენერგიას, გამბედაობას, ნებისყოფას.

მავზოლეუმთან მოდიან იმიტომ, რომ თითოეული მათგანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ლენინის ნაშრომების, იდეების ძალთა სფეროში ცოცხლობს, მუშაობს და აზროვნებს.

დაბადა კიდევ ერთი ტრადიცია.

1917 წელს კრემლისათვის ცეცხლის დაშენის დროს კოშკს მოხვდა ქურავი, რამაც დააზიანა საათის რთული მექანიზმი. დიდხანს დუმდნენ კრემლის კურანტები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე რკვდნენ „დიდება მეფის“, მაგრამ აი, ისინი კვლავ ახმურდნენ, და ახმურდნენ რვეოლუციის ენით: ერთი წლის შემდეგ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რვეოლუციის მეორე წლისთავზე საათმა ისიც

დაიწყო დროის გადათვლა და დაიწყო ახალი სიმღერა, „ინტერნაციონალი“ დაკრა.

ოქტომბრის სოციალისტური რვეოლუციის გამარჯვების შემდეგ „ინტერნაციონალი“ ჩვენს სახელმწიფო მიმნი გახდა. შემდეგმ წლებში შეიქმნა ახალი სახელმწიფო მიმნი, „ინტერნაციონალი“ კი ჩვენი პარტიის მიმნი გახდა.

დიადი ხანა ვადახსნულია ფრონტის ობრილები, ნანგრევებიდან და ნაყრისაგან აღდგენილია მიტლერელების მიერ დაზარეული ქალაქები. მაგრამ ხალხის მუხსიერება საოთუად იწიხავს და შეინახავს იმათ სახელებს, ვინც განადიდა თავისი სამშობლო, გამარჯვებინა მის ვერავ მტერთან სამვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მათ 1941 წლის დეკემბერში მკერდით გადაუღობეს მტერს დედაქალაქისაკენ მამავალი გზა.

მათი სახელი უკვდავია, უკვდავია გამარჯვებისათვის დღეუული მილიონობით ადამიანის გმირობა, და მათ განსახიერებას, უცნობ ქარისაკაცს, სამშობლომ კრემლის კედელთან დაუდგა ძეგლი.

უცნობ ქარისაკაცს ლენინგრადელებმა გამოუწვანეს თავიანთი ლეგენდარული მარხის ეკლესიის მარადიული ცეცხლი, გმირმა ქალაქებმა და გმირმა ციხესიმაგრემ ბრესტმა — თავიანთი წმიდათაწმიდა მიწა, მიუახლოვეს ღირადღანი, და ავარდა ალი, მარადიული ცეცხლი, უკვდავების ცეცხლი!

ტოვებ წითელ მოედანს და ფიქრობ იმაზე, რომლებიც იქ განიხვენებენ.

ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სხვადასხვა ერის შვილები იყვნენ. მათ სხვადასხვანაირი ემევენება და ჩვევები ჰქონდათ. სოციალური წარმომობითაც ერთმანეთს არ ჰგავდნენ, მაგრამ ჰქონდათ ერთი სავრთო შემადგულებელი — იყვნენ რვეოლუციონერები, ჰქონდათ ერთი და იგივე რწმენა — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების რწმენა.

მათ ახსიათებდათ კრისტიანული სიმტიციე და პატონსება, რვეოლუციისადმი ერთგულება, ხალხისადმი, იდეებისადმი სამსახურის მოთხოვნებობა, საუკეთესო იდელებისადმი ერთგულება.

ამ ადამიანების ბიოგრაფია ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიის ოქროს ფურცლებია.

ისინი იწვოდნენ, რათა რაც შეიძლება ძლიერად ეგაზგაზა რვეოლუციის კოცონს.

ისინი დღესაც მოგვიწოდებენ: „წინ!“ და რვეოლუციის საქმისადმი თავგანწირვის თავიანთი მავალით ცვლავაც ჩვენთან აიან.

ჭველი ხალხური ლეგენდაა, რომ ციხესიმაგრის კედელთან დაკრძალული მებრძოლები ციხესიმაგრის დაშვებულთა რიგებში რჩებიან.

დაბა, ეს ასეა აქაც! და სწორედ ამიტომ მათს შთამომავლებს აქ ზამთარშიც მოაქვთ ყვავილები.



## ილია და ქართული ენა

ილია და განუზომელი ილია ჭავჭავაძის მამულიწველიერი ღვაწლი. ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ამ დღეწლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. აჟად. აჟაკი შინიე სამართლიანად აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბრძოლა ქართული ენისათვის ერთი ძირითადი ხაზითაგანია. ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწერებში ის ქმნის უცვლად სახეებს, წარმტაც სურათებს, ქედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ რომანში იძლევა მისამად ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა იქმნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები; ცისკრელებთან ბრძოლისას ერთ კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისათვის ზედმეტად გამზღარ ასოებს; იანოგისის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა“ („ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული. 1940, გვ. 7).

ილია ჭავჭავაძის ენა და მისი იდეილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში უკვე არაერთხელ ყოფილა მკვლევართა სიგანგებო დაკვირვებისა და შესწავლის საგანი. მის შესახებ მოიხილება ა. შანიძის, არნ. ნიქობაძის, შ. ძიმიტოვის, ი. ჭავთარაძისა და სხვათა მეტად საყურადღებო გამოკვლევები, არსებობს სპეციალური მონოგრაფიაც ილია ჭავჭავაძის ენაზე. მაგრამ საყობი იმდენად რთულია, რომ იგი საბოლოოდ ამოწერულად ვერ ჩათვლება. არც ის არის დასაშალი, რომ ზოგჯერ დღესაც ვაიგონებთ მოსაზრებებს, რომლებიც ილიას ღვაწლის დაუფასებლობისა თუ შემუშავებლობის შედეგია და საფუძველშივე მტდარია. ამი-

ტომ ჩვენ ზედმეტად არ გვეჩვენება, მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენოთ ზოგიერთი ცნობილი ჭეშმარიტება და ჩვენი მზრივ ეცადოთ ილიას ენის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშან-თვისების აღნიშვნა თუ წარმოჩენა.

როცა ვუკვირდებით ილიას ენას და გვესტრს მოკლედ განესაზღვროთ მისი დამახებრება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ თაგი და თაგი ილიას მოღვაწეობაში იყო ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხტრობისათვის.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა ხალხის მეტყველებასთან მკიდრო კავშირით განისაზღვრება. სალიტერატურო ენა ხალხტრია თაგისი წარმოშობითაც, აგებულებითაც, განვითარების კანონებითაც. სალიტერატურო ენა განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება მხოლოდ სისახებრო ენასთან მკიდრო კავშირში. სალიტერატურო ენის მეტი კონსერვატულობა ახასიათებს, იგი ცდილობს შეინარჩუნოს ერთხელე შემუშავებული და დამკვიდრებული ნორმები, მაშინ, როცა ცოცხალი მეტყველების განვითარება შეუზღუდავად მიმდინარეობს. ამიტომ ზოგჯერ ხდება, რომ სალიტერატურო ენა და ცოცხალი მეტყველება საგრძნობლად შორდება ერთმანეთს. ასეთ დროს წარშოიშობა საჭიროება მნიშვნელოვან ცვლილებათა მოხდენისა, ერთგვარი რეფორმისა, რათა ეს დამორიშორება მოიპასოს. ჩვეულებრივ, ასეთი რეფორმები დაკავშირებულია დიდი მწერლების სახელებთან, რომელთა თხზულებებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ როგორც ერთგული მწერლობის, ისე ენის განვითარებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ერთი ამათვანია. მან თავიდანვე განსაზღვრა, რომ ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის“ თეორიის

ჭებრებში მომწყვეტილი სამწერლო ენა ვერ გაუწედა საჭირო სამსახურს ხალხს, ამ თეორიაზე დაფუძნებული მწერლობა არ გამოდგებოდა ხალხის ფართო მასების აღზრდელად და წინამძღოლად. ამიტომ, ილიამ ერთბაშად დალეწა ეს ჭებრები და სალიტერატურო ენაში გზა გაუხსნა ცოცხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს. „ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანი თეორეტიკოსი“, — თავიდანვე ასე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ილიამ თავისი თეოსაზრება.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა ილიამ სალიტერატურო ენის გადახალისება-ვახალხურების გზაზე, იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ხელის აღება პრაქტიკული ღირებულების არმქონე რამდენიმე ასოზე (შ, ჰ, ჯ, ტ, ტ და ქ). ამოთან ტ და ქ ანბანში მხოლოდ მე-18 საუკუნეში შემოიღეს, მაგრამ ჩვენები კი ძველთაგანვე იხმარებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველად ისინი გარკვეული ფონეტიკი ღირებულების მქონე ბგერებს აღნიშნავდნენ, შემდგომში კი ეს ბგერები გაქრა ქართულში (ზოგიერთი კი სხვა გამოყენებით) და მათი აღმნიშვნელი ასოების ხმარების წესებიც დაირღვა. იმ დროისათვის, როცა ილია ტავაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ზემოხსენებული ასოების ხმარების მხრივ სალიტერატურო ენაში სრული არე-ღარევა სუფივედა, ბევრი პრაქტიკულად უკვე აღარ იხმარებოდა ამ ასოებს, მაგრამ მათი საჭიროდ უარყოფდა ევრაფის გაბეღდა. ილიამ გადაჭრით უკუაგდო ეს ასოები და საკმარისი დამაჯერებლობით დაასაბუთა კიდევ მათი უსარგებლობა.

ილია წერდა: „ეს ასოები, რომლებს ხმაც ტავითქმება სხვა ასოებია. ეგ ასოები სულ ტყუილად არიან ჩვენს ანბანში, თუ სულ არა, უფროსთაგანი მიიწვი: ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, აწელებენ მართლწერასა და სხვა არაფერს არ შეგვიძინებენ. თუ მართლა ეგ ასოები არ ისმის ეტლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადავიღოთ? შესუბუქება და გადავიღება მართლწერისა და ანბანისა ვინა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, მაგ ასოების ხმარების კანონს რატომ არ ვეძებთ ენაში, რომ ყველამ ერთნაირად ვიხმაროთ? ვინაც შენიღდან ფეხი კარში გამოუდგამს და, ანბანი თეორეტიკოსს ვარდა, სხვა რამეც უცითხავს, იმას, რასაკვირველია, გუეგება, რომ ეტლა მთელი ევროპა ცდილობს ევროპურის განმარტივებას, გადავიღებას და სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წავალ: აი, თითონ რუსეთში ცდილობენ ი, ზ, ზ-ს ამოშლის თავის ანბანიდან, რადგანაც ეტლანდელ იმით ენაში აღარ ისმის ეგ ასოები. მე შემხედრია წიგნი) 1859 წელში, თუ 1860-ში დაბეჭდილი, სახელდობრ: „Сказание об языческих богах“ (ამ მართლწერისა), სადაც ი, ზ, ზ არ არის ხმარებულნი.

როგორ გადაწყვიტა ეს დავა, მე მაქვს ახლ ვეძებ: მე მომეყვს ეს, როგორც ფაქტი, რომელიც ატყობებს სურვილს, რომ განმარტივდეს ანბანიც და მართლწერაც. ჩვენთვისაც ურიგო არ იქნება, რომ მაგ ასოებზედ ვარგად მოვიფიქროთ და, თუ უსაფუძვლოდ არიან ხმარებულნი, ამომოშლონ, როგორც უხმარნი; ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა“ (ილია ტავაძეაქმე თხზულებათა სრული კრებული 1-ე ტომად, 3. ინვარიუტის რედაქტორობით, ტომი II, გვ. 41). ქვემოთ ყველანაირი ციტატები ილიას ნაწერებიდან მოტიანი იქნება ამ გამოცემიდან. შემდგომში მივეთითებთ მხოლოდ ტომსა და გვერდს. პირველი რიცხვი აღნიშნავს ტომს, მეორე — გვერდს).

როგორც ცნობილია, ილიას ამ შეხედულებაში დიდი მრევლარება გამოიწვია „სიყაროს“ ფურცლებზე. უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის ილიას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ ილიას თელავაზრისმა გაიმარჯვა და მისი შემოთავაზებული ორთოგრაფიული რეფორმა სულ მალე თავიდან ბოლომდე ვატარდა სალიტერატურო ენაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში დროდამდე იყო ხოლმე უსუსური ცდები ზოგიერთი ასოს (ი, ჯ, ჰ) აღდგენისა, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ცალკეული ხმები მ-ს აღსადგენად დღესაც კი ვაიხმის, მაგრამ საკითხავია, რა საფუძველი აქვს ამგვარ მოთხოვნას? ბევრა, რომელსაც მ ასო გამოხატავდა, სალიტერატურო ქართულ წარმოთქმაში დიდი ხნის გამჩრალია, წმინდა ქართულ სიტყვებში მის ვერ შეხედებთ, ხოლო რამდენიმე ნასესხებულ უცხოური სიტყვის შესტყად ვაღმოცემის მიზნით მისი აღდგენა ვაუპარობებელია. ასეთ სიტყვებზედ მკანონით: ევოლუცია, რევილუცია, რეზუმე, კოსტუმე და სხვანი (სხვათა შორის, მველ ქართულში ა წესით მხოლოდ ხმოვნის შემდეგ იხმარებოდა, დადგვილ დიფთონგს ქმნიდა, ზემოხსენებულ სიტყვებში კი ყველგან ხმოვნის წინ გვევლინება).

ასე თუ განესკით, უნდა აღვიადგინოთ ივრეთვე ქ, რადგანაც ქართული შ შესტად ვერ გამოხატავს იმ ბგერას, რომელიც ევროპულ ენებში ისმის სიტყვებში — ფილოსოფია, ფიზიკა, ფაქულტეტი, ფორმა, ფაქტისი, ანთოლბი და მრავალი სხვა. ასე რომ მიუხედავად, სხვა ბევრი ასოც გამოგვიჩნდება შემოსაღები, მაგრამ ასე არავინ იტყუებ, ყოველი ენა ერთარდება თანისი შინაგანი კანონების მიხედვით და უცხოურიდან ნასესხებ მასალასაც თავისი ფონეტიკური ბუნების მიხედვით ვარდამქმის, თავის მოდელს უქმედებდარბებს. ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ენა სხვა ენის მიხედვით იცვლის თავის სახეს, მაგრამ ეს მისი სასიცოცხლო უნა-

რის დაქვეითების მათწვევებლია. ენის მესვეურნი ამგვარ მოვლენას ხელს კი არ უწყობენ, — ებრძვიან. ქართული ენა, საბედნიეროდ, არ დგას ასეთი საფრთხის წინაშე, მაგრამ ქართული ენის წარმატებას მოსურნეებს ჰმართებთ მუდამ ახსოვდეთ დიდი ილიას მავალით, მისი მეცნიერული მიღგომი ენობრივი პრობლემებისადმი. ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებული ორთოგრაფიული რეფორმა სავსებით სწორ მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული და მისი რევიზიის ცდები სრულად გაუმართლებელია.



თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში („ორიოდე სიტყვა თავად რეკავ შალვის ძის ერისთავის კოზლოვის მიერ „შეშლილს“ თარგმანზედა“, რომელიც „ციცკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, ილიამ არამარტო ორთოგრაფია გამარტივდა, არამედ გადაახალისა და ხალხის მეტყველებას დაუახლოვა ენის ყველა მხარე: მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წყობა, ლექსიკა, მხატვრული საშუალებანი. დღევანდელი მკითხველისათვის ძნელია მთელი სივრცე-სივრცითი გათვალისწინოს, რა დღეში იყო იმ დროს ქართული ენა და რა უზარმაზარი საქმე გაავითა ილია ჭავჭავაძემ. ცოტათი მაინც რომ შევძლოთ ამის წარმოადგენა, ავიღოთ თუნდაც „ციცკრის“ სწორად ის ნომერი, სადაც ილიას „ორიოდე სიტყვა...“ არის დაბეჭდილი. იგი ოსწენება გამბრელ ეპისკოპოსის სიტყვით: „შესხმა იმერეთისა და გურიის კეთილშობილისა წოდებისადმი, თქმული წინეთ დაფიცებისა მისისა აღმოსაჩრევად გუბერნიისა და უხუცდის წინამძღვრებთაა ჩუაძასა წელსა, იანვარს“.

აი, ამ სიტყვის დანაწიცი: „საქმე, რომელმან შეკარბინა თქმენ, კეთილ-შობილს თავადენო და აზნაურნი იმერეთისა და გურიასანო, და რომლისა კეთილთა სუწილისთა აღსასრულებლად თქმენ უნდა სთქუათ ფციე წმიდასა ამას ეკლესიასა შინა, საქმე იგი არს ფრიად მძიმე და ღირს ყოვლისა ყურადღებისა, არათუ მხოლოდ თქმენთს, არამედ მთელისა საზოგადოებისათს, ვინაჲდგან კეთილ-მდგომარეობა და ბედნიერება თქმენისა წოდებისა განაგრციულეს ბედნიერებისა ყოველთა შორის სსტათა წოდებთა“.

„ციცკრის“ ამ ნომერში დაბეჭდილია მხოლოდ ერთი პროზაული ოსწენება, ისიც თარგმანი (მთარგმნელი ნიკოლაოზ ნიკოლაძე) — მოთხრობა „ჩამორჩობილი“, რომელიც ასე იწყება: „დანიშიო ყოველთვის იყენენ სახელოვანნი ექიმნი. ოც და ხუთის წლის წინეთ საკრველს და თუთქმის შეუძლებელისა შემთხვევისა დოკტორ სტუენისსა, რომელზე მამინ ღამარაკობენ მთელ ევროპაში, იყო დანიის კარ-

ზედ ექიმი იოანე ტელი, რომელსა აღსწავლეს იყო თავის თანამედროებითა ოქროთი და საბურჭებით, მის ჩინებული წარმატებისაჲს და გამოჩინებისათჳს ექიმობაშიც.

პოუზია ეურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის სამი ლექსით და ბარბაქე ჩორჭაძის ერთი ლექსით, რომელსაც სათაურად აქვს: „ი. კ.“ (ივანე კერესელიძის სახელი). ილიას ლექსებს („ო. ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ალბომში“ და „გაზაფხული“) ყველა იცნობს და მათი ციტირება აქ საჭირო არაა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ლექსები მთელ ეურნალში გამოიჩინება როგორც აზრის სიღრმით, ისე მსუბუქი ფორმით და ლაღ ენით. მათ გვერდით კი ვკითხვლობთ ბ. ჭორჭაძის ნაკოდეილარ სტრიქონებს:

ინწერნი შენნი გულს კაცისა  
 აგრანობინებენ,  
 ფიქრით მოცული მდუმარებით  
 თუმც დაჰყურებენ;  
 საგანნი ხმას ტებილს, აღერსიანს  
 განადიდებენ,  
 ზოგან მწყურალობას უმეცრულსა  
 შემოგრივლებენ! (და ა. შ.).

დასასრულად, ერთი კრიტიკული წერილიც ვნახათ. თავადი ზ. ერისთავი წერს: „წარსულს სექტემბრის წლის ცისკარში იყო დ. იმერლისაგან დაწერილი სტატია „ლოტო ქუთაისში“, მოკლე, გურკვეველი და არა შემდგომილი აღწერა. მაგრამ მისი ავტორი არ გამოდის სამზღვრიადმ მსჯელობისა. ის ამბობს, რომ ლოტი მეტად გავრცელებულია ქუთაისის საზოგადოებაში, მაგრამ არ რიცხავს მას არამე ნაკლებდგანებათა შორის, და არცა პოუვებს მასში არა რამე ცუდსა დაწყობასა. მე მეგონა, რომ ეს ასეთი შეურაცხავი აზრი იყო, ესე იგი ლოტოზედ წინააღმდეგი წერა, რომე იმით დასწერდებოდა. ამ წლის მარტის წიგნში ვიხილე. თ. იმერელისა, როგორც მსწერს იგი, „ლოთობა ლოტოთი ქუთაისში“. ეგება პოემა, რომელშიაც ჩემი აზრით მკითხველი გვინებ მხოლოდ ენისა მეტს ვერას პოუვებს ღირსებასა. მეტად უსაფუძვლოდ არის დაწერილი, შეუსაბამოთ და უხელოთ. გვინებ უ. იმერელი უფიქრეთო და მხოლოდ იმ აზრით, რომე ვახდეს თანამეწრომე „ციცკრისა“, დაუღაჲამს ესე“.

აი, როგორი ქართული ვანსიოდა იმ დროს ერთადერთი ეროვნული ეურნალის ფურცლებიდან ილიას ლექსებისა და წერილის გარდა, ერთადერთი მასალა, რომელიც „ციცკრის“ ამ ნომერში გამოიჩინება კარგი, გამართული ენით, ესაა ისტორიკოს ღიმ. ბაქრაძის წერილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ გამოჩაყლისთ, ეურნალის ენას კი ძირითადად ისეთი მასალები

განსაზღვრავენ, რომელთა ნიმუშებიც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

კიდევ ერთ მავალითს დაემოწმებთ, ამჟამად საკანონმდებლო დოკუმენტის ენისას. გლბოთა განათვისუფლების დებულების ერთ-ერთი მუხლი (172-ე) ლაღადებს: „კავკასიის ნამეტრეისა მივინდობა დასადას კანონნი მოუვაინსთივის ცნობაში გარდასახადთა რაოდენობისა მიწისა მოსავლითა გლეხთა მიწდერისა მიწათაგან და ძალთაგან; გარდასახადნი ესენი დაფსადეს ფულად შეთანასწორებით ადგილობრივთა მოთხოვნილებათა ნამდვილისა მოსავლითა ღირებულობისა და დაწესდეს ამ დაფსავებით გარდასახადი მოხსენებულთა მიწდერისა მიწათა და ბალათვისა“.

აბა, რა უნდა გავგო აქედან გლეხს, რომლის განთავისუფლებასაც ეს „დებულება“ ეგებოდნენ? არათუ გლეხს, ამჟვარი ენით დაწერილი დოკუმენტის გავება განსწავლულ ფილოლოგსაც გაუჭირდება ილია ქაქავაძეს მოკვავს ზემოხსენებული მუხლი და ასეთ განმარტებას ურთავს მას: „დებულებაში მოხსენებულთა, რომ 1. ჟერ უნდა წესი დაიღოს მასზედ, როგორ მოიყვანონ ცნობაში აწინდელის წილადობლის ღალის რაოდენობა; 2. ჟერ, ადგილობრივის გარემოების მიხედვით, ეგ რაოდენობა ღალისა ფულად დაფსადესო და 3. მას შემდეგ ნაჟმეის გარდასახადი ღალა ერთობ ფულად განისაზღვროსო, ესე იგი ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მახტად ვაღმქესო“ (6, 21).

აქ უკვე ყველაფერი ნათელი და გასაგებია. გვიქრობთ, მოტანილი მავალითები თვალნათლივ გვიდასტურებენ უზარმაზარ სხვაობას ილიას ენასა და მის წინაღობინდელ სალიტერატურო ქართულს შორის.

თუ რამდენად ახალი და უჩვეულო იყო ილიის ენა უფროსი თაობის არქაული ენის ფონზე, ამას კარგად გვიჩვენებს ის რეაქცია, რაც მისმა გაბედულმა გამოსვლამ გამოიწვია. სწრაფიონ ალექსი-მესხიშვილი თავის „ანტიკრიტიკულ ესტაში“ წერდა: „წრჭელის გულით მოგახსენებ, თვადო ილია, რომ გულმტკენედ ფულად წავიციოთ შე, ქართულმა, ამგვარი ქართული ენა ვანათლებულის — და განვითარებულის ქართულისა, იმ ქართულისა, რომელიც ამოდ („ესიკარიში“ შეცდომით დაბეჭდილია „ამოდ“ — თ. კ., ზ. ქ.) დალიდინებს საქართველოს მშვენიერის ლექსებით და სადასტუგობაშიც კი ასე უწყალოდ ამბინჯებს და ამდაბლებს ქართულ ნიტყვიერებას და ამასაც სად? ქართული სიტყვიერების უტრანსლში. რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი, მაღალი, საშუალო, მუხაბალი. არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი, ჩვენში, სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი“, ამ მაღალ სიტყვას ზმინსზედა შეეფერება

„ოდეს“ და არა სრულიად მდამბო ლექსი „როცა“, რომლითაც იწყება პირველი სიტყვა“.

როგორც ვხედავთ, დარბინულ ქართულ დიდებულს არ მოსწონს მსგებნე ჩვეულებრივი და უწყინარი სიტყვაც კი, როგორცაა „როცა“, რომლითაც ილია იწყებდა თავის პირველ კრიტიკულ წერალს („როცა გავახსენებდა კახლოვი და მისი პოეზია...“). ეს „როცა“ ჩვენთვის არის ღღეს ასე ჩვეულებრივი და უწყინარი, თორემ ილიას სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, როგორც ვხედავთ, ის თურმე „მდამბო ლექსად“ ითვლებოდა და ამიტომ სალიტერატურო ენის კარი დაზღული ჰქონდა, თუმცა ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ქართველი ყოველდღიურ საუბარში სწორედ „როცას“ ხმარობდა და არა მაღალფარდოვან „ოდეს“.

საკირო იყო ილიასთან გამჭირაბი და პრინციპული მებრძოლის გამოჩენა, რომ სალიტერატურო ენის ჟებირები გავნგრა; უფრი არ ეგდო ს. ალექსი-მესხიშვილისთან მრჩველთათვის და გაბედულად განეგრო წინსვლა ერთბაშად არჩეული გზით, ხოლო როცა მას და მის თანამებრძოლებს „ენის წახდენა“ დააბრალეს, პირში მივხლია მათთვის:

ენა მაღალი

მის სიღრმე, ძალი,

ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;

პირველ თქვენგანმა,

იმა ბედმავმა,

მას მკედრის სუღარი ვაღაფარა.

ენა მდიდარი,

თქვენი ხელში მჭდარი,

ჩვენ მივიღია გასაცოცლებლად,

და ამასაც თქვენ

ცოდვად გვითვლით ჩვენ,

რალა პირითა დახვალთ ამ ქვეუნად!

\* \* \*

ილიას წინაღობინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა, ასე თუ ისე, მაინც ანგარისმ უწევდა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, მაგრამ სალიტერატურო ენის სხვა მრეები მტეისმტად გამოფიტული და ნირწამხდარი იყო. ეს იმტეის კერძოდ სამეცნიერო და სუბლიცისტერ აზრულებათა ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტად შორეოდა „მაღალი შტალის“ სენი.

ილია ქაქავაძის გენიამ სავსებით სწორად განსაზღვრა, რომ მუღლიცისტეის ენას სწორედ ბოდა განსაყუთობით განაბლებდა, გვირდლებდა თუ თაიდან დერტიტის დადებმა ხალხის წიაღში დაცული ენის მაღლით. ილიამ გაბედულად თავს იღო ეს დღი ამოცანა და წარმატებით გადაჭრა იგი. ხალხურ ლექსიკასთან და გრამატიკულ ფორმებთან ერთად ილიამ მუღლიცისტერ ენაში უხვად გამოიყენა ხალ-

ხურო ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები, ხალხის ცხოვრებიდან აღებული შედარებები, ყოფითი დეტალები ასეთია, მაგალითად, მის პირველ კრიტიკულ წიგრილში ნახშიარი შედარებებში: „წირბლიანი სხოლა სენტიმენტალზმისა“, „რითმების შორახუნებლები“, „ღავარდნილ ცხენსავით მიგოგავს ტყუიასავით მძიმე ლექსები“, „პრიპინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც ვაჟსახანავი საპალნის ურმის თვლები“.

ენებნა ბარბარე ჟორჯაძე ამის გამო ვაწიწმატებული წერდა: „როგორ გვეადრებათ, ყმაწვილო, ამისთანა ლექსებითო“, ე. ი. ამისთანა სიტყვებითო! მაგრამ ილიას აღებული გეზოსთავის არ უღალატია და მსვავის სიტყვები თუ გამოთქმები უხვად გვხვდება მის ნაწერებში. უველა მათგანის აღნუსხვა პირდაპირ შეუძლებელია. ჩვენ მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოტანით დაგვიყარფილდებით.

აი, მაგალითად, ზემოხსენებულთა მსგავსი შედარებები ილიას სხვა პუბლიცისტური წიგრილებიდან: „როც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“ (3,152). „თითო მარცვლობით ასაკენს, კრიტიკის ცხრილში გაასცხრეს ზეენი ავტორი ნიშნითა ჰხვეტს ვაუცხრელად და გაუნიავებლად“ (4,132). „არახუნებს, რაც ენაზე მოადგება და მამალსავით ჟურ თეალებს ჰხუქავს და შერე ჰვივის, თითქოს ენა ადამიანს იმითომ აქვს, რომ მოშლალ წისქვილივით ჰხუქავს და პროშოს“ (6,243).

ილიას ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ხალხური იდიომებისა და ანდაზების სწორი და მოხდენილი ხმარება. ილია, მისივე ხატოვანი სიტყვით რომ ვთქვათ, ანდაზა-იდომების ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის ბრძანდებოდა: იგი ხშირად მიმართავდა ხალხის ხატოვანი აზროვნების საღაროს როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში და ამ გზით დიდ ემოციურ ძალს მშატებდა თავის თხზულებებს, ღვედივით მოქნილს ხდიდა მათ ენას.

როგორც აკაცი შანაძე აღნიშნავდა, ილიას სამ მთავარ მოთხრობაში (გულახის ნამბობში, „კაცია, აღამიანში“, „თათარანთ ქვრივში“) ორმოცამდე ანდაზა და აფორიზმი შესული, ხოლო რაც შეეხება პუბლიცისტურ და სხვა ნაწერებს, მათთვის „უფრო დამახასიათებელიცაა ანდაზებისა და აფორიზმების გამოყენება“. სპეციალურ ლიტერატურაში აღნუსხულია 130-ზე მეტი ანდაზა, რომლებიც ილიას პუბლიცისტურ წერილებში არის გამოყენებული.

ანდაზა ხალხის მხატვრული მეტყველების ძველთაძველად და მოქნილ ფორმაა. მისი ყალბი საუკუნეთა განმეორებაში მიუძღვებოდა. ანდაზაში განზოგადებულია ხალხის მრავალწლოვანი დაკვირვება, ამავე დროს, აზრი გადმოცემულია უაღრესად სხარტი, მოხდენილი და

აფილილ დასამახსოვრებელი ფორმით. <sup>1</sup> მეტწილად სახეობრივი სისტემით. ილიას ხალხური მეტყველების ესოდენ ტრფიალს, არ შეეძლო გვერდი აეხვიო ანდაზებისათვის, <sup>2</sup> მანამდე ძლი არ დასწავებოდა ხალხურ მეტყველებას ამ თავანკარა წყაროს. ამავე დროს, ილია უთვოლ გრძნობდა, რომ ანდაზებს სალიტერატურო ენაში შემოქმედნდათ არამარტო ხალხური ნაკადი, არამედ ენის ძველი ძარსავიც. მათში ხომ შემონახულია ძველი ენობრივი ფორმები, დღეს უკვე უცხო ხალხური ენისთვისაც და ლიტერატურისთვისაც, ფორმები, რომლებიც სრულად მისაღებია სწორედ ანდაზის სამოსელში. ასე რომ, ანდაზა ერთგვარი ხილია ძველ სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ილიამ დიდად ეაფართოვა ანდაზების ხმარების არე და გამოიყენა ანდაზები ისეთ კონტექსტებშიაც, სადაც ისინი მანამდე ასე თავისუფლად ხმარებულა არ უოფილან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღვოა მისი პუბლიცისტური და სხვა არამხატვრული ნაწერები. ამ ნაწერებში დიდი თემატური მრავალფეროვნებაა. ილია წერდა ისტორიის, ენის, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზეც და ამავე დროს — ღვინის დაყენების ქართულ წესზე, პურის ღასზე, საბანკო საკითხებზე და ა. შ. ჩვენთვის ხანტერესო ასპექტით სხვაობა ამ ნაწერებში არ ივარძნობა.

ილიას თხზულებებში ანდაზების ხმარების სამი საზე დასტურდება:

1. ზოგჯერ ანდაზა მოყვანილია უცვლელი ფორმით და მწერალი იქვე დასქენს, რომ ეს აზრი ხალხურია; მაგალითად: „ტირილითა და ვიშათ მტერნი არ შეგვიბრალუნენო. — ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა“ (4,320); „გღმხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე; მტერს პირს უკანო“ (3,69); „ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხური: ორმა კაცმა რომ ვითხრას, ბრმა ხარო, უნდა დაიჭირო“ (6,197).

2. ზოგჯერ ანდაზა თავისი მშამარეული ფორმით პირდაპირ, უკომენტაროდ არის ჩართული ტექსტში: „ქუდრს რა უნდოდა და ბნელი ლამეო“ (6,243); „არა შევდა შვევრი ხესა არა იყო გვარი მისიო“ (6,247); „ნუ შეხვალ ნუ ეზანებო, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო“ (6,259).

3. უფრო ხშირად ილია მიმართავს ანდაზის გადაკეთებას ვითარების შესაბამისად. ზოგჯერ ეს პერიფრაზი დამოკრებულია პირველწყაროს ძირითადი შათისის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში მწერალი იყენებს არა ანდაზის სენტენციას, არამედ ფორმას. „ხარი ხართან დაბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ — ამ ანდაზის ყალიბის მიხედვით ილია ასე ახასიათებს ფელს: „ორსავ შემთხვევაში არც ზნეს იცვლის, არც ფერსა და სულ ერთისა და იმავე

მზარულ გუნებაზე, ეის ხელთაც გინდა იყოს" (6,256). „ხლეა კოვხით დაიღუვაო" — ეს ანდაზა ილიას ასე აქვს გამოყენებული: „ადამიანის გული იგივე ზღვია, რომელიც კოვხით არ დაიღუვა თავის დღემ" (3,146).

ასეთ შემთხვევაში ილიას დამოკიდებულება ანდაზისადმი მეტად აქტიურია: იგი ანდაზას ანაწევრებს, ზოგადობის სფეროდან ჩამოაყვას და კონკრეტულს ხდის: „ბატონყმობაში დბა-დებულს, ბატონყმობაში გამაზრდილს მებატონეს ჩასაყვირველია, ემწელება, გული ეთანად-რება, რომ მის ვარშემო ბატონობას ავალა აღარ აქვს და ფიქრობს, რაკი წყალს მივყე-ვაო, ხავს შაინე მოვეკიდოო, ხავსიდ კიდევ მიზნუანი შეოთხედობა გავხდია და ამას მაგ-რა ექვილი" (6,31). ან კიდევ: „მინამ ჩარ-ჩულს, ქტრდბაეცა ფულს ვული ხისა აქვს და აბჯარი კო, ეამოა ვითარების წყალობით, რკო-ნისა, მისთან ომი კიდევ შესაძლებელია და სა-იმედო, იმიტომ რომ ომში ვამძლეა შარტო გუ-ლი რკინისა, თუნდ აბჯარი ხისა იყოს და არა პირქვი" (7,14); „გზის დანაბეა შაინე, როცა ურქმა გაღაბრუნდება, თემცა ცოტა გვიანი სა-ქშეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს" (7,436); „დასოა ბრძოლა ყველგან არას, მაგ-რამ ისე კი არა, რომ აქლმემა წაიჩხუბუნენ და კოზაეა შეამი გაიყულიოს" (7,491).

ილიას თხზულებებში გვხვდება სხვა ხალხ-თა ანდაზებიც, განსაკუთრებით ზმირად — რუ-სული. ყველა ანდაზა შეერაღს შარჯვედ და მოხდენილად აქვს თარგმნილი, ქართული ანდა-ზების ყალბში ჩამოსხტული: „უცეცხლოდ ილი არ ავარდებოო, როგორც რუსები იტყვიან" (7,442); „რუსული ანდაზისა არ იყოს, დევ ბაღლებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ კი ნუ იტირებენ" (6,243); ფრანგები იტყვიან: „ის იციანს კარგად, ვინც ბოლოს გაიციანებსო" (6,286).

საყოველთაოდ ცნობილია, რა ადგილი უქი-რავს იდიომატის ენის საგანძურში, ეს ერთი ამ სიკეთითაგანია, რაც ენის მოქნილობას, სი-სხარტეს და ბატონუნებას ანიჭებს. იდიომის წარმოქმნის საფუძველია ჩვეულებრივი შესიტ-ყვების გაზარება გავლანითი მნიშვნელობით, მისი ხმაოვადლება. მაგრამ ენის ვალარიბების დროს თითქმის საპირისპირო პროცესი იწყება: იდიომა ნელ-ნელა კარგავს ზოგადობას და თუ თავის პირიანდელ კონკრეტულ მნიშვნელობას საესებით არ უბრუნდება, ე. ი. კვლავ ჩვეუ-ლებრივ შესიტყვებად არ იქცევა, ყოველ შემ-თხვევაში ეწერო სტილისტური სფეროებით იფარვლება. ენაში, სადაც ვაინდა ნაბარლი ხალხის მეტყველებასა და სალიტერატურო ენას შორის, შეიძინევა იდიომებისადმი რაღაც კრძალული დამოკიდებულება, როცა, ვთქვათ, მინის დამუშავებასთან დაკავშირებული იდიო-მები მხოლოდ მხენელ-მთესველის საკუთრება

ხდება, მეცხოველეობასთან დაკავშირებული — მხოლოდ მწეუმისა და ა. შ.

ილია ყოველშრიც ცდილობს მოახდინოს იდიომთა რეანილიტაცია, ცდილობს სფერო-ნის ხატოვან გამოქმენებს ზოგადობას და საყო-ველთაობა, ამით ენას აღუდგინოს დაკარგული ძალა და ძარღვი. ამის დამადასტურებელ მა-გალითებს ილიას ნაწერებში ყოველ ნაბიჯზე იპოვინს მკითხველი. ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ: პუბლი-ცისტური წერტილებიდან: „ახლა მივებრუნდეთ და ვანიხილოთ თვითონ კაზლივის პოემა „შეშლილი", რა წითელი კოკი ბრძანდება რუ-სულ ენაზედ" (3,13); „აღვირი წამოხვარა ენა-მკვერობას" (3,109); „ორსავე დარბამში ქართ-ველებს ვააქეთ გამარჯვების ბურთი მოედნი-დამ" (3,189); „ამისთანა (თამარ მეფისთანა) სა-ხელის გაუქმების და დამდაბლებას შატარა მეტი საფაწელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰქონია" (4,65). „ღელს-აქამომღე გვევაობა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვიო, დსარბობა ფონი კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება უფილია" (4,21); „აქ ჩვენი ავტორი... ხვდის ფეხის ხმას თეალაბუტული ასკილია" (4,38); „ერთხელ წახალისებული ავტორი ასისა და ორასის წლის გამაბანებას არა სყარდება, მთელს რვაას წელიწადს ჩაღღერის წყალს ასმებს" (4,45).

თავის დროზე ილიამ ყურადღება მიაქცია ქართული ენის ერთ განსაკუთრებულ თვისე-ბას, რომელიც დიდ მოქნილობას ანიჭებს მას: „ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომა-რეობს, — წერდა ილია, — რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ რთ-ველი სახელი-არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმინს-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესატული, თუნდ ნაკეალ-სახელი და თუნდ თითონ ზმნაც, როცა უღვლოების ფორმაშია... ეს კიდევ არაფერი, ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუტხოება თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგა-ლითებრ, „სკობს სიცოცხლესა ნაძარბასა სიც-დილი სახელოვანი"-ს მაგიერ რუსთაველი უკმ-თესს ვერას იტყოდა"; ან „რასაცა ვასცემ შე-ნია, რაც არა დაკარგულია"-მ მთელს ქვეყანას მოქდინა რუსთაველის სახელი"; ან „რასაცა ვასცემ შენია, რაც არ დაკარგულია-ს არა შე-ედდება რა". შარტალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს დასჭირდება ამისთანეში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველია, ჩვენის ენის წინააღდღევი არ იქნება, მით უფ-რო, რომ თითონ ამ-როგად მოიხზილია ახ-რიც ადვილად ვასავებია" (4,89-90).

ეს დაკვირვება ილიას მახვილი ენობრივი აღლის დამადასტურებელია. ბუნებრივია, რომ ეს წინაშე ჩვენი ენისა ილიას მხოლოდ თეო-რიულად კი არ შეუნიშნავს და დაუდგენია,

პრაქტიკულად მარჯვედ იყენებდა მას. აი, ამის ორიოდ ნიმუში: „ჩის მკანსისა ამისთანა ახლაუბლა ვადასკუბან ლამარაიყო“ (5,315); „შე ეს მიჯობს აღვირამებულელი დაიარება და ის კი, რაც საშემს უფროს, თავისლენული დადის“ (5,50); „ვერ მოგაროვებს“ შერს ვერას ეტყვის ვაფთობებულს პატრონს“ (5,57).

ზოგჯერ ფრაზაში ჩართული ზმნის პირიანი ფორმა განცეკრებული გაერთქმის როლშია, მას წინადადების მოთავარი წევრები (სახელები) ანვარიზი არ უწყვეენ და ბრუნვამი არ შეეწყობიან: „შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს აცემა, მაგრამ მის ბატონად ვახლომას კი მოყვლება და არ იკადრებს“ (5,175). ამგვარად აგემა ფრაზისა დამახასიათებელია ხალხური მეტყველებისათვის და ილიასაც იქიდან აქვს შეთვისებული. ხალხურია აგრეთვე უარყოფითი ფორმის გამოყენება დადებითი შინაარსით: „ჩს არ ეუყავი: ბალახებში არ ვახანე, არ შევალოცინე, შანები არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შესს მტერსა“ (2,146); ანდა ასეთი მაგალითები: „დედას ძალიან ეწყინა და არ იყო, რომ ვაყარებოთ უთხრა მამს“ (2,244); „დავით გაგედა, რომ დაინახა და გულში არ იყო, რომ შერმა არ გაუარა“ (2,182); „ლუარსაბი აიტყვიდა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო, რომ შინც ცოტა წყენით არ უბასუხა“ (2,163).

სასაუბრო ელვარი აქვს ილიას შემდეგ ფრაზებსაც: „თუ შეტია შენთვის, იმას მოეცო, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია“ (2,47); „ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა“ (2,53); „აცა ვინ არ მოეტა ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისთვისო“ (4,25).

ილიას ზრუნვა ენის ხალხურობისათვის, რაღა თქმა უნდა, იმაშიც გამოიხატა, რომ მან სალიტერატურო ენაში გზა გაუკაფა ხალხში ვაფთონილ არა ერთსა და ორ სიტყვას. ილიას მარ შემოტანილ სიტყვებზე და სიტყვაწარმოების ილიასეულ ხერხებზე ცოტა ქვემოთ გვექნება საგანგებო საუბარი. ქვემოთ დავრწმუნდებით აგრეთვე, თუ რაჩრც გამაჩრცია და მოქნილი გახადა ილიამ წინადადების სინტაქსური წეობა.

ამჩრცად, ილიამ გამაჩრცია სალიტერატურო ენის ორთოგრაფია, უხვად გამოიყენა ხალხური იდიომები, ანდაზები, დიალექტებიდან აღებული სიტყვები, მიმართა სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებულ სტილისტურ ხერხებს, როგორცაა გამეორება, მთელი ფრაზის ბრუნვა და სხვანი. ყოველივე ამით ილიამ, შეიძლება ითქვას, თვისობრივი ცვლილებანი მოახდინა სალიტერატურო ენაში და ხალხის სასაუბრო მეტყველებას დაუახლოვა იგი. მაგრამ აქ თქმული სრულიადე არ ნიშნავს, თითქოს ილია უარყოფდა ძველ ქართულ ენას და უპარისპირდებოდა მას. პირიქით, ილია არის

სწორედ ღირსეული მემკვიდრე და გამგრძობელი ძველ ქართველ გამოჩენილ შერარატრადიცებისა. მას სურდა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუშები ასევე წარმოედგინა სასაუბრო მეტყველებასთან ახლოს. მემკვიდრე ვინაი ყოფილიყო დაწერილი, როგორც თავის დროზე იყო ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები, ძველი ენობრივი ნორმებიდან ილია უარყოფდა მხოლოდ იმას, რაც დიდი ხნის წინა უკუაგლო ცოცხალმა სალამარაყო ენამ, მაგრამ მტკიცედ იცავდა უოველივე დღევრატელსა და აუცილებელს ქართული ენის მრავალსაუფუნოვანი მარჯვადან.



უდავოდ სწორია, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად უნდა ედოს სასაუბრო მეტყველება, მაგრამ ქართველი ხალხის მეტყველება ერთგვარი არ ყოფილა (მით უფრო, XIX საუკუნეში) და სასაუბრო ნაჯდის გააღიერებას მოჰყვა ფორმათა დიდი სიჭრელე სალიტერატურულ ენაში. ილიამ დაშინვე იგრძნო ეს საფრთხე და ერთგვარად უკან დაიხია ძველი ქართულისაკენ. ამან გამოიწვია საუვედურები ილიას ზოგიერთი თანამებრძოლის მხრივ. სახელდობრ, როცა „ივერია“ ყოველღიერ განეთად ვადავთლდა, „თეატრმა“ იმ განუთის თანამშრომლები ანტრონის ენის მიმდევრებლ გამოაცხადა. ზოლო ნიკო ნიკოლაძე წერდა: „1861 წელს უფ. ი. ჰუბეაძემ დიდი და დაუეოწყარი სამსახური გაუწვია ჩვენ მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდენ მეუღარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჰუბეაძემ პირველად დაამტკიცა ის საუვედროანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს... უფ. ჰუბეაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულებას, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახუტა ძველ მწიგნობრულ ენისაკენ“ (ნ. ნიკოლაძე, ჩრეული ნაწერები, II, გვ. 189).

საუვედური უსაფუძვლო იყო, ილიას თავისი ენობრივი პოზიციისათვის არსოდეს უღალატია დიდმა მწერალმა ახალი მიმართულება მისცა სალიტერატურო ენას, მაგრამ, იმიერებათ, ეს არ ნიშნავდა ძველის მთლიანდ მიტოვებას და უარყოფას. ილიასათვის ძველი ქართული იყო სტიმულის მიმცემი და საიმედო დასაყრდენი ენობრივი მოღვაწეობის დიდ გზაზე. ამ დებულებას გარკვეული მონაცემები ადასტურებენ.

ილია დიდად იყო განსწავლული ძველ ქართულში. ძველი ქართული ილიასეული ცოდნა აქტურთი ცოდნა იყო, ძველი თუ ახალი აღთქმის, აგოგრაფიული სახეულებების, ქართლის ცხოვრების, ეფხისტყაოსნის, ვისრამია-

ნის, ქილილა და დამანას, სიბრძნე-სიკრძოის, დავითიანის ენა ილიას აზროვნებისა და მეტყველების მყარ კომპონენტი იყო და საჭიროების დროს აღვილად გასახსნებელი და მსახურანი (დაწერისთვის) იხ. ლ. მენაშვილი, ილია ქუჩავაძე და ძველი ქართული მწერლობა წიგნში „ქართული სამოციანელები და ძველი ქართული მწერლობა“, 1967). ყველაზე ნათლად და პირდაპირ ეს ილიასეულ ციტირებებში ჩანს:

„აი თუ სწორედ გინდათ, ამას ჰქვიან „შეუღდგებოდეთ არა მოქმედებას ჩემსა, არამედ მოძღვრებას ჩემსა“ (7,387); „რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებნით ამ დანიშნვას ჩვენ „ტიკართმომინი და დამაშვარლნი“ (5,76); „მუხლიან კი არ ანაკველს ცნობადის ხეს თითონი სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოველისათვის ცალკე და ზალხისათვის საერთოდ. ეგ ის ხეა, საიდანაც ერის ტარიც გაითლება და ზერხისაც, ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულისტყვილობა და ედუნება: მოღიბო, მამუარლნი და ტვირთმომინი, და მე განგისვენებთ თქვენ“ (5,20); „ვისაც გქონან ყური სმენად, ისმინეთ!“ (4,226); „ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი“ (5,110); „რა არ გადაგვდენია თავს, რა მტერი არ მოგვეყვინა, რა ვაი-ვაგლანი, რა სისხლის ღერა, რა ღრუენა ცბილია არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმავრდით, შევიზახეთ ჩვენი თავი, შევიზახეთ ჩვენი მიწა-წყალი“ (5,11); ძველი ებილითა ღრუენა“ აქ განსაკუთრებით მარჯვეა. იგი საოცრად მოხერხებულ ენაბრივ ვარგოშია. ძველი ქართული გამოთქმა მშვენიერად მებზობლობს „ზალხურს“ და ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ამ ტერმინთა პირობითობას ისეთი მოქართულის თვალში, როგორც იყო ილია ქუჩავაძე.

ილიასთან ჩვეულებრივია ძველი და ახალი აღთქმიდან მომდინარე გამოთქმები — „ნამეტნაობისაგან გულისა“ (4,267), „განისვენე მართალთა თანა“ (4,230), „მითრევის მათ, რამეთუ არ იციან, რას იქმან“ (6,231), „ნეტარ არიან მორწმუნენა“ (7,348), „პური არსობისა“ (4,367). ასევე დამახასიათებელია ილიას ენისათვის სახარებისა თუ ძველი აღთქმის ციტატების პერიფრაზირება: „ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტნაობისაგან“ (3,118); „ტიერთი მათებრ კაცების მეგვიდრობისა არ არს სუბუქ“ (3,219); „განა მარტო აქაურის ბანკების ხმა დარჩა ხმად მლაღადებულად უღანბოში“ (5,265); „ბეწვი დაუნახავს და ძელი კი არა“ (5,266). „ყოფენ ნება თქვენიო“ (6,361). ზოგჯერ ილია ოდნავ ათანადროულებს კიდევაც ამ გამოთქმებს. ვათანადროულება ხდება

გრამატიკული ფორმების ხარჯზე: „ენა მოამღვარებენ მეცნიერებას და მის მწიანე შტოს ნოეს შტრედსავით ნიშნად ხარებდას და ნიშნისისცემისა“ (4,336).

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ცნობილია, მეორე სახარება ქართველი კაცისათვის და ილია ხშირად მიმართავს ამ წყაროს. მისი გამოყენება სხვადასხვა სახისაა. ზოგჯერ უშუალოდ მითითებულია რუსთაველი: „მისი სისხლი და ხორცი შუალობს და იხვევს მას, რაც ჩვენი რუსთაველის სიტყვი, „სჯობს ყოველსა მოსახვეულსა“ (3,86); „...იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვი, ერთი მოდის და მის მაგიერ სხვა მოდის“ (3,375); „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“ — დიდი ხანია სიტყვა ვულთამბილაგან რუსთაველმა (9,73).

ზოგჯერ ილია არ ასახელებს წყაროს: ნათქვამით — ამ ტიპის მითითებით ემყოფილდება. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხელსა ნედლადა, სიმაართლი მოჭრილი ხელი არ მეტკინებო — ამბობს ჩვენი ზალხი“ (6,84); აქაც რუსთაველი და ზალხური ერთადვეა: „ზოგჯერ სიწყნარე ვმობდა სჯობს სიჭკავსა ქებულსაო — ნათქვამია“ (6,117); „ხომ მოგეხსენებთ, ყვაი რა ვარდა იშოვის, თავი ბუღბული ჰგონია“ (6,237).

ზოგჯერ არავითარი მითითება არ არის: „სოფელი ასე მქნელა“ (3,158); „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვისხენებთ“ (4,334); „ენა დამტერების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებინა“ (4,61); „იმ თაობამ საყვარელსა უჩვენა საქმენი საგმირონია“ (3,307).

რუსთაველს ლექსის მარჯვე გამოყენების ნიმუშებია: „ობოლი მარგალიტი“ (3,89); „წყალი და ჭყარი განფლებისა“ (3,314); „სამამაკონი ზენი“ (5,14); „რითმების მშეპველი პოეტო“ (3,12); „საბელი ყელისა“ (5,318); „უმსგავსო და შორისმორა“ (4,43); „ყოველივე იგი ჩვენითვის არ ახალია, ძველია“ (7,464); „ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ჰგვარდა არა სურის, შორ მანძილს ვერ ვაარბენს მარტო იმიო, რომ ზალღები ატყოს, ახალი თაობის კაცი ვარო“ (5,254).

ილიას განსაკუთრებულ ყურადღებას იძურობს დავით გურამიშვილი, „ქართლის კირის მოზარის“ ენა და აფორისტული აზროვნება ნიმუშად უღვას წინ. ილიას ნაწერებში დადასტურებულია გურამიშვილის სახეობრივი სისტემის ყველაზე მარჯვე გამოთქმები. აქაც ხან აშუაა მითითება, ხანაც ტექსტში მარჯვე ჩასმული თქმა თუ ელემენტო სიტყვა. „უზობროტურო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს“ (4,202); „მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ საქმობს მეკლარიო“ (4,256); „მისს კი არა ნიშნავს, რომ აღმა მხენელსა და დაღმა მფარცხველს საქციელი უსაფულო მო-



ვეწონოთ" (3,264); „ბრძენი არ იშვებს ფრია-  
ლა, არც დია შერუხდებისა" (4,222); „წამბლარ  
საქმეს რას არგებს მერმელა თითზე კენანი" (6,284).

ძველი ქართლის საგანძობიდან არის „მე-  
ლაშაზებული" ილიასეული ფრაზები: „საბა ორ-  
ბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თვითონ მამალსა-  
ვით ზეზე შემომჭლარა და იძახის: მე აქ ვიყი-  
ვლებ და თქვენ მანდ ძირს იყევით და სოფელი  
აშენდებოთ" (6,243); „არარაისაგან იქნების არა-  
რაიცა" (3,116); „ია-ზამბახ-ვიარდ-გამილიო, რი-  
გორც ჩვენი ძველი პოეტი ზესოცა იტყოდა" (3,375); „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად,  
რაც ვინდ მალა თაროხედ დასეთო, ნათქვა-  
მია" (6,245); „ეთამა გუთავებელი, სუენოდ  
სახსენებელიც ეს იქნება" (4,269); „ჩვენი სო-  
დაგრებო კი დეჟანში თვლემას არ მოპვორდ-  
ბიან, ტბიონი არ უწერი" (7,267).

ილიას ნაწერებში გვხვდება სიტყვები და  
გამოთქმები, რომლებიც შვიდროდ არიან და-  
კავშირებულნი ძველი ქართლის ენობრივ გა-  
რწმანს. „წარტოლილი კუმშარიტება" (3,68);  
„წარტოლილი ცხოვრება" (იქვე). კ. გ. რუს  
დაწერილია შრომა, რომელსაც ილია უწოდებს:  
„ძირითადნი დასაბამნი საფინანსო მეცნიერე-  
ბისა" (6,269); „დიდ-მშვენიერნი" (4,11);  
„უღონოდ-ქმნილი" (4,209); „იგი არაფრად  
შხადის კანონს" (7,445); „უასაკოდ იცინით და  
მისა უამყოდ ყოფნისა გამო ჰგლოკობთ და  
ტირით" (5,158); „ოუ თვალი მართლაც უქ-  
რის ხედვისათვის" (6,271); „რას აქნევენ მიმი-  
ნოსა" (2,76). აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ  
ილია ზმირად ისეთი ნიჟანსით წარმოადგენს  
სიტყვას, რომელიც ზოგჯერ მევეთად უპირის-  
პირდება ილიასდროინდელ გაგებას. ასეთებზე  
უცებია, ობოლი, ლეკია: „ასე ცალკე, ასე ობ-  
ლად და მარტოდ აღებელი" (4,32). „ვის შეს-  
ტკივა გული ამ დიდ საქმისათვის? მარტო  
უცებ და მოუხმადებელს" (5,323). „ყოველ  
ხალხსა... შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვე-  
ბი, როგორც თავის ლეკილი ენის ლეკნი" (3,52).

ილია მიმართავს ძველ ქართულ კავშირებს,  
თუმცა ამ კავშირებს ილიას დროს მოვპოვე-  
ბათ ახალ-ქართული ბადალი: „იგი იყო მხო-  
ლოდ კაცის კეთონილება, ვითა ღვთის კერძო-  
სა" (3,146). „ყოველი ადამიანი... მიანიც ადა-  
მანია და ვითარცა ადამიანი — ყველასთან  
თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და  
გულ-შესატკიავარი" (5,8); „გარანა რას იხამთ,  
რომ უზურში ამის უნარი და საფრელი არ  
არის" (6,253).

ილიას ენის დასაბასათებლად კიდევ უფრო  
მნიშვნელოვანია ის წმინდა გრამატიკული მოე-  
ლენები, რომლებიც მას ძველ ქართულთან  
აყვანიტებს. ასეთია იგი ნაცვალსახელის (ნაწყე-  
რის) ზმირი ზმარება. დღევანდელ ქართულში

თანაბრად იხმარება ოს და იგი ნაცვალსახელე-  
ბი, მაგრამ ძველ ქართულში ასე წილი იყო.  
იქ გაბატონებულა იგი ნაცვალსახელი, რომე-  
ლიც ნაწყერის (არტიკლის) როლს იკავებდა.  
ლეს. შემთხვევითი სურლიად ასახსნის მისი  
რემოება, რომ ილია იგი ნაცვალსახელს აძ-  
ლევს უპირატესობას და ზმარობს მას სახელის-  
წინ მსახლერებად: „იგი სუეარული საშობ-  
ლოსი, იგი სუეარული და ნაღველი ღრთა  
მიმართ" (3,236). „ესი ოფლითა და ვარქითა  
მოპოვებული იგი პური" (7,7). „გაკვეთოს იგი  
ქარი, გააბოს იგი წყალი, ვარღაიაროს იგი  
კლდე და ღრე, რომელიც კანონიერმა ცოლ-  
ქმრობამ ვითამ თვალწინ ვადუღობა" (3,140).  
აქ ერთი ვარემოებაც არის საყურადღებო: „მე-  
რანში" ბრათამვილმა რამდენიმე წყვილით-  
განსაზღვრა განწირულის სულისკვეთება — გა-  
კვეთე ქარი, გააბე წყალი, ვარღაიარე კლდე-  
ნი და ღრენი — ეძახის მხედარი მერანს. ილი-  
ასათვის საცნაურია ამ წყვილითა დიდი ექსპრე-  
სიული ძალა და უშაღვე სასაუბრო ენის სვე-  
როში შემოატყის ეს გამოთქმები. ცხადია, აქ  
ერთი ტრადიციულ გზას კი არ ადგას, თვითონ  
ილილობს საშვიდრებელი მოუპოვოს ამ გა-  
მოთქმებს. ამ მიზნით მას პოეტური სიტყვის  
დიდი მიღწევა საყველბერო ენაში შემოატყეს.  
საყოველთაოდ ხდის მას.

ნიშანდობლივია ძველი ქართლის ისეთი  
სტეტიკური მოვლენის გამოყენება ილიას  
ენაში, როგორცაა წრფელობითი ბრუნვა. ამ  
ბრუნვას ილია საყუთარ სახელეებში არაშეა-  
თად იყენებს: „მე და გაბრიელ მოვრიგდებო-  
თო" (2,95); „ამაჩიემი ზაღ ნუ წამიწყდება"  
(2,156); „ცოლო არ არის, ის უხლა მიწაში ლე-  
ბოღეს და შენი მახლი დეაო კი ცოცხალი  
იყოს!" (2,141). აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა  
მზაროდ მხატვრული ობზულეებების ენას ახა-  
სითვებს.

ახალ ქართულში ნარ-თანანი მრავლობითის  
სუერო შეიზღუდა. ნარინი ფორმა (სახელობი-  
თი და წოდებით) უფრო ზმირია, არის აგრეთ-  
ვე თანინი ნათესაობითი, მაგრამ ერთობ გა-  
იშეათდა თანინი მოთხრობითი და მიცემბრი.  
ეს ვრცელდება ილიას ენაზედაც, მაგრამ მხო-  
ლოდ ნაწილობრივ. „მისნი გულის თქმანი, მის-  
ნი გრმინანი, მისნი ქორნი და მწუნარებანი  
უფრო საყოველთაო, საკულობრიონი არიან, ვი-  
ღრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საყუთარ გუ-  
ლისანი" (3,211). ასეთი ფორმები ილიას ენაში  
არაიშეათია. თანინი ნათესაობითი: „თვისთა  
უკეთესთა კაცთა დაფასება" (3,86); „თვისთა  
დიდბუნებოვან კაცთა მეთაურის ღვალი" (3,86);  
„ესრეთ ტბილად და აემდერეველად მი-  
ღლიდა ამ ორთა უმანკო სულთა უბორორტო  
ცხოვრება ამ წითის-სოფელში" (2,142); მო-  
თხრობითი ბრუნვა: „ადგილობრივ მცხოვრებ-  
თა უნდა თვითონ ამოიჩინონ თავიანთი მომ-

რეგული მოსამართლე" (6,82); „კანონდებულთა აღიარეს" (6,93); „ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თითოეულად. თავისი შესაფერი აფვილი დაიჭირა ჩემს გონებაში" (2,11). მიცემითი ბრუნვა: „პოეზიაში ქვებუნდ ზათქა-ბნუთქი უყურესთა ფიქრთა დამბუნდა" (2,11); „რალაჲ კმაყოფილებით გატაცებულთა, ამ ღორებს ერთმანეთისათვის ბეერქერ წაუთავაზებიათ დინეი" (2,126); „ქება და დიდება ვეთუენის ამ საქმის დამწყებთა" (3,150); „მოვიმართოთ ესლა ამ სავანთა" (6,14).

ილიას ენაში დამკვიდრებულია მსაზღვრელ-საზღვრელის აბღებური წყობა, განსხვავებული ძველი ქართლისაგან, სადაც ჯერ საზღვრელი დგას და შემდეგ მსაზღვრელი, მაგრამ შერალი არაიშვიათად მიმართავს ამ ძველ წყობასაც და ამ გზით გარკვეულ სტილისტურ ელფერს ანიჭებს თავის ენას. ძველებური (ინვერსიული) წყობა პოეზიაში დღესაც საკმაოდ ხშირია, მაგრამ საველისხმო და ზანგასასულია ის გარემოება, რომ ილია მისი გამაყენების სფეროს არ ზღუდვად მხოლოდ პოეზიითა და პუბლიცისტიკაშიც დასტურად იყენებს მის (ილიას პარონისათვის ეს ეს წყობა დამახასიათებელი არ არის). აი, სათანადო მაგალითები ილიას პუბლიცისტიკიდან: „სად არის კახლოვის თარგანში ის მეხა სიტყვა, ის საყვირველი ძლიერი სულა ზაარონის გენისა" (3,9); „აქ ისინი... რალაჲ უჩემთა ჩივლი, კვნესა და ოხვრა რუსხ გოგონი" (3,13); „უკავებო ფარშავანის ფრთებითა, ბულბულებო უორნის ჩხავილითა" (3,31); „აღვიარებულმა ფარშავანამ დუღისამ... გამაწრა და შესთოკა აღამიანი ეს ღელანდელ დროში" (7,12); „უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისას" (7,189) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელ-საზღვრელის ძველებურ წყობას ილია მიმართავს თითქმის ყველა ბრუნვაში. ამგვარ წყობას შერალი უპირატესობას ანიჭებს განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ საზღვრულთან დაკავშირებულია რამდენიმე მსაზღვრელი, რომელთაგან ზოგი ატრიბუტულია (შეთანხმებული), ზოგი კი გენერტური (ნათესაობით ბრუნვაში დასმული, მართული).

როცა ორივე ტიპის მსაზღვრელი (ატრიბუტულია და გენერტური) საზღვრელის წინ ერთად არის მოქცეული, ასეთ შემთხვევაში ილია ამჯობინებს საზღვრულთან უფრო ახლოს გენერტურ მსაზღვრელს დააყენოს, ატრიბუტული კი მის წინ მოაქციოს. ეს ზოგჯერ ეწინააღმდეგება ჩვენი დღევანდელ წყობას. მაგალითად: „ქნება მკითხველი არ იფერებდეს ამგვარ ამ ლექსის გაგებას" (3,32). დღეს ეოცყოფით: „ამ ლექსის ამგვარ გაგებას. ასეთივე მაგალითებია: აერთი მონრდული იმერლის ბიქი" (2,42); „გაქონილი ფანჩის ქალღლი"

(2,127); „სასაცილო დონიქის შუბოცრა" (7,11) და სხვ.

ილიას ენის დამახასიათებელი შემთხვევითვე მსაზღვრელ-საზღვრელის სრულყოფილ თანხმება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში: „ჩემს ვამწვილურს გულს" (1,4). „ერთნაირსა ციავს კამარს" (1,4). „შავს თვალებს" (1,17). „ყუდებულს მყინვარსა... მის მალას შუბლსა, მის ყინვით შევერცხილს თავსა" (2,20) და ა. შ.

ატრიბუტული მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვის ფორმით არის ხოლმე შეწყობილი მოქმედებითი დასმულ საზღვრულთანაც: „ენელის სიხარულითა" (1,133). „მოელის თავის დიდებულებით" (2,20). „მიღუელის გულისეკით" (2,31). „გავანორებულის ნესტოებით" (2,32) და სხვ.

როგორც ცნობილია, მსაზღვრელ-საზღვრელის სრული შეთანხმება დამახასიათებელი იყო ძველი ქართლისათვის და ზემოხსენებული ფორმები მიცემითისა და ნათესაობითისა ილიას ენაში ძველი ქართლის ანარქულ წარმოადგენს.

ილიას ენაში არაიშვიათად იჩენს ხოლმე თავს ძველი ზმნური ფორმები, რომლებიც ფესვი ძველ ქართულში უდგათ, ახალ ქართულში კი ისინი შეცვლილი ფორმით არიან დამკვიდრებული. ვერ ვიტყვი, რომ ილია ამ ფორმებს რაიმე განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებდეს, საგანგებოდ ცდილობდეს მის აღდგენას, მაგრამ თავისთავად მათი ხმარების ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ბუნებრივია ილიასათვის ძველი ქართული ფორმები: მკითხადა (მეუბნებოდა), ჰკითხავდა (კითხებოდა), იქმონენ (იხმუნდნენ) გაიძერ (გაიძერე), გამაძერ (გამაძერე), გამოეცნა (გამოეცნო), მოაკვებენ (იკვებნიან) და სხვ.

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ილიასათვის ძველი ქართული ნომეზისა და მავალითის დონეზე დგას (როგორც ჩანს, ესაა საერთოდ ენის ძველი ფენების გამოყენების ყველაზე ელასტიური გზა). „მართიანი ამა ქვეყნისანი" შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც არსებობს „ქლიერნი ამა ქვეყნისანი". „ობოლი მავალითი" „ობოლი მარგალითი" არის ზურგამაგრებული. „დედა-ბინა" — ამ სიტყვის უკან დგას დღემდე, დედაყნი, დედა ბუნება და მრავალი სხვა. ფიქრბუნედი — ამ სიტყვის წარმოებაზე თვით ილია მიგვიითყვება; როცა წერს: „არამც თუ თვალ, ფიქრ-მთუწადმელიცა" (3,9).

დაბოლოს, ილიასეულ ლექსიკონი (იხ. ილია ქაქავაძე — სალექსიკონო მასალა, პუბლიკაცია და შენიშვნები შოთა ძიძიგურისა, „მნიშობი", 1957, № 10). დიდად უსაყულოა ის ფრაგმენტი, რომელიც ჩვენი სასაქალაქო მწერლის სალექსიკონო ნაშრომის კარგა მოხრდი-

ლი ხელნაწერებიდან შემოვარჩა. ილიას ზრუნვა ლექსიკონის შედგენისათვის თავისთავად საყურადღებო ფაქტია. მაგრამ ამჟამად ეს ლექსი სხვა კუთხით გვანტერესებს. რა წყაროებს ვყარდნობა ილია? მარტო მათი დასახელებაც ერთგვარი საბუთია ილიას მეცნიერული დამოკიდებულებისა ენის უღრმესი შრეებისადმი (სახარება, დავითი, საქმე მოცუქეთა, ქილილა და დამანა).

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობთ, სადავო არაა, რა რიგ ჩაბედული იყო ილია ძველ ქართულში და რა რიგ ფაქიზად ეპყრობოდა მას, როგორ იყენებდა ძველ ენობრივ ინვენტარს.



ილიას წინამორბედი ეპოქის სალიტერატურო ენა ჯერჯერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და ამიტომ ზოგ რამეში ადვილად შეიძლება შეცდეს კაცო, განსაკუთრებით, როცა ცალკეულ სიტყვათა ისტორიას ეხება საქმე, მაგრამ ის კი დაბეჭდვით და შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას წვლილი ქართული ლექსიკონის გამდიდრების საქმეში განსაკუთრებულია, პირდაპირ განუზომელია.

ჩვენ არ გვგავსაღერებო გვირგვინ ქართული მწერალი, რომელსაც იმდენი სიტყვა შემოეტანოს ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენიც შემოიტანა ილია ჭავჭავაძემ. შემოიტანა, რომ ვამბობთ, აქ იგულისხმება როგორც ძველის გაყოცხლება, ისე დიალექტიზმიდან შემოტანა, სხვა ენებიდან სესხება, უმთავრესად კი ახალ სიტყვათა წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი ყალიბის მიხედვით. მხედველობაში მისაღება აგრეთვე ილიას როლი სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებისა და მისი ტერმინად ქცევის საქმეში.

ავიღოთ თუნდაც ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა, როგორიცაა მამული. ამ სიტყვას ქართულ ენაში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. სამოშობლო, 2. მიწა-წყალი, რომელიც ვისმე საკუთრებას შეადგენს და შემკვიდრებით ვადაცემა მამიდან შეიღოს. ორივე ეს მნიშვნელობა ძველი ქართულიდან მოდის, მაგრამ ამ სიტყვის ზოგადი, ფართო მნიშვნელობა XIX საუკუნისათვის უკვე დაზრდილული, მიფერდული იყო და მამული მხოლოდ მიწა-წყლის, აფგალ-მამულის მნიშვნელობითა იხმარებოდა. მოვესმინით თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „ახლა ეგ დიდებული სიტყვა თვითონისა შევიგანის გათავთუბუღის უძრავს ქონებასა მნიშვნის და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — პინასა, რომელიც ქვისა და კარის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძელებით დამყარებულია. სადაა მამული? ხორცის დაუძლეურებას სულის დაუძლეურებაც ზედ მოსდევს;

განეთითეთუდლით, და რამოდენადაც თვითონი ჩვენგანი მთელს ქართველობასზედ უმალურია და პატარა, იმოდენად თვითველის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საფარველ დაუძლეურა, დამატარავდა. ჩვენს დედუკებულს და შევიწროებულს გონებას სადა შევქლო ეჭონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებულ სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქორდების-კაცს თავისი ნუნუდავილი სახნავი მიწა წარმოდგება ხოლმე, მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღებრბინ ქალღმრთელ სადაო საჩივრია; მამულისათვის ძლევაშოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ვეროვანად შემოწმებული: მამულის სიმაგვრე — ტყუდშული ღობევენაზ გარეშეშო შემოტრეშული; მამულის პატრივი — ნებეია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხენელისა და მთესველის სახელიაა“ (3,78).

ჩვენმა, ილიას ეს სიტყვაბა დღეს ვინმეს ბუბლიკისტურ გაზვიადებად მოგჩვენოს, მაგრამ მათ რომ საფუძვლად რეალური ვითარება ედო, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ილიას „მამული საყვარლო, შენ როსლა აყვავდები“ „ცისკრის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიღამოს აყვავების ნატურად მიიჩნია და პოეტს მიჰმართა: „თავადო ილია, ნეტავ ეხლა გაჩვენათ თქვენი მამული, როგორ ყველაფერი ამწვანებულაო!“

შემდგომში სიტყვა მამული კვლავ აღდგა თავისი ფართო და დიდებული მნიშვნელობით, რაც ილიას საესებით სამართლიანად XIX საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა დასახებრებად მიანნია: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამოზრწინდა დავიწებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიწიბიველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კო რამებ ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის გიგა მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეყურა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახნარ მამული, რომელსაც ვამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდგა დააქვეითა და დაამდაბლა“ (3,225).

პირველი სამოციანი წლების მოღვაწეთაგან, ვინც ადრინდელი ძალა და ბრწყინვალება დაუბრუნა სიტყვა „მამულს“, თვით ილია ჭავჭავაძე იყო. გაიხსენით, რა ხშირად ისმის ეს სიტყვა მის ლექსებში: „ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდოდა შეიღოსა“ (1,30); „მამულისა სიყვარულმა ძობა გულში ჩავვიყენა“ (1,36); „მამულს სიციხლენ შევიწროთ შეიღურის ერთგულებითა“ (1,38); „მას დედის ძუძუ ტუბილი შხამადაც შერგებია, მამულსთვის სიყვდილი ვისაც დაზარებია...“ (1,44). „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტუბილი გამაგონე ჩემს მამულსო!“ (1,62).

მართალია, სიტყვა მამული აქა-იქ XIX სა-

უკუნის პირველი ნახევრის ქართულ კლასიკოსთა თხზულებებშიაც გაივლებდა ხოლმე „სამშობლოს“ მნიშვნელობით (ვახუშტის ნოტ. ობზერვაციის „სადღეგრძელო“; „გმირთ, მამულის მადიდნო“ და სხვა). მაგრამ ამ სიტყვის მთლიანად გაკაცობება და მისთვის ძველი ძლევაგამოსილების დაბრუნება უთუოდ ილიას დამსახურებაა. ამ სიტყვის გააქტიურებას მოჰყვა მისგან სხვა სიტყვათა წარმოებაც (რის უნაირიც არ აღმოაჩინა მის სინონიმს — სამშობლოს): მამულიშვილი, მამულიშვილობა, მამულიშვილური, სამამულო. ამთავან მამულიშვილს ილია ხმარობდა гражданнин-ის შესატყვისად. შემდგომში ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა მოქალაქე, რაც აგრეთვე ილიას დამსახურებაა, „მამულიშვილობა“ კი უფრო ამაღლებული და საპატიო მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეს სიტყვა ილიას კალმის ნათელულია და ილიას მიერ არის გზაგაყვანილი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ილია ზრუნავდა აგრეთვე ისეთი სიტყვების გააქტიურებასა და მნიშვნელობის გაფართოებაზე, როგორცაა დედაკაცი, მთურავი და სხვა. ზოგი სიტყვის სემანტიკას თუ ეტიმოლოგიას თანაბრად მას საკმაოდ ერეცლია და საბუთიანი მსჯელობა აქვს გამართული. ასეთი სიტყვებია: წყალობა, მოწყალება, მიყვალბული, (ქალს) ვათხოვება, საკომლო (ვადანახადი) და სხვანი. ილიას შეუბედურებაში ამ სიტყვებზე ხშირად დაამოუშებელი სპეციალურ ლიტერატურაში და კარგად ცნობილია, ამიტომ მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

ჩვენ დამწერლებით ვერ შევჩერდებით ვერც ახლა იმ სიტყვაზე, რომელია აღდგენა, სალიტერატურო ენაში შემოტანა ან წარმოქმნა დიდ ილიას სახელთან არის დაკავშირებული, მაგრამ აქცილებულია თუნდაც ვაკერით შევეხოთ ზოგადრით მათგანს, რათა მკითხველს ერთგვარი წარმოდგენა მაინც ჰქონდეს ილიას უხარმზარ დეაქტზე ამ სფეროში. აქვე უნდა მოვიგონოთ, როგორ ბოდიშობს ილია მკითხველთა წინაშე თავის ერთ წერტილში ტერმინოლოგიურ-ენობრივი სიბრალეების გამო: „ბოლოში ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მშობეა და ადვილად ვასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოვიფიქრებდით ამათგან ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაწინაურებული. სიმძიმე სიტყვისა იქნება ჩვენ მიერ ენის უტოლდინარობის მიზეზითაც იყოს, არც ენაზე ავტორიტეტებით ვისმე, მხოლოდ ჩვენ გვსურს დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით ყოველი დღეა ვიხმარეთ, ჩვენი აზრი ადვილად გადაგვეცა სხვისთვის და სწორედ მოგახსენოთ, ზოგან თვით

აზრს მისი მნიშვნელობა მოეკვივლით, რომ სიტყვა ადვილად ვასაგები ყოფილიყო“ (ნ.140-141). ამას წერს ილია ზინუნების საქმიანობა მიძღვნილ ნარკვევში, სადაც იგი სპეციალურად უფლებებს და საერთოდ სამართლის საკითხებს ეხება. ზოგადრით სხვა დარგის ტერმინოლოგია იმ დროს უარეს დღეში იყო. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს XIX საუკუნის ქართულ მოღვაწეთა და მათ შორის ილია ჭავჭავაძის ენის შეფასების დროს.

ილიას მიერ აღდგენილი, ახლად ნაწარმოები ან ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების გამოყოფაში ჩვენ გვშეშლის თვითონ ილია, რომელიც ამგვარ სიტყვებს იქვე ფრჩხილებში ან სქოლიოში ურთავს ახსნა-განმარტებას, ანდა კონტრექსტშივე ახსნა-ტებს სიტყვის მნიშვნელობას, უკეთებს კომენტარებს.

აი, მაგალითად, როგორ აწევის ილია მკითხველებს ამა თუ იმ უცხო სიტყვას, რომელიც იმ დროს განმარტებას მოითხოვდა, დღეს კი ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებულია: „პროტექციონიზმი მოსარტლობა“ (7,320). „სამაფლავი იქნება, თუ მაგება, და რეკლამა, თუ ქება“ (3,169). „ამისთანა თვალზექუნი ნახტომები... მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათია მისი ზნეა წერისა“ (4,39). „დეცილი, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა“ (3,113). „მოშობილად იცხუნება სცენისა, რომელსაც იტუხან ექსპიან“ (3,104). „ევილიზაცია ანუ წარმატებულობა აღმანიანს“ (4,28). „თავალი უღვევებია პარიზის სითბო-სიცოვეებისათვის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ტემპერატურის მეტრაცი-ლებობისათვის“ (7,182). „საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობა, რომელსაც მეცნიერნი კონკურენციას“ ექსპიან“ (7,203). „საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც ღვინოში ფალსიფიკაციის ექსპიან, ესე იგი ყალბის ღვინის ეუთებასა“ (7,86).

ზოგჯერ ქართულ თუ უცხოურ სინონიმთაგან ერთ-ერთი ფრჩხილებშია მოქცეული: ზღარტი (ინტრიკა) (3,121); არაკი (ფაბულა) (3,186); დედა-აზრი (პრინციპი) (3,256); ეტიოპარი (კრუტიტი) (6,86); ზოგჯერ კი უცხოური ტერმინი სქოლიოშია განმარტებული (იხ. მაგალითად, სავაკრო ბალანსის განმარტება (7,195).

ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ერთი მხრივ საჭირო იყო ბრძოლა უცხო სიტყვებით ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი ნიადაგის გაწმენდა ისეთი სიტყვებით, რომლებსაც ყველა ციფალიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი აქვს: „ორიგინალური, სენტემენტალური და სხვანი მაგ-გვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებდ მიგრილით, ევ, მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კ-

ეთბრობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტა-ოდენ განეთარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ენის ლექსნი, მაშასადამე, არც ჩვენიც არის დასაძინისი, რომ ვიხმაროთ... მე „ოსტროვები“, „ლინიეზი“ და სხვა ვარძიანული სიტყვები... ამისთვის დაგმობაზე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იმოკინ თავიანთ მნიშვნელობას სიტყვებს“ (3,52-53).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა სავსე იყო „ოსტროვებისა“ და „ლინიეზის“ მსგავსა „გარდობილი“ სიტყვებით. მათ წინააღმდეგ სუსტი პროტესტის ხმა აქა-იქ ილიამდეც გაესმოდა, მაგრამ ბრძოლის სწორი გზა არ იყო ნაპოვნი. ამ შირივ საუფრადებოა, მაგალითად, ირ. ლორთქიფანიძის „საქა“ „ციცისის“ 1857 წლის მეშვიდე ნომერში, სადაც ავტორი მოითხოვდა: „ქრეატი შავცკალოდ ცხდრად ანუ სარტულად, კრესლო სავარძლად და ესრეთ შემდგომნი“.

ილიამ იგრძნო, რომ „გარდობილი სიტყვების“ წინააღმდეგ საბრძოლველად ძველი ქართული ლექსია მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოდგებოდა და საჭირო იყო უფრო ეფექტური საშუალებების გამოიხატა. ამ ბრძოლაში ილიამ, უპირველეს ყოვლისა, ისევ ხალხის ცოცხალი მეტყველება მოიშველია. ასე დაუპირისპირა მან „პიჯას“ — ლედი, „გოკის“ — თამაშირი, „კოპიოს“ — ასლი, „ატომენის“ — საბაჟო. ღღეს ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის ნაცნობი და ვასაგებია, მაგრამ ცუტამ თუ იცის, რომ მათ გზა ილია კავებამდე გაეყვანა სალიტერატურო ენაში. კუშმარბილ შართალი იყო აკაცი შანიძე, რამდენიმე ათეულ წლის წინათ რომ წერდა: „ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს ღღეს, რომ ჩვენ მიერ ხმარებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა პირველად ილიას მიერ არის მოპოვებული და უშუალოდ თუ შუალობით, ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნაწერებიდან მომდინარეობს“.

თუ არ ვცდებით, ილიამდე სალიტერატურო ქართულში არავის უხმარია აგრეთვე ხალხის მეტყველებიდან აღებული სიტყვები: ხილხელი, ფლასტი-ფლუსტი, ხამუშ-ხამუშად, გათქვირული, აეალა, დაფოლვა, თქალღვა და სხვანი.

ზოგიერთი სიტყვა და ტერმინი ილიას ძველი ქართული ძეგლებიდან აქვს აღებული, ასე მაგალითად, предложение-ს შესატყვისად ის ხმარობს საუკუნს: „ჩვენ საჭიროდ დაეინახეთ... ჩვენი საუკუნი სხვისთვისაც გავუზიარებინა“ (6,185). ამ სიტყვას სტოლიოში შემდეგი გან-

მარტება ახლავს: „საუკუნი — предложение. ამ აზრით არის ხმარებული ეს სიტყვა ვისრამინში, იხილეთ გვერდი 32, 35 და 131“.

სხვაგაა ილია ზელისუფალ სიტყვის გამო შენიშვნას: „Исполнительный, ზელისუფლები“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტურალაშიც. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე“. თითონ დასტურალაში მეფის და მდივანბევის განჩინების აღმასრულებელი კაცნი საერთოდ „ზელისუფალ“ წოდებულ არიან“ (6,41).

ილიამ მოხელე მიუსადაგა რუსულ „ჩინოვნიკს“, რაც შეეხება ზელისუფალსა და ზელისუფლებას, ეს სიტყვები სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით, მაგრამ თვით სიტყვის შიხრტყა, აღდგენა და გაცოცხლება ილიას დამსახურებაა.

ცხოვრების აქტიურულ მაქისცემას ბევრი ისეთი ცნებაც მოჰყვებოდა, რომელთა შესატყვისი მზამარტული სახით არც ძველ ქართულში მოიპოვებოდა, არც ხალხის ცოცხალ მეტყველებაში. საჭირო იყო ახლის შექმნა და სწორედ ყველაზე მეტად აქ გამოჩნდა ილიას ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭი და ენობრივი აღტო.

ღღეს ჩვენ ყოველ ნახეზე ეხმარობს სიტყვა წოდებას („მაღალი წოდება“, „სამატიო წოდება“, „მასწავლებლის წოდება“) და ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, თითქოს იგი უხსოვარი დროიდან იხმარებოდა ქართულში, სინამდვილეში კი ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით ილიასაგან მოდის. ამის თაობაზე თვითონ ილია წერს: „ჩვენს ენაში სიტყვას კი არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსულ სიტყვა „составе“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ ვუშინდელი სიტყვაა, ეხლა შემოგვყავს ვიანარობით და ისიც ვინ იცის — ვარცა სახმარად, თუ არა. არამედ თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ამ მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობით, ძველს კანონებშიც არსად არ შევხვედრივართ“ (6,52).

დედა-მიწის, დედა-ბოძის, დედა-ენის და სხვა ამგვარ სიტყვათა ანალოგიით აქვს ილიას წარმოებული დედა-აზარი, რომელსაც იგი პრინციპის შესატყვისად ხმარობს (3,25). მსგავსადვე ნაწარმოებია დედა-არსი.

ილიას შექმნილია სიტყვა დაწესებულება, რომლის პარალელურად იქვე გვხვდება დაწესებულობა (6,264-265). ურახის შესატყვისად ილია სხვადასხვა დროს ხმარობს აქვს უფლება (4,84), მართლიერება (6,119) და რჯულიერება. ასეთი პარალელური ფორმების მიხედვით შეიძლება წარმოვიღვინოთ, რა დიდი სიფრთხილითა და მხრუნველობით ქმნიდა ილია ნაირ-ნაირ ვარიანტებს და როგორ აღლოიანად არჩედა მათ შორის საუკეთესოს.

ილიასეული კომპოზიტია მიწათმოქმედება, წარმოქმნილი რუსული *земледелие*-ს ანალოგიით. ამავე მნიშვნელობით მასვე ნახმარი აქვს მიწის შემუშავება (6,53) და მიწისმოქმედება (7,328), მაგრამ საბოლოოდ ილიამ შეარჩია ევლზე მოხდენილი ფორმა, სადაც კომპოზიტის პირველი წევრი შრავლობით რიცხვშია. „გაბლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვია, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა“ (7,32), — წერს ილია და ამ პატარა ფრაზაში სამი მის მიერ შექმნილი ტერმინია: წარმოება, მიწათმოქმედება და მეურნეობა.

ილიას ენიღანვე იღებს სათავეს დღეს საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული სიტყვები: ავბულება, აღებ-მიცეობა, ეროვნება, კაცობრიობა, მსოფლმზედველობა, მთავრობა, მმართველობა, მიმართულება, მოთხოვნისება, რწმუნება, ღირებულება, საქონელი, დასაქონლება, მიმოქცევა, შინაარსი, სინამდვილე, განყენებული, პიჩქუმი, საერო, საზოგადო, საყოველთაო და მრავალი სხვა.

ეს სიტყვები ილიამდე სალიტერატურო ენაში დღესამდღეობის არ არის, თანაც ილია მათ ხმარობს ისე მოზომილად და ახსნა-განმარტების დართვით, როგორც მას საერთოდ სჩვეოდა ახალ სიტყვათა შემოტანისას. მიუხედავად ამისა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რომელიმე მათგანი უფრო აღრე არის შექმნილი, მაგრამ მისი მნიშვნელობის დაზუსტება და სალიტერატურო ენაში დამკვიდრება მიიწე ილიას დამსახურებად დარჩება, ამ მხრივ მას ვერავინ შეეცილება.

რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, რომ ილიას მიერ შექმნილი ყველა სიტყვა უცვლელად და უცვლილად დამკვიდრებულიყო ენაში, მაგრამ ისიც დიდი ღირსებაა და დამსახურებად უნდა ჩათვალოს მწერალს, რომ მისი შემოთავაზებული ფორმა მკარავადენი ცვლილებით საყოველთაოდ მისაღები ხდება. ასეთება, მაგალითად, ხელისუფლება, ზედამხედველობა, ცნება, განსახიერება, ერთი საკუთრება, თანამდებობის პირი, შუამზარეული, სრულყოფიანი და სხვანი (შეაღარეთ ილიასეული ფორმები: ხელთუფლობა, ზედამხედობა, სამცენე, განსახიერება, ერთობობრივი საკუთრება, მოთანამდე პირი, შუამზარეული, სრულიყოფიანი).

ამთ გვერდით ვხვდებმა ისეთებიც, რომელთაც საერთოდ ვერ გაიკათეს გზა და დღემოკლები აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელოა. საკითხის სისრულისათვის აღენიშნავთ ასეთ შემთხვევებსაც. ილიამ სცადა ქართული სესტაციის შექმნის ზოგადი უცხოური ტერმინისათვის, მაგრამ ამგვარ ცდის ზოგჯერ წარმატება არ მოჰყოლია. ასე, მაგალითად, „პარადექტის“ მნიშვნელობით მან ი-

მარა „ნაკეთარი“ (7,290), „ინტერალურის“ მნიშვნელობით — საშუაგლო (4,61), „როლის“ მნიშვნელობით — სახანაშო (3,142). ილიას მიერ შემოთავაზებული ეს სიტყვები ქართულში ვერ დამკვიდრდა. რუსული „могущество“-ს შესატყვისად ილიას ნახმარი აქვს ძალმომრეობა (3,196), მაგრამ ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობა მიიღო, ზემოხსენებული გავებით კი დამკვიდრდა ძლევამოსილება. „კრებულად აკაკობა, ავაზაკობა“ (6,205) — აქ „კრებულად“ ის იურიდიული ტერმინია, რომელიც შემდეგ ჯგუფურმა შეცვალა. ილიასეული „სარჩევი ხმის“ (7,434) ნაცვლად დღეს იხმარება სათათბირო ხმა. გზა ვერ გაიკათეს აგრეთვე ისეთმა სიტყვებმა, როგორცაა სათავისთავო (ილიას ნახმარი აქვს *собственный*-ს, „საკუთარის“ მნიშვნელობით, 23,26), დაწესება („დაწესებულების“ მნიშვნელობით, 6,247), მექმეობა („деятельность“ — მოღვაწეობის მნიშვნელობით) და სხვანი.

ილიას ენაში აქა-იქ შეიძლება შევნიშნოთ რუსულის უხეირო კალკებიც, განსაკუთრებით მოღვაწეობის პირველ ხანებში, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო მართად დაქვება და ოდნავადვე ვერ მთავრებს ჩრდილს იმ უზარმაზარ დამსახურებას, რაც ილიას აქვს ქართული ლექსიკის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში.

\* \* \*

ახლა მოკლედ შევეხოთ სტილისტურ ხერხებს, რომლებიც ლექსიკის ოსტატურ გამოყენებაზე დაფუძნებული და რომელთაც სისტემატურად მიმართავს ილია პაექვამდე. ამ მხრივ პირველ რიგში უერთაღლებას იპყრობს ილიასეული სინონიმია.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სინონიმებს მწერლისათვის. ლექსიკური სინონიმების მთელ იმ მარაგს, რაც ენაში არსებობს, მწერალი შეიძლება ერთად მოიღებოს მოძებნოს ერთადერთი საკითრო სიტყვა, სინონიმთვან შეარჩიოს ის ერთადერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო უხდება სათქმელს. ამ დროს მწერლის მთელი შემოქმედებითი მუშაობის ტყვილი მხატვრული ნაწარმოების მიღმა და მკითხველის თვალთვან დაფარულია. არის მეორე გზა — ეს სინონიმური სილუვის გზა. მწერალი ერთმანად შემოიტანს რამდენიმე სინონიმს, მრავალგზის შემოატრიალებს სათქმელს, თითქოს ვერ აკაყვებს მოძალებულ ნიადაგს, ერთმანად უნდა გვიჩვენოს ძალია ენისა. ასეთ შემთხვევაში მკითხველი უშუალო მონაწილე სიტყვითან მწერლის ჰილილსა. ილიას ჰქონდა საიმისო მიზნები, რომ მეორე გზა აერჩია. „ენის შენახვის“ ის დიდი ამოცანა, რომელიც ილიამ აქც-

რა, მის მეორე გზისაყენ მიაქცევდა. ილიას მცდელობამ გამოიღო კიდევ შედეგი. მის ნაწერებში ჩაერთვდა ისეთი დიდი ზოდები ქართული ენისა, რომელსაც მყარად დაეფუძნა შემდგომი დროის ქართული.

თამაშიად შეიძლება ითქვას, რომ ილიასაგან ასე ხშირად და უხვად ხმარება სინონიმებისა, იქნება ეს რელატიური თუ აბსოლუტური სინონიმები, მისი სტილის ერთი არსებითი თავისებურებაა.

ილიას ენაში ჩვეულებრივია: ქება და დიდება (4,105), ღონე და ძლიერება (4,89), წურთენა და სწავლა (4,293). სწავლა და ცოდნა (4,231), მოედანი და საჩხებილი (4,226). ღირსება და ჭეროვნება (4,37), განცალკევება და გათვითათულება (6,49), ხელმეწყობა და ხელისგამართვა (4,210), ჭკუიდაბნულობა და გონებაშიბნულობა (4,171), თავგანწირულობა და თავდადება (4,12), ვიი-ვაგლახი და წიწვია-გღე-ქა (3,203), მკვიდრი და მტკიცე (3,63), უფიცი და უმეცარი (4,63), ძირეული და თავი და თავი (4,16), გამჭრელი და შშრომელი (4,260), სიხალად და საშველად (4,378) და ა. შ.

ილია არ ერთდება სინონიმური რაგის „გაწყლვას“, ისეთი სინონიმების შემოტანას, რომელთა რელატიურობა განსაკუთრებით თვალში საცემია, ასინი სინონიმებად შეიძლება ჩიზოლად ამ კონტექსტში ვეღობათ: „ივია ზატება ჩვეთნა გრძობათა, გულსთამებათა, ფერითა, ნაღველთა, ღონითა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა (3,90), „მადლი ხომ მადლია, იმასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დაეყვაცება (3,91), „გაგრეგანი სახე დრამისა ვერასოდეს ვერ დამოჭრას შინაგანის ცარიელობისა, ფუქსავე ტომას, არარაობას“ (3,187), „ვერსობაში მიზეზია — და დიდად საბუთიანიც — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეობებისა, ერთმანეთის ცილობისა“ (6,54), „რამდენად ძლიერია ჩვენი თვითობობა, განცალკევება, ვანზედ ვადგამა და საკუთარი „მე“ (5,244), „უსწრომამსწორობა, უჭრა-უჭრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში“ (6,104), „კრიტიკა არის განხილვეც, განჩრეკაც, ვარჩევაც და დაფასებაც ერთად (3,34), „არც კიშვია... არც გრეხა და პრანქვა, არც გაქვევა, რომ აცა ვმირად გამოვინდევო, არც ერთი ამისთანა უმსავესობა არ მოხვლია ბნ გამურელიძის სენაზედ“ (3,195). „საქობა უმაღლესში მთავრობამ უტყუარად, პირუთენულად, ზედმიწევნით იყოფის ყოელის ეთმბის ნამდვილი ვითარება“ (6,39) და ა. შ.

სინონიმთა გამოყენების გზაზე ილია არ ერთდება ერთსა და იმავე ფრაზაში რამდენიმე სინონიმური რაგის გამოყენებას: „ამისთანა საქმეში ახარება, ტუქსევა, წყრომა, რისხევა, ყვედრება, უფრო გააქირვეულებს, გააძლიერებს,

გააქირებს მცდარის სიყვარულს... გრძობას (3,136), „აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გრევიონსა, თვალთახედვის გაგანიერება, ვრდილება, ვაძლიერება და არა კიდილი და, ხაზილი, რაი მელთაეც ვაბატონება, მბრანებლობა მოსდევს ერთისა და ღანაგვრა და ყმობა მეორისა“ (3,202). „სახელი ახლის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას თუ საქმისას, რომელთაეც აღიარებს, მშობლერავს და ასულდგმულებს ერთი თაობა და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს (3,199), „საქმე იღვინდ რათელა, მრავალკეცა და ღრმად დასაქირებელი, რომ ღირსია მომეტებულის გამოიეზიონსა, გამოკვევისა და ღაბარაკისა“ (6,136), „ეს ჩვენი ნაცადი, ეს ჩვენი გამოცდილება ვავებნათილა, ვავვიქარწყულა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნებისამ“ (7,75).

ერთი გარემოება დამახასიათებელი ილიასათვის, ილია დამზარე სიტყვას მიმართავს, რათა გააძლიეროს შინაგანი დღობა სინონიმთა შორის. ამის სტილისტური ეფექტი ძალზე დიდია. თითქოს საერთო ფოფესი მოიჭებნა, თითქოს ალყა შემოვირტყა სიტყვებს და შეტყევა ყოველი მხრიდან ზარბიელდება: „შესაძლავა ყველგან ამისთანა რიოოდ თავგასულის არსებობა, მაგრამ საეკირველი ეს არის, რომ სხვები როგორ აყულოან, სხვები როგორ ამოსდგომიან მხარში, სხვები როგორ მთამაშობენ შემშარსა ამ თავგასულობის სტივრ-საქრანზე“ (7,481). „იმ ათასკაციან კრებულში ერთმა მიინც როგორ არ იგრძნო მთელი უფეთრობა, მთელი წინდაუხედაობა, მთელი უჯადრისობა ამისთანა საქციელისა“ (7,448). „ან თვით კრებამ როგორ შეიშენია, როგორ შეიფერა, ამაზე უფრო მეტს ვიტყვოდ, როგორ იყარბა, რომ რიგინაობა, წესიერება ვადათელა“ (7,448). „იმ დროთა ჩარხზე განაბრულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამქედურში ნაქენი“ (5,12). „ასე ვაუბატორებულნი, ასე შეგინებულნი, ასე უმწერად და ურცხვად ავად სხენებულნი ვერ არავისიგან უოფილან ჩვენი წინაპარნი“ (4,195), „ორივე ავტორნი ერთნაირის გულწრფელობით, ერთნაირის გრუნება-დაქედრობით, სავნის ღირსებისამებრ მართებულობით გველამარაკებთან ჩვენის ლიტერატურის დღევიანდელს ყოფნაზე“.

\* \* \*

სალიტერატურო ენის ექსპრესიულ ენაგულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტონიმებს. აზრის გამოთქმის ანტონიმურ ფორმას ატლავს ლოგიკური და მხატვრული ძალა, ანტონიმთა საფუძველი რეალური ცხოვრებაა, სადაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით დაპირისპირება-

ნი. ამ მხრივ ქართლის რაიმე განსაკუთრებულ თვისებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ აქ მაინც ხაზგასასმელია ერთი გარემოება. საქმე ეხება ანტონიმთა წარმოების ხერხს. ანტონიმურა კომპონენტები უფროდ დიდი მადლია ჩვენი ენისა და სამუალებას გვაძლევს ერთ სიტყვად წარმოადგინოთ სრულიად სპირისპირო შინაარსის ცნებები (დღე-ღამე, დიდ-პატარა, ზაფხულ-ზამთარი).

ილიამ კარვად იცის ანტონიმების მადლი და ხშირად მიმართავს მათ. ახვე დროს, ახლებურად აწარმოებს და ახლებურად იყენებს მათ. ილიამდე ქართულ მწერლობაში არ გვხვდება ანტონიმთა ასეთი უხვი და მარჯვე გამოყენება (ბერი და ერი, ჭაბუკი და მსკოვანი, ახალი და ძველი, გუშინდელი და დღევანდელი — 3,199, დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მადლი თუ შმაბალი, ნაენობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული — 4,221). ილიას ენის ლოგიკური სიმწკობრე, ილიას პოლემიკის სიბასარე დიდად არანდავადებული ანტონიმურ წყვილთა სიუხვისაგან. გაიხსენოთ თუნდაც ერთი ადგილი ვრ. ორბელიანის დასავლეთურაზე წარმოთქმული სიტყვიდან: „მისმა წარჩინებულმა სახელმა შეკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხტი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაყი, რათა ერთად, შეერთებულნი გლოვით ამ უკანასკნელს ქაშს საქართველოს ერთი მთავრად ესეთის ერთობით წარმოადგენილი გამოთხოვოს თავის სასიჭადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მალას მოძღვარს, საუეროდ ჩვენთვის დადუმებულს, საუეროდ ჩვენგან წასულს“ (3,247).

ცხადია, შეიძლება ილიასეული ანტონიმების გარკვეული პრინციპით დაყოფა. უპირველესად ავღნიშნოთ ლექსიკური ანტონიმები.

ავიღოთ ნაწილაკები „მო“ და „არა“. ამ ანტონიმურ წყვილს ილია ხშირად მიმართავს, ზოგად სიტყვასაც აკეთებს (პარაბოზა) და ასეთ მსახლრულ-სახლრულს გვაწოდებს: „ჩხირედელაობის პარაბოზა“ (3,202). მივმართოთ სხვა მაგალითებსაც: „ზოგი ჰოს იძახის, ზოგი არას, ერთნაირის სიხადითა და რიბითა“ (5,188). „საცა „მოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სთქვა“ (4,80). „არც თუი აქვს, არც ბოლო, არც „მო“, არც „არა““ (3,213).

ილია აპირისპირებს კეთილსა და ბორბს, კირსა და ღბინს, მართლსა და ტყუილს, ხორცსა და სულს, ხორციელ თვალსა და სულიერ თვალს (საქ ხორციელს თვალს ევრას გაპრეციანებ, სულიერი თვალი უნდა — 3,132). სიტყვასა და საქმეს, ქებულსა და დაწუნებულს, მუქობავსა და მუწინადადღევს. ყველა ეს ანტონიმები

ნიშნები გამაგრებულია ენის ზოგადი განვითარებით, განსაკუთრებით „ეფესისტვისისის“ ტრადიციით, ონდაც განსხვავებულია ასეთი ანტონიმები: ბარაქალა და ოლოლი (საქუ მარაქალა უნდა ამ საქმესა და არც ოლოლიმ [11, 12, 162]). ესაა ილიას საინტერესო და წარმატებული ცდა ლიტერატურულ სამულობლოში აიყვანოს ხალხური ენის მარგალიტი.

საგანგებოდაა აღსანიშნავი საუთრივე ილიას ანტონიმები, ე. წ. სტილისტური ანდა კონტრასტური ანტონიმები. ამ წყვილებს ანტონიმური იერი მხოლოდ ილიას ენაში აქვთ, სიტუაციის კვალობაზე. ასეთებია: „ეი ამ ხალხს... საცა „მე“ ხშირია და „ვენ“ იშვიათი“ (3,76). „ამ სავეყნოდ მიდრეკილმა გრძნობამ აღაფრთოვანა სიტყვა და სრულიად ჩააჩუმა უგუნური „მე“ და ცხოველყოფელი „ჩვენ“ მთელის თავის მიმზიდველის სიკეთით მოედანზედ გამოიყვანა“ (5,155). „ამისთანა მწერალი გულდაწყვეტილი უნდა მიადგეს მათოვარსავეთ საუთარი ტვინის სადგერს, რომელსაც ზოგი უმართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად ვოგრას“ (5,57). „ახრი საქმეა ჯერ ვანუხორციელებული და საქმეც ახრია უყვე განხორციელებული“ (3,204). „უწინდელს ჩვენს გაწყობის ცოდნა აულდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის თვისების გაწერთნა აკლია“ (4,237). „ეს იყო გამეცნიერებული სარწმუნოება და ვასარწმუნოებული მეცნიერება“ (4,253). „ეგ ჰევის დამკითხველი კაცია და არა გესილი, გულისქმისა“ (3,176).

ეს ანტონიმები ილიას ერთხელ კიდევ წარმოვიდგინე უბრწყინვალეს შექართულედ. ამ მხრივ იგი რუსთველს ვეაგონებს. ილია არ სურდებდა სინონიმთა სიუხუეს, სიტყვის უზრუნველ საკეთილად გარემოცვაში მოთავსებას. ანტონიმის საშუალებით იგი კიდევ ერთ ფერს ამატებს მას (უფრო ზუსტად, ავლის სიტყვას სპირისპირო ნიუანსს). ილიასათვის ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ანტონიმთა ქლერადობას. ამით გარკვეული რიტმული მონახაზი იქმნება და სიტყვის ექსპრესიულობა ძლიერდება. „უფრო შესაქვევარი, ეიდრე გარჯობ მეკლავარი“ (3,206). „თქმული ქმნულად იქიც“ (5,107). „როგორც მუშაყი ლიტერატურისა ისეც მუშაყი“ (3,85). „აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის უზენაესი სიტუბოება“ (3,118).

ხშირად ილია რამდენიმე რიგის ანტონიმებს ვეთვავზობს. პარობითოდ მათ შეიძლება რთული ანტონიმები ვეწოდოთ. ერთმანეთს უპირისპირდებიან სახელები, ზნეები, მთელი ფრაზები და ამ სიტუაციებში უჩვეულო სინათლით ჩამოიქნება ახრი: „რამა იყო მართალი და კარგი მისი მამა, რამე იყო მუშაყარი, რა ავი მოაწნდა კეთილად და რა კეთილი ავაღრა უმართავდა ზელს, რა აბრკოლებდა, რის-



თვის ირჯებოდა და მზნეობა და რისთვის და რაში უარობდა" (4,202). „ასეთის გამარჯვებით ეძებს და ასეთის დამარცხებით ვერ უპოვნია დღემდე" (3,398). „იგი აღიშნება დღეს და ათენება ღამეს" (4,249). „ერემიანის სიცილი და სიცილიანი ტირილი" (3,118).

ლექსიკონი ანტონიმოვან კალე უნდა გამოვეყნო სიტყვები, რომლებიც გარკვეულ ფორმაცთა მეოხებით იძენენ ანტონიმურ შინაარსს. ასეთებია, მაგალითად, წაღმა-უცღმა, ზესენელი და ქვესენელი, ბრალმდებელი და ბრალდებული, ალბა და დღემა (ეკონომიკური არც ალბება და არც დღეობდა და ამ ნათქვამს აკვეებოდა" (7,460). „მეგრე ავიღებთ, დავიღებთ, დავაგებთ წერილები თუ არაო" (7,462)...

ქართულსათვის დამახასიათებელია ანტონიმური წყვილის ერთ-ერთი წევრის წარმოქმნა  $\square$  თავსართით, რასაც ილია მარკვედ იყენებს საქიროების შემოხვევაში: „უმნა პიესას შინ მანც ვერ მისცა" (3,116). „ბევრი სხვადასხვა მართებული და უმართებულო სიტყვა ითქვა" (5,249). „იმტლებული იქნებოდა ჩაგებარებინა უკვე გამოსადეგი პატრონისათვის მისი გამოსადეგარი სტატია" (3,116).

განსაუთრებთ პროლეტიულია ილიას ენაში არ-არა უარყოფითი ნაწილაკით წარმოებულ ანტონიმური დაპირისპირებანი: „ქვეყანა, ბატონება, საესვა ხილულითა და არა-ხილულითა" (4,252). „სანანებელი ცოდვია და არა-სანანებელი მადლია" (5,326). „არწმენა და არ-არწმენა, მყოფობა და არ-ყოფობა" (3,219). „ნებით თუ არა-ნებით" (3,16). „მამულის გაყოფის თუ არ-გაყოფის გამო" (6,251). „შეთქმა მინდა და არ-თქმაცაო" (3,103). „ამ არ-ყოლს უოლად ვერავინ გარდაქმნის" (3,116). „როგორც ენის ეს სიტყვები ჩვენს მარქსისტსა და ველარ-მარქსისტს" (6,274).

ადილი მისაბედრია, რომ აფექსურ წარმოებას გარკვეული ფუნქცია აქვს და სათანადო კონტექსტში მის ვერ შეცვლის ლოგეური ანტონიმები. შევადართო ბორტი და კეთილი — ბორტსა და არკეთილს.

სავითოდ, ილია არ ნაწილაკით ნაწარმოებ ფორმებს მიმართავს არა მარტო ანტონიმური დაპირისპირებისას, არამედ უპამსოდაც. საქმე განსაუთრებთ ეხება საწყისებსა და მიმღობებს: „არ-გაყოფება საქმისა" (5,157). „არ-გაგება ღრითი საქიროებისა" (4,66). „უცივინა არ-ცოდნა" (4,36). „ასე იცის იმ საყოველთაო გრძნობის არ-ქონებამ" (7,181). „სემინარიამი ისე ასწავლიან, რომ არ-სწავლება სკობიან" (5,109). ასეთივე მიმღობური ფორმებია: „არ-დამანახელი" (4,64). „არ-მევიარალა და ჩხაენა" (5,24). „სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული" (3,147). „სწავლისაგან საქმაოდ არ-განათლებული გონება" (3,134) და ა. შ.

იქნენ აზრით, აქ ერთხელ კიდევ გამოიხატოს ილიას, ვითარცა ენის წიაღში მიძიებლის, მკონენლისა და ძველის განმაახლებლის მკონენისა არ ნაწილაკის კეთილი ფუნქცია მწერალის მკონენისა თულის მრავალსაუკუნოვანის მრავაგადან აქვს ამოღებული და მტვერგვადილი.



თვით ცხოვრება წარმოქმნის ამა თუ იმ საგნის გარკვეული მზრით დახასიათების საქიროებას. ამ დახასიათებას რეალური ყოფა უდევს საფუძვლად. თავისი ყოველდღიური ცხოვრებიდან უნდა წარმოეშვა მოსაუბრე ინდივიდს ბნელი ღამე, გრძელი გზა, ეს ჩვეულებრივი შეთანხმებანი თანდათან შტამებდალ იქცევიან და მზამზარეულ მარაგს ენისა მიერთიან. ვარგავენ ექსპრესიულობას. მწერლის როლი ამ მზრევ სრულიად განსაკუთრებულია. გამჭრაობი თვალი მწერლისა ენის ფარულ აზრს ამოტრეკიებს, სრულიად ახალი ნიუანსით წარმოგვიდგენს სიტყვას. ბევრი ასეთი მიგნება, განსაკუთრებით მარკვე, დროთა განმავლობაში შეიძლება კვლავ შეიშოსოს ყოველდღიურობის სამოსელით და კვლავ გაიყინოს განახლების მოლოდინში. ასეა თუ ისე, დიდ მწერლებს შეუძლიათ თამამად თქვან, რომ მათ სიტყვები აღმოაჩინებ შეილი სამყარო — სხვათაგან ვერაც შეუმჩნეველი. ამ მზრევ ილიას როლი მეტად თვალსაჩინოა. ილიას უხვი სახეობრივი სისტემა — განსაკუთრებით ებოთეტები — გვიდასტურებენ, რომ მისი ენა განსაუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდება. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება მიექცა ილიას ენის ამ მზრევს. შესწავლილია ექსპრესიის გამაძლიერებელი ზედსართავი სახელები და ზმნისხედეები დიდი მწერლის მითხრობებში. ანალოგიური სურათია პუბლიცისტურ წერილებშიც. დავიმოწმებთ მხოლოდ ზოგიერთ საინტერესო მაგალითს: „პრამბედი" (7,183). „გონებრივი ღვაწლი" (3,153). „გულითადი მეცადინეობა" (5,307). „დაურღვეველი ჰეშმარტება" (5,358). „მწუხობი ხმა" (3,145). „ნაჭირახალევი ხევი" (3,152). „უქმი იმელი" (6,236). „ლონიერი ნიჭი" (3,92). „ხელმოკლე მოკრევი" (3,35). „სახლვარდათფებელი უფლება" (6,142). „გაკვეთილი ლათაგები" (6,202). „წვალწყალა ჰევა" (5,89). „სადღებელი საქმე" (6,129). „თავმოწონებული ოქრო და გაზვიადებული ხმალი" (5,121).

განსაუთრებთ ჩანს ილიას ძალია მაშინ, როცა სრულიად მოულოდნელ წყვილებს გვთავაზობს და ამით არამარტო ახალი კუთხით წარმოგვიდგენს საზღვრულს, არამედ აფართოვებს მსაზღვრელის სემანტიკას: „უმანკო აზრი" (3,48). „მოკაყინე აეტარი" (4,26). „აწმყო მიზნუნიანი" (3,203). „წყაზარი და მალხაზი ვაზე-

თი" (4,164). „მგრელი და გამომიხველი გონება ადამიანისა" (4,27). „ვერტლმოკიდებული გული" (7,479). „გაჩაჩლებული გულისნადები" (3,181). „ფხვმოკლე თვალთაქცობა" (7,12). „ფხვმოკლე ლიტერატურა" (3,196). „ორკაცი ლოგია" (4,137). „მოგუბებული მასალა" (3,71). „ობმოკიდებული მცნება" (3,431). „ქულგადამბული მწყობრსიტყვაობა" (3,89). „ბედნიერი ნიჭი" (3,167).

ილია ხშირად მსაზღვრელად რთულ, კომპოზიტურ სიტყვებს ხმარობს: „ახლადმოხელილი ბოკი" (4,138). „ბეჭდდარული კაცის-მკელელობა" (4,131). „ბოლომოთხველი წადილი" (4,297). „გონებაგვიცხებული ავტორი" (4,104). „გულთასრული კაცი" (4,223). „გულთ-ჩურჩინელი აღტაცება" (3,190). „უტრებ-დასაცმელი ტყუილი" (4,77). „წინდაუხედავი ნასწავლი და გულდაუდებელი ნაწურთვინი" (3,135). „უღებნი და საგოდებელი ფიქრები" (5,243). „ფრთასხმული და ვალონიერებული საყვარელი საქართველოსი" (5,186). „უქმის კაცის თამასქი" (5,156). „თამაში განქვერტილობა" (3,56). „სახსარმოკლებული ფალავანი" (3,295). „მშვიდობის მყოფელი საგან" (4,13). „ჭირთა ამხდელი სახსარი" (5,20). „ზღაპრებით გამოხილი ჭბანი" (4,138). „ავეკობის ძირეული და მუღჟივი ბუღე" (6,210). „ადამიანის აზროვნების საზღვარდაუდებელი სიგარქ-სიგანე" (3,215).

საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი აქვს ქართულ ენაში გენეტურ მსაზღვრელს. ამ მხრივ ილიასთან დიდი სიუხვეა ილია გვიწოდის რაოგორც მოსალოდნელ შესიტყვებებს, ისე მოულოდნელ წყვილებს, რომელთაც დიდი ექსპრესიულობა ახლავთ: „გონების თვალი" (5,183). „სულის ღონე" (3,132). „ჭეტის უღონობა" (3,182). „იშედის შეილება" (5,337). „იტყვილებს მიწრამა" (4,74). „გრუხილი აზრისა" (3,58). „გრძნობობა ჭილილი" (3,187).

ამ ჩვეულებრივ, მოსალოდნელ შესიტყვებათა გვერდით ილია ქმნის მრავალ მოულოდნელ შეთანხმებას, რომლებსაც ჩვენთვის განსაუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ენაში სურლიად ახალ სფეროს ქმნიან. „საპარკენება სურისა" (3,423). „სუღერი ახოვანება" (4,254). „გულისუფრის კარი" (3,264). „ავჯარ-განობის საწორი" (6,14). „ახრის შედგება" (5,59). „არსებითი ძირევი თადარიგისა" (7,185). „ცხოვრების ხნული" (3,204). „წარმობრების სავეერი" (5,337). „ფრახების ტვაცობის" (5,93). „დრამის მეტოპორი" (3,191). „თხულებობა ხეაგი" (3,117).

ერთი პატარა მავალით შეგვიძლია დავადანსტროთ, რაოდენი ძალისა ილიასათვის ეს შესიტყვებანი. როგორც ცნობილია, ილია მასრა პოლემსტი იყო. ერთი ასეთი პოლემიკოს დროს პარლამირ ახვევებს ერთმანეთზე უფრო

წერწამახელ გამოთქმებს: „უშეცრევი ღიბრი, უშეცრების მილაყი, ტყუილებისა და უშეცრების ტბა, უშეცრების მცერიანი მწეაღი" (6,247-71). სხვა კამათის დროსაც სიტყვებუბისა და კვებნა-ბაქიობის ასეთი ფულგანეზუ (3,338), „ზღუღე უშეცრებისა" (3,307). „სიღრმე ცარიელობისა" (3,17). „არარაობის ხენდი" (5,173). „უილაჯობის ქარ-ბუქი" (4,69). „ბუღილის მედიდრობა" (3,115). „უცუბობის ნახტომი" (6,101).

ამ შეთანხმებათა გზაზე ილიამ მრავალი ისეთი წვეილი შემოგვთავაზა, რომელთაც, მართალია, ილიას ვარაზრით ვერ მოიყიდეს ფეხი ენაში, მაგრამ რომ ილია საჭირო გზაზე იდგას ეს ამ შესიტყვებათა შემდგომი ბუღით დანსტრუება: ბუნებური (ბუნებრივი) ღვინო, ხელსამბლენი (სახელმძღვანელო) აზრი, დამბლებული (ნაძალადევი) ლეჭი, პოეტური (პოეტური) სილაღე, უწერელი (დაუწერელი) კანონი, ვანიანი (ვანალი) სიცილი, საყოველღელი (ყოველღიური) ცხოვრება, პირველამერი (თავდაპირველი) ბიჭი, მუღამი (მუღამი) მუშტარი, საბუღარი (ბუღარული) ცივილიზაცია და სხვ.

\* \* \*

ქართული შესიკალური ენაა. გარკვეულბული ფუძეები, ერთი ფუძიდან ნაწარმოები შესიტყვებანი გარკვეულ ფერადობას ანიჭებენ მას. ჩვენმა მრავალსაუცუნოვანმა პოეტმა გარკვეული გავიგნა მოახდინა ქართულის რიტმულ სტრუქტურაზე. ენას სილამაზეს მატებს კომპოზიტთა მზარდი ხაზი (ცოლ-შეილი, ავ-კარგი). ილიას ზრუნვა ქართულს ამ მხრივაც ეტყობა.

გამეორებს ილია რიტმის მოსაწესრიგებლად იყენებს. აქაც რამდენიმე გზა ჩანს. „ფუნდაც ეგ ნათქვამი მართალზედ მართალი იყოს და ცხადზე ცხადი" (3,109). „ესეთი სიოცარი ვითარება საქმისა დაუქრებელია, თუმცა მართალზე უფრო მართალია" (7,225). „უშეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამის თან დასვეა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია" (6,241). „ვათვითუფლება — ეგ ჭირის-ჭირია" (3,47).

გარკვეულ მთქმის იძლევა არა უბრალოდ გამეორება, არამედ ანტონიმური გამეორებაც, როცა საგნის არსებითი თვისება უარყოფილია: უფროსი ვაღი, უფრო ენა, უფროსი რუსი, უილაჯობის ილაყი, ულაგო ალაგი. ამგვარ თქმითა საფუძველი ენაში აღრიღვანევი ჩანს. ილია მას იყენებს ახალ შესატყვისთა წარმოსაჩენად და ძალიან მარჯვედაც.

ილიას სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სიტყვის (განსაკუთრების ზმნის) და ურავის გამეორება ენაც წვენა ხალხური

ზღაპრების სტილს დაპყვირებია, მისთვის დღესათვის ნათელია, საიდან იღებს სათავეს ილიის ენის ეს ნიშანი. დამახასიათებელია ამ მხრივ ასეთი ფრაზები: „ამ აზრმა იარა, იარა და იმოდენად მომწიფდა...“ (5,82), „ეგრე ხომ შელავათა მიეცემა და მიეცემა“ (5,137); „გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი“ (4,279), „ეს ფრაზები რომ დავესწავლათ, „ლიბერალი იქნებოდით და ლიბერალი“ (5,93)...

არტიზანთა ილია ხშირად უფრო რთულ ვხს მიმართავს ხოლმე. ამჯამად გამეორებასეთი აშკარა არაა: „უქმი სიტყვა უქმის კაცი-სა“ (6,83). „ოჰ, მარტვი კაცის სიმარტივეც“ (3,51). „ამ გულუბრყვილო ცდომილს ცდომის კარამდე... მიჰყე“ (3,131). „თავითონ ცილმაც კი ვერ შეპბედა ცილისწიშება“ (4,243). „ბ-ნი ნოე ეორდანია ზელახლად იძლევა სახუთს ვიგულეთი იგი, ვითარცა მცურავი უმეცრები ტბაში უმეცრებით გაბერილი ნავტიკითა“ (6,268). „ესწორო ომები ვასწოროთ“ (5,12). „ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვისი უღონობაა“ (4,390). „ვიინა აცოდინებდა ამ ძნელად საყოფენლსა“ (4,167), „ის საწყვარ, რომელთაც უნდა აიწყოს ვაჭუთის ღირსება“ (3,260). „იმამზე განადვლოს საყოველთაო ნაღვლთა ანუ ვალხინოს საყოველთაო ღონითა“ (3,73).

ილიას უყვარს ერთნაირი ფერადობის სიტყვათა წყვილები, რომელთა დასაწყისს თუ დაბოლოება ხშირად ერთნაირია ერთნაირად: „წამი ნატერისა და ნანვისა“ (3,220), „უსაქმობა და უსაგნობა“ (3,205), „ფეხბოკლე და ზელმოკლე, ურვეულ და უსაყო“ (3,220), „პირშევი, პირუტყვი წელიწადი“ (3,370), „იტყვიან ზოგიერთნი უერკონი და ურწმუნონი“ (5,293), „უფესი-უქტოა“ (3,209), „ტუთიულბრალოდ მოცდენაა მთქმელისაცა და მსმენელისაც“ (4,19). ამ მხრივაც ილია ერთვულად მისდევს ქართული ენის მაგისტრალურ ხალს.

ილიასათვის დამახასიათებელია არამარტო ცალკეული სიტყვის, მთელი ფრაზის გამეორებაც, ერთი ტიპის წინადადებებს — თანწყობილსა თუ ქვეწყობილს — შერარი ოსტატურად წინას და აკეთებებს ფრაზის გამეორებით. მიგმართით მაგალითებს: „ჩვენ თვითონ სულიერაა მიუტყვი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისინა ერთმანეთს არ ვეთმობთ იმ ადვილსა“ (2,32). „ვთი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწუდა, ვთი იმ ქვეყნას, საცა საერთო ძარღვში სისხლი ვაშრა“ (3,76): „ჩვენს საყუთარს სულ-რაზედ სხვანი ძღებანი, ჩვენის საყუთარის ქამადან სველ ლეკმას სხვა იღებს, ჩვენი ქმეყნის რძე-ნაღები სხვას მიჰქვს და ჩვენ კი, ცარიულზედ ვასულნი, მარტო ვნივით და ვტირით, გვმიან და გუწყურობანო“ (4,360), „რა ქია ნაუჭდა გულში პირველ ხანშივე ამხანაგობას,

რა სოლი აყლდა, ან რა გაუტყდა იმ თვალს, რომელიც ატრიალებს ამგვარ ამხანაგობასა საქმეს“ (7,436); „ძლიეს ერთი საქარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენი ენით ვალხუნო, ჩვენთ, ჩვენი ენით ვინადვლებთ, ჩვენი ენის მოწყობებით ვავიტირებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭურისა და გულის მონაგაერთითა“ (5,40), „რკინისგებებსა და გზატყვილებზედ ახლომხლო მცხოვრებულთ, რა თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს; ამ გარემოებამ იმოდენად გაუადვილა ჭირანახელის გატანა ბაზარში, იმოდენად გაუიფეა ჭირანახელის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუშოკლა ღრო და ვარჯა მისელა-მოსლისათვის და გატან-გადმოტანისათვის, რომ ამ კვი გზებზე მოშორებით მცხოვრებლმა ველარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალავამოვლებული დარჩა და ბახარს და ბაზრობას გამოეთხოვა“ (6,208).

ფრაზის აღნაგობა, სინტაქსური წყობის მოწყობილება ილიას განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახლდათ და არც თუ უმიზნოდ დღევანდელი მკითხველი, თუ ის „ციცქის“ ძველ ნიმრებს გადააყლებს თვალს, ადვილად დაინახავს, რა დღეში იყო იმ დროს ქართული სინტაქსი, რა რიგ აყლდა მას სინათლე და სილამე, არ მყოფნიდა სასუნთქი პაეტი, აიღებდა და შეადარებდა ილიასეული ფრაზის წყობა, მაგალითად, „ქუთაისური ლოტოს“ სინტაქსის და ერთბაშად იგონებთ, რა უხარმზარი სხვაობაა მთ შორის.

ილიამ დაუბრუნა რთულ წინადადებებს დიდი ხნის დაკარგული სილამე, გააგანიერა მისი კალაბორი, მოაწესრიგა მისი რიტმი. რავინდ რთული იყოს ილიასეული წინადადება, აზრი არსად არ დავიძინებდებით და არ დავდვანტებთ, სუნთქვა არ გაგვიტირდებთ. ამასთანავე, ილიასათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის წინადადებათა მონაცვლეობა. ამიტომაც მისი სტილი ყოველთვის ნათელი და გამჭვირვალეა, ფრაზა — ნაქვედი. თი, ორამოდე პატარა ნაწყვეტთა ილიას პუბლიცისტური წერილებიდან: „ყოველი ერთი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია სავანე, საცა ერთი პოულლობს თავის სულის ღონეს, თვისის სულის ბეგრას, თვის თვისებას. ჩვენი ფეჭით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და ვაგარტომობისა ისე არ შემსკველავს ხოლმე აღამიანს ერთმანეთთან; როგორც ერთობა ისტორიისა“ (4,9). „აქ კაცმა სინდისიც უნდა დაივიწყოს, ნაშესიც უნდა მჭეარში გამოჰყარას. პატიოსნებასაცა კვმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვთაებურს ნიქს აღამიანისა უნდა გადადღეს და ამ ხელობას ისე მოჰკიდოს ხელი.

ხუმრობა ნუ გგონიათ, ასე სამარცხვინოდ თავის გაქირადვა, ასე გაბიაბრუნება, გაუპატორება საეთარის თავისა, საყუთარის კაცობისა. ამას ღონე უნდა, მართალია, ღონე საზიზღარი, თელადდისხმული, შემპირწყენებელი, მაგრამ მაინც ღონე. ვაი რომ ამისთანა ღონესაც ფასი აქვს და მუშტარი ჟეჟს" (8,20).

წინადადების ასე თავისუფალ და ლალ წყობას, ასეთ სინათლესა და ნაქედობას მწერალი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით აღწევს. ამ მიზანს ემსახურება სიტყვისა თუ ფრაზის გამოყობაჲც, სინონიმთა სიტყვეც, ანტონიმთა გამოყენებაჲც, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, დამატებით უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე სინტაქსური თავისებურება, რომლებიც დამახასიათებელია ილიას ენისათვის.

ერთი ამათავანია განკერძოებული სიტყვები-რა და გამოთქმების სიზშირე. მაგალითად: „ბევრჯერ მინახავს ირევი, დამფრთხალი ძალღებისაგან" (2,31); „თოფმა იგრილა და ირევი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ღაღა, გაირთხო ამ ბალახზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვლი" (2,32); „კაცი, ხიცხისაგან დაოსებული, ძლივს სულს იქცეულა" (2,224); „ღერდაკაცი, ამისთანების ჩვეული, მაინც მაღლობას იტყოდა ხოლმე" (2,254); „ბნმა შესხივმა, ამ კვიანმა და ნიჭირმა არტახტმა, აქ სწორედ მთელი ღრამა შეკვანა და ამით ძლიერ შესძრა მაყურებელი" (3,102); „ფილოზოფია, ეს ვაჯას მმუსხრელი მტერი, თითქმის კარს მოგვდგომა" (7,150) და სხვანი.

ამ ხერხით ილიამ წინადადების წვერობის ტვირთი აარიდა აღნიშნულ გამოთქმებს და ამით ღიად გაამსუბუქა ფრაზა. ამგვარმა განკერძოებულმა გამოთქმებმა თითქმის ერთგვარი სულის მოსაბრუნებელი თახსივბა შექმნეს წინადადების შიგნით. ეს არის დღესაც საჭირო და მოხდენილი ხერხი მეტისმეტად რაციონალური სინტაქსის თავიდან ასაცილებლად.

წინადადების გამსუბუქების ამოცანას ემსახურება შედგენილი შემასმენლის წევრთა თავისებური წყობა, როცა მის შემადგენლობაში რამდენიმე სახელი შედის. ასეთ შემთხვევაში მემშველი ზნა ზნირად პირველ სახელს ეკერის, მეორე კი ამით ცალკე გამოიყოფა და ფრთხვარად უფრო მკაფიოდ გამოიყოფება. მაგალითად: „ყოველი შეცადინებომა უქშია და გზავუტანელი" (7,50). შედარათ: ყოველგვარი შეცადინებომა უქშია და გზავუტანელია ასეთივე ეფესეული „პაწაწა ვარ, ოზოლი". სულ

სტვა იქნებოდა: „პაწაწა და ოზოლი ვარ. ცხადია, პირველ წყობას მეტი სიმშებუტე, რატმული სილაღე და ემოციურობა ახლავს. ეს წყობა ქართულში ძველდამეყარსებობს, ვინახსენით რუსთაველის „კაცი ვარ, აღამიან". ამკარაჲ, თუ როგორ უნდა გავიგოთ „კაცი-აღამიანის" სათარი (კაცი, აღამიან)".

ილიას სინტაქსის დამახასიათებლად საუბრადღებოა აგრეთვე „რა" ნაწილაკიანი ფორმების ზმარება დროის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებში. ამგვარი კონსტრუქციები („რა მახავდა... როგორც ცხენი დაყარაქუნებდა კბილებს მეტის საიმყოფნებისაგან" — 2,142; „გადაუწვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, შორბის გამალუბელი" — 2,31) ილიას ენაში საკმაოდ ზშირია. რა ნაწილაკი ხან წინ უსწრებს ზნას, ხან კი უკან მოსდევს. საინტერესოა, რომ საგრამატოიუ საკითხებზე „იერი-ში" გამართული თათბირის დღის წესრიგში ერთ ბუნტად ამგვარი კონსტრუქციის გამოყენების საკითხიც მდგარა. ჩვენ არ ვიცით, რა დადგენილება მიიღო თათბირმა ამის თაობაზე, მაგრამის კი ცხადია, რომ ილია ბოლომდე იტყვდა მას თავის თხზულებებში.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა ღრმა კვალი დაამჩნია ილიამ ქართულ სალიტერატურო ენას, რა დღია მისი წვლილი ენობრივი შემოქმედების სფეროში. ილიამ თითქმის ამოავსო სალიტერატურო ქართულსა და ზალის სასაუბრო ენას შორის გათბილი ფუსკრელი; მოშალა „სამი შტილის" ჯებირები, რადგან ეს ჯებირები მხოლოდ ფუნქციონალურ სტილითა არსებობას კი არ გულსხმობდა, რამედ ენის ზელოვნურ დაყოფას ვარაუდობდა და მის გაღარიბებას იწვევდა. ილიამ გამარტკვა ქართული ორთოგრაფია, საუფუნთა გამძლე ენული მარაგიდან აღადგინა ენობრივი მარგალიტები, შექმნა მრავალი ტერმინი, საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობა მისცა, ახალი სიტყვებე შესძინა. ილიამ და მისმა თანამოქალმობებმა აქციეს სალიტერატურო ქართული ისეთ ენად, რომელიც ქართველთა კლვირებულ ერთეულ ცხოვრებას მიესადაგებოდა.

ილიას ენა ჩვენი მუდმივი უკან მისახევი უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც შეიძლება შევამოწმოთ წინ საელი გზის სისწორე, თანამედროვე მწერლებმა, მთარგმნელებმა, სტილისტებმა ზნირად უნდა დაეწყოთ ილიას ქართულის ანკარა წყაროს.

# პოეტის გზა

პოეტის ნაწარმოებთა სრული კრებული, მით უმეტეს იმ პოეტისა, რომელსაც უკვე ოთხმოცე წელი შეხსრულდება და აქედან ექვს ათეულ წელზე მეტი უშრომია და უბრძოლია დიდ ლატერატურულ სარბიელზე. ასეთი მწერლის ლექსების, პოემებისა და მოთხრობების სრული კრებული უნებურად მოგვგონებს მხატვრის დიდ გამოფენას, ვრცელ ექსპოზიციას, ახალ ოსტატს ყველაფერი გამოუტანია, მხურვლებლისთვის წარუდგენია თავისი დიდი და პატარა ტილოებიც, უჩვენებია ყველაფერი, რაც უგრძნვია, განუცდია, უნახავს, რაც სამუდამოდ ჩარჩენილა მის სულში, შესიერებმა... ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, როცა კლავ ნადირაძის ამ ოთხიოდე წლის წინათ გამოცემული ერთტომეულის კითხვას ჩამთავრებთ. რაოდენი გრძნობაა აქ ჩატეული, რაოდენი ტკივილი, სიხარული, რაოდენი ამოცნენსა, ფიქრი, წუხილი, აღტაცება; ესაა ლექსები, ადამიანის სულის მწვენიერებაზე რომ მიტყუვლებენ, აქ ყველგან ჩანს ღრმად ჩაფიქრებული პოეტი, რომლის მართალი გული ესწრაფვის და ეხსებურება ქაშაწიწის მადლი იდეალების გამარჯვებას დედამიწაზე... ეს მარტო ერთი კაცია, ერთი პოეტის ფიქრი კი არ არის, აქ ჩანს მთელი ჩვენი ეპოქა — მღელვარე, დაუცხრომელი, ქარტყილებით აღსავსე.

პირველი, უმოთვრები და განმაზღვრელი, ჩთავ კლავ ნადირაძის შემოქმედება ყუჩადღებას იტყობს, ეს არის უნაწესი ლირიზმი, ლირიკული განქვრეტა, რომელაც შიგნიდან, პოეტის სულის სიღრმეებიდან წამოსული შექვიით ეფინება ყველაფერს, რასაც ირგვლივ ვაღი ზედავს, რასაც გონება წარმოიდგენს, ეფინება მთელ სამყაროს — წარსულს, აწუჩის და მომავალს, და ეს სამყარო, გა-

ბრწყინებული ამ პოეზიის შექათ, უფრო ღამაზი ზდება, უფრო მომზაბებული და საუკვარელი... მნელია პოეზიის ამ იდეალურ თვისებას კაცმა სახელი მოუტენნოს ლოგაურთი ცნებების ენაზე, იქნებ არც იყოს ეს საჭირო, ვინაიდან მნელია იმ განცდის განმცემმა, რასაც კეშმარტი, ნამდვილი პოეზია აგრძნობანებს ადამიანის გულს. კიდევაც რომ სცადო, მაინც გულდაწყვეტათ იგრძნობ, რომ ეს განმაზღვრება, ეს ფორმულა ღარიბია, შშრალია, სრული არ არის, ვინაიდან შენ იმაზე მეტი განიცადე, რასაც შენს მიერვე მოქმენილი ფორმულა გადმოსცემს და მოიცავს. აი, მაგალითად, როგორ განდა დაახსნითო ის გრძნობა, როგორ განდა გადმოსცე ის ფიქრები, ის სცედა და ტკივილი, რასაც აღჭრავს ლექსი „წინამურიდან საგურამომდე“. ეს არის ბრწყინვალე შედეგია, რომელიც თამამად შეიძლება დააყენო იმ ყველაზე რჩეული ლექსების გვერდით. რომლებიც საუკუნეების მანძილზე შეუქმენია ქართულ შთაგონებას. თითქოს წიგნს კი არ კითხულობ, საიდანაც ვესმის ჩურჩულის ხმა: „წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წინამურიდან საგურამომდე სიკვდილის გავლა ნეტავი რაა? წინამურიდან საგურამომდე აშრიალბულ ფოთლების ზღვაა“. არ შეიძლება ამ ლექსის ხმაშაღლა წაკითხვა, ის დოცვასავით უხმოდ უნდა გაიფირო გულში და მერე სულ გარუმდე, ვინაიდან ისე ვადამიშლება შენს თვალწინ უცხო სანახაობა, გამტენარებულმა უნდა უცქირო და ისინი — ისევე დუდუნნი ისმის არაგვის, ისევე ბიბინებს არაგვის ველი, ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით, ღამით ამოსულ და აყვავებულ ნიაცს არაგვი დილაშდე ელის, ლექსში მარტო ლირიკოსის თვა-

ლით დანახული პეიზაჟი კი არა, საქართველოს ისტორიაა, არა განუწყვეტელი და ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩასმული, არა შორიდან დანახული, არამედ შენივე გულის სისხლად და არავეის ზეგროთად ქცეული. აქ მთელი ისტორიის მაქისცეშას გრძობა, სამისი არაგველიდან შეზღავანებარულ შკისნამდე და ვველაფერო ეს ისეა თქმული, მე ან ვიცი, ნქნებს ეს იყოს უყანასწენლი მიჯნა, სადამდეც სიტყვაა შეუძლია შიადწიოს გამოსახველობისა და აზრის დამტკობის თვალსაზრისით.

ლექსს თუ გული თან არ გატანე, ისე ის მკითხველს ვერ დამიაროილებს, ვერაფერს ეტყვის, გულს გერ შეუთაროილებს — ეს თართოლევა და დიდი ემოციური დამბულეობა ვასდევს კოლაუ ნადირაძის უოველ ლექსს, ეტება ის ბავარტის ტაპარსა და ველაის, თუ ქვიშხეთის მომპალოებელ სადაოეებს, ქართულ უნივერსიტეტს თუ ქართულ ვაზაფხულს, რალე მწველი თილისით რომ ააბიბინებს ხოლმე ყანებს, ტროლოების გუნდებს რომ დანძრავს და ბუდეში ბუმბულს ჩაუყენს ახლადმოფრენილ მერყხლებს. აი, ჩენი ქვეყნის ვაზაფხულის მართლაც მომზიბლდევი სურათი:

ზან აფენს მთას აუყაებულს  
მოვართ მოქარგულ საბანს,  
ზან ფოთლებს ამრიალებულს  
ცოვი ცვარ-ნამით დიბანს.  
დაეებტება, არ მაღალს  
ლამაზ და შიშველ წვივებს,  
თან დაატარებს ამაღალს —  
მოთბო, ეყურენა წვიმებს.

კოლაუ ნადირაძე არაერთგზის უბრუნდება საქართველოს სახელგანთ წარსულს, მის ლექსებში შიარად ისმის რუსთაველის, თამარის, ცოტნეს, პატარა ყაბის სახელები; ვარძიას დილას თამარის იქ უოფინისას ის განაცდის ისე, თითქოს თვითონ შესწრიბოდეს; ის აგვიწერს ერეკლეს ბრძოლებს და მის ლექსებში ეს ვარდესული საუყუნებია დანახული თანამედროვან თვითონ. აქ ჩანს საქართველოს დიდი ისტორიის შემკვადრბობითობა. რა ვადმოსცა მველმა ახალს, რა დაუტოვა, რა ბეგრი რამ უანდერტა, ჩაბარა შესანახავად, სამუდამო განძად და სიმდიდრედ — აი ეს არის დედაზარი ის ლექსებისა, რომელიც პოეტმა საქართველოს ისტორიის თემებს მოუძღვნა („ორო მწვენება“, „სამისი სპარტანელი და სამანი არაგველი“, „ქრწინისის ტრაგედია“, „სამი არტილია“, „ახ-პანძის ომი“, „ოქტობს ფრინველი ბავარტის ნანგრევებზე“ და სხვ.). პოეტი აქ ვველაგან წინაპართა ანდერძის შემნახველთა, მისი შემსრულებელთა.

კოლაუ ნადირაძე მთელი ვატაცებით წერს ახალ საქართველოზე, ჩენს სახელოვან თანა-

მედროვეებზე, მისი ლექსი „კოლმეორე ქალს“ — ესაა შთაგონებული ჰამისი შემოქმედებითი შრომის სიღამაზისაღმა, შესრულებული მთელი ერთგენლი კოლორიტით. ლექსიდან ჩენს წინაშე წარმოსდგება საბე ქართველი ქალისა, რომელსაც პოეტი ასეთი დიდი მოყარბებით და სიუყარულით ესაუბრება: „ო, რარივ მყუყარს შენი ჰაზის იერი თბილი, შენი ქართული მტკეველება, წამწამთა ჩრდილი, სიღარბასილე და სიდიწე, ნაბიჯი ნელი და წმინდა შრომით დაღარული ოდნავად ხელი... და, რასა ჩუმად ვესალმები შრომით ვალოებს, რას შენი სახე, ხილბანდით შემობურავლი, თითქოს ბურუსში გამოაჩენს სინაზეს ქალურს, მე მყერა მამინ, რომ ქართველი ქალის სიტურფეს ამშვენებს შრომა, ადიადებს, ფინდაზს უფენს“.

უფრფ მღერად ისმის დღევანდელი საქართველოს შრომის რატმი ვრცელ ლექსში „ჩემი სამშობლო“, რომელშიაც პოეტი თვალს ერთი გადავლებით გვიჩვენებს ქართული მიწის მთელ სიღამაზეს და ამბობს: „თითქოს ბუნების წიღმაც ივარძლო დიდი ზოთწილდამ ამობრწყინება“. ზოთწილდის თემს აქ ადებულთა არა პლავატურად, როგორც ეს პარტოგზის ვესვდება ჩენს პოეზიაში, აქ პოეტი ღრმად სწვდება შთაგონებული შრომის ოსტატების სულის სიღამაზეს და ლირიკული საღებავებით ხატავს რაოდენ კეთილი ნაყოფი მოაქვს მათ შრომას სამშობლოს საყითილდელო.

უადრესად უარყო და მრავალმზრთია პოეტის თემატკია — ის წერს სიყვარულზე და მისი ხატრფალო ლირიკა ფრად თავისებურია; აქ პარველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი ლექსები „შენ ჩემში ცოცხლობ“, „შენი დიმილი“, „ტრიოლეტები“, „სადა ხართ ჩემო ოქროს დღებო“ და სხვ.

კოლაუ ნადირაძე დროულად ეტმარება ვველაფერს ახალს, რაც წინ სწვეს ადამიანის აზრსა და თვალსაწიერს. ამაზე მტკეველებს მისი უოველი ახალი ლექსი, თუნდაც ბოლოდროინდელი „კიდევ ერთი ვასაუბრება“, რომელიც გამოირჩევა თავისი ღრმა ფილოსოფიური ვანჭერტით — ესაა საუბარი ომარ ზაამთან და საუბარი წვიშასთან თემაზე, თუ როგორ დაადგა ფეხი ადამიანმა მოყარეს, პოეტის სიტყვით, ეს სასწაულია. ეს ზეგამარტებაა, მაგრამ არ შეცდებიან არც ბალბელი ბრძენი და არც ქართველი პოეტი; ისინი ხვედებიან, რომ „ეს ზეამოა უონებისა ადამიანის, ეს დიდებია და ბრწინებალება, და თუ ეს მინც პოეზიას მზეხ ვერ სკიალება, ვერც უზენაეს დიდ სასწაულს — ზენობრიობას, ჩენს სულში ჩარგულს, ვანგების ნებოთ, იგი ვონებას დიდებაზე მინც ვკიამბობს, მაგრამ ვინ იცის, თუ სად არის ზენობის და ვონების მიჯნა, მათი სახლვაო? ომარ ზაამ, მინც შენსკენ მოიწვეს ვული, შეგვთო ეს დენო სადიდებლად ადამია-

ნის, დაცვალოთ თასი ნიშნად მისი ღვთაებრივ ძალის..."

ეს არის უწარმაზარი პრობლემა, რომელიც აწუხებდა ისევ ემანუელ კანტს, როცა ავტობიოგრაფიაში იხსენიებს, აფიქრებდა მეცნიერული კომუნიკაციის ფუნქციონირებას — კარლ მარქსს, როცა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალი“, დააბრუნებდა რა ტექნიკისა და პოეზიის ურთიერთ მიმართებაზე, ამბობდა, რომ აქედან — ვერ იარსებებს თოფის წაღობისა და ტყუილის არსებობის დროს, ზოლოდ ილიადა შეუძლებელია საბეჭდო მანქანისა და საბეჭდო დაზვის გვერდითო მარჯამ ეს ცალკე პრობლემა, რომელიც უკანასკნელ ხანებში ცვლიდა წამოიჭრა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეთიკური ასპექტებზე ფიქრისა და მსჯელობისას და ვრცელდებოდა აქ ამას ვერ შევუბნობთ, აღვნიშნავთ მარტო იმას, თუ რაოდენ რიგიანადურა ფორმა მოუძებნა ქართველმა პოეტმა თავის სათქმელს ამ საგანზე.



ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შემადგენელს მხედველობიდან არ უნდა გამოიჩინოს ერთი ფრიად საკუთრივსა და საინტერესო გადმოცემა: სახელდობრ ის, რომ ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის წარმოქმნისა და დაფუძნებაში, რევოლუციის წიაღში დაზარებულ ახალგაზრდაობასთან ერთად, უწინმეტყველოვანებს როლი შეასრულეს პოეტებმა, რომელნიც „ცისფერი ყანების“ ჭგუფს ეკუთვნოდნენ. მათ უმაღლესი პირველი დღეებიდანვე იგარკნენ რევოლუციური გარდატეხის ისტორიული მნიშვნელობა და სოციალისტური რევოლუციის თემა იქცა მათი შთავლენების მთავარ წყაროდ. ეს ითქმის როგორც პოლონ იანკოვსკის, ისე ტიტიან ტაბიტის, ვ. ვაჭარინდშვილის, კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაზე. ეს იყო სრულად ბუნებრივი პროცესი — პოეტებმა, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე რევოლუციის წინა წლებში გამოვლინდნენ სიმბოლისტური სკოლის მანიფესტით, ახალი სამყაროს დაბადებასთან ერთად, თავიანთი ბუდი მტკიცედ დაუკავშირებენ გამარჯვებულ რევოლუციას. „როგორც თანამედროვე საზოგადოებას ყველა სხვა კლასი, — წერდა ლენინი ჭერ ისევ რევოლუციამდე. — ასევე პროლეტარიატი არა მარტო წარღვის თავის საკუთარ ინტელიგენციას, არამედ ის იძინს მომხრეების ყველა განათლებულ ადამიანთა რაცხვიდან“.

ამ მოწინავე ადამიანთა შორის აღმოჩნდა უმეტესობა ქართველი სიმბოლისტთა წრადან, ეს ითქმის, კერძოდ, კოლაუ ნადირაძეზე. სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი პორიზონ-

ტები გაუხსნა მის პოეტურ ფანტაზიას. ეს რა თქმა უნდა, უცერად არ მომხდარა, მაგრამ პოეტი შინაგანად, სულიერად მზად იყო ამ ახლის მისაღებად. ამას განაპირობებდა მისი წრე, ვიარემო, სადაც იგი აღიზარდა: ქუთაისის ხომ რევოლუციის ერთ-ერთი კერა იყო და მომავალ პოეტს, ჭერ ისევ ათი წლის ბავშვს, ახსოვდა პირველი რევოლუციის დღეები, ბარაკადები ქუთაისის ტურენში, სახელოვანი მსახიობის, მკვნიებარე რომანტიკოსის ლეო მესხიშვილის ცუცხლოვანი მოწოდებები... ამ კარგიშლიან დღეებს იხსენებს კოლაუ ნადირაძე თავის პოემაში „1905“. „და მე პატარა მეამბოხეს, მოკლე შარავლით და ზუჭებზე თმებით, მომცეს პატარა თეთრი ნაჭახი... მე, ბედნიერი, აღცაცხებულა და უშინაირი გვირავი მავთულესს“. ახლგაზრდა კაცის — მომავალი პოეტის სულში ნელნელა მწყიდებოდა მძაფრი პროტესტის გარკნობა იმ დროის სოციალური და ეროვნული უსამართლობის მიმართ.

თხუთმეტა წლისა იყო კოლაუ ნადირაძე, როცა „მკლას ბოლშევიკი“ ვარიტებს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან. რა იყო ამის მიზეზი? მოსწავლეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს მოსკოვის უნივერსიტეტის ახლად გარდაცვლილი პროფესორის სერგეი შურომცევის ხსოვნას. შურომცევი არ იყო მაინც და მაინც თავდადალებული მიერბოლი თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ის ზომიერი ლიბერალი გახლდათ, მაგრამ რაკი და მას კათედრა წაართვეს როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსინამიდე ადამიანის“ და მცირე ხნით ციხეშიც ჩააწყვდიეს, ეს საქმარის იყო მოსწავლე ახალგაზრდაობისათვის, რათა გულწრფელად გამოეგლოვათ მისი დაქარჯვა; და აი, გიმნაზიის აღმინისტრაციამ მოსწავლეთა ეს საქაროდ გამოზატულთა თანაგრძნობა გარდაცვლილი პროფესორისადმი — რევოლუციურ გამოსვლად მიიჩნია.

ამას ისიც მოჰყვა, რომ სულ მალე ახალგაზრდა კოლაუ ენაღარკებმა დააპატიმრეს, მას დააბრალდნენ, თითქმის თავს დაესხა და სროლა აუტეხა რეაქციულად განწყობილ შერაზბელ მასწავლებლებს. სინამდვილეში, კოლაუს ამ თავდასხმაში მონაწილეობა არ მყოფია, მოტარობამ მალე ვაიგო წამდვალი თავდასხმელის ვინაობა და კოლაუ ვანათივისუფლეს. სკოლაში მაინც არსად არ დებულდნენ და „პოლიტიკურად არაკეთილსინამიდე პირსებებად“ მიიჩნევენ; ბოლოს, ისევ კლასიკურ გიმნაზიაში ექსტერნად ჩააბარა გამოცდებში, აიღო სიმწიფის ატესტატი და ჩიირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ლირიკულ ფაკულტეტზე.

მოწინავე ქართველ სტუდენტებს აქ მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ. მომდევნო თვეების მანძილზე, როცა რევოლუციურმა მოსკოვად დულდა და ბოზოქრობდა, ქართველი სტუ-

დენტო ამ მოვლენათა შუაგულში იყო ყოველივე ეს გახდა თავისებური სკოლა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოეტის იდეური და სულიერა გამოწრთობის თვალსაზრისით. იმ ქარიშხლიან დღეთა გამოძახილი ამიერადან მძაფრად და მკაფიოდ ისმოდა მის ლექსებსა და პოემებსში.

და აი, 1924 წელს, ახლად დაარსებულ ფრანგ „წითლობის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა კოლალე ნადირაძის ვრცელი პოემა „წითელი მოედანი“, რომელიც სრულიად ახალი მოვლენა იყო იმ დროის ქართულ პოეზიაში. ეს არის ფრად ორიგინალური და თავისებურად ჩაფიქრებული ნაწარმოები. პოეტი დგას წითელ მოედანზე და მის ფიქრში ცოცხლდება მთელი ისტორია, ყველაფერი, რაც აქ მოხდა, რის მოწმეც უოფლა და რაც ახსოვთ კრემლსა და წითელ მოედანს... პოეტი იჭრება საუკუნეების ხიდარმში, პირველ რიგში მის ფიქრში გაიღვებენ ისტორიის ის ფურცლები, რომლებიც ხელის ბრძოლაზე მტკიცებდნენ, როცა იგი უაუპკეცვდა შემოხუთულ მტერს, იქნებოდა ეს დასავლეთიდან შემოკრიბილი ოლგერდი (აღიარდას), თუ აღმოსავლეთის უდაბნოებიდან დაძრული ბათუ-ყენი; აქ მთელი ისტორია გაივლის პოეტის თვალწინ — შორეულ ნისლში იღვებენ მთვრალი ოპრინიციები, ბოიარები, ხალხს რომ არბევენ, და ბოლოს, როგორც ისტორიის შურისძიება, გამოჩნდება სტენკა რაზინი, რომელსაც ქალაქი თავს მოჰკეთეს ამ მოედანზე. ისევ გაინახება ქვეყანა და ისევ ელის „შურისძიების სანატრულ წამებს“, და აი, ცხრაასხუთი წლის ზემთარა... „პირველი სხივი ვანთიადისა“, პირველი გაბრწყინება ზეციხა... შემდეგ პოემაში ასახულია ცხრაასჩვიდმეტი წელი და ოქტომბერი, „მისისხანედ მოდის ახალი ძალა — მძღვარი, გაშლილი, ისე, ვით ვლავა, თავის ნაპირებგადალაზული“. მშვენიერად, ნათლად და ძალზე ღრმაზაროვანი სახეებით არის აქ გამოხატული ოქტომბრის მსოფლიო მნიშვნელობა, როცა პოეტი მიმართავს წითელ მოედანს: „მთელი სამუაროს დახუთულ ბნელეთს ანათებ წითლად, როგორც შუქურა, როგორც ღამპარი, ცეცხლი განწმენდის...“

„წითელ მოედანს“ მადრ, 1928 წელს მოხუცა „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“; თითქოს სრულიად უბრალო ამბავი აქ გადმოცემული: ფოთის ნავსადგურში დგას ბრიტანეთის გემი-გიგანტი, რომელზეც ერთ ბნელ ღამეს ტრაგიკულად იღუპება შოტლანდიელი ცეცხლფარეში. იმავე ღამეს საყოფადი მეზღვაურის გვამს ვადმოიტანენ გემიდან და ფოთის კაობში შეუსუდრავად ჩაფლავენ. ამის შემდეგ გემის კაპიტანს მოახსენებენ, რომ პატარა, შედებალ ყუთში, რომელიც

შოტლანდიელს ალბათ შინ მიჰქონდა, თავის ბავშვისთვის, „ღამაჩინეს სათამაშო ნივთებთან ერთად, პატარა დროშა, აბრეშუმის წითელი დროშა, ზედ დაქარგული ჩაქურდი და ნამგალის ნიშნით, ხლო მის გვერდით ვრცელ ფუნობა კაცის ზურაოთ, რომლის ქვეშ მოკლედ ეწერა: „ლენინი!“

კოლალე ნადირაძის ეს ბალადა, პირველ რიგში, საინტერესო იყო იმით, რომ აქ, ეს უბრალო სიუჟეტი გაშლილია დიდი ისტორიული მოვლენების ფონზე. აქ ერთი გემი-გიგანტის დაუღვადელი გზა და მარშრუტი შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში მარტო სამბოლო კი არა, ხელშეხება გამოხატულებაა ბრიტანეთის უზარმაზარი კოლონიური იმპერიის ექსპანსიისა, რომელიც ვინ მოსთვლის მსოფლიოს რომელ კუთხეს არ უპოტინებდა ხელს. გემი-გიგანტი მამოდიოდა ქვენიდან ქვეყნად და მის ფსკერზე მიკრულ ლოკონებს ახსოვთ უამრავი ზღვა, „ბევრჯერ უნახავთ ჰეკდარ მეზღვაურთა ვადმოშვება ვიწრო ფიცარზე გემიდან ზღვაში, ჩაძირულ გემთა მარტოობა და მყუდროება, მარტვის ტყეების ელვარება ცისფერ სიღრმეში და ზღვიან დაფარულ ქალაქების მშვენიერება“. დამარწის ეს ვეება კეი, როგორც ვეშაპი შორეულ გზებზე, რომ ღონდონისა და ბიჭმანგამის ქარბნენ შავი ქვის მთები მიუზიდოს... დამარწის და მთელი მისი გზა მოუენილია ფსკერზე დაძირული გემებით...

კოლალე ნადირაძის ამ პოემებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმით, რომ ისინი ამკიდებდნენ რევოლუციას თემას და მკვიდრ საფუძველს უფრიდნენ ახალ ქართულ საბჭოთა პოეზიას, დიდად აუართობდნენ მის იდეურ და თემატიკურ მოტივონტს, ანიჭებდნენ მას დიდ მოქალაქეობრივ პათოსსა და ძვრადობას. კოლალე ნადირაძეს არასოდეს გადაუხვევია იმ დიდი გზიდან, რომელზეც შედგა სიკბუციის წლებში — ის უმღეროდა და ყვლავ უმღერის განახლებულ და აღორძინებულ საბჭოთა სამშობლოს, ახალ საქართველოს, მის წარსულსა და აწმყოს, მის შესანიშნავ აღაზინებს, რომლებიც სასწაულებს ახდენენ ბრძოლაშიც და შრომაშიც.

დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე შეეგება დამარბნებული ოსტატა სიტუციის თავისი დაბადებოს ოთხმოცა წლისთავს. ის ყვლავ ცხოვრების შუაგულშია, არ დადილია მისი არც თვლი და არც გული. ქართული მკიობველი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა მიულოცავს თავის საყვარელ პოეტს ამ სასახლო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს ჩვენი დიდი ლიტერატორის სარბილზე.

\* ბენ, რომ პატარა, შედებალ ყუთში, რომელიც



## თოჟას მანი ღა დოსტოუვისკი

თ. მანის ღაბაღღაძის 100 წლისთავის გამო

თოჟას მანის რომანი რთული აღწავობისა და განსხვავებული კომპოზიციურ-მორფოლოგიური პლასტიკის, ხშირად ურთიერთსაპირისპირო სტრუქტურულ-არქიტექტონური ელემენტების შემცველია.

ეს რომანი ნაწილობრივ ასახავს გარემოად-კონკრეტულ, ემპირიულ სინამდვილეს, რეალობის რეპროდუცირებას ახდენს რეალობისავე ფორმებით, ცხოვრებას წარმოგვიდგენს ცხოვრებისავე ემპირიული ნიშნებით, ე. ი. რომანისტი თოჟას მანი ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, ეპიზოდურად, არასისტემატურად მიმართავს „მიმესისის“ მეთოდს, მაშასადამე, მისი რომანი ამდენად მიეკუთვნება მიმეტურ ლიტერატურას, რითაც თ. მანის რომანისტიკა ნაწილობრივ უკავშირდება კლასიკურ-რეალისტურ ეპიკურ ტრადიციას. ზოგიერთ რომანში (განსაკუთრებით ადრეული პერიოდისა, უფლაზე მეტად „ბუღენბრკეებში“) თ. მანი მკითხველს ასახული საგნის გამოცნობის (ცნობის) სიხარულს ანიჭებს (ე. ი. რომანისტის მეერ განსახიერებული საგანი მკითხველის აღქმავი ემსგავსება ემპირიულად, რეალურად არსებულ საგანს. ასახული საგანი მკითხველში ქმნის მსგავსების, ნამდვილობის ილუზიას). ზოგჯერ და ალაგ-ალაგ თ. მანი უარს არ ამბობს სინამდვილის ილუზიის შექმნაზე, თუმც, აქვე უნდა ითქვას, თ. მანის ეპიკური სამყარო პრინციპულად, თვისობრივად და მეტწილად არ წარმოადგენს ხილული სინამდვილის ასახვას.

„ბუღენბრკეებში“ ზუსტად, ემპირიული სიმატლითაა აღწერილი მანეატურ-მატრიციული ცხოვრება, მატრიარქალურ-ბიურგერული წრე და გარემო. ემპირიულად დამაჭრებელია „გლადიუს დეი“-ში მე-19 საუკუნის მიწურულის მიუმენის სურათი, რეალობის შესაბამი-

სია „დოქტორ ტაუტუსში“ ლინდერპოლის როკოკოს სახაზლის აღწერილობა. მეცნიერულად ზუსტია ადრიან ლევეკოუნის ვენერიული სნეულების მიმდინარეობის, ასევე პატარა ნემომუე შნაიდერის ავადმყოფობის ისტორიის აღწერა ამავე რომანში, მაგრამ აქვე უნდა შევენიშნოთ, რომ თ. მანი ემპირიული ზედმიწევნილობით მთელს სინამდვილეს კა არა, არამედ სინამდვილის ზოგიერთ მხარესა და მონაკვეთს ასახავს.

მაგრამ უპირატესად, და შეიძლება ითქვას პრინციპულად, თ. მანის რომანი არ ასახავს მიზნად ემპირიული ნამდვილობის ილუზიის შექმნას, ე. ი. არსებითად, პრინციპულად თ. მანი არ იყენებს „მიმესისის“ მეთოდს, მაშასადამე, მისი რომანი არ მიეკუთვნება მიმეტურ ლიტერატურას. თ. მანის რომანებში სოციალური კავშირები ხშირად შეზუტებულია, ემპირიულად არ არის დახატული, ისინი სიმბოლურად, „აბრეცატურებითა“ გახსნილი, „სუბლიმიტრულია“ ფილოსოფიურ და სულიერ კონულიტებასა და კოლოზემში.

თოჟას მანი სწერდა პაულ აინს, მაგალითად, რომ მან „რჩეული“ იმპროვიზირებული, ზეეროვნული, შეთხზული, განუსაზღვრელი და ა. შ. შუა საუკუნეები განასახიერა, რომელიც არა აქვთ არც ისტორიულად და არც ფსიქოლოგიური დამაჭრებლობა — ნამდვილობა!

ეს მიმეტური და არამიმეტური (ანდა: ანტიმიმეტური) ელემენტები ერთმანეთს ენაცვლება, მაგრამ დომინანტური პრინციპი ხშირად არის ანტიმიმეტური. ეს ელემენტები სხვადასხვა რომანებში სხვადასხვა ოდენობითა და ინტენსივობითა წარმოდგენილი. მკვეთრად გამოკვეთილი ანტიმიმეტური რომანებია, უწინარეს ყოვლისა, „გაჩნეული მთა“ და „დოქტორ-

რის ფაქტები — თომას მანის ეს ორი შედეგები. ანტიემიგრაციონა არსებობდა და ფაქტობრივად „ლოტე ვაიშარში“ და „ჩელოცი“, თომას მანის რომანთა შორის ყველაზე მიმეტური რომანია „ბუდენბარკობა“.

მანისადავ, თომას მანი თავისში იტრებებს პომერულ-გოთიანურ-ტოლსტოურ, ე. ი. „ნიი-ვურ“ ანდა წინდა ეპიკურ, ერთი მხრივ, და პიბლიურ-შოლერულ-დოსტოევსკისეულ, ე. ი. „სენტიმენტალურ“, არათბობითი ელემენტების შემცველ პრინციპებს, მაგრამ ვაბატონებული, წამყვანი მეთოდი თ. მანის რომანებში მანის დოსტოევსკისეული მეთოდი.

თავის უზოავრეს რომანებში თომას მანი ქმნის თავისებურ ექსპერიმენტულ, ფიქტიურ „ლაბორატორიულ“ სიტუაციას. აქ მონათბრობს არა აქვს პრეტენზია ემპირიულ დამაჯერებლობა-ნამდვილობაზე, იმაზე, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად მოხდა. — ასეც შეიძლება მომხდარიყო — ეს არის აქ ვაბატონებული პრინციპი. მონათბობი, მომხდარი აქ შესაძლებლის ფარგლებში ტრიალებს. აქ გამოვლენილია „თამაში“, ექსპერიმენტის, ფიქტიურის სინამდვილის აქმოსფერო, შესაძლებელი სინამდვილე, პირობითი სინამდვილე. ამ მხრივ დამახასიათებელია „გრძნული მთის“ მოხრობების შენიშვნა პოეტატ ბერენსისა და მანს კასტორპის ერთ-ერთი საუბრის შემდეგ: „ამდევარი საუბარი ასეც შეიძლება წარმხრობულიყო...“<sup>2</sup> როგორ ასეც მკვდრ თ. მანის მოხრობების „გაუბედაობა“ ბალზა-ტოლსტოურის უადის კლასიკური რეალისტის მოხრობების „უოვლისმყოფეობა“ და სუვერენობას!

ასეთივე ტენდენცია იჩენს თავს პერმანენტს „გლასპერლენშაილში“: ამ რომანის ეპიკური სინამდვილე მთლად თამაშეული, ექსპერიმენტული, ფიქტიურია, ანტიემპირიულია; ისეც არის, ასე ვთქვათ, ლაბორატორიული სინამდვილე, ცდის სინამდვილე. მაგრამ ეს არამედ არამედ არ ამცირებს რომანის რეალისტს, სხევე როგორც ფანტასტიკა, ვროტესკი, პარაბოლურობა და ტრანსპარენტობა რეალისტს ვერ აწიანებენ. ალბათ, კიდევ უფრო უკიდურესად ვამოვლენილი ეს ტენდენცია მაქს ფრისის რომანში — „იუს ჩემი გვარი ვანტუბანი“. ამ რომანში თბრობის ძირითადი პრინციპის გამოთქმა ასეც შეიძლება — ასეც შეიძლება მომხდარიყო — თბრობა კავშირებით კილოში. დაახლოებით ამ მხრივ ანალიტიკური შიგვითარებაა უფრო იონწონის რომანის — „ვარაუდი აკობის თაობაზე“.

თ. მანის ეპიკური სამყარო შეტად თუ ნაკლებად ასეტირია, ცოტა სტერილური, შეიძლება ითქვას, ანტირეალისტ-სტატისკური, მას აქვია პომერულ-ტოლსტოური ფეროვნება, სისხვზე და სხავისნვობა, აქვია თბრობით-მლასტიკური, გრძნობად-კონკრეტული ელემენტები,

სურათოვნა-ხატოვანი „ფერმენტის“, თომას მანის რომანის სულიერობასა და ინტელექტუალურობას აქვია შეტად თუ ნაკლებად გრძნობად-საგნობრივი „გადაწონაწერებელი“ გარეგანი, ვარე სამყარო არ არის მისი „საუფლო“. შეიძლება ითქვას, რომ თ. მანის ეპიკური სამყარო ულანდშაფტია. „გრძნული მთის“ ვეტორს შეტაკლებად დაკარგული აქვს ინტერესი ნივთიერი, საგნობრივი, მატერიალური სამყაროსადმი, საგნობრიობისადმი, საერთოდ.

ერთი მხრივ და ნაწილობრივ, თ. მანის პერსონაჟებს აქვთ ინდივიდუალური ყოფიერება, ვარკვეული ინდივიდუალური თვისებები და ნიშნები, მეორე მხრივ და უპირატესად, ისინი სიმბოლოებია, განსაზღვრული მსოფლადქმნისა და პრინციპების მატარებელნი, წარმომადგენელნი, შეიძლება ითქვას, რუმორებიც კი (აქ ხალი უნდა ვაგვსავს იმას, რომ პერსონაჟები ვეტორის შეხედულებათა რუმორები კი არ არიან, არამედ ვარკვეული ცალმხრივი, გაბნულუტებული იდეური პოზიციებისა, რომელთაც ვეტორი სრულად არსად იზიარებს).

სავარგებოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თ. მანის პერსონაჟებში წარმოდგენილია სიმბოლურობა, „ტრანსპარენტობა“ თვისობრივად დომინანტურია. აქაც აგრძნობს თ. მანი პიბლიურ-შოლერულ-დოსტოევსკისეულ ხალხ (მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქმის მწერალი წოვიერთ ასპექტში ყოველთვის გამოირიცხადებს „ნაიურ“ ნაკლებ, როცა მას სურს დაეწაფოს სინათლის, მკვებს, სიცოცხლის ხალხის, ყოველთვის „ნაიურ“ გოეთესა და ტოლსტოისკენ მიისწრაფის).

ჩვეულებრივ ლაპარაკობენ თ. მანზე რუსული ლიტერატურის გავლენის შესახებ საერთოდ (ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, ტურგენევი, გონჩაროვი და სხვ.). დოსტოევსკი აქ გვევლინება როგორც მხოლოდ ერთ-ერთი მსაქმელი და სტამბოლი<sup>3</sup> ნამდვილად კი, და ამაზე პირველად და კატეგორიულად რუსმა ლიტერატორისმცოდნე შ. შახტინმა მიუთითა თავის ბრწენივადე წიგნში — „დოსტოევსკის პოეტის პირობებში“, თომას მანის რომანი შორფოლოგიურ-სტრუქტურულ ჰლანში ყველაზე შეტ სიახლოვეს დოსტოევსკის რომანთან ამტკიცებებს.

თეორიულად თ. მანის იდეალი ტოლსტოია, ვერმანელი მწერალი არცთუ იშვიათად წერს, რომ სუბიექტურად ტოლსტოის ეპიკურ ხაშვაროსთან შეტ სიახლოვეს გრძნობს. მას გაცდებით მცირე აქვს დაწერილი ტოლსტოიზე, ვადრე დოსტოევსკიზე.

1920 წ. თომას მანი სწერდა შეტყან ცვაივს: „ითქვენ ვესმით, ტოლსტოი ჩემს ეპიკურ იდეალთან უფრო ახლოს დგას... ტოლსტოი, სხეულის მხედველი, დგას პომერულ წინაპართა რიგში, რომლისკენაც ჩემი მქლე მოდერნულობა მოწინებთ, მაგრამ ვარკვეული — ბოდიშს

ვხვდი ამ სიტყვისათვის — სიახლოვის გრძნობით იყურება. დოსტოევსკი შე უყოველთვის ვხედავდი ექსტრარადინარულ, ველურ, მონსტრულ და თავზარდაშემშვენიერებელს, რაც უყოველგვარ ეპიკურ ტრადიციის მიღმა იდგა, — და რაც, ცხადია, ხელს არ მიშლიდა დაშენებასაში, ტოლსტოის საპირისპიროდ, შეუღატრებლად ღრმა და უფრო გამოცდილი მორალისტაი“.

ამავე წერბლში ლხპარაობს თ. მანი დოსტოევსკის სამუაროზე: „ეს არის სავსებით სხვა სამუარო, ვიდრე პლასტიკურ-ეპიკური“.

1882 წელს თ. მანი სწერდა ბ. ფუნიაკს: „მე ახლავარბომაში რუსული აღმოსავლეთის სულიერი და მხატვრული სამუაროდან ბევრი რამ აუთვისე და ვერ ავირიდე ის ძალუმი ზეგავლენა, რასაც დოსტოევსკი მთელს ევროპაზე ახდენდა. ჩემი პირადი სიმათია კი უფრო მეტად იმეარ ეკუთვნოდა, რომლებიც დასავლეთით იყვნენ დეადლებულნი, — როგორც ტოლსტოი და ტურგენივი“.

როცა 1889 წელს ვიპარბი ურნალ „ტრევალიხე რუნდშაუს“ რედაქტორმა თ. მანს პეითობა, რომლებია რუს მწერალთა შორის თქვენი საყვარელი ავტორებიო. „დოქტორი ფაუსტუსის“ ავტორმა დოსტოევსკი საერთოდ გამოსტოვა. უფრო მეტიც: სინანული გამოთქვა, რომ „სამწუხაროდ, ვერმანააშა ლესკოვი დოსტოევსკის დიდებამ დარბდილო“.

„დრ. ფაუსტუსის აღმოცენებაში“ ვკითხულობთ „ფაუსტუსის ნიშნით აღბეჭდილმა პერიოდმა დოსტოევსკის აბოკალაქტურ-გროტესკული ტანქვის სამუარობადში ინტერესის გადამწყვეტო გაძლიერება ვანაპირობა ტოლსტოის პირველადი პირველყოფილი ძალისადმი ჩვეულებრივ უფრო ღრმა მიდრეკილების საპირისპიროდ“.

„მანის (დრ. ფაუსტუსის“ წერბისას — ნ. კ.) ვკითხულობდი ივან კარამაზოვის მიერ ეშმაკის ბილვის თაობაზეც“.

„რომანზე უყოველ დილით ვშუშაობდი და ისევ და ისევ ვკითხულობდი დოსტოევსკის „მეკვდარი სახლის ჩანწერებს“ წლის ბოლო დღებში“.

აღსანიშნავია, რომ თ. მანის ინტერესი დოსტოევსკის იდეური სამუაროსადმი ვარგეწულად ძლიერდება, როგორც წესი, კრიზისულ პერიოდებში (პირველი მსოფლიო ომის წლები: „აბოლიტაციის შეხედულებანი“ და მეორე მსოფლიო ომის წლები: „დოქტორი ფაუსტუსი“).

მეგრამ თოშას მანის სუბიექტური გამონათქვამები და განცხადებები არაფერს ნიშნავენ, უფრო ზუსტად შეხედვს ნიშნავენ: „სენტიმენტალური“ ხელოვანი თომას მანი მისწრაფის „ნაფურთხ“ ტოლსტოისაკენ, ე. ი. „ბუნებისაკენ“, „ამოპრული პირველყოფილი ძალისაკენ“, „ღვთაებრივისა და კურთხეულისაკენ“, „ბუნების შეილის“, „სინათლის ვყის“, „ეპიკური

დათვური ძალის, ბუნების გახაოცარი ცხოველყოფილობისაკენ“, და ამ სევედიან მისწრაფებაში თომას მანი „სენტიმენტალურ“ ხელოვანად რჩება.

ამის ვარდა, ტოლსტოის (ავრეთვე ტურგენვის, გონაროვის და სხვათა) ვაღენა უპირატესად იდეურ-თემატურ-მსოფლმხედველობრივი ბუნებისაა. იმ დროს, როცა დოსტოევსკის შემოქმედება ამ სფეროთი არ იფარვლება, არამედ რომანის მხატვრულ-ესთეტიკურ და მორფოლოგიურ-ეარნულ მხარეზეც ვრცელდება. ეს უმნიშვნელო ფაქტი არ არის: ეს ნიშნავს ამ ორ შემოქმედებით ინდივიდუალობას შორის ღრმა ნათესაობას. მაშასადამე, თორბოულად ტოლსტოია თ. მანის ეპიკური იდეალი, მეგრამ მხატვრულ-შემოქმედებითი პრაქტიკით თ. მანი ვაცილებით არსებით ნათესაობა-სიახლოვეს დოსტოევსკისთან ამდევნებს. რომანის პოეტისკის სფეროში „დოქტორი ფაუსტუსისა“ და „გრძნულები მოის“ ავტორი ვაცილებით ახლოს დოსტოევსკისთან დგას.

თვითონ თ. მანს მთლად ვაცნობიერებული არც კი ჰქონდა, თუ რა დიდად იყო დავალებული დოსტოევსკისაკენ. სუბიექტურად იგი უფრო მეტად ტოლსტოის ნათელი, მზიანი ეპიკური სამუაროსკენ მიიღვტოდა, მეგრამ ვაცილებით არსებით, „გამძლე“, ღრმა იმპულსებს მისი შემოქმედება ღებულობდა დოსტოევსკის „პოლიფონიური“, „დილოგური“ და „კარნავალური“ (მ. ბაბტინის ტერმინებია) რომანული სამუაროსაკენ.

„წვეული და ცოდვილი“, „წმინდა სნეული“, „სულის შვილი“, „ქოქოსების ნაწიარები“, „დასჯილი და ატანილი“ (ასე ახასიათებს თ. მანი დოსტოევსკის) ავტორი „ჩემბი კარამაზოვებისა“ ახალი დროის ერთ-ერთი პირველი არამეტიკური მწერალი იყო. ტოლსტოის, ტურგენვის, გონაროვისა და სხვებისაკენ განსხვავებით, „მიმებისა“ აღარ არის მის შემოქმედებაში ძალაში და ამათაც ახდენდა იგი ძლიერ ვავლენას მე-20 საუკუნის რომანისტისაკენა და პროზაზე. მართლია, თომას მანი ვაფარობილებდა „დოსტოევსკო ზომიარად“ (ასე ჰქვია მის სტეს დოსტოევსკიზე), მცირე დოვებით „შიდილო“, ნაშვილად, ობიექტურად კი თვითონ, შეიძლება ვაუცნობიერებლად და თავისდაუნებურად, ხარბად ეწაფებოდა ხოლომე დოსტოევსკის რომანულ წყაროს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითონ დოსტოევსკისაც სხვებს შორის ვერმანული წყაროებიც ჰქონდა (შიდერი, პოფშანი). დოსტოევსკის მრავალი ელემენტი და „ფერმენტი“ ვვხვდებთ თ. მანის რომანებში (მეგრამ უყოველთვის უშუალო ვავლენასთან კი არა ვვაქვს საქმე, არამედ ობიექტურ მხატვრულ-შემოქმედებით ნათესაობასთანაც).

დოსტოევსკის რომანის პოეტია, აღბათ, უყოველზე ზუსტად, ზედმეწვენილად და ამომ-

წურავად აღწერა და დაახასიათა ცნობილმა რუსმა ლიტერატურათმცოდნემ, ამას წინათ გარდაცვლილმა მიხეილ ბახტინმა თავის ზეგნს მიერ უკვე დასაბუღებულ, ეპოქის შემქმნელ გამოკვლევაში, და ჩვენც დოსტოევსკის რომანთა ძირითად თავისებურებათა გათვალისწინებისას უმთავრესად მას ვერადნობით (ამის ვარდა, ზაზგამით აღენიშნავთ აქვე, რომ თომას მანისა და დოსტოევსკის არსებობა, არა ვარჯნულ, ნათესაობას პირველად სწორედ მიხეილ ბახტინმა მოაქცია ყურადღება).<sup>11</sup>

1. ამბივალენტობა, ამბივალენტური არონია და „რედუცირებული სიცილი“ (მ. ბახტინი), შეფარული იუმორი ახასიათებს როგორც დოსტოევსკის, ასევე თ. მანის რომანებს. როგორც ცნობილია, ირონია თ. მანის შთავარებულ კონსტრუქციას ელემენტია. თ. მანი წერდა დოსტოევსკის შემოქმედებაზე, რომ იგი „სიღალის, ფანტასტიკური კომიჭმის და „გონის მზიარულების“ დიდ რაოდენობას შეიცავს. რადგან სხვა რამეებს ვარდა ეს ჭვარცმული ძალიან დიდი იუმორისტული იყო“.<sup>12</sup>

2. პაროდისტული „კლიშეები“, პაროდისტული ატმოსფერო მსჭვალავს ორივე რომანისტიკის ეპიკურ სამყაროებს. „ბტილის სფეროში კაცმა რომ თქვას მე მხოლოდ პაროდის ვცნობ. ამ მხრივ ახლოსა ვარ ჭოხთან“.<sup>13</sup>

თომას მანის მოზარბელი თითქმის არასოდეს არ ლაპარაკობს სრულიად სერიოზულად. ის ახდენს პაროდირებას, იყენებს ირონიას, თამაშობს, ასე ვთქვათ, „ამბივალენტურ თამაშს“.

3. ემპირიული დამაქრებლობა-ნამდვილობა არ არის მათი მიზანი, ორივე რომანისტიკი არ მივსწრავის სინამდვილის ილუზიის შემქმნას. ორივე მინის ფოტოტორ, ექსპერიმენტულ, თავისებურ ლაბორატორიულ პირობებს, სადაც მოქმედება, ერთმანეთს ეჭაბება, პაროკოცირდება ურთიერთ საპირისპირო იდეები და თვალსაზრისები, „დოსტოევსკის რომანებში ჩვენ არ ვხვდებით ვარჯენი ქვეყნის ე. წ. ობიექტურ წარმოდგინებას, მის რომანში, შეკაცდა თუ ვისმელებთ, არ არის ყოველდღიური ცხოვრება, ქალაქისა და სოფლის ცხოვრება, არც ღანღაშაფტი“...<sup>14</sup>

„იმთავრეთვე ადამიანმა დაიპყრო მთელი ჩემი ინტერესი... ჩემს წიგნებს თითქმის არავითარი ღანღაშაფტი არა აქვთ...“ (თ. მანი).

4. ორივე რომანისტიკის შემთხვევაში „იდეა... გამოსახვის პრინციპი კი არ არის (როგორც საერთოდ ყოველ რომანში), არც გამოსახვის ლაიტმოტივი და არც აქედან გამომდინარე დასკვნა (როგორც იდეების რომანმა ან ფილოსოფიურ რომანში), არამედ იგი არის გამოსახვის საგანი“<sup>15</sup> (ამაზე პირველად დოსტოევსკის რომანებში ბ. მ. ენკელგარტმა მიუთითა).

5. თომას მანის პერსონაჟებიც, ისევე როგორც დოსტოევსკის გმირები, არც ხასიათები არიან, არც ტიპები, არამედ იდეოლოგიები. ისინი

ნი იდეის წარმომადგენელი არიან (სტიტმერინი, ნაფტა, ლევერკიუნი, ციატლმომი და სხვ.). ისინი განახლებიერდენ რომელიმე თვალსაზრისს, რომელიმე მსოფლმხედველს, რასაც მ. მ. ბახტინი დოსტოევსკის პერსონაჟებზე ამბობს, შევგებლია გავაზრტელოთ თ. მანის მოქმედ გმირები: „დოსტოევსკის არ აინტერესებს გმირი როგორც სინამდვილის ფენომენი, რომელიც ვარჯვეულ, მკვეთრად გამოვლენილ სოციალ-ტიპიურ და ინდივიდუალურ-ქარაქტეროლოგიურ ნიშნებს ამუღავენებს, არ აინტერესებს როგორც ვარჯვეული ფიგურა, რომელიც შედგენილია ერთმანეშენელოვან და ობიექტურ ნიშნებისაგან, რომლებიც მთლიანობაში უმასუბებენ კითხვაზე „ვინ არის იგი?“ გმირი აინტერესებს დოსტოევსკის უფრო მეტად როგორც განსაკუთრებული თვალსაზრისის სამყაროსა და საკუთარ თავზე, როგორც მნიშვნელობათა და დირბულებათა შექცეული მიმართება ადამიანისა საკუთარი თავისადმი და ვარჯემოცეული სინამდვილისადმი. დოსტოევსკი არად დაგვიდევს იმას, თუ რას წარმოადგენს გმირი ამ სამყაროში, არამედ მისი ინტერესი წარმართული იქითყენ, თუ რას წარმოადგენს სამყარო გმირისათვის და გმირი საკუთარი თავისათვის. ეს არის გმირის გაგების ძალიან მნიშვნელოვანი და პრინციპული თავისებურება. გმირი როგორც თვალსაზრისი, როგორც ხედვა სამყაროსი და საკუთარი თავისა, გმირის გახსენისა და მხატვრული დახასიათების სულ სხვა ხაზუთადებებს მოითხოვს. ვასახსენელი და დაახასიათებელია არა გმირის განსაზღვრული ყოფიერება, არა მისი მკვეთრად მოხაზული ფიგურა, არამედ მისი ცნობიერებისა და თვითშეგნების საბოლოო ჭამი, გმირის საბოლოო სიტყვა საკუთარ თავსა და თავის სამყაროზე“.<sup>16</sup>

„...დოსტოევსკის გმირი უსასრულო ფუნქციაა“.<sup>17</sup>

„ის (დოსტოევსკი — ნ. კ.) არ აგებს ზახიანს, ტიპს, ტემპერამენტს, საერთოდ არ ხატავს გმირის ობიექტურ ფიგურას. ის აგებს გმირის სატყუას საკუთარ თავსა და სამყაროზე. დოსტოევსკის გმირი არ არის ობიექტურის სახე, არამედ ის არის სრული სიტყვა; ის არის წმინდა ხმა; ჩვენ მას ვერ ვხედავთ, ჩვენ მას ვისმენთ. ყველაფერს, რასაც ჩვენ ვხედავთ და ვისმენთ მისი სიტყვის ვარდა, არაა არსებობი“.<sup>18</sup>

თომას მანი წერს: „დოქტორ ფაუსტუსის აღმოცენებაში“ ადრიან ლევერკიუნის თაობაზე: „ამასთან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მიხთვის თითქმის არ მიმიცია ვარჯენობა, შესახებდაობა, სხეული. ჩემიანებს სურდათ, რომ იგი აღმწერა, რომ, თუ კი მინდოდა, მთხრობელი კეთლი გულის მქონედ და აცხადებულე ზელის პატრონად დარჩენილიყო, მისი და ჩემი გმირი სულ ცოტა ხალული მანც უნდა გამხდარიყო, თვალსაზრის, ფიციურად ინდი-

ვიდუაღიწიებული. რა ადვილი იყო ეს! მაგრამ, ამავე დროს, რა ძნელდასახსნელად დაუშვებელიც, აქამდე უჩვეულო აზრით შეუძლებელიც კი სხვაგვარად შეუძლებელი, ვიდრე ციატხლოვის თვითადწერა იქნებოდა. აქ უპირაინი აკრძალვა იყო, ანდა ვარევენული ვაცხოველებიდან თავისშეკლების მცნება უნდა დავმოჩინოთ დღით, რაც სულთერ ვითარებას და მის სიმბოლოვ მნიშვნელობას, მის წარმომადგენლობითობას დაქინებით, გაბანალურებით ემუქრებოდა.<sup>19</sup>

აქ, თ. მანი წინადად დოსტოევსკისებურად იქცევა!

6. ორივე რომანისტის რომანებში უდიდეს, არსებითი როლს ასრულებენ დიალოგები. დიალოგაზირება მსველავს ამ რომანებს. დიალოგები ზოგჯერ (განსაკუთრებით თ. მანის რომანებში) დამოუკიდებელია მოქმედებისა და სიუჟეტისაგან. თოშას მანი წერს დოსტოევსკის რომანებზე: „ეს ეპიკური ნაწარმოებები კი არ არის, არამედ კოლოსალური დრამები, თითქმის სცენიურად კომპონირებული, რომლებშიაც ადამიანური სულის ყველა სიღრმის შემძგრეული, ხშირად რამდენიმე დღეში შეუქმნული მოქმედება ვლანდება ზერეალისტურ და ციხეცხელბიან დიალოგებში.“<sup>20</sup>

7. და ამასთანა დაკავშირებული, რომ ორივე მწერლის რომანები „პოლიფონიური“ (მ. ბახტინი) და „იდეოლოგიური“ (ბ. ენგელგარდტი). პოლიფონიური რომანი ისეთი რომანია, „რომელშიაც პერსონაჟების ხმები და ავტორის ხმა თანაბარულდებიან და თანაბრებულდენ, ისე რომ ავტორი მათ, მათ სიტყვას და მათ ხედვის არეს არ ზღუდავს.“<sup>21</sup>

მიხეილ ბახტინის სიტყვები, რომელთაც იგი დოსტოევსკიზე ამბობს, შეიძლება თოშას მანის მიმართაც გამოვიყენოთ: „ეს პოზიცია გამოირიცხავს ყოველგვარ ცალმხრივ დოგმატურ სერიოზულობას, არ უშვებს იმას, რომ ერთადერთი თვალსაზრისი, ცხოვრებისა და აზროვნების ერთადერთი პოლუსი აბსოლუტურად ვაბატონდეს. ცალმხრივი სერიოზულობა (როგორც ცხოვრებისა, ასევე აზროვნებისა), ცალმხრივი პათოსი სრულად და მთლიანად გმირებზე გადადის.“<sup>22</sup>

8. და საბოლოოდ, ამასთანა დაკავშირებული, რომ ორივე ავტორი ზოგიერთი პოზიციის, ზოგიერთი თვალსაზრისის (განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებითა) ინტოლერანტობას, ცალმხრივობას, ყოველმხრივ დოგმატურ პატეტულებს, ვაბსოლუტულების ტენდენციებს დასცილის, რომელთაც არ მალუძთ იმ ტრაგიკულ კითხვებზე პასუხის ვაცემა, თანამედროვე ადამიანის წინაშე რომ დგანან. ეს თეზა ადვილი დასადესტურებელია დოსტოევსკის შემოქმედებაში („მეზი კარამაზოვები“, „ჩანაწერები იატაქვეშეთიდან“ და სხვ.). თოშას მანის რომ-

ანებშიც ეპოელობთ ამ მხრივ-საგულისხმო ადვილებს: „...მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისი“ ადამიანურ სფეროში თავს ტრენს ზოლზე „როგორც ფილისტერული და უკმარისი შეშთხვევაში, ცალმხრივ-ნატურალისტური“; ადამიანური სფერო ნაკლოვანად ესპის „მხოლოდ ბიოლოგია და მედიცინა“; „ბუნებრივობა... კვლავ აღსდგება დავიწყებიდან, რომელიც სიყოფილის ცენტრს... ხელიდან გამოხტალებს ბიოლოგიას, რომელსაც მგონია, რომ მას განსაკუთრებული, ერთადერთი უფლება აქვს ყოველივე ამაზე... რადგან ადამიანი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური არსება“.<sup>23</sup>

„ტქნიკა და კომფორტი — ამით მგონათ კულტურაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს საერთოდ არცა აქვთ“.<sup>24</sup>

„და მე ვამახსენდა სვიფტის სატირა, სადაც რეფორმების მოუვარული სწავლულები გადაწყვეტენ, ფილტვების დასაზოგად და ფრანსის ასარღებლად, საერთოდ გათქმონ სიტყვა და მეტყუებლება და ერთმანეთთან მხოლოდ საგნების ჩვენებით ისაუბრონ; ამისათვის ურთიერთგაგებების ინტერგის კარნახით რაც შეიძლება მეტი სავანი უნდა ათრიონ ზურგიით“.<sup>25</sup>

„გრძნეული მთა“ და „დოქტორი ფაქტურსი“ ყველაზე მეტად დოსტოევსკისებრი რომანებია (ყველაზე ტოლტოური რომანი თ. მანის რომანთა შორის არის „ბუდენბროკები“).

„გრძნეული მთაში“ შექმნილია ფიქტორი, ექსპერიმენტული, ლაბორატორული პირობები, სადაც ურთიერთსამირისპირა იდეები, პოზიციები, მისოფიზმდეველობანი მოწმდება, ევახება ერთმანეთს, პროვოცირდება. „შემთხვევითი არ არის, ეს აღიარებულ უნდა იქნას, რომ ჩვენ სწორედ ნაფტა და სეტემბრინი შევარჩიეთ ურთიერთობისათვის“...<sup>26</sup> ანდა: „როცა მანს აზტორობს და ქალბატონ შოშას ტურები ერთმანეთს რუსულ კოცნაში ხვდებიან, ჩვენ ვაბნელებთ ჩვენს პატარა თეატრს სცენის შეცვლისათვის“.<sup>27</sup>

მთელს რომანში ვაბატონებული მდგომარეობა უპირავს ამბივალენტობას, ამბივალენტურ ირონიას, ვაბსოლუტების ხაწინააღმდეგო ტენდენციებს, ანტიდოგმატურ პოზიციას, ისე რომ ძნელი ვაზარჩევი ხდება, სადა სერიოზული მთხრობელი, ანდა თუნდაც ავტორი, აქ დიალოგები ღიად და დატოვებულია, საბოლოო წერტილი არ არის დასმული. ცალმხრივი პათოსი გადატანლია გმირებზე, ნაფტასა და სეტემბრინზე, ზოგჯერ სეტემბრინია მართალი, ზოგჯერ — ნაფტა, თ. მანი მთლიანად აცერტოს არ ეთანხმება — ხან სეტემბრინის უაბლოვდება, ხან — ნაფტას, მაგრამ მისი პოზიცია სრულად არასოდეს არ ფარავს ამ პერსონაჟთა პოზიციას. ემპირიული, გრძნობად-კონკრეტული, პლასტიკური ამ რომანში რედუცირებულია, მინიმუმადეა დაუვანილი. მონათხრობი აქ არ

აცხადებს პრეტენზიას ემპირიულ ნამდვილობაზე, იმაზე, რომ ეს რეალურად, ნამდვილად მოხდა (იხე, უნდა ითქვას, რომ დოსტოვესკის რომანებში, მის ეპიკურ სამყაროში მტეი ვნება, მტეი გზნება, მტეი ცეცხლი, მტეი ღაძაბულობა, მტეი აღელვება, ვიდრე თ. მანის ეპიკურ სამყაროში. თომას მანი უფრო „გრძელი“, უფრო მშვიდაა).

„დოქტორი ფაუსტუსი“ წმინდად დოსტოვესკური რომანია: აქ ზწირია „დროული ნახტომები“, დროთა ერთმანეთში შექრა, „წაფენა“ და ა. შ. მთხრობელი გმირის ცხოვრების ბიოგრაფიულ-ქრონოლოგიურ ხაზს არ მიჰყვება,

დროულ-ვრცელ კონტინუუმს აქ ძალიან არ არის. რეალური, ემპირიული სინაბდვილდე „სულითმირებულია“ ანსტრაქციებში, სიმბოლოებში, „ანტივიატურებში“: „გრძობადი ქვეყანა „კონდენსირებული“, კრისტალიზებული „ფორმულებში“, პირობით ნიშნებში. ემპირიული კანონები დარღვევულია. ავტორი იყენებს ე. წ. „სიმბოლურ შემოკლებებს“, მონტაჟის ტექნიკას, ციტატებს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ფსიქოლოგიური მოტივირება, სუქცესიის პრინციპი უკუგდებულია. რომანში მთლიანად დოსტოვესკური ატმოსფერო სუფევს.

### შენიშვნები:

1 თ. მანი, წერილები პეტლ ამანს 1915-1952, გამოცემები ვიენის მიერ, ლიუბეკი, 1959, გვ. 71 (გერმანულ ენაზე).

2 „გრძნეული მთა“, მე-7 თავი, „ცელილე-ბანი“.

3 იხ. მეფ. ალოის ჰოფმანი, თომას მანი და რუსული ლიტერატურის სამყარო, ბერლინი, 1967 (გერ. ენაზე); აგრეთვე ამავე წიგნში გეორგ ვენცელის წინასიტყვაობა, გვ. 10.

4 თ. მანი, წერილები 1889-1936, გამოც. ერიკა მანის მიერ, გვ. 180.

5 იქვე.

6 თ. მანი, წერილები, I, გვ. 313.

7 გოეთეს წელი 1949 — ვამბარში, 1950, გვ. 54.

8 თ. მანი, ტ. 12, გვ. 261 (აუღებავს გამოცემა).

9 თ. მანი, ტ. 12, გვ. 228.

10 იქვე, გვ. 329.

11 М. Бахтин, Проблемы поэтики Достоевского, Москва, 1963.

12 თ. მანი, ტ. 10, გვ. 629-630.

13 თ. მანი, ტ. 12, გვ. 213.

14 В. М. Энгельгардт, Идеологический роман Достоевского, Ф. М. Достоевский. Статьи и материалы, II, под ред. А. С. Долнина, М.-Л., из-во «Мысль», стр. 93.

15 М. Бахтин, стр. 33.

16 მიხაილ ბახტინი, ლიტერატურა და კარნავალი, რომანის თეორიისა და სიცილის კულტურისათვის, 1969, მიუნხენი (გერმ. ენაზე), გვ. 86.

17 იქვე, გვ. 91.

18 იქვე, გვ. 94.

19 თ. მანი, ტ. 12, გვ. 237.

20 თ. მანი, ტ. 10, გვ. 630.

21 მიხაილ ბახტინი, ლიტერატურა და კარნავალი, პოლოსიტყვაობა ალექსანდერ კუმფისი, გვ. 138.

22 შ. ბახტინი, ლიტ. და კარნავალი, გვ. 68.

23 თ. მანი, ტ. 10, გვ. 627.

24 თ. მანი, ტ. 6, გვ. 83.

25 თ. მანი, ტ. 6, გვ. 501.

26 თ. მანი, „გრძნეული მთა“, მე-7 თავი, მინერ პეპერკორნი (გაგრძელება).

27 იქვე.



## სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის

სულხან-საბა ორბელიანის უპირველესად მდიდარ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი რთული და კვლავ შესასწაველი მისი გაათოლიკების საკითხი.

სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობის საკითხი დიდი ხანია იპყრობს ქართველი მკვლევარების ყურადღებას და ამიტომ ამ სფეროში შექმნილი სეროზული გამოკვლევების შედეგად საფურადღებო დასკვნებია გამოტანილი და, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის გადაჭრილია ეს საკითხი.

სულხან-საბა გაათოლიკების საკითხის კვლევის სფეროში ერთ-ერთი არსებითი გარკვევის მისი ბასილიანობის პრობლემა; ამ პრობლემას კი, ჩვენი აზრით, რატომღაც ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული და ჩვენი მიზანია შევიტანოთ ზოგიერთი სიზუსტე აღნიშნულ ასპექტში.

საბას ბასილიანური ორდენის წიგნობა ერთ-ერთი არსებითი მომენტია ჩვენი სახელოვანი მწერლის ბიოგრაფიისა და მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად. ამიტომ ეს საკითხი სავანებო შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს.

საბას გაათოლიკების ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა ჩვენი ამჟერად აუცილებლად არ მივგინია, მაგრამ აღვნიშნავთ ზოგიერთ არსებით, ძირითად მომენტს. ასე, მაგალითად, კათოლიკე მისიონერთა მოწმობით სულხან-საბამ კათოლიკობა მიიღო ჯერ კიდევ 1687 წელს. ამ ცნობის უმართებულობა დადასტურებს ჩვენმა მეცნიერებმა (კ. ტყეშელაშვილი, ე. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, ი. ტახალა, გ. ლეონიძე).

კათოლიკე მისიონერები და ნაწილობრივ

მის, თამარაშვილიც შეთვალ რაც შემხებევაში ტენდენციურობას ამკლავებენ და ამა თუ იმ მოღვაწის კათოლიკებისადმი სიმპათიურ დამოკიდებულებას გაიზარებენ, როგორც კათოლიკობის ოფიციალურად აღიარების ფაქტს. ეს თავისებურება შენიშნული აქვთ ჩვენს მკვლევარებს, რის გამოც პოეტიკად, გ. ლეონიძე წერდა:

„შესაძლოა 1687 წ. სულხანმა გამოთქვა მხოლოდ სიმპათია კათოლიკეებისადმი, მისიონერმა კი ეს ამბავი გადაჭარბებულად აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოდგინებისა. ასეთ ხერხს თბილისელი მისიონერები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად საქართველოში“.1 ამასვე ადასტურებს აკად. აღ. ბარამიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური სიმპათიები დიდხანს დასავლეთისაკენ იყო გადახრილი. ამდენადვე იხრებოდა იგი კათოლიკობისაკენ აღმსარებლობითს სფეროში. აღნიშნულ ასპექტში სარწმუნოა იოსებ ლივორნელის ცნობა. ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ სულხან ორბელიანი 1687 წლიდან დაჭერებული ან მით უფრო ხელთდასმული კათოლიკე გახდა. სულხანი კათოლიკებს თანაუგრძობდა და იმათდამი შემწუნარებლობას იჩენდა. ასეთი „კათოლიკენი“ იყვნენ თავის დროზე გიორგი XI, ლევანი, ქაიხოსრო, ვახტანგი“.2

კათოლიკე მისიონერები რომ ტენდენციურად აღიქვამდნენ მოვლენებს, ეს ამჟერად ჩანს რიშარდის ერთ ინფორმაციაში, კერძოდ ის წერს: სულხან საბამ „მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დატოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო. იმითმ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღიარებინა

კათოლიკე სარწმუნოება“. ამ ცნობაზე დაყრდნობით საბას გაკათოლიკება არაა სარწმუნო, რადგან ის ორ შეუსაბამობას შეიცავს. გერ ერთი ბერად შედგომის წინ მძებნისათვის მიმუღების დაყოფა სრულიადაც არ მიგვიანიშნებს იმაზე, რომ ამის გამო ის უფრო „ადვილად აღიარებდა კათოლიკობას“. ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო სწორედ ბერად აღკვეციით და არა კათოლიკობით. კათოლიკე იქნებოდა, თუ მართლმადიდებელი ბერი, მის ერთნაირად უნდა აეღო ხელი მატერიალური დოკუმენტისაგან, ქონებისაგან, ეს საერთო ქრისტიანული დოგმაა და არა მხოლოდ კათოლიკური, მეორეც — კათოლიკედ კურთხეული ბერი ვერავითარ შემთხვევაში ნათესაუდელს ვერ პოებდა მართლმადიდებლურ დავით ვარჯის მონასტერში, ასე რომ რიშარის ზემოთ მოყვანილი არგუმენტები არა დამაჯერებელია.

დღეს არცერთ მკვლევარისათვის საეჭვო არ არის, რომ სულხან-საბას გაკათოლიკებას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრებები ედო. სავსებით მართებულად წერს ავად. კ. კეკელიძე: „რამ გამოიწვია საბას გადასვლა კათოლიკობაში? არც ეს აქტი იყო კონფესიური ხასიათისა, ის არ იყო გამოწვეული მართლმადიდებლობის წინაშე კათოლიკობის უპირატესობის შეგნებით, ამ შემთხვევაშიც საბა ხელმძღვანელობდა. პოლიტიკური მოსაზრებით. საქმე ის არის, რომ საქართველო მუდამ ეძებდა აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან დამცველს და მფარველს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში ქრისტიანული ბიზანტია ოსმალურმა დაიპყრეს“.<sup>3</sup>

ასევე დამარწმუნებლად დადგენილი ის ფაქტი, რომ საბა სწორედ ევროპაში გამგზავრების წინ იქნა ოფიციალურად კურთხეული კათოლიკედ და არა ადრეად წელსში, ისიც ბერად აღკვეცამდე. მართალია, ამ დებულების დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული ფაქტი არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ამ დისკუსიის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა თვით საბას სასულიერო ხასიათის ნაწარმოებები ანალიზი. ამ კუთხით საყრდენდები დაცურებები აქვს წარმოადგენილი ავად. კ. კეკელიძის: „ფორმალურად საბა 1701 წელსაც „მართლმადიდებელია“; ამ წელს მას დაუწერია „სამოთხის კარი“, რომელშიაც არავითარი კვალი კათოლიკობისა არაა, ის წმინდა მართლმადიდებლობითი თხზულებაა. არაა არავითარი კვალი კათოლიკობისა არც მის „სწავლანში“, რომელიც უკლებლობდა 1698-1710 წ.წ. და რომელიც საკითხავი წიგნი იყო ნათლისმცემლის უდაბნოში. ამ თხზულებაში არის ერთი ქადაგება „უფროოდ და უჩველად“ სინანულისათვის, რომელშიც გაიკვხული და უპრეზიდულია უფროოდ, ე. ი. დაგვიანებული სინანული. ასეთი სინანული კათოლიკურმა ეკლესიამ არ იცის, ამ

მისაღება ყოველი დროის სინანული არა მარტო წარსულისა თუ აწინდელისა, არამედ მომავლისაც.

საბას კათოლიკობა უნდა მიეღო ფორმალურად დაახლოებით 1713 წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა კათოლიკური რედაქცია „სამოთხის კარისა“. ამ უკვე პაპისტური დოგმატიკა გამოშვებულადაა წარმოდგენილი“.<sup>4</sup>

ამასვე ადასტურებს ავად. ალ. ბარაშიძე: „სულხანი დავით ვარჯის უდაბნოში ბერად აღიკვეცა როგორც ე. წ. მართლმადიდებელი ქრისტიანი. დავით ვარჯის უდაბნოში (ნათლისმცემლის მონასტერში) შეთხზა მან „სამოთხის კარის“ პირველი რედაქცია, რომლისთვისაც უცნობია კათოლიკური აღმსარებლობის ტენდენცია. სულხან-საბა „განცხადებულ“ კათოლიკე უნდა გამხდარიყო ევროპაში გამგზავრების წინ. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია, შედგენილი 1713 წლის პირველ ნახევარში (როდესაც სულხან-საბა ევროპაში გამგზავრებისათვის ემზადებოდა), კათოლიკური აღმსარებლობის სულსკვეთებით არის გამსჭვალული. სულხან-საბა იმედოვნებდა, რომ მას, როგორც კათოლიკეს, მეტ ანგარიშს გაუწყვედნენ რომსა და პარიზში“.<sup>5</sup>

სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების საკითხს სავანეობრდ შეეხო პროფ. ივ. ლოლაშვილი და როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უპირველეს ყოვლისა ანალიზებს საბას თხზულებას — „საქრისტიანო მოძღვრებას“, რომელიც ოთხი რედაქციითაა შემონახული. პირველი რედაქციის შესწავლის შედეგად პროფ. ივ. ლოლაშვილი ასკვნის: „სახელმძღვანელო შედგენილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი უკვდილიყო მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ყრმათა აღსაზრდელად. ამ კითხვების განმარტებისას, სადაც საბა ორბელიანის რელიგიური ტენდენციები უნდა გამოჩნდეს, ავტორი ნეიტრალურ პოზიციებზე დგას და ისეთ განმარტებას იძლევა, რომელიც ორივე ეკლესიისათვის სადავო არ არის“.<sup>6</sup>

ეს საყრდენდები დაცურებება და სინტერესო ფაქტი საბას რელიგიური განწყობილების გამოსაყვანად, კერძოდ, მის მიერ ამგვარი, აღსარების ნეიტრალური ფორმის გამოქმენა აშკარად მეტყველებს, რომ იგი შინაგანად კათოლიკობისადმი არის განწყობილი, თანისი პოლიტიკური გეგმების შესაბამისად დასავლეთზე აქვს ორიენტაცია აღებული და როგორც ივ. ლოლაშვილი იქვე დასძენს, „როდესაც საბა ორბელიანი „საქრისტიანო მოძღვრების“ პირველ რედაქციას წერდა, მაშინ ის იყო ფარული კათოლიკე, რომელსაც კათოლიკური ტენდენციების აშკარა გამოქვეყნება არ შეეძლო, ვინაიდან ქართული მართლმადიდებ-



ღერი ველსია მის სულწაწმენდილად გამო-  
აცხადებდა, ხოლო როდესაც 1713 წელს, გა-  
მგზავრების წინ „მწერალმა, — აღნიშნავს ივ.  
ლოლაშვილი, — პარველადი რედაქციის სა-  
ფუძველზე დაწერა ახალი, არსებული ვადა-  
მწეველები თხზულება“<sup>7</sup> აქ საბა უკვე ამ-  
კარად აყალიბებს თავის კათოლიკურ პოზი-  
ციებს; იგივე ვლინდება ივ. ლოლაშვილის  
მიერ შესწავილ საბა-სულხანის ევროპაში გა-  
მგზავრების წინ შედგენილი უბის წიგნაკიდა-  
ნაც.

ამ მცირე ექსკურსიდან აშკარაა, რომ საბას  
გეოგრაფიკულს ჰქონდა არა თეოლოგიური მი-  
ზანდობისუფლება, არამედ პოლიტიკურ-სახელმ-  
წიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა. ამით აიხს-  
ნება ერთგვარი ორპოფობა და გაუბედაობა,  
ერთის მხრად, კათოლიკობის აღიარებაში და  
მეორეს მხრად მართლმადიდებლობის დაცვაში.

ყოველივე ეს კიდევ უფრო აშკარა გახდე-  
ბა, როდესაც ჩვეუკიარებით იმ ფაქტს, რომ  
საბა ვახდა სწორედ ბასილიანთა და არა სხვა  
ორღენის წევრი. ეს ფაქტი მით უფრო მოტ-  
ლოდნელია, რადგანაც სპარსულენოში ძირი-  
თადად მოღვაწეობდნენ ის კათოლიკე მისიო-  
ნერები, რომლებიც ეკლესიოდნენ თეათინე-  
ლების, კარმელიტების, დომინიკების, ბენე-  
დიქტინების, იეზუიტებისა და კაფუციანების  
ორღენებს. კაცმა რომ თქვას, ბასილიანთა ორ-  
ღენის წარმომადგენელი არც კი ყოფილა სა-  
ქართველოში. მაშ რით აიხსნება, რომ საბა  
სწორედ ბასილიანთა ორღენის წარმომადგენე-  
ლი ხდება. ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელი  
ხდება მის შემდეგ, როდესაც გავითვალისწი-  
ნებთ, თუ რას წარმოადგენდა ბასილიანთა ორ-  
ღენი და ამის შედეგად კიდევ უფრო აშკარა  
გახდება სულხან-საბას აღმსარებლობითი პო-  
ზიცია.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს  
შემდეგი ფაქტი: სულხან-საბას რომში ჩასული-  
სას იმ დროის პრესაში გამოქვეყნდა ასეთი  
ხასიათის ცნობა: „სპარსულენო თავადი, რო-  
მელიც ატარებს ბერძნული ეკლესი-  
ის იეს ურთერთი ორღენის ტანის-  
სამოსს, რომელსაც ეწოდება წმინდა ბასი-  
ლი, ეს-ეს არის საფრანგეთიდან დაბრუნებუ-  
ლი ჩამოვიდა რომში გასული თვის (ივლისის  
— ი. ტ.) შუა რიცხვებში. პაპმა მის შესახ-  
ვედრად ვაგზავნა ორი ეტლი“<sup>8</sup>. როგორც უკე-  
დავთ, რომში, კათოლიციზმის ცენტრში, ბასი-  
ლის ორღენი ბერძნული ეკლესიის, ე. ი. მართლ-  
მადიდებლური ეკლესიის ორღენად იწოდება.  
თითქოს იქმნება ერთგვარი გაუგებრობა: ერ-  
თის მხრად, კათოლიკე მისიონერები იტყობი-  
ნებენ პაპს, რომ სულხანი ბასილიანთა კათო-  
ლიკური ორღენის წევრია და მეორეს მხრად,  
იგივე რომის კათოლიკური პრესა ბასილიანებს  
12. „მართობი“, № 6.

ეწოდებს მართლმადიდებლური, ბერძნული  
ეკლესიის წარმომადგენლებს.

როგორ, განა რომაელები ბერძნულ და  
რომაულ ეკლესიას ვერ არაკვევდნენ? მართლ-  
განა დაუდგინელი იყო, თუ რომელი ორღენი  
რომელ ეკლესიას ეკუთვნოდა?

მაგრამ საკითხი ასე იოლად არ იდგა. საქმე  
ის არის, რომ ბასილიანთა ორღენი იყო ერ-  
თადერთი ორღენი, რომელიც იღვწოდა აღმო-  
სავლური და დასავლური ეკლესიების შეერთე-  
ბისათვის, ამ მიზნით აღიარებდა იმ დოგმებს,  
რომელიც ამ ორ ეკლესიას საერთო ჰქონდა და,  
ამავე დროს, განმასხვავებელი დოგმების მო-  
რიგებას ცდილობდა.

საკითხი რომ ნათელი იყოს, ამისათვის  
უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, თუ  
რას წარმოადგენდა ბასილიანთა ორღენი,  
მართლმადიდებლობის აღიარება იგი, თუ კო-  
თოლიკობას?

ბასილიანთა ორღენის არსის ჩამოყალიბე-  
ბის შემდეგ კი ადვილად გაირკვევა, თუ რა-  
ტომ ვახდა სულხან-საბა ევროპაში გამგზავრე-  
ბის წინ, სწორედ ამ ორღენისა და არა სხვა  
კათოლიკური ორღენის წევრი.

ბასილიანთა ორღენი, თუ შეიძლება ითქვას,  
ერთგვარად გაორებულ ხასიათს ატარებდა; ის  
აღიარებდა როგორც მართლმადიდებლურ, ისე  
კათოლიკური აღმსარების დოგმებს. მართებუ-  
ლად წერდა პროფ. ნ. პეტროვი, რომ ბასილი-  
ანელთა ორღენი, როგორც შეერთება ბერძ-  
ნულ-რუსული ეკლესიისა რომის ეკლესიისა-  
თან, თავის თავზე იღებდა ორი ურთიერთ შე-  
უთავსებელი აღმსარებლობის შემრიგებლის  
შეუფრებელ როლს და თავის თავში შეიცავ-  
და შინაგან გაორებასა და წინააღმდეგობებს<sup>9</sup>.

ბასილიანთა ორღენის დამარსებლის კათო-  
ლიკების წმინდა სამების მონასტრის ათაოლი-  
კე ბერი, ეროვნებით პოლონელი იოსებ ვილია-  
მინ რუკვი. რუკვის მიზანი იყო პოლონეთში  
მცხოვრებ მართლმადიდებლებს შორის კათო-  
ლიკობის გავრცელება, ხოლო შემდეგ კი იმა-  
ვე მისიის შესრულება რუსეთის მართლმადი-  
დებლებს შორის. 1617 წელს რუკვი თავის  
მონასტრში დაიწყო ახალი ორღენის ჩამოყა-  
ლიბების ორგანიზაცია. გარკვეული დონისძიე-  
ბების მიღების შემდეგ 1624 წელს იგი წაიდა  
რომში და პაპს შესთავაზა იღვა, რომ იგი  
მართლმადიდებელთა შორის გავრცელებდა  
კათოლიკობას. ამ იღვას, რომში, რასაკვირვლია,  
დადებითად შეხვდა. რომში რუკვი ეთათობრა  
პაპს პაულე V-ს, განსაკუთრებით დიღბანს  
იღებდა რეკვას კარმელტ პეტრესაგან. ამის  
შემდეგ ის გამოემგზავრა რუსეთში და თვით  
მოსკოვში იცხოვრა, რათა უკეთ გაეცნობოდა  
იქნურ ატმოსფეროს, აღმსარებლობით გან-  
წყობილებას. რუსეთში ყოფნისას რუკვი და-  
რწმუნდა, რომ აქ შეუძლებელი იქნებოდა

ხელაღებით კათოლიკობის გავრცელება; ამ მხრივ იგი დიდ და შეიძლება დაუძლეველ წინააღმდეგობასაც ვადაყაროდა, ამიტომ მან უფრო შენიღბული და ელასტიური გზა გამოძებნა.

რომის პაპთან შეთანხმებებისა და დასტურის შედეგად თავის მონასტერში დაბრუნებულმა რეკვიმ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ახალი მონაზვნური ორდენი ბასილიანებისა, რომელიც გარეგნულად შენიღბული იქნებოდა მართლმადიდებლური მხარეებით, ხოლო არსებითად კი იქნებოდა კათოლიკური, რომის პაპის მფლობელობაში.

მართლმადიდებელ მორწმუნეთაგან ნიღობის დამსახურების მიზნით ბასილიანთა ორდენი გარეგნული ნიშნის მიხედვით მთლიანად აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ეკლესიის იერს იტარებდა.

რეკვიმის მიერ ჩამოყალიბებული ახალი მონაზვნური ორდენი თავის შეფად მიიჩნევდა ბასილ დიდს და ორდენის საბუღიო ამ უკანასკნელთან მომდინარეობს. ახალი ორდენის წევრები შეუფარდნენ ბასილ დიდის მიერ ჩამოყალიბებულ სამონასტრო წესს და ბასილის სამონასტრო წესდება იყო მათი ერთადერთი პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ბასილიანთა ორდენის კონსტიტუციის კოდექსში შენაგანაწესის ვადმოცემისას, უბიროდელი ყოვლისა, ჩამოყალიბებული იყო ბასილ დიდის წესდების ტექსტი, ხოლო ბოლოში დამატების სახით ბასილიანებში ურთავდნენ ახალ პუნქტებს.

ბასილიანები თითქმის ყველაფერში იცავდნენ აღმოსავლური ეკლესიის პრინციპებს; ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთა, ჩაკმულობით, ღვთისმსახურების ყველა დეტალით, რელიგიური საიდუმლოებისა და მარტვის დაცვით მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციებსა და წესდებას. ასე რომ, გარეგნულად ბასილიანთა ორდენი ამჟამად აღმოსავლური, მართლმადიდებლური აღსაჩების იერს იტარებდა. ამიტომ ყოველი მართლმადიდებელი მისადმი ნიღობით იყო გამსჭვალული და რაიმე დამკვირვების საფუძველიც კი არ ეძლეოდა.

ამასთანავე, ბასილიანთა ორდენის შესვერვითი მოთხოვნდნენ, რომ ორდენის ახალ წევრს, აღმოსავლურ ღვთისმსახურებასთან ერთად, ეღიარებინა რომის პაპი და ნიკეის სიმბოლოსთვის დამატებინა, რომ სული წმინდა გამოდის არა მარტო მამისაგან, არამედ „ძისაგან“. აი ეს ორი პუნქტი იყო წმინდა კათოლიკური, მაგრამ ეს ისე იყო შენიღბული გარეგნული მართლმადიდებლური საშისით, რომ გარეშე აღმანიანათვის შეუძინეველი რჩებოდა.

ბასილიანთა ორდენის წევრი ყველა ნიშნის მიხედვით, საშისით, ღვთისმსახურების შესრუ-

ლებისა და მარტვის დაცვით მართლმადიდებლური ეკლესიის წევრის შიამუკვილებას ტოვებდა, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს პაპის ეღიარებდა, ამის შესახებ იცოდა თეოდორე მამი და ურდენის ხელმძღვანელმა მოძღვარმა; გარეშე მორწმუნისათვის ეს შეუძინეველი რჩებოდა და მის თვალში ბასილიანთა ორდენის წევრი მართლმადიდებლის შიამუკვილებას ტოვებდა.

ამიტომ ბასილიანთა ორდენის წევრად გუნდობა შეუძინეველი რჩებოდა მართლმადიდებლურ მრევლისთვის და დაზღვეული იყო ყოველგვარი უსამოყენებისაგან.

მართებულად შეინიშნავს პროფესორი მ. კოიალეთი: „ასეთი გურუველობა, უკეთ რომ ვთქვათ, უნებისყოფობა უნისა გარეგნული, ფორმალური თვალსაზრისით, პირველ ხანებში დიდად ხელსაყრელი იყო მისთვის. მართლმადიდებელთაგან ბევრნი, ვერ ხელავდნენ რა არსებით განსხვავებას უნისა და მართლმადიდებლობას შორის, აღიარებდნენ უნისა, ყოველგვარი დამკვირვებისა და შეცბუნების გარეშე.“<sup>10</sup>

ამრიგად, ბასილიანული იყო შენიღბული კათოლიკე, რომელიც ფორმალურად, გარეგნული ნიშნის მიხედვით მართლმადიდებელ იერს იტარებდა, ხოლო მისი შინაგანი, კათოლიკური არსი შეუძინეველი რჩებოდა სხვებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ ვახდა სულხან-საბა ორბელიანი ბასილიანელი. მისი მიზანი იყო, რომ ამ ერთგვარად დიპლომატიური ნაბიჯით, თავიდან აეცილებინა მისადმი მტრულად განწყობილთაგან მოსალოდნელი უსამოყენებები.

ასეა თუ ისე, ბასილიანთა ამ ორდენს არ ჰქონია უკიდურესად ორთოდოქსალური პოზიცია და მის წარზომადგენლებს მომთმენლობით ეპყრობოდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ეკლესია; ყოველივე ამის შემდეგ საეკლესიო ლოკურად გამოიყურება სულხან-საბას მიერ გადადგმული ნაბიჯი. მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღზრდილი და ამ ეკლესიის წარმომადგენელი სულხან-საბა, რომელიც გარკვეული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიზნით ორთედოქსიის იღებს დასავლეთისაკენ, აღმსარებლობას საერთოშიც დიდ დიპლომატიურ გამჭიარობას იჩენს და იმ ორდენის წევრი ხდება; რომლის წარმომადგენლობა მართლმადიდებელს კათოლიკეთთან საერთო ენის გამოჩინების საშუალებას აძლევს.

სულხან-საბა ორბელიანის ბასილიანთა ორდენის წევრად ვახვიათა ისეთივე მოზომილი და ფრთხილი ნაბიჯია, როგორც მის მიერ დაწერილი „საჭიისტიანო მოძღვრების“ პირველი რედაქცია, რომლის შესახებ იე. ლოლაშვილი მართებულად შენიშნავს: „სახელმძღვანელო

შედგენილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ყრმთა აღზარდვლად. ეს ტენდენცია ვლინდება როგორც სულხანის თხზულებაში, ისე ბასილიანობაშიც.

სულხან-საბა ორბელიანის ბასილის ორდენის წევრად ყოფნა გვაგონებს ამ ბრძენი კაცის შესანიშნავ არაქს „მეფე და მსაბჭოა“ რომელშიაც შემოადგების შესაძლებლობა მიმხმამდგა დაყვანილი.

### შენიშვნები:

1 გ. ლეონიძე — ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949 წ., გვ. 80.

2 ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959 წ., გვ. 84.

3 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. XVII, გვ. 123.

4 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1968, გვ. 452.

5 ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 85.

6 ივ. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959 წ., გვ. 107.

7 ივ. ლოლაშვილი, დასაბუღებული ნაშრომი, გვ. 110.

8 ილია ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, 1972 წ., გვ. 220.

9 ნ. პეტროვი, ბასილიანთა ორდენის ისტორიის ნარკვევები (ციევის სასულიერო აკადემიის შრომები, 1870 წ. ტ. I, გვ. 429, რუს. ენაზე).

10 მ. თ. კოილოვიჩი, ბასილიანთა ორდენის ისტორია (ფრან. „ხრისტიანსკოე ჩტენიე“, 1864 წ., № 1, გვ. 18).





6. ჯავახიშვილი

# ივანე ჯავახიშვილის პისტილარული მემკვიდრეობიდან

ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერა

წინასიტყვაობა

წინამდებარე მიმოწერა, თავისთავად მრავალსიტყველი და საინტერესო, განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს.

ამ ორი პიროვნების ეპისტოლარული მემკვიდრეობასა და ინტერესი იმ შემთხვევაშიც კი არ შენელებოდა, მათი პირადი დამოკიდებულების შემცველი შინაარსის გარდა სხვა რომ არა ყოფილიყო-რა. მაგრამ ქვემოთ მიმოწერაში ავტორები სხვადასხვა საფურცლებზე საკითხებს ეხებიან: აქ ასახულია თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ერთი პერიოდი, შოთა რუსთაველის სათბილეთი სამზადისთან დაკავშირებულ სამუშაოთა მიმდინარეობა, დასახულია მომავალი სამეცნიერო მუშაობის გეგმები და სხვ.

ამ მიმოწერის ხანმოკლე ქრონოლოგიური მონაკვეთი — სულ 11 წელიწადი (1929-1940) მათი ავტორებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით და ამ მოვლენათა შედეგებით — სასიხარულო და მძიმე ემოციებით გადატარებული პერიოდია.

მიმოწერაში მთავარი და საუფლისძმო მიხედვით მალაია ადამიანური ღირსებებია, რომელიც დამახასიათებელია როგორც ივანე ჯავახიშვილისათვის, ასევე ლევან მუსხელიშვილისათვის; აქ ჩანს უაღრესად თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ივ. ჯავახიშვილი თავის მოწაფისადმი და რომელზედაც მისი მოწაფე იმავითი პასუხობს; აქვე ნათლად ჩანს მათი მეცნიერული პიროვნებობა,

მეცნიერებისთვის თავდადება, სამაგალითო შრომის უნარი და შრომისმოყვარეობა.

ლევან მუსხელიშვილს ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს — ფრიალ განათლებულს, ფართო მეცნიერული ხედვისა და ალღოს ისტორიკოსს. წერილებიდან ნათელი ხდება, თუ რა დიდ იმედს აწყობდა ივ. ჯავახიშვილი თავის მოწაფეზე, რა მაღალი აზრისა იყო მის შესახებ, როგორც მეცნიერზე, სამწუხაროდ, ამ დიდი მომავლის ახალგაზრდა მეცნიერის სიკოცხლე კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე მისი მასწავლებლის — იგი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა; ამისდამოუხებდავად, მის მიერ მეცნიერებაში გაკლებული კვალი ღრმად და წარუშლელი.

ამ მიმოწერაში (სადაც უპირატესობა ენიჭება ლ. მუსხელიშვილის წერილებს, როგორც რიცხვობრივად, ისევე მათში განხილული საკითხების მიხედვით), შესაძლებელი ხდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თვლი გოვალენით ახალგაზრდა ისტორიკოსის მეცნიერულ ზრდას; მიუხედავად მისი მძიმე ავადმყოფობით გამოწვეული ხშირი შეფერხებებისა, თავის მიზანდასახული შრომითა და დიდი შრომისმოყვარეობით აღწევს იგი იმ შედეგებს, რომელსაც თვალნათლივ ვხედავთ მისი გამოცვლების სახით.

საინტერესოა ლ. მუსხელიშვილის სამუშაო პირობებიც; იგი ხშირად იძულებული ხდებოდა მოწვევებოდა მეცნიერული მუშაობისათვის

საქიორ ვარემოს. საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის რჩევები, რომელსაც აღწევდა იგი როგორც მასწავლებელი და როგორც აღმასწავლებელი. ის ოპტიმიზმი და სიციცხლის რწმენა, რომელთაც, ვინ იცის, ხშირად შეიძლება მხოლოდ ურთიერთ განხილვებამ ჰქონდათ მიზნად, რადგან ხომ არცერთისათვის არ იყო საიდუმლო მათი განმარტელობის მდგომარეობა.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ამ მიმოწერით ჩვენ უშუალოდ აღვიქვამთ ამ შესანიშნავი ადამიანის — ლ. მუსხელიშვილის მეცნიერად ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც გულისხმობენ მწიგნობრის წარმართვის დიდი მასწავლებლის მზრუნველი ხელი; აქვე ნათლად ვხედავთ იმასაც, რომ მოწაფე ღირსია თავის მასწავლებლის. სწორედ ამიტომ შეიძინეთ საჭიროდ თვალთ გადამკვეთი ლევან მუსხელიშვილის მემკვიდრეობის შემოქმედებით ბიოგრაფიისათვის.

ლ. მუსხელიშვილმა 1917 წელს თბილისში დაასრულა საშუალო განათლება და 1918 წელს სახელმწიფო — ვერძინაში (ბერლინი, ფრანკფურტი, გეტინგენი და მიუნხენი) გაემგზავრა ფილოსოფიისა და ისტორიის შესასწავლად.

1923 წელს ავადმყოფობამ აიძულა ლ. მუსხელიშვილი სწავლა შეეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნებულიყო (უმადლესი განათლების დაუმთავრებლად). 1924 წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დაასრულა. უნივერსიტეტში, ლ. მუსხელიშვილმა ივ. ჯავახიშვილის ურადლება მიიქცია და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი დატოვებული იყო საქართველოს ისტორიის კათედრისათვის.

ასპირანტობის პერიოდში დაეყარა ის ახალი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, რომელიც ასე მერყევლადაა ასახული მათ მიმოწერაში.

1931 წლიდან, როდესაც ივ. ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ უნივერსიტეტს ჩამოშორებული, საქართველოს მეზუჟში იქნა მიწვეული (შენ. კონსულტანტად), ლ. მუსხელიშვილმა არქეოლოგიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა.

ივ. ჯავახიშვილის მუშაობა საქართველოს მეზუჟში ცალკე პერიოდია მის სამეცნიერო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. აქ ფართოდ გაიშალა ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა, რასაც მოყვა მრავალ ახალ ღონისძიებათა განხორციელება. ყოველივე ამან აღაფრთოვანა ივანე ჯავახიშვილი, კბამუცრა ენერჯია შემატა, მაგრამ დამატებული ორგანიზმის აღორძინებისათვის ეს საქმარისი არ აღმოჩნდა...

ლ. მუსხელიშვილმა მონაწილეობა მიიღო ნოქალაქევის გათხრებში, რომელიც მიმდინარეობდა ფილადელფიელი არქეოლოგის შნა-

დერისი ხელმძღვანელობით 1930-31 წლებში, ორი თვის მანძილზე. ივ. ჯავახიშვილიც და ლ. მუსხელიშვილიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ გათხრებს, რაც ორივეს წერილებშია ასახული.

ლ. მუსხელიშვილის დაუცხრომელი ცოდნისმოყვარეობა, შეხამებული შრომის უნართან და საქმის დიდ სიყვარულთან, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერის ინტერესებს მართოდენ არქეოლოგიით არ საზღვრავდა. მისმა განათლებამ და ინტერესების დიპაზონმა განაპირობა მისი შესაძლებლობა ასე ფართოდ გასწავლოდა ისტორიის მეცნიერების მრავალ დარგს.

ლ. მუსხელიშვილის მეცნიერული კვლევები, როგორც სოციალური ისტორიის საკითხებს, ასევე ისტორიულ წყაროთა მეცნიერულ გამოცემებს.

ლ. მუსხელიშვილმა ხელოვნების, სახელმწიფო, მიწისხედა არქეოლოგია-ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხებიც არ დატოვა თავის ყურადღების გარეშე. ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევებმა „თორღლთა გენეოლოგიისათვის“, ხოლო შემდგომი უფრო ერეულად დამუშავებულმა გამოკვლევებმა — „არქეოლოგიური ექსპერტები მამაგრის ხეობაში“ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1936 წელს, როდესაც შოთა რუსთაველის საიუბილეო საზაღისთან დაკავშირებით დაარსდა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მეზუჟი (დირექტორის მოვალეობის აღმსრულებლად ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა), ლ. მუსხელიშვილი მიწვეულ იქნა ჯერ მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1937 წლიდან სწავლული მღვიმის თანამდებობაზე. რუსთაველის მეზუჟის დაარსებასაც უკავშირდება ის დიდი არქეოლოგიური გათხრები, რომელიც გაიშალა საქართველოს სხვადასხვა მხარეს (ბოლნისი, დმინისი, გუდარუჭი, გუგუთი, სამთავრო და სხვა). აქ უკვე ნათლად გამოჩნდა ლ. მუსხელიშვილის ნიჭი და ცოდნა არა მარტო როგორც მეცნიერ-არქეოლოგისა, არამედ საეღუე არქეოლოგიის სამაგალითო მკვლევარისაც.

ფართოდ არის ცნობილი ლ. მუსხელიშვილის, როგორც არქეოლოგიური გამოკვლევებში, ასევე მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით წარმოებულ გათხრები — ბოლნისში, დმინისში, გუდარუჭში, გუგუთში და სხვა. (ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა ლ. მუსხელიშვილის და ივ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის მიმოწერა. განსაკუთრებით ლ. მუსხელიშვილის დღიურის მავაგარი წერილები).

ივ. ჯავახიშვილთან მიწერილ წერილებში ასახულია ლ. მუსხელიშვილის ზემოაპოთეოდული მეცნიერული მუშაობის „აღზარატორია“. ამის შემწეობით ხორცი ესმის და ცრცხლდ-

მა ამ მაღალი ღირსების გამოკვლევების შემოქმედებითი მხარის სრული სურათი. სამწუხაროა ის ვაკემოება, რომ ლ. მუსხელიშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა არსებითი მნიშვნელობის ნაშრომები, კერძოდ, „ბრინჯაოს ცულეობის“ იგი. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გამოკვლევას (იხ. მისი წერილი № 3) და ფრთხილად ლ. მუსხელიშვილს სპეკულიაციითი ნაშრომად წარმოედგინა იგი. ამ გამოკვლევაში ლ. მუსხელიშვილი, თავის მასალაზე დაყრდნობით, ორ, გეოგრაფიულად მკვეთრად განსხვავებულ კულტურულ არეს არჩევს — დასავლეთ საქართველოს კერას და აღმოსავლეთ საქართველოსას (დასავლეთ საქართველოს კულტურას იგი „კოლხურის“ სახელწოდებას აძლევს). ამ ნაშრომზე შემოხიბის დროს ის პირველი აყენებს საქართველოში ორი, კოლხური-იბერიული ანუ დასავლეთ-აღმოსავლური, სრულად ორიგინალურ კულტურების არსებობის საკითხს და ამერკავკასიაში ბრინჯაოს ცულეობის გავრცელების არქეოლოგიურ რუკას ადგენს.<sup>7</sup>

ოუჭა ლ. მუსხელიშვილი თავის აბასთუმნის დღიურებში წერს, რომ „ჩემი წერილი ბოლო-კლდეში ჩატარებული მუშაობის შესახებ მეზებების VIII ტომში იბეჭდება, ეს ნაშუშეკარი დამთავრებულ გამოკვლევათა რიცხვს ეკუთვნის. „აბადო-კლდის ნანგრევები“ ლ. მუსხელიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. მიმოწერა საინტერესო მასალას იძლევა ამ საკითხთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ის ვაკემოება, რომ ლ. მუსხელიშვილი აბასთუმანში სამკურნალო განკუთვნილ დროს სამედიცინო მუშაობისათვის იყენებს და სწორედ ამ ხანებში ახდენს იმ საინტერესო არქეოლოგიურ დაზვერვას, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს ახალი დასკვნების გასაკეთებლად.

სიცოცხლის ბოლო წლებში ლ. მუსხელიშვილი დაინტერესდა ქართული ენობრივი საკითხებით და ისტორიის ამ დარგსაც ამშვენებს მისთვის ჩვეული მეცნიერული ეთილსინდასიერებით შესრულებული შრომები მცხეთის სეგტიცხოვლისა და სამშვილდის სიონის წარწერათა შესახებ. იგი. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერიდანაც ცნობილი ხდება ლ. მუსხელიშვილის გატაცება ამ დარგით, რასაც იგი. ჯავახიშვილი არ თანუგრძნობდა, რადგან მიაზნდა, რომ ლევიანის ნიჟისა და მომზა-

დების ბატონის უფრო ფართო სამეცნიერო სპარეზი შეეფერებოდა.

იგი. ჯავახიშვილს თავისი ხაყვითანი პირი ჰქონდა ლ. მუსხელიშვილის ნებისა და შესაძლებლობებზე და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისთვის, მომავალი მუშაობის გასაშუალოდ, დიდი გეგმები ჰქონდა დასახული. მაგრამ ამ გეგმების სისრულეში მოყვანა, ისევე როგორც ამ დიდი მომავლის მეცნიერის შესაძლებლობებისა და ნიჟის სრული გაშლა, მძიმე ავადმყოფობისა და ნაღრრევი გარდაცვალების გამო განუხორციელებელი დარჩა.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ლ. მუსხელიშვილი პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. 1933 წლიდან უნივერსიტეტში კათედრობდა წინაეკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კურსს და ერთდროულად ლათინურ ენას. აქაც იგი. ჯავახიშვილს სურდა, რომ ლ. მუსხელიშვილს ეკისრა ეკონომიური ისტორიის კურსიც.

იგი. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1940 წ. 18.XI) ლ. მუსხელიშვილი დანიშნა საქართველოს მეზუუმის ისტორიის განყოფილების გამგელად ამასთანავე — რუსთაველის მეზუუმის დირექტორის მოვალეობაც დაეკისრა. 1941 წლის 1 აპრილიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რუსთაველის მეზუუმის ბაზაზე ზელოვნების ისტორიის სექტორის დირექტორისა და ეკავშირებით, მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგელ ლ. მუსხელიშვილი დანიშნეს, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე მუშაობდა (1942 წ. IV).

ლ. მუსხელიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო იგი. ჯავახიშვილის სამეცნიერო არქივის მოწყობებას, რომელშიც იგი უკვე მძიმე ავადმყოფი მონაწილეობდა.

იგი. ჯავახიშვილის არქივში (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის იგი. ჯავახიშვილის ფ. № 16 2041-2077) დაიკვლია ლ. მუსხელიშვილის 36 წერილი და იგი. ჯავახიშვილის სახანუბო 11 წერილი. ეს 11 წერილი გადმოგვცა მუსხელიშვილის ოჯახმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუჩიარეთ. ამ წერილების განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ინტერესის გამო საჭიროდ ეკანით მათი გამოქვეყნება — სათანადო შენიშვნებით და სწოლოთებით.

აქვე გვინდა ვისურვოთ, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაეცულ ლ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობას გამოუჩინდეს ღირსეული მკვლევარი.

ძვირფასო ბ.ნ. ივანიძე!

იმ აბრეშუბით, რომელიც თქვენ მომეცით, ნათლად დამახანხა, რომ თქვენ უმეორეული ბრძანებით ჩემი უკანასკნელი გადაწყვეტილებით. სწორედ მოგახსენოთ, დიდ რუკაში ვახლოდ, სანადის რაიმე გარკვეულ გზას დავადგებოდი, მას უკან, რაც თქვენი აზრი ჩემთვის ნათელი გახდა. მე მგონია, ასეთ შემთხვევაში მმართველს სრული გულწრფელობა და ამ ამბობდნენ ავირჩიე ეს წერილობითი საშუალება, რათა გამეზიარა თქვენთვის მოცემული ჩემი მოქმედებისა და აგრეთვე ეხლანდელი ჩემი სულიერული მდგომარეობა. ზეპირად ვერც მოვახერხებდი იმის თქმას, რაც საჭიროა იქნება და აღბათი ზეგრის თქმის მოვრთმებელი კიდევ. გაუგებრობა გამოიწვია სრულიად შემთხვევითი მომენტმა: მე უაქტის წინაშე დაგაყენეთ და, რასაკვირველია, ამის შემდეგ თქვენ საჭიროდ აღარ ჩასთვალეთ თქვენი ნამდვილი შეხედულება გამოვთქვათ; როდესაც თქვენ მითხარით, რომ თქვენ „ამის საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ“, მე ეს დასტურად მივდიდი... უკვე მოგახსენებთ თუ როგორ მოხდა, რომ წინასწარ ვერ მოვლამაჩინე. როდესაც ამას ვისწავლით, იმ წუთს ვგვრძენი, რომ დამაჭრებლად ვერ ვლამაჩინებდი და ეგება თქვენც არ მერწმუნეთ. რასაკვირველია, ჩემი საქციელის გამართლება არ შეიძლება თავისთავად, მაგრამ გარემოებამ მაძლევს ესე მოვცეულებოდა: ამბავი აკადემიის ასპირანტობის შესახებ გავიგე პარასკევს; შაბათს საღამოს შინ ვერ ვხანებთ, კვარას თქვენი შეწუხება ვერ ვახდებდი, რათან, შეტყვევდა, პარალ. რაზმების<sup>10</sup> დასახლებებზე იქნებოდა და დღლილი დამბრუნდებოდა შინ; ამავ დროს, გადაწყვეტა სხდომა განაღებების კომისიარიატში, რომელზედაც კანდიდატების სია უნდა შედგინათ, დანიშნული იყო სამშაბათს დღის 10 საათისათვის და მთელი ორშაბათ-დღისა მოვანდომე სირბილს, რათა სხდომის მონაწილენი გამეუბრთხებინა და სიაში ჩავეწერებინე. ასე მოხდა, რომ, როდესაც იმავე ორშაბათს საღამოს თქვენ ვეზულეთ, საქმე გადაწყვეტილი იყო. ამრიგად, გარეშე თვალსათვის ძალიან უღამაზოდ მოვაქცია.

ეს ერთი. მეორე გაზღვახთ შემდეგი: მე თქვენი მოწადე ვარ. მადლობას მეტი არა შეთქმის რა, და როდესაც ლენინგრადში მივდივოდი, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ამ მოწადეობაზე ხელს ავიღებდი. მართალია, შესაძლებელი იყო, რომ დარგაც კი გამოემეცვალა (მართალია, თუმცა ჩემდა უკაბხველად, ვანათლების კომისიარიატის სიაში „თონოვარათა-არქივოლოგიის“ ქვეშ შემიტანეს), მაგრამ დარგს ხომ აქაც ვიცვლიდი, თუ კი ვერამანებლობანი<sup>11</sup> დავაწყებდი მუშაობას? ამით თქვენი ხელმძღვანელობა არ მეთარგობოდა. ლენინგრადშიც იხვე უკან უნდა დავბრუნებულყოფიყ და განა მ წელაწადი იქ უოფინია გარდაქმნიდა და თქვენ მოწადეობას მომწვევებდა? არა, სუბიექტურად კვლავინდებურად თქვენი მოწადე ვრჩებოდა. მაგრამ, რა გამოვიდა ობიექტურად? გამოვიდა, თითქოს ვავირობოდი, ხელს ვიღებდი მთელს ჩემს წარსულზე და ამას ჩავდივოდი უმადურად, აჩქარებით, მოუარიდებლად.

მე საესებოთ გათვალისწინებული მაქვს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში გაცილებით უფრო ფართო ადგილზე უჭირავს ობიექტივობას, კონვენციას, ზრდილობას ამ სიტუაცია ფართო მნიშვნელობით, ვინც მირად განცდებს და ვიცა, რომ ეს ასეც უნდა იყოს, რომ სპეციფიკურ შემთხვევებში აღაჩინოს საქციელის შეფასება, ამიტომ, ჩემს საქციელს არ ვამართლებ, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ადვილად მქონდა გარემოებათა ისეთი შეხედვრას, რომელმაც, სწორედ მოსწრადებულობის გამო, გარეწვლად უკადრისი რამ ჩამადგინა. თქვენ, შეტყვევდა, იმ აზრისა ბრძანებით, რომ რუსეთში მე ვასაქოტებელი არა მაქვს რა. მეც მაგ აზრისა ვარ, და თუ აკადემიის ასპირანტობაზე მივდივოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნივთიერად უზრუნველყოფდა დანიშნული მ წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ სამსახურებრივ გზას ვახიხნადა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. მხოლოდ ამიტომ, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით, კიდევ უკეთესი გამოხავალი იყო გერმანელებთან მუშაობა, მაგრამ ესეც სათურ ვახდა. მე კი ისეთ მდგომარეობაში ვახლავართ, რომ ცხოვრებას ნივთიერი მხარე, ის მხარე, რომელმაც მე დიდის სიამოვნებით არც კი შევამჩნიე, დღითიდღე უფრო მძიმე ლოღვით გულს მამწვება და წმინდა ნივთიერად უფრო და უფრო ზნეობრივი მოვალეობის სახეს ღებულობს. ამ მხარე ძალიან მწეობა ჩემთვის მოცდა. ადვილობრივ კი გამოხავალი თითქოს არა ჩანს. თქვენთვის მთელი გარემოების ახსნა დავაგვიანე იმდენი, რომ მამჩნებინ<sup>12</sup> ჩამოსვლას ველოდი. ახლა მოვლამაჩინე მამას და რათან იხიც ჩემი აზრისა, საზოგადოებრივ ურთიერთობაში ლენინგრადში წასვლაზე, საქართველოს ისტორია ჩემთვის არ არის მხოლოდ საქმე, სპეციალობა, საინტერესო ამოცანა. ისედაც მძიმე გულით გადაწყვეტე ლენინგრადში წასვლა და, ცხადია, სრულიად მოულოდნელი უნდა იყოს ეს ჩემთვის, თუ კი ამას მომყვება მოწვევა როგორც ჩემი მამაძაპირი საგნისა, ისე, კერძოდ, თქვენი ხელმძღვანელობიდან.

ყველა საბუთები უკვე გაფაგზავნი, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეს ცდა ალბათ უნაყოფოდ ჩაივლის, უკეთეს შემთხვევაში აღარაფერს ვიზრუნებ და აღარავითარ ზომებს არ მივიღებ, რა თქმაობაშია რომ დადებითი პასუხი მივიღო, არ წავალ. საბუთების გაგზავნა კი საქარო იყო, რათგან, ამოდენა ხალხის შეწუხებისა და ამოდენა მიტყმა-მოთქმა-საირბილის შემდეგ, უნებურად უკან წავიხილა, რომ საქმე ასე უეცრივ მიმეტკობინა.

ბოლომს ვიხდი, ბ-ნო ივანე, ამოდენა წერალოთ შეწუხებისათვის. პირადად ვეაზღუდებით, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მომავალ კვირა დღეს, დილით.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 2. თ. № 2042.

ტფ. 1930. 4.5.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

თქვენთან მოლაპარაკების შემდგომ, მეორე დღესვე უკეიფოდ შევიქენი და სახლიდან აღარ ვავსულვარ. იმიტომ ვერ გნახეთ. ბოლო აქამდე არაფერი შემიტყობინებია თქვენთვის, რათგან დღე-ღამეზე გაყურებისას მოველოდი. ახლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ მე კარგა ხნით მომიხდებოდა უოველგვარი მუშაობის შეწყვეტა. სახლიდანაც კიდევ ერთი კვირის განმავლობაში ვერ ვავალ. მარტვენა ფაქტვენი ექიმებმა აღმომიჩინეს ტუბერკულოზის დაწყებითი პროცესი.

ფორმა ძალიან მსუბუქია, ხიცხეს არ მამღვეს, არ მახველგებს, მადა არ დამკარგვია, მაგრამ კუთილებულია, რომ ახლავე სერიოზულად ვუწამლო. იმედი მაქვს რომ ერთ-ორ თვეში გამოვკეთდები. ამის გამო, იძულებული ვარ ზელი ავიღო თქვენი შრომის კორექტურაზედაც. ჩემთვისაც სამწუხაროა ეს გარემოება და თქვენს წინაშეც ბოლომს ვიხდი, რათგან ჩემი უარი ალბათ ზედმეტ სარკელში შეგაყვანთ.

გავიგე თქვენი ავადმყოფობის ამბავიც.<sup>14</sup> მიიღეთ ჩემგან გულწრფელი სურვილი თქვენი კარგად ყოფნისა.

მარად თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 1. თ. № 1464.

ტფილისს.

1930 წილს, 8 აპრ.

ჩემო ძვირფასო ბ-ნო ლენკო!

თქვენი ავადმყოფობის ამბავმა შემაწუხა იმიტომ-კი არა, რომ ამით ის საქმე, რომელსაც თქვენ კისრულობთ, შესაძლებელია შეფერხდეს. თქვენ ამის ფიქრი ნუ გაქვთ. მე თუ კორექტურის განსწორება თქვენ შემოგვაჯავნეთ, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ტექსტები, რომელთა გამოცემასაც ვაპირებ, თქვენი სპეციალობის საგანთან არის დაკავშირებული, და თქვენთვისაც ეს მომავალში გამოსადეგი იქნებოდა. ამას გარდა, ეხლანდელ პირობებში, ვუვიტრობდი, რომ ზედმეტი შემოსავლის წყარო არავისთვის მოჭარბებული არ იქნებოდა. მაგრამ თავი და თავი ქანჭრთელბაა და ცხლა, ცხადია, უნდა თქვენ ფიციურ გამართლებას მიაკვიოთ უპრადღება და ყოველგვარ შრომას თავი უნდა დაანებოთ დროებით, თუ მოვარგონდებათ, მე არა ერთბოლ შეფიქრებდა თქვენი სიკამხდრე. თქვენ რომ ამ გარემოებისათვის დროზე უპრადღება მიგეკვიოთ, მაშინ ეგების ეგ მცირეოდენი დაავადებაც თავითგან აგეცდინათ, უნდა ექიმის ყოველივე დარაგება აანსრულოთ, რომ მოკლე ხანში სრულებით გაქანსადღეთ. მე სწორედ იმან შემაწუხა, რომ თქვენ, მომავალში ჩვენ, წარმავადლებზე, უნდა ქანჭრთელი და სულეირად და ხორციელად მაგრება იყვენთ. იმიტომ ეცადეთ მთლიანად განაქურნოთ ეხლავე. მე, სამწუხაროდ, ჩემი ძველი ავადმყოფობა მომიბრუნდა: საშინელი ნაწლავების კატარი და კოლიტი და მასთან დაკავშირებული გულისა და სხეულის საერთო სისუსტე მაქვს, მაგრამ მაინც ლოკალიზირებულად ავადი და გამოკეობის იმედი მაქვს. რომ მოვლონიერდები, გნახავთ, თუ სადმე არ გაემგზავრეთ შაერის გამოსაცვლელად. მაშინ, გაუფრთხილდით თქვენს თავს და გაქანსადღით და დანარჩენი ყველაფერი მოგწერება. ვისურვებთ სწრაფ სრულ განკურნებას, მარად თქვენი მოსიყვარულე

ეგ ქავახიშვილი

ჩემი გულითადი საღამო მოახსენეთ თქვენ მშობლებს, დეიდას და მეთლეს.<sup>15</sup> ივ. ჯ.



წიგნი № 2. შ. № 1465.

ბოგომოლოვის, შრომის მ. № 12, 1930. 16.VIII.

ჩემი ძვირფასო ბ.ნო ლენკო!

მოსაზრული ვარ, რომ თქვენ სრულებით გაქანადებულხართ, ესლა მხოლოდ სიტრახილვად ვმართებ-ლა. თქვენ, ჩასაკვირვებელია, პედაგ. ინსტიტუტის საქმე განიტრესებთ. აქამდის არც მე ვაყოფი რაზე და ამიტომ არაფრის შეტყობინება არ შემეძლო. ესლა ტფილისიდან სასწავლო ნაწილის გამგის თაფხარაშვილისსი ზელმოწერილი ქაღალდი მომივიდა, რომელშიც საქ. ისტორიის კათედრის გამგედ ჩემი დანიშვნის გაზრმობას მაცნობებს და პროგრამების და თანამშრომლების წარადგენას მოხვავ. ასეთი მოწერილობა სხვებსაც მიუვდიოდათ, რათგან ქაღალდის შინაარსი საერთო ხასიათისაა და შიგ მხოლოდ გვარისა და ხაგნის ჩასაწერადაა დატოვებული ადგილი. „საქ. ისტორიის“ I კურსზე კვირაში 3 საათი აქვს, II კურსზეც ამდენივე საისტორიო დარგზე, ხოლო სალიტერატურო და ეკონომიური დარგების სტუდენტებისათვის ორ-ორი საათი I-სა და II კურსზე. მე-III კურსზე „საქ. ეკონომ. ისტორია“ შემოდებული, რომელსაც კვირაში ორი საათი აქვს დამოზობილი. ამ მოწერილობაში „მხოლობელი აღმოსავლეთის საშუალო საუკუნეების“ კურსის შესახებ არაფერია ნათქვამი და არ ვიცი, მოისპო ეს საგანი, თუ მოწერილობაში შემთხვევით გამორჩათ. უნდა შევეკითხო და გავიგო. ამასთანავე, სწავლების მეთოდი „ლახორატორიული“ უნდა იყოს, და თანამშრომელ-ზელმძღვანელთა დიდი რაოდენობაა საჭირო. პირველი კურსის პროგრამას შინ ამ თვისას თხოულობენ, დანარჩენებისთვის 10 ენეწისთვისათვის. მაგრამ სწავლა თურმე 15 ენეწისთვისე ადრე არ დაიწყება. სამწუხაროდ, პროგრამები თან არ წამოიღია და ტფილისში დატოვე. არც ვიცი წინანდელი გამოდგება, თუ ახალი საჭირო, ახალ მეთოდებთან შეთანხმებთ. შრავალირცხოვანი ასისტენტებისათვის-კი ვეკვობ, რომ ფული აღმოჩნდებ, მაგრამ თქვენ ორისთვის, თქვენთვისა და ნ. ბერძენიშვილისათვის 17 მუდმივი თანამდებობა უნდა იყოს და ორივეს წარგადგენთ ასისტენტებად. ამას გარდა, „კომუნისტში“ მოთავსებული შ. ნუკუბიძის ფელეტონითგან 18 ჩანს, რომ მსებთისა და ნოქალაქევის გათხრა თითქოს საბოლოოდ გადაწყვეტილა და შემოდგომითგან უნდა დაიწყოს საქმე. მაშინ თქვე, წინასწარი გეგმისა და შეთანხმების მიხედვით, ამ საქმეშიც მოვახდებთ მონაწილეობის მიღება, რაც თავისთავადეა ფრიალ მნიშვნელოვანია და ნივთიერი კულტურისა და ეკონომიკის თვალსაზრისითაც თქვენთვის საინტერესო იქნება. ნამდვილი არქეოლოგიური კვლევა-ძიებები შესწავლის საუკეთესო შემთხვევა და საშუალება გექმნებათ. ეს ამ შემოდგომას გამოირკვევა. როგორც ზედავთ, ფართო სამეცნიერო ასპარეზი იშლება. ზოგიერთი ცნობების მიღებისთანავე ტფილისითგან, კიდევ გაცნობებთ. მოკითხვა თქვენ მერეღებს.

თქვენი მოსიყვარულე და ბედნიერების მონატრული ივ. ჯავახიშვილი

წიგნი № 3. შ. № 2043.

ბაბათშანი, 1930, VIII.3.

დიდად პატივცემულო ბ.ნო ივანე!

მამამ გადამოცა თქვენი სიტყვები. თვითონაც ძალიან მოწინააღმდეგეა ჩემი წასვლისა ტფილისიდან. ისედაც წრეულს ტფილისში თითქოს მეტი პერსპექტივა ჩანს შესაფერი სამსახურის საშოვნელად.

ამგვარად, ნათომში ან ქობულეთში გადახვლის საკითხი მოხსნილია და, უნდა მოგახსენო, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება მაინც და მაინც არ გამძნელებია.

აქ ვრჩები აკვისტოს და, თუ მოხერხდა სექტემბრის განმავლობაშიც, რადგან ექიმები ასე მოითხოვენ. მაგრამ, თუ კი საჭირო შეიქმნა, 15 სექტემბრისათვის შემიძლია ტფილისში ჩავიდე. ამით არა დაშავდება რა, ვინაიდან ექიმები ჩვეულებრივად აქარბებენ ხოლმე. უკვე საგრძნობლად მოკეთებული ვარ.

როგორც მამამ გადამოცა, თქვენც უკეთობა დაგეტყოს. ვისურვებთ სწრაფს და სრულს განკურნებას.

თქვენი ერთგული ლ. მუსხელიშვილი.

ჩემი მისამართი: აბასთუმანი.

ფ. მახარაძის ქუჩა, № 41.

(ყოფ. რაფაელოვის აგარაკი).

წერილი № 4. შ. № 2044.

ბაბსტოშანი, 1980 — VIII-20.

დიდად პატივცემული ბ-ნო ივანე!

თქვენი წერილი მივიღე. დიდი მადლობა. რასაკვირველია, უყვარეს მე ვეღარ ვიზარებდი. არქეოლოგების იმედი კი ცოტაა, თუ მივიღეთ მხედველობაში ნ. მარის-პოზიცია; ხაჯა ა. შანიძის ექსპედიციას<sup>19</sup> დაადო უაღადა, აქაც ეცდება თავისი ხალხი ჩააყენოს და ალბათ ხელიც მიუწვდება. ის — IX-საუკუნის მე შემოიძლია ტფილისში ვიყუ. ამას წინათ კიდევ ვიყავი ექიმიან — აღარაფერი მაქვს.

ბ-ნო ივანე, ჩემი წარსული წერილიდან ისეთი შთაბეჭდილების გამოტანა შეიძლება, თითქოს მე, აუცილებლად მოველოდ, რომ ამ წამთარს, ასე თუ ისე, სადმე მოვეწურობი. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში, მე არამც და არამც არ მინდა, რომ თქვენ ამის თაობაზე შესწუხდეთ.

მწიწებით მოვიციოხავ თქვენს მუღღღს.

გისურვებთ კარგად ყოფნას. თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 5. შ. № 2045.

1980 — VIII-26 (ბაბსტოშანი)

დიდად პატივცემული ბ-ნო ივანე!

ეს არის ეხლა მივიღე ნიკო ბერძენიშვილის წერილი. დაუგვიანდა. თავწარაშვილი უნახავს ნიკოს და მთხოვეს, რომ მისი ნალაპარაკები ხარჭაროდ შეგატყობინოს თქვენ და სვ. ჯანა-შიახ.<sup>20</sup> „ბორჯომში წადილი“ — მწერს, მაგრამ ეს ამჟამად ტექნიკურად მოუხერხებელია: ავადმყოფები მოჰყავთ სანატორიუმებიდან, ავტომობილები ცოტაა და სექტემბრის ნ-მდე კერძო პირისთვის ხელითები არ იშოვება. ვადაწერის ნაცვლად პირდაპირ გაახლებთ ნიკოს წერილს. მისი მარჯული ნახვეარი რომ წაიკითხოთ, თავწარაშვილის გვეგებს გაიკვებთ.

რასაკვირველია, უყვარესი იქნებოდა, რომ მეც მანდ ვყოფილიყავი, მაგრამ ჩახან ეგ შეუძლებელია, აქედან შეგნიშნავ ერთს რამეს: არამც თუ თანამშრომლობა, არამედ საზოგადოდ რაიმე სახის სიახლოვე ს. კვაბაძესთან<sup>21</sup> ჩემთვის ყოველად შეუწყნარებელია.

მეორე: არამც თუ საქ. ეკონომ. ისტორიის (თუნდაც 16-18 საუკ.), არამედ საზოგადოდ რაიმე კურსის წაკითხვა მე აწრად არ მომხვდება. ვგონებ, თქვენც ასე მფიქრობდით. მაგრამ აწრად მსგავსა არაფერია — მე არ შემოიძლია კურსის წაკითხვა. ესეც კარგად მოგეხსენებათ. ამგვარად, რამდენადაც ეს მე შემეხება, საკითხი ეკონომ. ისტ-ის კურსის ლექტორის შესახებ უნდა მოიხსნას. ამას როგორმე სხვანაირად უნდა ეწველოს. პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ჩემის აწრით, კვაბაძის პრეტენზიებიც სრულიად უსაფუძვლოა. ისიც ვერ შეხსნებთ ამ კურსის წაკითხვას, მაგრამ ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ მე უნდა დავიჯავო ეგ საათები.

აი ეს ორი შენიშვნა ჩემგან. სხვა თქვენზეა დამოკიდებულია.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 6. შ. № 2046.

ბაბსტოშანი, 1980 წ. X-20.

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

აქამდისაც უნდა მომეწერა თქვენთვის, განსაკუთრებით მას უყან, რაც აქ დასაშორება გადაწვევით. მაგრამ ფოტოს ვერ ვეღღე, ისე ცუდად მუშაობს, ხოლო კერძო ბელით წერილის გამოგზავნის საშუალება ამ უყანსკენლ დროს არ მქონდა. აქ ამ ზაფხულს ირავლი<sup>22</sup> იყო და მისგან ვიცოდი, რომ თქვენ ზღვაზე ბრძანდებოდით. ერთხელ, როგორც მახსოვს, ზღვა კარგად მოკიხდათ და იმედი მაქვს, რომ წრეულსაც კარგა დასვენებდით. მე რომ აქეთყენ წამოვედი, იმ დროს თქვენ ძალიან გეტყუბოდით მოღლილობა და საფუძვლიანი დასვენება გვიროდათ. ნუთუ, ბ-ნო ივანე, ჩვეულებისამებრ განაგრძობდით ინტენსიურ მუშაობას?

ჩემ ამხავს თუ იკითხავთ, მოგახსენებთ. აქ რომ მოვედი, ძალიან დასუსტებული ვიყავი, მაგრამ სრულებით არ ვფიქრობდი არამცთუ დასაშორებას, საზაფხულო შეგებულების გადაცილებასაც კი. უკვე აქ ნელ-ნელა შემომამარებს ჩვენებმა, რომ შალვა მიქელაძის<sup>23</sup> გადაწვეტილებით წელიწადი მეტი ახასთუმანში უნდა ვიმკურნალო. მე მაინც არავის დაუჭერებდი, რომ მართლა მოვეყვებულეთუფ და დამესვენა. აგერ მესხეთე თვია, რაც აქა ვარ. თუმცა ფილტვებში აღარაფერი მაქვს, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ თუ საფუძვლიანად არ მოვმარდი, ორ-სამ თვეში კვლავ პროცესი გამეხსნება. მომავრება კი ჭერჭერობით ძლივს შეტყობა: მთელი ეს დრო ვარ მუღღამ გაციხებული ვარ, სურდო ვერაღრით ვერ მოვცილებ, როგორღაც მოქანცული ვარ; ასე დავემორჩილე ჩემ ბედს და მომავალ სექტემბრამდე, თუ სხვა არა მოხდა

რა, აქ დავრჩები. ვერ წარმოიდგენთ, ბ-ნო ივანე, როგორ მაწუხებს ეს გარემოება. მუშაობას უნდა მოვწყდე (მართალია, წიგნები ვამოციწერ, მაგრამ აქაური მუშაობა განა ის არის? ცხადია მაინც, რომ ერთი წლით და მეტიც უნდა ჩამოვრჩე). ამას გარდა, ჩემი მდგომარეობაც მუშეუბნო საკმაოდ გამსჭიბველი არაა, ახლა ერთი წელაწადი მომორბევა უტყველია ზიანს მომტანს, მოწვევად უნივერსიტეტშიც აღბათ ვარიუული დავრჩები. ერთი სიტყვით, სასამოქმედო ცოტაა.

გთხოვთ ჩემ მავიგარად მოგიტხოთ თქვენი პატივცემული მეთუღლი.  
მარად თქვენი პატივისცემული და ერთგული  
ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 7. მ. № 2047.

აბასთუმანი, 1982 წ. XII-1.

ებარტლასო ბ-ნო ივანე!

აქ წამოვლიხას თქვენი ავადმყოფობა<sup>24</sup> დიდ დარდად წამოვყვა თან. ნეტა როგორა ბრძანდებით ეხლა, თუმცა მე სრული იმედი მაქვს, რომ აქამდე არამცთუ უკეთობის გზას დაადგინოდი, არამედ სრულებით განკურნებულიც იქნებო. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თქვენ ლეითონ თურმე სწუხართ, რაც უტყველია ავადმყოფობის ნორმალურ მავლელობას აფერხებს. ბ-ნო ივანე, უნდა უკეთ მოუაროთ თქვენ თავს და მაგ ჰარიან ამინდში, რომელიც თბილისში ისე სასტიკია, გარეთ სულ არ უნდა გამობრძანდეთ ზოლდე. ისე წამოვდი, რომ ვერ მოგელაშარავთ და ჩემი საქმის ვითარება ვერ შეგატყობინეთ. რახან ქალაქში კარგა ხანს მომიხდა დარჩენა, ზოგი რამ მოვასწარი და იქვე შევასრულე. „საქ. მუშეუბნის მოამბეში“ დასაბუქდად ვ. ჩუბინაშვილს გადავციე პატარა წერილი გერმანულ ენაზე — „ქველ-ეგვიპტური სამარული ძრტლის კავასიურა პარალელი“<sup>25</sup> შესახებ. მართალია, თქვენ მიჩნეულით, რომ ეს წერილი გერმანიაში გამეზავნა და იმავ გამოცემლობაში მომენთავებინა, რომელშიც Schäffer-ის<sup>26</sup> წერილია გამოქვეყნებული, მაგრამ ეს ისეთ თავშესაბურებელ პრეტედურს მოითხოვდა, რომ შე უკეთესად დაეინახე ჩემი წერილის აქვე, ადგილობრივ გამოქვეყნება. Schäffer-ის ცალკე ამონაბუქვს გავუზავნი.

მარტინოზ-ლენინოზის ინსტიტუტმა იქისრა ჩემი მიმობილვის დაბუქვდა „კავასიის არქეოლოგიის შესწავლილობისა და უახლოესი ამოცანების შესახებ“. ამ მიმობილვისა, რომელიც დაბუქვის რეულებრივ ფორმატის დაახლ. ორ ფორმა ნახვარს, დაცული არის მეტნიერული შედარეწელობისა და ნაცადი არის წარსული სამოციოვე წლის ნაშეგრის ზოგადი შეფასება და მომავლისათვის ერთგვარი პროგრამის დასახვა.

იმავ ინსტიტუტში, ენასა და მატერიალური კულტურის სექციაში, წავციებუ ხანფორმაციო ხანაიის მოხსენება „ზოლოკლდის ნანგრევების“ შესახებ, რომელშიც საკმაოდ ცხარე დისკუსია გამოიწვია, ეგრძოდ ძველა ობიქის ადგილმდებარეობის გარშემო, რომელსაც ლ. მუდოქტეტი ვარძიასთან აიგივებს (გეოგრაფიულად), რასაკარგვლია, უმართებულოდ. სწოვადლო... ზვენი წრის უბედურება, რომელსაც უტყველია ყველა არ განიცდის, ის არის, რომ ზვენი მეტნიერების თუ უმეცრობის დონე სრულებით ერთნაირია და, ამასთანავე, საკმაოდ დაშალიც. არც ხელმძღვანელი გვყავს და არც იმდენად მომზადებული ვართ, რომ აჩრთა გაცულა-გამოცულამ წინ წავჭვიოს, ამიტომ. ცოტა ვუღაჩარული გამოთქმისამებრ, საკუთარ წვეწში ვიხარებო.

ჩემი შრომა ბრინჯაოს ცულებების შესახებ თან წამოვადე და ვაბირებ ვითომ მის დამუშავება-გადამოტორენას ამ წამითის განმავლობაში, მაგრამ დიდი იმედი ამისა არა მაქვს. საქმე ისაა რომ, როგორც ადგილად წარმოიდგენთ, ლიტერატურა და განსაკუთრებით აღბომები ძალიან საგრძნობლად დამაკლდება; ციტატება ყველა არა მაქვს ამოწერილი, ნანახატების ნაცულად სწიარად მშრალი აღწერა მაქვს. ეს, რასაკარგვლია, მუშაობას დააბრკოლებს, ბევრი ხარვეწი დამრჩება და არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა იმდენად დამუშევებს თან წამოღებული მანალიისას, რომ შერე შევსების შერე არა დასუბრდეს რა. ყველა ამას იმისათვის ვწერ, ბ-ნო ივანე, რომ ჩემი გარემოება გავაცნოთ...

უნდა მოვახსენოთ კიდევ ერთი ვარემოება: მე მინდოდა, რომ ჩემს შრომას „დას. საქარბე-სავლებო კატეგორიების შესახებ“ მაინც მღიხებოდა შიხს სინათლის ზოლვა. „მიმობილველის“<sup>27</sup> საქმე, მათუბადვად სე. ყაუხნიშვილის რწმუნებისა, ცხადლივ დასამართებულია, მე ვფიქრობდი ამ შრომის დაბუქვას, მაგ, ზვენი მუშეუბნის „მოამბეში“. მეშინია კი, რომ რამე შეცულმა არ მომივიდეს. ამის შესახებ მე მაინტერესებდა თქვენი აჩრთა — რამდენად დასახვება, წამოვადლო ჩემი შრომა, უკვე დაბუქდალი, ერთ რედაქციოდან, როდესაც ჭრე კიდევ რედაქცია არწმუნება, რომ შრომა გამოქვეყნდებოთ და გადავციე იგი სხვა რედაქცია?

სხვა, იმედი მაქვს, ბ. ნო. ივანე, რომ თქვენები უველა კარგად და ჩანართულად იმედი-  
ბიან. ვთხოვთ ჩემი მოწინებით მოკითხვა გადასცეთ თქვენს მეუღლეს.

თუ მოიცდით და მომწერთ, ჩემი მინამართი შემდეგია: აბასთუმანი, ფ. მახარაძის ქ. 27-  
უფ. სუხოლოდის აგარაკი.

გისურვებთ ჩანართილობას და კარგად ყოფნას, თქვენი ერთგული და პატივისცემული  
ლ. მუსხელიშვილი.

### შენიშვნები

1 შნაიდერი — რომანულ-ბიზანტიური არ-  
ქეოლოგიის სპეციალისტი. ცნობილია მისი გა-  
თხრები კუნძულ სამოსზე, იუდეაში და სხვა-  
გან. 1930 წელს მოწვეული იყო საზღვარგა-  
რეთთან კულტურული კავშირის საზოგადოე-  
ბის საქართველოს განყოფილების მიერ ნოქა-  
ლაქვის დახვეწებით ზსაათის გათხრების სა-  
წარმოებლად. (იხ. საქ. მუზეუმის მოამბე,  
ტ. IV, 1931 წ. 1928-30 წლების ანგარიში. აგ-  
რთვე — ს. ყუხნიშვილის „ლექციები ბიზან-  
ტიის ისტორიიდან“ წ. 1, დამატება, გვ. 188  
სამ. შუთ. კაბ. გამოცემა, 1948).

2 ლ. მუსხელიშვილი ასპირანტობის პერი-  
ოდში ამუშავეს და შემდეგ, საისტორიო საეთ-  
ნოვადიო საზოგადოების საქარო სხდომაზე  
(1929 წ., X.15) კითხულობს მოხსენებას „და-  
საუღეთ საქართველოს გლეხობის სოც. კატე-  
გორიები XVI-XVII ს. ს.“. დაიბეჭდა „ენიშვის  
მოამბეში“, V. 1940 წ.

3 „ვაჰანის ქებათა განგება“ აბუსერაძე  
ტბელისა. 1941 წელი; „ბოლოკ-ბასილის მშენე-  
ბლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვა-  
რეულო მართიანე“ (ტექნიკა და შრომა, 1941  
წელი).

4 ვ. ბერიძე — ლ. მუსხელიშვილი. „ენიშვის  
მოამბე“, XIII. 1942 წელი.

5 ა) „მუხ. მოამბე“, ტ. VIII. 1935 წელი;  
ბ) დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის  
აღწერა“ (რუსთაველის საიუბილეო კრებულის,  
ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, 1938 წელი);  
გ) ბოლნისი, ცენიშვის მოამბე, III, 1938 წე-  
ლი); დ) „ავჯასისი წინა ისტორიის შესწავლის  
მდგომარეობა და უახლოესი ამოკანები“ (მო-  
ხსენება, წყაითხელი მარკსიზმ-ლენინიზმის ინს-  
ტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის  
ისტორიის სექციის სხდომაზე. 1932. V.8. არ  
დაბეჭდილა. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის  
ლ. მუსხელიშვილის ფ. № 26. მოხსენება და  
თეზისები).

6. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ლ. მუსხე-  
ლიშვილის ფ. № 40.

7 იხ. ხელნაწ. ინსტიტუტის ლ. მუსხელი-  
შვილის ფ. № 28.

8 იხ. ხელნაწ. ინსტიტუტის ლ. მუსხელი-  
შვილის ფ. № № 56, 57, 58, 59, 60, 63.

9 ივ. ჭავჭავაძის შვილის ატესტაცია, იხ. დამა-  
ტება № 1.

10 ანდრია რაზმაძე (1890-1929), პროფესო-  
რი, მათემატიკის მაგისტრი, ქართული უნივერ-  
სიტეტის საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო  
ფაკულტეტის პირველი დეკანი; ქართული მა-  
თემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

11 ივლისსმგება ვერმანელი მეცნიერების  
განზრახვა ნოქალაქვესა და მცხეთაში არქეო-  
ლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების თაობაზე.

12 ვაზტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი  
(1879-1936), ცნობილი ოქელისტი, თვალის სწე-  
ულუბათა კლინიკის პირველი გამგე, საქართვე-  
ლოს ექიმთა საზოგადოების ოქელისტთა სექ-  
ციის პირველი თავმჯდომარე, ივ. ჭავჭავაძის  
მკურნალი.

13 ივლისსმგება ივ. ჭავჭავაძის „საქარ-  
თველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I, მე-  
ორე, ახლად დაწერილი გამოცემა „ქართული  
წიგნი“, 1930 წ.

14 ივ. ჭავჭავაძის სტუდენტობისას, მო-  
წამვლის შედეგად, დაავადებული იყო კოლი-  
ტით, რომელიც ზშიად უმწვავედებოდა.

15 დედა — ნატალია ნიკოლოზის ასული  
მირზაშვილი-მუსხელიშვილი, დეიდა — სოფიო  
ნიკოლოზის ასული მირზაშვილი, მეუღლე —  
ელენე (ბაიკო) სიმონის ასული ხუნდაძე-მუსხე-  
ლიშვილი.

16 თავზარაშვილი (იგივე თავიშვილი) ვი-  
თარგი (1902-1963), იმ დროს პედაგოგიური ინს-  
ტიტუტის დირექტორის მოადგილე და სასწავ-  
ლო ნაწილის გამგე.

17 ბერძენიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრესძე  
(1895-1965), შემდგომში — ცნობილი ისტორი-  
კოსი, იმ დროს უნივერსიტეტში, საქართვე-  
ლოს ისტორიის კათედრასთან დატოვებულ-  
ასისტენტი.

18 ლაბარაჟია შალვა ნუცუბიძის (1888-1963) წერილზე „აბღაღღი კავშირი უცხოეთთან. ქართული ხელოვნების გამოფენა გერმანიაში“ (წერილი ბერლინიდან „კომუნისტა“, 1930, VIII.10). შ. ნუცუბიძე და გ. ჩუბინაშვილი წარგზავნილი იყვნენ ბერლინში ქართული ხელოვნების გამოფენასთან დაკავშირებით. შ. ნუცუბიძე თავის წერილში ეხებოდა გამოფენის უვითარებას და გერმანელების დანტერესებას და გადწვევითობას საქართველოში — ნოქალაქებსა და მცხეთა-სამთავროში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების თაობაზე. გერმანელებმა ნოქალაქებში დახვედრებით ხასიათის კათხრა განახორციელეს, მცხეთაში — მუშაობა არ დაუწყიათ.

19 შესაძლებელია საქმე ეხება აკაკი შანის მივლინებას გურია-სამეგრელოში. ზუსტად დადგენა ვერ მოგვიხერხდა.

20 ჟანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე (1900-

1947), ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც ანტონის ისტორიის კათედრის ასისტენტი იყო.

21 კავაბაძე სარგის (1886-1967), ცნობილი ისტორიკოსი.

22 ერეკლე კატას ძე აბაშიძე (1906-1957), ფსიქოლოგიის მეცნ. კანდიდატი; ივ. ჯავახიშვილის მეფელის დისწული.

23 მიქელაძე შალვა ანტონის ძე (1884-1938), პროფესორი, მედიცინის დოქტორი, გამოჩენილი თერაპევტი.

24 ივ. ჯავახიშვილი ავად იყო ფილტვების ანთებით.

25 L. Muscheli; «Kaukasische Parallele zu einem altegyptische Ronnwagen». მუზეუმის მოამბე. ტ. VIII, 1935 წ.

26 კლოდ შეფერი, გერმანელი არქეოლოგი.

27 „მიმომხილველი“ — საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზღვის ორგანო, რედაქტ. ს. უაუხიშვილი.

□ დასასრული იმდობა □

## წიგნი აველი თვილისის მუსიკოსებაზე

ვიღრე შეჩერდებოდე საჩუქრებით ნა-  
შრომის გარეგნულ, საჭიროდ მიმართა გაეი-  
სენო პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილთან  
შეხვედრის ერთი მომენტი.

ეს მოხდა 1964 წელს, შემოდგომაზე, მის  
ბინაზე, როდესაც იგი, დასვენებული, უკვე  
საჩუქრულზე იყო მიყვებული.

შუა საუბარში რომ ვიყავით, მან თვითონ  
ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მას  
ბევრი ჩანაფიქრი რჩებოდა განუხორციელებე-  
ლი. მაგრამ განსაკუთრებით ორ რამეზე წყლუ-  
ბოდა გული. პირველი, ეს ის იყო, რომ მან  
დიდი მუშაობა ჩაატარა მასალების მოპოვების  
შრიტ, ნინო ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეო-  
ბის შესახებ და უნდოდა დაეწერა სპეციალუ-  
რი რომანი ამ თემაზე (როგორც მან სიცილით  
თქვა: „წინდოდა ჩემი ნიქის ძალა აქაც გამო-  
მეცადია“). მაგრამ ბევრმა რამემ შეუშალა  
ხელი და ეს კარგად დაწყებული საქმე ბოლო-  
მდე ვეღარ მიიყვანა. მეორე კი ის იყო, რომ  
უნდოდა ახალი ვარიანტი გამოეცა „ძველი  
თბილისის ლიტერატურული პოემა“. პირვე-  
ლად, როგორც ცნობილია, ეს წიგნი მან გა-  
მოსცა 1926 წელს. „მას შემდეგ, — თქვა პო-  
ეტმა, — თათქმის ორმოცი წელი გავიდა, და-  
მიჯროვდა ახალი მასალები, ამასთან, წინდო-  
და ახალი თავები შემეტანა მასში. კერძოდ,  
ძველი თბილისის მუსიკოსების შესახებ, მუშა  
მსახიობებზე, თბილისის ლიტერატურულ სა-  
ლაზნებზე, თბილისელ მოჭიდავეებზე და ცოტა  
რამ ცირკეტო“. მაგრამ, — თქვა მან ამო-  
თხვრით, — ალბათ ამ საქმეს ჩვენი მომავლე-  
ბი მოკიდებენ ხელს“.

ამ შემწვევით საუბარი ამ თემაზე...

როგორც შეთხვევებში იციან, ალბათ გე-  
მოვიდა ალექსი ბარნოვის ნაშრომი „ძველ-  
თბილისის მუსიკოსებზე“. წაეკითხე იგი გულ-  
დასმით და თვალწინ წარმოგიდგა სიკვდილმე-  
ქიდებული სოსო.

წიგნი მართლაც რომ დაწერილია გრიშა-  
შვილისებური სინატივით, სათუთი გრძობით  
და დიდი სიყვარულით. ჩემი აზრით, ამ ნაშრო-  
მის გამოქვეყნებით, ნაწილობრივ მაინც თუ-  
სრულდა განუხორციელებელი ოცნება მსტო-  
ვან მგოსანს.

წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „რა გქნა  
მიყვარს თბილისი, შამა-პაბით თბილისელ  
კაცს, ბავშვობიდანვე ყაჩაღობებში აღ-  
ზრდილს, იგივე გურჯისა და იოსებ გრიშაშვი-  
ლის ახლო მეგობარს, ვინა შეიძლება არ მიყ-  
ვარდეს ძველი თბილისი და მისი მუსიკა?“ და  
აი, ალექსი ბარნოვს, ნაყოფიერი მუშაობის  
ჩატარების შემდეგ, გამოუქვეყნებია შესანიშნა-  
ვად დაწერილი გამოკვლევა ძველი თბილისის  
მუსიკოსებზე.

მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვებოდა  
ძველად ისეთი ქალაქი, — შენიშნავს ავტორი,  
— როგორც იყო თბილისი, ზელოსნებთა და  
მგოსან-აწუღებთ საცეს, სადაც ყველა მღერო-  
და. აშუღლა სიმღერებში იგრძნობოდა უცხო-  
ური, კერძოდ კი აღმოსავლური კულტურის  
გავლენა. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა სა-  
მუსიკო საერთებს. ასე, მაგალითად, სპარსედი-  
დან იყო შემოტანილი თარი, საზი და ქამარა  
(ჩვენიებური ქიანურის მსგავსი), არაბულიდან —  
დარა-დაფი (არაბულიდან დარა), ზურანა (არა-  
ბულიდან ზემზინი) და დუღუმა, ინდოეთიდან ნი-  
ლარა (დიპლომატი).

მაგრამ ნაშრომის მე-10 გვერდზე ავტორი  
საესებოთ სწორად აღნიშნავს, რომ „ყველა

\* ალექსი ბარნოვი, ძველი თბილისის მუსი-  
კოსები, „ბელოვინა“, 1974.

უცხოური სამუსიკო საყარავი საეკლესიოების მანძილზე მტკიცედ დანერგულა საქართველოში, კერძოდ თბილისში. მაგრამ დროთა განმავლობაში დაუკარგავს თავისი პირველდელი სახე, რადგან საგრძნობლად გაუმჯობესებულა და თბილისის პირობებში თავისი იერი მიიღოა (ჩახი ჩემია — ა. ს.).

მეშასადაძე, ზემოაშოთელი სამუსიკო საყარავებს უკვე XVIII-XIX საუკუნეში დაკარგული ჰქონიათ თავიანთი პირველყოფილი სახე, ეს საყარავები ვადაუმუშავებიათ (ვადაუმუშავებიათ) ახალ ყადაზე თბილისელ (ქართულ) მუსიკოსებს და მისთვის უფრო სრულყოფილი სახე მიუცაიათ.

ამ საყარავებს უკვე სხვა წყობა ჰქონიათ და ტემპერირებულ ინსტრუმენტად გადაქცეულან. ტემპერაცია კი, როგორც ცნობილია, „სრულიად არ ახასიათებს აზიურ-აღმოსავლურ მონოდიურ მუსიკას“ (გვ. 11).

კერძოდ, დედუკის წარმოშობის შესახებ თავის დროზე ა. გრიშაშვილი მიუთითებდა, რომ ჩვეულებრივი დედუკი შეიძლება არაბულიც იყო, მაგრამ ის დღესაც ისე ძლიერადაა გავრცელებული ჩვენში, რომ მას არაბულობისა აღარაფერი ეჩნება და უფრო თბილისურია. ამ თბილისურ დედუკს ვერცერთი არაბი დღეს ვერ მიიჩნევს არაბულად, რადგან იგი მას უფროდ ვუცხოვბაო.

ცნობილია, რომ აზიური კილოების გარდა, აღნიშნულ მუსიკალურ საყარავებზე სრულდებოდა წმინდა ქართული და მეშასადაძე, თბილისური სასიმღერო კილოებიც, რომლებიც შექმნეს ასევე წლებს განმავლობაში ჩვენმა მუსიკოსებმა, მკონსებმა, აშულებმა. მართალია ისინი მკეროდნენ საიათნოვას, ბესიკის, ჰახიას, ვაგშვილის, ვანისყარელის, ბეჩიას და იეთიმ გურჯის ლექსებს, მაგრამ განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მის მომდევნო პერიოდში არანაკლებ პოპულარული იყო ამ კილოებზე გამოჩენილი ქართული პოეტებს — გრ. ობერელიანის, ა. ქავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ი. ქავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა ლექსების დამღერება („გინდ მეძინოს“, „ლოთობო, ნეტავი ჩვენა“, „სულთ ბოროტო“, „გახსოვს ტურფა“, „აღმართაღმართ“ და სხვ.). ცხრასთან წლებში კი ამას მივმატა უკვე რევოლუციურ პანზე იყობილი სიმღერები.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ „ჩვენში დანერგულ უცხოურ სამუსიკო საყარავებიდან განსაკუთრებით პოპულარობა და მთქონება დედუკმა და ზურნამ ჰპოვა“ (გვ. 19).

ავტორს დიდი ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია თბილისელი მელოდების, მეზურნეებისა და მედღღღეების გამოჩნუბებისა და დაღვენის საქმეში. ეს იქიდან ჩანს, რომ ნაშრომის 23-73 გვერდებზე მას გადმოცემული აქვს

ცნობები თეთიფული მათგანის ცხოვრება-მოდეაწეობაზე. წიგნს დართული აქვს აგრეთვე თეთიფული მათგანის სურათები, აქვე წარმოდგენილი არიან თბილისელი მეარტისტები, ქართველი მესაზანდრეები 900-იან წლებში; აქვეა მეზურნეების ბოლო უსტაბაშის — გ. ზუბიაშვილის პორტრეტი და სხვ.

ნაშრომში სპეციალური თავი აქვს დათმობილი თბილისელ მესაზანდრეებს. „ქალაქის შედარებით მაღალი წოდების მოხელეებში, — წერს ავტორი, — და თავდა-აზნაურობაში დედუკზე მეტად საზანდარი იყო მიღებული. მესაზანდრეთა დასტა კვარტეტისაგან ანუ ოთხი მუსიკოსისაგან შედგებოდა. დაღის ანუ დაირის დამკვრელი მომღერალი, მეთარე, მეჭიანურე და მენალარე. ეს ოთხი სიმებიანი, სამუსიკო საყარავი — თარი და ქიანური ხალხურ სიმები საყარავებს შორის ყველაზე მდიდარ საყარავად იყო ცნობილი თავის ტემპობით და დიდი დამაზონით“ (გვ. 45).

ეს საყარავები (თარი და ქიანური) იმდენად პოპულარული ყოფილა თბილისში და სეროთად საქართველოში, რომ წარჩინებულ ხალხს, ისინი სასტუმრო ოთახის კედლებზე ჩამოკიდებულ ხალიჩებზე გამწვრივებულ ქიანით სადაფით თუ სხვა ძვირფასი ქვევით მოქცდილები, ზოგან კი ნალარისა და არალარის შეზღუბილი.

თარის საუკეთესო დამკვრელმა ნაშრომში მოხსენებული არიან: საიათნოვა, ბესიკი, სათარა, ფრიდონ, ბიჭიკო და ამირან წერეთლები, გ. ამილახვანი, ივ. პაპიაშვილი, ო. ბარათაშვილი და სხვ.

კარგადაა აგრეთვე გადმოცემული სათარას, აბდულ ბალი ზულალოვის, მირზა სადღას, ბლა მლაქოვის, ა. ოპანუხაშვილის, ა. თარბანოვისა და სხვათა ცხოვრების ამსახველი სურათები თბილისის სამუსიკო საბაგილებზე.

ავტორს ნაშრომის ბოლო თავი (გვ. 65-73) მიუძღვნია ცნობილ თბილისელ მოხატაილ მუსიკოსისა და საზოგადო მოღვაწის — ილიკო ქუჩხელის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი. დახასიათებულია იგი როგორც საყარავი სტივრის (რამელი ველა-სტივრის) დიდი პოპულარიზატორი, რომელმაც ბევრი რამ ვაკეთა მისი კულტურის შენარჩუნებისათვის. ამასთან რამველ სტივრის მან „ძირფესვიანად შეუცვალა მასალა, დაბეჭდა და გამარტავა საყარავის კონსტრუქცია“ (გვ. 70).

ავტორს მოყავს თვით ი. ქუჩხელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტივრის დღემდე არაა ცნობილი, თუ პირველად სად დაიბადა. მაგრამ როგორც სალამურის სახეობა, იგი მისი სხვადასხვა სახით ყველა ერსა აქვსო.

„ქუჩხელი, — დასკვნის ბოლოს ავტორი, — იყო კარგი მუსიკოსი და ხალხის უანგარო მსახური“.

ასეთია მოკლე დასახელებული ნაშრომის მოკლე შინაარსი.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნები.

ავტორი ერთობ გაზვიადებული სახით გვიხატავს თბილისის მცხოვრებთა ღრეობასა და დროსტარებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის დილიდან საღამომდე ქუჩებში, ღია ცის ქვეშ გაიხშოდა სიმღერები და ეწყობოდა კონცერტები. „მღეროდნენ ყველგან: ქუჩებში თუ ბაღებში, დუქნებში თუ სარდაფებში, სადაც თავს იყრიდნენ და დროს ატარებდნენ ხელოსნები და წერილი მეწარმენი“ (გვ. 6). პირიქით, ხელოსნები და წერილი მეწარმენი მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე, როგორც ძველი თბილისელები იტყოდნენ, — წიღებზე ფეხებს იღვამდნენ და ძლივს შოთლობდნენ საშოვარს ოქახის შესანარჩუნებლად.

შემდეგ ავტორი წერს, რომ „დროს ტარებაში შამაყაეებს არც მანდილოსნები რჩებოდნენ უკან, ისინი სახლის ბანებსა და ეზოებში დაირიოთ და გარშინით ირთობდნენ თავს“ (გვ. 6-7).

მართალია, მაგრამ ეს ღზინი და გართობა უფრო კვირა-უქმე დღეებში ეწყობოდა, ანდა საღამო უკან.

ავტორის თანამედროვე მუსიკოსთაგან წიგნში რატომღაც მართა ჩვენი სახელგანთქმული მომღერალი ქალი, საქართველოს სსრ-ის დამსახურებული არტიტი ანა ვანდიაშვილი შეუტყბინია (ეს, რასაკვირველია, კარგია), მაგრამ მის გვერდით მთელი პლედის დასახელება შეიძლება.

სასურველი იქნებოდა, რომ ნაშრომს ბოლოში დართოდა ზოგიერთი ძველი თბილისური სიტყვების განმარტებანი.

მაგრამ ყველა ამ და სხვა არაარსებით ხასიათის შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს ა. ბარნოვის მიერ მეტად ნიჭიერად შედგენილ სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. იგი დაწერილია გამართული ქართული ენით.

გამომცემლობა „ხელოვნებაში“ ამ წიგნის გამოცემით უსათუოდ კარგი საჩუქარი მიატოვა თბილისელებს, როდესაც ამ წიგნს კითხულობ, გრძება ისეთი შთაბეჭდილება თითქმის თბილისის უბადლო ტრუზადური, იოსებ ვრიშაშვილი თავისი ლაზათიანი ენით გესაუბრება ძველი თბილისის მუსიკოსებზე.

ეს კი ამ წიგნის ავტორის — ალექსი ბარნოვის მისამართით, ბევრ რამეს დაპირავებს.

პროფ. ბ. სტუხანიშვილი





8560 80 333.



04106740

202 00000000

**ИНДЕКС**

**76128**

## **„МНАТОБИ“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**